ტიტე (ტიტუს) მარგველაშვილი

კავკასია და ძველი აღმოსავლეთი
ისტორიულ-ეთნოლოგიური ნარკვევები

2017

კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE



ტიტე მარგველაშვილი
კავკასია და ძველი აღმოსავლეთი – ისტორიულ-ეთნოლოგიური ნარკვევები

მკვლევარი და გამომცემელი	ანა მარგველაშვილი
რედაქტორები	ნანული აზიკური, ნუგზარ ანთელავა
პროექტის კონსულტანტები	ნაირა გელაშვილი, თეა გალდავა
პროექტის გუნდი	ქეთევან გოგობერიშვილი, თეა გალდავა
სტილი და კორექტურა	ლეილა სიხარულიძე
დიზაინი და დაკაბადონება	მაგდა ცოცხალაშვილი

გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა
საქართველოს სამეფო დინასტიების შესახებ – მიხეილ ბეროშვილმა
ეპიკური პოემა ვეფხისტყაოსანი ინგლისურიდან – მაკა ელბაქიძემ

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ HORIZON- ს ფინანსური დახმარებისათვის
Our deep gratitude for financial support to the European Foundation HORIZON

გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით მკვლევარ ირაკლი ხვადაგიანსა და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიას, ისტორიკოს დავით ჯაფარიძეს, მკვლევარ ანა ჭეიშვილს.

ფოტო ყდაზე: სოვლაბი. საზოგადოებრივი არქივი. ლია ხუნდაძის კოლექცია. სოფელი გონა. 1936 წ.

© კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“
© ანა მარგველაშვილი

ISBN - 978-9941-9510-6-0

ყველა უფლება დაცულია. 2017

სარჩევი

წინათქმა 9

ტიტე მარგველაშვილი
(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები) 14

რედაქტორისაგან 21

I. კოლხეთი, იბერია და ალბანეთი
ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის მიჯნაზე
სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით 29

1. წყაროებისა და ახალი ლიტერატურის მიმოხილვა 30
2. კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის საზღვრები 32
2.1. კოლხეთის საზღვრები 32
2.2. იბერიის საზღვრები 37
2.3. ალბანეთის საზღვრები 40
3. ბუნების თავისებურებანი 42
3.1. კოლხეთი 42
3.2. იბერია 47
3.3. ალბანეთი 48
4. მოსახლეობა 51
4.1. კოლხეთი 51
4.2. იბერია 54
4.3. ალბანეთი 55
5. ცივილიზაცია და კულტურა 57
6. რელიგია. ცრურწმენა 72

II. კავკასია და ძველი აღმოსავლეთი 85

1. ჩვეულებითი (ადათობრივი) სამართალი 87

1.1. ძველი მცირეაზიური სამართლებრივი მსოფლმხედველობის სფეროდან 87

ა. ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა 88

ბ. საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ძველ მცირე აზიაში 94

1.2. კავკასიის ხალხების სამართლებრივი მსოფლმხედველობის სფეროდან 100

ა. ოსები 101

ბ. აფხაზები 106

გ. ჩერქეზები 110

2. კავკასიის მოსახლეობის რელიგიური შეხედულებების სფეროებიდან 148

ა. ცხოველთა კულტი 148

ბ. საკრალური ნადირობა 166

გ. ღვთაებებისა და ბუნების თაყვანისცემა 167

დ. წინაპართა კულტი 191

ე. სისხლის აღების ჩვეულება ინგუშებში 204

ვ. სხვადასხვა წარმართული კულტები და წეს-ჩვეულებები 214

ზ. უცხო სტუმრების გამასპინძლების მნიშვნელობა, ანუ „პურისა და ღვინის“ ფაქტორი 227

თ. ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა კავკასიაში 232

III. კავკასიური ანუ ქართული ელემენტი აღმოსავლეთში / რასობრივი კავშირები 247

IV. კავკასიის უძველესი ისტორია 299

V. საქართველოს სამეფო დინასტიების შესახებ 321

VI. ქართული ეპიკური პოემა ვეფხისტყაოსანი 349

VII. დანართები

ტ. მარგველაშვილის რეცენზია ალ.ბაშმაკოვის ნაშრომზე "Cinquante Siécles d'Evolution Ethnique autor de la Mer Noire" 365

რასობრივი კავშირებისა და ქართველების სილამაზის იდეალის შესახებ
დოქტორი ტიტუს (ტიტე) მარგველაშვილი 369

უცნობი ავტორის რეცენზია ტ. მარგველაშვილის სტატიაზე „კავკასია და ძველი აღმოსავლეთი" 375

ტ. მარგველაშვილის წერილი გამომცემლობას „Vandehoeck und Rupprecht" 377

წინათქმა

ტიტე მარგველაშვილის, ჩემი ბაბუის, ბიოგრაფიას 1996 წლიდან ვიკვლევ. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა გაზეთში „სრულიად არასაიდუმლოდ“ სტატია, რომელიც მის სისხლის სამართლის საქმეს ეყრდნობოდა. მაშინ გავიგეთ მეც და მამაჩემმაც, გივი მარგველაშვილმა, რომ აქამდე უკვალოდ გამქრალი ტიტე მარგველაშვილის შესახებ საქართველოს უშიშროების არქივში საქმე არსებობდა. 1997 წელს კი, ჟურნალში „აფრა“ გამოქვეყნდა ნაირა გელაშვილის სტატია „თარიღები და ფაქტები და ზოგი რამ ისიც, რაც მათ შორის, მიღმა და მაღლაა (შტრიხები გივი და ტიტე მარგველაშვილების ბიოგრაფიისათვის).“ სწორედ ამ პერიოდიდან, ტიტე მარგველაშვილის ბიოგრაფია ჩემი ინტერესის და მრავალწლიანი კვლევის წინაპირობად იქცა.

თავდაპირველად მინდოდა 1946 წელს დახვრეტილი ბაბუის შესახებ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შემეგროვებინა. მოგვიანებით კი მასავით თითქმის უკვალოდ გამქრალი სხვა ადამიანების ცხოვრებითა და ბედისწერითაც დავინტერესდი: ეს პიროვნებები, მეოცე საუკუნის პოლიტიკური ქარტეხილების შედეგად, თითქოს ისტორიის მიღმა დარჩნენ, თუმცა, თავდაუზოგავად საქმიანობდნენ საქართველოს ინტერესებისათვის იქ, სადაც მოუწიათ ყოფნამ ნებით თუ იძულებით.

1996 წლიდან მოყოლებული, ოჯახის დაკარგული ისტორიის არაერთი ნაწილის აღდგენა შევძელი. თავი მოვუყარე ტიტე მარგველაშვილის პუბლიცისტურ წერილებს, რომელთა ნაწილი საქართველოში, 1915-21 წლებშია დაწერილი, ნაწილი კი გერმანიაში, პოლიტიკური ემიგრაციის პერიოდში, 1921-დან 1945 წლამდე; მოვიძიე და შევისწავლე სხვადასხვა დოკუმენტაცია საქართველოსა და გერმანიის არქივებში, რითიც შესაძლებელი გახდა მისი ბიოგრაფიის ნაწილობრივი აღდგენა.

გერმანიაში, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, შემდეგ მე-20 საუკუნის 30-იან წლებშიც და განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის დროს, კავკასიის ფრონტის აქტუალობიდან გამომდინარე, არსებობდა ინტერესი ზოგადად აღმოსავლეთის, და კერძოდ, კავკასიის მიმართ; კავკასიის საკითხების შესწავლა, სათანადო მასალების გერმანულად თარგმნა-დამუშავება ევალებოდა სხვადასხვა სამსახურსა და კვლევით დაწესებუ-

ლებას. მთარგმნელობითი და საკონსულტაციო კუთხით არსებობდა მჭიდრო ურთიერთობა კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს პოლიტიკურ ემიგრაციასთან. მაგალითად, სხვა ქართველი და კავკასიელი ემიგრანტების მსგავსად, ტიტე მარგველაშვილს ჰქონდა მიმოწერა დოქტორ ბრუნო ბეგერთან, რომელიც გერმანელი ანთროპოლოგი, რასების მკვლევარი, მოგვიანებით კი SS-ის (Schutzstaffel) თანამშრომელი იყო. მიმოწერა შეეხება მთარგმნელობით მუშაობას კავკასიასთან დაკავშირებით და ბერლინში, ფედერალურ არქივშია დაცული.

გერმანიაში, ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ, რასობრივი თეორია (მისი ნაცისტური ინტერპრეტაციები) ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილი გახდა და შესაბამისად ამ მიმართულებით კვლევების განვითარებას, მხარდაჭერას და გამოყენებას უკვე სახელმწიფო შეუდგა ახალი მასშტაბებით. 30-იან წლებში, გერმანიაში, კავკასიელ ხალხებს მიაკუთვნებდნენ „წინააზიურ რასას" და მიაწერდნენ ათასგვარ მანკიერებას. ამის გამო, ქართველი ემიგრანტი მეცნიერები ცდილობდნენ, საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და კულტურის შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაცია გაევრცელებინათ, რათა ევროპას ეს რეგიონი, პირველ რიგში კი, ცხადია, საქართველო – მისი მდიდარი ტრადიციებისა და კულტურული მონაპოვარის კუთხით გაეცნო. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ ამ საქმიანობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

შესაბამისად, გარდა პოლიტიკური და პუბლიცისტური საქმიანობისა, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში ტიტე მარგველაშვილი თანამშრომლობდა სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციასთან, აგრძელებდა პროფესიულ მუშაობას და გერმანულ ენაზე წერდა ისტორიულ-ეთნოლოგიურ ნაშრომებს კავკასიისა და საქართველოს შესახებ. როგორც გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ" (N 2, 1997) იუწყება, 1933-40 წლებში ტიტე მარგველაშვილი ყველა ბეჭდვით ორგანოში, რომელთაც რაიმე დაებეჭდათ „წინააზიური" რასის შესახებ, აქვეყნებდა ამ რასის არსებობის უარმყოფელ სტატიებს; იგი მიუთითებდა, რომ არსებობს ქართულ-კავკასიური დამოუკიდებელი რასა, და აღწერდა ამ რასის კულტურულ, ისტორიულ და სახელმწიფოებრივ მიღწევებს მსოფლიო ისტორიისა

და კაცობრიობის წინაშე. ამავე პერიოდში მან გამოსცა შრომა, რომელიც კავკასიის პირველყოფილ კულტურას ეხებოდა;

ტიტე მარგველაშვილს სურდა, თავმოყრილი კვლევები და ნაშრომები ერთ წიგნად გამოეცა. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცულია მისი მიმოწერა (1935 წ.) ერთ-ერთ გერმანულ გამომცემლობასთან (Vandehoeck und Rupprecht), სადაც იგი რედაქციას დასაბეჭდად სთავაზობს დაახლოებით 800 (ნაბეჭდ) გვერდიან მასალას კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, სავარაუდო სათაურით: „კავკასიური რასა და მსოფლიო“ ან „წინა აზიის რასობრივ-კულტურული კავშირ-დამოკიდებულებანი“.

„ნაშრომში საუბარია კავკასიელი ხალხების, უმეტესწილად კი ქართველების რასობრივ და ეთნო-კულტურულ კავშირებზე ძველ აღმოსავლეთთან. იგი მოგვითხრობს კავკასიელთა რასობრივ-კულტურული გავრცელებისა და შემდგომი განვითარების შესახებ ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზე და ევროპაში; ასევე მათი, როგორც რასის დაცემაზე, რომლის კავკასიურმა ნაშთებმა დიდი როლი ითამაშეს წინააზიის ისტორიაში, რაც დღემდე გრძელდება, თუ გავითვალისწინებთ მათი, როგორც რასისა და ერის მონაპოვარს“ – წერდა ტიტე მარგველაშვილი გამომცემლობას „Vandenhoeck un Rupprecht“ (იხ. დანართი). იმხანად, ფინანსების სიმცირის გამო, ნაშრომის ერთიანად გამოცემა ვერ მოხერხდა. ამიტომ, წიგნად მომზადებულ ისტორიულ-ეთნოლოგიურ მასალას ტიტე მარგველაშვილი 1937-42 წლებში სხვადასხვა თემატურ სამეცნიერო ჟურნალში ბეჭდავდა ცალკეული კვლევებისა თუ სტატიების სერიის სახით.

წინამდებარე კრებული „კავკასია და ძველი აღმოსავლეთი“ სწორედ ამ ნარკვევებს აერთიანებს; ნარკვევებს, რომლებსაც ავტორი ძირითადად გასული საუკუნის 30-40-იან წლებში გერმანიაში, გერმანულ ენაზე წერდა. ცხადია, მთელი რიგი სამეცნიერო მოსაზრებები დღეს უკვე აღარ არის აქტუალური; მეტიც, ხშირად ისინი შეიძლება არა მარტო მოძველებული, არამედ მიუღებელიც იყოს დღევანდელი გადმოსახედიდან; ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია იმ პერიოდის პოლიტიკური კონტექსტი და ის ამოცანები, როდესაც და რისთვისაც

ეს ნაშრომები იწერებოდა. წიგნში თავმოყრილი მასალა ასახავს ზემოთ აღნიშნული პერიოდის, გერმანიაში არსებულ სამეცნიერო დისკურსსა და მცდელობას, საქართველო ხანგრძლივი ისტორიული, ტრადიციული და კულტურული კუთხით ყოფილიყო წარმოჩენილი.

თარგმნის პროცესში გარკვეული პრობლემები შექმნა რიგმა ტერმინებმა და გეოგრაფიულმა დასახელებებმა (მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ პოლიტიკური რუკის ცვლილების გამო). ნაშრომთა სტილი და მოსაზრებები მაქსიმალურად დაცულია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული მონაკვეთები გაუგებარიც იყოს თანამედროვე მკითხველისათვის. მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს წარმოდგენილი მასალა, გამოყენებული წყაროები დღესაც დაეხმარება კავკასია-საქართველოს ეთნოლოგიითა თუ ისტორიით დაინტერესებულ პირებს და შეავსებს ქართულ ისტორიოგრაფიას.

როგორც უკვე ვთქვით, მასალების მოძიება, შეგროვება და დამუშავება უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს; წიგნის გამოცემაც 2016 წელს იყო დაგეგმილი, თუმცა, რიგი მიზეზების გამო მისი დაბეჭდვა 2017 წლისათვის გადაიდო. 2017 წელს კი – ქართულ-გერმანული ურთიერთობების ორასი წლის იუბილე აღინიშნება.

ტიტე მარგველაშვილის ცხოვრება ამ ორ ქვეყანას დაუკავშირდა: მისი სულიერი სამყარო ისევე განსაზღვრა ქართულმა და გერმანულმა კულტურებმა, როგორც მისი ბედისწერა – მეოცე საუკუნის ორმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა: საბჭოთა ბოლშევიზმმა და გერმანულმა ნაციზმმა. საქართველოში ცხოვრების პერიოდში იგი გერმანული კულტურისა და გამოცდილების გავრცელებას ცდილობდა (პუბლიცისტური წერილების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობის მეშვეობით), ხოლო ემიგრაციაში ყოფნისას – საქართველოს ინტერესების დაცვას და ქართული ისტორიისა და კულტურის შესახებ გერმანული საზოგადოების ინფორმირებას.

სამომავლოდ იგეგმება ტიტე მარგველაშვილის ვრცელი ბიოგრაფიისა და პუბლიცისტური წერილების გამოცემაც.

ეს წიგნი არა აკადემიური, არამედ სამახსოვრო გამოცემაა. იგი ეძღვნება ყველა იმ მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნას, რომლებიც 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად იძულებულნი გახდნენ სამშობლო მიეტოვებინათ და უცხოეთში გადახვეწილიყვნენ; რომლებიც შემდეგ საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლნენ, ან ცოცხლები დარჩნენ, მაგრამ ვეღარასდროს აისრულეს სამშობლოს კიდევ ერთხელ ნახვის ოცნება, ვეღარ მოახერხეს საკუთარი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია გამოეყენებინათ მათთვის ასე სანატრელ, დამოუკიდებელ საქართველოში.

ანა მარგველაშვილი
თბილისი, 2017 წ.

ტიტე მარგველაშვილი
(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)

ტიტე მარგველაშვილი დაიბადა 1891 წლის 2 აპრილს ქუთაისში, თადეოზ მარგველაშვილისა და პელაგია ჭავჭანიძის ოჯახში. განათლებას იგი 1899-1908 წლებში, ქ. ქუთაისში ილარიონ მატარიძის კერძო მოსამზადებელ სასწავლებელში იღებდა. შემდეგ, 1909 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შემაჯამებელი გამოცდა ჩააბარა და იმავე წლის ნოემბერში ლაიფციგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, სადაც რვა სემესტრი სწავლობდა ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. გერმანიაში სწავლას ძირითადად ოჯახი აფინანსებდა, თუმცა იგი, როგორც „ბეჯითი სტუდენტი“ „სიეზდის“ სტიპენდიასაც იღებდა.

1913 წლიდან სწავლობდა დოქტორანტურაში ჰალლე-ვიტენბერგის ფრიდრიხის სახელობის უნივერსიტეტში. ლაიფციგში სწავლისა და სადოქტორო თემაზე მუშაობის პერიოდში მიმოწერა ჰქონდა როგორც ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელსაც თემის დამუშავებისათვის საჭირო ლიტერატურის დასახელებასა და შესაბამისი წიგნების გაგზავნას სთხოვდა,[1] ასევე ივანე ჯავახიშვილთან, რომელიც, როგორც ჩანს, იმ პერიოდში დაინტერესებული იყო გერმანიაში უმაღლესი განათლების მიღების მიზნით მყოფი ქართველი სტუდენტებითა და მათი საქმიანობით; ტიტე მარგველაშვილი ლაიფციგში ქართული (სტუდენტების) სათვისტომოს თავმჯდომარე იყო და ივანე ჯავახიშვილს სტუდენტების შესახებ საანკეტო ინფორმაციას აწვდიდა.[2] გარდა აღნიშნული თანამშრომლობისა, როგორც წერილებიდან ირკვევა, ივანე ჯავახიშვილისგანაც იღებდა რეკომენდაციებს სადოქტორო და სხვა კვლევით თემებთან დაკავშირებით.

1914 წელს ტიტე მარგველაშვილმა ჰალლე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „კოლხეთი, იბერია და ალბანეთი ძვ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მიჯნაზე, სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით“. შემდეგ სამი თვე იმყოფებოდა ლონდონში ენის სრულყოფის მიზნით, საიდანაც საქართველოში დაბრუნდა;

---

1 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ფონდი, საქმე N 1399.

2 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის პირადი ფონდი, საქმე N 1383.

ქუთაისში დაბრუნების შემდეგ, ტიტე მარგველაშვილი აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1914-1917 წლებში იგი მუშაობდა უცხო ენების პედაგოგად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში; თანამშრომლობდა ქუთაისში გამომავალ სხვადასხვა (ძირითადად, ეროვნულ-დემოკრატიული წრეების სულისკვეთების გამომხატველ) პერიოდულ გამოცემებთან და ძირითადად კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური შინაარსის სტატიებს აქვეყნებდა.

ტიტე მარგველაშვილი მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში. პირველსავე პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც 1917 წელს ქ. თბილისში გაიმართა, აირჩიეს მთავარი კომიტეტის წევრად. 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით (№ 15) იგი კენჭს იყრიდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში.

1918 წლის 26 მაისს, ტიტე მარგველაშვილმა, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრმა, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას. იგი თბილისშიც აგრძელებდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში, იყო ასეთების შექმნის ინიციატორი, გულშემატკივარი და მხარდამჭერი.

1918 წელს გერმანია-საქართველოს ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო: საქართველოში შემოვიდა გერმანიის სამხედრო მისია გენერალ-მაიორ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის ხელმძღვანელობით. გარდა სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობისა, დელეგაცია ქართველ პარტნიორებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობებს. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოების შექმნის პროცესი. გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე საინიციატივო კომიტეტი აქვეყნებდა ინფორმაციას საზოგადოების დაფუძნების შესახებ. ამ კომიტეტის წევრი იყო ტიტე მარგველაშვილიც. ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება 1918 წლის 21 ივლისს დაფუძნდა, ტიტე მარგველაშვილი საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს.

ტიტე მარგველაშვილი, ზოგადად, იყო გერმანია-საქართველოს მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკური თანამშრომლობის მომხრე და მხარდამჭერი, ამ საკითხზე წერდა კიდეც პერიოდულ გამოცემებში.

ოჯახში შემონახულია მისი წერილი ვინმე დოქტორ რ. შტუბესადმი (17.07.1918), სადაც იგი დაწვრილებით უყვება ადრესატს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია იმხანად პრობლემატურ ბათუმის საკითხზე; იგი დოქტორ შტუბეს სთხოვს, წერილის შინაარსი საქართველოს მდგომარეობასთან დაკავშირებით აცნობოს საგარეო საქმეთა სამსახურს და დაიცვას ქართული მხარის უფლებები. ასევე აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს გერმანელთა მხარდაჭერას. საქართველო გერმანიის საიმედო დასაყრდენი პუნქტი იქნება მთელ წინა აზიაში და ვერავინ მოუტანს გერმანელებს ისეთ დიდ სარგებელს, როგორც ქართველები – დასძენდა ტიტე მარგველაშვილი წერილში.

გერმანულ-ქართულ ურთიერთობებში მისი აქტიური ჩართულობა დასტურდება, ასევე, უკვე 1929 წელს, გერმანიაში, კრეს ფონ კრესენშტაინის (გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალი და სარდალი ამიერკავკასიაში) მიერ მის სახელზე გაცემული სარეკომენდაციო წერილით (16.11.1929), რომელშიც ავტორი ადასტურებს, რომ ტიტე მარგველაშვილი, მსოფლიო ომის დროს, კავკასიაში, ქართულ-გერმანული კავშირის თავმჯდომარე იყო და გერმანიის პოზიციებს იცავდა და რომ მას დიდი სარგებელი მოჰქონდა გერმანული საქმისათვის.

1918 წლიდან ტიტე მარგველაშვილი ჩართული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებულ საერობო რეფორმაში და გახლდათ რეფორმის მთავარი ინსტრუქტორი. 1919 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით კენჭს იყრიდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში (№13). არჩევნებში აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ რვა მანდატი მოიპოვა დამფუძნებელ კრებაში.

1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე ერთი კვირით ადრე, ტიტე მარგველაშვილი გაემგზავრა ქ. ბათუმში, იქიდან კი გემით „ოლენ“ სტამბოლში, იმ სხვა მრავალ ადამიანთან ერთად, რომლებმაც მაშინ ქვეყანა დატოვეს. 1921 წლის ივლისში ტიტე მარგველაშვილი სტამბოლიდან ბერლინში ჩავიდა. მეუღლე მარიამ ხეჩინაშვილი და ქალიშვილი, ელიზაბეტ მარგველაშვილი, ბერლინში მოგვიანებით, 1922 წელს ტიტეს ძმამ ვასიკო მარ-

გველაშვილმა ჩაიყვანა. აქვე, 1927 წელს შეეძინათ შვილი – გივი მარგველაშვილი. 1933 წელს ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე მარიამ ხეჩინაშვილმა. გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ძმაც – ვასიკო მარგველაშვილი; 1945 წელს ბერლინი დატოვა და საცხოვრებლად არგენტინაში გადავიდა ელიზაბეტ მარგველაშვილი; ხოლო ტიტე და გივი მარგველაშვილები 1946 წლამდე ბერლინში ცხოვრობდნენ.

1921-23 წლებში, ტიტე მარგველაშვილი თავმჯდომარეობდა ბერლინის ქართულ სათვისტომოს. 1924 წელს იგი ხელახლა აირჩიეს კოლონიის თავმჯდომარედ, მაგრამ უარი თქვა დროის უკმარისობის გამო. თუმცა იგი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ემიგრაციაშიც რჩებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ე. წ. სპირიდონ კედიას გუნდის წევრად; ქართულენოვან ბეჭდვით ორგანოებში აქვეყნებდა ეროვნული შინაარსის სტატიებს, სადაც ხაზგასმული იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის აუცილებლობა. ასეთივე შინაარსის მოხსენებებით გამოდიოდა ბერლინის ქართული კოლონიის შეკრებებზე; იყო ბერლინის პოლიტიკური კომისიისა და ემიგრაციაში მოქმედი „ქართული პოლიტიკური წითელი ჯვრის“ ბერლინის განყოფილების წევრი.

1930-იან წლების დასაწყისში ტიტე მარგველაშვილი ინტერესით ხვდება ნაციონალ-სოციალისტების გამარჯვებას გერმანიაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ემიგრაციაში, თავიდანვე ცდილობენ დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინათ ნაციონალ-სოციალისტებთან, რათა ქართულ სათვისტომოს დაბრკოლებების გარეშე შეძლებოდა მუშაობის გაგრძელება (იმხანად გერმანიაში სხვადასხვა ქვეყნის სათვისტომოები იკეტებოდა); დიპლომატიური ურთიერთობებით ისინი ასევე იმედოვნებდნენ, გაემყარებინათ საქართველოს პოზიციები გერმანიის ახალ ხელისუფლებასთან. განსაკუთრებით აქტუალური ეს ურთიერთობა და თანამშრომლობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გახდა.

1933 წელს ბერლინში შეიქმნა ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია. იგი მიზნად ისახავდა აქ არსებული ყველა ანტისაბჭოთა ემიგრანტული ჯგუფის გაერთიანებას; ასევე, გერმანიაში ქართული კულტურისა და ისტორიის და ზოგადად, საქართველოს პოპულარიზაციას. ტიტე მარგველაშვილი ამ ორგანიზაციის პირველი თავმჯდომარე იყო;

მან ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარის ადგილი სამი თვის შემდეგ დატოვა, სავარაუდოდ შალვა ქარუმიძესთან პოლიტიკური უთანხმოების გამო. თავმჯდომარის რანგში მოკლევადიან პერიოდში ჰქონდა მიმოწერა გერმანიის სხვადასხვა აღმასრულებელ უწყებასთან, ასევე მაგ., პოლონეთის საელჩოსთან; იგი მათ უგზავნიდა ანგარიშს საქართველოს ოკუპაციის შესახებ.

1941-45 წლებში მარგველაშვილი ხელმძღვანელობდა ბერლინის ქართულ სათვისტომოს. ასევე, 1941-1942 წლებში, სხვა ნაციონალური მსოფლმხედველობის მქონე ემიგრანტებთან ერთად, ოფიციალურად მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და ცოტა ხანი ხელმძღვანელობდა ე. წ. ქართულ რედაქციას, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საპროპაგანდო მასალების თარგმნა და შემდეგ რადიოთი გადაცემა. ეს მასალები ეხებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ, საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს, კოლმეურნეობებს, ფაბრიკებში მუშათა მდგომარეობას, წარმოებას, საბჭოთა რეჟიმის სიმკაცრეს და სხვა. თარგმნილი პროკლამაციები რადიოთი გადაიცემოდა. მას ასეთი საინფორმაციო მასალის რადიოთი გადაცემა ერთხელ მოუწია. 1942 წელს იგი წავიდა სამინისტროდან და მას მერე მისი საქმიანობა ქართულ სათვისტომოში მუშაობით შემოიფარგლებოდა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბავშვებზე ზრუნვის მთელი სიმძიმე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობით და ყოველდღიური სარჩოს მოპოვებით ისედაც გადატვირთულ ტიტე მარგველაშვილს დააწვა. შესაძლოა, ეს გარემოება ყოფილიყო აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან მისი დროებითი ჩამოშორების მიზეზი. სწორედ ამ პერიოდში იწყებს ის სხვადასხვა სამეცნიერო პერიოდიკაში, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ტრადიციული კულტურის შესახებ ნაშრომების გამოქვეყნებას.

1945 წლის დასაწყისში, როცა მეორე მსოფლიო ომის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, ქართველი ემიგრანტების დიდი ნაწილი სათათბიროდ შეიკრიბა ქალაქ ზალცბურგში. მათ ემიგრაციის სამომავლო გეგმებზე უნდა ემსჯელათ; ტიტე მარგველაშვილის ქალიშვილი, საცხოვრებლად უკვე გადასული იყო იტალიაში (მოგვიანებით სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად არგენტინაში, ბუენოს-აირესში გადავიდა, სადაც ცხოვრობდა კიდეც გარდაცვალებამდე, 2003 წლამდე). ზალცბურგის

შეკრებაზე ტიტე მარგველაშვილიც გაემგზავრა, ვაჟიშვილთან, გივი მარგველაშვილთან ერთად. გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, უკან აღარ დაბრუნებულიყვნენ და ასე აერიდებინათ თავი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან შესაძლო რეპრესიებისათვის. თუმცა, ტიტე მარგველაშვილი, შვილთან ერთად დაბრუნდა ბერლინში, რადგან სახლში ქართული სათვისტომოს დოკუმენტაცია და რიგი მოუგვარებელი საქმეები ჰქონდა დატოვებული. როგორც გივი მარგველაშვილი იხსენებს, ეს იყო ერთ-ერთი ბოლო სამგზავრო მატარებელი, რომელიც ბერლინში შევიდა. ბერლინი იბომბებოდა და მატარებელი აფეთქებებისა და ნანგრევების ფონზე შედიოდა ქალაქში.

ომის დასრულების შემდეგ, მამა-შვილი, ბრიტანულ სექტორში ცხოვრობდა და თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდა. ტიტე მარგველაშვილი საბჭოთა დანაყოფებთან თარჯიმნადაც კი მუშაობდა. თუმცა უსაფრთხო ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა: 1945 წელს, თბილისიდან ბერლინში სტუმრად ჩასულმა, ტიტეს ახალგაზრდობის მეგობარმა, პროფ. შალვა ნუცუბიძემ იგი თავისთან აღმოსავლეთ სექტორში დაპატიჟა სტუმრად და მანქანაც კი გაუგზავნა. მან თან თავისი 18 წლის შვილი, გივი მარგველაშვილიც იახლა. მამა-შვილი პირდაპირ ბერლინის აღმოსავლეთ სექტორის კომენდატურაში წარადგინეს, სადაც ერთი ღამის გატარების შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორეს: გივი, საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, რომელიც ამ პერიოდში უკვე საბჭოთა ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა. მან ბანაკში 2 წელი დაჰყო და შემდეგ თბილისში, ნათესავებთან ჩამოიყვანეს. რა დაემართა ტიტე მარგველაშვილს, დიდხანს არავინ იცოდა.

ტიტე მარგველაშვილის სისხლის სამართლის პროცესი 1946 წლის მარტში მოსკოვში დაიწყო და ოქტომბერში თბილისში დასრულდა (საქართველოს შსს არქივი (1) ფონდი 6, საქმე № 46182.). იგი დამნაშავედ სცნეს სსრ სსკ 58-4 მუხლით, 58-10 მუხლის მეორე ნაწილით, 58-11 მუხლით და როგორც საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებას, სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს, მთელი ქონების კონფისკაციით. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1946 წლის 17 ოქტომბერს. 1990 წელს საქართველოს სსრ პროკურატურამ უარი თქვა ტიტე მარგველაშვილის რეაბილიტაციაზე.

გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტების ნაწილს, მათ შორის ტიტე მარგველაშვილს, ეგონა, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს დაამარცხებდა და შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა გაჩნდებოდა. მათ თავიანთ ამოცანად დაისახეს საქართველოს კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაცია და ამ მხრივ ძალისხმევას არ იშურებდნენ. თანამშრომლობდნენ გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურებთან. იყო თუ არა ასეთი თანამშრომლობა აუცილებელი და გამართლებული, ეს ცალკე კვლევის და განსჯის საგანია. ერთი რამ ცხადია, ისინი ცდილობდნენ ნებისმიერი შესაძლებლობა საქართველოს სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ბერლინიდან მამა-შვილის გაუჩინარების შემდეგ, უცნობია, რა ბედი ეწია მათ ბინაში დარჩენილ დოკუმენტებს, სადაც ტიტე მარგველაშვილის პირადი ჩანაწერებისა და ნაშრომების გარდა, გერმანიაში ქართული სათვისტომოს სამუშაო დოკუმენტაციაც (და სავარაუდოდ, არქივიც) ინახებოდა. დღემდე, ოჯახის მიერ წარმოებული კვლევა-ძიება წარუმატებელი რჩება. ტიტე მარგველაშვილის ნაშრომები, პუბლიცისტური სტატიები, ემიგრაციის პერიოდის ოფიციალური მიმოწერა თუ პირადი დოკუმენტები დაცულია საქართველოსა და გერმანიის სხვადასხვა არქივსა და ბიბლიოთეკაში. მასალების შეგროვებაზე, დამუშავებასა და ტიტე მარგველაშვილის ოჯახის ისტორიის აღდგენაზე მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს და სამომავლოდაც გაგრძელდება.

ანა მარგველაშვილი

რედაქტორისაგან

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, ერუდიტისა და ინტელექტუალის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ტიტე მარგველაშვილის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომები, რომელიც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში იწერებოდა და იბეჭდებოდა გერმანულ სამეცნიერო პერიოდიკაში, ცხადია, გერმანულ ენაზე. აქ წარმოდგენილი ნაშრომების თემატიკა ერთიანია – ესაა კავკასიისა და წინააზიის ერთობლიობაში განხილული ეთნოკულტურული ისტორია, რომელიც ფართო რეტროსპექტივაშია წარმოდგენილი – უძველესი ხანიდან გვიან შუასაუკუნეებამდის. ყველა ამ შრომას ლაიტმოტივად გასდევს ავტორის თვალსაზრისი, რომ ამ არეალის საზოგადოებრივი ფორმირება მთლიანი გლობალური პროცესია, რომელშიც უმნიშვნელოვანესია კავკასიური, კერძოდ, ქართული ელემენტი. გარდა ამისა, შრომებში უწყვეტ ხაზადაა წარმოდგენილი თვალსაზრისი, რომ მიუხედავად იმისა, რომ განხილულ ეპოქებში უკვე ჩამოყალიბებულია პატრიარქალური ფორმაცია, ყველა დროის საზოგადოებრივ წყობაში ცხადად მოჩანს მატრიარქატის სუბსტრატი, რაც ნათლად იკვეთება როგორც უძველეს, „გილგამეშის“ ეპოსში, ასევე, „ოქროს ხანის“ ეპიკურ თხზულებებში, „ვეფხისტყაოსანში“, რაც XX საუკუნის 30-იან წლებში იყო მიღებული.

ავტორი თავისი დროის ღრმად მოაზროვნე მეცნიერია. დასანანია მისი ნაადრევად შეწყვეტილი სამეცნიერო მოღვაწეობა. 1930-40-იან წლების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქართულ საისტორიო მეცნიერებებში, განსაკუთრებით ქართველთა თავდაპირველი საცხოვრის ადგილის შესახებ. ასევე, ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მეცნიერებს ბევრი რამის ახლებურად გააზრების შესაძლებლობა მისცა. მიუხედავად ამ სიახლეებისა, წინამდებარე წიგნი თანამედროვე მკითხველისათვის ბევრი რამით არის საინტერესო და საყურადღებო. პირველ რიგში იმით, რომ იგი პირველად გაეცნობა დიდ ქართველ სწავლულსა და დიდ მეცნიერს (მართალია, მისი შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილს), ტიტე მარგველაშვილს, რომელსაც მისი განსაკუთრებული ბედის გამო საბჭოთა პერიოდში საზოგადოება არ იცნობდა. მეორე – ტიტე მარგველაშვილის აქ წარმოდგენილ შრომებში ჩაუნჯებულია იმ

დროის არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და პირველწყაროები. ამ თვალსაზრისით იგი საინტერესოა თანამედროვე მკითხველი საზოგადოებისთვისაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა ავტორებთან (ლ. ფ. ლემან-ჰაუპტი, არშაკ საფრასტიანი, ვ. ვ. ბუნაკი, კლაპროტი, ბელი, კოხი, დონ სტილი) ერთად ტ. მარგველაშვილის ნაშრომს – Der Kaukasus und der alte Orient [Zt, 1937, H 4/5, Berlin, 1938] შეეხო აკად. გ. ჩიტაია 1938 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში – „თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის შესახებ“ (გ. ჩიტაია, შრომები, ტ. II, თბ., 2000, გვ. 47-57).

მადლობის ღირსია ამ წიგნის შემდგენელი და გამომცემელი, ავტორის შვილიშვილი, ანა მარგველაშვილი, რომლის წყალობითაც ქართული ისტორიული სამეცნიერო წრე და ქართული საზოგადოება მიიღებს დიდი ერუდიციის მქონე ავტორის ფრიად საინტერესო ნარკვევს.

ისტორიის დოქტორი
ნანული აზიკური

ქართველები „... 1921 წლის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, უკიდურეს საფრთხეში არიან. სტალინური კონსტიტუციის 123-ე მუხლი, რომელიც მხოლოდ სიცრუეა მთელი ქვეყნიერების წინაშე, გადაჭრით ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის ხალხთა – უფლებების დაცვას, რადგან ყოველგვარი პროპაგანდა ... ეროვნული დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად აკრძალულია. და თუ რას ნიშნავს ეს რუსულ საბჭოთა პრაქტიკაში, მკითხველისთვის ცნობილია. ქართველების ბრძოლა მოსკოვის წინააღმდეგ არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ რასობრივ ხასიათსაც ატარებს. გაიმარჯვებს თუ დამარცხდება ეს რასობრივი ბრძოლა, ამაზეა დამოკიდებული ქართველების მომავალი ... ამ სულისკვეთებით იბრძვიან კიდეც ისინი". 1938 წელს გერმანულენოვან ჟურნალში გამოქვეყნებული ამ სტრიქონების ავტორია მეცნიერი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ტიტე მარგველაშვილი, რომლის მოკლე ბიოგრაფიას მხოლოდ ახლახან გავეცანი. იგი ერთ-ერთი გამორჩეული ქართველია იმ პოლიტიკურ ემიგრანტთა შორის, რომლებიც 1921 წელს ბოლშევიკ ოკუპანტებს განერიდნენ და საბჭოთა რეჟიმს უცხოეთიდან დაუპირისპირდნენ. ტ. მარგველაშვილის ბიოგრაფიის ტრაგიკული დასასრული ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორი გამეტებით ებრძოდნენ თავისუფალ არჩევანს საბჭოთა ხელისუფლება და მისი ყურმოჭრილი ქვეშევრდომები, რომლებიც (არ ვიცი, რის ან რა ფასად) უახლოეს ადამიანებსაც კი არ ინდობდნენ. მეგობრისგან განწირული ტ. მარგველაშვილი საბჭოთა ჯალათებმა მოიხელთეს, გაასამართლეს და წუთისოფელს იმ ასაკში განაშორეს, როცა სამეცნიეროდ მიდრეკილი ჭეშმარიტი ისტორიკოსები ფუნდამენტური კვლევების განსახორციელებლად არიან მზად.

გერმანიაში განსწავლულმა 24 წლის ახალგაზრდამ, ტ. მარგველაშვილმა, 1914 წელს ჰალლე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კოლხეთი, იბერია და ალბანეთი ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის მიჯნაზე, სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით". ეს ნაშრომი კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის ისტორიული საზღვრების დადგენისა და ძველი ქართლის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით, იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო (მისი რიგი თვალსაზრისი დღესაც აქტუალურია).


სადისერტაციო ნაშრომში ტ. მარგველაშვილი წარმოჩინდა როგორც ინტერდისციპლინური მკვლევარი, რომელიც სიღრმისეულად იცნობდა მომიჯნავე დარგებს.

ტ. მარგველაშვილის მეცნიერული ინდივიდუალობა მისი თანადროული მეცნიერების ჰუმანიტარული მიმართულებების (ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიული გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ლინგვისტიკის, კულტუროლოგიის) მიღწევებს ეფუძნებოდა. მისთვის ეთნოგრაფია იყო არა მარტო ფიზიკური ანთროპოლოგიის, საკუთრივ ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის – ამ სამი ერთიანი მეცნიერების – ინტეგრალური ნაწილი, არამედ ბიოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სინთეზი. ეთნოგრაფიის ასეთ გაგებას, მეცნიერების ამ დარგის ჩამოყალიბების პერიოდიდან (XIX ს. 50-იანი წლებიდან) მოყოლებული, კაცობრიობის შესახებ საერთო მეცნიერების აღმნიშვნელი ტერმინი – ანთროპოლოგია – შეიცავს. „ყველაფერი, რაც ნათელს ჰფენს კაცობრიობას, – წერდა ბროკა, – ანთროპოლოგიაში შედის: ველური ხალხები და ცივილიზებული ერები, მათი წარსული და მომავალი, ანატომია, ადამიანის ფიზიკური აღნაგობა, გეოგრაფიული გავრცელება, მისი ავადმყოფობის, მისწრაფებებისა და მხატვრული შემოქმედების ჩათვლით. ანთროპოლოგია არის ცენტრი, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ცოდნის ყველა დარგის მიღწევები". ასე ესმოდათ ეს მეცნიერება მის ფუძემდებლებს – ვაიცს, ტაილორს, ბასტიანს, ჰერლიანდს და სხვ. როგორც ჩანს, ასე ესმოდა იგი ტ. მარგველაშვილსაც, რომელიც ევროპული ენების ცოდნის წყალობით, ღრმად იყო დაუფლებული კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის თეორიულ საფუძვლებს. ამიტომაც არის, რომ მას თანაბრად აინტერესებს ქართველებისა და კავკასიელი ხალხების ყოფისა და კულტურის როგორც საერთო საკითხები, ისე მათი ანთროპოლოგიური და ზნეობრივი ტიპი, ხასიათი, განცდები და მისწრაფებები, მათი ენა, სამართალი, რელიგიური მსოფლმხედველობა, რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები, ეპიკური შემოქმედება და სხვ. ამგვარი პანორამული კვლევის ნათელი მაგალითია ტ. მარგველაშვილის ნარკვევების კრებული, რომელიც, თემატიკისა და მიზანდასახულობის თვალსაზრისით, სავსებით მართებულად გაერთიანდა საერთო სათაურის („კავკასია და ძველი აღმოსავლეთი") ქვეშ. იგი კავკასიის ხალხებისა და ძველი აღმო-

სავლეთის, კერძოდ, მცირე აზიის არაინდოევროპელი მოსახლეობის ისტორიის, სომატური ანთროპოლოგიის, სამართლის ისტორიის, ენობრივი მონაცემების, საზოგადოებრივი თვითრეგულაციის ტრადიციული ინსტიტუტების, ზოგადად, ყოფისა და კულტურის შედარებით ანალიზს ეძღვნება.

ტ. მარგველაშვილი კავკასიასა და მცირე აზიას განიხილავს, როგორც ერთიან სოციოკულტურულ სივრცეს, ხოლო კავკასიის ხალხებსა და არაინდოევროპელ ძველ მცირეაზიელებს, როგორც გენეტიკური ნათესაობითა და იდენტური კულტურული ფასეულობებით დაკავშირებულ ეთნოსებს. შეუძლებელია, არ დაეთანხმო მეცნიერის დასკვნას: „ქართული და, ზოგადად, კავკასიური წინაქრისტიანული მსოფლმხედველობის სახელდახელო მონახაზიც კი საკმარისია იმის დასტურად, რომ ქართველური და კავკასიური ტომების წარმართული კულტურა და რელიგია ორგანულად იყო დაკავშირებული ძველი მცირე აზიის მოსახლეობის კულტურასთან და რელიგიასთან. კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მხოლოდ ახლა დაიწყო, ასე რომ, მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი შედეგის მიღწევა, ბევრი ძველი შეხედულების შეცვლა ან კორექტირება. რაც მთავარია, მომავალი კვლევა-ძიება ნათელს მოჰფენს ... კავკასიელთა კულტურული მიღწევებისა და რელიგიური რწმენის მჭიდრო კავშირსა და ნათესაობას ძველ მცირეაზიურ კულტურასთან, რელიგიურ წარმოდგენებთან და წეს-ჩვეულებებთან“. ამას წერს მეცნიერი იმ დროს, როცა აღნიშნული მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში, თითქმის, არაფერია შექმნილი.წარმოდგენილი ნარკვევები ოდენ მცირე ნაწილია ტ. მარგველაშვილის იმ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობისა (იხ. დანართი – „ტიტე მარგველაშვილის წერილი გამომცემლობას“), რომლის მოძიება მისმა შვილიშვილმა, ანა მარგველაშვილმა, შეძლო. მართალია, წინამდებარე გამოცემა აკადემიური ხასიათის არაა და შესაძლოა, მეცნიერის რიგი თვალსაზრისი დღეისათვის მიუღებელიც კი აღმოჩნდეს, მაგრამ იგი ამ სახითაც, თავის ძირითად ნაწილში, ფრიად საინტერესოა და, ამდენად, ქართული ისტორიოგრაფიის, უდავოდ, მნიშვნელოვანი შენაძენია.

პროფესორი ნუგზარ ანთელავა





კოლხეთი, იბერია და აღბანეთი ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის მიჯნაზე სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით

კოლხეთი, იბერია და აღბანეთი ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის მიჯნაზე სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით[1]

წინამდებარე ნაშრომი ორი თვალსაზრისის საფუძველზე დაიწერა: 1. კავკასიურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა ელინური განათლება და ცივილიზაცია, და თუ ეს ასეა, როგორ იქნა ეს მიღებული ადგილობრივ მკვიდრთა მიერ და მოახდინა თუ არა მან კეთილისმყოფელი ზეგავლენა ქართველური მოდგმის ხალხზე? 2. როგორი იყო ამ ხალხების კულტურული და სახელმწიფოებრივი ვითარება პირველი საუკუნის მიჯნაზე, საიდანაც შემდეგ შუა საუკუნეების დროინდელი საქართველო განვითარდა? ბოლოსდაბოლოს, დღევანდელი მეცნიერების თვალსაზრისით არა მხოლოდ გამართლებული, არამედ აუცილებელიცაა ჩვენი მწირი წყაროების საფუძველზე რეალურთან მიახლოებული სურათის შექმნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ცხოვრობდნენ და რას საქმიანობდნენ ქართველური ტომები. რამდენიმე ხნის წინ განხორციელდა რიგი აღმოჩენებისა, რომლებიც სიძველეთა შემსწავლელ მეცნიერებას ამოცანას უსახავს, კუთვნილი ადგილი მიუჩინოს კავკასიური წარმოშობის ხალხებს ანტიკურ ხანაში მცხოვრები ხალხების რიგში: მეცნიერები შეეცადნენ ურარტუ – ალაროდიელები, ხეთები, ნაირის ხალხები და კაბადოკიელები[2] დღევანდელ ქართველებთან ან, უფრო სწორად, ქართველური ხალხების ჯგუფებთან დაეკავშირებინათ. აქედან გამომდინარე,

1 დისერტაცია დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ფრიდრიხისა და ჰალე-ვიტენბერგის გაერთიანებული უნივერსიტეტის უმაღლესი ფილოსოფიური ფაკულტეტი; წარმოდგენილი, ტიტუს მარგველაშვილის მიერ, ქუთაისი (საქართველო), ჰალე, 1914.

2 ასევე იყო მცდელობა შუმერებისა და ელამების ქართველურ ჯგუფებთან დაკავშირებისა. ამ სადავო საკითხის შესახებ იხ. პროფ. Weissbach: „Über die sumerische Frage". მან თავაზიანად შემოგვთავაზა თავისი სამსახური და გაგვიზიარა თავისი შეხედულება ელამებთან დაკავშირებით. მისი აზრით, არსებობს გარკვეული მსგავსება ელამებსა და ქართველებს შორის (იხ. მისი ზემოდასახელებული ნაშრომი). ი. ჯავახოვის ნაშრომი ქართველების შესახებ იხ. ჟურნალში, რომელიც გამოცემულია სახალხო განათლების სამინისტროს მიერ (ივნისი, 1908): „თეორიული და ლიტერატურული მიმოხილვა ქართული ენის წარმოშობის შესახებ".

წინამდებარე ნაშრომი გარკვეულ საფუძველს ემყარება – მხედველობაში გვაქვს ძვ. წ. პირველი საუკუნის მიჯნა, რომელიც შესაბამისობაშია ჩვენს მთავარ წყაროსთან და რომელსაც ჩვენ უმთავრესად უნდა დავყრდნობოდით.

და ბოლოს, ავტორი ნებას იტოვებს დიდი მადლობა გადაუხადოს ბატონებს – პროფ. ივანე ჯავახიშვილს სანკტ-პეტერბურგში და ღვაწლმოსილ ქართველ არქეოლოგს ექვთიმე თაყაიშვილს ზოგიერთი ლიტერატურული წყაროსათვის, რომლებიც მოხსენიებულმა ბატონებმა ავტორს მიაწოდეს; ასევე მადლობას ვუცხადებ ბატონ დოქტორ რ. შტუბეს, რომელიც ავტორს ცალკეული საკითხების გარკვევაში დაეხმარა. უპირველეს ყოვლისა კი, ავტორი დიდ მადლიერებას გამოხატავს ბატონ პროფესორ ი. ბელოხის მიმართ, რომელმაც არა მარტო ჩაატარა პლანიმეტრალური გაზომვები, არამედ შეისწავლა ისინი, რისთვისაც მას მუდამ გულთბილად და კეთილი გრძნობით გავიხსენებთ. ასევე, ავტორი დიდ მადლობას უცხადებს პროფესორ პარჩს, რომელმაც გულთბილად და თავაზიანად მიგვიღო თავის ინსტიტუტში.

I. წყაროებისა და ახალი ლიტერატურის მიმოხილვა

გარდა ძირითადი წყაროსი – სტრაბონისა – ნაშრომში საუბარია, აგრეთვე, კოლხეთისა და იბერიის შესახებ არსებულ ზოგიერთ ცნობაზე, რომლებიც სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის. ესენია: ქსენოფონტე, არისტოტელე, ჰეროდოტე, პტოლემაიოსი, არიანე და სხვ. მაგრამ რამდენადაც ისინი სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან, ავტორის ამოცანას შეადგენდა არსებული წყაროებიდან ის მასალები შეერჩია და გადაეხარისხებინა, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოს იდგა და შეესაბამებოდა განსახილველ ეპოქას.

სტრაბონი, ჩვენი ძირითადი წყარო, თავად[3] ასახელებს მასალებს და ჩვენ ვიცით, რა ჰქონდა მას მხედველობაში, როცა ამა თუ იმ საკითხის შესახებ წერდა. არსებითი მხარე იმისა, რასაც იგი გვამცნობს, სრულიად სარწმუნოდ არის მიჩნეული. დაბადებული და გაზრდილი კავკასიის უშუალო სიახლოვეს,[4] პონტოს დინასტიასთან[5] უახლოეს დამოკიდებულებაში მყოფი ოჯახისშვილი, თვითონ კრიტიკულად განწყობილი

3 XI c. II § 14; § 15; I § 5; II V 2 e c.

4 Amasea; XII c. 3 § 15 და 39.

5 X c. 4 § 10; XII c. 3 § 33; XI, c. II § 18.

თავისი მასალების, როგორც არასარწმუნო გადმოცემის, მიმართ, იგი ცდილობს და მოწდომებულია თხრობის პროცესში სარწმუნო მასალა ყალბისგან ნათლად განასხვაოს.[6] იგი მითრიდატეს ისტორიის ავტორებს Μιθριδατικὶ συγγράψαντες, οἷς μόλλον προσεκτέον არა მხოლოდ იყენებს, არამედ აშკარად ამჯობინებს, რაზედაც თავადაც მიუთითებს. მის ნაშრომში, რომელიც კოლხეთს, იბერიასა და ალბანეთს ეხება, სჭარბობს მასალები სამხედრო[7] საქმის შესახებ. ცნობები კოლხეთზე უფრო მცირეა და მიერთებულია იბერიის მასალებთან. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მდინარეთა მიმართულებასა და ციხესიმაგრეებს.[8]

რაც შეეხება სხვებს, მაგალითად, პლინიუსს, იგი ვაროს (Varo) ემყარება, ყოველ შემთხვევაში, ძირითად საკითხში მაინც.

არიანე, როგორც თვითმხილველი ყოველივე იმისა, რასაც გვატყობინებს, ეჭვშეუტანელია გეოგრაფიული მონაცემების სარწმუნოებაში, რასაც ჩვენ საგანგებო ყურადღებას ვანიჭებთ.

რაც შეეხება ახალ ლიტერატურას, ამ მხრივ ევროპულ ენებზე, თითქმის, არაფერი შექმნილა: აღვნიშნავთ მხოლოდ კიპერტის (Kiepert) „Lehrbuch der alten Georgaphie" (ბერლინი, 1878), რომელშიც კავკასია ძალიან მოკლედ განიხილება; ან კ. ნოიმანის (K. Neumann) „Die Hellenen im Scythenlande", (ბერლინი, 1855), რომელშიც კავკასიის საკითხებზე ყურადღება არ არის გამახვილებული. შეიძლებოდა რაიმე მოძიებულიყო რაინახის (Ph. Reinach) ნაშრომში (Mithridate Eupator, roi de Pont, პარიზი 1890), ავტორს კავკასიასთან დაკავშირებული წყაროები უფრო კრიტიკულად და ამომწურავად რომ განეხილა, თუმცა, ეს მისი კვლევის მიზანს არც შეადგენდა. გაცილებით მცირე, მაგრამ შინაარსობრივად უფრო მდიდარია ედ. მაიერის „Geschichte des Königreichs Pontos" (ლაიფციგი, 1879). ყველა აღნიშნული ნაშრომი მხოლოდ ირიბად თუ ეხება კავკასიის ქვეყნების თემას. სამაგიეროდ, გამოქვეყნდა და გავრცელდა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი ქართულ და ნაწილობრივ სომხურ ენებზე. ესენია: ივანე ჯავახოვის (ივანე ჯავახიშვილი) Государственный строй древней Грузии и древней Армении. СПб., 1905, აგრეთვე, Н. Я. Марр. Боги языческой Грузии по древнегрузинским

6 XI, c. II § 16; შეად. გამოხატვის ფორმის სიფრთხილე XI, c. IV § 8. Extr. u.c. V. ამაზონების შესახებ.

7 მაგ., XI c. III § 4; XI, c. III § 5; XI, c. II § 17; c. IV § 3 და § 5.

8 რაც შეეხება ცალკეულ წყაროებს, იხილე დოქტორ K. J. Neumann, Strabo's Landeskunde von Kaukasien, eine Quellenuntersuchung. ლაიპციგი 1883. განსაკუთრებით გვერდები 327-350, des Sonderabdruckes.

источникам // Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества. Т. XIV. Вып. II-III. СПб., 1902, და, უპირველეს ყოვლისა, ჯავახოვის „ქართველი ერის ისტორია“, ტიფლისი, 1908.

2. კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის საზღვრები

2.I. კოლხეთის საზღვრები

1. საზღვარზე გადაჭიმულია უზარმაზარი ქედი (მთაგრეხილები) ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, კეტავს რა ისთმოსს (Isthmos)[9] შავ და კასპიის ზღვებს შორის; მას უძველეს დროშიც იგივე სახელი ერქვა, რაც დღეს: კავკასია.[10] მთლიანი ქედის სიგრძე 1100 კილომეტრია,[11] მაშინ, როცა მისი სიგანე გაცილებით ნაკლებია: 170 კილომეტრი, ხოლო თერგის ზოგიერთ მონაკვეთზე მხოლოდ 60 კმ-იც[12] კი. ეს მაღალი, ცად აზიდული მთაგრეხილები ქმნიან მთელი ძველი საქართველოს,[13] კოლხეთის,[14] ასევე, იბერიისა[15] და ალბანეთის ჩრდილოეთ საზღვარს.

კოლხეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის უფრო დეტალური განსაზღვრისათვის იხილე მონაკვეთი სტრაბონის XI c. II §14-იდან: (...ἡ παραλία, ... τελευτᾷ πρὸς τὸν Πιτυοῦντα καὶ τὴν Διοσκουριάδα· ταῦτα γὰρ τὰ χωρία τῆς Κολχίδος συνάπτει τῇ λεχθείσῃ παραλίᾳ), საიდანაც ჩანს, რომ პიტიუნტისა და დიოსკურიის მხარეები კოლხეთს ეკუთვნო-

9 τὸν ἰσθμὸν Str. XI c. 2 § 15; § 16 τοῦ ἰσθμοῦ; § 19 τὸν λεχθέντα ἰσθμόν; XI, I § 5 ἰσθμοῦ λόγον ἔχειν; .... τὸν ἰσθμόν.

10 Str. XI c. 2 § 12 τοῦ Καυκάσου, §14 περὶ τὸν Καύκασον და სხვ. Cl. Ptolemaeus Geographia, V c. VIII, 14 καλούμενα δὲ Καυκάσια; §§17-25. ჰეროდე I, 203; Apollon. v. Rhodos, Argonaut. II, 1265-1270. Hekataeos bei Steph. Byzan. C. et Th. Müller, Fragm. Histor. Gr. I fr. 86. C. Plini Secundi Nat. Hist. VI, 10, 11: Caucasiis montibus etc.

11 Prof. Dr. W. Sievers, Asien, მე-2 გამოც. ლაიფციგი-ვენა, 1904, გვ. 163 და Gottfried Merzbacher, Aus den Hochregionen des Kaukasus, 1901, I გვ. 6: „მთაგრეხილის სიგრძეა – იმის მიუხედავად, მივიღებთ თუ არა მხედველობაში მის მიხვეულ-მოხვეულ მონაკვეთებს – 1100-1500 კმ“.

12 W. Sievers, მითითებული ნაშრომი, გვ.163 და G. Merzbacher, მითითებული ნაშრომი, გვ. 8.

13 იალბუზის სიმაღლეა 5629 მ. იხილე Sievers და Merzbacher, გვ. 574.

14 Str. XI. c. 2 § 1: ἡ Κολχὶς ὑπὸ τοῖς Καυκασίοις ὄρεσι κειμένη καὶ τοῖς Μοσχικοῖς. Ptolem Geogr. Hyph. V c. VIII, § 7, 14 c. IX § 1.

15 Str. XI. c. 2, 15: ἀφορίζει δὲ πρὸς νότον μὲν τὴν τε Ἀλβανίαν καὶ τὴν Ἰβερίαν. XI, c. 3, § 2 τῆς δὲ χώρας τὰ μὲν κύκλῳ τοῖς Καυκασίοις ὄρεσι περιέχεται. Dio Cassius, Rom. Hist. XXXII, 4 ἔνθεν μὲν ... τοῦ Καυκάσου παραταίνοντος Ptolrm. V, c. § 4 შდრ. c. VIII, 14. იხ ასევე უკიდურესად მოკლე, ნაკლებად გამოსადეგი ადგილი C. Plin, Sec., N. Hist. VI, 10 Caucasus montibus.

და. პიტიუნტის მიდამოები ჩრდილოეთის უკიდურესი საზღვარი უნდა ყოფილიყო, რადგან ზემოდასახელებულ ადგილას სრულიად გარკვევით წერია: „ἡ παραλία, ... τελευτᾷ πρὸς τὸν Πιτυοῦντα“. ამასვე მოწმობს პტოლემაიოსის ნათქვამი V c. IX[16]: Ἡ Κολχὶς περιορίζεται ἀπὸ μὲν ... ἀπὸ δὲ δύσεως τῷ ἀπὸ Κόρακος ποταμοῦ μέχρι τοῦ κατὰ Φάσιν μυχοῦ μέρει τοῦ Εὐξείνου Πόντου ...“ და ა. შ. ან, აგრეთვე, V c. VIII, 10.[17]

ადვილი მისახვედრია, რომელ მდინარეს გულისხმობდა პტოლემაიოსი, როდესაც ჩვენ მის აზიის πίναξ β΄ განვიხილავთ. იქ ჩახაზული მდინარე ჰყოფს ჰენიოხებს[18] კოლხეთის მხარეებიდან, სვანკოლხებისა[19] და ეგრისელებისგან.[20] და რადგანაც, მეორე მხრივ, სტრაბონი XI c. 2, § 1 აღნიშნავს, რომ ჰენიოხები კოლხთა ჩრდილოელი მეზობლები იყვნენ და პიტიუნტი კოლხური იყო, მაშინ ჩვენ Κόραξ ποταμός აუცილებლად პიტიუნტიდან[21] ჩრდილოეთით უნდა ვეძებოთ. ეჭვგარეშეა, რომ აქ საუბარია მდინარე ბზიფის[22] შესახებ, რომელიც თავის სათავეს კავკასიის ქედის მთავარ მთაგრეხილთან იღებს, შემდეგ თავის მიმართულებას არაერთხელ იცვლის, დასაწყისში სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ვიდრე თავისი შენაკადის (Juischara) ქვემოთ კვლავ სამხრეთისაკენ გაუხვევედეს, რათა გზა დასავლეთით გაიკვლიოს და ბოლოს შავ ზღვას შეუერთდეს. ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ, ერთი მხრივ, ბზიფის ხეობა, ხოლო, მეორე

16 Str. XI, c. II, 15, c. IV, § 1 ... τὸ μὲν βόρειον φρουρεῖται τοῖς Καυκασίοις ὄρεσι. Ptol. V c. VI შდრ. c. VIII, 7, 14.

17 სადაც Κόρακος ποταμοῦ ἐκβολαί მოსდევს τὸ ἐντεῦθεν ἐπὶ τὴν πλευρὰν τῆς Κολχίδος πέρας. Hekataeus ფრაგმ. 185 იცნობს მხოლოდ ამ სახელწოდების ხალხს: Κόραξοι, ἔθνος Κόλχων, πλησίον Κώλων. Κοραξικὸν τεῖχος καὶ Κοραξικὴ χώρα. ასევე Skylax, Asia 77 Μετὰ δὲ Ἡνιόχους Κοραξοὶ ἔθνος.

18 სრულ თანხმობაშია სტრაბონთან, XI c. 2 § 1: μετὰ δὲ τοὺς Ἡνιόχους ¨ἡ Κολχὶς ... იხ. მითითება 6, ასევე Skylax, Asia 77. მე-9 შენიშვნა.

19 W. Sievers, Asien... გვ. 190, განსაკუთრებით Merzbacher, მითითებული ნაშრომი, გვ. 176.

20 Merzbacher, მითითებული ნაშრომი, გვ. 183-184; იხ. ქართული წყაროდან – ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“, ციტირებული Merzbacher-თან, გვ. 183.

21 ის, რომ Pityus der Alten დღევანდელი პიცუნდაა (ბიჭვინთაა), ეს ადგილმდებარეობიდან და გარდა ამისა, ადგილის სახელწოდების მსგავსებიდანაც ჩანს. შეადარე Merzbacher „Aus den Hochregionen etc“ I, 261. ძველი ნამტვრევები დღესაც არსებობს.

22 ის, რომ Κόραξ ποταμός კოლხეთის მხარის საზღვარს ზუსტად ეთანხმება. ამას მისი სახელიც ადასტურებს; რადგან ჰეკატეს მიხედვით, ფრ. 185: Κόραξον, ἔθνος Κόλχων. ბზიფის შესახებ იხილე Merzbacher I, 57, 184.

მხრივ. კავკასიის ქედის მთავრეხილი კოლხეთის ჩრდილო საზღვრებს ქმნიდა.

2. აღმოსავლეთ საზღვრის დასადგენად იხილე სტრაბონი, XI, c. III, 4: „... μία μὲν διὰ Σαραπανῶν, φρουρίου Κολχικοῦ, καὶ τῶν κατ' αὐτὸ στενῶν ... ἡ μὲν οὖν ἐκ τῆς Κολχίδος εἰς τὴν Ἰβηρίαν ἐμβολὴ τοιαύτη, πέτραις καὶ ἐρύμασι καὶ ποταμοῖς χαραδρώδεσι διακεκλεισμένη". თუ მივადევნებთ თვალს ცნობას XI, c. II. 17-დან: (ὁ Φᾶσις) ἀναπλεῖται δὲ μέχρι Σαραπανῶν ... ὅθεν πεζεύουσιν ἐπὶ τὸν Κῦρον ἡμέραις τέτταρσι δι' ἀμαξιτοῦ" და თუ გავითვალისწინებთ, რომ Σαραπάνα-ს ადგილმდებარეობა ცნობილია,[23] რადგან ამ ადგილმა დღემდე შეინარჩუნა თავისი სახელი „შორაპანი", და მხედველობაში მივიღებთ, რომ მანძილი შორაპნიდან τῶν κατ' αὐτὸ στενῶν-მდე ოთხ სამგზავრო დღეს[24] შეადგენს, მაშინ უეჭველია, რომ ჩვენი გეოგრაფი აქ იმ მანძილზე ლაპარაკობს, რომელიც არსებობს დღევანდელ შორაპანსა და სურამის მთიანეთს შორის (მას მესხეთის მთიანეთსაც[25] უწოდებენ). ამგვარად, ცხადი ხდება, რომ კოლხეთის აღმოსავლეთი საზღვარი დღევანდელი სურამის მთიანეთია.[26]

3. სამხრეთის საზღვრის დადგენაში კვლავ სტრაბონი გვეხმარება – XI c. II, §18: „ἡ δ' οὖν Μοσχική . .. τριμερής ἐστι · τὸ μὲν γὰρ ἔχουσιν αὐτῆς Κόλχοι, τὸ δὲ Ἴβηρες, τὸ δὲ Αρμένιοι". ამ მონაკვეთიდან და აქ ჩამოთვლილი სამი ქვეყნის საერთო ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მტკი-

23 Merzbacher. მითითებული ნაშრომი, გვ. 67, იმ მხრივ მხოლოდ, რომ იგი „ძველ ბერძნულ (?) კოლონია შორაპანამდე (Sarapanes)" ამბობს და ეს შეცდომაა; ამის დამტკიცებას იგი ძნელად შეძლებს. Strabo XI, II, 17 ლაპარაკობს Σαραπάνα „ἐρύματος δυναμένου δέξασθαι καὶ πόλεως συνοικισμόν". ბერძნები ვერ აიშენებდნენ ისეთ დიდ ციხესიმაგრეს ქვეყნის შიგნით. Strabo-ს აღწერა შესანიშნავად ესადაგება ქართველური ტომების დასახლების სახეობებს ძველ დროში. ამასთან დაკავშირებით იხილე Xenoph. Anab, IV, VI, § 17; (ხალიბები) ᾤκουν δὲ ἐν τοίς ὀχυροῖς καὶ τὰ ἐπιτήδεια ἐν τούτοις ἀνακεκιμισμένοι ἦσαν. მშვიდობიანობის დროს ქართველური ტომები ცხოვრობდნენ გაშლილ (ვაკე) ადგილებში ღია სოფლებში: Anab, IV, c. I, §§ 7, 10. c. III, § 1, c. VI, 27 და ა.შ. (იხ. ასევე ქვემოთ). შორაპნის შესახებ იხ. Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase, Paris II, გვ. 361. შედრ. ასევე Karl Johannes Neumann, Strabons Landeskunde von Kaukasien. 1883, გვ. 340.

24 K. J. Neumann, მითითებული ნაშრომი, გვ. 341, იქვე სურამის შესახებ.

25 სურამის მთების შესახებ იხ. Merzbacher, მითითებული ნაშრომი. მესხეთის მთიანეთზე ibid I, 112; სურამის ქედის შესახებ; ibid II, 124, რომელშიც გაყვანილია სარკინიგზო გზა (სურამის გვირაბი, ibid I, 31) Σοῦρα იბერიაში, იცნობს ასევე Ptolem. V. c. X § 2, შედრ. მის πίναξ β΄. მას შეესაბამება სურამის იგივე სახელწოდების ადგილი Michailowo-სთან.

26 ამას შეესაბამება აგრეთვე სხვა. ქვემოთ განსახილველი ადგილი – Strabo XI c. III, § 2 (იბერიის შესახებ) Τῆς δὲ χώρας τὰ μὲν κύκλῳ τοῖς Καυκασίοις ὄρεσι περιέχεται და ა.შ. შეადარე იგივე ადგილი, XI c. II § 15 (ἀγκῶνες τοῦ Καυκάσον) ... τήν τε Ἰβηρίαν

ცედ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს უკანასკნელნი მესხეთის შესაბამის ნაწილებთან თანამდებარეობენ და კოლხური ნაწილი კი მესხეთის მთე-ბის[27] ჩრდილო-დასავლეთ მთის კალთებთან უნდა ვეძებოთ.

მეორე მხრივ კი, აუცილებელია სასაზღვრო ხაზის გავლება შავი ზღვის მიმართულებით, რადგან კოლხეთი ხომ მეტწილად უშუალოდ საზღვარზე[28] მდებარეობდა. სტრაბონი კოლხეთის საზღვარზე ორგან მიუთითებს, თავდაპირველად XI c. II, § 14: μετὰ δὲ τὴν Διοσκουριάδα ἡ λοιπὴ τῆς Κολχίδος ἐστὶ παραλία καὶ ἡ συνεχὴς Τραπεζοῦς, შემდეგ კი XII c. III, §17: ἐν δὲ τῇ παραλίᾳ ταύτῃ ἀπὸ Ἀμισοῦ πλέουσιν ἡ Ἡράκλειος ἄκρα πρῶτόν ἐστιν ... εἶτα κόλπος, ἐν ᾧ Κερασοῦς τε καὶ Ἑρμώνασσα, κατοικίαι μέτριαι, εἶτα τῆς Ἑρμωνάσσης πλησίον ἡ Τραπεζοῦς, εἶθ' ἡ Κόλχις.[29] აქედან სრულიად ნათლად გამომდინარეობს, რომ, ჩვენი გეოგრაფის შეხედულებით, კოლხეთის მხარე ტრაპიზონამდე აღწევდა.

აღნიშნული საზღვრის დასადგენად, ჩვენს ხელთაა მე-2 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობაც (Arrians Periplus § 8):[30] Ποταμοὺς δὲ παρημείψαμεν ἐν τῷ παράπλῳ τῷ ἀπὸ Τραπεζοῦντος τὸν τε Ὕσσον ... καὶ τὸν Ὄφιν, ὃς ἀπέχει Ὕσσου λιμένος ἐς ἐνενήκοττα σταδίους μάλιστα καὶ ὁρίζει τὴν Κόλχων χώραν ἀπὸ τῆς Θιαννικῆς. ამით საზღვარი დადგენილია: არიანის დროს მდინარე ოფისი (Ophis) კოლხეთისა და თიანიკას[31] საზღვარი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემომოყვანილ სტრაბონისეულ თვალსაზრისს დიდად არ დავაზარალებთ, თუკი ვამჯობინებთ და უპირატესობას მივანიჭებთ არიანის უფრო ზუსტ მონაცემებს კოლხეთის სამხრეთ საზღვრის დადგენის საკითხში. სტრაბონისეული საზღვარი დიდად გან-

---

περιλαμβάνουσι μέσην.

27 Καὶ τοίς Μοσχικοῖς καλομένοις (ὄρεσι) Str. XI, c. II, 15. გარდა ტექსტში მოყვანილი ადგილისა იხ. ასევე XI c. II § 1: ..... ἡ Κόλχις, ὑπὸ τοῖς Καυκασίοις ὄρεσι κειμένη καὶ τοῖς Μοσχικοῖς. შედრ. XI c. XII § 1: სომხეთის ჩრდილოელ საზღვართან. ... καὶ ὁ Καύκασος ἐγκυκλούμενος τὰ ἔθνη ταῦτα (Ἀλβανοῦς καὶ Ἴβηρες) καὶ συνάπτων ..... δὲ καὶ τοῖς Μοσχικοῖς ὄρεσι καὶ Κολχικοῖς. Ib d.: დასავლეთ საზღვრის შესახებ: καὶ ὁ Παρυάδρης καὶ ὁ Σκυδίσης, შემდეგ XI c. XII § 4, § 15; Plin. N.H. 9 (10), ბოლოს ასევე Χρηστομαθ. ἐκ τῶν Στραβόνος γεωγραφικῶν lib. XI; Str. I c. III § 21.

28 Str. XI c. II § 17.

29 ამასთან აგრეთვე lib. XII c. III, § 29; μέχρι Κολχίδος καὶ Φαρνακίας καὶ Τραπεζοῦντος: შდრ. ასევე Xenoph. Anab. IV c. VIII, § 22, V. c. II § 1 და c. III § 2. Str. XII c. III § 13.

30 K. Müller, Georg. gr. min 1. 370 sq. Den Periplus unternahm, Arrian 134 წ. ქრისტეშობის შემდეგ.

31 ადგილი და მთები, მსგავსი მაინც თუ არა, იგივე სახელობისაა დღევანდელ საქართველოში: თიანეთი, იხ. Merzbacher, მითითებული ნაშრომი, I. 54. II, 32. W. Sievers, Asien. Θιαννικα-ის ადგილმდებარეობა უცნობია. მე ვფიქრობ, იგი ოფისის

სხვავებული არ იქნება არიანისეული საზღვრისაგან, უმთავრესად ხომ ორივე ცნობა ერთმანეთს ემთხვევა; მაშასადამე, ოფისის ხეობა და მესხეთის მთები. პარიადროსის ჩრდილოეთით საზღვრები კოლხეთსა და ტრაპიზონს შორის იყო, ერთი მხრივ, კოლხეთი და სომხეთი, მეორე მხრივ,[32] აკამპსის[33] (ჭოროხი) ხეობა მხოლოდ ნაწილობრივ მდებარეობდა კოლხეთის მხარეში, სახელდობრ კი თავისი შენაკადის იმერხევის[34] დღევანდელ შესართავთან.

4. დასავლეთში კი ეს იყო შავი ზღვა, რომელიც კოლხეთის სანაპიროს[35] ღრმად შეწეულ ადგილებს გარს ევლებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ კოლხეთი ჩრდილოეთით შემოსაზღვრული იყო კავკასიონის მაღალი ქედით (მთაგრეხილებით) და ბზიფის ხეობით, ე.ი./ე.წ. Kόραξ-ხეობით, აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მესხეთის (სურამის) მთიანეთით, ხოლო სამხრეთით ოფისის ხეობით, ქმნიდა რა ერთგვარ წაკვეთილ სამკუთხედს ამ საზღვრებს შორის, რომლის დასავლეთი მხარე ზღვასთან რკალისებურად იყო შეწეული.

ზედა წელში უნდა მოიძებნოს. ყოველ შემთხვევაში, ის ერთ-ერთი ქართული ტომის ადგილსამყოფელია, რომელიც პოლიტიკურად კოლხეთისაგან გამოყოფილი იყო. მაგალითად, სვანეთი (სვანები); თვითონ ეს სახელიც მარწმუნებს ამ შეხედულების სისწორეში. იხ. აგრეთვე Ed. Meyer, Gesch. Des Königreichs Pontos, გვ. 10.

32 ეს მხარე დღესაც ერთ-ერთ ქართულ ტომს, კერძოდ კი ლაზებს ეკუთვნით; იხ. Merzbacher, I, 354; პერიადროსისა (Peraedros) და მესხეთის მთების (მთიანეთის) შესახებ. Str. XI c. II § 15; c. XII § 4; c. XIV § 1 XI c. XIV. § 5; XII c. III § 18; Μόσχοι-ის მხარე, შდრ. Kiepert, Atlas antiquus IV. Μόσχοι Κόλχων ἔθνος, Hekat. Fr. 188, აგრეთვე შენიშვნა 19 და 28.

33 ქართულად ჭოროხი (Acampsis); Arrian § 9. Merzbacher, I 167.

34 იმერხევი მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხეობა არ შეიძლებოდა სომხური ყოფილიყო, რადგან მაშინ მთელი მესხეთის მხარე სომხეთის იქნებოდა; ამის საპირისპიროდ, იხილე Str. IX, II § 18, იხ. შენიშვნა 19; შეადარე აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მოძველებულია, J. Rennel, The geographigal sysyem of Herodotus, London, S. 283 და განსაკუთრებით რუკა V. The twenty Satrapies of Darius, სადაც Moskhoi-ს ადგილი შედარებით ზუსტადაა მოცემული. ამასთან დაკავშირებით George Rawlinson, The History of Herpdotus, მცდარ ჰიპოთეზებს გვთავაზობს (ლონდონი, 1858, გვ. 651), მისი რუკა გამოუსადეგარია.

35 მაგ., Strabo. XI, c II, §§ 14, 16, 17.

2.2. იბერიის საზღვრები

1. კოლხეთიდან[36] აღმოსავლეთით – სურამის მთიანეთისგან[37] გამოყოფილი და ზღვისგან დაშორებული – მდებარეობდა იბერია, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან კავკასიის ქედი ესაზღვრებოდა.[38]

2. იბერიიდან აღმოსავლეთით მდებარეობდა ალბანეთი;[39] მაგრამ თუ სად მდებარეობდა საზღვარი ამ ორ მხარეს შორის, ძნელი გასარკვევია, რადგან სტრაბონისა და პტოლემაოსის ცნობები და მონაცემები ამ მხრივ საკმარისად არ მოგვეპოვება, რათა დაახლოებით მაინც სარწმუნო წარმოდგენა ვიქონიოთ ამ საკითხზე. მხოლოდ პლინიუსი N. H. VI, 29 გვაუწყებს: Per platiniem omnem a Cyro usque... Albanorum gens tenet, more Hiberum diskreta ab his amne Ocazane in Cyrum Caucasis montibus defliente.

ერთადერთი წყაროც არ გაგვაჩნია amnis Ocazonis შესახებ; სამაგიეროდ, მოიპოვება ცნობები Ἀλαζόνιος-ის შესახებ, რომელიც, როგორც პლინიუსი სავსებით მართებულად აღნიშნავს, კავკასიის მაღლობებიდან მოედინება, კახეთის ვაკე ადგილებს გაივლის და მტკვარს უერთდება. ამ მდინარემ დღემდე თავისი სახელი შეინარჩუნა, ქართულად მას ალაზანი[40] ჰქვია. ამგვარად, ჩვენ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, სა-

---

36 Str. XI c. III § 4; Ptolem. V. c. IX, § 4. c. X, § 1. Plutarch, Pompejus XXXIV; ...Ἴβηρες μὲν ἐπὶ τὰ Μοσχικὰ ὄρη καὶ τὸν Πόντον καθήκοντες. იბერიელების დამარცხების შემდეგ პომპეუსი გვაუწყებს εἰς τὴν Κολχικὴν ἐνέβαλε. შდრ. აგრეთვე Appian, Mithrid. 103. Dio Cassius XXXVII, 1.

37 Str. XI. III § 2. იხ. შენიშვნა 16, 17, 18, შეადარე 1, 2, ზემოთ.

38 იხ. გვ. 10, შენიშვნა 7. Str. XI c. III § 5, უეჭველს ხდის ჯვრის უღელტეხილის გამოყენებას და საერთოდ მის არსებობას სამოძრაო-სამოგზაურო მიზნებისათვის. იგი (ეს უღელტეხილი) არაგვის ხეობას თერგის ხეობასთან აკავშირებს და ამით კავშირს ამყარებს ტიფლისთან (ქართულად თბილისი), ანუ საქართველოს დედაქალაქთან, იხილე ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (გამოცემული ჯავახიშვილის მიერ, ტიფლისი, 1904) და ვლადიკავკაზს შორის (ქართულად კავკაევი). გზა უკვე უღელტეხილთანვე იყო დაცული τεῖχος δύσμαχον; შეადარე Plin. N. H. VI. 11-ის, რომ უღელტეხილი იბერების მფლობელობაში იყო, ხოლო Pylae Albaniae ალბანელებისა, გამომდინ. Flavius Josephus Ἰουδαϊκὴ ἀρχαιολογία XVIII, 97. გზის შესახებ თბილისიდან ჯვრის უღელტეხილის გავლით — ძველი ქართული სამხედრო გზა — იხ. Merzbacher 1, 74.

39 Str. XI c. III § 5, 2 c. IV, 1. 5; Ptolem. V, c. X, § 1, c. XI § 1. Dio Cassius XXXVII § 2, Str. XI c. IV § 1.

40 იხ. Merzbacher , II, 116, I, 69 Ἀλαζόνυος — ალაზანი, მტკვარი, კურა — Cyros. Merzbacher, I, 67, ქართულად მტკვარი. იხ. ვახუშტის — გეოგრაფია, გვ. 205 ff. Eliseé Reclus, Nouvelle géographie universelle. T. VI. L'Asie russe, Paris 1881, S. 192.

ეჭვოდ ვთვლით „ოკაცანეს“ (Ocazane) და მას ვცვლით „ალაზნით“.[41] თუ მივიჩნევთ დღევანდელ ალაზანს იბერიისა და ალბანეთის საზღვრად, მაშინ იბადება კითხვა, როგორ დამოკიდებულებაშია ჩვენი ძირითადი წყარო – სტრაბონი – ამგვარ თვალსაზრისთან. სტრაბონი წერს – XI c. III § 5: ἀπὸ δὲ τῆς Ἀλβανίας διὰ πέτρας πρῶτον λατομητὴ εἴσοδος, εἶτα διὰ τέλματος ὃ ποιεῖ ὁ ποταμὸς [Ἀλιζόνιος] ἐκ τοῦ Καυκάσου καταπίπτων. შემდეგ XI c. IV § Extr.: ἡ δ' ἐκ τῆς Ἰβηρίας εἰς τὴν Ἀλβανίαν εἰσβολὴ διὰ τῆς Καμβυσηνῆς ἀνύδρου τε καὶ τραχείας ἐπὶ τὸν Ἀλαζόνιον ποταμόν. თუ შევადარებთ ორივე უკანასკნელ ადგილს ერთმანეთს და ზუსტად შევამოწმებთ, განსაკუთრებით კი ბოლოს – კამბეჩოვანს (კამბისენეს შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), ცხადი გახდება, რომ მდინარე უფრო ორი ქვეყნის შუაში მიედინებოდა, ვიდრე რომელიმე მათგანის ფარგლებში. იბერიიდან ალბანეთში წასასვლელად საჭირო იყო იმ გზის გავლა, მდინარე ალაზანისკენ რომ მიიმართებოდა. ამასვე მოწმობს პირველი ადგილი: გზა ალბანეთიდან იბერიაში გადიოდა ჭაობზე, რომელსაც ალაზონიოსი ქმნიდა. ეს საკმარისია იმის დასადასტურებლად, რაზედაც მთავარი წყაროც მეტყველებს: ეს მდინარე ზემოდასახელებული ორი ქვეყანის საზღვრად უნდა იქნას მიჩნეული.

3. უფრო ძნელია სამხრეთის საზღვრის დადგენა; მაგრამ სტრაბონის მიერ სხვადასხვა ადგილზე მოცემული ცნობების მეშვეობით, ვფიქრობთ, მიახლოებით სწორი საზღვრის პოვნა მაინც შეგვიძლია. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ადგილები (XI c. III § 2): (Τῆς δὲ χώρας τῆς Ἰβηρίας) ἐν μέσᾳ δ' ἐστὶ πεδίον ποταμοῖς διάρρυτον, μεγίστᾳ δὲ τᾷ Κύρῳ, ὃς τὴν ἀρχὴν ἔχων ἀπὸ τῆς Ἀρμενίας, εἰσβαλὼν εὐθὺς εἰς πεδίον τὸ λεχθέν ... აქედან ცხადი ხდება, რომ კიროსი იბერიის შუა ნაწილის ვაკე ადგილებში მდებარეობდა; εὐθὺς მოედინებოდა სომხეთის წყაროების მიდამოებიდან და იბერიაში შემოედინებოდა, ანუ კიროსის დაბლობი იბერიული იყო, საზღვარი კი, რომელსაც ვეძებთ, კიროსიდან სამხრეთით იყო (შეადარე, სტრაბონი, XI c. I § 5). სტრაბონი (§ 5) მოგვითხრობს მიმართულებაზე სომხეთიდან იბერიისკენ: ἀπὸ δὲ τῆς Ἀρμενίας τὰ ἐπὶ τῷ Κύρῳ στενὰ καὶ τὰ ἐπὶ τῷ Ἀράγῳ ... ვიწრო ხეობა Ἀράγος-ისა[42] კიროსიდან ჩრდილოეთით შეიძლებოდა ყოფილიყო, στενά კი, როგორც § 2-მა ცხადყო, კი-

41 იგივე თვალსაზრისი გამოხატა აგრეთვე ქართველმა ისტორიკოსმა პროფ. ჯავახიშვილმა თავის ქართულად გამოცემულ „ქართველი ხალხის ისტორიაში“, თბილისი, 1908, გვ. 48.

42 ქართულად არაგვი, რუსულად Арагва, იხილე Merzbacher I, 69 და სხვა.

როსის სამხრეთითაა საძებნი. უფრო ქვემოთ, კერძოდ კი c. IV § 1-ში სტრაბონი მოგვითხრობს იმ ადგილების შესახებ, სადაც სამ მეზობელ ხალხს - იბერებს, ალბანელებსა და სომხებს ურთიერთშეხება ჰქონდა: ... ἡ Καμβυσηνή, καθ' ἣν ἅμα καὶ τοῖς Ἰβηρσι καὶ τοῖς Ἀρμένοι οἱ Ἀρμένιοι συνάπτουσιν.

თუ შევძლებთ კამბისენეს ვაკე ადგილების მიახლოებით მაინც სწორად დადგენას, მაშინ ჩვენს მიერ დასახული ამოცანა მნიშვნელოვნად გაადვილდება. ზემომოხსენიებული ადგილი (XI c. IV Extra)[43] ადასტურებს, რომ კამბისენე უმეტესწილად მდინარე ალაზნის დასავლეთით უნდა მდებარეობდეს. კამბისენეს ვაკე ადგილებში ორ მეზობელ ქვეყანას – იბერიას და ალბანეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდათ შეხების წერტილები, თუ ეს ვაკე მდინარე ალაზნიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მიედინებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მდინარე ალბანეთიდან გამოჰყოფდა; მეორე მხრივ, ვაკის ეს სახელი მოწმობს, რომ ის მდინარის იმავე სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. ცნობილია, რომ კურას ერთ-ერთი შენაკადი მტკვარი ძველ დროში იწოდებოდა კამბისედ," რომელსაც ახლა იორა ჰქვია. ბოლოს, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, გამოვიყენოთ ადგილობრივი ქართული წყარო, რომელიც, მართალია, მე-18 საუკუნის პირველი ათწლეულიდან მომდინარეობს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ვაკის აღწერა ზუსტი და ფასეულია (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. გვ. 155 და შემდეგი). უფლისწული იცნობს სახელ „კამბისენეს" ქართული ფორმით „კამბეჩოვანი", აღნიშნავს, რომ ამ ვაკეს სახელი კამეჩების დიდი რაოდენობის გამო ეწოდა." მისი შეხედულებით, მდინარე ალაზანი ქმნიდა კიდეც საზღვარს[45] თავის დროზე. მაგრამ იბერიის სამხრეთ საზღვრის დასადგენად, გარდა ზემოთქმულისა, საჭირო იქნება იმის გარკვევა, სანამდე აღწევდა ეს ვაკე ადგილები სამხრეთის მიმართულებით. სომხეთის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი საკასენეს, გოგარენესა[46] და ჩორსენეს

43 იხ. § 2, გვ. 10 εἰσβολὴ διὰ τῆς Καμβυσηνῆς ἀνύδρου τε καὶ τραχείας ἐπὶ τὸν Ἀλαζόνιον ποταμόν.

44 Mela III, 5. Dio Cassius XXXVII, 13, Plin. N H VI, 15 შდრ. Merzbacher I, 69.

45 ამ მხარეს კიდევ სხვა სახელიც აქვს: ჭიზიყი; ეს სახელი კი ჰქვია ამ მხარეს იმავე საზღვრებში, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს და რომელიც ახლა სიღნაღის მაზრაა. შდრ., Merzbacher, I, 174, Anm. 1.

46 Str. XI. c. XIV § 4.

გვერდით იბერებს სომხებმა წაართვეს;[47] ასევე, კამბისენე,[48] სადაც უხვი თოვლი მოდიოდა; ამგვარად, სავარაუდოდ იგი სამხრეთით კიროსის გალმაც გრძელდებოდა. უფრო სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ უკიდურესად ვიწრო ვაკე ადგილი კიროსიდან სამხრეთით, ალაზნის შესართავთან, თავისი უმნიშვნელო სიგანის გამო კამბისენედ ჩაითვალა. ამდენად, სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი დღევანდელი სომხეთის ზეგანის ჩრდილო კალთებამდე და იმ მთაგრეხილებამდე აღწევდა, კიროსსა და გოგჩის ტბას შორის რომ არის გადაჭიმული.[49] მხოლოდ ეს აზრი შეესატყვისება და აკმაყოფილებს ჩვენს წყაროებს. კიროსი შუაგულ იბერიაში მიედინება, ხოლო ჩრდილო და სამხრეთი მეზობლები თავიანთი შეხების წერტილებს ერთ დონეზე პოულობენ. ზემოთქმულის მიხედვით დგინდება, რომ იბერიის სამხრეთი საზღვარი ვიწრო, ბორცვიან ადგილზე, კიროსის სამხრეთით, მტკვართან ალაზნის შეერთების კამბისენედ[50] წოდებულ დაბლობზე (კიროსის მარცხენა მხარეს) გადიოდა. მაშასადამე, იბერია მდებარეობდა კავკასიის მთებს შორის, ფლობდა რა Pylae Caucasiae[51] ჩრდილოეთით; დასავლეთით აღწევდა სურამის (ანუ მესხეთის) მთების აღმოსავლეთ კალთებს, სამხრეთის[52] საზღვარი კიროსი მარცხენა სანაპიროზე მდებარე დაბლობში გადიოდა, ხოლო აღმოსავლეთისა – ალაზნის ხეობაში.

2.3. ალბანეთის საზღვრები

1. წინა მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ ალბანეთისთვისაც ჩრდილოეთ საზღვარს კავკასიის ქედი[53] ქმნიდა და თანაც ისე, რომ მისი გარკვეული მონაკვეთები, უნაგირა და სხვა, რომლებიც უღელტეხილის როლსაც ასრულებდნენ, მათ შორის აგრეთვე Pylae Albaniae ალ-

47 Str. XI. c. XIV § 4.

48 იქვე § 5.

49 ამის ნათელსაყოფად გვსურს დავიმოწმოთ Karassachkal: მთაგრეხილები (ქედი), რომლითაც უახლოეს მანძილზე კიროსიდან ზემოაღნიშნული ვაკე სამხრეთით იქნებოდა გამოყოფილი.

50 ამჟამად ძველი კამბისენეს სამხრეთ ნაწილს ქართულად ასე ჰქვია – შირაქის მინდორი (ველი); რუსულად – შირაკსკოე სტეპი.

51 იხ. შენიშვნა 3, გვ. 17.

52 იხ შენიშვნა I, გვ. 14.

53 შდრ. გვ. 11. შენიშვნა 1, და აგრეთვე: სტრ., X c. I, § 5, c. II, § 19. c.V, §§ 1, 6; c. XIV, § 1. პლინ. N H VI, § 13 (15); სტრ. II. c.V. § 1.

ბანელების მფლობელობაში[54] იყო.

2. წინა განხილვის დროს ასევე დადგენილ იქნა დასავლეთის[55] საზღვარი: მდინარე ალაზონიოსი იბერიასა და ალბანეთს[56] შორის მიედინებოდა.

3. აღმოსავლეთით ეს ქვეყანა მჭიდროდ ეკვროდა კასპიის ზღვას.[57] კასპიების მხარის ჩათვლით, როგორც ამას სტრაბონი გვაცნობებს.[58]

4. სამხრეთის საზღვრის დასადგენად, ნებას ვიტოვებთ, კვლავ ციტირება მოვახდინოთ. ჯერ სტრაბონს (XI c. III, § 2)[59] მივმართოთ: Κύρᾳ· ὃς τὴν ἀρχὴν ἔχων ἀπὸ τῆς Ἀρμενίας, εἰσβαλὼν εὐθὺς εἰς τὸ πεδίον τὸ λεχθέν ... διὰ στενῆς ποταμίας εἰς τὴν Ἀλβανίαν ἐκπίπτει. μεταξὺ δὲ ταύτης τε καὶ τῆς Ἀρμενίας ἐνεχθεὶς ... εἰς τὴν Κασπίαν ἐμβάλλει θάλλαταν, შემდეგ კი – დიო კასიუსი (XXX, 54): Ὀροίσης γὰρ Ἀλβανῶν τῶν ὑπὲρ τοῦ Κύρνου οἰκούντων βασιλεύς. ორივე ამ ციტატიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ ალბანეთი კიროსიდან ჩრდილოეთით მდებარეობდა და ეს უკანასკნელი ალბანეთსა და სომხეთს შორის საზღვარი იქნებოდა, ხოლო შესართავის მოზრდილი ტერიტორია[60] კი ალბანეთის კუთვნილებას შეადგენდა. ამგვარად, ალბანელთა ქვეყანა Pylae Albaniae-დან[61] ჩრდილოეთში კიროსამდე უწევდა.

---

54 იხ. გვ. 17, შენიშვნა 1; ასევე Str. XI, c. II § 15: πρὸς ἄρκτον δὲ τὰ τῶν Σαρματῶν πεδία. Ptol. V.

55 ალბანეთი იბერიის აღმოსავლეთით: Str. XI, c. III § 2,5; c. IV, § 1; Χρηστομ. ἐκ τῶν Στρ. γεωγραφικῶν XI. Dionysios Οἰκουμένης περιήγησις Vv. 718-732. Eustathios Παρεκβολαί და ა.შ. § 730. Steph Byz. Ἀλβανία χώρα πρὸς τοῖς ἀνατολικοῖς Ἴβηρσιν; Plutarch Pomp. XXXIV. Dio Cassius, XXXVII 1.

56 იხ. II, 2, § 9.

57 Str. XI, c III, § 2, c. IV, § 1, 2, 3 Χρηστομ. ἐκ τῶν Στρ. γεωγραφικῶν. XI; Dionysios Οἰκουμ. Περιήγησις Vv. 718-732; Eustathios Παρεκβολαί ... etc. § 730; Plutarch, Pomp. XXXIV.

58 Str. XI, c. IV, § 5; იგი გვაცნობებს XI, c. VII, § 1 კიდეც, რომ ალბანელი ხალხის ერთი ნაწილი სომხების დაქვემდებარებაში იყო. სამხრეთის მიმართულებით.

59 შდრ. ავრეთვე Str. XI, c. I, § 5 ... ὁ Κῦρος καὶ ὁ Ἀράξης ... ῥεόντες ὁ μὲν διὰ τῆς Ἀρμενίας, Κῦρος δὲ διὰ τῆς Ἰβηρίας καὶ τῆς Ἀλβανίας.

60 Str. XI, c. IV, § 2. ხოლო შემდეგ § 3: Τάχα μὲν οὖν τᾷ τοιούτῳ γένει τῶν ἀωθρώπων οὐδὲν δεῖ θαλάττης· ამბობს იგი ალბანელებზე. კიროსის შესართავი ადგილის შესახებ იხ. და შდრ. v. Bär, Der alte Lauf des armenischen Araxes. საიმპერატორო ისტორიულ-ფილოსოფიური და პოლიტიკური აკადემიის ბიულეტენი. სანკტ-პეტერბურგი, XIV, გვ. 313-დან, 1857. ალბანეთის სამხრეთ საზღვარის შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემები იხ. Strabo XI c. III, § 2, Dio. XXXVI, 59.

61 ახლანდელი დერბენტი, იხილე Merzbacher, I, გვ. 81; მისი ვარაუდი, ყოფილი ციხესიმაგრის ნანგრევები სპარსული დროიდანაა შემორჩენილიო, მან ვერ დაასაბუთა. შემდეგ K.v. Bär, მითითებული ნაშრომი. გვ. 346.

მაშასადამე, მთელი ეს მხარე მდებარეობდა კავკასიის ქედის (ჩრდილოეთით), სომხეთის ზეგანისა და კიროსის ხეობის შუაში (სამხრეთით), ხოლო დასავლეთითა და აღმოსავლეთით მას გარს ერტყა ორივე ზღვა (შავი და კასპიის), კოლხების მფლობელობაში რომ იყო, ერთი მხრივ, ხოლო იბერებისა და ალბანელების მფლობელობაში, მეორე მხრივ. სამივე ეს ქვეყანა[62] გეოგრაფიულად მჭიდროდ ეკვროდა ერთმანეთს და ამ კავშირს მხოლოდ ნაწილობრივ არღვევდა შედარებით მცირე მთაგრეხილები, რომელთაც სტრაბონი ἀγκῶνες-ს[63] უწოდებდა, და რომლებიც კავკასიის მთებიდან სამხრეთით სომხეთის ზეგნამდე იყო გადაჭიმული, როგორც მაგალითად, მესხეთის მთები კოლხეთს იბერიისგან ჰყოფდა. ამ ქვეყნების საზღვრების დადგენის შემდეგ, გადავიდეთ მათი ბუნების თავისებურებათა აღწერაზე.

3. ბუნების თავისებურებანი

3.I. კოლხეთი

მთელ კოლხეთში მიედინება მდინარეები, ნაწილი მოზრდილი ნაკდულების, ნაწილი კი – ბობოქარი მდინარეების სახით, რომლებიც მას რწყავენ და ქმნიან რა მთიან და უხვზეგანიან ლანდშაფტში ხეობებსა და ხევებს, დიდად უწყობენ ხელს ისედაც ლამაზი მხარის კიდევ უფრო გამშვენიერებას. კოლხეთის უკიდურეს ჩრდილოეთში მიედინებოდა მდინარე კორაქსი, ამჟამინდელი ბზიფი, მისგან სამხრეთით კი უფრო მოზრდილი მდინარეები – კოდორი და ენგური[64] – ძველების ზინგამესი[65] (Singames); ამ ორს შუა რიგი პატარა მთის მდინარეებისა, შემდეგ კვლავ შედარებით მოზრდილი მდინარე ხობი[66] და ბოლოს, კოლხეთის ცნობილი უდიდესი მდინარე ფაზისი,[67] რომელიც, ამასთანავე, სანაოსნო ფუნ-

62 იხ. ქვემოთ.

63 მაგ. XI, c. II, § 15. c. III, § 15. c. III. § 2 და ა. შ.

64 იხ. Merzbacher 1, 67.

65 Arrian 16. Plin. H. N. VI, § IV E.

66 Plin. H.N.VI, IV, ქართულად ხობი (hopi); იხ. Arrian 13.

67 Str. XI, c. II, § 16; μέγας ποταμὸς § 17; c. III, § 4. Ptolem. V c. IX, § 2, Plutarch Pomp. XXXIV; Arrian 10; Apoll. Rhod. Argon. II, V. 1260; Str. 1, c. III, § 7; XII, c. III, § 17. Dionys. Perieg., Οἰκουμένης περιήγησις V. 690; Hesiod., Theogon. V. 340; Φᾶσιν სქოლიო 338, Φᾶσις Κόλχων. Pindar, Isthm. II, Vv. 41-42, შდრ. ასევე Euripid. Androm. 650; Aristot. Meteorologika I, c. 13, § 17; Ἐκ δὲ τοῦ Καυκάσου ἄλλοι τε ῥέουσι πολλοὶ καὶ κατὰ πλῆθος καὶ κατὰ μέγεθος ὑπερβάλλοντες, καὶ ὁ Φᾶσις; Aristot. περὶ θαυμασίων ἀκουσμάτων, § 158. Plutarch Libellus de fluviis, ed. Hercher, 1851; lib. V, III Iulii Pollucis Onomastikon lib. V, § 26, შდრ.

ქციასაც ასრულებდა და, სახელდობრ, შორაპანამდე (Sarapanes)[68] აღწევდა. მისი დინება იწყება კავკასიის ქედის მაღალ მყინვარებში მდებარე მდინარეთა სათავეებთან, ედენას და ლაპურას, ან ფაზისის მთა[69] რომ ეწოდებათ. იგი ხშირად იცვლის თავის მიმართულებას: ჯერ სამხრეთით მიედინება, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომლის დროსაც მას თავისი შენაკადი ჩანჩქერი[70] უერთდება, რომელიც მამისონის უღელტეხილიდან ჩამოედინება და ზედა რაჭას გაივლის; ამის შემდეგ მდინარე მძლავრ და მასიურ ხალასა-სიკარას მთებს გაივლის და აღმოსავლეთის მიმართულებით მიედინება; მიმართულებას მალევე იცვლის, კვლავ სამხრეთისკენ მიემართება, გაივლის ქალაქ ქუთაისს,[71] შემდეგ დაბლობ ადგილებს და, გაუხვევს რა დასავლეთისაკენ, შავ ზღვაში ჩაედინება.

დაკლაკნილი, მიხვეულ-მოხვეული დინების დროს ფაზისი მრავალ შენაკადს იერთებს, რომელთაც მეტწილად პატარა მთის მდინარეების ან ნაკადულების სახელწოდება უფრო შეეფერებათ. მათ შორის არის, აგრეთვე, უფრო დიდებიც, მაგალითად, ჰიპოსი და გლაუკოსი.[72] მრავალ პატარა მდინარეს შორის ფაზისის სამხრეთით რომ მიედინებიან, დავა-

---

Xenoph. Kynegetikos II, 4; Aeschyl. Niobe 155 (Choerob. Exeg. In Hephaest. Enchir, გვ. 41, 10): Ἴστρος τοιαύτας παρθένους ἐξεύχεται / τρέφνιν ὁ θ' ἁγνὸς Φᾶσις Aischylos ფაზისს განიხილავს როგორც საზღვარს აზიასა და ევროპას შორის. შდრ. Procop. Hist. Goth. 4, 6, vol. 2, გვ. 484, 16 .... Αἴσχυλος ἐν Προμεθεῖ τῷ λυομένῳ εὐθὺς ἀρχόμενος τῆς τραγῳδίας τὸν ποταμὸν Φᾶσιν τέρμονα καλεῖ τῆς τε Ἀσίας καὶ τῆς Εὐρώπης.; შრდ. Aischylos bei Arrian §29:
τῇ μὲν δίδυμον χθονὸς Εὐρώπης
μέγαν ἠδ' Ἀσίας τέρμονα Φᾶσιν
Flavii Philostrati Τὰ ἐς τὸν τυανέα Ἀπολλώνιον VIII, c. 7, გვ. 156; Skylax 81.

68 Str. XI, c. II, § 17.

69 ამ სახელიდან (სახელწოდებიდან მაღალი რეგიონებისა) Merzbacher -მა დაასკვნა, რომ ძველმა გეოგრაფებმა უკვე იცოდნენ რიონის ანუ ფაზისის წარმოშობის შესახებ. მაგრამ ეს პირდაპირ წინააღმდეგობაშია ჩვენს წყაროებთან. Str. XI. c. II, § 17. ἐξ Ἀρμενίας τὰς ἀρχὰς ἔχων შდრ. K.J. Neumann, Strabo's Landeskunde etc. გვ. 340; ამასთან Plin. N. H. VI,4: oritur in Moschis. გარდა ამისა, არსებობს მდინარე სახელად ფაზისი ანდა ფაზისის წყალი ქუთაისსა და აჯამეთის შორის, რომელიც, ცხადია, ფაზისის მთაზე არ იღებს სათავეს, რადგან ის მხოლოდ პატარა ნაკადულია.

70 Merzbacher, I, 65.

71 რუსულად ქუთაისი. იმავე სახელწოდების ქალაქი ასევე Apoll. v. Rhod., Argon. Vv. 325-405; Lycophron Alexandra Vv. 1309-1321; Euphorion Chalkid. Dionys. Fragm. X (Schol. Ho. Od. IV, 228): .... Πολυδάμνα τε Κυταΐς და ა.შ.; Apoll Rhod., Argon. II, V. 1265-1270; Ptolem. Αἶα πόλις V, IX, § 2 ასევე Steph. Byzant., Ethnicorum quae supersunt: Αἶα πόλις Κόλχων, მაგრამ ასევე Κύτα, πόλις Κολχική. Plin., N. H. VI, 4. Aea.

72 Str. XI, c. II, § 17; Ἵππος იხსენიებს ასევე Arrian § 13; Plin. N. H. VI, 4: Hippos... Glaucum. Ptolem. V. IX, § 2 Ἵππου ποταμοῦ ἐκβολαί; ამ უკანასკნელს ქართულად ცხენისწყალი ჰქვია, ხოლო მეორეს ყვირილა, იხილე Merzbacher, 1, 65, 66.

სახელებთ: მოგრუსს,[73] აფსარუსს, ასყურუსს[74] და სასაზღვრო მდინარე ოფიუსს; მათგან ყველაზე დიდი და წყალუხვია აკამფსისი,[75] რომელიც ჯერ ჰისპირატის მიწებს – სასპირების,[76] კლარჯების, ტაოს,[77] კოლას[78] და მოშეს მიდამოებს – რწყავდა და მხოლოდ თავის ქვედა წელით კოლხეთის დაბლობის გავლით მიედინებოდა. ცხადია, ეს მდინარეები წყლის ნაკლებობას არ განიცდიდნენ, რაც განსაკუთრებით ზღვის სიახლოვეს ძალიან დიდ ნესტიანობას იწვევდა.

დაბლობში მდებარეობდა ტბები და ჭაობები[79] (ზღვის ნაპირებზე), რომლებიც ჰაერს წამლავდნენ. ჰატარა მთები და გორაკები სერავდნენ მხარეს და მოსახლეობას სუფთა ჰაერს აწვდიდნენ. ეს სინოტივე განსაკუთრებით საგრძნობი იყო, როცა ქარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. ზღვიდან ქროდა, ხოლო ქარი აღმოსავლეთიდან სამხრეთისკენ უფრო მშრალი უნდა ყოფილიყო.[80]

ჩვენი წყაროები გვამცნობენ და დღევანდელი გარემოებანიც ცხად-

---

73 ჩამონათვალი უმჯობესია იხილო Arrian § § 8 - 11.

74 აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელწოდება დღემდეა შემორჩენილი და სახელდობრ კი როგორც ქართული ქალაქის აწყურის სახელი მესხეთის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთ მაღლობზე ახალქალაქსა და ბაკურიანს შორის.

75 ქართულად: ჭოროხი.

76 სასპირების შესახებ: G. Rawlinson, M.A. History of Herod. V. I. Essay XI, გვ. 651, შემდეგ I. Rennel, The geographical system of Herod #5. The Twenty Satrapies etc, გვ. 277-დან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილი (საქართველოს გეოგრაფია, გვ. 231) „ისპირის მდინარეს" გვ. 238 და „ჰატარა ქალაქ ისპირს" იცნობს. იქვე ისპირის ხეობის შესახებ. ქართველი ფილოლოგები ამტკიცებენ, რომ სასპირე (Saspires) = ჰისპირატის (Hispiratis) etc. ჰიბერიდან (Hiber) წარმოიქმნაო. ჰიბერი = ჰჳერ (Hper) = სპერ, ე. ი. ჰ გადადის ს-ში და ბ გადადის პ-ში. იხილე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 23 შეადარე Kiepert Lehrbuch d. Geographie d. Alten Welt, გვ. 82-83, § 84.

77 Taochi u. Calarzene, ქართულად შეჯამებული – ტაო-კლარჯეთი ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხანაში ქმნის მნიშვნელოვან ქართულ პროვინციას. იხილე ტაოს შესახებ: ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 234-236; კლარჯეთის შესახებ – გვ. 202 და 224. ტაო (Taochi) – აგრეთვე Xenoph. Anab. IV, c. VII. § 1 -დან. Kiepert აღნიშნულ ადგილას.

78 ვახუშტი, § 202 და განსაკუთრებით § 223.

79 Hippokrat. 22 ძალიან კარგ ცნობებს და მონაცემებს გვაწვდის კოლხეთის ჰავის შესახებ, მაგრამ ზოგჯერ აშკარა გადაჭარბებებითაც; ასე მაგალითად, ὀλίγῃ τε χρέονται τῇ βαδίσι κατὰ τὴν πόλιν καὶ τὸ ἐμπόριον, ἀλλὰ μονοξύλοισι διαπλέουσι ἄνω καὶ κάτω და სხვა ამგვარები. Strabo იხსენიებს ჰალიასტომის ტბას, XI, II, § 17.

80 Hippokr. აღნიშნულ ადგილას.; უფრო ზუსტად Arrian §§ 5, 6, 7, 9. ეს ავტორები აღნიშნავენ აგრეთვე ქარს ჩრდილოეთის მხრიდან; მაგრამ ის (ქარი) ამ ქვეყანაში არც კი შეინიშნება. ქარის მთავარი მიმართულებებია საერთოდ დასავლეთ-აღმოსავლეთი (W – O), ქართულად ქვენა ქარი და (O-W) ქართულად ზენა ქარი.

ყოფენ, რომ კოლხეთი ნიადაგის ნაყოფიერებითა და ადგილობრივი პროდუქციის წარმოებით დიდად არ ჩამორჩებოდა თავის აღმოსავლელ მეზობლებს; უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს კავკასიის მთიანეთის[81] სიუხვე და სარგებლიანობა გემთსაშენი ხის მასალის წარმოებასთან დაკავშირებით. გადმოცემის თანახმად, მითრიდატე ევპატორი თავისი საზღვაო ძალაუფლებისათვის საჭირო მატერიალურ საშუალებებს კოლხეთში მოიპოვებდა.[82] მთის ტყეებიდან მდინარეებზე ტივების დაცურებით ეზიდებოდნენ მოჭრილ ხეებს და დაბლობში ჩამოჰქონდათ. სხვა მასალებიდან აღსანიშნავია: ფისი, ცვილი, კანაფის და განსაკუთრებით კი თავისი სინატიფით ცნობილი კოლხური სელი, რომელიც საზღვარგარეთაც იყიდებოდა, კარგადაც საღებოდა[83] და საერთოდ, ბერძნებისთვისაც ცნობილი იყო. ეს მასალები მოსახლეობას საკმარის კეთილდღეობას უქმნიდა.[84]

გარდა ამისა, აღსანიშნავია ხილის მრავალგვარი სახეობა,[85] ასევე ბროწეული და ვაზის ჯიშები. მხოლოდ თაფლი იყო უმეტესად მწარე გემოსი. სვანები მდინარეებში მოიპოვებდნენ ოქროს წნული ბადე-ზღუდარით და გრძელბეწვიანი ტყავებით.[86] ქვეყნის უკიდურეს სამხრეთსა და მის უახლოეს ფარნაკიასა და ტრაპიზონთან მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ რკინის მადანს, იქვე სახელგანთქმული ხალიბები ამუშავებდნენ ფოლადის მასალებს,[87] რკინა-კაჟეულს. მაშასადამე, კოლხებს ყველა ეს განძი ბუნებამ უბოძა და თავადაც იოლად შეეძლოთ მათი მო-

81 Herod. I, 203: ἀπ' ὕλης ἀγρίης ζώονται; Str. XI, II, § 15; εὔδενδρον δ' ἐστὶν ὕλη παντοδαπῆ τῇ τε ἄλλῃ καὶ τῇ ναυπηγησίμῳ.

82 Str. XI, c. II, § 18.

83 Str. XI, c. II, § 17; სელის შესახებ ცნობილი ადგილი Herod. II, 105, რომლის მიხედვითაც მას სელის დამუშავების სახეობით – კოლხებს და ეგვიპტელებს ერთნაირი რომ ჰქონდათ – ალბათ, იმის თქმა სურს, რომ ესენი მონათესავე ხალხები იყვნენ; შემდეგ λίνον δὲ τὸ μὲν Κολχικὸν ὑπὸ Ἑλλήνων Σαρδωνικὸν κέκληται, რაც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ კოლხური სელი მხოლოდ სარდეს (Sardes) – შემდეგ გასაღდა. სელის სინატიფის შესახებ იხილე ქსენოფ (Xenoph). τὰς ἄρκυς Φασιανοῦ ἢ Καρχηδονίου λεπτοῦ λίνου [χρὴ εἶναι καὶ τὰ ἐνόδια καὶ τὰ δίκτυα; შდრ. Julii Polucis Onomastikon lib. V, § 26; Schol. Pind-ის ეპინიკიები (Epinikien) 3, 376; Kallimachus – ფრაგმენტები, 265.

84 იხ. Dr. Ludwig Preller, Über die Bedeutung des Schwarzen Meeres für Handel und Verkher der alten Welt. Dorpant 1842, გვ. 25.

85 Str. XI, c. II, § 17; ἀγαθὴ δ' ἐστὶν ἡ Χώρα καὶ καρποῖς πλὴν τοῦ μέλιτος etc. შეადარე Xenoph. Anab. IV, §§ 20,21.

86 Str. XII, c. III § 19. ოქროს შესახებ. იხ. Str. XI, c. II, § 19, Appian, Mithr. 103.

87 Theophrast Περὶ λίθων c. VIII, § 58 ... κιννάβαρι ... αὐτοφυὲς μὲν τὸ ... ἐν Κόλχοις

პოვება. როგორც ცნობები ნათელყოფენ, მინერალებიდან კოლხეთში გვხვდებოდა ბუნებრივი κιννάβαρι, ე. ი. სინგურის საღებავები.[88] პონტოს ზღვასა[89] და მრავალ მდინარეში სხვადასხვა სახეობის თევზი ბინადრობდა – ადგილობრივი სელი ხომ საუკეთესო იყო სხვადასხვა თევზსაჭერი ბადეების დასამზადებლად. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, საწყენია, რომ, ამ მხრივ, წყაროებმა იმედი გაგვიცრუა: ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, რას თესავდნენ და რას იმკიდნენ. სარწმუნოა, რომ კოლხეთიდან ცერეალიების ექსპორტი არ ხდებოდა. არც ერთი წყარო ამას არ ადასტურებს. მაგრამ ის, რომ არსებობდა მიწის დამუშავების მაღალი კულტურა, დასტურდება ნიადაგის ნაყოფიერებით და მოსავლიანობით, რის შესახებაც ჩვენს ხელთ არსებული ცნობები გვაუწყებენ. მესაქონლეობაზეც ნაკლებად გვაქვს ცნობები, მხოლოდ არისტოტელე[90] გვამცნობს, რომ ფაზისში, ე. ი. კოლხეთში, გვხვდება ძროხები, რომლებიც, მართალია, პატარა ტანისანი არიან, მაგრამ ბევრ რძეს იძლევიანო.

სხვათა შორის, დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ სხვა შინაური ცხოველები (ძაღლი, ხარი, ცხენი და სხვ.), რომლებიც გავრცელებული იყო მეზობელ სამხრეთ ქვეყნებში, კოლხეთშიც ბევრი იყო.[91] დაბოლოს, უგემრიელესად ითვლებოდა კოლხური შინაური ფრინველები, რომლებითაც, როგორც ჩანს, ბერძენი და რომაელი გურმანები კოლხეთიდან მარაგდებობდნენ.[92] შინაური ფრინველებიდან ყველაზე ცნობილი იყო ხოხობი.[93] ეს გარემოებანი ცხადყოფენ, რომ ნადირობაც, საზრდოს მოპოვების სხვა სახეობების პარალელურად, კოლხეთში ფა-

88 პირველი ღირებული თევზჭერა Pharnakia-თან, Str. VII c. 6, § 2. XII, c. III, § 19; Polyb. IV, c. 38, § 4, Aristot. Περὶ τὰ ζῷα ἱστορίαι lib. VIII, c. 13. Aelian, Περὶ ζώων IX. 59 Extr. თუ რა დიდი ექსპორტი იყო პონტოს ზღვის თევზებისა რომში უკვე კატონის დროს, ადასტურებს Athenaeus Deipnosophist. VI, c. 109 და მდინარეები დღემდე არაჩვეულებრივად მდიდარია თევზებით; საჭერი ბადეების შესახებ, Xenoph. Kyneget. II, 4; Julii Pollucis Onomastikon, lib. V, § 26; თევზების შესახებ მდინარეებში: ვახუშტი აღნიშნულ ადგილას, იხ. გვ. 35, 40, განსაკუთრებით – 258 სახეობათა ჩამოთვლა.

89 ადგილი Polyb.-თან IV, 38, 4 (ქვეყნები პონტოს ზღვაზე) σίτῳ δ' ἀμείβονται, ποτὲ μὲν εὐκαίρως διδόντες ποτὲ δὲ λαμβάνοντες, ცალსახად არ შეეხება კოლხეთს. არც ღვინის ექსპორტი ხდებოდა, როგორც Polyb. გვამცნობს; შდრ. ასევე Demosthen., Πρὸς Χαρίτον § 35.

90 Περὶ τὰ ζῷα ἱστοριαί, lib. III. c. 21, 7; C. Bekker Vol. I გვ. 48, 6 etc.

91 ამგვარად ვერძის შესახებ, რომელსაც არ წირავდნენ; Str. XI, c. II § 17; ცხენები ალბანელებთან, Str. XI, c. III, § 5; Plut., Pomp. XXXV, სომხეთში, Plut. Lucul XXXI.

92 Flavius Philostrat. Tyan. Apollon. lib. VIII c. 7. გვ. 156.

93 Julius Pollux, Onomast. Lib. VII, §52; Eustathius, Dionys. Perieget. 689 οἱ Φασιανοί., ახლაც აგრეთვე იხ. Merzbacher აღნიშნულ ადგილას, I. გვ. 773.

რთოდ იყო გავრცელებული. დაბოლოს, არსებობდა აგრეთვე სამკურნალო და საღებავი მცენარეები,[94] როგორცაა, მაგალითად, ἄκορον, რომელიც კოლხეთში სპლენიონად იწოდებოდა.[95] სინამდვილეში ეს იყო გემრიელი, მადის აღმძვრელი სანელებელი. კავკასიის მკვიდრთა შესახებ, ზოგადად, ჰეროდოტე გვაცნობებს,[96] რომ ისინი ხის ფოთლებიდან თავისებურ საღებავს იღებდნენ. ასეთ ბუნებრივ პირობებში კოლხეთი მოიცავდა დაახლოებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რომ ავიღოთ, 42 395 კვ. კმ-ს, ანუ საკმარის სივრცეს იმისათვის, რომ იქ მოსახლეთა დიდი რაოდენობა დამკვიდრებულიყო.

3.2. იბერია

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დღევანდელი მესხეთის მთები, რომელთაც ასევე სურამის მთებსაც უწოდებენ, ქმნიდნენ საზღვარს კოლხეთსა და იბერიას შორის. იგი არა მარტო პოლიტიკურად იყო გამყოფი კედელი, არამედ კლიმატური თვალსაზრისითაც.[97] უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მდინარეები, რომლებიც სურამის ქედით არის გაყოფილი, საპირისპირო მიმართულებით მიედინებიან, კოლხეთში – დასავლეთისკენ, იბერიაში – უპირატესად აღმოსავლეთისკენ. იბერიის მთავარი მდინარეებია ჩვენთვის უკვე ნაცობი კიროსი და მისი ჩრდილოეთ შენაკადები – აკმბიესი და ალაზანია; ორივესგან დასავლეთით მიედინება არაგვი,[98] ქსანი და ლიახვი,[99] რომლებიც უცნობი დარჩა ძველი მკვლევარებისთვის. ისინი ამ მდინარეთა შესახებ არაფერს გვატყობინებენ. გარდა ამისა, კიროსში ჩაედინება მთის პატა-

---

94 აღსანიშნავია, რომ ყველა ლეგენდარულ პერსონაჟს, მაგალითად, მედეასა და ჰეკატეს, რომლებიც კოლხეთიდან იყვნენ, თავიანთი საუცხოო სამკურნალო საშუალებები მცენარეებიდან გამოჰყავდათ. აქ მხოლოდ შემდეგი ადგილებია მითითებული: Pind. Pyth. III. V. 220; Euphorion Chalkid. Dionys. Fragm. X (Schol. Hom. Od. IV, 228). Nikandr. Alexipharmaka Vv. 249-251; Apoll. Rhod., Argonaut. III. Vv. 843-872; Theokrit. Φαρμακεύτριαι Vv. 14-16;. Plut. de fluviis, Phasis, IV; Clemens Alexandrin. Στρώματα § 76.

95 Dioskurides, Περὶ ὕλης ἰατρικῆς 1, 2; ამასთან κολχικόν შესახებ. კვლავ სამკურნალო მცენარე, იხ. IV, 84.

96 I, 204.

97 Merzbacher, აღნიშნულ ადგილას, I, გვ. 31.

98 Str. XI,c. III, § 5; ქართულად არაგვი. იხილე ვახუშტი § 89; Merzbacher I, გვ. 68 ff.

99 ვახუშტი, გვ. 91. Xani ქართულად ქსანი, რუსულად Хан; ვახუშტი. გვ. 103, 109 ლიახვი (Liachvi). რუსულად Лиахва; შეადარე აგრეთვე Merzbacher აღნიშნულ ადგილას.Die Sandobanes, Rhoitakes und Chanes, Str. XI, c. III, § 2, ძნელად იდენტიფიცირდებიან, თუმცა სახელი – ხანეს ქართული ჟღერადობისაა: იხილე ვახუშტისთან, გვ. 267, ხანისწყალი, მაგრამ იგი უერთდება რიონს, ანუ ფაზისს.

რა მდინარეთა ერთი რიგი, უპირატესად სამხრეთის მხრიდან, რომლებსაც ძველი გეოგრაფები, ცხადია, არ იხსენიებენ და ჩვენც აქ მათზე აღარაფერს ვიტყვით. კლიმატი გაცილებით უფრო მშრალია,[100] მთელი მხარე გარშემორტყმულია მაღალი მთებითა[101] და ზღვიდან შემოსული ნესტი პირდაპირ არ ზემოქმედებს. ნიადაგი აქაც ძალიან ნოყიერი იყო: ბორცვები და გორაკები სავსე იყო სხვადასხვა სახის ნაყოფის მომცემი მცენარეებით.[102] გარდა ამისა, ეს მხარე მდიდარი იყო ნოყიერი საძოვრებით, რასაც მოსახლეობა ინტენსიურად იყენებდა. ამასთან, კარგად მორწყული დაბლობი ადგილები მცენარეთა მოსაშენებლად ხელსაყრელი იყო და სოფლის მეურნეობა მოსახლეთა მთავარი საქმიანობა წარმოადგენდა არა მხოლოდ დაბლობ, ვაკე ადგილებში,[103] არამედ, აგრეთვე, მთაგორიან ადგილებში. კავკასიის მთიანი ტყეები სანადიროდ გამოიყენებოდა, მდინარეებში კი თევზს ბლომად იჭერდნენ.[104] შეიძლება ითქვას, რომ ამ მხარეში იმავე სახეობის ცხოველები იყო მოშინაურებული, როგორიც იმ დროს მცირე აზიაში. სტარობნის დუმილიდან – იბერიაში კულტივირებული ცერეალიების სახეობების შესახებ – შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი მწერლისთვის სრულიად ნაცნობი იყო.[105] თუმცა ტერიტორიულად თავის დასავლელ მეზობელ ქვეყანაზე უფრო პატარა იყო (35 431 კვ. კმ.), მაგრამ შეეძლო გამოეკვება მოსახლეობის არცთუ ისე მცირე რაოდენობა, და თუკი მოსახლეობა უნარიანობას და აქტიურ მოქმედებას განახორციელებდა, შეეძლო არ ჩამორჩენოდა და გატოლებოდა კიდეც მას.

---

100 Merzbacher გვ. 31.

101 Str.XI. c. III, § 2.

102 იქვე; ვახუშტი, გვ. 32. ხილეულის ჩამოთვლა, რომლებიც საქართველოში ხარობს.

103 Str. XI, c. III § 3.

104 ვახუშტის მიხედვით (გვ. 89), არაგვში არ ბინადრობს მაინცდამაინც ბევრი თევზი, მაგრამ სხვა მდინარეებში ისინი ბლომად მოიპოვება (გვ. 35).

105 Strabo მიხედვით, XV, c. I §§ 57 და 69, შეიძლებოდა გვეცადა იმის ვარაუდი, რომ როგორც იბერიაში, ასევე კოლხეთში შესაძლებელი იქნებოდა მდინარეებიდან ოქროს მოპოვება. ჩვენ ეჭვი გვეპარება ამგვარ თვალსაზრისში, რადგან გამონათქვამი τοῦτο γὰρ καὶ ἐν Ἰβηρίᾳ συμβαίνει და καθάπερ τοὺς Ἰβηρικούς ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია საიმისოდ, რომ აქ ლაპარაკი იყოს კავკასიურ იბერიაზე და არა უფრო ესპანეთზე. ასევე იგი XI. c. III §§ 1-6-ში ამაზე სრულიად არაფერს ამბობს, მაშინ როცა ამის შესახებ რაღაც მაინც უნდა თქმულიყო. შეადარე დამახინჯებული ადგილი XI, c. II §, სადაც მოულოდნელად იბერიელებზე ჩამოვარდება ლაპარაკი.

3.3. ალბანეთი

ალბანეთის მთავრ მდინარეებზე უკვე გვქონდა საუბარი. ესენია: კიროსი სამხრეთში და ალაზონიოსი (Alazonios) დასავლეთში; გარდა ამისა, ამ მხარის აღმოსავლეთით სხვა მდინარეებიც მიედინებოდა: ალბანუსი, კაესიუსი, სოანა[106] და სხვა, რომელთა სავარაუდო, მით უმეტეს სარწმუნო, იდენტიფიცირება თანამედროვე მთის ჰატარა მდინარეებთან სრულიად შეუძლებელია. მხოლოდ ალბანუსზე შეიძლება ერთგვარი ალბათობით ვიფიქრაუდოთ, რომ ის შესაძლოა დღევანდელი სამური[107] იყოს. გარდა ამ მდინარეებისა, იყო სხვა დინებები[108] ნიადაგს რომ რწყავდნენ, რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მორწყვის მიზნით წყალს გადააგდებდნენ, მდინარეს კალაპოტს უცვლიდნენ, ე. ი. არხები გაჰყავდათ. ჩრდილოეთით ლანდშაფტი მთიანი და გორაკებიანი იყო, სამხრეთში კი – კიროსის დაბლობი. ჰავა მშრალი იყო, ჰაერი კი კარგი,[109] სასარგებლო. შიგნით, კამბისენეში, სადაც გადასასვლელი იყო იბერიის მხარეში, წყლის ნაკლებობა იგრძნობოდა.[110] მთები ტყეებით იყო დაფარული, ხოლო გორაკებსა და დაბლობში გადაშლილი იყო ბარაქიანი საძოვრები.[111] ყველა შესაძლო მცენარე ხარობდა ამ მხარეში, მათ შორის, ყველაზე ნაზი მცენარეებიც. არსებობდა მარადმწვანე ჯიშებიც. მინიმალური მოვლის პირობებშიც კი ვაზი უხვ მოსავალს იძლეოდა.[112] ნიადაგის ნაყოფიერება ისეთი დიდი იყო, რომ მისი მხოლოდ პრიმიტიული დამუშავების პირობებშიც კი საკმარისი გახლდათ ერთხელ მოხვნა, რათა ორ-სამჯერ აეღოთ მოსავალი. ბუნება საკმარისად იძლეოდა საშუალებებს აგრიკულტურისა (ნიადაგის დამუშავება)

---

106 შდრ. ძირითადად Ptolem. V. XI და მისი πίναξ β΄, და შემდეგ Plin. N. H. VI (15), Albanus, Casus.

107 აგრეთვე Merzbacher I, 63; K.v. Bär, Der alte Lauf des armenischen Araxes. (Bulletin de la classe des sciences history.. philol. etc. de l'Academie de St.-Petersburg t. XIV) გვ. 305; აქსუს მიიჩნევს ალბანუსად, და ეს ვარაუდი ემყარება კიდევ სხვა მოსაზრებებს, რომლებიც გაუმართებლად მეჩვენება, იხილე გვ. 343.

108 Str. XI. c. IV § 3; τοῖς ποταμοῖς καῖ τοῖς ἄλλοις ὕδασιν (ποτίζεται); არხების შესახებ, იხილე K.v. Bär, Der alte Lauf etc. გვ. 324-325.

109 Str. XI. c. IV § 3.

110 Str. XI. c. IV § 5. Plutarch, Pomp. XXXV; Dio Cassius XXXVII §§ 4-6; ორიეე ბოლო ავტორი იხსენიებს მდინარე Ἄβας, რომლის იდენტიფიცირება კვლავ ძალზე ძნელია. იხ. Mannert, Geographie der Griechen und Römer, IV გვ. 414; K.v. Bär, მითითებული ნაშრომი, გვ. 343.

111 Str. XI. IV §§ 1, 3.

112 Str. XI. IV § 3.

და ასევე საძოვარი მეურნეობის წარმოების განხორციელებისათვის.[113] ნიადაგის პროდუქციის ასეთი უხვი და ჭარბი სიმდიდრე იმაზედაც მეტყველებს, რომ, როგორც ზემოთ ვივარაუდეთ, მდინარეებით ღარიბი ადგილებისა და მხარის მორწყვა შეიძლებოდა ხელოვნური საშუალებებითაც მოეხდინათ. შინაური ცხოველები განსაკუთრებულად კარგი აღნაგობის იყვნენ;[114] მოხსენიებული არიან სანადიროდ გაწვრთნილი ძაღლები და ცხენები; თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნულ ცხოველებთან ერთად სხვა პირუტყვიც ჰყავდათ მოშინაურებული. მაგრამ, ამასთან, უარყოფითი მხარეც შეინიშნებოდა: შხამიანი ქვეწარმავლები ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდნენ.[115] გარდა ამისა, ზღვის სიახლოვეს მდებარე ადგილები, მოსახლეობის დიდი სურვილის მიუხედავად, გამოუსადეგარი იყო პროდუქტების გაცვლისა და ვაჭრობისათვის, რადგან კიროსის შესართავი თავისი დასილვით მოსახლეობას ზღვასთან კონტაქტს უზღუდავდა. ამიტომ ზღვის მთელ გაყოლებაზე ნავსადგურების სრული ნაკლებობა იყო.[116] მოსახლეობა რომ უდარდელი და ზარმაცი არ ყოფილიყო, ეს ნაყოფიერი ადგილები (52511 კვ. კმ-ის მოცულობის) საკმაოდ დიდი რაოდენობის ადამიანს გამოკვებავდა. მთლიანობაში კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის ტერიტორია 130 338 კვ. კმ. შეადგენდა.

113 Str. იქვე.

114 Str. XI, IV §§ 4, 5; ἀφ' ἵππων, Ἱππέας; ძაღლების შესახებ § 5; θηρευτικοὶ ..... καὶ οἱ κύνες αὐτῶν.

115 Str. XI, IV § 6; დღესაც, იხ. K.v. Bär, აღნიშნულ ადგილას.

116 Str. XI, IV § 2, 3; შემდეგ K.v. Bär, აღნიშნულ ადგილას. ასევე Plin. N. H. VI § 15.

4. მოსახლეობა

4.I. კოლხეთი

1. კოლხეთის ცალკეულ თემთა შესახებ ჩვენი მთავარი წყაროები არაფერს გვატყობინებენ. ისინი აღნიშნავენ მხოლოდ სვანებს ჩრდილოეთში და მესხებს სამხრეთში. ეს უკანასკნელნი პოლიტიკურად კოლხეთს მიეკუთვნებოდნენ, პირველად დასახლებულთ კი თავიანთი საკუთარი თემი ჰქონდათ.[117] მათი მხარე მდინარე ხობს[118] სცდებოდა. გარდა ამისა, კორაქსებს კოლხურ ტომად გვისახელებენ,[119] მათი სამოსახლო კოლების გვერდით მდებარეობსო.[120] ძირითად ტომებზე კი, რაზედაც საერთოდ აქ გვაქვს ლაპარაკი, მხოლოდ ცოტა რამეს თუ გვატყობინებს Ptolem. V, IX, §5: Κατέχουσι δὲ τὰ μὲν ἐπὶ θαλάσσῃ τῆς Κολχίδος Λάζοι,[121] τὰ δὲ ὑπερκείμενα Μάνραλοι καὶ οἱ κατὰ τὴν Ἐκρηκτικὴν

---

117 სვანების შესახებ: Str. XI, c. II, § 19; Phtheirophagen. ჩანს, ერთ სვანურ დიალექტზე ლაპარაკობენ და ისინი, საერთოდ, დიდად არ განსხვავდებიან სვანებისაგან. მესხების შესახებ, იხ. Str. c. II, § 18, კოლხეთის ჩრდილოეთით ერთმანეთს გვერდით დასახლებული ხალხები, – ჰენიოხები (Heniochen), ახეები (Achäen), კერკეტები (Kerketen) ზინდებამდე (Sinden), ჩანს, ქართველ ტომებს მიეკუთვნებიან: 1) რადგან ისინიც უეჭველად ქართველურ ტომებს ეკუთვნიან პონტოს სამხრეთ სანაპიროებთან რომ ცხოვრობენ, მსგავსად ჰენიოხებისა, იხ. Plin. N. H. VI, 4 gens Sannorum Heniochorum. უკვე წინამავალი (აღნიშნული) სანორუმი (Sannorum) უეჭველს ხდის ამ ვარაუდს. კერკეტები (Kerketen), Str. XII, III § 18; ... Ἀππαῖται .. .. οἱ πρότερον Κερκῖται 2) კერკეტი ქართულად ნიშნავს მაგარს. რადგან სხვა ტომები, როგორებიცაა ზიხები, ახეები, მათ შორის ცხოვრობდნენ, ამიტომ მათაც სამხრეთ მეზობლებს ეკუთვნებთ; კულტურული თვალსაზრისით ისინი, ცხადია, სკვითების, მეოტების და სხვათა გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული. შეადარე Str. XI, II, § 1-14; ასევე იბერიაში. Str. XI, III. § 3; შდრ. აგრეთვე Ed. Meyer, Gesch. d. Königsreichd Pontos, ლაიფციგი, 1879, გვ. 10; შემდეგ ჰენიოხების შესახებ – Arrian, 15 ... Μακρῶνες καὶ Ἡνιόχοι.

118 Plin. N. H. VI, 4; ასევე გეოგრაფიული სახელწოდებების სვანური წარმოშობის უნდა იყოს, მაგალითად, ლეჩხუმი, ლებაცილე და სხვ. იხილე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 46-47.

119 Steph. Byz. და Hekat. Miles. Fragm, 185: Κόραξοι, ἔθνος Κόλχων .... κοραξικὴ χώρα.

120 ibid, კოლების შესახებ: Hekat. Fragm. 186: Κῶλοι, ἔθνος πρὸς τῷ Καυκάσῳ და ა.შ. შდრ. ვახუშტი, გეოგრაფია, იხილე 202 და 223-224, რომელი მონაცემებითაც კოლები ((Kolen) მესხების მთების სამხრეთით უნდა ვიგულისხმოთ, შდრ. Kiepert-ის Atlas antiques IV (ანტიკური ატლასი). მეორე მხრივ Κοραξικοί ეწოდება კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს: Ptol. V, VIII §§ 14-16; 17-25 და ა. შ. იქვე Κόραξ მდინარე; V, IX § 1 და ა. შ. შდრ. ამასთან მისი რუკა. 2. ამ სახელების იდენტურობა Κόραξοι, Κοραξικοί და Κόραξ უეჭველია. კვლავ საფუძველი იმისა, რომ კავკასიის ჩრდილო-სამხრეთით მცხოვრები ტომები სამხრეთულ ტომებთან რაღაცნაირ ნათესაურ კავშირში იყვნენ, კორაქსების შესახებ (Koraxen) შეადარე ასევე Plin. N. H. VI, 5;
VI, (10): Heniochiis montibus, quos alii Coraxicos vocavere.

121 Λάζοι-ს შესახებ შდრ. Str. XII, c. III § 18; Σάννοι – Eustaht. 765-ის მიხედვით: ცეკვა: Τζάνους ... τὴν χώραν ... Τζανικὴν λέγουσιν და ა.შ. ბოლო ფორმა პრინციპში ქართულია:

χώραν. აქ აღნიშნული ტომები, უეჭველად, დღევანდელი ლაზები არიან, ქართულად ჭანები და მეგრელები. ამ ტომებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ძველი საცხოვრებელი ადგილები,[122] ცხადია, მხოლოდ ნაწილობრივ. Ἐκρηκτικὴ χώρα სხვა არაფერია, თუ არა ეგრისის მხარე მდინარე ენგურზე.[123] და რადგან ზღვის სანაპირო ლაზებს ეჭირათ, ხოლო შიგნითა ნაწილი მანრალებსა და ეგრისში მცხოვრებ ტომებს ეკუთვნოდა, ამ უკანასკნელთ კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი, მანრალების ენიდან უმნიშვნელოდ, ოდნავ გადახრილი კილოკავი შეიძლებოდა ჰქონოდათ, სრულიად ნათელია, რომ აქ კოლხ ბინადართა ძირითად შტოზეა ლაპარაკი; ორივე ენა, როგორც ლაზური, ასევე მეგრული, ქართული ენის ერთი და იმავე შტოს მიეკუთვნება - ისინი ქმნიან ლაზურ-მეგრულ განშტოებას - სხვა ორიევეს საპირისპიროდ: 1. ქართლურისა, რომელსაც ქართლელები, კახელები, ფშავლები, ხევსურები, მესხები, დღევანდელი იმერლები და გურულები მიეკუთვნებიან და 2. სვანურისა, დღევანდელი სვანები რომ საუბრობენ.[124] დაბოლოს, იმ გეოგრაფიული სახელწოდებებით, რომელთაც ყოფილ კოლხეთში, დღევანდელ იმერეთში, უფრო სწორად კი ქუთაისის გუბერნიაში იყენებენ, კარგი საფუძველი გვაქვს იმის დასადგენად, თუ რომელი ტომთაგანი ცხოვრობდა ძველად ამ მხარეში. ამ ადგილების მეგრული სახელწოდებებია: ო-ჩხამური, ო-კალმახე, ო-ძილაური, ო-ჯიქეთი, ნაჯიხევი, ჯიმასვრა, ო-კრიბა[125] და სხვ.

ეს სახელები ნათელყოფენ, რომ ძველ კოლხეთში მეგრული, ანუ მანრალურ-ლაზური ტომები ბინადრობდნენ, რაც ჩვენს წყაროებს სრულიად ეთანხმება. პლინიუსიც ხომ ამბობს, როანი ეკრექტიკეს[126] მხარეში მიედინებაო (პლინიუსის როანი არის ქართული რიონი, ბერძნების ფაზისი). ამით, ვფიქრობთ, რომ გამოვკვეთეთ შემდეგი: კოლხეთის მოსახლეობის ძირითადი შტო ქრისტიანობამდე 1-ლ და მე-2 საუკუნეებში ლაზურ-მეგრულ მოდგმას განეკუთვნებოდა. ისინი სვანებისგან სამხრეთით ბინად-

---

dšavi, დღემდე ასე ჰქვიათ ლაზებს; შდრ. Arrian 15: Λαζοί. Plin. VI, (4) gens Sannorum Heniochorum . . .et alia Sanni. Steph. Byz. შეცდომით მიიჩნევს მათ სკვითურ ტომად.

122 შდრ. Merzbacher, I, 167; 354, Reclus, Nouvelle geographie, გვ. 179, 206. რუსულად ამ ტომებს ლაზები, მეგრელები ეწოდებათ.

123 შდრ. ვახუშტი, გვ. 255; Merzbacher I, გვ. 168.

124 იხ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 19.

125 ეს მაგალითები გამოყენებული გვაქვს პროფ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან, I, 45 ff-დან.

126 Lud. Jahns-ის გამოცემაში – VI, 14; Rhoan, regio Cegritice, – ეს Ecrectice უნდა იყოს. შდრ. Ptolem. V, IX, § 5.

რობდნენ, რომელთაც (სვანებს) სხვა დიალექტი ჰქონდათ და, მაშასადამე, მათი ენებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. კორაქსებსაც იგივე ენა ექნებოდათ, როგორც მანრალებს. მესხები კი, როგორც ქართველმა ენათმეცნიერებმა დაადგინეს, ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ.

სხვა პატარა ტომებს, რომელთა სახელწოდებებმა ჩვენამდე კი მოაღწია, მაგრამ მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ ისინი ეთნიკურად ქართული წარმომავლობისანი არიან, თერმოდონის მხარე ეკავათ კოლხეთამდე და არსებითად მეგრული ტომებისაგან არ განსხვავდებოდნენ.[127] ძირეული კოლხური მოსახლეობა კი ნამდვილად ქართველური წარმოშობისაა, რასაც ასევე ადასტურებს დაბოლოება „ხი".[128] იმ დროისათვის კი, რომელსაც ჩვენი წყაროები განეკუთვნება, როგორც ჩანს, კოლხებს რაოდენობრივად უკვე სხვა ტომებმა (ლაზებმა და მანრალებმა) გადააჭარბეს. მიუხედავად ამისა, სარწმუნოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსხვავება ორივე მათგანს შორის, ერთი მხრივ, კოლხებსა და, მეორე მხრივ, ლაზ-მანრალებს შორის, დიდი არ უნდა ყოფილიყო, რადგან კოლხები ლაზებსა (სამხრეთით) და მანრალებს (აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით) შორის ბინადრობდნენ. რაც შეეხება სომატურ თვისება-თავისებურებებს, კოლხები შაგვრემნები და ხუჭუჭთმიანი იყვნენო,[129] – ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. ზომიერად შავგვრემანობა ნიშნავს: არცთუ მთლად ღია ფერის, როგორც ადამიანები ჩვეულებრივ სამხრეთში არიან ხოლმე, მეორე მხრივ კი, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, რომ ზოგიერთ ადამიანს თმა ძალიან უხუჭუჭდება, რაც მთელი ხალხისთვის არ არის დამახასიათებელი; მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ ჰეროდოტეს საერთოდაც საკმაოდ უჩვეულო მოსაზრებები, თუ მის მიერ მოყვანილი მონაცემები. სხვა შემთხვევებში ძალიან ცოტა მონაცემები თუ მოგვეპოვება ამ ხალხის თვისება-თავისებურებების შესახებ, მხოლოდ ზოგი მწერალი და მკვლევარი შენიშნავს, კოლხები უამრავ პატარა ტომებად დაიშალნენ[130] და ისინი ძალიან გულადები იყვნენო.[131] შემდეგ მოდის

---

127 ამ თემების შესახებ იხ. და შეადარე Ed. Meyer, Gesch. d. Königr. Pontos., გვ. 10-11 და იქ მითითებული მონაკვეთები.

128 მაგალითად: მესხი = მესხს, კახი = კახელს, რუსულად Кахетинец, ტაოხი = ტაოელს, ჰენიოხი = ჰენიოხელს და ა. შ. შეადარე კვლავ ჯავახიშვილს, გვ. 21.

129 Herod. II, 104; Eustath. 689. Pind. Pyth. III Vv. 210-215.

130 Apollon. Rhod., Argon. II, 1205.

131 იქვე, II, 395-400 Κόλχοι ἀρήιοι მებრძოლი კოლხები.

ჰეროდოტეს საყოველთაოდ ცნობილი ცნობები კოლხეთში გავრცელებული წინადაცვეთის შესახებ.[132] ძველი კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე, რომლის უმეტესი აღმოსავლური ნახევარი ნაწილი იმერლებს უკავიათ, უპირატესად, თუ მთლიანად არა, გავრცელებული იყო ლაზურ-მანრალური ენა, როგორც ეს წინა გამოკვლევებმა და ადგილმდებარეობათა სახელწოდებებმა[133] დაადასტურეს.

4.2. იბერია

სახელი Ἰβηροι, რომელიც დღემდე შენარჩუნებულია, თავისთავად ლაპარაკობს და მიანიშნებს ამ ხალხის ეთნოგრაფიულ მდგომარეობაზე. იმერი, ივერი[134] ეწოდება იმ ქართულ მოსახლეობას, რომელიც ამჟამად ქუთაისის გუბერნიაში უდიდეს როლს თამაშობს. ძველი იბერები და დღევანდელი იმერები, ანუ, როგორც რუსები უწოდებენ, იმერეტინცი, მიეკუთვნებოდნენ ლაზურ-მეგრულ ტომს და თუ ისინი დღესდღეობით ამ ლაზურ-მეგრულ ენაზე აღარ ლაპარაკობენ, ეს აიხსნება მათი უკვე ადრე განხორციელებული გაქართლელებით, ე. ი. დღევანდელ აღმოსავლელ ქართველთა ენაზე ლაპარაკით, რომელთა შორის იმ დროს ქართველები თავიანთი სიძლიერით და ძლევამოსილებით გამოირჩეოდნენ.[135] ზემოაღნიშნული იბერიის საზღვრების შიგნით მცხოვრები იბერები მთლად ქართლელებში აითქვიფნენ, ხოლო იმერლების დღევანდელ ნაწილში უფრო ძლიერების – ქართლელების – ენა დამკვიდრდა, თუმცა კი თავისებური და ძალზე თვალშისაცემი სახე მიიღო, რაც ტემპერამენტში, წარმოთქმასა და სხვა რამეებში თავის გამოხატულებას პოულობს. მთავარი საკითხი კი ისაა, უკვე განსახილველ მომდევნო ხანებში მოხდა თუ არა იბერთა გაქართლელება.

---

132 Herod. II, 104; ამასთან Origenes Κατὰ Κέλσου V თავი, 41,47.

133 ზემოთ მხოლოდ სახელწოდებათა ძალზე მცირე რაოდენობა იყო მოტანილი; შემდგომი ცნობებისათვის მივმართავთ უკვე მრავალჯერ ციტირებულ ჯავახიშვილის წიგნს და ცაგარელის ეტიუდებს, II ტომი.

134 იმერი = ჰიმერი = თჰიბარი = თიბარი, რაც ასირიელთა თაბალ-ის და გენეზისის თუბალ-ის იდენტურია. ქართლში „ი" დაბოლოებაა. ტიბარელებზე იხილე Herod. III, 94; Str. XII,III, § 18. შდრ. ჯავახიშვილი, გვ. 23 და ცაგარელი, ეტიუდები II, 39 ff. .. იმერი ან ივერი-დან იხსნება სახელი ვირკ (virk), რომელიც სომხურშია შენარჩუნებული და სწორედ ქართველს ნიშნავს; ივ. ჯავახიშვილი იბიდ (ibid).

135 რუსულად მათ „კარტლინცი" (ქართლელები) ეწოდებათ; მთელი ქართული ლიტერატურა საერთო ქართლური სტილით და თავისებურებით ხასიათდება და ქართლური სხვა არაფერია, თუ არა ქართული; იხ. ჯავახიშვილი აღნიშნულ ადგილას. იქვე ქართლურობის შესახებ.

რადგან იბერები თავიანთი ტერიტორიების ფარგლებში უდავოდ უძლიერესნი იყვნენ, ამ მხარეს თავისი სახელი იბერია უწოდეს. ისინი საკუთარ სახელმწიფოებრიობას ფლობდნენ, ხოლო მათი კულტურა და ცივილიზაცია მთელ მხარეში დიდად გავლენიანი იყო.[136] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იბერებს პირველ და, შესაძლოა, მეორე საუკუნეებში თავიანთი ენა და თვითმყოფადობა გააჩნდათ. რადგან დასავლეთში, კოლხეთში უეჭველად, იბერიაში კი – სავარაუდოდ, მხოლოდ ლაზურ-მეგრული ტომის მოსახლეობა ჭარბობდა, ელემენტარული ლოგიკის მიხედვით, ქართლელების სამკვიდრო ადგილები ორივე ამ მხარის აღმოსავლეთით უნდა ვეძებოთ. ხასიათის თავისებურების მიხედვით, იბერები ორ ჯგუფად იყოფა: ვაკე, დაბლობ ადგილებში მცხოვრებნი მშვიდობისმოყვარულნი არიან, მთიანეთში მცხოვრებნი კი მებრძოლი, მეომრის სულისკვეთებით გამოირჩევიან.[137] ის გარემოება, რომ იმ მხარეში გარდა იბერებისა, სხვა ტომებიც ბინადრობდნენ, სტრაბონის მიერაც[138] დასტურდება; ქართლური ტომის მესხები, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ცხოვრობდნენ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ რადგანაც საზღვარი ჩრდილო-აღმოსავლეთით (მდინარე ალაზნიდან) მდებარეობდა, რაც მაინცდამაინც დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალ მოლაშქრეთათვის, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იბერიაში საკუთრივ იბერებისა და მესხების გარდა, სხვა ქართლური ტომებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც, ცხადია, პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვან როლს ვერ შეასრულებდნენ.

4.3. ალბანეთი

ჩვენ სრულიად არ გაგვაჩნია პირდაპირი ცნობები ალბანელთა ადგილმდებარეობის შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ ეს მხარე კიროსიდან სამხრეთით, მაშასადამე, საკუთრივ ალბანეთიდან სამხრეთით, მე-5 საუკუნეში, ე. ი. ჰეროდოტეს დროს, Σάσπειρες და Ἀλαρόσιοι[139] მიეკუთვნებოდა. სასპერები დარწმუნებულები არიან, რომ ალაროდიელები

136 იხ. Str., XI, III §§ 3-6, შემდეგი ქვემოთ.

137 Str. XI, III § 3; შდრ. Aristot. Polit. VII, c II, § 6, ἔθνει πολεμικῷ.

138 Str. XI, II § 18.

139 Herod. I, 104, ἐκ δὲ Κολχίδος οὐ πολλὸν ὑπερβῆναι ἐς τὴν Μηδικήν, ἀλλ' ἓν τὸ διὰ μέσου ἔθνος αὐτῶν ἐστι, Σάσπειρες და ა. შ. ალაროდიელების (Alarodier) შესახებ, III, 94, სადაც Ματιηνοῖσι δὲ καὶ Σάσπειρσι καὶ Ἀλαροδίοισι ერთად სახელდებიან. ალაროდიელების შესახებ შდრ. Ed. Meyer, Gesch. d. Altertums I, § 475, გვ. 622.

ქართველურ ტომებს მიეკუთვნებიან,[140] ან ქართული წარმოშობისანი მაინც არიან. მაშასადამე, ალბანეთის დასავლეთით და სამხრეთით დასახლებული იყვნენ ქართველური ტომები, რომლებიც მჭიდროდ ეკვროდნენ გარს ალბანურ დასახლებულ ადგილებს. მეორე მხრივ, ასევე ცხადია, რომ ალბანელები არც ინდოგერმანელები (ინდოევროპელები) იყვნენ და არც სომხური თუ სკვითური წარმომავლობისანი; ამაზე არავითარი წყარო არ არსებობს. უკვე ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ ალბანელები ქართველურ ტომს მიეკუთვნებოდნენ. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ სამ ქართველურ ენათა ჯგუფის შესახებ: ლაზურ-მეგრული ჯგუფის შესახებ, რომელსაც კოლხები, ლაზები, მანრალები და იბერები მიეკუთვნებოდნენ; სვანური ჯგუფის შესახებ, რომელსაც სვანები ეკუთვნოდნენ და დღესაც მიეკუთვნებიან და მესამე ქართლური ჯგუფის შესახებ, რომელსაც დღევანდელი ქართლელები, კახელები და სხვები მიეკუთვნებიან. პირველ ორ ჯგუფს ძველად თავისი მკვიდრი საცხოვრისი ჰქონდა. სადავო და გასარკვევი რჩება ახლა ის, თუ სად უნდა ვეძებოთ ეს მესამე ჯგუფი. ამ შემთხვევაში ჩვენ დახმარებას გაგვიწევს ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება:

Ἀλβανία Ἀλβάνα, Ἀλβάνος, Ἀβλάνα	}	შეესატყვისება თუშურ გაუ ალვანი (უფრო დაწვრილებით გაუ-ს შესახებ, იხ. ქართული გაზეთი „სახალხო გაზეთი", № 916.)
Τέλαιβα	}	თელავი (იხ. ვახუშტი, გვ. 163; Merzbacher II, 661-დან.)
Θίλβις		თბილისი, ტიფლის=ტფილისი (რუს: ტიფლის) (Thbili = Tbili – Tpili = Tbili; thp'ilisi, ე.ი. თბილისის შესახებ იხ. Merzbacher, 942-943; ასევე ადგილმდებარეობათა სახელები, როგორებიცაა Μόσηγα, Οσσικα, Σοάνα, Σα-μουνις ქართული წარმომავლობისა უნდა იყოს. ყველა ეს სახელი გვხვდება პტოლემაოსთან V, XI, §§ 1-8

ამ მაგალითებით იმის ვარაუდის საშუალება მაინც გვეძლევა, რომ ალბანელები ნამდვილად ქართველური წარმოშობის ხალხია.[141] ისინი

140 ალაროდიელების შესახებ, Ed. Meyer, Gesch. d. Altertums I, § 475, გვ. 622.

141 უფრო სარწმუნო იქნება, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ Τοῦσκοι καὶ Δίδουροι Ptol. V, VIII §§ 17-25. ისინი დასახლებული იყვნენ μεταξὺ δὲ τῶν Κεραυνίων ὀρεων καὶ τοῦ Καυκάσου (ὄρους); შევადაროთ მის πίνακ β΄ საიდანაც ვიღებთ, რომ Τοῦσκ-οι = თუშ-ს, ხოლო Δίδουρ-οι = დიდოელ-ს, რომლებიც დღესაც კავკასიის ხეობებსა და

სავარაუდოდ მესამე ენობრივ ჯგუფს - ქართლურს მიეკუთვნებიან. ალბანური ენა მრავალ სპეციფიკურ ენად თუ დიალექტად იყო დაყოფილი, თვითონ ალბანელები კი მრავალ პატარა-პატარა ტომებად, რაც ჩვენ უკვე შეგვიძლია აპრიორი მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ჩვენი წყაროები არაფერს გვეუბნებიან. მაგრამ ისინი გვითითებენ 26 დიალექტზე,[142] რომლებზედაც ამ მხარეში მეტყველებდნენ. მაღალი ტანისა და ლამაზი აღნაგობის[143] ალბანელები ნადირობის ტრფიალნი იყვნენ,[144] უფრო მეცხვარეობას მისდევდნენ და მთლად დიდი მეომრები ვერ იყვნენ.[145] თავიანთი მიწა-წყლის მოსავლიანობისა და ნაყოფიერების წყალობით, მათ უზრუნველი ცხოვრება ჰქონდათ.[146] როგორც ეს გულუბრყვილო ხალხს ახასიათებს, ისინი დიდ პატივს მიაგებდნენ ასაკოვან, წლოვან ადამიანებს.[147] ის გარემოება, რომ მათ განსაკუთრებული მიდრეკილება ექნებოდათ ყურძნის წვენისადმი, ღვინისადმი, ეს თუ მაინცდამაინც კრიტიკული წყაროებით არა, დღევანდელი ქართლელების მაგალითებით მაინც დასტურდება.

5. ცივილიზაცია და კულტურა

ახლა დასადგენია, თუ როგორ იყენებდნენ და სარგებლობდნენ კოლხები, იბერები და ალბანელები თავიანთი მიწა-წყლის სიმდიდრით. ზემოაღნიშნული მოსაზრებები ცხადყოფენ, რომ ამ სამი ძირითადი მოსახლეობის ცივილიზაცია სრულიად განსხვავებული იყო: მაშინ, როცა ალბანელები უმეტესად მომთაბარე მწყემსები იყვნენ, რომლებიც სოფლის მეურნეობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, იბერები

მთებში ბინადრობენ. აქედან გარკვეულწილად ცხადი ხდება, რომ ტუსკოი (Tuscoi) ქართველ ტომებს ეკუთვნოდნენ: თუშები, რუსულად (тушицы); ისინი უეჭველად აღმოსავლეთ საქართველოს ქართველურ ტომებს მიეკუთვნებიან. დიდოელების შესახებ, რომლებიც ქართველური წარმოშობის არიან, იხ. Merzbacher, II, 453 და იქ დამოწმებული ლიტერატურა. თუშები: იხ. Merzbacher, I, 176-177, ამასთან, ვახუშტი დიდოელთა შესახებ, გვ. 108-დან. თუშების შესახებ, გვ. 171-დან. ალბანელები, ქართველური წარმოშობის ხალხი, იხ. Müller, Allgem. Ethnographie, 1879, გვ. 98, მე-2 გამოცემა, იქვე ალაროდიელების შესახებ.

142 Str. XI; IV, § 6.

143 Str. XI; IV, § 4.

144 IV, § 5.

145 IV, § 1.

146 ῥᾳθύμως ἔχουσιν IV, § 4.

147 IV § 8.

მუყაითად შრომობდნენ, ანვითარებდნენ სოფლის მეურნეობას და მაღალი ცივილიზაციითა და კულტურით იყვნენ ცნობილი, მსგავსად კოლხებისა, რომელთაც, სახარბიელო საზღვაო მდებარეობის წყალობით, დასავლეთთან კავშირი ჰქონდათ.

ხელოსნობა და რეწვა. ბუნებრივი და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში მთლიანად დასკვნებზე ვართ დამოკიდებული. წყაროთა ცნობებით, იბერიის „მეფემ" ძლევამოსილ პომპეუსს ოქროს კლინი, მაგიდა და ტახტი გაუგზავნა, ეს ჩვენი თქვენდამი მოძღვნილი საჩუქარიაო[148] და თან ზედ თხოვნაც დაურთო, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვა ისეთ ხელობებთან და საქმიანობებთან ერთად, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და მებაღეობა,[149] ხელოსნობაც დიდ როლს თამაშობდა. არქიტექტურის ყველა წესის დაცვით აშენებული სახლების, ბაზრებისა და საერთო სარგებლობის შენობების[150] კრამიტის სახურავები მოწმობს ხელოსანი მუშების, ხუროების, საქმის მცოდნე მშენებლების უკვე იმ დროს არსებობას. ისინი ხომ პრეტენზიული ბერძნების სხვადასხვა მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ.

ფეიქრობა და სამღებრო საქმე უმთავრესად კოლხეთში იყო გავრცელებული, სადაც საუკეთესო ტილოს ქსოვილებს აწარმოებდნენ და სხვადასხვა საღებავ ნივთიერებებს მოიპოვებდნენ.[151] შალეულს კი, სავარაუდოდ, საძოვრებით მდიდარ იბერიასა და ალბანეთში ამზადებდნენ. სხვადასხვა სახის იარაღის დამზადება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა, თუ მრავალი არა, ზოგიერთი სახელოსნო საქმის განვითარებას მაინც. შუბისა და ლახვარის დასამზადებლად თავდაპირველად საჭირო იყო რკინის მასალა, რაც უმეტესად კოლხეთის სამხრეთ ნაწილიდან მიეწოდებოდათ; შემდეგ გადადნობა და დამზადება; ეს კი სამჭედლო საქმის, მჭედლობის წინაპირობა იყო, რაც თავის მხრივ, საფუძვლად ედო თავდაცვითი იარაღების გამოყენებას; ასევე, სახეზე იყო უკვე ტყავის მრეწველობა. იმ დროს თავის დასაცავად ხომ ტყავის ჩაფხუტებს[152] ხმარობდნენ. სამთამადნო მრეწველობა გავრცელებული იყო სამხრეთ

148 სხვათა შორის, უკვე 42-ე გვერდზე მე-5 მითითება გვამცნობს ალბანელების გართობისა და სიამოვნებისადმი მიდრეკილებაზე.

149 Plutarch Pomp. XXXVI Extr. κλίνην τε καὶ τράπεζαν καὶ θρόνον, ἅπαντα χρυσᾶ

150 მცენარეთა სახეობების ჩამოთვლა იბერიასა და ალბანეთში Str. XI IV § 3 და სხვა, ამას ადასტურებს ისევე, როგორც არხების არსებობას.

151 Str. XI. c. III § 1.

152 Str. XI, c. II § 17, შდრ. გვ. 29-30.

კოლხეთში, ხოლო სვანები ოქროს მოპოვებით იყვნენ დაკავებული. გემთმშენებლობისთვის საჭირო ხისა და სხვა შესაბამისი მასალების მოპოვება და დამუშავება და შესაძლოა, გემების აგებაც, წინა პირობებს ქმნიდა სარეწი საქმიანობის განსავითარებლად. ცხადია, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ და ვიმსჯელოთ მხოლოდ რეწვისა და ხელოსნობის ცალკეულ სახეობებზე, რომელთაც ჩვენს ხელთ არსებული მწირი ცნობები, მართალია, პირდაპირ არ აღნიშნავენ, მაგრამ ვარაუდის საშუალებას მაინც გვაძლევენ, რომ, დასახელებულ საქმიანობებთან ერთად, ხელოსნობისა და მრეწველობის სხვა დარგებიც არსებობდა.

ვაჭრობა. ჩვენ აქაც დასკვნებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. უკვე ზემოაღნიშნული ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის ქალაქების ჩამოთვლა ავტორიტეტული პიროვნებების მიერ,[153] გვაძლევენ საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ხელოსნობის, სარეწი ხელობისა და სოფლის მეურნეობის გარდა, ვაჭრობა სხვადასხვა დარგებს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. ოქროს სვანეთიდან იბერებამდე ხომ უნდა მიეღწია, ხოლო რკინეულობას სამხრეთ კოლხეთიდან სამივე მხარემდე, რათა იქ ფუფუნების საგნებად ან საბრძოლო იარაღად გადაემუშავებინათ. და როდესაც კოლხები თავიანთ ტილოს საქონელს უცხოეთში აგზავნიდნენ, ისინი ამით თავის აღმოსავლელ მეზობლებსაც ამარაგებდნენ.[154] იბერიაში ხომ უკვე არსებობდა ლამაზად მოწყობილი ბაზრები. თუ რომელი საქონელი ჭარბობდა შიდა ვაჭრობაში, ეს ჩვენთვის, სამწუხაროდ, დაუდგენელია. იგზავნებოდა თუ არა იბერიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები კოლხეთში, ამაზე ვერაფერს ვიტყვით, თუმცა ეს თავისთავად არ უნდა ჩანდეს მთლად შეუძლებელი საქმე, რადგან, დასავლეთის მეზობელ მხარესთან შედარებით, იბერია ხომ ბევრად უფრო მდიდარი იყო: შიდა გზები გარე ვაჭრობის გზებით გამოიცნობა.

დადგენილია, რომ კოლხეთიდან ზოგი ნაწარმი, მაგალითად, ტილოსი, უცხოეთში იგზავნებოდა, ხოლო საგარეო ვაჭრობა საერთოდ ტრანზიტული ვაჭრობა იყო, რომელიც გაპირობებული იყო მთელი კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით. მდებარეობდა რა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზღვარზე, კავკასიის ქვეყნები მსოფლიოს ორ ნაწილს შორის ბუნებრივი შუამავლის როლს ასრულებდნენ. ასე იგზავნებოდა შორეული ინდოეთიდან და, შესაძლოა, ჩინეთიდანაც კი, ფართო მოხ-

153 იხ. ქვემოთ.

154 იხ. ქვემოთ.

მარების საქონელი კასპიის ზღვამდე, კიროსის შესართავთან. კიროსის გაყოლებით ზემო მიმართულებით საქონელს აგზავნიდნენ უღელტეხილის გავლით შორაპანში - კოლხეთის ტერიტორიაზე. აქედან საქონელი ჩადიოდა სანაოსნო გლაუკოში, ნაწილობრივ კი ფაზისში, დაბოლოს, ქალაქ ფაზისში შავ ზღვაზე, სადაც მათ ბერძნები, მოგვიანებით კი რომაელებიც ყიდულობდნენ.[155] კოლხეთში[156] გაგზავნილი საქონლებიდან თუ რომელი სარგებლობდა დიდი მოთხოვნით, შეგვიძლია ჩვენს ხელთ არსებული წყაროებითაც დავადგინოთ: უნატიფესი აბრეშუმი[157] თავს იყრიდა შორაპნისა და ფაზისის ბაზარზე და სარფიანად იყიდებოდა.[158] მაგრამ ასეთი გრძელი და გაუთავებელი სავაჭრო გზა, როგორიც ინდოეთიდან ფაზისში მიმავალი გზა იყო და განსაკუთრებით კი მომქანცველი საქარავნო[159] მოძრაობა, რომლის დროსაც საქონელი შორეულ ფაზისში მიჰქონდათ, ე. ი. ამოდენა მანძილს არა მხოლოდ აბრეშუმის, არამედ სხვა საქონლის ჩამოსატანადაც გადიოდნენ. თუ რა საქონელი იყო ეს, ჩვენთვის უცნობია.

რაც უნდა ბევრი და მრავალფეროვანი ყოფილიყო სავაჭრო საქონელი, მთავარი შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან ვიღებთ, ისეთია, რომ შეიძლება ჩავთვალოთ – სამივე ამ ხალხის ვაჭრობა, მათი სავაჭრო საქმიანობა, როგორც წესი, პასიური იყო, ანუ დამოკიდებული უცხოელთა საექსპორტო საქმიანობაზე, ბერძნებსა და რომაელებზე; თავად კი იყვნენ აქტიურნი და ქმედითნი იმდენად, რამდენადაც უცხოელთა მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ.

---

155 Str. XI, c. II § 17. Herod. II, 105. Xenoph. Kyneg., II, I 4; Speck, Handelsgesch. d. Altertums, II, გვ. 449, III A / 2. გვ. 329.

156 Atr. XI. c. VII § 3; ასევე Plin. VI 17 (19). Über die Kontroverse über die Oxus-Mündung იხ. K. Neumann, Die Fahrt d. Patrokles auf dem Kaspischen Meer u. Der alte Lauf des oxos. Herm. 19, გვ.165; ედ.მაიერი G.d.A. III § 64, გვ. 105.

157 შდრ. აგრეთვე Ed. Meyer a. a. O.

158 Serica-ს შესახებ, მისი მცხოვრებნი „Seres"-ები და Serium-ის შესახებ. Ptol. VI, 16, § 1, 3, 4; VII, 2, 1; c. 3, § 1; c. 5, § 1; VIII, 24, § 1; c. 5, 27, 2 ff. Seres: Mela, 1,2,3; III, 17,1; Plin. VI, 17, 20, 22 (21), 24; Plin. XXXIV, 14; Hor. Od. I, 12, 55, 29, 10, 27; ასევე აბრეშუმის შესახებ, Str. V, p. 693; 701; Paus. VI, 26, 4; Ptol. I, 14, 4; 17, 5; შდრ. Speck, Handelsgeschichte im Alt. I, 116. Alb. Herrmann, Die alten Seidenstrassen zwischen China u. Syrien I. ბერლინი 1910. H. Nissen, Der Verkehr zwischen China u. Dem römischen Reich. (Jahrb. d. Altertumsfreunde im Rheinland. ბონი 1886.).

159 ქარავნების შესახებ შდრ. Speck II, გვ. 457; შემდეგ Petermann-ის ცნობები (დეკემბერი 1913) Chau Jukua -სადმი. His Work on the Chinese an Arab Trabe in the twelfth and thirteenth Centuries, entitled Chunfan-chi. Translated from the Chinese and Annotated by Friedrich Hirth and W.W. Rockhill passim. St. Peterburg 1912.

არც ერთი მონაცემი არ მოიპოვება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ადგილობრივი ვაჭრები, კოლხები თუ იბერები თავიანთი საქონლის გასაღების ადგილებს უცხოეთში, მაგალითად, საბერძნეთში ეძებდნენ და პოულობდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ხალხების ვაჭრობა, როგორც წესი, პასიური იყო.

გზები. უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზების შესახებ უკვე გვქონდა საუბარი: კიროსის შესართავიდან გზა გადიოდა ქვეყნის შიგნით, შორაპანისკენ კოლხეთში, რომელიც სწორედ სხვა გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა და გლაუკოს ხეობის გავლით ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა. შორაპანადან გზა ქალაქ ფაზისამდე, ამავე სახელწოდების მდინარის შესართავამდე, გრძელდებოდა. აქ და შორაპანში იკრიბებოდნენ ადგილობრივი და უცხოელი ვაჭრები, რათა თავიანთი საქმეები მოეგვარებინათ. გზა კიდევ უფრო შორს, კოლხურ საზღვრებს გარეთაც გრძელდებოდა და ალბანეთის საზღვრის გაყოლებით მიემართებოდა. ნავაჭრი საქონელი ან სამხრეთისკენ მიჰქონდათ პონტოს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროს გავლით, ძალზე უსიამოვნო, მომქანცველი მგზავრობით, გარკვეული საფრთხეები რომ სდევდა თან, ვიდრე ტრაპიზონსა და იქიდან სინოპში ჩააღწევდნენ,[160] ან ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ კიმერიულ ბოსფორზე, რაც კიდევ უფრო დიდ საფრთხეს შეიცავდა, რადგან კოლხურ სასაზღვრო ქალაქ პიტიუნტიდან ჩრდილოეთით აღარ არსებობდა რამდენადმე მაინც საიმედო პორტი და ზღვის სტიქიის მძვინვარება მგზავრობას კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნიდა, რომლის დროსაც კლდეები დიდ საშიშროებას მოასწავებდა გემებისთვის; გარდა ამისა, ყაჩაღები და ზღვის მეკობრეები[161] მოსვენებას არ აძლევდნენ მდინარეთა ხეობების მცხოვრებლებსა და მგზავრებს ზღვის სანაპიროს მთელ გაყოლებაზე, თვით ბოსფორის სრუტემდე. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ხალხი მგზავრობდა კოლხეთისკენ ან კოლხეთიდან პონტოს სამხრეთ სანაპიროს გავლით, რაც მოგზაურთათვის მნიშვნელოვნად უფრო საიმედო იყო, სხვა ხალხთან კავშირი უმოკლესი გზით ხდებოდა და ნაკლებად დამქანცველიც გახლდათ. ეს გზა ზღვიდან ზღვამდე ემსახურებოდა ზემოაღნიშნული სამი მხარის ურთიერთკავშირს.

გარდა აღნიშნულისა, იყო სხვა გზებიც, რომლებიც დიოსკურიას

160 შდრ. Arrian 4-10.

161 Str. XI, c II § 12.

გარშემო მცხოვრებ ტომებთან აკავშირებდა[162] და მდინარეების – კორაქსის, სინგამეშის, ხობისა და სხვ. – ხეობებზე გადიოდა, რომელთაც მთის მოსახლეობა სავაჭრო მიზნით იყენებდა ბარის მცხოვრებლებთან ერთად: სვანების მიერ მოპოვებულ ოქროს კოლხეთამდე ხომ უნდა ჩაეღწია, ხოლო კოლხურ აბრეშუმს კი სვან მოსახლეობამდე, რომელსაც თავდასაცავად საომარი მასალა-იარაღები უნდა მოემარაგებინა.[163] ძველი სამხედრო გზით ურთიერთობა მყარდებოდა იბერებსა და იმიერკავკასიას შორის.[164] და ეს გზა დღემდე არსებობს და ფუნქციონირებს. შეიძლება ითქვას, რომ ძველი სამხედრო გზა უფრო საომარი მიზნებით გამოიყენებოდა, ვიდრე მშვიდობიანი მიმოსვლისა და ურთიერთობისათვის. იგი გადიოდა უმნიშვნელოვანესი უღელტეხილით Pilae Caucasiae -მდე. ამ სამთო გადასასვლელით მუდმივად და უსწრაფესად უნდა ესარგებლა ჯარს, რათა იქითა მხარეს მობინადრე სკვითურ-სამარტული ტომები მოეგერიებინა. ზოგჯერ ეს გზა შეიძლება სავაჭრო მიზნებისთვის გამოყენებულიყო, რომლის დროსაც ხალხი ჩრდილოეთის მიმართულებით მიდიოდა ცენტრალური აზიის სავაჭრო გზით;[165] ან კასპიის ზღვიდან შავი ზღვისკენ მიმავალი გზით სავრომატული ველების გავლით, რაც მთლიანად არ უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, იბერები კავკასიის მაღალ მთიანეთში სკვითებისა და სავრომატების მსგავს ცხოვრებას მისდევდნენ, რაც გარკვეულ მიმოსვლასა და ურთიერთობაზე მიუთითებს. კიროსის გზის გარდა, იბერიას ალბანეთთან აკავშირებდა სხვა გზაც, მდინარე ალაზნის ხეობაში რომ გადიოდა.[166]

დაბოლოს, კიდევ ერთი გზა გადიოდა სამხრეთში.[167] კიროსის ხეობის გავლით, ან ასევე მთაგორიანი გზით კიროსიდან სამხრეთით და არაგვის ხეობით; უკვე ამ კავშირის არსებობა სომხეთთან მოწმობს, რომ ის მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამ საკითხების უფრო ახლო კუთხით განასხილველად ჩვენ, ცხადია, არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია. ის, თუ როგორი იყო ეს გზები, ან როგორი ყურადღება ექცეოდა მათ

162 Str. XI, c. II § 16, სადაც მოცემულია რაოდენობა სხვადასხვა ენისა, რომელზეც ხალხები სავარაუდოდ დიოსკურიაში ლაპარაკობდნენ.

163 იხ. ქვემოთ.

164 Str. XI, c. III § 5. არაგვის ხეობის გავლით; Plin. VI, 11 (12), შდრ. Merzbacher მითითებული ნაშრომი.

165 Ed. Meyer, G. d. A. III. § 65, გვ. 106 -დან.

166 Str. XI, c. III, § 5.

167 იქვე.

მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით, ეს ღიად რჩება. მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი, სახელდობრ კი ის, რომ ისინი საკმაოდ დაცული და უსაფრთხო იყო. ჩამოთვლილის გარდა, კიდევ სხვა გზები რომ არსებობდა, ეს უპირველეს ყოვლისა, ალბანეთთან დაკავშირებით არის სავარაუდო, მისი ხეობებისა და კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო ზოლის გამო, მაგრამ დანამდვილებით ამის შესახებ არაფერი ვიცით.

ქალაქები და დასახლებები. გარდა საყოველთაოდ ცნობილი ბერძნული დასახლებებისა, პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე კოლხეთში ცნობილია რიგი ქალაქებისა და ადგილებისა, რომლებზეც მანამდეც გვექონდა საუბარი. ჯერ მარტო პტოლემაიოსის[168] ცნობებით, კოლხეთში 9 ქალაქი და სოფელი არსებობდა, რომელთა სახელწოდებები (მეხლესოსი, შურიონი და სხვ.) ნამდვილად ქართულია. იბერიის[169] შესახებ ცნობებს გვაწვდიან პტოლემაიოსი და სტრაბონი, რომელიც ამ თვალსაზრისით ალბანეთსაც[170] ეხება. ჩვენ აქ ბერძნული მნიშვნელობის πόλις -თან ნამდვილად არ გვაქვს საქმე. მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ სხვა გარემოებები, რომლებიც ჩვენს აზრს ადასტურებს და წარმოდგენას გვიქმნის ქართველურ დასახლებებზე. ასე, მაგალითად, სტრაბონი (XI, c. II, § 17) შარაპანის შესახებ წერს: (ὁ Φᾶσις) ἀναπλεῖται δὲ μέχρι Σαραπανιῶν, ἐρύματος δυναμένου δέξασθαι καὶ πόλεως συνοικισμόν. შარაპანი საზღვართან ახლომდებარე დიდი და მნიშვნელოვანი კოლხური ციხესიმაგრე იყო, რომელიც ემსახურებოდა ამ მხარის დაცვასა და უსაფრთხოებას. იქ თავს იყრიდნენ ვაჭრები, უცხოელები და ადგილობრივნი. ეს ტევადი და ფართო ციხესიმაგრე გამოიყენებოდა არა მარტო სავაჭრო მიზნებისათვის, არამედ ასევე თავშესაფრადაც არეულობისა და საომარი დაპირისპირებების დროს. ეს მონაცემი რომ დიონ კასიუსის მიერ მოპოვებულ ცნობას შევადაროთ ... ἔφθη καὶ πρὸς τὴν πόλιν τὴν Ἀκρόπολιν ὠνομασμένην προχωρήσας ... ἦν δὲ ἐπ' αὐτοῖς τοῖς στενοῖς, ἔνθεν μὲν ... τοῦ Καυκάσου παρατείνοντος οὗ καὶ ἐπὶ τῇ φυλακῇ τῶν ἐσβολῶν ὠχύρωτο – XXXVII, § 1, მივიღებთ იგივე სურათს: ეს ციხესიმაგრე, ანუ აკროპოლისი თავდამსხმელთა მოგერიების მიზანს ემსახურებოდა. ამიტომ მას ბერძნული გაგების πόλις-ად ვერ ჩავთვლით. ამასვე ეთანხმება ის, რაც ჩვენ საერთოდ კოლხეთისა და იბერიის ქალაქების შესახებ ვიცით; ასე, მაგალითად, სტრაბონი წერს (XI, c. II, §

168 V, c, IX.

169 V, c, X.

170 V, c. XI.

18): ἔστι δὲ καὶ πολίχνιον ἐν τῇ Ἰβηρίᾳ Φρίξου πόλις, ἡ νῦν Ἰδήσσα, εὐερκὲς χωρίον, ἐν μεθορίοις τῆς Κολχίδος. აქაც ქალაქი გამაგრებული ადგილია მეზობელი მხარის საზღვართან; შემდეგ ქვემოთ (XI, ც. III, § 5), სადაც სომხეთიდან იბერიაში შესასვლელი გზაა აღწერილი, გეოგრაფი დასძენს: (არაგვი და კიროსი) πρὶν γὰρ εἰς ἀλλήλους συμπεσεῖν, ἔπικειμένας πόλεις ἐρυμνὰς ἐπὶ πέτραις, διεχούσαις ἀλλήλων ὅσον ἑκκαίδεκα σταδίους, ἐπὶ μὲν τῷ Κύρῳ τὴν Ἁρμοζικὴν, ἐπὶ δὲ θατέρᾳ Σευσάμορα. ეს ქალაქებიც, განლაგებულნი კვლავ საზღვრის უშუალო სიახლოვეს, სადაც მხარის ამ ნაწილს შეიძლებოდა ყველაზე უფრო მეტი საფრთხე დამუქრებოდა, კლდეებზე მხოლოდ თავდაცვითი ნაგებობებია: თვითონ სახელწოდება ჰარმო-ციკე მიუთითებს ამაზე: ჰარმოს – ჰარმას = (ჰ)არმაზი, რაც კერპის სახელია, ხოლო ციკე = ქართულ ციხეს;[171] რაც ნიშნავს ციხესიმაგრეს – გალავანშემორტყმულ და გამაგრებულ ადგილს. ასე ატარებდა ციხესიმაგრე კერპის სახელს – არმაზის ციხე. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სხვა ქალაქები და ადგილებიც, რომელთა სახელწოდებებიც ჩვენთვის არის ცნობილი, თითქმის, ასე გამოიყურებოდა. ცნობილია, თუ რა ღარიბი იყო სამხრეთის მხარეების ქალაქები[172] პომპეუსის დროს, რაც ამ უკანასკნელს სასურველ საბაბს აძლევდა დაეარსებინა ქალაქები.[173] ამას ემატება ისიც, რომ სახელწოდება ქართულ ენაზე „ქალაქი" – ნასესხებია სირიულიდან, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ სომხურის მეშვეობით.[174] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ ტომებს სამხრეთში ქსენოფონტეს[175] იდენტური ქალაქები ჰქონდათ. ამდენად, ვფიქრობთ, ჩვენი მწირი წყაროებიდან ის აზრი მაინც უნდა გამოვიტანოთ, რომ ეს სამი ძირითადი ქართველური მოსახლეობა სავაჭრო ბაზრებს, საწყობ პუნქტებს, ციხესიმაგრეებსა და სხვა გამაგრებულ ადგილებს ფლობდა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, როგორც წესი, კომენში ჰქონდათ საცხოვრებელი ადგილი, რადგან სავაჭრო პუნქტები და ბერძნების მმართველობის ქვეშ მყოფი ქალაქები, როგორიც იყო: პიტიუნტი, დიოსკურია, ფაზისი და სხვ. ბერძნების მუდ-

171 შდრ. აგრეთვე Kiepert Lehrbuch der alten Geographie, გვ. 86, ადგილობრივი მატიანე „ქართლის ცხოვრება" არმაზის შესახებ, გვ. 20; ვახუშტი, გვ. 76.

172 ამას Speck-იც აღნიშნავს. იხ. მითითებული ნაშრომი, გვ. 325.

173 B.Appian Mithr. 117

174 შდრ. ჯავახოვი. Государственный срой древней Грузии и древней Армении. I, 1905. გვ. 40.

175 Xenoph. Anab. lib. IV, 7, 2; V, 2, 3; V, 4, 31; V, 4, 15 და ა. შ.

მივ გავლენას განიცდიდნენ, თუმცა, თითქმის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ (ბერძნების) გვერდით ამ ქალაქებში ადგილობრივი მოსახლეობაც ცხოვრობდა.

სახელმწიფო და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობები. რათა შეგვექმნას წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ აწესრიგებდა ეს სამი ხალხი თავის ცივილურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, სავაჭრო ურთიერთობებს, სავაჭრო და სამეურნეო კომუნიკაციებს, სოფლის მეურნეობას, და, თუ როგორ ურთიერთობები ჰქონდათ ამ ხალხებს ერთმანეთთან, მივმართოთ ჩვენს პირველ წყაროს, ე. ი. XI, ც. III, § 6-ს: Τέτταρα δὲ καὶ γένη τῶν ἀνθρώπων οἰκεῖ τὴν χώραν (ე.ი. Ἰβηρίαν). უკვე ამ პირველი წინადადებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიაში მთელი ხალხი ოთხ კლასად, ანუ ფენად იყოფოდა, თუმცა შემდგომი აღწერა ამ ვარაუდს შეუძლებელს ხდის: κοιναὶ δ' εἰσὶν αὐτοῖς αἱ κτήσεις κατὰ συγγένειαν, ἄρχει δὲ καὶ ταμιεύει ὁ πρεσβύτατος. ყოველი ადგილ-მამული წარმოადგენდა არა ერთი ადამიანის საკუთრებას, არამედ, როგორც ეს ნათლად და პირდაპირ არის ნათქვამი, იგი ეკუთვნოდა სისხლით ნათესავთა გაერთიანებას συγγένεια, რომლის სათავეში იდგა უხუცესი ὁ πρεσβύτατος. მას მხოლოდ წარმომავლობის გამო ენიჭებოდა ἄρχειν καὶ ταμιεύειν, თემის ქონების, საკუთრების განკარგვა და თემის მმართველობა, ისე რომ სხვა სფეროებში მას ოჯახის სხვა წევრებზე მეტი უფლებები არ ენიჭებოდა. თუ რა წანამძღვრები გააჩნდა თემის ამგვარ წყობას თითოეული ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ყველასათვის ცნობილია. როგორც წესი, ის ეფუძნებოდა საერთო წარმოებას, რომლის დროსაც თემის წევრები თანაბრად იღებენ მასში მონაწილეობას, თუმცა ჩვენს ცნობებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

თემის ძლიერ დიფერენციაცირებული იყო τέτταρτον δὲ τὸ τῶν λαῶν, οἳ βασιλικοὶ δοῦλοί εἰσί, καὶ πάντα διακονοῦνται τὰπρὸς τὸν βίον. სტრაბონის მიხედვით, მოსახლეობის ყველაზე მდაბიო ნაწილს წარმოადგენდა მეოთხე ფენა, ანუ „სამეფო მონები“ βασικιλοί, რომლებიც მეფეს ემსახურებოდნენ. აუცილებელია განისაზღვროს λαοί -ს სამართლებრივი მდგომარეობა, რადგან ისინიც მონებად იხსენიებიან. ერის ოთხგვარი დაყოფის აღწერისას სტრაბონი ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს, რომ იბერიაში მეტი λαοί არსებობდა, ვიდრე δοῦλοι. შესაძლებელია, მოსახლეობის ეს ფენა პირდაპირ იყო დამოკიდებული თავის სუზერენზე და მათზე უფლება სხვას არავის ჰქონდა. ნათელია, რომ სამართლებრივად დამოკიდებულ პირებს, საჭიროების შემთხვევაში, სუზერენის სა-

ხით მფარველი ჰყავდათ, რისთვისაც ისინი თავიანთ ვალდებულებებს ნატურალური სახით ასრულებდნენ πάντα διακονοῦνται τὰ πρὸς τὸν βίον.

ამგვარად, საეარაუდოა, რომ მოვალეობის შემსრულებლები სოფლად ცხოვრობდნენ, მიწაზე იყვნენ მიჯაჭვულნი, მათ ხომ მონები ერქვათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სამართლებრივად ძალიან შეზღუდული იყვნენ, მაგრამ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე უბრალო მონები. სამართლებრივი მდგომარეობის უფრო ზუსტი გადმოცემა, ჩვენს ხელთ არსებული მწირი ცნობების გამო, შეუძლებელია. მაგრამ აქ უნდა მივუთითოთ იმაზეც, რომ ეს λαοί[176] ან δοῦλοι, ბუნებრივია, რომელიმე თემს კი არ განეკუთვნებოდნენ, არამედ, პირიქით, ისინი თემის გარეთ იმყოფებოდნენ და ამიტომ მხოლოდ თავიანთ სუზერენს ემორჩილებოდნენ.

მოსახლეობის ყველაზე დიდ ნაწილს, შესაძლებელია, შეადგენდა მესამე ფენა (τρίτον δὲ τὸ τῶν στρατευομένων καὶ γεωργούντων), ანუ სოფლის მეურნენი, რომლებიც სამართლებრივად სრულიად თავისუფალნი იყვნენ და მხოლოდ თავიანთ თემს, თავიანთ საზოგადოებას ემორჩილებოდნენ, ქმნიდნენ ჯარს, რომელიც თავის მიწა-წყალს უცხო მტრისგან იცავდა, რათა იგი მშვიდობიანობის დროს ერთად დაემუშავებინათ, ე. ი. მკაცრად თუ განვსჯით, ორგანიზებული, პროფესიულად მომზადებული ჯარი არ არსებობდა.

სტრაბონი მეორე ფენას სასულიერო პირებს მიაკუთვნებდა (δεύτερον δὲ τὸ τῶν ἱερέων, οἱ ἐπιμελοῦνται καὶ τῶν πρὸς τοὺς ὁμόρους δικαίων). ის, რომ სასულიერო პირები მსხვერპლს სწირავდნენ და ღმერთებს თემის კეთილდღეობას შესთხოვდნენ, ნათელია. მათი ამოცანების თავისებურება იბერიაში ჩვენთვის უცნობია, მხოლოდ გარკვეულწილად ვხედავთ, რომ ისინი, როგორც სტრაბონი აღნიშნავს, სახელმწიფოში საკმაოდ გავლენიანი პირები იყვნენ, რადგანაც მათ უფლებამოსილება გააჩნდათ, მოეწესრიგებინათ ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, ე. ი. ისინი ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში. თუ რამდენად ძლიერი იყო მათი ზეგავლენა ამა თუ იმ სახელმწიფო საქმის გადაწყვეტის დროს, ამის დადგენა ჩვენ არ შეგვიძლია.

პირველ ფენას შეადგენდნენ ისინი, რომელთა წრიდანაც „მეფეებს" და სარდლებს ნიშნავდნენ (ἓν μὲν καὶ πρῶτον ἐξ οὗ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι

176 λαοί δοῦλοι შესახებ შეადარე B. Haussouieller in „Revue de Philologie" etc. t. XIV, 1901. აგრეთვე Prof. I. Beloch, Griech. Gesch. III, გვ. 319; აგრეთვე გვ. 51 in Anm, 4 citierte ბატონ ჯავახოვის ნაშრომი, გვ. 71.

κατ' ἀγχιστείαν τε καὶ ἡλικίαν τὸν πρεσβύτατον, ὁ δὲ δεύτερος δικαιοδοτεῖ καὶ στρατηλατεῖ). მაშასადამე, „მეფეებს" ნიშნავდნენ და თანაც მტკიცედ დადგენილი წესით. თუ ხალხის სუზერენი გარდაიცვლებოდა, მის ადგილს იკავებდა ერთ-ერთი მისი ნათესავი, რომელიც მასთან როგორც ასაკით, ასევე ნათესაობით ყველაზე ახლოს იდგა. სუზერენი უნდა ამოერჩიათ მხოლოდ ერთადერთი თემიდან, რომელსაც გააჩნდა უპირატესობა თავისი წრიდან ხალხისთვის სუზერენები დაენიშნა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თემების შიგნით დიფერენციაციას ჰქონდა ადგილი. ხალხის სათავეში იდგა ერთადერთი თემი და ხელმძღვანელობდა პირდაპირ ან არაპირდაპირ მის საქმეებს. სუზერენი უნდა ყოფილიყო თავის თემში უხუცესი, რათა მაღალი თანამდებობა დაეკავებინა; ბუნებრივია, იგი იყო აგრეთვე თავისი თემის გავლენიანი პირი. სამართლებრივად უპირატესობის მქონე თემის მეთაურობა მთელი ხალხის სუზერენად ყოფნას ნიშნავდა. ჩვენ ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ დანარჩენ თემებსაც თავიანთ უხუცესებში მეთაურები ჰყავდათ, რომლებიც იგივე წესით იკავებდნენ თანამდებობას, ე. ი. თემის წეს-ჩვეულებები ეხებოდა მთელ საზოგადოებას, თაობას, რომელიც ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენდა და რომლისგანაც სახელმწიფო შედგებოდა. რა ერქვა ხალხის სუზერენს? სტრაბონი მას უწოდებს βασιλεύς; ადგილობრივი მატიანეები კი აღნიშნავენ,[177] რომ როგორც თემის, ისე მთელი ხალხის სუზერენებს მამასახლისი = „სახლის მამა", უფრო სწორად, „ოჯახის მამა" ეწოდებოდათ, თუ ჩვენ ოჯახში მთელ საზოგადოებას ვიგულისხმებთ. ბერძნული βασιλεύς-ს შესაბამისი ტერმინები მეფე და ხელმწიფე თავდაპირველად აღნიშნავდნენ მხოლოდ ბატონს, მეპატრონეს, სამართლებრივად უფლებამოსილს; ცნება სუზერენი – მეფე ან კაიზერი მათ მოგვიანებით შეიძინეს.[178] მემატიანე მამასახლისის ცნებას კატეგორიულად უპირისპირებს „მეფისა" და „ერისთავის"[179] ცნებებს. მოგვყავს შესაბამისი ადგილები ჩვენი თარგმანიდან. მას შემდეგ, რაც აღწერილია ქართველური ტომების ქაოსი და მათი დაშლა, ნათქვამია: „და არავინ იყო მათ შორის ძალაუფლებითა და გავლენით დიდად გამორჩეული, არამედ ყოველ ადგილს თავისი მეთაური ჰყავდა, თუმცა

177 იხ. ჯავახოვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 8-30, სადაც ყველა ადგილი ადგილობრივი მატიანეებიდან და წყაროებიდან არის მოყვანილი; აქ მითითებულია მხოლოდ „ქართლის ცხოვრება", გვ. 24.

178 იხ. ჯავახოვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 10-12.

179 ერის-თავის, თავად-აზნაურთა კლასის უმაღლესი წოდების შესახებ, შდრ. Dr. jur. Et phil. Felix Holldack, Grusinische Staats- u. Rechtsgeschichte. Leipzig 1907 გვ. 59.

მცხეთის მეთაური სხვა მეთაურებზე მაღლა იდგა და, რომლებსაც არც მეფეებს და არც ერისთავებს არ უწოდებდნენ, არამედ მათ მამასახლისები ერქვათ; იგი იყო მომრიგებელი და მოსამართლე ქართლოსის სხვა შთამომავლებს შორის“ (მემატიანე აქ გულისხმობს მცხეთის მამასახლისს).

აქ მოყვანილი ციტატა დასტურია იმისა, რომ მამასახლისი უძველესი ტერმინი იყო სუზერენის ცნების აღსანიშნავად, რაც იბერიაში სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების აღწერას შეესაბამება და რასაც ჩვენ სტრაბონთან ვკითხულობთ. ამგვარად, ხალხის სუზერენი ერთდროულად თავისი საზოგადოების მეთაურიც იყო, ანუ მამასახლისი[180] და საზოგადოებაც ერთადერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომელსაც მთელი სახელმწიფო წყობა ემყარებოდა. ამგვარი სუზერენის უფლება-მოვალეობის შესახებ ძირითად წყაროებში არაფერია ნათქვამი. ჯარის ხელმძღვანელობა, ე. ი. მთელი სამხედრო საქმე, ასევე სამართალი, სხვა პირის ხელში იყო, რომელიც თავისი გავლენით ხალხის სუზერენთან ყველაზე ახლოს იდგა. თუ როგორ იყო აწყობილი ურთიერთობები, ჩვენთვის უცნობია; მხოლოდ იბერიის სუზერენის უფლებები საკმაოდ შეზღუდული უნდა ყოფილიყო, რადგან მას ყველა მის ღონისძიებაში ადვილად შეიძლება შეშლოდა ხელი.

ჩვენს გაოცებას იწვევს ის, რომ სტრაბონი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ვაჭრებს და მაინც არ შეიძლება არ დავუშვათ ვარაუდი, რომ ვაჭრობა იბერიაში ყვაოდა, რაზედაც მისივე აღწერა მიუთითებს. რაც შეეხება სხვა ხალხთა სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებს, სრულიად მწირი ცნობები გაგვაჩნია, მაგალითად, სტრაბონი ალბანელების შესახებ გვატყობინებს (XI, c. IV, § 6): νυνὶ μὲν οὖν εἷς ἁπάντων ἄρχει, πρότερον δὲ καὶ καθ' ἑκάστην γλῶτταν ἰδίᾳ ἐβασιλεύοντο ἕκαστοι. γλῶτται δ' εἰσὶν ἓξ καὶ εἴκοσιν αὐτοῖς. აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ აქ გაერთიანების პროცესი მიმდინარეობდა; სხვადასხვა ტომებად დაყოფილი ხალხი ერთ მთლიანობას ქმნიდა. ზემოთ აღნიშნული გამონათქვამების შემდეგ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პატარა მეფეების ქვეშ ბერძენი გეოგრაფი მხოლოდ მამასახლისს გულისხმობდა. აგრეთვე ალბანელი „მეფეც“ უფლებრივად ძალიან შეზღუდული უნდა ყოფილიყო, რადგანაც ძველმა ტომებმა მთლიანად ვერ დაუთმეს თავიანთი განსა-

180 Dio Cass. Epit. 1, LXIX, 15 (3) მიხედვით, იბერების მეფის ამალაც არსებობდა, რასაკვირველია ჰადრიანის დროს, τῶν τε ἄλλων πρώτων Ἰβήρων, რომელიც მეფეს რომში ახლდა.

კუთრებული უფლებები, რომლებიც მათ ადრე გააჩნდათ.

გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ სვანებსაც[181] თავიანთი მეფე ჰყავდათ 300 მრჩეველით; თუ როგორი სახის საზოგადოებრივი წყობა გააჩნდათ მათ, ამის დადგენა შეუძლებელია, თუმცა საზოგადოებრივი წყობა ყველგან დომინირებდა, რასაკვირველია, გარკვეული მოდიფიკაციით. მაგალითად, როდესაც იბერიელი სასულიერო პირები სახელმწიფო საქმეებში ერეოდნენ, მათ მიიწვევდა სუზერენი შესაბამისი საკითხის გადასაწყვეტად და ამ თვალსაზრისითაც, სვანურ და იბერიულ სახელმწიფო წყობას შორის მნიშვნელოვანი[182] განსხვავება არ არსებობდა.

სამხედრო საქმე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, იბერიაში არ შეიძლება ყოფილიყო მტკიცედ ორგანიზებული და დისციპლინური ჯარი, რომელიც პროფესიულად მომზადებული მეომრებისაგან იქნებოდა შემდგარი. დიდად განსხვავებულად არ გამოიყურებოდა ჯარი სხვაგანაც, მაგალითად, ალბანეთსა ან სვანეთში. თუმცა ჩვენი ცნობები ამის შესახებ არაფერს გვატყობინებენ, მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯარიც მოწყობილი იყო იმ საზოგადოებების შესაბამისად, რომლებზედაც უშუალოდ იყო მორგებული მთელი სახელმწიფო წყობა. და მართლაც, სხვა რა პრინციპი უნდა ჰქონოდა საფუძვლად სამხედრო წყობას?

ჩვენს ხელთ არსებული გვიანი ცნობები საშუალებას გვაძლევენ მხოლოდ შემდეგი რამ დავადგინოთ: მთელი ჯარი იყოფოდა ცხენოსან და ფეხოსან ნაწილებად.[183] საბრძოლო იარაღებად ხმარობდნენ შუბსა[184] და ლახვარს,[185] ასევე ისროდნენ მშვილდითაც. თავდაცვის იარაღებად იყენებდნენ აბჯრებს, დიდ ფარებსა და ბეწვისაგან დამზადებულ ჩაჩქნებს.[186] როგორც შუბით მებრძოლნი, განსაკუთრებით განთქმული იყვნენ იბერები, ხოლო ალბანელები იმდენად გაბედული მეომრები არ ყოფილან. ამ ხალხის ტაქტიკასა და სტრატეგიაზე წარმოდგენა რომ

---

181 Str. XI, c. II, § 19; ლაზების შესახებ გარკვეულ ცნობას გვაწვდის Priskos Panit. Histor. Gothica. IV, 26 – მაგრამ იგი ჩვენი მიზნებისთვის დიდად ვერ გამოგვადგება.

182 რასაკვირველია, ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ ვინ იყო ეს 300 სვანი მამაკაცი; რაოდენობა იმაზე მეტყველებს, რომ ისინი სასულიერო პირებს არ წარმოადგენდნენ და რომ მათ აზრს სვანების მეფე ანგარიშს უწევდა. ეს გარემოება მიუთითებს იბერიის მეფის მდგომარეობასთან მსგავსებაზე.

183 Str. XI c. IV § 5; Plut. Pomp. XXXV.

184 Plut. იქვე.

185 Plut. Lucull. XXXI.

186 Str. XI c. IV § 5; მშვილდოსანთა შესახებ აგრეთვე Dio Cass. XXXVII, 1. 3.

შეგვექმნას, ამის საფუძველი არ გაგვაჩნია, ჩვენთვის მხოლოდ ცნობილია, რომ შეტევის[187] დროს ისინი მოხერხებულნი და გაბედულნი იყვნენ. მაგრამ ნაკლებად წინდახედულნი. როდესაც მათ ციხესიმაგრეებში[188] თავდაცვითი რაზმები ჰყავდათ, როგორც, მაგალითად, იბერიაში, ისინი დიდხანს ვერ უძლებდნენ ალყას ან საქმე აქამდე არ მიჰყავდათ. ხშირად გამარჯვებულს მცირე ბრძოლებს უმართავდნენ.[189] ეს, რასაკვირველია, საკმარისი არ იყო საიმისოდ, რომ ერთიანი ორგანიზაციის, ტაქტიკისა და, უფრო მეტად კი, გარემოებათა წინასწარჭვრეტის სტრატეგია შეემუშავებინათ. რომაელთა ჯარის წინაშე ალბანელებისა და იბერთა ჯარები, თითქმის, პირველი შეტაკებისთანავე იფანტებოდნენ.

უცხო ძალის მხრიდან თავდასხმითი ომის დროს ისინი, ე. ი. ალბანელები, იბერები და კოლხები საერთო მტრის წინააღმდეგ ცალ-ცალკე იბრძოდნენ და ამიტომაც ერთმანეთის მიყოლებით მარცხდებოდნენ. მათ გაცნობიერებული არ ჰქონდათ, რომ ისინი ერთ ეროვნულ მთლიანობას წარმოადგენდნენ, რაც საერთო ინტერესებს ყველაზე უკეთ გამოადგებოდა.

ფულის (მონეტის) მოჭრა. ლითონის მონეტები ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევდნენ, ისინი რომ შეეგროვებინათ. მონეტები სრულიად გაბნეულია არა მარტო ევროპის, არამედ აზიის სხვადასხვა მუზეუმებში – კონსტანტინოპოლსა და თბილისში – ამიტომ, ჯერ საჭიროა მათი შეგროვება და შემდეგ გამოქვეყნება. თუმცა ჩვენ გაგვაჩნია ზოგიერთი ფაქტი, რომელსაც არ შეიძლება არ გავუწიოთ ანგარიში. ზემო იმერეთის სოფელ ბორში ნაპოვნია უამრავი ნივთი, მათ შორის იმპერატორ ავგუსტუსის 16 და პართიის მეფის კოტარ მესამის[190] რამდენიმე მონეტა. როგორ შეიძლება მოხვედრილიყო აქ პართიის მონეტები, თუ არა ვაჭრობის გზით? ის, რომ მონეტები ადგილობრივი არ არის, არამედ იგი რომაული და პართულია, მიუთითებს კოლხურ-იბერიულ-ალბანური ვაჭრობის პასიურობაზე. თვით კოლხურ მონეტებსაც კი,[191] რომლებიც

187 Dio Cass. XXXVII, 4.

188 Dio Cass. XXXVII, 1, 5.

189 Plut. XXXV.

190 ამ ცნობას ვუმადლი ქართველ არქეოლოგ ე. ვ. თაყაიშვილს, რომელმაც აღმოჩენის ადგილი თვითონ დაათვალიერა.

191 Zeit. f. Numism. გამომც. v. A. v. Sallet Aus der griechisch. Numismatik. v. Gutschmid: Saulakes, König der Kolcher; იქვე გვ. 150-დან Numismatic Chronicle Lond., 1877 I v. Kolche; Zeit f. Numis გამომც. A. v. Sallet 1878 V. გვ. 226; Z. f. Num. 1877 IV გვ. 229 და ა. შ.; პონტოს შესახებ, Z. f. N. 1887, XV, II, 1888, XVI, გვ. 136 და ა. შ.

კარგად და სუფთად იყო დამუშავებული და რომლებიც ადგილობრივი მეფეების დროს უნდა ყოფილიყო მოჭრილი, მხოლოდ უცხო, ბერძნული წარწერები გააჩნიათ და ბერძნული საფუძველი აქვთ.

დამწერლობა. წყაროში არაფერია ნათქვამი ადგილობრივი დამწერლობის შესახებ და მაინც სტრაბონი ამბობს (XI, c. IV, § 4), რომ ალბანელებს ზუსტი არც ზომისა და არც წონის ერთეული გააჩნდათ, განსხვავებით კოლხებისა და იბერებისაგან, სადაც ბაზრობებზე, ბუნებრივია, კიდეც ზომავდნენ და კიდეც წონიდნენ. მაშასადამე, მათ ზომა-წონის აღმნიშვნელი გარკვეული ნიშნები უნდა ჰქონოდათ. ეს ნიშნები ნასესხები იყო, თუ ადგილობრივი, ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ამის დადგენა ვერ ხერხდება, მაგრამ საყურადღებოდ გაგვაჩნია ცნობა, რომელსაც გვაწვდის Apoll. v. Rhod. IV, გვ. 279-281: οἳ δή τοι γραπτῦς πατέρων ἔθεν ἐφύονται κύρβιας, οἷς ἔνι πᾶσαι ὁδοὶ καὶ πείραθ' ἔασιν ὑφγῆς τε τραφερῆς τε πέριξ ἐπινισσομένοισιν.

მითითება იმაზე, რომ ურარტუს ხალხი, ე. ი. ალაროდიელები, ეთნიკურად ქართული წარმომავლობისანი,[192] დამწერლობას იყენებდნენ, გადამწყვეტი მნიშვნელობის არ არის. მაგრამ რადგან გარკვეული წრეებიდან დანიშნული სასულიერო პირები სახელმწიფოს საგარეო საქმეებსაც ხელმძღვანელობდნენ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მათ წარსული თაობების გამოცდილებები ჯერ კიდევ ახსოვდათ. მეზობლებთან სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად ისინი გარკვეულ იურიდიულ კანონებს უნდა დაყრდნობოდნენ. მათ ალბათ გარკვეული ფორმის ნიშნები გააჩნდათ, რადგან ცივილიზებულ ხალხთან, მაგალითად, ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობა მათთვის ბიძგის მიმცემი უნდა ყოფილიყო, რაც, როგორც სტრაბონი აღნიშნავს, არ დასტურდება. გარდა ამისა, კოლხების საუკუნოვანი ურთიერთობები ბერძნებთან და, საერთოდ, დასავლეთთან აუცილებელს ხდიდა ამ ხალხში დამწერლობის მსგავსი ნიშნების არსებობას მაშინაც კი, თუ მათ საკუთარი არ გააჩნდათ. რაიმე ნიშნები, ადგილობრივი ან ნასესხები, კოლხეთ-იბერიის უმაღლესი წრეებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო; ამას ადასტურებს მონეტები,[193] რომლებზედაც არა მარტო უბრალო ნიშნები, არამედ ბერძნული ასოებია ამოკვეთილი. კოლხეთში მონეტებისა და, საერთოდ, ვაჭრობისათვის, როგორც ვვარაუდობთ, ბერძნულ შრიფტსა და ბერძნულ ენას იყენებდნენ. თუმცა აღსანიშნავია, დიახ, ხაზგასასმელია, რომ

192 The Journal of the Royal Asiatic Society. New Series XIV 1882; აგრეთვე Ed. Meyer G. d. A. I § 475 გვ. 621-623.

193 გვ. 59 Anm. 2. Ferner Description de musee de feu le Prince Basile Kotschoubey. I. 427 ff.

ქართული დამწერლობა არც ერთი ჩვენთვის ნაცნობი დამწერლობიდან არ არის ნაწარმოები, არც ბერძნულიდან და არც სხვა რომელიმე ენიდან.[194]

6. რელიგია. ცრურწმენა

რელიგიის შესახებ კვლავ სტრაბონი გვაწვდის საკმაოდ ღირებულ და შინაარსით მდიდარ ცნობებს: მზეს, ზევსსა და მთვარეს თაყვანს სცემდნენ როგორც ღმერთებს, განსაკუთრებით კი მთვარეს, რომლის ტაძარიც ალბანეთში იბერიის მახლობლად მდებარეობდა. მისი ქურუმი, მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირი ქვეყანაში, სათავეში ედგა ტაძარს და მის წმინდა მამულს, ასევე ჰიეროდულებს (ტაძრის მონებს), რომელთაგანაც ზოგიერთი, ღვთით შთაგონებული, წინასწარმეტყველებდა კიდეც. იმათ, ვინც განსაკუთრებით ღვთით შეპყრობილნი იყვნენ და ტყეებში მარტო დაეხეტებოდნენ, ქურუმი იჭერდა, წმინდა ჯაჭვზე აბამდა და ერთი წლის მანძილზე კარგად კვებავდა, რათა შემდგომ, სხვა მსხვერპლთან ერთად, მალამოწასმულნი ღმერთისთვის შეეწირათ. ამ რიტუალის შემსრულებელი მსხვერპლს წმინდა შუბს (ლახვარს) ჩასცემდა გულში. იმ განსაკუთრებული ნიშნებით, რომლებიც ლახვარჩაცემულის დაცემის დროს ჩნდებოდა, წინასწარმეტყველებდნენ. ეს ნიშნები ყველასთვის ცნობილი ხდებოდა. განწმენდის მიზნით, გვამს ფეხს აბიჯებდნენ, მას შემდეგ, რაც მას გარკვეულ ადგილას მიიტანდნენ. ამგვარია გადმოცემა, რომელიც მხოლოდ ალბანელებს შეეხება. აქედან ნათლად ჩანს, რომ მთვარე ქვეყნის მთავარ ღვთაებას წარმოადგენდა. თუ რამდენად იყო დამახასიათებელი მთვარის თაყვანისცემა ყველა ქართველური ტომისთვის, საკმაოდ კარგად ჩანს იქიდან, რომ დღესაც ქართველებში შემორჩენილია ამ რელიგიის რუდიმენტები, მხოლოდ ქრისტიანობის გავლენის შედეგად ოდნავ სახეცვლილი.

სოფელ აწყურში,[195] ყოველ 14 აგვისტოს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან (ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიყიდან, თუშეთსა

194 მადლობას ვუხდი ბატონ Dr. R. Stübe, რომელმაც მიმითითა ჟურნალზე „Zeitsch. d. deutsch. Morgenl. Gesellsch." 40 Leipzig. 1886, სადაც გვ. 315-დან. N. Karamianz-მა ალბანური ანბანის 21 ასო გამოაქვეყნა; მე-9 საუკუნის ქართულ დამწერლობასთან შედარებისას, დიდი მსგავსება აღმოაჩინა. რადგან ხელნაწერი არ მინახავს, ვერ ვბედავ ვარაუდის გამოთქმას; Karamianz-მა ლეგენდურ გადმოცემას იზიარებს.

195 ტექსტში მოყვანილი ყველა თქმულება და მაგალითი აღებულია ჯავახიშვილის ნაშრომიდან, „ქართველი ხალხის ისტორია", გვ. 84-დან. წმ. გიორგის განსაკუთრებული თაყვანისცემის შესახებ იხ. Tietmar Mag., Peregrinatio 1217. ed. Laurent.

და ფშავ-ხევსურეთიდან) იკრიბება მომლოცველებისა და პილიგრიმების დიდი რაოდენობა. მომლოცველები ქალების წინამძღოლობით გარს უვლიან ეკლესიას სამჯერ ან შვიდჯერ. პროცესიას აცოცხლებს საეკლესიო საგალობლები. ზარების რეკვის შემდეგ, ხალხი თავს იყრის ეკლესიის წინ, რომლის კარებთან წმინდა გიორგის ერთ-ერთი „მონა“ წვება, თავით ჩრდილოეთისაკენ (ეკლესიის კარი დასავლეთისკენ არის მიმართული). ვერავინ შევა ეკლესიაში ისე, რომ მას ფეხი არ დაადგას. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ფეხით დაწოლა, მწოლიარეს უფლება არა აქვს ხმა ამოიღოს. ეკლესიის გარშემოვლის შემდეგ, მის წინა ეზოში წმინდა გიორგის ხატის „მონა ქალი“ იწყებს ცეკვას, რომელსაც იქ შეკრებილები კრძალვით შეჰყურებენ; ეს ნიშნავს იმას, რომ ხატმა მონა ქალს ცეკვა შთააგონა. მომლოცველებს თან მოჰყავთ შესაწირი საქონელი; ადამიანები გარკვეული დროის განმავლობაში, თავიანთი აღთქმის შესაბამისად, ჯაჭვის უღელს ატარებენ. ამ საზეიმო რიტუალის დასრულების შემდეგ, ისინი კვლავ უბრუნდებიან ეკლესიას, სადაც თავიანთი მონობისაგან თავისუფლდებიან. დიაკვანი ატარებს გათავისუფლების პროცედურას, რომლის დროსაც იგი მათ უღელს ხსნის; ამ დროს „მონა ქალები“, ძირითადად მუხლზე დაჩოქილნი, გარს უვლიან ეკლესიას ყელსა და კისერზე შემოვლებული საკმაოდ მძიმე ჯაჭვით. ისინი მღერიან და მაგრად აწებებენ ანთებულ სანთლებს ეკლესიის გალავანზე. „მონა“, რომელიც წმინდა გიორგის ხატს შეეწირა და ეკლესიის კარის წინ დაეცა, ასევე ატარებს კისერზე უღელს და გათავისუფლების შემდეგ ხატის სურვილს აცხადებს. ეს გახლავთ წმინდა გიორგის პატივსაცემად გამართული დღესასწაული.

სტრაბონის მიერ აღწერილ რიტუალთან შესაბამისობა გასაოცარია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ადამიანს მსხვერპლად აღარ სწირავენ და „შეწირული“ ტყეებში აღარ დარბის; მაგრამ ტყეს დღესაც მოიხსენიებენ: ეკლესიასთან იყო ტყე, რომლის ხეები წმინდა ხეებად ითვლებოდა და მათ ქვეშ სანთლებს ანთებდნენ, ხატის ნება-სურვილს თვით „შეწირული“ აცხადებდა. ის, რომ „შეწირული“ ეკლესიის კართან ეცემა და მას ხმის ამოღების უფლება არა აქვს, ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლოს წარმოადგენს, რაც განსაკუთრებულ აღნიშვნას აღარ საჭიროებს. ეკლესიის გარშემო უღელდადგმული, დაჩოქილი შემოვლა სხვა არაფერია, თუ არა სიმბოლოდ ქცეული თავშეწირვა, ე. ი. წმინდანისათვის ნებაყოფლობით თავის გაწირვა. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ „თეთრი გიორგის“, რო-

გორც მას საქართველოში უწოდებენ, მთელი დღესასწაული ყოველი წლის 14 აგვისტოს შებინდებისას იწყება და მთელი ღამე გრძელდება. ამ პერიოდში (14 აგვისტოდან 15 აგვისტომდე) სავსე მთვარეა. მთელი ღამე დაძინება არ შეიძლება. წმინდა გიორგი ამჯერად მთვარეს განასახიერებს: ახლა მას ისევე ეთაყვანებიან, როგორც სტრაბონის დროს ეთაყვანებოდნენ. ჩვენს თავს უფლებას მივცემთ და ამასთან დაკავშირებით ხალხური თქმულებებიდან რამდენიმე ჩანაწერს გაგაცნობთ:

ერთხელაც იესო ქრისტე, წინასწარმეტყველი ელია და წმინდა გიორგი ერთად მიდიოდნენ. გზაში მოშივდათ. როდესაც მათ მწყემსი ფარასთან ერთად დაინახეს, წინასწარმეტყველი მიუახლოვდა და ბატკანი სთხოვა. მწყემსი დათანხმდა, მაგრამ ჯერ მას თავისი სახელი უნდა გაემხილა. როდესაც მან გაიგო, რომ მთხოვნელი წინასწარმეტყველი ელია იყო, განრისხებულმა შესძახა:

- ოო! მე რომ ჩემი ღმერთის არ მეშინოდეს, ამ კომბლით თავს შუაზე გაგიპობდი.

ელიამ ჰკითხა, თუ რა იყო მისი ასეთი დახვედრის მიზეზი.

- როდესაც ღარიბი კაცი ან ქვრივი ქალი მიწის ნაკვეთს მოხნავს და მასზე დათესავს, შენ ჰექა-ქუხილითა და სეტყვით ყველაფერს ანადგურებ.

ამგვარი უარით დაშორდა მწყემსს წინასწარმეტყველი ელია. შემდეგ თვითონ იესო მივიდა მწყემსთან და თხოვნა გაიმეორა. მას შემდეგ, რაც მწყემსმა გაიგო, რომ მის წინ იესო იდგა, შესძახა, რომ მისთვის თავის გაპობა სურდა. იესომ ამის მიზეზი ჰკითხა. მწყემსმა უპასუხა:

- შენ ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდას ჰკლავ, ხოლო მოხუც, სუსტ ადამიანებს, რომლებსაც სიცოცხლე უკვე მობეზრებიათ, სიცოცხლეს უხანგრძლივებ.

იესო უკან გაბრუნდა. მაშინ წმინდა გიორგი მივიდა მწყემსთან და იგივე სთხოვა. როდესაც მწყემსმა გაიგო, თუ ვინ იდგა მის წინაშე, დაუჩოქა და მთელი ფარა მისცა. როდესაც სამივე მეგობარი დანაყრდა, იესომ თავისი ტანსაცმლის კალთა დაიბერტყა და ადგილი აკურთხა: აქ ისეთი მოსავალი უნდა მოსულიყო, რომ თითოეული ძნისგან 100 ბათმანი ხორბალი მიეღოთ. წმინდა გიორგიმ ეს უთხრა მწყემსს და ურჩია, ეს ადგილი მოეხნა, რაც მწყემსმა შეასრულა. გარკვეული დროის შემდეგ, მეგობრები კვლავ იმ ადგილს მიადგნენ და როცა იესომ შეიტყო, თუ რა გაეკეთებინა მწყემსს, მაშინვე უბრძანა ელიას, სეტყვით ყველაფერი გაენადგურებინა, რაც ამ მიწაზე ხარობდა. მწყემსმა გიორგისგან გაი-

გო ამის შესახებ და მაშინვე მიყიდა თავისი მიწა ქვრივ ქალს, თვითონ გადარჩა, ქვრივი კი დაზარალდა. როდესაც იესო მწყემსის ეშმაკობას მიხვდა, ელიას მინდორი ისევ ააყვავებინა. როგორც ეს მწყემსისთვის ცნობილი გახდა, მან გამოისყიდა მიწა და კარგი მოსავალიც მიიღო.[196]

იესო ქრისტე – სამყაროს შემქმნელი, როგორც იგი თავის თავს ამ ხალხურ თქმულებებში უწოდებს, და ელია, ჰექა-ქუხილის ღმერთი, როგორადაც იგი აქ გვევლინება, მწყემსის ღმერთებს არ წარმოადგენენ. იგი ორივეს კომბლით ემუქრება. მხოლოდ წმინდა გიორგი, ღარიბთა შემწე ღირსია სრული თაყვანისცემისა, მხოლოდ იგი არის ყოვლისშემძლე და მხოლოდ მას ძალუძს იესოსა და ელიას ხრიკებისა და გეგმების ჩაშლა. ნათელია, რომ იგი უფრო მაღალ რანგშია აყვანილი, ვიდრე დანარჩენი ორი. ასევე, ყოვლისშემძლედ და ღმერთებს შორის უპირველესად გვევლინება წმინდა გიორგი ქართველური ტომების სხვა თეოსოფიურ მოთხრობებშიც, არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც, მაგალითად, სვანებთან, იმერლებთან და ა. შ. ხალხურ თქმულებებთან ერთად გაგვაჩნია აგრეთვე სხვა ჩანაწერებიც იმის შესახებ, რომ წმინდა გიორგის ქართველები განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს და დღესაც ეთაყვანებიან. ყველგან, მთასა და ბარში, ეკლესიის მრევლი წლის განმავლობაში იკრიბება, რათა ან წმინდა გიორგის დღესასწაული იზეიმონ, ან მის ხატს სცენ თაყვანი და მის წინ ილოცონ. ფშაველები და ხევსურები წმინდა გიორგის ღმერთსაც კი უწოდებენ. ეს საკმარისია იმის გასაგებად, თუ რამდენად უფრო მაღლა დგას წმინდა გიორგი სხვა ღმერთებთან შედარებით, ხალხის შეხედულებასა და რწმენაში. ის, რომ დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ზემოთ მოყვანილ ლეგენდაშია აღწერილი, ქრისტიანული არ არის, არაპროფესიონალსაც კი თვალში ეცემა. როგორც ჩანს, წმინდა გიორგიმ თავის თავში სხვა ღმერთი და მისი კულტი გააერთიანა და ეს ღმერთი მხოლოდ ქრისტიანობის წინა პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. როგორც ჩანს, წინასწარმეტყველება, თავშეწირვა მჭიდროდ არის კულტთან, ე. ი. წმინდა გიორგის განსაკუთრებულ თაყვანისცემასთან, შერწყმული; არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ წმინდა გიორგის კულტს შეერწყა ძველი რწმენის მთვარის ღვთაება, რის გამოც მან მსგავსი თვისებები და თაყვანისცემა შეიძინა, როგორც ეს ერთ დროს მთვარეს გააჩნდა. კიდევ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ:

---

196 მსგავსი ხალხური თქმულება ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა ქართულ გაზეთ „იმერეთში", № 16, 1913, 20 იანვარი.

ხევსურები და ფშაველები მღვდელს დიდ პატივს სცემენ. ხალხი ხანდახან სთხოვს მას წმინდა გიორგის სურვილი შეიტყოს. იგი ჯერ ცარიელია. ხოლო დიდი ხვეწნის შემდეგ, ძირს ეცემა და წინასწარმეტყველებას იწყებს. მაგრამ იგი წინასწარმეტყველებს წმინდა გიორგის სახელით.

ქართლში არის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელსაც „გორის ჯვარი" ეწოდება. აქ ინახება დიდი, საკმაოდ მძიმე რკინის ჯაჭვი; როდესაც მომლოცველი, თავისი აღთქმის შესაბამისად, ეკლესიაში მოვა, შემოიხვევს ჯაჭვს ყელზე და სამჯერ გარს უვლის ეკლესიას.

სოფელ არბოში 14-იდან 15 აგვისტომდე, სავსე მთვარის დადგომასთან ერთად, იმართება წმინდა გიორგის ხატის პატივსაცემი დღესასწაული გერისთობა, კერძოდ კი – მთავარი გერისთობა.

რაჭაში (დასავლეთ საქართველო), სოფელ სორში, წმინდა გიორგის პატივისცემის ნიშნად იმართება დღესასწაული, სადაც მომლოცველთა დიდი რაოდენობა გიორგის ხატს თაყვანს სცემს. იგი იწყება ორშაბათს, შუაღამისას, აღდგომიდან ოთხი კვირის შემდეგ.

ისმის კითხვა, რატომ მაინცდამაინც ორშაბათს? ამას შემდეგი ახსნა მოეძებნება: ორშაბათი მეგრულად და სვანურად მთვარის დღეს აღნიშნავს (თუთაშხა, დოშდიშ) ანუ ის დღე, როდესაც თაყვანს მიაგებდნენ მთვარის ღვთაებას, ყველაზე შესაფერისი გამოდგა დღესასწაულისათვის.

სოფელ ზუნცაში (დასავლეთ საქართველო) წმინდა გიორგის ეკლესიასთან კვლავ იმართება ზეიმები. ირჩევენ საკმაოდ ღვთისმოშიშ მოხუც კაცს, რომელმაც მთელი ღამის განმავლობაში წმინდა გიორგის ხატთან უნდა ილოცოს, რათა მეორე დღეს იწინასწარმეტყველოს.

სურვილისამებრ შეგვიძლია უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა. აღნიშნული მაგალითები კი სრულიად საკმარისია, რათა ნათელვყოთ, რომ წმინდა გიორგი ქართველებში მთავარ როლს თამაშობს და მას ისეთივე თაყვანს სცემენ, როგორსაც ერთ დროს მთვარეს. მთვარის ღმერთის ყველა რიტუალი გადმოტანილი იქნა მასზე ამა თუ იმ მოდიფიკაციით. როგორც წინათ წარმოადგენდა მთვარე მთავარ ღვთაებას, ისე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს წმინდა გიორგის და მასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს. მაგრამ ისმის კითხვა, შინაგანად შესაძლებელი იყო თუ არა, რომ წმინდა გიორგის მთვარე და მისი კულტი საკუთარ თავთან დაეკავშირებინა. სტრაბონი ჰ Σελήνη-ში ამბობს, რომ შეიძლება ეს ღმერთის მდედრობით სქესზე მიუთითებდეს, მაგრამ ქართული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით მთვარე მამრული ბუნე-

ბისაა, ამის დასტურს ზოგიერთი თქმულება გვაძლევს. ერთ ხალხურ სიმღერაში ნათქვამია:

ნათელმა მთვარემ ერთხელ ბრძანა, მე მზეზე უკეთესი ვარო. დაჯდა და მისწერა უსტარი მზეს. აღმოსვლეთის ქარმა, როგორც შიკრიკმა, მზეს მიართვა ნაწერი, რომელმაც იგი გააბრაზა და სთქვა: მე მისი და ვარ, ის ჩემი ძმაა, რატომ არ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი? მეგრულში არსებობს სიმღერა: „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი და სხვადასხვა ვარსკვლავები და-ძმებია ჩემი". ის, რომ მზე მდედრობითი სქესისაა, იქიდანაც ჩანს, რომ თითქმის ყველა საკუთარი სახელი, რომელიც „მზე" სიტყვისგან არის ნაწარმოები, ქალთა სახელებია, მაგალითად, მზია, მზექალა, მზევინარი და სხვ. ამგვარად, სტრაბონმა ბერძნული გამოიყენა ისე, რომ არ გაითვალისწინა ღმერთის სქესი ადგილობრივი შეხედულების შესაბამისად.[197]

მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მზეს ღვთაებად მიიჩნევდნენ და მას თაყვანს სცემდნენ; თუმცა მზეს ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, როგორც მთვარის ღმერთს.

ზევსი აღიქმებოდა ჰექა-ქუხილის ღმერთად, რომელსაც წინასწარმეტყველი ელია განასახიერებდა.

არსებობდა თუ არა ამავდროულად ხეების და ცხოველების კულტი, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ცნობების საშუალებით, ძნელი დასადგენია, მაგრამ უნდა მივუთითოთ იმაზე, რომ მონეტებზე ძალიან ხშირად გამოსახულია ხარის თავი ან ადამიანის ტანი ხარის თავით; თუ რას უნდა უკავშირდებოდეს ეს, ძნელი გადასაწყვეტია.

ტაძრები (წმინდა ადგილები) და მათი ორგანიზაცია. როგორც აღნიშნავენ, არსებობდა რამდენიმე ტაძარი, ერთი – ალბანეთში, მეორე – მოსხებში.[198] ამასთანავე, იბერიასაც არ აკლდა ტაძრები, სადაც სასულიერო პირების არსებობა, რასაც სტრაბონი გვატყობინებს, შემდეგი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს: მათ გააჩნდათ მამულები და ტყეები, არც ტაძრებს აკლდათ მსახურები; ტაძრის საკუთრება წმინდა საკუთრებად ითვლებოდა. იყო თუ არა ტაძრები რაიმე სურათებით მორთული, ამის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. ჩვენ ვიცით მხოლოდ,

---

197 ჯავახოვის „ქართველი ერის ისტორიიდან" ითარგმნა – „ქართველი ტომების რელიგია" და გამოქვეყნდა მ. წერეთლის მიერ „The Quest" -ში 1912 წ. თებერვალ-აპრილში (სამწუხაროდ იგი ჩემთვის მიუწვდომელი გახდა). ტექსტში მოყვანილია თქმულებების მხოლოდ მცირე ნაწილი და თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი.

198 Str. XI c. II § 17.

რომ ისინი ერთდროულად წინასწარმეტყველთა ადგილსაც წარმოადგენდა, სადაც წინასწარმეტყველება და განწმენდა ხდებოდა. საკუთრებისა და სიმდიდრის თვალსაზრისით, ტაძრები და წმინდა ადგილები სხვადასხვაგვარად გამოიყურებოდა. ლევკოთეას ტაძარი აღწერილია, როგორც მდიდარი ტაძარი, ვიდრე იგი ძალაუფლების მფლობელთა მიერ არ იქნა გაძარცვული. ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ჩვენ ალბანელების შესახებ ვიცით,[199] ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ალბანური წმინდა ადგილები სიმდიდრით კოლხურსა და იბერიულს ჩამოუვარდებოდნენ. ხელოვნების შესახებაც დაგვრჩა ზოგიერთი რამ სათქმელი, რადგან ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები გაგვაჩნია. სამწუხაროდ, ჩვენ მარტო იმის დადგენა შეგვიძლია, რომ ხელოვნების შესატყვისი საქმიანობა ქართველური ტომებისათვის უცხო არ იყო. ამას ადასტურებს, პირველ რიგში, სტრაბონის ცნობები (XI, ც. III, § 1), სადაც დაზუსტებით საუბარია არქიტექტურულად ლამაზად შესრულებულ კერძო და საჯარო შენობებზე. ასევე გაგვაჩნია არიანეს მიერ მოწოდებული ცნობა (Εσβαλλόντων δὲ ἐς τὸν Φᾶσιν ἐν ἀριστερᾷ ἵδρυται ἡ Φασιανὶ θεός ...), რაც ღმერთების ქანდაკებების არსებობაზე მიუთითებს. მაგრამ ასევე ცხოველების მაგ. ლომების გამოსახულებები, სხვადასხვა საგნები მაგ. წყლის სათავსოები, ასევე მუსიკალური ინსტრუმენტები აკლდა არა მხოლოდ კოლხეთს, არამედ იბერიასაც.

რელიგიასთან ერთად, კოლხების ქვეყანაში გაბატონებული იყო ცრურწმენა, რაზედაც პლუტარქე და არისტოტელე გვატყობინებენ.[200]

ძირითადი წყაროები რელიგიის შესახებ, რომლითაც ავტორმა ნაწილობრივ ისარგებლა

1. იესო ქრისტეს, წინასწარმეტყველი ელიასა და წმინდა გიორგის თქმულების შესახებ იხ. Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа XIX, გვ. 152-დან;

2. მსგავსი თქმულებები ქართველური ტომების სხვადასხვა საცხო-

199 Arist. Polit. Lib. VII c. II § 16 შეეძლო გარდაცვლილთა კულტზე მიეთითებინა CI. Aelian. Ποικίλη ἱστ. IV, 1, ამ ნაწყვეტიდან ბევრს ვერ შევიტყობთ. სამაგიეროთ Apoll. v. Rhod. Arg. III, 196-210; კოლხური ფიცი: Apoll, Argon. school. retera e codice Laurentano ed. H. Keil. Lips. Teubn 1854 III, 714: οὐρανὸς καὶ γῆ.

200 Plutarch libellus de fluviis V, Φᾶσις II; Aristot. Περὶ θαυμας. ἀκουσμ. 158.

ვრებელი ადგილებიდან: Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа. X, XXXV, გვ. 106-დან. აგრეთვე: პროფ. ხახანოვი: «Очерки по истории грузинской словестности», გვ. 252;

3. წმინდა გიორგის განსაკუთრებულად დიდი თაყვანისცემის შესახებ, რომელიც მას საქართველოში გააჩნია; მისი სახელობის უამრავი ეკლესია და ა. შ.; მაგ. Tietmar Peregrinatio 1217 ed. Laurent. გვ. 51; ვახუშტი, „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა", გვ. 52, 318, 222; „ივერია", 1886, № 243; 1889, № 271; 1887, № 158; Дубровин Н, История войны и владычества русских на Кавказе. Т. I, кн. I, გვ. 167-დან; ასევე: Кавказ 1858, № 56, 1847, № 3. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 80, 81, 106, 111, 117. А. С. Хаханов, Экспедиция на Кавказе в 1892, 1893 и 1895 гг. // МАК. Т. VII. 1898, გვ. 61; Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Грузии и Аджаре. СПб., 1878, გვ. 92, 104, 201, 207, 234, 247, 252;

4. წმინდა გიორგის ღვთაებრივი თაყვანისცემის შესახებ ზოგიერთ ქართველურ ტომში: ხევსურებთან, ფშაველებთან და სვანებთან. იხ. გაზეთი „ივერია", 1886, № 242; აგრეთვე, გულბიანის წერილი კრებულში: Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа» , X, V;


5. „თეთრი გიორგის" დღესასწაულის შესახებ აწყურში ყოველი წლის 14 აგვისტოს, «Кавказ», 1878, №№ 229, 230; ქართული ხალხური დღესასწაულები.

6. წმინდა გიორგის მსგავსი დღესასწაულები „შეწირულის" დაცემით და წინასწარმეტყველებით, იხ. «Записки Кавказского Отдела русского географического Общества», книга III, 1855, გვ. 102-დან; Р. Эристов, «О тушино-хевсурском округе». ЗКОРГО, 1885, кн. 3; ასევე: გაზეთი „ივერია", 1886, № 267. ვახუშტი, „საქართველოს გეოგრაფია", გვ. 140, 81. რაძდე, «Записки Кавказского Отдела русского географического Общества», X. გვ. 203, ხევსურეთი და ხევსურები. ნ. მინდელი. Сборник мотериалов для описания местностей и племён Кавказа, XIX, გვ. 116-დან. პროფ. ა. ცაგარელი, Журнал министерства народного просвешения, 1877 (декабрь), გვ. 217. Гагуа, селение Носири. Сборник мотериалов для описания местностей и племён Кавказа, X; „ქართლის ცხოვრება", გვ. 294; Н. Берзёнов, Очерки деревенских нравов Грузии // Кавказ, 1858, № 55, 56; ასევე ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტალური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია", გვ. 83-დან, რომელსაც ჩვენ მასალის შეგროვების დროს ძირითადად ვეყრდნობოდით.

გარდა ამისა, მსგავსი თქმულებები ხელახლა იქნა შეგროვებული:

„იმერეთი“, 1913, № 16, პროფ. ჯავახიშვილის ნაშრომებიდან რელიგიასთან დაკავშირებული მონაკვეთები თარგმნილი და გამოქვეყნებული მ. წერეთელის მიერ ჟურნალში „The Quest“, 1912 (იანვარი).

აღნიშნული ჟურნალი გერმანულ ბიბლიოთეკებში ვერ მოვიპოვეთ (ავტორი).



II

კავკასია და ძველი აღმოსავლეთი

კავკასია და ძველი აღმოსავლეთი[1]

წინათქმა

კავკასიის ძველ აღმოსავლეთთან კავშირ-ურთიერთობების უკეთ განხილვის თვალსაზრისით, გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი:

უკვე ენეოლითურ ხანაში თვალშისაცემი იყო ხალხებისა და რასების ერთმანეთში არევა ახლო აღმოსავლეთში. სამხრეთ პალესტინაში ჩატარებულმა გათხრებმა დაადასტურა ნეანდერტელი ადამიანის არსებობაც კი, რომელიც თავდაპირველად დასავლეთ ევროპიდან იყო ცნობილი. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ნეგროიდები და სხვა ფერადკანიანი ხალხები, რომელთა არსებობასაც ძველ აღმოსავლეთში ერთხმად ადასტურებენ ისტორიკოსები და ამ დარგის სპეციალისტები. მათ შორის სავარაუდოა, აგრეთვე, თეთრკანიანი ხალხების არსებობა. კულტურული თვალსაზრისით, ამ ეპოქაში უკვე იწყებოდა სპილენძის წარმოება, გავრცელებული იყო ქთონური რელიგია და განსაკუთრებით იგრძნობოდა მატრიარქატის ელემენტები. ეს მკვეთრად შერეული რასები და ხალხები ქმნიან ჩვენთვის წინააზიურ სუბსტრატს, რომელიც შედგებოდა ამა თუ იმ ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად დაახლოებული, ნაწილობრივ კი, ასევე, უცხო და სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებისაგან, რომლებიც, აღნიშნული განსხვავების მიუხედავად, ერთნაირი, ძველ წინა აზიაში დამკვიდრებული კულტურული ტრადიციების მატარებელები იყვნენ. „არმენოიდული" სახეობა მხოლოდ ვარიაციაა ამ შერეული რასისა, რომელიც ამ უკანასკნელს (შერეულ რასას) სუსტად გამოხატავს. იმ უძველეს დროში კავკასიას უკვე ჰქონდა ინტენსიური ურთიერთობა აღმოსავლეთთან და მასთან კულტურული კავშირები აახლოებდა.

ლითონის ხანა. დაახლოებით მე-5 ათასწლეულიდან ჩრდილოეთიდან ერთმანეთის მიყოლებით გადაადგილდებოდნენ ადამიანთა ჯგუფები (მიგრანტები), რომელთაც უკავშირდება ლითონის დამუშავების ხანის დასაწყისი აღმოსავლეთში. უფრო სავარაუდოა ის გარემოება, რომ ადამიანთა ეს ჯგუფები კავკასიიდან ჩავიდნენ აღმოსავლეთში. თავდა-

1 დაიბეჭდა: In: Zeitschrift für Ethnologie. Organ der Berliner Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte, Heft 4/5 - SS: 141-180.

პირველად იქ მაღალ დონეზე განვითარდა ჯერ სპილენძის, შემდეგ კი ბრინჯაოს ხანა. როგორც ჩანს, მიგრანტებმა ახალ სამოსახლოში სხვა-დასხვა კულტურული ელემენტი შეიტანეს. ისინი მოვიდნენ, როგორც მეომართა კასტა, ლითონისაგან დამზადებული იარაღებით და თავიანთი საომარი უპირატესობით მთელ აღმოსავლეთზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს. დღემდე განსაკუთრებით ნათლად იკვეთება კავკასიური, ე. ი. ქართული ელემენტი შუმერულში, რაც, სხვა მხრივ, იმის ალბათობას ზრდის, რომ მან სხვა მრავალ ხალხზე, მეტ-ნაკლებად, დიდი გავლენა მოახდინა. ეს გავლენა რამდენადმე აღწევდა პალესტინამდე და ეგვიპტემდე სამხრეთში, უკრაინამდე, პოლონეთამდე და სამხრეთ სკანდინავიამდე ჩრდილო-დასავლეთში, სამხრეთ ევროპამდე დასავლეთში, დაბოლოს, აღმოსავლეთ აზიამდე. ამ ახალ რასას კავკასიურ, ზაგრო-პონტურ (zagropontisch), იაფეტურ, ან კიდევ ქართულ რასას უწოდებენ. სამეცნიერო ანთროპოლოგიურ წრეებში დადასტურებულია, რომ იგი ზემოაღნიშნული ნეოლითური, წინააზიური სუბსტრატული რასისაგან სრულიად განსხვავდება.

კულტურული თვალსაზრისით, ამ ახალ რასას, გარდა ლითონის დამუშავების ხელოსნობისა, აკუთვნებენ აგრეთვე მესაქონლეობისა და გუთნური მიწათმოქმედების კულტურის გავრცელებას, სავარაუდოდ, აგრეთვე, მეთუნეობისა და მეცხენეობის შეტანას აღმოსავლეთში და განსაკუთრებით კი სახელმწიფოებრივი წყობის შემუშავება-დამკვიდრებას; მასვე მიეწერება პატრიარქალური ურთიერთობების გავრცელება აღმოსავლეთში, რამაც გაარღვია მატრიარქალური კულტურა. იგი ალაგ-ალაგ უკან იხევდა და მარცხდებოდა კიდეც, მაგრამ ნელ-ნელა მაინც იმკვიდრებდა ადგილს. დღემდე დადასტურებულია მისი ძირეული ნათესაობა არიულთან; განსაკუთრებით მისი დაწინაურებული ფენა მიჩნეულია „წმინდად არიულად ჩამოყალიბებულად". ორივე ამ რასის მოგზაურობანი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ, თითქმის, ერთდროულად და იმავე გზებით ხორციელდებოდა. ეს რასა ძირეულად განსხვავდება სხვა რასებისაგან, მაგალითად, მონღოლურისა თუ სემიტურისაგან. ყურადსაღები პარალელების გავლება კავკასიურ მოგზაურობებთან, რომლებიც ძველ დროში ხორციელდებოდა, შუასაუკუნეებიდან არის შესაძლებელი: ჩერქეზების დინასტია და ქართველი სულთანი ეგვიპტეში, ქართულ-კავკასიური წარმოშობის სახელმწიფო მოღვაწენი და მთავარსარდლები თურქეთსა და სპარსეთში, განსაკუთრებით კი ბიზანტიის იმპერიაში, ქართულ-ლაზური სამონასტრო კერები (უკვე მე-5-

6 საუკუნეებიდან) ყველგან ახლო აღმოსავლეთში: ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე, წმინდა მიწაზე (პალესტინა), თვით ბალკანეთამდე! კავკასიელები აღმოსავლეთში იგივე როლს ასრულებდნენ, როგორც გერმანული ტომები დასავლეთში.

კავკასიის კულტურული კავშირები აღმოსავლეთთან, ლითონის ხანიდან დაწყებული, უფრო და უფრო ნათლად იკვეთება და გასაგები ხდება. ამ კავშირებს ეხება ეს ნაშრომი, რომელიც მხოლოდ ნაწილია მასალათა მოზრდილი კრებულისა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: 1. ადათობრივი, ჩვეულებითი სამართალი და 2. წარმართული რელიგია.

I. ჩვეულებითი (ადათობრივი) სამართალი

I.I. ძველი მცირეაზიური სამართლებრივი მსოფლმხედველობის სფეროდან

კანონთა კოდიფიცირების საწყისები და მიწების კანონის ფიქსირება შუმერსა და ბაბილონში ცნობილია უკვე ქრისტიანობამდე მე-3 ათასწლეულის დასაწყისში: ლარსას მეფე ურუქაგინა (ქრისტეშობამდე 2900 წ.) და გუდეა ლაგაშელი (ქრისტეშობამდე 2600 წ.) სწორედ ამ მიმართულებით ცდილობდნენ ემოქმედათ. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სრული ცნობა მოიპოვება ჰამურაბის შესახებ, რომელიც პირველი ბაბილონური დინასტიის მეექვსე მეფეა (ქრისტეშობამდე 2000 წ.).[2] ქრისტიანობამდე მესამე ათასწლეულს ეკუთვნის უძველესი ასურული კანონები, რომელთაც დღემდე ვიცნობთ და რომლებსაც ქიულთეფეში (კაბადოკია) მიაკვლია პროფესორმა ფრ. ჰროზნიმ.[3]

ამათგან განსხვავებით კი ხეთური კანონები, სავარაუდოდ, ქრისტიანობის დამკვიდრებამდე მე-14 საუკუნეს განეკუთვნება, ყოველ შემთხვევაში, მათი პირველი გამოქვეყნების თარიღის მიხედვით. ჰროზნის შეხედულებით, ეს კანონები საბოლოო სახით გამოსცა ან მეფე სუფილულიუმამ (1399-1350 წწ.), ან მისმა ვაჟმა, მეფე მურსილის II-მ (1347-1310 წწ.), ან კიდევ, რაც ნაკლებ სარწმუნოა, მეფე ხათუსილ III-მ (1300-1270 წწ.).[4] ამასთან, ედ. კუქმა მართებულად დაადასტურა, რომ ამ კანონთა

2 Ed. Cuq. Études sur le droit babylonien, les lois assyriennes et les lois hittites 1922, S. 4.

3 იქვე. გვ. 432-460. G. Contenau, Civilis. des Hittiteset des Mitaniens, გვ. 167-174.

4 Fr. Hrozny, Code Hittite, 1922, S. I; H. Zimmern und J. Friedrich, Hethitische Gesetze aus dem Staatsarchiv von Boghazköi, 1922, S. 4.

კრებულში ზოგიერთი პროვინციის აღნიშვნა ან არაღნიშვნა შეიძლება ცნობად იქნას მიღებული შესაბამის ეპოქასთან დაკავშირებით, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ ხეთური ძალაუფლების განვითარების რომელ ხანაში იქნა ისინი გამოცემული. აქედან გამომდინარე, ედ. კუქი აკეთებს დასკვნას, რომ ჩვენთვის ცნობილი უძველეს კანონთა კრებული, სავარაუდოდ, ძვ. წ. მე-14 საუკუნეს განეკუთვნება,[5] რადგან მასში, მაგალითად, სირია მოხსენიებული არ არის. მეორე გამოცემა მურსილ II-ის მიერ, სავარაუდოდ, ძვ. წ. მე-13 საუკუნეში შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

ეს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის კანონთა კრებულები აშკარავებს და ნათელს ხდის იმ ძირითადი მსოფლმხედველობრივი პრინციპის ერთიანობას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, თუ როგორი მჭიდრო და ჰომოგენური იყო იმდროინდელი კულტურული წრე, საიდანაც წარმოიშვა ეს კრებულები. ამას მოსდევს კიდევ რამდენიმე აქტი და ოფიციალური დოკუმენტი შუმერის, აქადისა და ბაბილონის პირველი დინასტიის სასამართლო და სამართლებრივი გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც, ჰამურაბისა და კაბადოკიურ (ქანესი) კრებულებთან (დაფებთან) ერთად, იმ უძველეს სამართლებრივ საბუთებს წარმოადგენენ, ჩვენთვის რომ არის ცნობილი. უფრო მეტიც, ისინი მიუთითებენ იგივეობასა და ანალოგიებზე იმ ადათ-წესებთან, სამართლებრივ ტრადიციებსა და კანონიერ დანაწესებთან, რომლებსაც ჩვენ უკვე უძველეს დროში ბერძნებთან და რომაელებთან ვხვდებით.

ფორმის, შინაარსისა და თავიანთი დანიშნულების მიხედვით, ეს უძველესი კანონთა კრებულები უაღრესად თანამედროვედ გვეველინებიან და ცხადყოფენ მაღალ ეთიკას როგორც სავაჭრო, ისე საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, რაც, ზოგადად, მაღალგანვითარებული ცივილიზაციის არსებობაზე მიგვითითებს.

ა. ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა

ყველა მკვლევარი აბსოლუტურად ერთსა და იმავე თვალსაზრისს გამოხატავს, როდესაც ამტკიცებს, რომ ქალის მდგომარეობა ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურულ წრეებსა და სფეროებში საკმაოდ მაღალი და პრივილეგირებული იყო. ეს განსაკუთრებით შეინიშნებოდა

5 Ed. Cuq, Études sur le droit babylonien, les lois assyriennes et les lois hittites, 1922, S. 466-467; G. Contenau, Manuél d'Archéol. Orient, S. 340-354.

მცირე აზიის იმ ხალხებში, რომელთაც ხან აზიურს, ხან იაფეტურს და ხანაც კავკასიურს უწოდებენ, რამაც აღმოსავლეთის წინარე ინდოგერმანული, წინარე სემიტური რასაა ნაგულისხმევი.

ბაბილონსა და შუმერში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქალები უკვე უძველესი დროიდან სარგებლობდნენ საერთო ხასიათის უფლებამოსილებებით; გარკვეულწილად სამართალი აქ ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე რომაელებთან კლასიკურ ხანაში. ზოგადადაც, სამართლებრივი გადაწყვეტილებები უფრო ჰუმანურია და ჰკუა-გონებას, შეგნებას კანონის დოგმებზე[6] უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ორივე სქესის წარმომადგენლებს უფლება აქვთ იქორწინონ,[7] თუკი სურთ, ისე, რომ განსხვავება არ კეთდება თავისუფალსა და არათავისუფალ პიროვნებას შორის. ქორწინებას წინ უძღვის სხვადასხვა ცერემონიალი: მაგალითად, ნიშნობა და ა. შ. დანიშნული (სასიძო) პატარძლის მშობლებს მიართმევს ძღვენს, რომელსაც „თირჰათუ" ერქვა, რაც, არავითარ შემთხვევაში, არ აღიქმებოდა ქალის სყიდვად, ანუ სყიდვითი ქორწინების აქტად, რადგანაც ჰამურაბის დროს ქალის მდგომარეობა საზოგადოდ ძალიან მაღალი იყო, იმდენად მაღალი, რომ შესაძლებელი ვერ იქნებოდა ქალის ყიდვა. ეს წეს-ჩვეულება, როგორც ჩანს, კიდევ უფრო ძველი დროიდან მოდის. საპასუხოდ, სასიძო პატარძლის მშობლებისაგან იღებს სამაგიერო ძღვენს, საჩუქარს, „შერიქთუს" რომ უწოდებდნენ, რომელიც ზოგჯერ სასიძოს საჩუქარსაც აღემატებოდა, რაც კვლავ იმას ადასტურებს, რომ საქორწინო ვაჭრობასთან არ გვქონდა საქმე – ქალი რჩება თავისი მზითვისა და ქონების მესაკუთრედ; ქონება შემდეგ მისი შვილების მემკვიდრეობაში გადადის; თუ ქალი დაქვრივდება, მისი უფლებები სრული და შეუვალი რჩება; ზოგიერთ შემთხვევაში იგი იმის უფლებასაც კი ინარჩუნებს, რომ თავისი ქმარი მიატოვოს. მაგრამ თუ მაინც დავუშვებთ ქორწინების სყიდვითი ფორმის არსებობას, როგორც ამას კოშაკერი[8] ამტკიცებს, მაშინ, მეორე მხრივ, ვერ უარვყოფთ, რომ მზითვით თანხლებულ თავისუფალ ქორწინებას ჰამურაბის დროს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც სყიდვით განხორციელებულ ქორწინებას (თუკი ასეთი რამის დაშვება საერთოდ შეიძლებოდა, რასაც ედ. კუქი გადაჭრით უარყოფს). ამ შემთხვევაში კოშაკერთან ერთად უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავ-

6 Cuq, Études sur le droit babylonien., გვ. 3.

7 იქვე, გვ. 21-45; G. Contenau, მითითებული ნაშრომი, გვ. 344-348.

8 Rechtsvergleichende Studien, გვ. 153, 196.

სი ორგვარი ქორწინების ფორმის არსებობა ორი ხალხის შერეული, სხვადასხვა კულტურის სფეროს არსებობაზე მიგვანიშნებს. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც სასიძო თავისი საცოლის ოჯახის სხვა წევრებსაც საჩუქრებს უძღვნიდა, რომელთაც ბიბლუ ეწოდებოდა. იგი ნიშნობის დროს რიგდებოდა და სხვადასხვა ნივთებისგან შედგებოდა. არც თირჰათუ და არც ბიბლუ სასიძოსაგან არ მიიღებოდა, თუ ნიშნობა სასიძოს მხრიდან ან მისი რაიმე ბრალეულობის გამო გაუქმებულად ჩაითვლებოდა. გარდა ამისა, ქალი ზოგჯერ თავისი ქმრისაგან იღებდა ძღვენს, ნუდუნუს, რაც გერმანული ტომების დილის ძღვენს მოგვაგონებს, თუმცა ეს მასთან იდენტურობას არ გულისხმობს. ეს საჩუქარი განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ ქალი უფრო უზრუნველყოფილი და საიმედო მდგომარეობაში ყოფილიყო, ვიდრე ამას კანონი ითხოვდა.

ქალს აქვს უფლება, გამოვიდეს სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ კაცს შეუძლია იგი ასევე სრულუფლებიანად შეცვალოს (და მის მაგივრად გამოვიდეს). ცხადია, რომ ქალი ქორწინებამდე სრულად და შეუზღუდავად უფლებამოსილია ისევე, როგორც მამაკაცი, რათა იყისროს ვალდებულებები და ისინი სხვებსაც დაავალოს, მონაწილეობა მიიღოს სახელშეკრულებო ურთიერთობებში (გარიგებები), იყიდოს და გაყიდოს, გადაცვალოს, სესხი აიღოს ან თავად გაასესხოს, იჯარით აიღოს ან გასცეს, მემკვიდრეობა მიიღოს ანდა გაანაწილოს; მას შეუძლია, ყველა სასამართლო საქმეში მხარედ ან მოწმედაც გამოვიდეს, შეუძლია ერთგვარი მდივან-გადამწერის როლი შეასრულოს ღმერთის – შამაშის – ტაძარში, რომლის კარებთან ხშირად ცერემონიები იმართებოდა; თუ გათხოვილი ქალის უფლებრივი მდგომარეობა დღემდე იმდენად გარკვეული არ იყო, როგორც ამას გაუთხოვარ ქალთან ჰქონდა ადგილი, მაინც ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ ქალი ყველა საქმეში მუდამ თავის ქმართან ერთად მოიხსენება სამართალსუბიექტად; ამას ადასტრუებს ის ხელშეკრულებები კაცსა და ქალს შორის, რომლებიც დღემდე მოღწეულია და პირდაპირ მიუთითებს გათხოვილი ქალის თანასწორ უფლებებზე. ქალი თავისი ხელმოწერითა და დამოწმებით თავდებად უდგება თავის ქმარს, იგი ეხმარება მას და მის გვერდით რჩება ყველა მნიშვნელოვან ოჯახურ საქმეში: ქორწინებისას, შვილად აყვანისას, ძღვენის, საჩუქრების დარიგებისას და ა. შ.[9]

9 Ed. Cuq, Études... გვ. 278, 371-375; შდრ. H. Ehelolf, Ein altassyrisches Rechtsbuch; Koschaker-ის შესავალით. 1922. ჟურნ. Mitteil. aus der Vorderasiat. Abt. d. Staatl. Museen zu Berlin, რვეული 1.

ასურული[10] კანონების მიხედვით, ქორწინებას წინ უძღვის ნიშნობის ცერემონიალი, რომლის დროსაც სასიძო პატარძალს პარფიუმერულ ზეთს უსვამს თავზე და მას ნამცხვარსა და სამკაულებს, ასევე ზემოაღნიშნულ თირჰათუს აძლევს; ამგვარად, ასურული წეს-ჩვეულება ბაბილონურისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ აქ თავად პატარძალი იღებს საჩუქარს, იქ კი – მისი მშობლები. ამასთან, აქაც სასიძო პატარძლის მშობლებს საჩუქრებს გადასცემს: ვერცხლს, მარცვლეულს, ცხვრებსა და ა. შ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ თირჰათუ ქორწინების სყიდვით ფორმას გამორიცხავს, რადგან ასეთ შემთხვევაში საჩუქრები არა პატარძალს, არამედ მშობლებს უნდა მიეღოთ.

როგორც ბაბილონში, ისე ასურეთში მოითხოვდნენ საბუთს, რომელიც იქმნებოდა ქორწინების დროს და რომელშიც მოცემული იყო ქალის მოვალეობათა ზუსტი ჩამონათვალი.

არსებობდა ქორწინების ორი ფორმა: პირველ შემთხვევაში ქალი მიდიოდა თავისი ქმრის სახლში, თან მიჰქონდა შირქუ, ანუ მზითევი და საერთოდ ყველაფერი, რაც თავისი მშობლების ან საქმროს მშობლებისგან ჰქონდა მიღებული. ყოველივე ეს ქალის საკუთრება იყო და განკუთვნილი იყო მისი შვილებისთვის; მეორე შემთხვევაში ქალი მშობლების სახლში რჩებოდა, კაცი მასთან მიდიოდა, მიჰქონდა საჩუქრები, „ნუდუნუს“ რომ უწოდებდნენ, რომელიც შეეძლოთ ქალის სიკვდილის ან გაყრის შემთხვევაში უკან მოეთხოვათ; მეორე მხრივ, ნუდუნუს მიღება ქალს პასუხისმგებელს ხდიდა ქმრის მოვალეების წინაშეც; ქმრის სიკვდილის შემთხვევაში მთელი ქონება ბავშვებზე გადადიოდა.

ქვრივების ქორწინებისას ქონების საკუთრების საკითხი იმით წყდებოდა, თუ ვის სახლში ცხოვრობდა წყვილი: ქალს ეკუთვნოდა ყველაფერი, თუ ქმარი მის სახლში ცხოვრობდა ან პირიქით.

ქალს შეეძლო კვლავ ექორწინა, თუ მისი ქმარი ხუთ წელიწადზე მეტხანს სახლში არ იყო; ამ დროის გასვლის შემდეგ, პირველი ქორწინება გაუქმებულად ითვლებოდა. ომში ტყვედ მყოფის ცოლისთვის ეს ვადა მხოლოდ ორ წელიწადს შეადგენდა. გარდა ამისა, ქალი იღებდა საცხოვრებელ სახლს, დასამუშავებელ ნაკვეთს და მინდორს, თუ შრომისუნარიანი იყო. თუკი იგი სასახლის კარზე მუშაობდა, მაშინ საზოგადო ხარჯებით სარგებლობდა. ბაბილონური წესის მიხედვით, ქალს შეეძლო კვლავ ექორწინა, „თუკი ტყვე მეომრის სახლში საჭმელი აღარაფერი მოეძევებოდათ“.

10 იქვე. გვ. 432-460.

საინტერესოა ედ. კუქის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ასურული „თირჰათუ" და ძველებრაელთა „ქეთუბა"ერთმანეთის მსგავსია.

ეს პარალელი ძველებრაულთან კვლავ უნდა მოვიხსენიოთ, როცა ასურული ლევირატსა და სოროატს ვეხებით: ასურეთში ქვრივმა ქალმა შეიძლება თავისი განსვენებული ქმრის ძმაზე იქორწინოს; უფრო მეტიც – ეს ჩვეულება ასურეთში დანიშნულებზეც ვრცელდება.

გათხოვილი ქალი ვალდებულია ქუჩაში და ხალხის თავშეყრის ადგილებში მხოლოდ პირბადით გამოჩნდეს, რაც იმის ნიშანია, რომ იგი თავისი ქმრის საკუთრებაა, და, პირიქით, გაუთხოვარი ქალი მკაცრად დაისჯება, თუ იგი სიყალბეს ჩაიდენს და პირბადეს გაიკეთებს.

აღსანიშნავია, ასევე, ის გარემოებაც, რომ ასურული კანონების მიხედვით, ქმარი თავისი ცოლის ანუ ქალის მშობლების სახლში ცხოვრობს. ეს ჩვეულება იშვიათია (გვხვდება, მაგ., კუნძულ ფორმოზაზე და იაპონიისა და ჩინეთის ზოგიერთი განუვითარებელი, პრიმიტიული მოსახლეობის ფენებში).

იგივე ადათ-წესებს ვხვდებით ასევე ხეთებთან[11] ქორწინებასა და სხვა წესებთან მიმართებაში; ასევეა ასურელებსა და ბაბილონელებთან: ნიშნობა[12] ქორწინების[13] წინ; აქაც სასიძო გადასცემს საჩუქრებს ქალის მშობლებს ან თავად საცოლეს; სამაგიერო საჩუქრები სასიძოსაც გადაეცემა.

ლევირატი[14] ხეთებთანაც სავალდებულოა და ის თანამიმდევრულად ხორციელდება; ხეთებთანაც ვხვდებით ქორწინების ამ ორივე ფორმას, რომლის დროსაც ქალი საქმროს სახლში მიდის და, პირიქით, საქმრო მიდის საცოლის სახლში. საჩუქრები და ძღვენი ორივე შემთხვევაში ქალის შვილებს რჩებათ, რაც არ უნდა დაემართოს მათ მშობლებს.

ხეთებთან ჩვენ კიდევ უფრო მეტ რამეს ვეცნობით, რაც სხვა ძველი ხალხების ისტორიიდან არ ვიცოდით და რაც მათთან, სავარაუდოდ, იმავე ფორმით ხდებოდა. მაგალითად, ფორმალობა, რომელსაც ცოლი და დედა ასრულებენ, როდესაც მათ ვაჟს სახლიდან აგდებენ, ანდა

---

11 Ed. Cuq, Études... გვ. 457-507; შდრ. E. Zimmern და J. Friedrich, Hethitische Gesetze aus dem Staatsarchiv von Boghaköi (um 1300 v. Chr), 1922, გვ. 3-32; „Der alte Orient", Hrozny, Code Hittite, 1922.

12 Hrozny, Code Hittite, გვ. 23, § 28; გვ. 25, § 29-30.

13 იქვე. გვ. 25. § 31; გვ. 27. § 32-34; გვ. 29; § 35-37.

14 იქვე. გვ. 147. § 193.

პირიქით – შერიგების შემდეგ კვლავ სახლში იღებენ.[15] თუ ვაჟი სახლიდან გააძევეს, დედას მისი ტანსაცმელი სახლიდან გამოაქვს: ეს ნიშნავს, რომ ვაჟი უკვე საჯაროდ არის სახლიდან გაძევებული. შერიგების დროს კი ვაჟს საწოლი და სხვა საგნები სახლიდან გამოაქვს და დედა მათ კვლავ იღებს და ინახავს.

ეს ფაქტები ნათლად ცხადყოფს, რომ სახლში ძალაუფლებას ქალი ფლობს და არა მამაკაცი. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად გამოკვეთილი პატრიარქატით ქალთა უფლება კაცების მიერ არაერთხელ დარღვეულა და გარკვეულწილად ამოკვეთილა კიდეც, იგი ხეთელ ქალებში სხვა სფეროებში, თითქმის, ხელშეუხებლად იქნა შენარჩუნებული. ამ ფონზე მით უფრო საყურადღებოა ის, რომ ხეთური კანონები, პრინციპში, მამაკაცის ბატონობას ადასტურებს და აღნიშნული პატრიარქატის მხოლოდ თანამდევი მოვლენებია.

გარდა ზემოთქმულისა, ისინი შეიცავენ, აგრეთვე, ვალდებულებებს, რომლებიც ნათელს ჰფენენ ქრისტიანობამდე მეორე ათასწლეულის პერიოდის ხალხთა ცხოვრებას და მასთან დაკავშირებულ კანონთა და უფლებათა ცვლილებებს (ე. კუქი, გვ. 477-484; ჰროზნი, გვ. 39-51; ციმერნი და ფრიდრიხი, გვ. 11-15).

თვით უძველესი შუმერული კანონები, რომლებიც ბაბილონის ჰამურაბისეულ კანონთა კრებულის საფუძვლებს ქმნიან, ზედმიწევნით მოგვითხრობენ ქალის ნაყოფის მოცილებაზე,[16] აბორტზე და გარკვევით განასხვავებენ წინასწარ განზრახულ და შემთხვევით ფაქტორებს; სასჯელი, პირველ შემთხვევაში ორმაგად მაღალია, ვიდრე მეორე შემთხვევაში; ბაბილონში მხედველობაში იღებდნენ უფრო აბორტის შედეგებს ქალისათვის და სასჯელს იმის მიხედვით ადგენდნენ, ქალი გადარჩებოდა თუ არა. ხეთური კანონები ამ შემთხვევას განიხილავენ ნაყოფის სიმწიფის და ორსულობის ვადის მიხედვით: 10 თვის ფეხმძიმობისას სასჯელი 10 შეკელ ვერცხლს შეადგენდა და შესაბამისად 5 თვის ფეხმძიმობაზე 5 შეკელ ვერცხლს.

ძველი მცირე აზიის ყველა ხალხის საერთო-საზოგადოებრივი მონაპოვარი უძველესი დროის ყველა ჩვენთვის ცნობილი აღმოსავლური კანონების საფუძველს ქმნის; ჩვეულება ფორმალური ნიშნობისა (ქორწინებამდე), ჩვეულება საცოლისთვის ან მისი მშობლებისთვის საჩუქრების, თირჰათუს, გადაცემისა, დასტურდება არა მხოლოდ შუმერებთან,

15 Hrozny, მითითებული ნაშრომი, გვ. 133, § 171.

16 Ed. C uq, Études... გვ. 491; Hrozny, Code Hittite, გვ. 13, §17; გვ. 15, § 18; გვ. 85; § XVI-XIX.

ბაბილონელებთან, ასურელებთან და სხვა წარმოშობის ხალხებთან, არამედ აგრეთვე გუტიებთან, რომლებსაც, სავარაუდოდ, იაფეტური წარმომავლობის სხვა მცირეაზიელ ხალხებთან ერთად, დღევანდელი კავკასიური ხალხების ჯგუფებიც მიეკუთვნებიან.

ბ. საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ძველ მცირე აზიაში

მიწის კერძო საკუთრების პრინციპი ძველ ბაბილონში[17] უკვე უძველეს დროშივე შეუზღუდავად და განვითარების დონით დღევანდელ მდგომარეობასაც კი არ ჩამორჩებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება პირველი დინასტიის საწყის და მესამე დინასტიის ბატონობამდელ პერიოდს. მხოლოდ კასიტების შემოსვლის შემდეგ, უფრო მეტ ძალას იძენს ტომობრივი საკუთრება, მაგრამ იგი ვერ ცვლის კერძო საკუთრებას, არამედ მხოლოდ ზღუდავს მას.

კერძო საკუთრება მხოლოდ მიწაზე, სახლსა და ეზოზე კი არ ვრცელდებოდა, არამედ, აგრეთვე, მოძრავ საგნებზე – ავეჯზე და სხვ. ბაბილონში კერძო საკუთრების უფლება და, ზოგადად, საკუთრების სამართალი უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე სახელმწიფო. იგი განსხვავდება ეგვიპტური სამართლისაგან, რომლის ძალითაც საკუთრების უფლება მთლიანად მხოლოდ ფარაონს ეკუთვნის; იგი თავის ქვეშევრდომს რაიმე დამსახურებისთვის საკუთრების გამოყენების, საკუთრებით სარგებლობის უფლებას აძლევს.

სრულიად სხვა მდგომარეობაა ბაბილონში: აქ მეფეს საკუთრების (მიწისა და სხვ.), კერძო იქნება იგი თუ სატომო, უფლებას მხოლოდ ოფიციალური, ცერემონიული შესყიდვით იძენს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას მისი მესამე პირისთვის გადაცემა. ამ წესს ქრისტიანობამდე უკვე 2600-იანი წლების პერიოდში ვხვდებით. თუ როგორი ძლიერი და ფესვგადგმული იყო კერძო საკუთრების პრინციპი, ეს ნათლად ჩანს, მაგალითად ხეთურ[18] კანონებში, რომელთაც მოგვიანებით თავიანთი გამოძახილი რომაულ სამართალშიც ჰპოვეს; ის პირი, ვინც გაბედავს სხვისი საკუთრების უფლების შელახვას, თავის ხარებთან

17 Ed. Cuq, მითითებული ნაშრომი, გვ. 77-149; Eugéne Cavaignac, „Le monde méditerranéen jusqu'au IV. Siécle avant Jes. Chr. გვ. 3, 7, 261.

18 Ed. Cuq, Études... გვ. 103; 474-477; Hrozny, Code Hittite... გვ. 41, § 39-40; გვ. 33, § 41; გვ. 35, § 42-43; გვ. 37, § 44-45; გვ. 39, § 46; გვ. 41, § 47; გვ. 47, § 53; გვ. 49, § 55; გვ. 91, § XXX-XXXIII.

ერთად, ღმერთების მსხვერპლი ხდება, რადგან მინდვრის საზღვრები წმინდა ადგილად ითვლებოდა, ხოლო ქონება ღმერთების მფარველობის ქვეშ იყო მოქცეული.

კანონის მიხედვით ისჯებოდა ის პირი, ვინც გაბედავდა ნაპოვნის მითვისებას, სულ ერთია, იქნებოდა ეს ცხოველი თუ სხვა რამ. ასევე კანონით ისჯებოდა სხვისი კუთვნილი ცხოველის დაზიანება, იქნებოდა ეს რქოსანი პირუტყვი, ცხენი, ძაღლი თუ ღორი. ვინც თავის ტერიტორიაზე სხვის ხარს ან ძროხას შენიშნავდა, ვალდებული იყო ცხოველები „ვარსკვლავების გამოჩენისთანავე" პატრონისთვის დაებრუნებინა. დროის ასეთი აღრიცხვა „დაისიდან - დაისამდე" ხეთური იყო და მათგან შემდეგ ათენელებმაც გადაიღეს.

მტკიცე და შეურყეველი იყო საკუთრების პრინციპი ასურეთში,[19] სადაც ყოველი ყიდვისას მყიდველი ჰეროლდის მეშვეობით პირველ თვეში სამჯერ აცხადებდა, რომ იგი ყიდულობდა თავისი მეზობლის გარკვეულ ქონებას და თუ გამყიდველს თავისი საკუთრების უფლებას არავინ ედავებოდა, გაყიდვის საბუთს მეფის მოხელე ადგენდა. მყიდველი ახალშეძენილ ქონებას უცილობლად და სრულუფლებიანად, კანონიერად ეუფლებოდა. ძველ მცირე აზიაში ყოველგვარი ყიდვა თუ გაყიდვა ხდებოდა საბუთების ნოტარიალური გაფორმებით, ანუ საბუთს ადგენდნენ მოხელეთა თანდასწრებით და მოწმეთა მიერ ჩანაწერების გაკეთებით; ბოლოს კი დაისმებოდა ბეჭედი საბუთზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კასიტების მიერ ბაბილონში შეჭრის და მისი დაპყრობის შემდეგ კერძო საკუთრებასთან ერთად ძალაში შევიდა თემური (სატომო) საკუთრებაც. კასიტურია[20] სატომო საკუთრების პრინციპი ბაბილონში ისევე, როგორც სასაზღვრო ნიშნების წესი, ე. წ. კუდურუ (Kudurru), რომელსაც თავდაპირველად უმეტესად ველ-მინდვრების გასამიჯნად იყენებდნენ. „კუდურუ" ჩვენთვის საუკეთესო წყაროა, რომლის მეშვეობითაც ვიგებთ ქონებრივ-საკუთრებრივი ცვლილებების შესახებ. კუდურუზე გამოსახულია მთელი რიგი ღმერთებისა, რომლებიც საკუთრებას და ქონების მფლობელობას იცავენ; მათზე ასევე გამოსახულია იმათი შეჩვენება, კანონიერად შეძენილ ქონებას და საკუთრებას

19 Ed. Cuq, Etudes... გვ. 440-443.

20 Dr. Franz, X. Steinmetzer, „Über den Grundbesitz in Babylonien z. Kassitenzeit"; გვ. 9. იგი მიიჩნევს, რომ საოჯახო/საგვარეულო ეკონომიკა ბაბილონელებისათვის იყო ერთგვარი რეაქცია კასიტებთან თავდაცვით ბრძოლებში. G. Contenau, Manuél d'Archéol, Orient, II, გვ. 896-905.

რომ ხელყოფენ. ამ კუდურუთაგან უძველესი, სავარაუდოდ, 1350-იან წლებს (ქრისტიანობამდე), ანუ კურიგალცუს მეფობის პერიოდს მიეკუთვნება; შემდეგი კუდურუ განეკუთვნება მე-3 დინასტიას (ქრისტიანობამდე 1284-1117 წწ.); ასეთები ცნობილია IV, VI და IX დინასტიებიდან, ხოლო უახლესი მათი ნიმუშები ეკუთვნის პერიოდს 712 წლის ფარგლებში, როდესაც მეფობდა მეფე სარგონი. საფრანგეთში, ლუვრის სასახლეში დაცულია 24 კუდურუ, რომლებიც ასახავს ველ-მინდვრების გაყიდვას ერთ-ერთ ტომზე ან ქალაქზე. მათში, როგორც საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში, ქონების გასხვისებაზე და საზღვრების დაწესებაზე მინიშნებით, ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

კუდურუებს გვაგონებს ქართველების დღემდე შენარჩუნებული ადათი, რომელიც მემკვიდრეობით მიღებული ქონების (მიწის და ა. შ.) განაწილება-გაყოფას და მეზობლებს შორის სასაზღვრო პრობლემის მოგვარებას ეხება. ამ დროს მღვდელი ესწრება საზღვრის დადგენის პროცესს, რომლის დროსაც რაიმე სასამონო ნიშანს მიწაში ფლავენ იქ, სადაც საზღვარია, რათა მეზობლებს შორის სადაო ადგილები გამიჯნონ.

საკუთრების პრინციპის დაცვა ცნობილი იყო ხეთებშიც: მიწის ნაკვეთის გაყიდვის დროს საჭირო და აუცილებელი იყო ტომის მეთაურის ან ტომის რომელიმე წევრის თანხმობა: ასე მოიქცა, მაგალითად, აბრაამი, როდესაც მიწის გარკვეული ნაწილი ხეთებისგან იყიდა და საფასური ტომის წარმომადგენელს და მფლობელს ეფრონს (Ephron) გადაუხადა.

შედარებითი სამართლის ისტორია ადასტურებს ასევე ხალხთა კულტურის დონეს და მეურნეობის განვითარებულ ფორმას უკვე მესამე ათასწლეულში. კრედიტების არსებობამ მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულმა საკრედიტო უზრუნველყოფამ სრული განვითარება ჰპოვა ბაბილონში,[21] ასევე იყო რომშიც ქრისტეშობამდე მე-2 საუკუნეში. გავრცელებული იყო კაპიტალის პროცენტების გადახდა ფულით ან საქონლით (ასევე მარცვლეულით);[22] უკვე მაშინ განასხვავებდნენ სამომხმარებლო და სავაჭრო კრედიტებს. ჩვენს მიერ ზემოხსენებული კანონები ცხადყოფენ, რომ ახალი დროის ზოგი კულტურული მონაპოვარი უკვე ქრისტიანობამდე მესამე ათასწლეულში იყო ცნობილი. ასურულ კანონებში აღწერილი ქირურგიული ოსტატობის ნიმუშები ადასტურებს, რომ ამ ქირურგიული დონისთვის რაღაც ტოლფასის

21 Ed. Cuq, Etudes... გვ. 192, 378-388.

22 იქვე. გვ. 223-234, 247-248, 287.

დაპირისპირება ჩვენმა მედიცინამ მხოლოდ მე-16 საუკუნეში შეძლო.[23]

ჰამურაბის კანონების შესავალ და დასკვნით ნაწილებში, არაერთხელ და ხაზგასმით არის აღნიშნული ქვეშევრდომთა თანაბარუფლებიანობა და მათ მიმართ სამართლიანი მოპყრობა-დამოკიდებულება. მთელ მსოფლიოში ცნობილია ე. წ. „სეიზახთჰეია“, ანუ კანონი სასჯელის მოხსნის შესახებ, ათენელ პოლიტიკოსს სოლონს რომ ეკუთვნის და რომელიც შეფასებული იქნა, როგორც სახელმწიფოებრივი სიბრძნე (ქრისტიანობამდე მე-6 საუკუნის დასაწყისში). რომის იმპერიის ხანაშიც ადგილი ჰქონდა ჩვენთვის ნაცნობ დადგენილებებს და განკარგულებებს, რომლებიც ეკუთვნოდა ადრიანეს. აღნიშნული ნორმები დოკუმენტურად დასტურდება ბაბილონში მეორე ათასწლეულიდან, იქ კასიტების ბატონობის პერიოდში. მეფე კაშტილიაშ პირველმა ორჯერ გამოსცა კანონი სასჯელის მოხსნის[24] შესახებ; ასევე უკვე ცნობილი იყო მორატორიუმი და სხვ. იგივე ანალოგიები შეინიშნება საქორწინო ცერემონიების დროს ბაბილონსა და რომში: საცოლისათვის ფეხების დაბანა, რომლის შემდეგაც იგი მისთვის მომზადებულ სავარძელში ჯდებოდა. ორივე ქვეყანაში გავრცელებული იყო საჩუქრების მირთმევა საცოლის მშობლებისათვის ლანგარით.

მსგავსი ადათ-წესები დღემდე შემორჩენილია კავკასიაში. ბაბილონის სამართლის ტრადიციების ანალოგია რომაულთან იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მათ აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით; ის ზოგჯერ უფრო ჰუმანურია, ვიდრე რომაული და მისი შედარება ნაპოლეონისეულ სამართალთანაც კი შეიძლება, რომლის მიხედვითაც სიკვდილით დასჯა დაახლოებით 20 შემთხვევაშია გამოყენებული, ჰამურაბის კანონებში კი 35 შემთხვევაში![25] ეს ძალზე საყურადღებოა, რადგან მცირე აზიის სამართალი, მიუხედავად სხვადასხვა მოდელირებისა, აზიური კულტურის ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება, როგორც ეს ჩვენთვის უძველესი კანონებიდანაა ცნობილი, რომლებშიც ძველი შუმერული ელემენტებიც იკვეთება.[26]

თუ სადამდე ვრცელდება ძველი მცირე აზიის სამართლებრივი გავლენა, ამას მოწმობს ჩვეულება ტაძრის საკუთრების (ადგილების) გა-

23 იქვე, გვ. 432-460, 344, 354.

24 Ed. Cuq, Études... გვ. 14.

25 Ed. C u q, Études... გვ. 24-42, 58-61, 81, 178, 182, 185, 198, 207, 209, 223, 226, 231, 242, 253-255, 303, 319, 372, 378-381, 407, 435.

26 იქვე, გვ. 63.

ყიდვასთან დაკავშირებით, რაც ძველბაბილონურია და, რაც შემდეგ ეგვიპტელებმა და სპარსელებმაც გადაიღეს. შემდეგ ის ვრცელდება დასავლეთ მცირე აზიაში, მცირეაზიელ ბერძნებში, იონელებში, ვიდრე საბერძნეთსა (განსაკუთრებით ალექსანდრე დიდის ხანაში) და შემდეგ რომს[27] მიაღწევდეს, სადაც, გარდა საკუთრების გაყიდვისა, ჯოხს დააგდებდნენ შესაბამის საგანზე, ზუსტად ისე, როგორც ბაბილონში. უბრალოდ აქ ჯოხს სხვა სახელი ერქვა: „ბუკანუ". ორივე შემთხვევაში ეს აქტი საკუთრების გაცვლის სიმბოლო იყო. ბაბილონში, საერთოდ კი მცირე აზიაში ისევე, როგორც კუნძულ ხიოსზე და საბერძნეთში იმავე დაწესებულებებს, წარჩინებულთა და დიდგვაროვანთა შეკრებებს ვხედავთ, რომლებიც ადმინისტრაციულ სამუშაოებსა და იურისდიქციას[28] თანაბრად ასრულებენ. ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში ედ. კუქი ასურეთისა და ეგვიპტის ამ უძველეს კანონებს უფრო ჭკვიანურად თვლის, ვიდრე ფრანგულ კანონებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამ კანონთა მსგავსებაზე ლაპარაკობს.[29]

იგივე ითქმის ხეთურ კანონებზეც. ხეთურ კანონთა კრებულები პირველ სტრიქონში შემდეგი სიტყვებითაა წარმოდგენილი: „თუ ვინმე კაცს", ანდა „თუ ვინმე ვაჟს". რომაელი პრეტორების ბრძანებულებები შემდეგნაირადაა დასათაურებული: „undeviretuxor", „Quodmetuscausa" და. ა. შ.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე პაპის ბრძანება-განკარგულებების ტრადიცია.[30]

ხეთური კანონები ჰგავს არა მხოლოდ ასურულ, არამედ ბერძნულ კანონებსაც; ორივესთვის საერთოა, მაგალითად, კანონი, რომლის მიხედვითაც ვაჟიშვილი ცუდი საქციელის გამო სახლიდან არ უნდა გაეძევებინათ, გარდა განმეორებითი შემთხვევისა.31 ხეთებისა და რომაელთა ადათ-წესების მიხედვით, მიწის ნაკვეთის (ადგილ-მამულის) ანდა მინდვრის გაყიდვის პროცესს თან ახლდა საგანგებო რელიგიური ცერემონიები: მოჰყავდათ სასულიერო პირი, რომელიც გასაყიდ მიწის ნაკვეთზე ცხვარს სწირავდა, ამასთან, აუცილებელი იყო ათი პურისა

27 იქვე. გვ. 186-189, 181.

28 იქვე, გვ. 358-368.

29 იქვე, გვ. 440, 450.

30 Zimmern u. Friedrich, მითითებული ნაშრომი, გვ. 5, 20; Hrozny, მითითებული ნაშრომი, გვ. 3, 101; Ed. Cuq, Études... გვ. 460.

31 Ed. Cuq, Études... გვ. 473.

და გარკვეული რაოდენობის ლუდის მოტანა. რომაელები საზღვრების რელიგიურ კურთხევას ღვთაებრივ ძალებს უკავშირებდნენ.[32] აუცილებელი იყო ბრინჯაოს შუბის მიყუდება სასახლის კარებთან, რომელიც, სავარაუდოდ, რომაულ „ჰასტას“ – საჯარო ძალაუფლების სიმბოლოს შეესატყვისება.[33] კანონით გათვალისწინებული დადგენილებები და განკარგულებები სამუშაოს ანაზღაურებასა და მოხმარების საგნებზე ცხადყოფენ, იმ დაცვით მექანიზმებზე მიუთითებენ, რომლებიც დაბალი სოციალური ფენების დასახმარებლად ძალაში იყო ქრისტიანობამდე[34] მეორე ათასწლეულში. პირადი პასუხისმგებლობა დანაშაულთათვის, განზრახ მკვლელობის განსხვავება სხვა სახის მკვლელობისაგან კანონების განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი იყო.

აღნიშნული კანონების ყველა ეს და სხვა მხარეები ნათლად მოწმობენ ძირითადი სამართლებრივი მსოფლმხედველობის წარმოშობის ერთიან წყაროებზე, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ხალხების მიერ შეიქმნა აღმოსავლეთში. ისინი თავიანთი არსებობიდან დაახლოებით ათასი წლის შემდეგ დაიწერა და მათი „კოდიფიცირება“ განხორციელდა; შუმერებისა და ბაბილონელების, ასურელებისა და ებრაელების კანონები[35] ისევე, როგორც ბერძნებისა და რომაელების სამართლებრივი ტრადიციები, მეტ-ნაკლებად უკავშირდება საერთო წყაროს ძველი აღმოსავლეთის მოსახლეობის სამართლებრივ და რელიგიურ მსოფლმხედველობას.

აქედან გამომდინარეობს, თუ როგორი საჭირო, აუცილებელი და მნიშვნელოვანია უძველესი ხანის შესწავლა და ასევე კავკასიის ხალხების ადათ-წესების, ჩვეულებებისა და სამართლის გამოკვლევა, კავკასიის ხალხებისა, რომლებიც მცირე აზიის მოსახლეობასთან ეთნიკურად არიან დაკავშირებულნი.

---

32 იქვე, გვ. 475.

33 იქვე, გვ. 503; Hrozny, Code Heth., გვ. 115, § 126.

34 იქვე, Préface გვ. 483; Hrozny, გვ. 123-127, § 157-162; გვ. 135, § 176-177; გვ. 137, § 178-181; გვ. 139, § 182-186.

35 Ed. Cuq, Études... გვ. 505.

I.2 კავკასიის ხალხების სამართლებრივი მსოფლმხედველობის სფეროდან

კავკასიაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი საფუძვლები უმთავრესად რელიგიითაა გაპირობებული; მაგრამ ეს გაპირობებულობა, პირველ რიგში, ძველთაგანვე დაკავშირებული იყო საერთო კავკასიურ ჰომოგენურ (ერთგვაროვან) წარმართულ რელიგიასთან. კავკასიაში თემისა თუ ოჯახის მთელი ცხოვრება, უპირველესად, რელიგიით და შემდეგ კი წმინდად ქცეული ზნე-ჩვეულებით, ჩვეულებებით, ადათ-წესებითა და ცერემონიებით ხასიათდებოდა, რომელთა აზრი და მნიშვნელობა ამჟამად ხალხისთვის ხშირ შემთხვევაში გაუგებარია. ამიტომაც ჭარბობს კავკასიელთა, განსაკუთრებით მთიელთა, ცხოვრებაში, მათ სამართლებრივ ცნობიერებაში მიცვალებულთა, წინაპართა და სულთა კულტები, რადგან მკვდრებს თავიანთი უფლებები გააჩნიათ, რომლებიც ამქვეყნად ცოცხლებმა უნდა დაიცვან. საინტერესოა, რომ, მაგალითად, დაღესტანში, სული სახლის ანგელოზივით (ფუძის ანგელოზივით) ევლინება ოჯახის წევრებს ოქროს ვერძის ან მამლის სახით და ამგვარად მსხვერპლს, შესაწირს ისაკუთრებს.[36] მიუხედავად მათი სიხალისისა და სიცოცხლისუნარიანობისა, მთიელ კავკასიელთა ცხოვრებას ნაღვლიანი, სევდიანი განწყობილება ახასიათებს, რომელიც ზოგჯერ აშკარად და ბუნებრივად ვლინდება ხოლმე. სისხლიან შურისძიებას შეიძლებოდა კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა და მთელი ტომები და საგვარეულოები სრულიად გაეჟლიტა. ასევე წინაპართა და მიცვალებულთა კულტი მძიმე ტვირთი იყო თითოეული ოჯახისათვის, რის გამოც ისინი ხშირად მძიმე გაჭირვებაში ვარდებოდნენ; აგრეთვე, წინაპრთა გაუსხვისებელი მიწა და ქონება, რომელიც გაყიდვას არ ექვემდებარებოდა (საკუთრების უფლება კავკასიაში წმინდად ითვლება), მიცვალებულთათვის მსხვერპლის შეწირვის მიზნით იყიდებოდა, რასაც სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ; ისინი აკურთხებდნენ და ლოცავდნენ ქონების მფლობელობის უფლებას და ასევე საშინელ წყევლას უთვლიდნენ საკუთრების უფლების დამრღვევებს; ამის შემდეგ, ხდებოდა ღვინისა და პურის დალოცვა, რასაც დამსწრეთა სავალდებულო გამასპინძლება

36 Halil Mussayassul, Das Land der letzten Ritter, გვ. 181, – გავიხსენოთ აგრეთვე არგონავტების თქმულება, რომლის შინაარსი შესაძლოა, თავდაპირველად რელიგიური წარმოშობის ყოფილიყო, რისი დადგენაც ჩვენთვის ახლა უკვე რთულია.

მოჰყვებოდა ხოლმე. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ რელიგიური მსოფლმხედველობის საკითხებსაც უნდა შევეხოთ.

ა. ოსები

იგივეობა და პარალელები კულტურული ცხოვრების ცალკეულ სფეროში წინააზიასა და აღმოსავლეთს შორის უძველეს დროში, ერთი მხრივ, და არქაული კულტურის გადმონაშთებს შორის დღევანდელ კავკასიაში, მეორე მხრივ, იმდენად საგრძნობი და თვალშისაცემია, რომ რუსმა მეცნიერმა მაქსიმ კოვალევსკიმ უკვე 1886 წელს[37] სცადა ოსების ადათ-წესებისა და ჩვეულებების ბერძნულ-რომაულ და ასევე სპარსულ -ინდურ სამართლებრივ გადმოცემებთან შედარება. მიუხედავად მ. კოვალევსკის მიკერძოებისა ოსების არიული წარმოშობის თაობაზე, მისი მოძიებული ფაქტები უაღრესად საინტერესო სურათს ხატავს წინა აზიის უძველესი ხანის ცხოვრებაზე მისი ფაქტებისა და გადმოცემების შესაბამისად.

უპირველეს ყოვლისა, დადგენილია, რომ ოსები ადრე, ისევე როგორც მათი მეზობლები, ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულებას უკვე იცნობდნენ და ახორციელებდნენ კიდეც. ისინი მსხვერპლად სწირავდნენ ომში ტყვედ ჩაგდებულებს, ქვრიეებსა და ბავშვებს.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ბავშვებს მოკლულის საფლავზე მსხვერპლად სწირავდნენ, რათა „გვამი დამშვიდებულიყო".[38] ქვრივი ქალის მსხვერპლად შეწირვა მოგვიანებით „თმის მსხვერპლით" შეიცვალა, ე. ი. ქვრივ ქალს ნაწნავს შეაჭრიდნენ და გარდაცვლილს ატანდნენ. ოჯახებისა და გარდაცვლილთა კულტი, წმინდა კერა, რომელშიც ცეცხლი არ უნდა ჩამქრალიყო (ამის გამო კერას ქალები განსაკუთრებულად უვლიდნენ), კერიის წმინდა ჯაჭვი, რომლისთვისაც სასიძოს ოჯახური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების დროს, მაგალითად, ქორწინებისას, როდესაც სახლში შევიდოდა, სამჯერ უნდა შემოევლო. ყოველივე ეს იმავე ფორმებით ვლინდება, როგორც ჩვენთვის ძველი აღმოსავლეთის ყოფა-ცხოვრებიდანაა ცნობილი. შესაწირი: ადამიანის მსგავსი სტატუეტები, საჭმელი და სასმელი და საერთოდ ყველაფერი, რაც განსვენებულს ამქვეყნად სჭირდებოდა, არც იმქვეყნად უნდა

37 М. Ковалевский, Современный обычай и древний Закон, Москва, მე-2 ტომი; A. Dirr, Aus dem Gewohnheitsrecht der kaukasischen Bergvölker // vergleichende Rechtswissenschaft, ტომი 41, Stuttagrt, 1925, გვ. 1-128.

38 იქვე, გვ. 51-52, 68-104, 146, 277-დან.

მოაკლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვა მისი სული და ამქვეყნად დარჩენილ ოჯახის წევრებს დატანჯავს. ახალი წლის დამდეგს მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად ცეცხლსაც ანთებენ.

საფლავები. საფლავები მხოლოდ მისაწვდომ ადგილზე, ოჯახის უშუალო სიახლოვეს უნდა იყოს განლაგებული; თუ ოჯახი საცხოვრებლად სხვაგან გადადის, მან მიცვალებულები არათუ არ უნდა დაივიწყოს, არამედ ახალ სამშობლოში თან უნდა „წაიყვანოს". შესაწირი ისე რეგულარულად და უხვად კეთდება, რომ ეს ძალიან ხშირად მთელი ოჯახებისა და თემების გაპარტახებასაც იწვევს ხოლმე. საიქიო საქაოს მსგავსებაა და ყველა ოჯახის წევრი ვალდებულია, ყველაფერი უხვად მოუმარაგოს განსვენებულს საიქიოსთვისაც, რათა სულები არ გაანაწყენოს და საშიშროება არ შეუქმნას ოჯახის წევრთა საქმეების შესრულებას.

ფიცის დადება. ყველაზე დიდი ფიცი, რომელსაც ოსი დებს, შემდეგნაირად სრულდება: ბრალდებულს წაუყენებენ მოთხოვნას, რომ მან მისცეს თავისი ოჯახის განსვენებული წევრის, რომელიც საპატიო ადამიანად ითვლებოდა, მარჯვენა ხელი. ბრალდებული ამას არასდროს დაეთანხმება, თუ იგი მართლაც დამნაშავეა.[39] მაგრამ თუკი იგი იტყვის: „აი, თქვენ განსვენებულის მარჯვენა ხელი", მაშინ მას შეუძლია თავისუფლად წავიდეს. ეს ჩვეულება ჰგავს ქართველთა წეს-ჩვეულებას, რომელსაც ლემან-ჰაუპტი ადარებს ძველ გერმანულ და ბაბილონურ ხელის ჩამორთმევას სიტყვებით: „მე გაძლევთ ღვთის ხელს", რაც საკმარისი იყო, რათა ხელშეკრულება წმინდად შერაცხულიყო და დამსწრეებს ის მიეღოთ. ოსების უმაღლესი ფიცი გამოიხატებოდა სიტყვებში: „ვფიცავ წინაპრებს" და არა „ვფიცავ ღმერთს", როგორც ამას რუსული კანონი მოითხოვდა.

გარდა ამისა, ოსური ჩვეულების მიხედვით, ქურდობაში ეჭვმიტანილს ფიცი თავისი წინაპრების წინაშე ძაღლითა და კატით უნდა დაედო.[40] მას ძაღლთან ერთად მთელი სოფელი უნდა შემოერბინა და ხმამაღლა ეძახა, ძაღლის მოკვლა მსურსო. ნამდვილი ქურდი მაშინვე გამოტყდებოდა, რათა ძაღლის შეწირვით მიცვალებულებისთვის შე-

39 М. Ковалевский. მითითებული ნაშრომი, I, გვ. 68-104, 89, 176; II, გვ. 223-354; მ. კოვალევსკის ნაშრომის კარგ დამატებით მასალას გვთავაზობს Joseph Castagné „Le droit coutumier familiale des Montagnards du Caucase", გვ. 243-275, in Rev. des Études Islamiques 1929 გვ. 3.

40 Klaproth, Voyage au Mont Caucase et en Géorgie, ტ. II, გვ. 256-დან.

ურაცხყოფა არ მიეყენებინა, რადგან ეს მას უეჭველად დაღუპავდა. ანდა ბრალდებული თავს მოაჭრიდა კატას ან ძაღლს აიყვანდა ხელში და იტყოდა, ცხოველი სამაგიეროს გადაუხდის დამნაშავეს, დაკაწრავს მას, დაკბენს და აწამებსო. შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ დამნაშავის ცოლს ან ქალიშვილს კატა ან ძაღლი მომჩივანის სახლთან მიეყვანა, სადაც ეს უკანასკნელი უსურმაგს ხანჯლით მოკლავდა და იტყოდა: „ეს მისმა მკვდრებმა შეჭამონ, თუ ის დამნაშავეა".[41]

ფიცს შემდეგნაირადაც დებდნენ: ბრალდებულს თავისი მიცვალებულების მესაფლავეებთან უნდა ეთქვა: „თუ მე დამნაშავე ვარ, მაშინ ჩემიანებს იმქვეყნად ცხენად უნდა ვემსახურო; ხოლო თუ მე უდანაშაულო ვარ, მაშინ ეს იმას ერგოს, ვინც ნამდვილი დამნაშავეა".

ბრალდებულს ასევე შეეძლო ჯოხი ადამიანის განავალში ჩაეყო, დაესვარა და ეთქვა: „თუ მე დამნაშავე ვარ, მაშინ ამით გაეჯოხოთ იმქვეყნად ჩემი მშობლები, ნათესავები და სხვ.". როდესაც ოსი ჯოხით შინაური ცხოველის ნეხვს აიღებდა, იტყოდა: „აი, ამით გამძღარიყოს ჩემი ქონების ქურდი". ამ შემთხვევაში იგი დარწმუნებული იყო თავისი ქონების უსაფრთხოებაში. ეს ფორმულები და გამონათქვამები უფრო წყევლა იყო, მაგრამ ისინი საკმაო ზემოქმედებას ახდენდნენ ოსებსა და მათ მეზობლებზე. მათთვის ცნობილი იყო დამამძიმებელი ფიცი მომჩივანებისათვის და გამამართლებელი ფიცი ბრალდებულებისათვის, ხოლო იმათი რაოდენობა, ვინც ფიცის დადებას ესწრებოდა და ამ მხრივ ოსებს დახმარებას უწევდა, გარემოებების მიხედვით სხვადასხვა იყო.[42]

ქორწინება. ქორწინება ოსებთან,[43] რომელთა ჩვეულებები და ადათ-წესები ნაწილობრივ ძველი კავკასიური კულტურის გადმონაშთია, იმავე ფორმებით ხდებოდა, რომლებიც ჩვენთვის ძველი აღმოსავლეთიდანაა ცნობილი. უპირველეს ყოვლისა, აქ, ისევე როგორც ასურეთში, კაცი ცოლთან, ანუ ქალის მშობლებთან ცხოვრობს, რასაც „მიდაგმოი" ჰქვია.[44] სასიძომ საჩუქრები და ძღვენი საცოლის მშობლებს, ძმასა და აღმზრდელებს, აგრეთვე, დედის ძმას უნდა მიართვას, რაც მატრიარქატს მოგვაგონებს. ყოველი ქორწინება დამყარებული იყო ხელშეკრუ-

41 A. Dirr, Aus dem Gewohnheitsrecht der kaukasichen Bergvölker // Zeitschrift für vergleichende Rechtswissenschaft, ტომი 44, გვ. 1-128, 16-17.

42 A. Dirr, მითითებული ნაშრომი.

43 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, I. გვ. 232-274, 305, 315, 315-340.

44 იქვე. ტ. I, გვ. 152; J. Castagné, მითითებული ნაშრომი (ლევირატის შესახებ იხ. გვ.

ლებაზე, რაც უზრუნველყოფდა ქალის მდგომარეობას ქმართან გაყრის შემთხვევაში. ასევე სასიძოს მამა სარძლოს მშობლებს აძლევდა საჩუქარს – „ყალიმს“. სასიძოს მიერ საცოლისთვის მიძღვნილ საჩუქარს „ირადი“ ერქვა [ოსებში ყალიმისა და ირადის არსებობა ქორწინების სყიდვით ფორმის გამოხატულებაა – რედ.]. ეს საჩუქრები, რომლებიც ოსებს მძიმე ვირთად აწვათ, პარალელს პოულობს ასურელების, ხეთებისა და სხვათა ზნე-ჩვეულებებთან. ამასვე მოწმობს ლევირატის არსებობა ოსებთან. ქვრივი ქალი ცოლად უნდა გაჰყოლოდა ერთ-ერთ თავის მაზლს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი თავის მამამთილთან ან მაზლ(ებ)თან რჩებოდა საცხოვრებლად. 1859 წელს აღნიშნული ვალდებულებისაგან ქალი თავისუფლდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის მშობლებთან ბრუნდებოდა, ან გათხოვებაზე საერთოდ უარს იტყოდა; მაგრამ თუკი გათხოვდებოდა ყოფილი მაზლ(ებ)ი ქალის მეორე ქმრის მტრები ხდებოდნენ.[45]

მამამთილს შეეძლო ეცხოვრა თავის რძალთან, თუ ვაჟიშვილი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო. ასეთი შემთხვევები ხშირად ხდებოდა, როცა მშობლები მცირეწლოვან ვაჟს ასაკით უფროს ქალზე აქორწინებდნენ [შდრ. რუსული „სნოხაჩესტვო“ - რედ.]. ქვრივ ქალს შეეძლო ბავშვები გაეჩინა ნებისმიერი კაცისაგან, რომელიც მასთან სახლში იცხოვრებდა, თუკი ქალს მანამდე თავისი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი ვაჟი დაქორწინებული ჰყავდა. ქვრივ კაცს კი შეეძლო თავის ცოლისდაზე ექორწინა [სოროატის წესი – რედ.].

დაქორწინებულ ქალს თავისი ქმრის მშობლებისათვის მუდმივად საჩუქრები უნდა მიერთმია.

კავკასიაში საყოველთაოდაა გავრცელებული ჩვეულება ბავშვების აღზრდისა მშობლიური გარემოს ფარგლებს გარეთ, რომლის დროსაც უაღრესად დიდ პატივს სცემენ აღმზრდელებს: ოსურად „ათალიყი“, ქართულად მამამძუძე, დედამძუძე ანუ ძიძა; თავად აღსაზრდელს კი ჰქვია ძიძაშვილი. საერთოდ, კავკასიაში დღესაც ხშირად გვხვდება დიდი ხნის გარდასული წარმართული კულტურა სხვადასხვა ცხოვრებისეული ფორმითა და გამოვლინებებით, მიუხედავად ქართულ-ქრისტიანული კულტურის ორი ათასწლოვანი არსებობისა.

ოსები ერთმანეთთან ურთიერთობაში მხოლოდ წარმართულ სახელებს იყენებენ, ხოლო ქრისტიანულ და არაბულ სახელებს მხოლოდ

273-274).

45 A. Dirr, მითითებული ნაშრომი, გვ. 112.

გარე სამყაროსათვის, მაგალითად, რუსებისათვის და ა. შ. დაძმობილების წარმართული ჩვეულება კავკასიაში ყველგან წმინდად ითვლება.

ძველი მცირეაზიური და წარმართულია ოსების ჩვეულება, აღასრულონ თავიანთი სამართალი მთაზე ან საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ მაღალ ადგილებზე.[46] ეს ადგილები წმინდა ადგილებად არის მიჩნეული და მათ მუდმივად მფარველობს ქალღმერთი, რაც კვლავ ადრინდელ მატრიარქატს გვახსენებს. ოსები ქართველებმა IX-XII საუკუნეებში გააქრისტიანეს, ვიდრე ისინი, მოგვიანებით, განსაკუთრებით კი ჩრდილოელთა გავლენით, ისლამის რჯულზე არ მოიქცნენ;[47] მაგრამ ყველა მათი წმინდა ადგილი და ადათ-წესები აშკარა ქრისტიანული ნიშნებით გამოირჩევა, თვით იქაც კი, სადაც ისლამი განუკითხავად ბატონობდა. მაგალითად, სიტყვა „ძუარ“, ანუ ტაძარი წარმოშობილია ძველქართული (და სომხური) სიტყვიდან [ძუარი არის ქართული ჯვარის ოსური ადაპტაცია = რედ.]. მიკალე გაბირტეს [მიქალგაბირთა = რედ.] ეს სახელი, ხშირად რომ გაისმოდა ხალხის შესაკრებ სამსჯავრო ადგილებში, სხვა არაფერია, თუ არა მიქელ-გაბრიელი, ორმაგი სახელი, რომელსაც საქართველოში ერთბაშად წარმოთქვამენ: „მიქელ-გაბრიელი“. წარმართულია ყველა ღვთაება, რომელთაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ: საფა შეესატყვისება ჰეფესტოს; შემდეგ ვულკანი, პლუტონი და ა. შ.[48]

სასამართლო პრაქტიკა ოსებში მიმართული იყო უსულო საგნებზე და ასევე ცხოველებზე, როგორც ამას მცირე აზიის სასამართლო პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი.[49]

რაც ჩვენ ოსურ ჩვეულებებსა და სამართალზე ვთქვით, ეხება ასევე სვანებს, ხევსურებს, ფშაველებს, თუშებს, ლეკებსა და სხვებს,[50] რომლებიც კავკასიის მთებსა და ხეობებში ცხოვრობენ და მემკვიდრეობით მიღებულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს დღესაც მზრუნველობით ეკიდებიან და იცავენ.

---

46 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, II, გვ. 190-222.

47 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 20-23.

48 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 223-354.

49 იქვე, ტ. II, გვ. 79-127. A. Dirr, მითითებული ნაშრომი, გვ. 106-128.

50 М. Ковалевский, Закон и Обычаи на Кавказе, ტ. II, გვ. 6.

ბ. აფხაზები

აფხაზების[51] საქორწინო ცერემონიალი არანაკლებ საინტერესოა. მისთვის დამახასიათებელია სიმკაცრე საცოლის მიმართ და ასევე მრავალრიცხოვანი საჩუქრები მისთვის, მისი ოჯახის წევრებისათვის და პირიქით: სასიძოსა და მისი ოჯახის წევრებისათვის, რომლის დროსაც საჩუქრებს უმეტესად ლამაზად გაწყობილ ლანგარზე დებენ, ან კალათში აწყობენ და ისე მიართმევენ. მაგრამ ყველა ხარჯი და გადასახადი, რომლებიც დაკავშირებულია უამრავი სტუმრის გამასპინძლებასთან ნიშნობისა და ქორწილის დროს, როცა სუფრას ღვინო არ უნდა აკლდეს, სასიძოს ეკისრება. ყოველივე ამას წინ უძღვის ქალიშვილის მიერ მიცემული პირობა სასიძოსადმი, რომ მას მისი ცოლობა სურს. ეს სიტყვა საწინდრად ითვლება. სასიძოს შეურაცხყოფა და დამცირებაა, თუკი ქალიშვილი სიტყვას გატეხს. ასეთი სიტყვის გატეხვის გამოსყიდვა მხოლოდ სისხლითაა შესაძლებელი. მაგრამ შეურაცხყოფილი სასიძო შურს იმითაც იძიებს, რომ ქალიშვილს თავსაფარს (ქართულად მანდილი) წააძრობს თავიდან, რაც გაუპატიურებას და შერცხვენას უდრის. ამ შემთხვევაში კი სისხლის აღება, შურისძიება გარდაუვალია; საერთოდ, უმეტეს შემთხვევაში, ქალი აფხაზური შურისძიების ძირითადი მიზეზია. აფხაზური შეგნების მიხედვით, ინდივიდუალურმა კონფლიქტმა დაუყოვნებლივ უნდა ჰპოვოს საჯარო გამოძახილი, რადგან, მათი შეხედულებით, ყველა სასიძო და ყველა სარძლო მთელი თემის სასიძო და სარძლოა.

ქორწილის დროს ძუძუმტე (ძიძიშვილი), უახლოეს ნათესავებთან ერთად, წინა პლანზე დგას. მის გარეშე სასიძოს მამას უფლება არა აქვს საპატარძლოს მშობლებთან გამოჩნდეს.

როდესაც მამა თანმხლები პირებით მოდის და მათთან ერთად მაგიდასთან ადგილს იკავებს, მასპინძელს სთხოვენ დაჯდეს, რის შემდეგაც სტუმრები დგებიან და რომელიმე მყუდრო, გამოსაჩენ ადგილას ჩაიმუხლებენ მაგიდასთან ახლოს. სტუმრების თავკაცი განკარგულებას გასცემს, მასპინძელს ღვინო მიაწოდეთო, რომელიც, თავის მხრივ, ჩაცუცქულ სტუმრებს სთხოვს, ადგნენ. ზოგიერთები ამ თხოვნას ასრულებენ; ამის შემდეგ სტუმართაგან უხუცესი ლოცავს ორივე მხა-

---

51 ს. ჯანაშია, Абхазский культ и быт // Христианский Восток, T. V , 1917, გვ. 157-208; Archang. Lamberti, Relation de Colchide ou Mengrelie (Recueil des Voyages au nord, VII. თავი XVI, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, ტ. 43, 1913, გვ. 92-95 (განსაკუთრებით სამეგრელოს შესახებ).

რის დაახლოებას, მათი შვილების ქორწინების საფუძველზე (აფხაზები უმკაცრეს ეგზოგამიას იცავენ) რომ განხორციელდა და ჩამოთვლის საჩუქრებს (უმეტესად ლანგარზე დადებულს), რომელთაც იგი ყველას უჩვენებს.

ამ ცერემონიალს არ ესწრება არც საცოლე და არც სასიძო. ისინი ამ დროს არიან თავიანთ „ამჰარაში" – ახლად შეუღლებულთათვის განკუთვნილ მოწნულ სადგომში, სადაც ისინი პირველ ხანებში, ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგაც, ცხოვრობენ. მასპინძელს შეუძლია, სტუმრები ან ახლა დაასაჩუქროს, ან კიდევ მოგვიანებით ქორწილის დროს. ყველა უნდა დასაჩუქრდეს, მათ შორის სასიძოს მამის თანმხლებნიც. დანიშვნის შემდეგ საქმრო ეპატიჟება საცოლის მამას ან ძმას; იგი მათ არ უნდა ეჩვენოს, მაგრამ მათ თავიანთ მხლებლებთან ერთად გულუხვად უმასპინძლდება და ასაჩუქრებს. შემდეგ საქმროს ძმა და და მდიდრული საჩუქრებით – ტანსაცმელით, სარკით, სამკაულებითა და სხვა ნივთებით – პატარძალთან მიდიან და გამასპინძლების ხარჯებსაც (მსხვილფეხა საქონლს, თხებს, ღვინოსა და სხვ.) თავად კისრულობენ.

საპატარძლოს ამჰარაში ნახულობენ. იგი პირბადით დგას კედლის წინ თავისი მეგობარი გოგონების წრეში. მას ესალმებიან, კოცნიან და ეხვევიან საქმროს ნათესავები და სხვები. გარეთ კი რევოლვერისა და თოფის სროლის ხმები იქაუროობას აცოცხლებს და მხიარულებას მატებს. საჩუქრების[52] საზეიმო გადაცემის შემდეგ, პატარძალი სტუმრების გასახარად პირბადეს იხდის. პატარძალს უფლება არა აქვს დაჯდეს ან გაიღიმოს. შემდეგ უკვე თვითონ სტუმრებიც იღებენ საჩუქრებს. მხოლოდ პატარძლის მშობლებისა და თავად პატარძლის დასაჩუქრების შემდეგ, საქმროს შეუძლია პატარძლის ნახვა, ისიც შემთხვევის წყალობით, ან საიდუმლოდ სადმე სამეზობლოში. ეს საჩუქრები დაახლოებით 500 რუბლის ღირებულებისაა. გარდა ამისა, ამსში შედის 16 ხარ-ძროხა, ამდენივე ცხენი, უნაგირი, მაგრამ არა ბალიში! გამასპინძლების საერთო ხარჯები, რაც აუცილებელია და ყველა სხვა ხარჯი, საქმრომ უნდა გაისტუმროს.

ძიძიშვილი. ძუძუმტე ყველა პროცესში იღებს მონაწილეობას და მუდამ წინა პლანზე დგას საქორწინო რიტუალის შესრულების დროს.

---

52 ე.წ. „პირის სანახავი", ანუ „სახის ნახვა". ეს საჩუქრები ზუსტად შეესატყვისება ძველ, ჰომეროსის დროინდელ წეს-ჩვეულებებს, საქორწინო ფატაში გახვეულ პატარძალს საჩუქრები მიართვან და ამით მისთვის ვუალის მოხსნა შეამზადონ: Dr. Jeremias, „Der Schleier von Sumer bis heute", 1931, გვ. 48.

იგი ისევე იღებს საჩუქრებს, როგორც სხვები და ამასთან, სხვების დასაჩუქრებაც ევალება. მის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ სრულდება. ასევე მნიშვნელოვანია ეგრეთ წოდებული „პაჟის" [ხელისმომკიდის – რედ.] როლიც, რომელმაც პატარძალი ამჰარიდან უნდა გამოიყვანოს, რათა 21 დღის შემდეგ საქმროს მშობლებს მიჰგვაროს. ამგვარად, საპატარძლოს „პაჟი" ისევე, როგორც საქმროს „პაჟი", ახალშეუღლებულებს უნათესავდება.[53] ამით ცხადი ხდება, რომ შეუღლება ისევე, როგორც მიცვალებულის გამოგლოვება (იხილე ქვემოთ) და ძუძუმტეობა სრულიად ახალ სანათესაო პირობებს ქმნის მანამდე უცხო პირთათვის, რომელთაც ამ სამი უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული გარემოების დროს არსებითი ფუნქციები აკისრიათ. ასევე უკვე ნათესავად ითვლება ის, რომელიც ახალშობილს პირველი შეკრეჭს თმას.

როდესაც პატარძალი მშობლიური სახლიდან თავისი საქმროს მშობლების სახლისკენ მიეშურება, მას თან მიჰყვებიან მისი მეგობარი გოგონები და რამდენიმე ახლობელი ბიჭი. პატარძალს პირბადე უკეთია, იგი ტირის. სახლში მისულს თეთრად გამოაწყობენ, სულ თეთრებით შემოსავენ, მდინარეზე გაიყვანენ და თითზე ვერცხლის ბეჭედს წამოაცვამენ, რომლის დროსაც წყლის ქალღმერთს უხმობენ: „ძიძლან, წყლის მეუფევე, შენი სახელით ვაძლევთ ამ ქალს ბეჭედს". შემდეგ პატარძალი ამჰარაში მიჰყავთ, სადაც იგი პირბადეაფარებული და მდუმარე, მარტო რჩება. ასევე საქმროც სადმე მეზობლებში უნდა წავიდეს, რადგან არც მას და არც პატარძალს ამ დროს საქორწილო ნადიმზე გამოჩენის უფლება ჯერ არ აქვთ.

ლხინის დროს მაგიდასთან მჯდომი უხუცესი კაცი წამოდგება და იქ გამართულ საზეიმო ცერემონიალში, ლოცვისა და კურთხევის თანხლებით, შემწვარ-მოხრაკულ საჭმელს ღვინოს მოასხურებს, თვითონაც შეჭამს და სხვებსაც გაუნაწილებს; ამით საზეიმო სუფრის კურთხევა ხდება. ახლა პატარძლის კუთვნილი საჩუქრებიც მოაქვთ, რაც იმისთვის არის გამიზნული, რომ „მისი სახე იხილონ". პატარძალმა პირველი 2-3 კვირის განმავლობაში უმკაცრესად უნდა დაიცვას მდუმარება, მას არავისთან ლაპარაკის უფლება არა აქვს, გარდა ბავშვობისდროინდელი მეგობარი გოგონასი. პირველ ღამეს საქმრო მასთან არ უნდა გამოჩნდეს. იგი საჩუქრებს პატარძლის მეგობარ გოგონებსაც ურიგებს. რაც შეეხება ქორწილს, იგი ორი-სამი კვირის განმავლობაში გრძელდება. პატარძალს არა აქვს უფლება თავის საქმროს და მის

53 Dr. Jeremias, მითითებული ნაშრომი, გვ. 189-208.

ახლობლებს სახელითა და გვარით მიმართოს. მამამთილსა და დედამთილს კი ასე მიმართავს: „ჩემო მბრძანებლებო“. არც საქმროს აქვს უფლება სახელით მიმართოს სიმამრსა და სიდედრს. განსაკუთრებით უგულებელყოფილია და უკანა პლანზე რჩება პატარძალი.[54] იგი მუდამ ხმაამოუღებლად და მოთმინებით ემსახურება გვარის უხუცესებს, ეკრძალება უფროსების გვერდით დაჯდომა, მათთან ლაპარაკი და ისეთ პირობებში ცხოვრობს, რომ მისი ყოფა პირველი ორი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად პირდაპირ მონურ ხასიათს ატარებს. ამის შემდეგაც ახალრძალი პიროვნულად სხვების მორჩილია; იგი ბანს მათ ხელებს და ფეხებს, ფეხზე უნდა იდგეს, როცა სხვები საჭმელ-სასმელს მიირთმევენ, რათა უკეთ მოემსახუროს უფროსებს; მხოლოდ ამჰარაში ეძლევა მას მცირედი თავისუფლება და სულის მოთქმის საშუალება!.

ამჰარას გარდა, პატარძალს შეუძლია ცოტა უფრო თავისუფლად იგრძნოს თავი „ასასაითჰარაში“ [სასტუმრო სახლი – რედ.], სადაც სასტუმრო ოთახები იყო განლაგებული. საცხოვრებლად ამჰარადან ძირითად სახლში გადასვლა ხდება ლოცვებისა და შესაწირავების თანხლებით, რაც აჟაჰარასთვის (ოჯახის მფარველი ანგელოზისთვის) არის განკუთვნილი.

პირველი მშობიარობის შემდეგ, ახალგაზრდა ქალი მშობლებთან ბრუნდება, სადაც მსხვერპლს წირავენ იქაურ აჟაჰარას, რომლის დროსაც იგი კერას სამჯერ შემოუვლის და ეხება კერიის თავზე ჩამოკიდებულ ჯაჭვს თხოვნით, რომ ნება მისცეს გახდეს ახალი ოჯახის წევრი. განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ ახალრძლის გვარის ძიძიშვილის მიერ მოძღვნილ საჩუქრებს.

ქალის მორალს, მის ზნეობას თავდებად უდგებიან და წარმართავენ მისი გვარის, ოჯახის წევრები და არა მეუღლე.

განსაკუთრებულ შესაწირავებს და ძღვენს ამზადებენ აჟაჰარასათვის, როგორც ახალშობილის დაბადების დროს, ასევე მიცვალებულთა, „სახლის გარეთ მყოფ სულთა“ ხსოვნის დღეებში. უნდა აღინიშნოს ასევე „ადგილის ღვთაება“, უკვე მოხსენიებული წყლის ქალღმერთი „ძიძლანი“ და სხვ. მშობიარეს გვერდით უდებენ სპილენძის, რკინისა და სხვა ლითონის საგნებს – მაკრატელს, დანას და სხვ. „ადგილის ღვთაებას“ სწირავენ ხუთ კვერცხს (ოთხ კვერცხს სახლის ოთხ კუთხეში მიწაში ფლავენ).[55]

---

54 იქვე. გვ. 197-დან.

55 С. Джанашия. მითითებული ნაშრომი, გვ. 157-208 (1917).

როდესაც ამ ზნე-ჩვეულებებს ოსურ თუ სხვა კავკასიელი ხალხების ზნე-ჩვევებს ადარებენ, თვალშისაცემი ხდება, რომ საჩუქრები[56] უმკაცრესად არის განსაზღვრული, რაც საკმაოდ უძველესი დროიდან არის შემორჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს წესები დროთა განმავლობაში იცვლებოდნენ კიდეც.

ჩერქეზები

ჩერქეზებთან ჩვენ ვეცნობით კავკასიელ მთიელი ხალხების კიდევ სხვა ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც ძველ სპარტანულ-ლიკურგისეულ ადათ-წესებს მოგვაგონებს. ჩვეულებრივ, ჩერქეზები გმირების სახელოვან საქმეებს განადიდებდნენ, რომელთა მაგალითზეც მომავალი თაობა გმირული სულისკვეთებით უნდა აღეზარდათ.

თავისი ვაჟკაცობა და საქმის კეთების უნარი ჩერქეზმა, ჩეჩენმა და სხვამ, როგორც იქაური წესია, თავზე ხელაღებული, გაბედული საქციელით – ქურდობით, თარეშით და ნადავლის მოპოვებით უნდა დაამტკიცოს, რომლის დროსაც მის სიცოცხლეს ხშირად საფრთხე ემუქრება.[57] ქურდობა და მტაცებლობა ასეთ შემთხვევებში რელიგიურად იყო გაპირობებული და ხორციელდებოდა როგორც წმინდა, აუცილებელი საქმე. მასში შედიოდა ცხენების ქურდობა, საქონლისა თუ სხვა პირუტყვის ჯოგის გატაცება, (მაგრამ ყოველთვის სხვაგან, შინაური გარემოს ფარგლებს გარეთ), თავდასხმა საძულველ რუსულ დასახლებებზე და მტრების განადგურება, რომლის დროსაც მოწინააღმდეგეს ხელებსა და ყურებს აჭრიდნენ და თან მიჰქონდათ, როგორც ნადავლი. ეს უმეტესად სისხლის აღების დროს ხდებოდა, რათა ეს ნადავლი სახლში ჩამოეკიდათ (ხელები) ან ნათესავების საფლავებთან დაეწყოთ (ყურები), როგორც ამას ინგუშები (ჩეჩნების მონათესავე ხალხი) აკეთებდნენ მიცვალებულების სულის დასამშვიდებლად.[58]

ქურდობა და მტაცებლობა წარმატებულად უნდა შესრულდეს, ე. ი. იმ პირს, ვინც ამას აკეთებს, ფაქტზე არ უნდა წაასწროონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მხდალ, ლაჩარ ადამიანად შერაცხავენ და ყველა დასცინებს და შეიზიზღებს.[59] გარდა ამისა, თუ ფაქტზე წაასწრეს,

56 Albr. Götze, Kulturgeschichte, გვ. 102-109, 1933.

57 Comte Jean Potocki, „Voyage dans les steps d'Astrakhan et du Caucase", Edid. Klaproth, Paris, 1829, გვ. 146-153, 172-173, passim.

58 იქვე. გვ. 175 და ა. შ.

59 იქვე. გვ. 291.

მან ნაქურდალი დაზარალებულს უნდა დაუბრუნოს, რომელმაც იგი შებრძოლებისას შეიძლება მოკლას კიდეც ისე, რომ ამისათვის არც არავინ დასჯის. თავისი აულის (სოფლის) ნებისმიერი ქალი მას უკუაგდებს, ცოლობაზე უარს ეტყვის და შემდეგი სიტყვებით გაისტუმრებს: „ერთი ძროხაც ვერ მოგიყვანია სახლში, აბა, ცოლად როგორ უნდა გამოგყვე?“

„შუფშუოა“ ერქვა ჩერქეზი წინამძღოლის (რუსები მას **князь**-ს, ანუ თავადს უწოდებენ) ამგვარი ქურდობისა თუ მტაცებლობისათვის მზადებას, რადგან თუ თავადი ამ საქმეს მოერიდებოდა და ქურდობას არ ჩაიდენდა, ეს მისი უუნარობისა და უმაქნისობის ნიშანი იქნებოდა. თავადი სექტემბერში მიდიოდა ტყეში (რომელიც წმინდაა), სადაც ხის ტოტებისაგან ქოხს იშენებდა; ქოხი გარშემორტყმული იყო ერთგვარი მდუმარე, გარინდებული გარემოთი. მას თან ახლდნენ მეგობრები, მაგრამ არა ძმები ან სისხლით ნათესავები; მათთან არავის უშვებდნენ, გარდა წინასწარ შერჩეული ხალხისა, მდუმარე საზეიმო განწყობილებით რომ იყო გარემოცული. ამასთან, ისინი ერთმანეთთან ჩერქეზულად როდი ლაპარაკობდნენ, არამედ სხვა ენაზე, რომელსაც შაყობზა ჰქვია. ყველას ნიღაბი ეკეთა, რათა შესაძლო შურისძიებას მორიდებოდნენ, მათ მიერ დაზარალებულთაგან რომ იყო მოსალოდნელი. ეს სამზადისი ტყეში აშენებულ ქოხში დიდი ამბითა და ხმაურით ექვსი თვე გრძელდებოდა. შემდეგ საგმირო სათავგადასავლო სვლას შეუდგებოდნენ საქურდლად და საყაჩაღოდ.[60]

უძველესი დროიდან წმინდად მიჩნეული ქურდობისა და ყაჩაღობის ტრადიციას უმკაცრესად და რეგულარულად იცავდა აგრეთვე ყველა სხვა კავკასიური მოდგმის ხალხი, განსაკუთრებით კი მაღალმთიანეთის მკვიდრნი: ოსები, ინგუშები, ჩეჩნები, ლეკები, ყუმიკები, მაგრამ ასევე მეგრელები და სხვები,[61] რაც ძალიან ხშირად მათი და სხვა კავკასიელი ხალხების პოლიტიკური ინტერესების საზიანო ხდებოდა.[62]

ისინი იპარავდნენ და იტაცებდნენ: თხებს, ძროხებს, ხარებს, ცხენებს ყველა მეტ-ნაკლებად საკულტო ცხოველებს – ნაყოფიერების ღმე-

60 იქვე, გვ. 168-179.

61 Klaproth, Voyage au Mont Caucase et en Géorgie, Paris, 1829, ტ. I, გვ. 339-390, 391-421; ტ. II, გვ. 239-242, 263; Klaproth, Geographisch-historische Beschreibung des östlichen Kaukasus, Weimar, 1814, გვ. 10, 13-18, 21-29, 112, 114, 115, 120, 133, 135-145, 150, 159, 162, 165, 183, 199-200; J. B. Tavernier, Les six voyages en Assie etc..., La Hay, 1718; ტ. I, გვ. 368-374, 381; La mberti, მთითებული ნაშრომი. თავი. 12.

62 Gener. d. D. Ashauer, Auf Schicksalswegen gen Osten, გვ. 326, 338-339.

რთების, შთამომავლობის შექმნისა და ენერგიის სიმბოლოებად რომ იყვნენ მიჩნეულნი. უფლება ქალზე, ქორწინებაზე აქ კავშირშია ამ ცხოველების გატაცებასთან; მხოლოდ ამ გატაცების შემდეგ აქვს უფლება კაცს წაიყვანოს გოგონა. ქალის წაყვანასთან პირუტყვის ქურდობის ეს პრაქტიკა კავშირი, შესაძლოა, მიუთითებდეს აღნიშნულ ცხოველთა გატაცების კულტით გაპირობებული ქურდობის წარმოშობაზე. ხომ უეჭველია საკულტო წარმოშობის სათავეები იმ შეჯიბრებებისა, რომლებიც, მაგალითად, მიცვალებულთა ხსოვნის დღეებში მათ საფლავებთან იმართება.შეჯიბრებებშიც დიდი ვაჟკაცობის, გამბედაობის, პატივმოყვარეობისა და სხვა გმირული თვისებების გამოვლინებაა საჭირო. მოგვიანებით ქურდობის ტრადიცია ბოროტებაში გადაიზარდა. თუმცა ამ ტრადიციის საკულტო წარმოშობის ხასიათის აღნიშვნასთან ერთად უფრო საფუძვლიანი შესწავლის მეშვეობით თვალშისაცემი ხდება, აგრეთვე, ამ ზნე-ჩვეულებების თანამდევი სულიერი ნიშან-თვისებები: საზეიმო-სადღესასწაულო განწყობილება, ღვთისმოსაობა, მოწიწების გრძნობა და სხვ., რომელიც თითქმის თაყვანისცემის ტოლფასია,

გარდა ამისა, აღსანიშნავია აგრეთვე ჟღერადობა სიტყვებისა – ქალი, ცოლი, საყვარელი, კურო, რაც ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთში მცხოვრებ ზოგ ხალხთან შეინიშნება.[63]

ინგუშები ჩეჩენთა თავისებური მონათესავე ხალხია. თუშები ქართველებს მიეკუთვნებიან, ოღონდ ინგუშების მეზობლად ცხოვრობენ. იქ არ არის გავრცელებული ქურდობა[64] ისევე, როგორც ქართველებში. ამდენად, უფრო აღსანიშნავია მათი ცნებებისა და მნიშვნელობების იგივეობა სიტყვებთან „ხარი" (კურო), „საყვარელი", „ცოლი". აქ საქმე შემდეგშია: წმინდა გიორგის თითქმის ყველა ხალხი უაღრესად დიდ პატივს სცემს; მას კავკასიაში ყველგან აქვს თავისი წმინდა მთის მწვერვალები, მღვიმე-გამოქვაბულები, სამლოცველოები და ა. შ. წმ. გიორგიმ ჩაანაცვლა წარმართული ღვთაება ამ ხალხების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. აფხაზებს სწამთ, რომ წმ. გიორგის ყოველი წლის 20 ნოემბერს ხარი მიჰყავს ილორის სახელით ცნობილ თავის ეკლესიაში და მას ხალხს ჩუქნის. მაშასადამე, აქ წმ. გიორგი თავად იტაცებს ხარს. ამ საყოველთაოდ ცნობილი ადგილის ილორის მოსახლეობა გულმოდგინედ ბაძავს თავიანთ წმინდანს და ამ ზემოაღნიშნულ დღეს, როდესაც დაღამდება, ხარ-ძროხის გატაცების სამზადისს შეუდგება. ძველად

63 Klaproth, Voyage... ტ. II, გვ. 351-დან.

64 იქვე, ტომი II, გვ. 71-72.

ამ მნიშვნელოვან მოვალეობას წარმართული ღვთაება ასრულებდა, რომელიც წმ. გიორგიმ ჩაანაცვლა. ეს უძველესი, კულტის რანგში აყვანილი ჩვეულება დღემდე საკრალურადაა შემორჩენილი კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში. ამ ძველ სპარტანულ ჩვეულებას თავისი რელიგიური საფუძველი ჰქონდა, რადგან აფხაზები წმ. გიორგის „ქურდს" უწოდებენ და ცდილობენ, მიბაძონ მას ქურდობაში, რასაც ისინი, როგორც არქანჯელო ლამბერტი ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში აღნიშნავდა, „რელიგიურ აქტად" თვლიდნენ (იხ. ქვემოთ).[65] ცნობილია, რომ ღმერთები და ნახევარღმერთებიც, ანტიკური წყაროების თანახმად, ასევე მსხვილფეხა პირუტყვს იტაცებენ.

ასეთივე ვითარება იყო ძველ აღმოსავლეთშიც: მაღალი წოდების პირები მონაწილეობას იღებდნენ თავიანთი ქვეშევრდომების ქურდობაში, ზოგჯერ კი თვითონ ახდენდნენ ამ ქურდობების ორგანიზებას. გავიხსენოთ ესაიას სიტყვები, I, 23: „თქვენი ბატონები ქურდების თანამზრახველნი არიან".

მეთაურები ძველად უმეტეს შემთხვევაში იმავდროულად ხუცესებიც (იგივე ხევისბრები, ქურუმები) იყვნენ. კავკასიის მთის მოსახლეობის გვარის უფროსები დღემდე მისდევენ ამ ტრადიციას, როგორც თავიანთი უძველესი მსახურების საკრალურ ვალდებულებას, რომლის არსი და მიზანი ხალხთა მეხსიერებიდან და შეგნებიდან დიდი ხანია გაქრა. ქურდობის ტრადიციას საკრალური წარმოშობა და საწყისები რომ არ ჰქონოდა, ის, სავარაუდოდ, ამდენ ხანს ვერ გასტანდა.

აფხაზები და მეგრელები ჰყვებიან ხოლმე: იესომ მჭედელი შეაჩვენა ლურსმნების გაკეთების გამო, მაგრამ ქურდი, რომელმაც მაცხოვრის ჯვარცმისთვის განკუთვნილი ლურსმნები მოიპარა – დალოცა. ამის საფუძველზე ქურდობა ითვლება „კანონიერად და ზნეობრივ საქციელად".[66]

როდესაც ცხენებით სათარეშოდ მიდიოდნენ, შეიძლებოდა, ისეც მომხდარიყო, რომ შინ დაბრუნებისას ტყვეებიც თან წამოეყვანათ, მაგალითად, რუსები, ნოღაელი თათრები და სხვ. ამ ტყვეს ფეხებსა და

65 Arch. Lamberti, Relation de Colchide ou Mengrelie, გვ. 163-197; განსაკუთრებით გვ. 163; In: Recueil des Voyages au Nord, VII. ასევე იხ: Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, ტ. 43 (1913), გვ. 1-232; 152-158; განსაკუთრებით გვ. 157 ქურდობისა და ქურდების შესახებ, თვი XII. Chardin, Voyage en Perse ... ტ. I, 1811, გვ. 316-321.

66 И. Кобалия. Из мифической Колхиды // Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, ტ. 32, 1903, განყ. III, გვ. 112 (შდრ. იქვე, გვ. 91-92, 109-111).

ყელს ჯაჭვით შეუკრავდნენ.[67] ამგვარად იქცეოდნენ ჩეჩნებიც. პოტოცკის მიერ შექმნილ ძველებურ ქანდაკებაზე (Güldenstedt, გვ. 182) ვხედავთ ჯაჭვით დაბმულ ტყვეს, რომელსაც ტალღისებურად გამოსახულ ხელში მახვილი უჭირავს.[68]

1843 წელს მთიელი ხალხების მიერ რუსების წინააღმდეგ გამართულ ომში მიურიდებმა (ისლამური თავისუფლებისათვის მებრძოლნი) ტყვედ ჩაგდებული ქრისტიანი კავკასიელი, რომელიც მათ წინააღმდეგ რუსების მხარდამხარ იბრძოდა, ნაიბ ახვერდი მაჰომას საფლავზე მსხვერპლად შეწირეს, რადგან ნაიბი იმავე ბრძოლაში დაეცა, რომელშიც ეს უბედური დაატყვევეს.[69] მაგრამ თუ ტყვეს რომელიმე სახლში ძაფის სართავ ოთახში შეიყვანდნენ და იგი ოჯახის დიასახლისის მიერ მიწოდებულ წყალს დალევდა, თავისუფლად შეეძლო, მონაწილეობა მიეღო საღამო ხანს გამართულ ცეკვა-თამაშში, სიმღერაში და სხვა, რომელსაც ძაფის მრთველი ქალები აწყობდნენ ხოლმე.[70]

დაღესტნელები, ჩერქეზები და სხვები პატივს სცემენ და ხელშეუხებლად თვლიან ნებისმიერ უცხოს, როცა ეს უკანასკნელი მათ შორის ყონაღს, ანუ მასპინძელს ირჩევს, რომელთანაც იგი საერთო სუფრაზე პურს გატეხს. საკმარისი იყო, მაგალითად, საქონლით დატვირთული გემით მოგზაური ფრანგი ვაჭარი ჩერქეზებთან შეჩერებულიყო და ეთქვა, ჩემი ყონაღი[71] თავადი ჯენდარი არისო, რომ მას მაშინათვე დიდი პატივით მიიღებდნენ და დააფასებდნენ. ამის შემდეგ სტუმარს, მის საქონელსა და საქმეებს უკვე თავადი იცავდა. მას ზედმეტად ვერავინ შეაწუხებდა და ვერაფერში ხელს ვერ შეუშლიდა. ყონაღი ვალდებული იყო, მისი დაცვის, მფარველობის ქვეშ მყოფი პირისთვის ყოველნაირი დახმარება აღმოეჩინა, თუნდაც ამ დროს მის სიცოცხლეს საფრთხე დამუქრებოდა. მაგალითად, თუ ბერძენი, მაშასადამე, უცხოელი, შეყვარებული იყო და სურდა, საყვარელ ქალზე ექორწინა, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, მოეტაცა იგი, მიდიოდა თავის ყონაღთან (თავადი ჯენდარი) და დახმარებას სთხოვდა; თავადის ვაჟები და ახლობლები შეყვარებულს ქალის მოტაცებაში შეელოდნენ;[72] სადავო საკი-

67 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 163-166.

68 იქვე, გვ. 182.

69 John F. Baddeley, The Russian Consequest of the Caucasus, London, 1906, გვ. 374.

70 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 198.

71 იქვე, გვ. 254, 262-266, passim.

72 იქვე, გვ. 300-304.

თხის გარჩევის დროს იქ გამოჩნდებოდა თავადი და აცხადებდა, რომ იგი არასდროს მოითმენდა იმ სირცხვილსა და თავის მოჭრას, რაც თავის მფარველობის ქვეშ მყოფი ვაჟის მიერ მოტაცებული ქალის უკან დაბრუნებით იქნებოდა გამოწვეული: „ქალი უკვე სამუდამოდ არის ამ ვაჟთან დაკავშირებული და მათი ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელიაო“. თავადის თქმით, იგი არ მოითმენდა და არ დაუშვებდა ისეთ რამეს, რაც მისი მფარველობის გულწრფელობას ეჭვქვეშ დააყენებდა. ის გვარებიც, რომლებიც ზემოაღნიშნული ქურდობითა და მტაცებლობით იყვნენ ცნობილნი, უაღრესად აფასებდნენ, პატივს სცემდნენ და იცავდნენ სტუმართმოყვარეობის წმინდა ტრადიციას, მაგალითად, ყოველი სტუმარი, ვინც ოსური ოჯახის ზღურბლს გადააბიჯებდა და მასპინძლის სტუმართმოყვარეობით ისარგებლებდა, ხელშეუხებელი ხდებოდა. მაგრამ თუ ვინმე სტუმარს შეეხებოდა, შეურაცხყოფდა, თავს დაესხმებოდა, მას თავისი თანასოფლელები გაკოჭავდნენ და უფსკრულში გადაჩეხავდნენ.[73]

სტუმარმასპინძლობა, მფარველობა [ყონაღობა – რედ.] და სტუმრის დაცვა [პატრონატი – რედ.] კავკასიის მთიელი მოსახლეობის წმინდა მოვალეობად ითვლება (ცოტათი განსხვავებულია ფშავლებთან).

ყველა მნიშვნელოვანი და სადავო საკითხი ჩერქეზ მოსახლეობაში ხალხის თავყრილობაზე წყდებოდა, რომელზე დასწრების სრული უფლება ყველა ადამიანს ჰქონდა. ყოველ ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანს შეეძლო იქ თავისუფლად ელაპარაკა და თავისი აზრები გამოეთქვა და თავადისთვისაც დაუბრკოლებლად მიემართა სიტყვით. მშვიერმეტყველება და საუბრის ხელოვნება ახალგაზრდების აღზრდის აუცილებელ პირობად ითვლებოდა. შეკრება წმინდად შერაცხულ ადგილებში (ბუნების წიაღში, კოროშში და სხვ.) იმართებოდა. მას ხელმძღვანელობდა უხუცესი თავადი იმ ჩვეულების თანახმად, რომელიც უწმინდეს მოვალეობად (კანონად) მიიჩნეოდა.[74] შეკრებებზე წყვეტდნენ სამშვიდობო და საომარ საკითხებს, შეეძლო თუ არა თავადს დასჯის მიზნით გაეყიდა თავისი ვასალი და ა. შ. მაგრამ მამას შეეძლო გაეყიდა თავისი შვილები, ძმას თავისი და, კაცს თავისი მოღალატე ცოლი.[75]

ჩერქეზებში, ყაბარდოელებში, ოსებსა და მათ მეზობელ ხალხებში თავადები, აზნაურები, ვასალები, საჭურველმტვირთველები, თავადის

73 Klaproth,Voyage... ტ. II. გვ. 50.

74 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 288, 291, 301 და ა. შ.

75 იქვე. გვ. 288-289.

მეაბჯრეები, რომლებიც როგორც საკუთარ, ასევე თავადების ადგილ-მამულებს ამუშავებდნენ, დაბოლოს, ყმა-მონები შეადგენდნენ ოთხი სახეობის წოდებას.[76] ამის მიხედვით ჰყავდა თავადს – ფშეს [ფშის – რედ.] – თავისი აზნაურები, უორკები. ამ უკანასკნელებს ჰყავდათ თავიანთი გლეხები (ფშინათები). განსაკუთრებულ წოდებას მიეკუთვნებოდნენ საგვარეულო ოჯახების უხუცესი წევრები – ეგრეთ წოდებული „თლიაქოთლეშები", რომლებიც მათ მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით თავიანთ მხარეში პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტილებებში მონაწილეობდნენ (თავადებთან ერთად). თლიაქოთლეშები ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ და მათი სისხლისთვის მრავალჯერადი დანაშაულის გამოსყიდვა ხდებოდა, ისევე როგორც სხვა უბრალო ადამიანებისთვის. თავადებს შეეძლოთ მხოლოდ თავადებზე ექორწინათ, როგორც თავიანთ მხარეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თავადის სისხლს, ყაბარდოელთა შეხედულებით, შეეძლო ხეობები სისხლით ამოევსო. თუ მკვლელი ორიენ უმაღლეს წოდებას მიეკუთვნებოდა, მაშინ იგი თავის მამაკაც ნათესავებთან ერთად სიკვდილით ისჯებოდა. მისი ცოლი და შვილები მოკლულის მემკვიდრის მონები ხდებოდნენ. მკვლელისა და მისი ნათესავების ქონებას კონფისკაციას უკეთებდნენ. თავადის სხვადასხვა ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები შემდეგში ქმნიდნენ თავიანთ წოდებას, რომელსაც „თუმა" ეწოდებოდა. მათ თავიანთი შესაფერისი და კუთვნილი ადგილი ცხოვრებაში რაინდული ქმედებებით უნდა მოეპოვებინათ. ადიღი (ჩერქეზული) თავადების ყარბადაში იმიგრირებული ვაჟიშვილები დეინუგოს წოდებას მიეკუთვნებოდნენ. უორკები, თავის მხრივ, იყოფოდნენ ბედიასლან, ანუ თავადების უორკებად, რომლებიც თავადების მამულებში ცხოვრობდნენ; შემდეგ აღვნიშნავთ თაუთლუყუს უორკებს, რომლებიც თავისუფალი გლეხები იყვნენ და სხვ. ჯარში სამსახური და თავადის ამალაში მხლებლად ყოფნა ამ წოდების წარმომადგენელთა მთავარი მოვალეობა იყო. მაგრამ ამასთან, ისინი ვალდებული არ იყვნენ თან ხლებოდნენ თავადს ქურდობისა და მტაცებლობის დროს.

მათ ჰქონდათ ერთგვარი ორპალატიანი პარლამენტი, რომელსაც პოკი ეწოდებოდა. ზედა პალატაში ისხდნენ „ფშიები", ანუ თავადები, ხოლო ქვედაში – უორკები. მათ მეთაურობდა უხუცესი თავადი – ფში-თჰამადა („უფროსი თავადი"). რუსეთთან ურთიერთობების დასარე-

76 იქვე, გვ. 153-154; М. Ковалевский, Закон и Обычаи на Кавказе. Т. I, გვ. 238. Klaproth, Voyage... ტ. I, გვ. 339-390.

გულირებლად ჰოკი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში იწვევდა შეკრებებს.

განსაკუთრებით ცნობილი იყო ყაბარდოელთა ჯაჭვის პერანგი, რომელსაც იყენებდნენ მაშინდელი თოფის ტყვიებისაგან თავდასაცავად. ეს ხელოვნება, რომელიც ამჟამად მივიწყებულია, ე. წ. თაჰოუთებს მიეწერებოდა. გლეხებს ჯაჭვის პერანგის ტარების უფლება არ ჰქონდათ.[77]

თუ ჩერქეზს დაქორწინება სურდა,[78] მაშინ იგი თავის გულის რჩეულის მამას „საჩუქარზე" (ყალიმზე) უნდა შეთანხმებოდა. სიმამრიც იღებდა საჩუქარს, რის შემდეგაც მას, თავის მეგობრებთან ერთად, ქალის მოტაცება შეეძლო. მეგობარს ქალი ცხენით ყონაღთან ან სიძის რომელიმე დამეგობრებულ პირთან მიჰყავდა, სადაც იგი (ქალი) მარტო რჩებოდა და გამუდმებით ცეცხლისთვის შეშა უნდა შეეკეთებინა, რათა ის არ ჩამქრალიყო. ამასობაში მეგობარი სიძეს წმინდად მიჩნეულ ადგილზე – ტყეში ეძებდა. მხოლოდ მაშინ, როცა დაღამდებოდა და ყველას ეძინა, კაცი ქალის ოთახში შეიპარებოდა, ხანჯლით ქალიშვილობის კორსეტს (კორსეტს ქალიშვილები ბავშვობიდანვე ატარებდნენ, რათა ტანწერწერტოობა შეენარჩუნებინათ) გადაუჭრიდა და მას დაეუფლებოდა. ქმარი დილაუთენია უხმოდ გაქრებოდა და ცოლს თავის სამოსახლოში პატარა სახლს დაახვედრებდა, სადაც შემდეგში უნდა ეცხოვრათ. ქმარს უფლება არ ჰქონდა ქალი დღისით ენახა, თუკი სადმე თვალს მოჰკრავდა, უნდა მორიდებოდა; ღამით კი მასთან სხვათათვის შეუმჩნეველად უნდა შესულიყო. ეს წესი სომხებსაც ჰქონდათ და მრავალი შემთხვევა იყო ისეთი, როცა ქმარს თავისი ცოლის სახე მთელი ათი წლის განმავლობაში არ ენახა. ქმრის ან მისი ნათესავების შეკითხვებზე ქალი მხოლოდ და მხოლოდ თავის მოძრაობით პასუხობდა. მას საუბრის უფლება არ ჰქონდა. ასევე მიღებული იყო მათთან საჩუქრები პატარძლისა და მისი ოჯახის წევრებისათვის.[79] ოსებისა და სხვათა ჩვეულების მიხედვით, ქმარს დღისით თავისი ცოლის ნახვა არ შეეძლო.[80]

---

77 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 154-155. Baddeley, გვ. 150; Потто, Кавказская война, I. ნაწილი II, გვ. 664-677, 733.

78 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 277-280; Klaproth, Geograph. – Histor. Beschreibung, გვ. 13-18; Klaproth, Von den Tscherkessen, გვ. 11 და მომდევნო; როდესაც მოწმეთა თანდასწრებით გაყრა ხდება, საჩუქარი (ყალიმი) ქალის მამას რჩება; ქალს კი შეუძლია კვლავ გათხოვდეს. ქალის ჩვეულებრივი, უბრალო დაბრუნებისას თავის მშობლებთან, ქმარს უფლება აქვს იგი ერთი ან ორი წლის შემდეგ კვლავ თავისთან წაიყვანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალის ნათესავები გაყრას დაასრულებენ და ქალს შეუძლია კვლავ იქორწინოს. In. Voyage etc. I გვ. 320-დან.

79 Tavernier, მითითებული ნაშრომი. ტომი I, გვ. 504-507.

80 Klaproth, Voyage... ტ. II. გვ. 223-275, განსაკუთრებით, გვ. 248.

ჩერქეზებისა და ჩეჩნებისათვის ვაჟკაცობად არ ითვლებოდა ბავშვების მონახულება ან მათზე ლაპარაკი. მხოლოდ ხანში შესულებს შვენოდათ ეს. ოჯახური ტრადიციების ამ ძველსპარტანულ, ლიკურგიულ ნიშან-თვისებებს ემატებოდა ფშავ-ხევსურული ჩვეულება – ფიზიკური ნაკლის მქონე ახალდაბადებულების დახოცვა.

სასამართლო შედგებოდა მაღალი წოდების წარმომადგენელი უხუცესი ადამიანებისგან (ცხადია, მონების გარეშე). მთიელ ხალხთა მართლმსაჯულების მოხერხებულობას და გაწაფულობას ადასტურებს მე-18 საუკუნიდან აღებული შემდეგი მაგალითები:

1. თუ ჩერქეზს გემზე სასეირნოდ დაპატიჟებდნენ და ის შემთხვევით წყალში ჩავარდებოდა, ამაზე მასპინძელი აგებდა პასუხს და დანაშაულის გამოსასყიდი თანხა უნდა გადაეხადა;

2. ორ ჩერქეზს საერთო მინდორი ჰქონდა, რომელშიც ხე იდგა. ერთ-ერთმა ჩერქეზმა ხეს ქერქი შემოაცალა და შემდეგ მალე იქაურობას გაეცალა. ხე გახმა. იქ დარჩენილმა ჩერქეზმა ცეცხლი გააჩაღა, რათა ხე დაეწვა. ამ დროს იქ ერთი გამვლელი მივიდა ჩიბუხით პირში, რომელსაც სურდა მისთვის ცეცხლი მოეკიდებინა. მას ხე თავზე დაეცა და მოკლა. მინდვრის პატრონს ამ შემთხვევის გამო პასუხი უნდა ეგო. მან ხალხი შეკრიბა და თქვა: ხე წაიქცა, რადგანაც ივი გახმა. და ის გახმა იმიტომ, რომ მას იმ მეორე ჩერქეზმა ქერქი შემოაცალა. ამიტომ დანაშაულისათვის პასუხი მას უნდა მოეთხოვოს. იქ შეკრებილმა ხალხმა ამ სიტყვების მთქმელს მხარი დაუჭირა.

3. ერთმა ჩერქეზმა ბაღში თხა დაინახა და მსახურს უბრძანა, პირუტყვი იქიდან გაეგდო. მსახურმა ცხოველს ქვა ესროლა და ფეხის კოჭი დაუზიანა, რომელიც რაღაც სახვევით მაშინვე შეუხვია. თხა შინ დაბრუნდა და იქ ანთებულ ცეცხლთან მივიდა, რომელიც მის სახვევს წაეკიდა. ტკივილისაგან გაწამებული დამფრთხალი ცხოველი გაიქცა და შეირბინა ყანაში, რომელსაც ასევე ცეცხლი მოედო. მიყენებული ზარალი იმ ჩერქეზს აანაზღაურებინეს, რომელმაც თხის ბაღიდან გაგდება ბრძანა.[81]

ჩერქეზების შესახებ ასევე ცნობილია, რომ ისინი თმას იკრეჭდნენ პატარა ნაწნავამდე [ე. ი. თავზე მხოლოდ პატარა ქოჩორს იტოვებდნენ – რედ.].[82] მათ, ისევე როგორც ყველა კავკასიელს, წელზე ერტყათ ხანჯალი და სხვა იარაღები (მახვილი, პისტოლეტი), ხოლო მათ რბილ

81 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 289-291.

82 იქვე, გვ. 272.

ფეხსაცმელებს ზემოთ აგრეხილი, წაწვრილებული ბოლოები ჰქონდა. ამის პარალელები ძველ ხეთებშიც მოიპოვება!

მკაცრად იცავდნენ ასევე შემდეგ ტრადიციულ წესს: ქალი ყოველთვის ფეხზე უნდა წამომდგარიყო, როდესაც მასთან ვინმე მამაკაცი, ასევე ვასალი თუ ხნიერი ქალი შევიდოდა ოთახში; დაჯდომის უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როცა ოთახში შესული დაჯდომას ანიშნებდა. იგივე ეხებოდა კაცებსაც. როდესაც ვინმე პატივსაცემი პიროვნება სტუმრად მოვიდოდა, რომლისთვისაც განსაკუთრებული პატივი უნდა მიეგოთ, მას საღამოობით ფეხს ბანდნენ.[83] საჭმელსაც ცალ-ცალკე ჭამდნენ სქესისა და ასაკის გათვალისწინებით. ეს წესი ჰქონდათ განსაკუთებით სომხებსა და ასევე სხვებს. სტუმრის იქ ყოფნის დროს მასპინძელი, ასევე თავადები ჩერქეზებთან, ოსებთან და სხვა ხალხებთან ფეხზე იდგნენ და სტუმართან ერთად არ ჭამდნენ, არამედ მას ემსახურებოდნენ. ჭამამდე და ჭამის შემდეგ წყალი შემოჰქონდათ და ყველანი ხელებს იბანდნენ.[84] ჩერქეზებთან და კავკასიის სხვა ხალხებთან სტუმრად მყოფ მოგზაურებს ადგილობრივი ადათ-წესების, საგმირო სიმღერებისა და ქალების გაცნობისას ძველი, ჰომეროსის დროინდელი ეპოქა ახსენდებოდათ.[85] აღსანიშნავია, რომ მეორე მხრივ, განათლებული ჩერქეზები[86] ბევრ საერთოს პოულობდნენ ჩერქეზული ცხოვრების წესსა და ჰომეროსის დროინდელ გმირებს შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ ჩერქეზები თავიანთ ქვეყანაში თავს სხვა მხრიდან მოსულებად თვლიან და ამტკიცებენ, აქ ჩვენამდე სხვა ხალხი ცხოვრობდაო.[87]

კავკასიაში ყოფილი მატრიარქალური კულტურის უმთავრესი ინსტიტუტი, დედის მიხედვით სახელის დარქმევასთან ერთად, არის აგრეთვე ლევირატი – დაქვრივებული ქალის ქორწინება მაზლზე, რამაც ძველად მთელ წინა აზიაში ფართო გავრცელება ჰპოვა.

---

83 იქვე, გვ. 333-334.

84 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 274, 287-288, 334; Klaproth, Voyage... ტ. II, გვ. 49, 55 და მომდევნო გვერდები.

85 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 314, 350; კლაპროტი აცხადებს, ლეზგისტანი (დაღესტანი) ძველებური სპარტააო. იხ. მისი ნაშრომი Voyage... ტ. II, გვ. 113-114.

86 Met – Tschjunatuko, თურქულ სამსახურში იუსუფ ისეთ ფაშას სახელით ცნობილი (1914-1924 წლებში); მრავალი ნაშრომი დაწერა ჩერქეზული ელემენტების შესახებ „ილიადაში", „ოდისეაში" და სხვ. (გამოუქვეყნებელია); მის შესახებ ზუსტი ცნობები იხ. „Горы Кавказа" № 33, 1932, გვ. 20-22.

87 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 340-341

ლევირატის მაგალითებს ვხვდებით ჩერქეზებში, ჩეჩნებში,[88] ოსებსა და თათრებში[89] უკვე მე-15 საუკუნეში; ეს საერთოდ არ არსებობდა ხევსურეთისა და თუშეთის მოსახლეობაში, ხოლო ლეკებისათვის ლევირატი სავალდებულო კი არა, ნებაყოფლობითი იყო და მაზლს მხოლოდ დაქვრივებული რძლის თანხმობის შემთხვევაში შეეძლო მისი ქმრობა.

ქალიშვილი თავისუფალია დანიშვნის ან თანხმობა-დაპირების შემთხვევაშიც და, თუ მამა, დავუშვათ, ქორწინების წინ მოკვდება, ქალიშვილს შეუძლია თავისი სურვილისამებრ სხვა აირჩიოს.[90]

ინგუშებში ინცესტი (სქესობრივი ურთიერთობა ახლო ნათესავებთან, მათ შორის ოჯახის წევრებთანაც) მე-18 საუკუნიდან არის ცნობილი; დაქვრივებულ ქალს შეეძლო წოლილიყო თავის გერთან,[91] რაც სხვა კავკასიელ ხალხებთან ინცესტად აღიქმება. ამგვარი ინცესტი გავრცელებული იყო კავკასიელ ალბანელებშიც.[92]

საქართველოს მეფის, ვახტანგის, მემატიანე ამათრახებს შორეულ წარსულში გავრცელებულ და დამკვიდრებულ უზნეო ჩვეულებებს ქართველებში, „როდესაც ქორწინდებოდნენ ნათესაობის გათვალისწინების გარეშე". ასევე დადასტურებულია, რომ დიდოელები, რომლებიც ქართველებსა და დაღესტნელებს შორის ბინადრობდნენ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ინცესტს მისდევდნენ „ნათესაობის ყოველგვარი გათვალისწინების გარეშე". მამას შეეძლო თავისი ვაჟიშვილი ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში დაექორწინებინა და თვითონ კი რძალთან სქესობრივი კავშირი ჰქონოდა, სანამ ვაჟიშვილი დაკაცდებოდა და სქესობრივად მომწიფდებოდა. ამგვარად გაჩენილ ბავშვებს მამა-შვილი ერთმანეთში იყოფდნენ.[93] მთელ დაღესტანში გავრცელებულია კონუბიუმის წესი ნათესაობაში – ენდოგამია; ყველაზე მნიშვნელოვანი და კეთილშობილურია ქორწინება ახლო ნათესავებში – ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილებში.[94] სხვა მხრივ, კავკასიაში ენდოგამია არსად

---

88 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 17, 214, 11; შდრ. Castagné.

89 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 22-23; ტ. II, გვ. 175, 180,

90 იქვე. ტომი II, გვ. 175, 180. ტომი I, გვ. 22-23.

91 იქვე, ტომი I, გვ. 17-18; შეცდომით ჩეჩნებს ასახელებს; უნდა ეწეროს ინგუშები, როგორც Potocki-სთან: Voyage dans les steps d'Astrakhan st du Caucase. Klaproth, Paris, 1928, გვ. 127. წესით ამას ეყრდნობა კოვალევსკი. ასევე Klaproth, Voyage etc. ტომი I, გვ. 409.

92 Brosset, Additions et Eclaircissements, გვ. 470-დან.

93 Klaproth, Georpah.-Histor. Beschreibung... გვ. 128.

94 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 80. ცნობილ იმამ შამილს ჰყავდა ცოლი, სადიგატი, რომლის ღვიძლმა ძმამ აბდურაჰიმმა შამილის ქალიშვილი

შეინიშნება ყველგან ეგზოგამია მოქმედებს. ჩეჩნებში, ხევსურებში, თუშებში, ქისტებსა და სხვა ხალხებში ნათესავებს შორის ქორწინება აკრძალულია.

ლინთურალი სვანებთან ნიშნავს შვილად აყვანის ცერემონიას, რომელიც შეიძლება კაცმაც შეასრულოს და ქალმაც (ან გოგონამ). კაცის ან ქალის მშობლებისაგან თანხმობის მიღების შემდეგ,შესაბამისი პირი, თავის მეგობართან ერთად, საღამო ჟამს ქალთან მიდის სახლში, სადაც მას გულუხვად უმასპინძლდებიან. სადღესასწაულო სუფრაზე ყველა დამსწრე თასს მაღლა სწევს და შესთხოვს ღმერთს, დალოცოს შვილად აყვანილი. სვანი მიდის ქალთან, ცალ მუხლზე იჩოქებს, ღრმად ხრის თავს და ეკითხება მას: თავად უნდა შეეხოს ქალის მკერდს თუ ქალი უნდა შეეხოს მის მკერდს? ეს ნიშნავს: ის უნდა გახდეს მისი დედა თუ თვითონ მისი მამა. პირველ შემთხვევაში იგი ქალს მარილს აყრის მკერდზე, ტუჩებით ეხება მას და სამჯერ ამბობს: „სი დი მი გეზალ“, ანუ „შენ დედა, მე შვილი“, რის შემდეგაც ისინი ერთმანეთს აკოცებენ. მეორე დღეს სვანი მიიღებს საჩუქრებს, მათ შორის, ცხადია, ცხვარსაც. პასუხად თვითონ სვანიც გასცემს საჩუქრებს. ამის შემდეგ ორივენი ერთმანეთის სისხლით ნათესავები ხდებიან.[95]

შვილად აყვანა უძველესი კავკასიური ადათ-წესია; სისხლით შურისძიება შეიძლება შეწყდეს დაზარალებული ოჯახის მიერ დამნაშავის შვილად აყვანით. თუ დამნაშავეს დაზარალებული ოჯახის წარმომადგენელი ქალის მხრიდან მფარველობა ექნება, იგი გათავისუფლდება. ეს შეიძლება მოხდეს, თუ მას ქალი იშვილებს, რომლის დროსაც იგი ტუჩებით ქალის მკერდს უნდა შეეხოს, თითქოს, ამით დანაყრებული ძუძუთა ბავშვის სიმბოლიზებას ახდენსო.[96]

საერთოდ, შვილად აყვანა ფართოდ არის გავრცელებული არა მხოლოდ უშვილო, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ასევე მრავალშვილიან ოჯახებშიც; შვილად აყვანა, ძმადნაფიცობა, ძუძუმტეობა და სხვა ერთი და იგივე ჩვეულებაა, ერთი და იგივე ტრადიციის სხვადასხვა ფორმაა; სისხლით ნათესაობასთან ერთად, არსებობს აგრეთვე ხელოვნური ნათესაობა, რაც ქალის მხრიდან გამოთქმული სურვილის ან თანხმობის მეშვეობით ხდება. ძმადნაფიცობის დროს ძმადგაფიცულები

ფათიმატი ცოლად შეირთო (იხ. Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, ტ. 32, 1903, განყ. ტ. I, გვ. 10-24.).

95 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 182, 35.

96 იქვე.

ხშირად თავიანთი სისხლის წვეთებს ურევენ ერთმანეთს.[97]

რამდენიმე მატრიარქალური ჩვეულება ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული კავკასიაში, უპირატესად ჩრდილოეთ კავკასიაში. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზნე-ჩვეულებები, თითქმის, ყველგან განსხვავებულია და სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

ამგვარი წეს-ჩვეულებები ქართველების, სომხებისა და მთის ხალხებში კავკასიაში მრავალი ნიშნით ჰგავს ერთმანეთს; საქართველოს მთიანეთსა და სხვა ხალხებში ვხვდებით, მაგალითად, შემდეგ ადათ-წესს: საქმრო, ქორწინების შემდეგ უკვე სიძედ წოდებული, ცოლის ოჯახში რჩება საცხოვრებლად, იგი შვილობილად მიიჩნევა და შეუძლია მემკვიდრეობაც მიიღოს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა პირდაპირი მემკვიდრე არ არსებობს. ძალზე გავრცელებული იყო ეს ჩვეულება ასევე კავკასიის გლეხთა ფენებში, მაგალითად, თიანეთის რაიონში: გლეხი პატივს სცემდა და აფასებდა თავის სიძეს, რომელიც მას ვაჟიშვილის მაგივრობას უწევდა და რომელიც, შვილებთან ერთად, მისი გვარის გამგრძელებელი ხდებოდა; ასეთ სიძეს ქართულად „ზედსიძეს“ უწოდებენ.[98]

ნიშნობისა და ქორწინების დროს ორივე მხარე, როგორც წესი, საჩუქრებს უმზადებს პატარძალსა და მისი ოჯახის წევრებს, ბიძას (დედის მხრიდან), განსაკუთრებით კი ძიძებს. ეს საჩუქრები, დროსა და სივრცეში რომ ფიგურირებენ თავიანთი ცვლილებებითა და განსხვავებებით, ცოცხალ მოგონებებს აღგვიძრავენ ძველი მცირე აზიის საქორწინო საჩუქრებსა და რიტუალებზე. ეს შედარებით მართლდება და დასტურდება ამ წეს-ჩვეულებების მსგავსებითა და მუდმივი ხასიათით.[99]

საჩუქრები გაიცემოდა წოდების მიხედვით და ამ საჩუქრებში შედიოდა როგორც ცხოველები (თხა, ცხენი, ცხვარი, მსხვილფეხა პირუტყვი), ასევე ფასეული საგნები: ტანსაცმელი, ქსოვილები, სამკაულები, იმის მიხედვით, თუ ვისთვის იყო ისინი გათვალისწინებული. კავკასიაში დღემდე მტკიცედ იცავენ საჩუქრების გაცვლის ჩვეულებას მექორწილეებსა და მათ ნათესავებს შორის, თუნდაც ეს ზოგჯერ წვრილმანი

97 სვამენ იმ პირის რამდენიმე წვეთ სისხლს, რომელთან დაძმობილებაც სურთ; შეად. Halil Beg Mussayassul, „Das Land der letzten Ritter“, გვ. 125.

98 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტომი I, გვ. 161, 91. შდრ. J. Castagné, მითითებული ნაშრომი.

99 იქვე.

საჩუქრებიც იყოს.[100] ამ საჩუქრებს თავიანთი განსაკუთრებული სახელწოდებებიც აქვთ; მაგალითად, ქართულად „პირის სანახავი" ნიშნავს „ახალდაქორწინებული ქალის პირისახის ნახვის ნებართვას". მოკლედ, საჩუქრებს იღებს ახალდაქორწინებული წყვილის ყველა უახლოესი ადამიანი, როგორც ეს ოსებთან, აფხაზებთან და სხვებთან ვნახეთ.

ჩვენ ხელთ გვაქვს მე-15 საუკუნის დროინდელი ცნობები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქართველთა მეფემ, გიორგი IX-მ, ბიზანტიელთა იმპერატორის დესპანს, სახელად ფრანძეზს, თავისი იმპერატორისთვის ქართველი პრინცესის ხელს რომ ითხოვდა, უთხრა: „ქართველების ტრადიციის მიხედვით, საქმროს საჩუქრების მოტანა ევალება; მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება საპატარძლოს მზითვის ჩამოთვლა".[101]

საქართველოში სიძესა და პატარძალს ქორწინების დროს ჰქვიათ „ნეფე-დედოფალი"; ორივე მათგანს ჰყავს თავიანთი, ეგრეთ წოდებული „მაყარი" მეგობარი და ნათესავი მამაკაცები, უმთავრესად ცხენზე მჯდომნი, რომლებიც ახალშეუღლებულ წყვილს ეკლესიაში და შემდეგ სახლში მიჰყვებიან და თავადაც მონაწილეობენ ლხინში. გზაში ისინი ასრულებენ სხვადასხვა საჯირითო ილეთებს, მღერიან საქორწინო სიმღერებს და ა. შ. გარდა ამისა, საქორწინო რიტუალის დროს სიძეს მხარს უმშვენებენ საგანგებო მეგობრები, ძმადები, რომლებსაც ეკლესიაში ხელში უჭირავთ ნეფე-დედოფლისთვის განკუთვნილი თავსაბურავი, შემდეგ კი, სახლში დაბრუნებისას, ხმლებს გადააჯვარედინებენ მათ თავზე და ა. შ. მაყრებმა უნდა დაასაჩუქრონ შესაბამის პირები და თავადაც უნდა დასაჩუქრდნენ. ასეთივე „ძმადე" ჰყავს პატარძალსაც, მაგრამ მას თან მიჰყვებიან აგრეთვე თავისი მეგობარი გოგონებიც, რომელთაც „მდადეები" ჰქვიათ.

ქართული მატიანე, ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილი, გვამცნობს, რომ ქართველთა ზოგი საგვარეულო ოჯახი თავისი „ძიძებითა" და „ლალათი" (ლალა სხვისი ბავშვის გამზრდელი კაცი) სამხრეთიდან

---

100 აქ აღვნიშნავთ აგრეთვე ქორწინების ტრადიციას სიკვდილის შემდეგ, რომელიც არსებობდა ინგუშებში (ჩეჩნების მონათესავე ხალხი). როდესაც ინგუშს ვაჟი მოუკვდებოდა, მასთან მეორე ინგუში მივიდოდა, რომელსაც ქალიშვილი აღარ ჰყავდა ცოცხალი და სთავაზობდა: „შენს ვაჟს იმქვეყნად ცოლი სჭირდება, მე მას ჩემს ქალიშვილს ვაძლევ; მომეცი შესაფერისი საჩუქარი (ყალიმი)". ასეთ შეთავაზებაზე არასოდეს შეიძლება უარის თქმა, თუნდაც საჩუქარი ძალიან ძვირი იყოს: 20, 30, 40 ძროხა! იხ. М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტომი I, გვ. 409; აგრეთვე, პოტოცკი და კლაპროტი.

101 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი 4, გვ. 45-46. Lebeau, Hist. du Bas-Empire, ტ. XXI, გვ. 219-222.

კავკასიაში გადავიდა საცხოვრებლად. ეს სახელწოდებები აღნიშნავენ „მამობილებს“ და „დედობილებს“, რომლებიც ქართველ მემატიანეთა აღწერის თანახმად, თავიანთ ოჯახის წევრებთან და თავიანთ აღსაზრდელთან ერთად ახალ სამშობლოში გადასახლდნენ. ძიძა, რომელიც თავის აღსაზრდელს საკუთარი მკერდის რძით ზრდიდა, სოციალური თვალსაზრისით, ბავშვის ნამდვილ დედას უტოლდებოდა. ეს კავკასიაში დღესაც ძალაშია; ამაზე ისიც მიუთითებს, რომ შუმერელ მეფეებს ქალღმერთები ძუძუს აწოვებენ და ამიტომ ისინი ღვთის შვილებად მიიჩნეოდნენ. შუმერი მეფეების ძიძას, რძის მიმწოდებელს შეესაბამება სახელწოდებები, როგორებიცაა: ეანნათუმი, ენთემენა, ლუგალზაგიზი, ურუქაგინა და სხვა.[102]

მე-19 საუკუნეში და რევოლუციამდეც კი კავკასიის მაღალმთიანეთის თავადები თავიანთ ვაჟიშვილებს აღსაზრდელად საკუთარ მოსამსახურეებს აძლევდნენ. ასე მაგალითად, ყაითაღისა და ყარაყაითაღის ბატონმა – უზმიმ – თავისი ახალდაბადებული ვაჟი დიდ სოფელში გააგზავნა, სადაც მას ქალები რიგრიგობით აწოვებდნენ ძუძუს; შემდეგ ბავშვი სხვა სოფელში გადაიყვანეს, მთელ იმ მხარეს მოატარეს და ყველგან ძუძუ აწოვეს. ამის შემდეგ, ბატონის ეს ახალგაზრდა მემკვიდრე იმ ოჯახისა და ყველა იმ თემის წევრი გახდა, სადაც კი ძუძუ აწოვეს.[103]

ჩერქეზი და ყაბარდოელი თავადები დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდნენ ოსებზე. ისინი თავიანთ ვაჟიშვილებს აღსაზრდელად ოსებთან აგზავნიდნენ, სადაც აღსაზრდელები ოსურ ენას სწავლობდნენ და თემის წევრებად ითვლებოდნენ მას შემდეგაც კი, როცა სახლში დაბრუნდებოდნენ.[104] ასე შინაურულად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში ცხოვრობდნენ კავკასიელი ხალხები, ვიდრე რუსების გაბატონებამ მათი ყოფისა და არსებობის საფუძვლები არ შეარყია.

„ძუძუმტეობა“, ანუ ძმური ურთიერთკავშირი, რაც საერთო ძიძის მეშვეობით ხორციელდება, ნიშნავს იმას, რომ ქალი, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებს, მისთვის ისეთივე დედაა, როგორც მისი ნამდვილი მშობელი. ასე წარმოიშობა ნათესაური კავშირი, რომელიც ისეთივე ხანგრძლივია, როგორც ნამდვილი მშობლების სისხლით ნათესაობა. „ძიძის რძე ისევე დიდხანს მიჰყვება ბავშვს, როგორც მშობლების რძე“, – ამბობს კავკასიური ანდაზა, რაც თანაბრად ეხება როგორც ქრისტიან,

102 Jeremias, Handbuch d. altoriental. Geisteskultur, გვ. 317-323, 335.

103 Klaproth, Geograph. – histor. Beschreibung, გვ. 155-164.

104 Klaproth, Voyage... ტ. I, გვ. 361-362; ტ. II, გვ. 233.

ისე მაჰმადიან ხალხებს. ერთი ძიძის რძით გაზრდილი ბავშვებისათვის მომავალში ქორწინება შეუძლებელია. სომხური კანონის 343-ე პარაგრაფი ამას კატეგორიულად კრძალავს, ხოლო ქართული კანონის 145-ე მუხლი (ვახტანგ მეფის დროინდელი) ერთადერთ ქალიშვილს მემკვიდრეობის უფლების სრულ გარანტიას ანიჭებს.[105]

მამამძუძეობითა და დედამძუძეობით ჩამოყალიბებული ნათესაობის ტრადიციას, სისხლის ნათესაობის მსგავსად, მთელ კავკასიაში ყველა, განურჩევლად კონფესიისა, დიდ პატივს მიაგებს.[106] ასეთი დამოკიდებულება აქვთ ამ წეს-ჩვეულებისადმი ოსებს, ბალყარებს, აფხაზებს, ჩერქეზებსა და მეგრელებს. ძუძუმტეობა მკაცრ, საპასუხისმგებლო მოვალეობად ითვლება ჩერქეზეთში, სადაც გავრცელებულია არა მხოლოდ დედამძუძეობა, არამედ მამამძუძეობაც. გამზრდელი გათანაბრებულია ნამდვილ მამასთან.[107] ძუძუმტეობა უაღრესად მნიშვნელოვანი და სერიოზული მოვალეობაა სამართლებრივ და განსაკუთრებით სოციალურ ცხოვრებაში, რომელიც სათავეს მატრიარქალური კულტურის მსოფლმხედველობიდან იღებს. აქ საუბარია არა მხოლოდ დამბადებელ, ნამდვილ მშობელზე, არამედ, აგრეთვე, ჩვილისთვის საზრდოს, რძის მიმწოდებელ, გამზრდელ ქალზე, რომლის ნათესაობას ისეთივე ძალა და მნიშვნელობა აქვს, როგორც სისხლით ნათესაობას. თვითონ მკვლელიც კი გადაურჩება საპასუხო სისხლის აღებას, შურისძიებას, თუკი იგი მოახერხებს დაზარალებული ოჯახის ბავშვის გატაცებას, რათა იგი გაზარდოს, რადგან ასეთ შემთხვევაში დამნაშავე მოკლულის თემის წევრი ხდება. არა მხოლოდ ძველ წინა აზიაში იყო ეს წეს-ჩვეულება გავრცელებული, რასაც საზოგადოებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, არამედ ძველ საბერძნეთშიც: ჰომოგალაკტისები, ანუ ერთი და იგივე დედისგან გამოკვებილი ბავშვები ჰომოიოი, ხდებიან ოჯახისა და თემის წევრები, ანუ გენეტაი – ნათესავები.[108] მე ამას ვთვლი მატრიარქალური კულტურის გადმონაშთად, ნათესაური დამოკიდებულების

105 M. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 155, 160-182; შდრ. Jeremias, Handbuch d. altoriental. Geisteskultur, გვ. 317-323, 335.

106 M. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 214-215; შდრ. მისივე, Современный обычай и древный закон. ტ. I, გვ. 313. შდრ. J. Castagné, მითითებული ნაშრომი; jean Potocki, Voyage dans les steps d'Astrakhan et du Caucase, ტ. I, 1829. გვ. 121.

107 შდრ. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 14 და მომდევნო გვერდები, 254 და მომდევნო გვერდები.

108 Dr. J oh. Richard Mucke, Die Urbevölkerung Griechelands und ihre allmähliche Entwicklung., ტ. II, გვ. 100-103.

მატერიალურ აღქმა-გაგებად, რაც თანაბრად არის განპირობებული როგორც ნამდვილი დედის სისხლით, ისე ძიძის რძით.

კავკასიაში არსებობს ნათესაობის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც ფიცით არის გაპირობებული. მამაკაცები ერთმანეთს შეჰფიცავენ ძმობას, შესვამენ სასმელს ერთი სასმისიდან, რომელშიც მანამდე ვერცხლს ჩაფხეკენ და იმ დღიდან ძმადნაფიცები ხდებიან.[109]

ამ ადათ-წესებს ერთნაირად იცავენ ჩერქეზები, ჩეჩნები, ოსები და საქართველოს მთის მოსახლეობა მიუხედავად იმისა, რომ მათი შესრულებისას შეიძლება ზოგჯერ მცირე განსხვავებებიც შეინიშნებოდეს. იყო შემთხვევები, როდესაც დაძმობილების ფიცს ოჯახები და მათი წევრები დებდნენ, რის შემდეგაც ისინი ერთმანეთის ნათესავებად ითვლებოდნენ; მათ შორის ქორწინება სასტიკად იკრძალებოდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს დასავლეთ კავკასიის შავი ზღვისპირა მოსახლეობის ადათ-წესებზე დაკვირვებით. აღნიშნული ძალიან მოგვაგონებს ძველი ბერძნული ტომების ტრადიციას.[110] ჩერქეზების, აფხაზების, ჩეჩნებისა და სხვა კავკასიელი ხალხებისათვის კარგად არის ცნობილი ამგვარი სახის დაძმობილება. დაძმობილება საზოგადოდ, ანუ „ბრუდერშაფტი" (ძმობა) გულისხმობს უცხო ადამიანთან ძმად მოკიდებას მასთან დაახლოების მიზნით, რაც ნათესაობის ტოლფარდია და რაც ისევე გავრცელებული იყო კავკასიაში, როგორც ძველად შუმერებსა და ხეთებში.[111] „ბრუდერშაფტი" გილგამეშსა და ენქიდუს შორის ისეთივე ორგანული და მჭიდროა, როგორც ეს ხეთების მეფესა და ეგვიპტის ფარაონს შორის იყო, რაც დადგენილი და დამოწმებულია ხელშეკრულების პუნქტებით და სამუდამო კავშირს აღნიშნავს.

ყველა კავკასიურ თქმულებასა და საგმირო ეპოსში გმირებს სახელებს არქმევდნენ არა მამის, არამედ ყოველთვის დედის მიხედვით. მაგალითად, ჩეჩნები აღნიშნავენ, რომ მათი 60 გმირი სამოცი სხვადასხვა დედისგან არის წარმოშობილი. ოსები და ყაბარდოელები გვამცნობენ, რომ მათი სამი გმირი (სოზრიყო, ხამიცი და ურუზმაგი) ერთი და იმავე დედის, სათანას, შთამომავლები არიან. ჩხუბსა თუ უთანხმოებას ისინი თავიანთი დის შუამავლობით აგვარებენ.

---

109 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 12, 38, 17, 19; ტ. II, გვ. 7; შდრ. ჩვენი სტატია „Georgica", ტ. I. Nos. 2 და 3, გვ. 24-43; London, 1936, განსაკუთრებით გვ. 28-31.

110 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 10-12, 8, 17.

111 Ernst Weidner, Polit. Dokum. Aus Baghazköi, გვ. 113; (Muršiliš und Ramses) 114, 117, 119, 121; §§ 15, 20, 21, 25, 34, 38, 18; §§ 21-23, გვ. 129. Ungnad და Gressmann, Das Gilg. Epos., გვ. 97-98, 78-79, 225.

სახელის დარქმევა დედისა და არა მამის ხაზით და სავალდებულო დაფიცება, პროცესებში სიმართლის ფიცით დადასტურება დედის მხრიდან ბიძისა და ძმის, ძმისწულისა და დისწულის სასარგებლოდ თათრებისა და ოსების მატრიარქალური წეს-ჩვეულებისთვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ ამათ შემდეგ დგება ღვიძლი ძმისა და ძუძუმტის ჯერი.[112]

პატარძლის ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი საჩუქრების გარდა, სავალდებულოა აგრეთვე დასაჩუქრება ძიძისა და ბიძისა (დედის მხრიდან), რაც ისეთივე დიდი და მნიშვნელოვანი უნდა იყოს, როგორც ძმისა, მაგალითად, ერთი ცხენი და ორი ხარი.[113]

ოსი თაგაურების ქვედა ფენაში გავრცელებული იყო ტრადიცია, რომლის ძალითაც ყოველი ადამიანი დედის თემს მიეკუთვნებოდა.[114]

დედის ძმა კავკასიის ხალხებში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს; სისხლიანი შურისძიების, ანუ სამაგიეროს მიზღვის დროს იგი წინა პლანზე დგას და მისი სიტყვა გადამწყვეტია დანაშაულის გამოსყიდვის დროს. იგი საგანგებო საგარანტიო თანხას იღებს, ხოლო ქორწინების დროს მას დისწულის თუ ძმისწულის ქმარი (სიძე) განსაკუთრებულ საჩუქარს უძღვნის ცხენს ან რაიმე მის შემცვლელს.[115]

კავკასიის უმეტეს ხალხებში უმკაცრესი ეგზოგამიაა: საპატარძლო არ უნდა ეკუთვნოდეს იმავე თემს. იგი სხვა თემიდან უნდა მოიყვანონ. სადაც დედა იმყოფება, იქ ყველა ერთმანეთთან ნათესაურ დამოკიდებულებაშია. ეს ასეა ფშავსა[116] და ხევსურეთში.

ფშავში გოგონა უფროს ძმას შეჰფიცავდა და დედა კი – შვილებს.[117]

ფშავში ქალებს სრული უფლება აქვთ მათ პირად საკუთრებაზე და ქმრის შესაძლო ვალები მას არ ეხება; სანამ გაუთხოვრები არიან ოჯახში სხვა წევრთა თანაბარი უფლებებით სარგებლობენ; საქმიანობენ და სხვადასხვა პროცესში იღებენ მონაწილეობას.

სახლში მოყვანილ პატარძალს[118] ნეფის დედა ეგებება და საზეიმო დახვედრას უწყობს. ეს ხდება კავკასიის მთიანეთის უმეტეს ხალხში ისევე, როგორც, მაგალითად, მამაკაცთა შორის განსაკუთრებული პა-

112 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 194-195, 48.

113 იქვე, გვ. 212.

114 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 248.

115 იქვე. გვ. 23.

116 იქვე. გვ. 90.

117 იქვე. გვ. 96.

118 იქვე. გვ. 105, 116-118, 179, 186, 189.

ტივით სარგებლობს დედის ძმა, რომელიც მუდამ უურადღების ცენტრშია; ასეთი ადათ-წესებია გავრცელებული ხევსურეთში, თუშეთში, ფშავში, ოსეთში, ჩერქეზეთსა და სხვ.

გაყრის შემთხვევაში ქალი ქონებრივად უზრუნველყოფილია სხვადასხვა წესით, იქნება ეს, მაგალითად, მისთვის გარკვეული რაოდენობის თანხის მიცემა (ლეკებში), თუ მისთვის ქმრის ქონების ნაწილის მიკუთვნება (ხევსურებში).[119]

სვანეთში ქალებს უფლება აქვთ დაესწრონ და თავიანთი სიტყვა თქვან სახალხო შეკრებებზე.[120] მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ საშუამავლო საქმეში: მანდილი ჩააგდონ მოჩხუბარ მამაკაცებს შორის და გააშველოს ისინი. ასეთი წეს-ჩვეულებები აქვთ ფშაველებს, ხევსურებსა და სხვ.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მატრიარქატის დროს ცოლისძმა და არა ქმრის ძმა. კავკასიაში ქალები თავიანთი ძმის დაღუპვის შემთხვევაში თმებს იჭრიან და მის ფეხებთან დებენ.[121]

ქალებს თავიანთ თემში არა მხოლოდ დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ვინმესა თუ რაიმეზე, არამედ ისინი თვითონვე არიან ამ თემის დამაარსებლები, როგორც მაგალითად, იადგაბაყარის თემისა დაღესტანში. ეს თემი, გადმოცემით, ტყვე ქართველი ქალის მიერ არის დაარსებული[122] ისევე, როგორც კუბა მედუქნე ქალის (სახელი უცნობია) მიერ, რომელმაც ქიშის დინასტია დააარსა, სავარაუდოდ, ძველ მესოპოტამიაში.[123]

***

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ ოსების შესაბამისი წეს-ჩვეულებების შესახებ, რომლებიც სრულად შეესატყვისება კავკასიის სხვა ხალხების ადათ-წესებს თავიანთი ადგილობრივი ვარიაციებითურთ, როგორც ამას ადგილი აქვს სვანებში, ხევსურებში, ფშაველებში, თუშებში, ლეკებსა და სხვა ხალხებში.

ამ ხალხების ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მსგავსება ანტიკური ხანის ადათ-წესებთან უკვე საუკუნეზე მეტი ხნის წინ შენიშნეს და

119 იქვე.

120 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 52.

121 იქვე. გვ. 75-76.

122 იქვე. გვ. 150; G. Contenau, Manuél d'Archéol. Orient, ტ. I, გვ. 293-295.

123 G. Contenau, Manuél d'Archéol. Orient, ტ. I, გვ. 225.

დაადგინეს მოგზაურებმა და მკვლევარებმა კლაპროთმა, ბელმა, კოხმა, ფონ შტალმა და სხვებმა. მათ ადიღეური (ჩერქეზული) ტომების ტრადიციები და ჩვეულებები შეადარეს ანტიკური ხანის ადათ-წესებს, ისევე, როგორც ბერგემ და ლაუდაევ-გრაბოვსკიმ აღმოაჩინეს მსგავსებები ჩეჩნურ და ანტიკური ეპოქის წეს-ჩვეულებებს შორის, ასევე მაქსიმ კოვალევსკიმ ოსების ტრადიციების გათვალისწინებით.[124] ამ მკვლევართა არგუმენტაცია და ზოგიერთი შეხედულება დღეს შეიძლება სადავოდ და უსაფუძვლოდაც კი ჩანდეს, თუმცა, ცნობები და მასალები ფასდაუდებელია და ძირითად იდეად ის გარემოება უნდა იქნეს მიჩნეული, რომ კავკასიელი ხალხების ტრადიციები და ჩვეულებები უდავოდ მჭიდრო კავშირშია ძველი წინა აზიის ჰეროიკულ-რელიგიურ მსოფლმხედველობასთან და მის ადრინდელ კულტურასთან. მხოლოდ ამის საფუძველზე გავიგებთ ანტიკური ხანის მწერლების მიერ მოხსენიებულ ტრადიციას მტრების ხელების,[125] როგორც ტროფეის, დემონსტრირებას, როგორც ეს ძველ შუმერ-ლურისტანში (ბრინჯაოს ფიგურები ხელის გამოსახულებებით) და სხვა ქვეყნებში წარმოებული გათხრების შედეგად იქნა მიკვლეული; აქვე აღვნიშნავთ ჩერქეზებსა და ლეკებში ჯერ კიდევ ბოლო ხანებამდე მოქმედ წეს-ჩვეულებას – თითების ანაბეჭდების დადებას საბუთზე, ისევე როგორც ხელის ხელზე დაკვრით (ხელის ჩამორთმევით) დებდნენ რაიმე საქმის შესრულების პირობას. იგი გვახსენებს ძველ ჩვეულებას საბუთის ბეჭედზე თითის ფრჩხილით ნიშნის დასმას.

ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან მომდინარეობს კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ჩვეულება – თითის ფრჩხილის საბუთად გამოყენება. საზღვრის დადგენისას ბიჭებს ხელის თითის ფრჩხილების წვერებს აჭრიდნენ, რაც საბუთად ითვლებოდა. ფრჩხილების საშუალებით საბუთზე ნიშნის დადება გავრცელებული იყო ძველ ბაბილონსა და ასურეთში.[126]

---

124 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, წინასიტყვაობა, გვ. 5-6; ტ. I, გვ. 5-7; ზემოაღნიშნული მასალები იხ. კრებულში: Сборник сведений о кавказских горцах (გრაბოვსკის სტატია), ტომი V, გვ. 9; Laudaeff, ტ. VI, Klaproth, Voyage au Caucase...; Bell, Journal d'une residence en Cireassie pedant les années, 1839-1839; Koch, Reise durch Russland und Kaukas; Сталь К. Ф. Этнографический очерк черкесского народа; Берже А. П. Чечня и чеченцы. Тф., 1859.

125 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 124; ტ. II, გვ. 156, 181-185, 228. Halil Mussayassul, Das Land der letzten Ritter, გვ. 101-131. ეს ტრადიცია დღემდეა შენარჩუნებული.

126 მსგავსი დაკვირვებები: ხელის თითების ფრჩხილები. ღვინის შეწირვა და სხვ.; იხ.

ადრეული მატრიარქატის კულტურის ზემოაღნიშნული გადმონაშთები გაცილებით უფრო ხშირი იყო ჩრდილო კავკასიაში, ვიდრე მის სამხრეთით მდებარე რაიონებში. მაგრამ ისინი სრულიადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მატრიარქალური კულტურა თავდაპირველ წმინდად იაფეტურ კულტურად, კავკასიელ ხალხთა და მათი რასის აღმოჩენილ, ან საწყისშივე მისი განუყოფელი კულტურის სახეობად მივიჩნიოთ. პირიქით, მატრიარქალური წეს-ჩვეულებების არსებობა კავკასიის თურქულ-თათრულ ტომებსა და ინდოევროპელებში (სომხებში და ოსებში),[127] ბადებს ეჭვს, რომ ეს ინსტიტუციები რომელიმე სხვა ხალხის კულტურული მონაპოვარია კავკასიის ტერიტორიაზე, რომელიც შემდეგში მოსულმა იაფეტიდებმა ისესხეს. და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ იაფეტიდებში მეტი ადრეული პატრიარქალური ელემენტები უნდა აღმოვაჩინოთ, ან საამისო მტკიცებულებები მაინც მოვიძიოთ, რადგან ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან და მძლავრ ტომად ითვლებოდნენ კავკასიაში და მათზე მატრიარქატის შედარებით სუსტი ელემენტები დიდ გავლენას ვერ იქონიებდა. მ. კოვალევსკიმ კავკასიაში წინა პლანზე მატრიარქატი წამოსწია და სწორედ მას მიანიჭა უპირატესობა. ამასთან დაკავშირებით მან რამდენიმე მოსაზრება გამოთქვა, მაგრამ იძულებულია აღიაროს, რომ ამ რეგიონში პატრიარქატი შენარჩუნდა რომაული უფლება-ვალდებულებების მიხედვით.[128]

სამხრეთ კავკასიის მოსახლეთა შორის სვანები, უდავოდ, ერთ-ერთი უძველესი ხალხია, რომელიც ძალიან შორეულ ადგილებში, მაღალმთიანეთში ცხოვრობს და გარე სამყაროს მოწყვეტილია. მათი რასობრივ-კულტურული ფორმა იაფეტური იერსახითა და თავდაპირველი შინაარსით წმინდად არის შენარჩუნებული. ბუნებრივი პირობებისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, სვანებმა შეინარჩუნეს თავიანთი თვითმყოფადობა და ორიგინალობა საუკუნეთა განმავლობაში; ისინი დღემდე დამოუკიდებლად ცხოვრობენ, სხვა ერებთნ

Lehmann –Haupt, Armenien einst und jetzt, I, 112; იქვე საქართველოზე. გვ. 466-470, 500-503; A l l e n, Asiat. Rev., 1928. გვ. 553.

127 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 52; ტ. II, გვ. 48; Allen, A. History of Georgia, გვ. 35-40.

128 Hans F.K. Günther, Rassenkunde Europas., 1929, გვ. 111-114, 166, 202-203; გიუნტერი სწორად შენიშნავს, რომ დასავლელი (მედიტერანელი) ხალხები უმთავრესად მატრიარქატულები არიან; მაგრამ იყვნენ თუ არა ისინი ასევე თავდაპირველად მატრიარქატულნი თუ სხვებმა მოახდინეს მათზე ასეთი ზეგავლენა, ეს სულ სხვა საკითხია.

შერევის გარეშე. კავკასიის არც ერთი ხალხი არ იმყოფება ასეთ დაცულ, ხელსაყრელ მდგომარეობაში, როგორც სვანები და არავინ არის ისე ჰერმეტულად დახურული და სხვებისგან გამოყოფილი, როგორც ისინი. ცენტრალური კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ სვანებს წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თვით თუ შეუძლიათ სამხრეთ კავკასიელებთან ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა, რადგან სხვა დროს, თოვლისა და მაღალმთიანი მასივების გამო, გზები ჩაკეტილია.

თუ ჩვენ მატრიარქალურ კულტურას სვანებისთვის თავდაპირველ, საწყის კულტურად მივიჩნევთ, მაშინ ის მათთან უფრო მკვეთრად გამოკვეთილი და ამასთანავე ისეთივე მყარი უნდა იყოს, ვიდრე სხვა კავკასიელ ხალხებთან. მაგრამ სვანეთში სწორედ საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მოგზაურებმა და დამკვირვებლებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ დედის უფლებები (მატრიარქატი), მაგალითად, ჩერქეზებთან და აფხაზებთან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროებთან ცხოვრობენ, უფრო უკეთ და ცხადად შეინიშნება, ვიდრე სვანებთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განუწყვეტელ ურთიერთობაში არიან გარე სამყაროსთან და მაშასადამე, გაცილებით მეტი უნდა მიეღოთ მისგან, ანუ პატრიარქალური კულტურის ხალხების ძლიერი ზეგავლენა უნდა განეცადათ.

მაქსიმ კოვალევსკი[129] აღიარებს, რომ მატრიარქატი სვანებთან „უკვალოდ გაქრა“, მაგრამ არ აღნიშნავს, არ იძლევა არგუმენტებს, რომ იგი მათთან ოდესღაც არსებობდა, ისევე როგორც არ განმარტავს, თუ რატომ შეიძლებოდა მატრიარქატი უკვალოდ გამქრალიყო სწორედ სვანებთან და არა მათ მეზობლებში, სადაც განვითარება ბევრად უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

სვანებთან ლევირატის ნიშნებს ვერ ვპოულობთ, – მამის პრივილეგია აშკარაა;[130] ბიძა, ანუ დედის ძმა, მამის შემდეგ, ყველა მნიშვნელოვან საქმეში იღებს მონაწილეობას. ქალი შედარებით თავისუფალია, მაგრამ მთლიანად არის დაქვემდებარებული კაცის უფლებებს.

ასეთივე ვითარებაა ფშავშიც,[131] სადაც ქალს უმკაცრეს ზნეობრივ მოთხოვნებს (უბიწოება, უმწიკვლობა და სხვ.) უყენებენ; იგი ქმარს „უპირობოდ“ ემორჩილება. ქორწინებამდე ქალიშვილი მამის მორჩილია, გათხოვების შემდეგ კი – თავის ქმრის, ან – გვარში უხუცესის;

129 М.Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 8-9, 48-49.

130 იხ. მე-2 ნაწილი ქვემოთ.

131 М.Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 96-101.

უფრო მეტიც, ქალი აქ არასრულფასოვნად ითვლება, მას ზემოდან დაჰყურებენ და უგულებელყოფენ. იგი უწმინდურ არსებად მიიჩნევა და მენსტრუაციის დროს სახლს გარეთ პატარა ქოხში უჩენენ ადგილს, სადაც იგი მხოლოდ თავის თავსაა მინდობილი; აქვე მან მარტოკამ უნდა იმშობიაროს, როგორც ეს ხეთებთან იყო მიღებული: ისინი მშობიარე ქალს უწმინდურად თელიდნენ, ამიტომ მას სახლიდან მოშორებით უნდა ემშობიარა.[132]

ქალს შეზღუდული აქვს ქმართან ურთიერთობების პირობები, არა აქვს უფლება სახელით მიმართოს. კავკასიის სხვა ხალხებშიც დამკვიდრებულია ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ცოლი თავის ქმარს ბატონობით მიმართავს, ან კიდევ შემდეგი სიტყვებით: „ჩემო მბრძანებელო“.

ფშავ-ხევსურეთის ზნე-ჩვეულებების საუკეთესო მცოდნეები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ მხარეში ცხოვრობდნენ და ექიმებად[133] და სხვა პროფილით მუშაობდნენ და, ცხადია, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ადასტურებენ მამაკაცის აბსოლუტურ პატრიარქალურ უფლებას: ბავშვები ეკუთვნიან არა დედებს, არამედ მამებს; ცოლი მონასავით არის სახლში, მას შემდეგ, რაც დაქორწინდება; გათხოვებამდე ქალწულია – უბიწო და უმწიკვლო.[134] გამოთქმა „ნება მიბოძეთ, დაგისახელოთ, ჩემი მეუღლე“ მოსახლეობაში საყოველთაოდ გავრცელებულია;[135] იგივე შევნიშნე მე, პირადად, დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, სადაც გვხვდება, აგრეთვე, სპარტანული წესი ბავშვების მოკვდინებისა, რომლებიც სახიჩრებად ან სხვა ფიზიკური ნაკლით იბადებიან.[136]

სამაგიეროდ, გაუთხოვარი ქალი სრულუფლებიანია. ძველი ქართული კანონების მიხედვით, ყმას შეეძლო თავისუფლად მოეკლა თავისი ბატონი, თუკი იგი მას თავის ცოლთან წაასწრებდა. კავკასიის მთიელ

---

132 იქვე, გვ. 8, 9, 48-49; Klaproth, Voyage... ტ. II, გვ. 71. შდრ.: F. Sommer და H. Eheloff, Papanikri ... გვ. 14, 46, 78.

133 გ. თედორაძე, ხუთი წელიწადი ფშავ-ხევსურეთში. ტფილისი, 1930.

134 გ. თედორაძე. ხუთი წელიწადი ფშავ-ხევსურეთში. ტფილისი, 1930. გვ. 124, 147, 156, 177.

135 იქვე. გვ. 175.

136 იქვე. გვ. 175; ყოველგვარი ამ ადათ-წესების კარგი პარალელები შეინიშნება ასევე ძველ გერმანულ ტომებში ევგენისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე, შდრ. Hans, K. Günther, Herkunft und Rassengeschichte der Germanen, გვ. 145-147, მიუნხენი, 1935; ქალწულობისა და უბიწობის მოვალეობა ფშავში; Klaproth, მითითებული ნაშრომი, გვ. 74; A. Dirr. Aus dem Gewohnheitsrecht etc. გვ. 7, 78-80 (კანონით ნებადაურთველი სქესობრივი ურთიერთობა მთელ კავკასიაში სიკვდილით ისჯება. ქალწულებრივი სისპეტაკის მოვალეობა, სიკვდილით დასჯა ღალატისა და

მუსლიმებში ქალიშვილს არ ჰქონდა მემკვიდრეობის მიღების უფლება; ყველაფერს გარდაცვლილის მამაკაც ნათესავებს აძლევდნენ. ქალიშვილებს სრულიად არაფერი რჩებოდათ. ვითარება მხოლოდ ისლამური კანონის (შარიათის) მეშვეობით შეიცვალა.[137]

ზემოდასახელებული მოთხოვნებიდან გამომდინარე (უბიწოება, უმწიკვლობა და სხვ.), ცოლქმრული მოვალეობების შესრულების სიმკაცრე ქალებისათვის, პატრიარქატის დამახასიათებელი ნიშანია, მაშინ, როცა მატრიარქატის დროს, პირიქით, მათი უფლებები და ვალდებულებანი შეუზღუდავია. არსად არ არის ეს წესები უფრო მკაცრი და სასტიკი, ვიდრე ლეკებში, ქართველებში (სვანებში, ხევსურებში, თუშებში, ფშავლებში, მეგრელებში) და სხვა ხალხებში,[138] რომლებთანაც წესის დამრღვევებს სიკვდილით სჯიდნენ. ჩერქეზებიც სიკვდილით სჯიდნენ მათ ან მონებად ჰყიდდნენ.[139] ლეკებში ქმრის სიმკაცრე ცოლის მიმართ პირდაპირ დაუჯერებელია:[140] „ამ ქვეყნად ერთი ღმერთი არსებობს და მეორე კი ქმარი თავისი ცოლისათვის". ეს გამონათქვამი გამოხატავს მამაკაცის, თითქმის, შეუზღუდავ ძალაუფლებას ცოლზე, რომელიც მისთვის მხოლოდ ნივთია. ბავშვების საკითხს მამა წყვეტდა, მემკვიდრეობის უფლებებში ვაჟიშვილს ენიჭებოდა უპირატესობა, რომელიც ზოგჯერ ორჯერ უფრო მეტს იღებდა, ვიდრე ქალიშვილი. უკანონო შობილ შვილებს, ბავშვებს და მათ დედებს იშვიათად ტოვებდნენ ცოცხალს. ცოლ-ქმრულ საკითხებში და ქალწულებრივი უბიწოების დაცვაში ასეთი სიმკაცრე და სისასტიკე სრულიად პატრიარქალურია და არა მატრიარქალური. თავად მაქსიმ კოვალევსკიმაც, ფაქტებზე დაკვირვების შედეგად, აღიარა, რომ ფშავლებთან და ზოგიერთ სხვასთან მამაკაცის დამოკიდებულება ცოლისადმი გამარჯვებულის დამარცხებულისადმი მოპყრობას ჰგავს.[141]

თავისთავად ცხადია, რომ მატრიარქატისა და მისი ინსტიტუციების გაქრობა განვითარების პროცესებით არის გაპირობებული. ის, რომ ზოგიერთი სახის მატრიარქალური ინსტიტუცია მოიშალა, ამის საბუთად

გარყვნილებისათვის, გვ. 70).

137 A. Dirr, მითითებული ნაშრომი, გვ. 3-4, შენიშვნა 3 და გვ. 113 და ა.შ.

138 გაცილებით მსუბუქი იყო ადათ-წესები ინგუშებთან, რასაც კარგად ამჩნევდა ყოველი დამკვირვებელი (კოვალევსკი, პოტოცკი, კლაპროტი).

139 Klaproth, Voyage ... ტომი I, გვ. 360-361.

140 М.Ковалевский, მითითებული ნაშრომი, გვ. 164, 193 და სხვ., 206-207.

141 М.Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 82, 96-101, 164 და მომდევნო გვერდები.

შეიძლება, მოვიტანოთ კუვადას (Couvade – კაცების მონაწილეობა მშობიაობის პროცესში) ჩვეულების არარსებობა კავკასიაში, თუმცა ეს კუვადა, ანუ მისი არსებობა დადასტურებულია კლასიკოსი მწერლების მიერ ტიბარენებსა[142] და ძველ ხეთებში,[143] აგრეთვე, კვიპროსში, კორსიკაზე, ალბანეთში, ესპანელ იბერებთან და ბალკანეთში.[144] ეტრურიასა და კრეტაზე კი პირიქით, ქალები გვევლინებიან მამაკაცების ტანსაცმლით; ასევე ლიბიასა და ეგვიპტეში (დედოფალ ხათშეფსუთის დროს).

სავარაუდოდ, მეგრელების ჩვეულება (კავკასიაში) – ახალშობილი ბავშვის მამისთვის საწოლში „შეგორება" კუვადასთან არის დაკავშირებული. ზანგეზურის მთებში (სომხეთი) დღემდე ჯერ კიდევ უნდა იყოს კუვადის ნიშნები შენარჩუნებული. დასანანია, რომ მიუწვდომელი აღმოჩნდა სათანადო საბუთები და დოკუმენტაციები ბერლინში.[145]

ერთი იმერული ლეგენდა მოგვითხრობს: ძველად ბავშვებს, ბიჭსა და გოგოს, მამაკაცები ბადებდნენ ნეკნისგან. ერთმა უმადურმა ქალმა დაიჩივლა, ჩემმა ქმარმა მხოლოდ ორი ბავშვი გააჩინაო. ამით ღმერთი განაწყენდა, დასაჯა ქალი და, მასთან ერთად, მთელი ქალთა მოდგმა და გადაწყვიტა, რომ ამიერიდან ქალს წვალებითა და ტკივილებით ემშობიარა. მას შემდეგ არსებობს ყოველგვარი ჭირი და უბედურება ამქვეყნად: სიკვდილი, სიბერე და ა. შ.[146]

მიუხედავად ამისა, პაპანიკრი ფონ კომანას მიერ აღწერილ რიტუალებში, კუვადას თავდაპირველი მნიშვნელობა უდავოდ ფიცის დადების გამოხატვით არსებობდა, და რელიგიურ და საკულტო საკითხებში მთელი კაცობრიობა შესამჩნევად კონსერვატული იყო. იმის დასტურად, რომ კუვადა განხილული უნდა იქნას როგორც რელიგიური, კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, რომელიც ტიბარენებმა და სხვებმა დამარცხებული ხალხებისგან გადაიღეს, სხვათა შორის, მეტყველებს

142 Strabo, გვ. 7, 214, 319; Apollonius Rhodius, Argonautica, ტომი II, გვ. 1011; E. Kornemann, ქალის მდგომარეობა და ა. შ., გვ. 10, 21, 34, 54 და ა. შ.; J. Krast, ორიგ., მედ., გვ. 326.

143 F. Sommer და H. Eheloff, Papanikri von Kammana, გვ. 14, 35, 36, 46, 78.

144 Bachofen, Das Mutterrecht, გვ. 255.

145 Сахокия Ф. По Мингрелии // Петроградские Ведомости, № 136, 1916; L. M. Melixsetbekov, Einlait. in die Geschichte d. Staatl. Bildungen im südlichen Caucasus (russ.) in Caucasica (Tiflis ?) 1924, გვ. 26. ციტირებს ბარდაველიძე-ლომაიას, მშობიაობის რიტუალები ქართლის მთიანეთში, გვ. 235-280; საქართველოს მუზეუმის ბიულეტენი, ტომი IV, 1927-1928.

146 М. В. Глушаков, Памятники народного творчества Кутаиской губернии // Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, № 32 1903, მე-3 ნაწილი, გვ. 7.

ის გარემოებაც, რომ მატრიარქატისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ინცესტი და სხვა, განსაკუთრებით ეთიოპიაში იჩენს თავს, მაგრამ არა ისე მკვეთრად, როგორც ეს წინა აზიაში იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს მოვლენები შესაძლოა, ორივეგან თანაბარი ინტენსიურობით ხდებოდა; და თუ სადმე ჰქონდა ყოველივე ამას ადგილი, უპირველეს ყოვლისა, ეთიოპიაში: ქალთა მთავრობა, ქალთა დაჯგუფებები, ქალთა სამხედრო სამსახური, ბავშვთა განაწილება დაბადებიდან სამი თვის შემდეგ, შესაძლო მამებთან მათი მსგავსების მიხედვით და ა. შ. ყოველივე ეს აღწერილია ანტიკურ წყაროებში გაცილებით უკეთ აფრიკის ეთიოპიურ-ჰამიტოიდურ ხალხებთან დაკავშირებით, ვიდრე ძველ წინააზიელებთან.[147] თუ დავუშვებთ, რომ ეს უკანასკნელნი მატრიარქალური კულტურის მატარებლები იყვნენ, საპირისპირო შემთხვევასთან გვექნება საქმე: მაშინ ისინი ეთიოპიელებთან რომელიმე მცირეაზიური რასის წარმომადგენელი ხალხის ვასალები იქნებოდნენ, რაც ჰამიტოიდური მატრიარქალური კულტურის ფორმის ინტენსივობას შეუძლებელს ხდის! როგორც ჩანს, და ეს უფრო სავარაუდოა, ორივე ქვეყანამ იგი ან საერთო წყაროდან გადაიღო, ან ეს პრიმატი თავად ჰამიტოიდებს ეკუთვნის, ან ნეგროიდებს.

ჩვენი შთაბეჭდილებით, ხელი არ მიგვიწვდება თავდაპირველი მატრიარქალური კულტურის მატარებელ ხალხისა თუ რასის შესაბამის მონაცემებზე. ამას უნდა ვეცადოთ მხოლოდ იმ ძველი ნაშთებისა და კვალის მეშვეობით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, განსაკუთრებით კულტურულ, რელიგიურ, მითოსურ და სხვა სახის ტრადიციებში რომ არის შენარჩუნებული, რაც თანდათანობით სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურაში გამოვლინდა და შემდგომი გავრცელება ჰპოვა. გამოიკვეთა ტრადიციები და მასზე დაფუძნებული მრწამსი და შეხედულებები ქალის უფლებებთან, მატრიარქალურ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით, რომლებმაც უპირატესობა მოიპოვეს და სხვადასხვა ხალხის ცნობიერებაში განმტკიცდნენ. აქედან გამომდინარე, უფრო მართებული იქნება ვილაპარაკოთ და ვიმსჯელოთ არა მხოლოდ მატრიარქალურ, არამედ მატრიარქატის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ხალხებზე.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერ ვხედავთ იმის საფუძველს, რომ მატრიარქალური კულტურის საფეხური კავკასიელი ხალხების მახასიათებელ კულტურულ მონაპოვრად მივიჩნიოთ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მატრიარქატს ძველ დროში ხმელთაშუა ზღვის აუზის ტერიტო-

147 E. Kornemann, მითითებული ნაშრომი; იქვე დასახელებული ლიტერატურა.

რიაზე არც ერთ სხვა რასაზე არ მოუხდენია ისეთი ძლიერი ზეგავლენა, როგორიც (კავკასიურ) იაფეტურ ხალხებზე, რომლებმაც ეს კულტურა. სავარაუდოდ, ძველი ხალხებისაგან გადაიღეს.[148] რადგან კავკასიურ -იაფეტური ფენა პირველი, ადრეული ფენაა, რომელიც ძველი მატრიარქალური კულტურის გავლენის ქვეშ მოექცა და, ცხადია, მისგან ბევრი რამ ისესხა. აქედან გამომდინარე აიხსნება, აგრეთვე, მკვეთრად გამოხატული პატრიარქალური გაგება სვანებისა და სხვა კუთხის ქართველი ხალხებისა, რაც კავკასიის ცალკეულ მხარეებში გაცილებით უფრო ნათლად იკვეთება, ვიდრე, მაგალითად, ძველ ბერძნებთან. მაგრამ, რადგან ყოველ კულტურას თავისი რასობრივი ნიშან-თვისებები აქვს, აზრი გარეშე ზეგავლენაზე ვერ იქნება დამაჯერებელი, განსაკუთრებით კი იმ ხალხების მიმართ, მთიან მხარეებში რომ ცხოვრობენ (სვანები, ფშავლები და სხვ.). ამ შემთხვევაში მატრიარქალური ინსტიტუციები და ფორმები უნდა შეფასდეს როგორც მცირე აზიისა და კავკასიის თავდაპირველი ძველი მოსახლეობის მიერ მემკვიდრეობად გადაცემული კულტურული ფორმები „კავკასიურ", ე. ი. იაფეტურ რასებსა და მათ ცალკეულ ხალხებზე. სავარაუდოა, რომ ეს ძველი, თავდაპირველი მოსახლეობა, ეთნიკურად ჰამიტოიდები და ნეგროიდები (ყოველ შემთხვევაში, ფერადკანიანები), კულტურულად მატრიარქალურ ეპოქაში მცხოვრებნი, ნეოლითურ-ენეოლითურ ხანას განეკუთვნებიან; თუმცა სპილენძის დამუშავება არცთუ ფართოდ იყო გავრცელებული.

სადავო არ არის, რომ თამარ მეფე, როგორც ქალი, ხალხის ცნობიერებაში ქართული ისტორიის ცენტრალურ ფიგურად იქცა, ისევე, როგორც შამირამი სომხებში,[149] რაც ადასტურებს მატრიარქალურ წყობილებას ქართველ და სომეხ ხალხებში; ეს მხოლოდ ამტკიცებს, რომ ისტორიის მსვლელობაში მატრიარქალური აზროვნების ყაიდა მით უფრო ფეხს იკიდებს, რაც უფრო მეტი ნარევია ძველ მოსახლეო-

148 იხ. ზემოთ Hestermann, Matriarchale lykische Inschriften, გვ. 261-267, in: Donum natalic. Schrijen, 1929; ასევე G. Contenau, Manuél d'archeol. ტომი I, გვ. 293-295; P. D. Kreichgauer, Die Religion d. Griechen in ihrer Abhängigkeit von d. mutterrechtl. Kreisen, წლიური გამოცემა v. St. Gabriel-ისა, ტომი II, გვ. 106-151; Marie Pankritius, Aus mutterrechtl. Zeit „Anthropos", ტომი 25 (1930), გვ. 879-909; J. J. Bachofen, Das Mutterrecht 1861; იქვე Das Lykische Volk; Der Mythos vom Orient und Occident, Metaphys. d. alten Welt, 1926; J. H. Thiel, Zum vorgriechischen Mutterrecht, Klio, ტომი 24 (1931), გვ. 383-385; E. Kornemann, Geschwisterehen im Altertum, Klio, ტომი 19 (1924), გვ. 356. Die Stellung der Frau in der vorgriechischen Mittelmeerkultur, Orient und Antike, 1927, გვ. 5-59; Fr. Wilh. Koenig, Mutterrecht u. Thronfolge i. alten Elam. ვენა, 1926, გვ. 529-552.

149 Lehmann-Haupt, Armenien einst und jetzt, გვ. 86-87; Erich Tetzlaff, Die Stellung der geor-

ბასთან. თავის დროზე თამარს არაერთხელ ჰქონია გართულება ქვეშევრდომებთან, რომლებიც აღშფოთებას გამოხატავდნენ ქალის წინამძღოლობის გამო და ღია, აშკარა ამბოხსაც კი არ უფრთხოდნენ.

თუ ჩვენ, ამ მხრივ, სპარსელთა ხელმწიფე ქალებთან შედარებას მოვახდენთ, დავრწმუნდებით, რომ იქ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, ანუ გაცილებით ადრე, ვიდრე საქართველოში, ქალები, როგორც გმირი მეფეები, უძველესი დროიდანვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყვნენ: დედოფლები – ჰუმაი, ფურანდუხტი, ასარმელუხტი და სხვები თამარ მეფემდე დიდი ხნით ადრე სპარსელი ხალხის მიერ ჭეშმარიტ გმირებად იყვნენ შერაცხულნი.[150]

ინდოეთში, დედოფლების გარდა, იყვნენ მხედართმთავარი და გმირი ქალები, რომლებიც ხალხის უაღრესი პატივისცემით სარგებლობდნენ და თავად მტრებიც დიდად აფასებდნენ. ისეთი ლეგენდარული ქალები, როგორებიც იყვნენ ლაკშმიბაი, რანი ჯანსის დედოფალი და სხვები, თავგანწირულად იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნისა და ხალხისათვის. ეს უკანასკნელი თავის დროზე ყველა ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და თავის ხალხს იდეალურ გმირ ქალად მოევლინა; ინდოეთის ზოგიერთ სამეფოში ქალები საუკუნეების მანძილზე მეფობდნენ მემკვიდროებით; ტახტის მემკვიდრეობის უფლება ქალის ხაზით დღემდე არსებობს (Ranee), რისი უფლებაც ვაჟებს არ აქვს. მამაკაცებს უფლება არ აქვთ თავიანთი ცოლების გვერდით იარონ, არამედ მათ უკან უნდა მისდიონ. ქალებთან ყოფნის დროს დაჯდომის ნება არ აქვთ და ფეხზე უნდა იდგნენ.[151] ასეთი უპირატესობით არც საქართველოში და არც სხვა კავკასიურ ხალხებში ქალი არ სარგებლობს. თუ თავდაპირველად ინდოელებს, როგორც ინდოგერმანელ ხალხს, არ შეეძლო მატრიარქალური ხალხი ყოფილიყვნენ, მიუხედავად მატრიარქალური წეს-ჩვეულებებისა, ასევე, ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხებს კიდევ უფრო არ შეეძლოთ მატრიარქალური კულტურა ჰქონოდათ – ყოველგვარი ტრადიციები მკვიდრი მოსახლეობის, აბორიგენების კულტურული ნაშთებია, რომლებიც შემდეგ ქართველებმა და ინდოელებმა შეითვისეს; ასე დამკვიდრდა შემდეგში მათი აზროვნების ყაიდა და კულტურა

gischen Frau; Schweizer Frauenheim 1924, ტომი 31, გვ. 490-491 (ჩემთვის მიუწვდომელია).

150 Bapsy Pavry, The Heroines of Ancient Persia, გვ. 53-59, 96-99; Lady Glover, Great Queens, famous women rulers of the East: ინდოეთი, გვ. 25-111; ჩინეთი, გვ. 115-157; Semiramis, გვ. 179-184; Zenobia, გვ. 167-176 და სხვ. M.M. Peros, A curious Law of Inheritans, გვ. 308-314; Vererbg. i. weibl. Linie in Westindia, in Asiat. Rev. 1924.

151 იქვე.

თავისი შესაბამისი ღირებულებებით.

მნიშვნელოვან გარემოებად მიგვაჩნია არქეოლოგიური გამოკვლევების საწყისი, თავდაპირველი შედეგების იმ მიმართებით აღნიშვნა, რომ კავკასიური მოსახლეობის რელიგიურ მსოფლმხედველობაში დაახლოებით წინაქრისტიანული პირველი საუკუნის მიჯნაზე გარკვეული გადატრიალება უნდა მომხდარიყო, სახელდობრ კი ქალღმერთის (რომელსაც მანამდე სრული უპირატესობა ენიჭებოდა მოსახლეობის წარმოდგენაში) განდევნისა და მისი მამრული ბუნების ღვთაებით შეცვლის მეშვეობით. ამას ამტკიცებს მამაკაცისა და ქალის ორსქესიანი მომცრო ფიგურული გამოსახულებები ყაზბეგში, გორში, ქომუნთასა და სხვ.[152]

ყოველივე ზემოაღნიშნული ეხება ლურისტანსაც, სადაც არქეოლოგიური კვლევები ჩატარდა. შესაძლოა, ამ პროცესის თარიღი, 1000 წელი ქრისტიანობამდე, კვლავ დასაზუსტებელი იყოს. ასევე შესაძლებელია, რომ საჭირო გახდეს შემდგომი საბუთებისა და ცნობების მოძიება და სავარაუდოდ, აღმოაჩინონ კიდეც ისინი, ვიდრე რელიგიური შემობრუნების, ანუ რელიგიური გარდატეხის ჰიპოთეზა გარკვეულწილად სარწმუნო გახდება. მთავარი კი ის არის, რომ ქალღვთაების მამრ ღვთაებით შეცვლა, ან ორსქესიანი არსებების გამოსახვა ხელოვნების ქმნილებებში შესაძლოა, ემყარებოდეს შესაბამისი ხალხების სოციალურ სტრუქტურას. სწორედ ამაში გამოიხატება და აისახება უწინდელი მატრიარქალური მსოფლმხედველობა, რომელიც შემდეგ საპირისპირო, ანუ პატრიარქალურმა მსოფლმხედველობამ ჩაანაცვლა.

ის თვალსაზრისი, რომ თავდაპირველად კავკასიაში ისევე, როგორც მცირე აზიაში, საერთოდ, მატრიარქალური კულტურა იყო გავრცელებული, ჩვენში ეჭვს არ იწვევს; ასევე აშკარა და ცხადია მისი უფრო ძლიერი და ხანგრძლივი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე, ვიდრე სამხრეთ კავკასიელებზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ვივარაუდოთ, რომ კავკასიის ზოგიერთი ხალხი, მაგალითად, ქართველები არა მატრიარქალური, არამედ ძველთაგანვე პატრიარქალური იყო და ძველი მოსახლეობის მატრიარქალური ფენა გადაფარეს, არა მხოლოდ სამხრეთში, არამედ უფრო კავკასიის ჩრდილოეთში. აქ, ცხადია, უფრო სუსტად, ვიდრე იქ. მომდევნო საუკუნეებში და შესაძლოა, სრული ათასწლეულის შემდეგ დროთა განმავლობაში ქართველებმა მატრიარქალური

152 Dr. Franz Hančar, Kaukasus-Luristan, გვ. 87-93; Eur.-Sept.-Ant. 1934.

სუბსტრატული ხალხების ძლიერი ზეგავლენა განიცადეს. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს, რომ ისინი იმავე ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, თუნდაც ისე ძლიერ არა, უკვე კავკასიაში მიგრაციამდე, მაგალითად, მცირე აზიაში. ეს პირველადი, ძირითადი მატრიარქალური ზეგავლენა არცთუ მთლად სარწმუნო უნდა იყოს. მათი მატრიარქატი მხოლოდ კავკასიაში განვითარდა.

ის ფაქტი, რომ მატრიარქატისთვის ხარის კულტი, მისი თაყვანისცემაა დამახასიათებელი, ჩვენს თვალსაზრისს ესადაგება. თუ იაფეტიდებმა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება-მოვლის კულტურა შექმნეს (O. Menghin,[153] v. Christian[154]), მაშინ ეს წინაპირობაა მსხვილფეხა პირუტყვის სრული დომესტიკაციისა და მისი ადამიანის სამსახურში ჩაყენებისა, რაც პირუტყვის პროფანირებას ნიშნავს (ე. ი. ის აღარ არის ღვთაებრივი ცხოველი), რადგან ადამიანი თაყვანს სცემს ხანგრძლივად არა იმას, რაც მას ემსახურება, არამედ პირიქით, იგი ემსახურება თვითონ იმ არსებას, რომელსაც ის თაყვანს სცემს. იაფეტური ხალხის მიერ დანერგილი მსხვილფეხა საქონლის კულტურა განაპირობებს მაღალ პატრიარქალურ კულტურას, რომელიც მატრიარქალური კულტურის ელემენტებს იღებს, იერთებს, მაგრამ მათგან იმთავითვე თვისობრივად, არსებითად განსხვავდება. ცხოველებს უმეტესად მხოლოდ მათ სრულ მოშინაურებამდე სცემდნენ თაყვანს (ლეოპარდი, ვეფხვი[155] და ა. შ.). თუ ვ. შმიდტი[156] იაფეტური ენის წყობასა და მის სისტემას ენობრივი განვითარების თვალსაზრისით დიდ გადატრიალებად, დიდ პროგრესად მიიჩნევს, იაფეტური პატრიარქალური მსხვილფეხა პირუტყვის კულტურა არანაკლებ მნიშვნელოვანი გადატრიალებაა სოციალურ სფეროში დასავლეთ აზიის ტერიტორიაზე. მაგრამ ამას იმავდროულად შედეგად მოჰყვა მატრიარქალური რელიგიური შეხედულებების რყევა, რამაც

153 Weltgeschichte der Steinzeit, გვ. 540-569.

154 Untersuch. z. Paläoethnolog. d. Orients, Mitteilg. d. Anthropologischen Gesellsch. ვენა, 1924, ტომი 54, გვ. 45-49. ტომი 55, 1925, გვ. 187, 214-217; შდრ. Günther, Ipsen, Der alte Orient u. d. Indogerm. In Streitberg. Festschr. 1924, გვ. 226, 234, ასევე, ინდოგერმანელებთან მესაქონლეობა ანატოლიურ-შუმერული გაელენისა უნდა იყოს.

155 H. Friedrichs, Zur Kenntniss der frühgeschichtl. Tierwelt Südwestasiens, 1933, ადგილ-ადგილ. ასევე დოქტორ A. Moorgat (წინა აზიის მუზეუმი, ბერლინი) მიუთითებს, რომ ხარის ღვთაება მაღალ პოსტამენტზე, როგორც ეს მცირე აზიაში გვხვდება, უძველესი დროიდან მომდინარეობს. იხ. „Die bildende Kunst d. alten Orients u. d. Bergvölker", 1932, გვ. 80, 91 და სხვ.

156 Die Sprachfamilien und Sprachkreise, გვ. 532-533.

ძირეულად შეცვალა წარმოდგენა სამყაროზე. აღნიშნულმა კულტურამ მანამდე არსებული „საქონლის მწყემსების კულტურის" ყველა ცხოველი ჩამოაქვეითა, რასაც შედეგად მოჰყვა ღვთაებათა ადგილსამყოფელის გადატანა მთის მწვერვალებზე. ცაში და ა. შ. ყოველივე ეს სწრაფად განვითარდა.

ყოველივე ამის ვარაუდი უფრო ადვილი და სარწმუნო ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მეტალურგიამ, ლითონის დამუშავებისა და გამოყენების საფუძვლიანმა ცოდნამ (თავდაპირველად სპილენძის, შემდეგ კი ბრინჯაოსა და რკინის) იაფეტი ხალხი დასავლეთ აზიაში თავიდანვე გაბატონებულ ფენად აქცია, რომელთა გადაადგილებებს საბრძოლო შეტაკებების გარეშე არ ჩაუვლია; ამ შეტაკებების დროს მებრძოლები, მეომარი ჯგუფები ლითონის (სპილენძისა და ა. შ.) იარაღებს ხმარობდნენ, მაგრამ ეს ის მომენტებია, რომლებიც უფრო საწინააღმდეგოს ამტკიცებენ და არა იაფეტი ხალხების მატრიარქალურ ნიშან-თვისებებს, იმ ხალხებისა, რომლებიც დასავლეთ აზიაში ჩავიდნენ და იქვე დასახლდნენ.

ქრისტიანობის გავრცელებიდან მე-10 საუკუნით დათარიღებული ცნობები, რომლებიც წინა პლანზე წამოსწია სომეხმა მწერალმა თომა არწრუნიმ, დაამუშავა ქართველმა მეცნიერმა სარგის კაკაბაძემ[157] თბილისში და თავის ნაშრომებში გამოიყენა რუსმა მკვლევარმა ლ. ბ. პანეკმა,[158] ადასტურებენ ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებულ ჰიპოთეზას: კავკასიის მთებში უწინ ცხოვრობდა ხალხი, ეგრეთ წოდებული წანარები, რომლებიც ახ. წ. მე-5 საუკუნიდან მე-10-11 საუკუნეებში გაქართველდნენ. გადმოცემის თანახმად, რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ისინი თავიანთ დედებსა და დებზე ქორწინდებოდნენ, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი იყო. ეს ჩვეულება მატრიარქატისთვის არის დამახასიათებელი, რაც საერთოდ უიშვიათესი მოვლენაა კავკასიაში და მხოლოდ იმას ასაბუთებს, რომ ამ წანარებზე უდავოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა მატრიარქალურმა წყობილებამ, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სხვა კავკასიურ ხალხებზე. მათი გაქართველების შემდეგ ამ ჩვეულების ყოველგვარი კვალი გაქრა. ქართველებმა და ქართული

157 წანარების ტომის შესახებ, იხ. Recueil histor., ტომი III, თბილისი, 1928.

158 Л. Б. Панек. Жилище мтиулов // Сборник Музея Антропологии и этнографии. Т. 9. 1930 გვ. 238-239; Марр Н. Я. О религиозных верованиях абхазов // Христианский Восток. Т.IV. Вып. 1-2. Пг., 1916. გვ. 123; G. Schlumberger, L'Epopée byzantine, ტომი I, გვ. 487. მოხსენიებულია წანარები.

წარმოშობის ხალხებმა კავკასიაში საბოლოოდ გააუქმეს და მოშალეს მატრიარქალური კულტურა.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იაფეტიდების გამოჩენამ დააჩქარა მატრიარქატის შეცვლა წინა აზიაშიც და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზეც. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მოსახლეობის, ანუ მატრიარქალური კულტურის მატარებელი უძველესი ხალხის ყველა ფენის დაძლევით, რაც განხორციელდა იაფეტიდების, სემიტებისა და საერთოდ, ინდოგერმანული წარმოშობის სხვადასხვა ტომებისა და ბოლოს, თურქების მიერ.

ქართული ენობრივი გადმონაშთები ადასტურებს ჩვენს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ქართველები და ქართველური წარმოშობის ხალხები დასაბამიდანვე უგულებელყოფდნენ მატრიარქალური კულტურის ინსტიტუტებს: სირცხვილს, თავის მოჭრას, შერცხვენას, გინებას და წყევლა-კრულვას. როდესაც ქართველი ვინმე ცუდი ადამიანის მიმართ ამბობს: „მას თავისი დედა შეერთოს ცოლად“, ეს გამოხატავს ადამიანისათვის რაღაც შეუფერებელს, უღირსს, ცხოველურს, ღმერთის მიერ ბოროტმოქმედის შეჩვენებას, შერცხვენას – „შეგარცხვინოს ღმერთმა!“ იტყვის ქართველი კაცი ასეთი ადამიანის მიმართ.

თუ ქართველები და სხვა კავკასიური ტომები თავდაპირველად პატრიარქალურნი იყვნენ, მაშინ მათი წარმომავლობის საკითხი სულ სხვა პლანში წარმოჩნდება; მაშინ მათი თავდაპირველი საცხოვრისი, სავარაუდოდ, იქ უნდა ყოფილიყო, საიდანაც სხვა პატრიარქალური ხალხები, ხმელთაშუა ზღვის მიდამოების შემდეგ, წინა აზიაში ჩავიდნენ. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია, ეს ორი ზემოაღნიშნული მხარე მათი თავდაპირველი სამკვიდრო ყოფილიყო, რადგან აქ კავკასიელთა გამოჩენამდე არა პატრიარქალური, არამედ მატრიარქალური კულტურა ბატონობდა.ეს შეხედულება სხვა რიგი მტკიცებულებებითაც დასტურდება, რომელთაც ჩვენ შემდეგში დავუბრუნდებით.

რუსული კანონების შემოსვლამდე საბუთის როლს მხოლოდ ფიცი ასრულებდა, როგორც ეს ძველ დროს იყო მიღებული. მაქსიმ კოვალევსკის[159] მოჰყავს უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორი უგულებელყოფით და აგდებით ეკიდებოდა კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხი მოწმეთა მიერ მიცემულ ჩვენებებს მაშინ, როცა ფიცის დადება თავიანთი მიცვალებულების მიმართ, თავიანთ „ხატში“ ან სხვა წმინდად შერაცხულ ადგილებში საუკეთესო და ქმედითი საშუალება იყო სიმა-

159 იქვე, ტომი II, გვ. 25-26, 130, 201.

რთლის დასადგენად. ფიცი და წყევლა ყველაზე შედეგიან საშუალებად ითვლებოდა ჩხუბისა და უთანხმოების დროს, რათა მოცემულ შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილება მიეღოთ და სიმართლე დაედგინათ. ეს ჩვეულება გავრცელებული იყო სვანებთან, ოსებთან, ხევსურებთან, ფშავლებთან, ლეკებში და სხვ. ჩვეულებითი სამართალი დაღესტანში ეტაპობრივად შარიათმა ჩაანაცვლა; შარიათის შემოღების ამაო მცდელობა იმამ შამილის სახელს უკავშირდება გასული საუკუნის შუა ხანებში, თუმცა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.[160]

ჩვენ გვსურს, ჩამოვთვალოთ, აგრეთვე, შემთხვევები და მაგალითები დასავლეთ საქართველოდან, სახელდობრ კი აფხაზეთიდან, როგორც დამატებითი ცნობები აღმოსავლეთ კავკასიასთან დაკავშირებით, რომლებიც ა. დირმა უკვე აღწერა.

ილორის (ოჩამჩირე, შავი ზღვის სანაპიროზე) წმინდა გიორგის სახელობის ხატი უძლიერეს ხატად არის მიჩნეული. იგი სჯის დამნაშავეებს და იცავს უდანაშაულოებს, უცოდველებს. უთანხმოების შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეები ყოველთვის ხატს მიმართავენ. ბრალდებულს გაამართლებენ, თუ იგი წმინდა გიორგის ეკლესიაში ხატთან ფიცს დადებს. თუ ფიცს არ დადებს, იგი დამნაშავედ ჩაითვლება. როგორც კი ფიცი დაიდება, მხარეებს შორის ყოველგვარი ურთიერთობა წყდება. „ერთმანეთისთვის ცეცხლის მიწოდების უფლებაც კი აღარ აქვთ.“, „ჩვენს შორის ხატია“, – ამბობენ ისინი. ხატი უწყრება იმას, ვინც აკრძალვას არად ჩააგდებს. ავადმყოფობა, სიკვდილი, გაღატაკება და სხვა ხატის მიერ გამოტანილი სასჯელია. ხატის სასჯელი თავს რომ არ დაატყდეს, დამნაშავემ მეორე მხარეს ზარალი უნდა აუნაზღაუროს, მასთან ერთად ხატთან უნდა მივიდეს და ის საჩუქრები მიუძღვნას, რასაც მღვდელი დაადგენს: თხა, თიკანი, ხარი, ფული და ა. შ. „შემდეგ ერთმანეთს მიტევებას სთხოვენ“. მხოლოდ ამ ჩვეულების შესრულების შემდეგ არის შესაძლებელი მხარეებს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე თანახმა არ არის ხატთან მივიდეს, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია „თავი გამოისყიდოს“, რომლის დროსაც ხატის წინ დააწყობენ ყველაფერს, რაც მოწინააღმდეგეს ეკუთვნის.[161] მაშასადამე, ბრალდებულმა ბოლოს უნდა გადაიხადოს და აუნაზღაუროს მომჩივანს ზარალი, თუ მასთან მეგობ-

160 М.Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 134-136; განმწმენდი ან დამამძიმებელი ფიცი: A. Dirr, მითითებული ნაშრომი.

161 Марр Н. Я. О религиозных верованиях абхазов // Христианский Восток. Т.IV. Вып.

რული ან მეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება სურს.

ასეთი შემთხვევების დროს აფხაზებში და მეგრელებში ინიშნებოდა მომრიგებელი მოსამართლე; ორივე მხარე შეარჩევდა მომხსენებელს, რომელიც იქ მყოფთ დაწვრილებით და საფუძვლიანად აცნობდა, თუ რაშია საქმე, რას ეხება მომხდარი ფაქტი. სასამართლო „ცნობილი ხის“ ძირში იმართებოდა. მომჩივანი, როგორც კი გამოიძახებენ, მარტოდმარტო უნდა გამოცხადდეს სასამართლოზე; მოპასუხე ისეთ მანძილზე უნდა იდგეს, რომ ვერაფერი გაიგონოს. მომჩივანი მუხლზე დაჩოქილი ყვება მომხდარის შესახებ და თავისი არგუმენტები მოჰყავს. შემდეგ მას გაუშვებენ და ისიც ისეთ მანძილზე უნდა გადგეს, რომ ვერაფერი მოისმინოს, რასაც სასამართლოს წინაშე იტყვიან. შემდეგ წინ გამოდის მოპასუხე და მუხლებზე დაჩოქილი უსმენს მომხსენებლის საჩივარს, რომლის შინაარსსაც იგი სიტყვასიტყვით იმეორებს. იგი თავის არგუმენტებს ასახელებს და განზე დგება. კვლავ მოუხმობენ მომჩივანს, რომელიც ყოველთვის დაჩოქილი უსმენს მოპასუხის ლაპარაკს. იგი კვლავ თავის პრეტენზიებს გამოთქვამს. შემდეგ კვლავ მოპასუხე მოჰყავთ და მას მომჩივნის ნათქვამს აცნობენ. ყოველივე ეს იმდენჯერ მეორდება, ვიდრე მხარეებს უთქმელი აღარაფერი დარჩებათ. ამის შემდეგ მოსამართლენი სრულიად მარტონი რჩებიან, თათბირობენ და გადაწყვეტილებას იღებენ. მხარეები მიღებულ განაჩენს უნდა დაემორჩილონ.[162]

აღსანიშნავია მე-17 საუკუნის ცნობილი ავტორის, არქ. ლამბერტის, ცნობები მეგრელების (და, აგრეთვე, აფხაზების) შესახებ.[163]

როცა გარკვეული სამხილები არსებობდა, მოპასუხეს ფიცი უნდა დაედო; თუ რომელ ეკლესიაში და რომელი ხატის წინაშე, ეს მომჩივანს უნდა გადაეწყვიტა. მაგრამ იგი თავის გადაწყვეტილებას სრულიად საიდუმლოდ ინახავდა, რათა ბრალდებულს დამამშვიდებელი, თავის დასაიმედებელი ლოცვა არ შეესრულებინა, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: თუ მოპასუხემ იცოდა, რომელ ეკლესიაში უნდა დაედო ფიცი, მაშინ შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ იგი წინა საღამოს ამ ეკლესიაში ხატთან მისულიყო, იქ დაჩოქილს ლოცვით ღრმა სინანული გამოეთქვა, სრული აღსარება ეთქვა, დაპირებოდა ხატს ძროხის, ხარისა და ცხვრის შეწირვას და შეევედრებოდა: მისი ლოცვა, მონანიება და

1-2. Пг., 1916, გვ. 91-96.

162 A. Lamberti, მითითებული ნაშრომი // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, № 43, 1913, გვ. 90-92.

163 იქვე, გვ. 81-82.

აღსარება ძალაში დაეტოვებინა მაშინაც კი, თუ იგი მეორე დღეს ყალბ ფიცს დადებდა და თავის დანაშაულს უარყოფდა.

ზემოაღნიშნულის შესახებ მე მხოლოდ ლამბერტისგან ვიცი. ხომ არ ცდება ამ შემთხვევაში პატივცემული კათოლიკე მისიონერი და არასწორ განმარტებას ხომ არ იძლევა? იგი მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო მეგრელებით, რადგან ისინი იმის დიდი მოსურნენი არ იყვნენ, რომ თავიანთი ბერძნულ-ორთოდოქსული რელიგია კათოლიკურით შეეცვალათ.

აფხაზებში ფიცის დადების ჩვეულება ოქროს ხანაშიც არსებობდა. ილორის ეკლესიაში ოქროს სასწორი იყო ჩამოკიდებული. მხარეები ამ სასწორის ქვეშ დგებოდნენ და გულმხრუვალედ ლოცულობდნენ. სასწორი მუდამ იმ მხარეს გადაიხრებოდა, სადაც უდანაშაულო პირი იდგა. ეს იცოდნენ აფხაზებმა და ამიტომ ყოველგვარ ბოროტ საქციელს უფრთხოდნენ. ყველგან სიწყნარე, სიმშვიდე და ბედნიერება სუფევდა. ერთ აფხაზს მეორე აფხაზის ასი მანეთი ვალი ჰქონდა, მაგრამ ვალის გადახდა არ სურდა. ორივენი სასწორის ქვეშ დადგნენ. ეკლესიაში შესვლის დროს მოვალემ თავის კრედიტორს, ანუ გამსესხებელს თავისი ჯოხი გადასცა და ლოცვა დაიწყო. სასწორი მისკენ გადაიხარა. შემდეგ ორივენი გარეთ გამოვიდნენ. მოვალემ თავისი ჯოხი დაიბრუნა. მასში 100 მანეთი იყო ჩამალული! ხატი ისე ძლიერ განრისხდა, რომ სასწორი გაქრა.[164]

საკუთრების უფლება კავკასიაში წმინდაა და მუდამ ძალაშია. უფლებრივი პრეტენზია, მოთხოვნა რაიმე ქონებაზე ან შემოსავალზე შეიძლება 200 წლის შემდეგაც კი ძალაში შევიდეს. ასეთი ჩვეულება იყო სვანეთსა და ხევსურეთში,[165] სადაც, მაგალითად, უძრავი ქონებისა და ადგილ-მამულის ფულად ქცევა, გაყიდვა, იშვიათი მოვლენაა. გავიხსენოთ, რომ ძველი ხეთების კანონის მიხედვით, მინდვრის თუ საყანე ადგილების საზღვრები წმინდა და ხელშეუხებელი იყო და მათი დარღვევა სიკვდილით ისჯებოდა. ქართული წესის თანახმად, საკუთრება მფლობელს მთელი 40 წლის შემდეგაც უბრუნდებოდა, თუ იგი ამ ხნის მანძილზე სხვაგან იმყოფებოდა. კერძო საკუთრებას ძველ ბაბილონში მკაცრად იცავდნენ უკვე მეოთხე ათასწლეულში; მაგალითისთვის დავა-

164 Марр Н. Я. О религиозных верованиях абхазов // Христианский Восток. Т.IV. Вып. 1-2. Пг., გვ. 91-96.

165 М.Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 110-111.

სახელებთ ლაგამს,[166] სადაც, ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კოსეელები, რომლებიც საგულდაგულოდ შემოსაზღვრავდნენ ხოლმე მინდვრებსა თუ საყანე ადგილებს ნიშნების დადების მეშვეობით.

კავკასიაში შენარჩუნებულია ასევე ძველ მცირე აზიაში გავრცელებული წესი, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: არა მხოლოდ ადამიანებს სთხოვდნენ პასუხს თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებებისთვის და სჯიდნენ მათ, არამედ, მათთან ერთად, განიხილავდნენ, აგრეთვე, ცხოველებისა და თვით უსულო საგნების საკითხსაც.[167] მახვილი, ხანჯალი, ხარი, ძაღლი, ხე და სხვ. ითვლებოდა დამნაშავედ და დასასჯელად (ოსებისა და სხვა მთიელი ხალხების წეს-ჩვეულების მიხედვით), თუ მათგან ვინმე რაიმე დაზიანებას მიიღებდა. ცხოველი და საგანი ასევე ექვემდებარებოდნენ სისხლიან შურისძიებას, თუ ისინი ადამიანის სიკვდილის მიზეზად იქცეოდნენ; ხშირი იყო შემთხვევებიც, როცა ცხოველის ან საგნის „დანაშაულის" გამო მათი მფლობელი ისჯებოდა.

ლეკებთან, ჩეჩნებსა და სხვა ხალხებთან ასეთი შეხედულებები ცოტაოდენი რელიგიური გავლენებით არის მოდიფიცირებული, შეცვლილი და მსგავს შემთხვევებში პასუხისმგებლობა უფრო მფლობელს ეკისრება, მაგრამ ანიმისტური გაგება მათთანაც შენარჩუნებულია. მსგავსი ადათ-წესები და სამართლის ნორმები გავრცელებული იყო არა მხოლოდ ხეთებსა და სხვა ხალხებში, არამედ პალესტინაში, სირიასა და ა.შ.[168]

მემკვიდრეობით მიღებული ადგილ-მამულის გაყიდვა კავკასიის მთებში უმეტესად კატეგორიულად იკრძალებოდა. თუ ამა თუ იმ პირს თავისი გარდაცვლილების მიმართ მოვალეობის მოხდა სხვაგვარად არ შეეძლო, მყიდველი აუცილებლად თანამემამულე უნდა ყოფილიყო. სამეგრელოში, მაგალითად, უცხო ადამიანს ადგილ-მამულის შეძენის უფლება არ ჰქონდა. საზღვრის დაწესების დროს საზღვართან დადებდნენ დიდ ქვას ან მიწაში არჭობდნენ თავმომწვარ ხის ტანს; ამ დროს იქ იმყოფებოდნენ ადგილობრივი მღვდელი და მოწმეები, რომელთაც პურით და ღვინით უმასპინძლდებოდნენ. შეკრებილები ლოცვა-კურთხევით იხსენებდნენ საზღვრის დამცველებს და წყევლა-კრულვას უთვლიდნენ მის დამრღვევებს. ასევე, ყოველი გაყიდვის დროს ცერე-

166 Eugéne Cavaignac, Le Monde Méditerranée, etc., გვ. 3.

167 М.Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 31, 251 და მომდევნო გვერდები; იქვე. Современный обычай и древный закон, გვ. 101; A. Dirr, მითითებული ნაშრომი, გვ. 106-128.

168 Dr. Scheftelowitz, Altpalästina, Bauerglaube, გვ. 34 დან.

მონიალებს ასრულებდნენ: მაგალითად, ძროხის გაყიდვისას გაისმოდა მისი გამყიდველის ლოცვა-კურთხევა მყიდველის მიმართ, რომლის დროსაც პირუტყვს სამჯერ მოატარებდნენ ეზოში მარცხნიდან მარჯვნივ თოკით ხელში, შემდეგ მარჯვენა ხელით მიუყვანდნენ ძროხას მყიდველს, ღვთისადმი ლოცვა-კურთხევას აღავლენდნენ და ადიდებდნენ და ლოცვით უხმობდნენ წმინდანებს; ან კიდევ: ოთხფეხა პირუტყვს სამჯერ გადაატარებდნენ და გადმოატარებდნენ ახალმოტეხილ ხის ტოტებზე.[169]

ქონება და საკუთრება წმინდად ითვლება, რომელიც კურთხეულია წინანდელი პატრონების, ოჯახის წინაპრების მრავალი თაობის, მღვდლისა და გაყიდვის დამსწრე მოწმეთა ლოცვით, ანუ კეთილი სურვილებითა და დამნაშავის წყევლა-კრულვით, „ღვინისა და პურის" შეწირულებით, რომლის დროსაც ღმერთსა და წმინდანებს მოუხმობენ და ეევდრებიან და გარდაცვლილებს იხსენებენ.

სიწმინდის შეგნებას, ქონების, საკუთრების ხელშეუხებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მხოლოდ სამოქალაქო ცხოვრებაში, არამედ ქვეყნის პოლიტიკური ბედ-იღბლისათვისაც. ამ სამართლებრივი შეხედულებიდან გამომდინარე აიხსნება ასევე ის გარემოება, რომ, მაგალითად, ქართული ისტორია არ იცნობს რევოლუციას ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წინააღმდეგ, რომელსაც საქართველო ყველა კრიტიკულ ისტორიულ ხანაში მტკიცედ და საიმედოდ ეჭირა ხელში და ისე მართავდა მას, მაშინ, როცა გარშემო ყველა სამეფო ტახტი დაემხო: სომხეთში, ბიზანტიაში, სპარსეთსა და სხვაგან. ეს გახლავთ ისტორიული ფაქტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ ბაგრატიდების, ქრისტიანული სამყაროს ამ უძველესი სამეფო დინასტიის, არსებობისთვის, არამედ ქართული სახელმწიფოს და შესაძლოა, თავად ქართველი ხალხის არსებობისთვისაც კი.

ქართული კულტურა და ხელოვნება[170] მთელი თავისი არსით დაკავშირებულია ძველი აღმოსავლეთის მესოპოტამიის, მცირე აზიის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების კულტურასა და ხელოვნებასთან. დაახლოებით იგივე ითქმის კავკასიის სხვა ხალხებზეც;

თუმცა საქართველოს ისტორიის სული და თვით ბუნებაც ქართვე-

169 A. Lamberti, მითითებული ნაშრომი, გვ. 168-169.

170 Jurgis Baltrušaitis, Etudes sur l'Art medieval en Géorgie et en Armenie, 1929, გვ. 16, 19, 38-41. passim; იქვე., Art Sumérian, Art Roman, 1934; იქვე: Armenian Architecture and Gothic Art (Georgica, ტომი I, Nos. 2/3, გვ. 178-დან), London, 1936.

ლი ხალხისა თავისი შორეული ისტორიული საწყისებიდანვე ევროპულია, დასავლურია. ეს არის ქართულ-კავკასიური ისტორიის, მისი წარსულისა და მისი ტრაგიკული აწმყოს განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც, ამის გამო, შესაძლოა კიდევ უფრო ტრაგიკული ხდება.

ქართულ-კავკასიური არსის ეს ორმხრივობა განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ, რადგან ჩვენ მას დიდ, სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. საერთოდ, ამაზე მეტყველებს ქართველი ხალხის სამართლებრივი მრწამსი და შეხედულებები, რომლებიც თავისი შინაარსით სრულად შეესატყვისება ძველ ხეთურსა და ბაბილონურ მსოფლმხედველობას. როდესაც მაქსიმ კოვალევსკი და რიგი სხვა რუსი სწავლულები და ქართველი მკვლევრები ქართულ და ანტიკურ, ანუ ბერძნულ-რომაულ კანონებსა და ირანულ წეს-ჩვეულებებს შორის მგავსებაზე წერენ, ზემოაღნიშნულ სამართლებრივ შესატყვისობებს ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ. ამასთან, უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველების სამართლებრივი შეხედულებების არსებით მსგავსებაზე ხეთებთან, ასურელებთან, ქალდეველებთან და სხვა მცირე აზიელ ხალხებთან განმეორებით აღნიშნეს ავტორიტეტულმა სამეცნიერო წრეებმა უკვე 1889 წელს მოწოდებით – ეთარგმნათ ქართული სამართლებრივი წყაროები ევროპულ ენებზე და საფუძვლიანად შეესწავლათ ისინი, ძველბერძნულ-რომაული და სამხრეთ და დასავლეთ ევროპული სამართლის უკეთ გაგების მიზნით.[171] ასევე საგანგებოდ გამოჰყვეს ქართულ კანონთა კრებულის მნიშვნელობა ასირიოლოგიისათვის. ეს კანონები გამოირჩეოდნენ კაცთმოყვარეობით, ლმობიერებითა და შემწყნარებლობით. მათ დიდი სასიცოცხლო ძალა გამოავლინეს: ისინი რუსებმა კავკასიაში გამოიყენეს, რუსულ ენაზე თარგმნეს და რუსულ კანონთა კრებულში შეიტანეს. ეს კანონები (კოდექსი V) ბუხარის სახელმწიფომაც კი გადაიღო მას შემდეგ, რაც ისინი ამ სახელმწიფოს ოფიციალურ ირანულ ენაზე ითარგმნა. მათ ამავდროულად ევროპულ კანონებზე უფრო მაღლაც კი აყენებდნენ და აღმოსავლეთისთვისაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

171 Rud. Dareste, Historie du Droit, გვ. 129-136; J. Karst, Litterature géorg. chretienne, გვ. 116, 118, 119; М. Ковалевский, აღნიშნულ ადგილას.

2. კავკასიის მოსახლეობის რელიგიური შეხედულებების სფეროებიდან

მას შემდეგ, რაც ჩვენ პირველ ნაწილში სამართლებრივი საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით გარკვეული შედეგები მოვიპოვეთ, საჭიროდ ვცნობთ მოვიძიოთ შესაბამისი მასალები რელიგიური შეხედულებების სფეროდან და დავადგინოთ, შევიმუშავებთ თუ ვერა მათი მეშვეობით იმავე თვალსაზრისს. სოციალური წყობის სახეობები – მატრიარქალური და პატრიარქალური, კავშირები ძველი აღმოსავლეთის კულტურასთან ამ ნაშრომის მეორე ნაწილის ძირითად საკითხებს შეადგენს.

ა. ცხოველთა კულტი

ხარის კულტი მთელ ძველ აღმოსავლეთში საყოველთაოდ იყო გავრცელებული: უდიდესი ღმერთები ხარ-ღმერთებად მოიხსენიებოდნენ,[172] მაგალითად, ზეცის ღვთაება; მაგრამ ხარი მთვარის ღვთაებასთანაც განსაკუთრებით ახლოს იდგა, ისევე როგორც ღმერთების დედასთან. ძველ ბაბილონში მოკლული ხარის ტყავი ღვთაებასთან იყო გაიგივებული. ეჭვმიუტანელია მისი კავშირი ქინგუსთან, მარდუქთან და სხვა ღვთაებებთან. სათანადო რიტუალის შესრულების დროს ქინგუს მოკვდინების აქტს ხარის დაკვლით განასახიერებდნენ. ზეცის ღვთაების უძველესი ცხოველია ხარი, რომლის სახითაც ზევსიც გვევლინება ხოლმე. ხარი მთავარი საკულტო ობიექტია შუმერებთან, კერძოდ, იგი ქალაქ ურისა და მთვარის ღვთაების სიმბოლოა. ხარს, ისევე როგორც ღვთაებათა ფიგურებს, მეფეებს საფლავში ატანდნენ. ძროხა და ხარი, შუმერების წარმოდგენით, კოსმოსური სამყაროს შემქმნელები არიან.

ხარი, როგორც ზეცის ღვთაების, თეშუბის, წმინდა ცხოველი, ხეთებთან და, საერთოდ, წინა აზიის ყველა სხვა ხალხთან,[173] ღმერთის

172 Erich Ebeling, Tod und Leben nach der Vorstellung der Babylonier, 1931, გვ. 29, 38-40, 36, 41, 122-136; Ernst Kornemann, იქვე. გვ. 54-58; Hrozny, Hethitische Keilschrift aus Boghaz 15, Boghaz. კვლევები, 1919, E. Unger, Die Bedeutung der Königsmetropole von Ur. Vorgeschichtl. Jahrb. ტ. 4, 1927, გვ. 11. Ludoff Malten, Der Stier im Kult und mythischen Bild. Jahrb. Arch. Inst. 43, 1928, გვ. 90-139; Br. Meissner, Babylon und Assyrien, ტ. 2, 1925, გვ. 170, 201-205; Alfr. Jeremias, Handbuch d. altoriental Geisteskultur, გვ. 89, 79, 65. passim.

173 Ed. Mayer, Kultur und Reich der Hethiter, გვ. 102-103, 106, 118; Hrozny, Hethitische Keilschrift aus Boghaz, „Bohax Studien", 1919 გვ. 2,9, 11, 15; John Garstang, The Hittite, 1929, იქვე. გვ. 210, 222, 260, 315; J. Karst, Grundsteine einer Mettel. Asian. Urgesch., 235; A. H. Sayce, The Hittites, გვ. 60.

მიწიერ გამოსახულებად აღიქმებოდა. წინა აზიის მთავარი ღვთაებები ხელოვნების ძეგლებში ხარებზე სხედან ან დგანან.

წინა აზიაში ჩატარებული უკლებლივ ყველა გათხრის შედეგად ნაპოვნია ფიგურები და გამოსახულებები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ ხარის სიწმინდესა და მის მჭიდრო კავშირს ღვთაებებთან: იასილი კაია სენდირლი, მარაში, ისბეკირი და სხვები - ყველგან ვხედავთ ხარის რელიგიურ და საკულტო ბუნებას. ხეთების წმინდად შერაცხულ ადგილებში იდგა ხარის ქანდაკება, როგორც ზეცის ღვთაების განსახიერება. ასევე, შექმნილია თეშუბის გამომსახველი ხარის მრავალი ქანდაკება. გარდა ამისა, ზევსი დოლიხენოსი ხარზე მდგომად გვევლინება. იმავდროულად კი ხარი მჭიდროდაა დაკავშირებული ღმერთების დედასთან, დედამიწისა და მთვარის კულტთან.

მაშასადამე, ხარის ეს გაბატონებული მდგომარეობა რწმენასთან, კულტთან და რიტუალებთან დამოკიდებულებაში იმით აიხსნება და იმის მაჩვენებელია, რომ ამ მსხვილფეხა პირუტყვის რქას, როგორც ღვთაების განსახიერებას, ღვთაებრიობის მანიშნებელს, საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძველთაგანვე ცნობილია ხარის კულტი ძველ ეგვიპტეში: ხარის სიწმინდე და აპისის კულტი. ეგვიპტელ მეფეებს ხარის ფორმით გამოსახავდნენ და სიმღერებში განადიდებდნენ.[174] ხარის კულტი აქაც უძველესია. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე IV ათასწლეულის მეორე ნახევარში ვხვდებით ხარის ფიგურულ გამოსახულებას მარმარილოს ფილაზე. მზის ღმერთი იყო „ხართა ხარი", უპირველესი ხარი, ხოლო მთვარე – ხარი ვარსკვლავებს შორის. გარდაცვლილი ფარაონი, როგორც ღმერთების მეფე, ზეციური, ღვთაებრივი ცხოველი ხდებოდა. ამის შესაბამისად, ხარი იყო ნაყოფიერების სიმბოლო, როგორც ეს გამოხატულებას პოულობდა შემდეგ გამონათქვამებში: „შენ, ხარო, მრჩოლელი ბედნიერებით", „დედაშენის ხარი".

ბაბილონში და შუმერში ხარის ღვთაებას „გუდი" ეწოდება. ხარ-ღმერთი ღვთაება შამაშის ვაჟიშვილია; ძველ ასურულ კანონებში, ხარ-ღმერთი მზის ღვთაების ვაჟიშვილად მოიხსენიება (1400-1200 წ. წ. ქრისტიანობამდე). ხარ-ღმერთი „ჰარუ" მოიხსენიება ამინდის ღმერთის (ჰექა-ქუხულის ღვთაების) გვერდით; ამინდის ღმერთის ხარს ზეციურ,

174 A.Wiedmann, Das alte Ägypten, გვ. 230, 282; Ermann Ranke, Ägypten, გვ. 469, 523, 589, 64; E. Kornemann, ზემოთ აღნიშნულ ადგილას, გვ. 58; Ed. Mayer, Kultur und Reich der Hethiter, გვ. 68,159; A. Wiedmann, Der Tierkult der alten Ägypter, 1912, გვ. 16; L. Malten, Der Stier im Kult und mythischen Bild. Jahrb. Arch. Inst., გვ. 91-98; ტ. 43, 1928; L. Malten, იქვე, გვ. 98-107, 107-114, 114-121, 121-138.

წმინდა ცხოველს უწოდებენ. ძველი ხეთები თაყვანს სცემდნენ ხარს, როგორც ღვთაებას და დემონს; ხეთური ძეგლები სავსეა ხარის გამოსახულებებით, სათაყვანო კერპებითა და ხარის საკურთხევლებით; ხარი ხეთებთანაც ხარისა და ელვის ფორმით გამოსახული ამინდის ღმერთის უწმინდესი ცხოველია. უმაღლესი ქალღმერთიც ხარის სიმბოლოს იღებს. იუპიტერ დოლიხენუსს გვერდზე ხარები უდგანან. მითოლოგიაში ცნობილია პასიფაეს სიყვარული ხარისადმი - მისგან წარმოიშვა მინოტავრი, რომლის სახე გეხვდება IV ათასწლეულის ხეთურ შტამპებსა და ღერბებზე; იხსენიება ევროპის სიყვარული ხარისადმი, ისევე როგორც პასიფაესი. პასიფაე, ეს საყოველთაო მანათობელი მნათობი, მთვარეული არსებაა. იგი დაკავშირებულია მზის ღმერთთან, რადგან ხარი მისივე სიმბოლოა. ძირითადი პრინციპი ყველგან იგივეა: ღვთაებრივი ძალა, ღვთაებრივი არსი ხარში.

სირიაში, პალესტინაში, ქალდეაში, კრეტაზე, ეგეოსზე – ყველგან დომინირებდა ხარის კულტი უმაღლეს ღმერთებთან, განსაკუთრებით კი ღმერთების დედასთან და მთვარის კულტთან კავშირში: მას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა რელიგიური რიტუალებისა და შესაბამისი ცერემონიალების შესრულების დროს.[175] ხარი დომინირებს არა მხოლოდ ქვის ქანდაკებებში, მხატვრობასა და რელიეფურ გამოსახულებებში, რომლებიც გავრცელებული იყო აღმოსავლეთსა და კრეტაზე, არამედ, აგრეთვე, სხვა მხატვრულ-შემოქმედებით სფეროებში და ძვირფას ქვებზე ამოჭრილ წარწერებსა თუ გამოსახულებებში. მის თაყვანსაცემად აწყობენ ზეიმებს, ღღესასწაულებს, აგებენ ტაძრებს და საკურთხევლებს, სწირავენ მსხვერპლს, ასრულებენ ლოცვებს, მოკლედ რომ ვთქვათ, მიაგებენ ღვთიურ პატივს. მისი რქები ისევე, როგორც თხის რქები, ღვთაებრივ სიმბოლოებად იქცა (კრეტაზე, კავკასიაში).

ოქროს ხბო ძველი აღთქმის წიგნში და იგივე ხბო დღევანდელი დრუზებისა (ისლამური რწმენის ხალხი სირიასა და ლიბანში) თაყვანისმცემლების მიერ წმინდანად არის შერაცხული. კრეტაზე, სადაც წარმატებული გათხრებით საუცხოო შედეგები მიიღეს, მეფე მინოსი

175 G. Contenau, La Glyptique, Syra-Hittite, გვ. 44-46, 62-92, 85-87, 144-146,148, 180-188. იგივე, Les Tablettes de Kerk. გვ. 19-23. P. Dikaios, Les Cultes préhistoriques dans l'ile de Chypre, Syria, ტ. 13 (1932), გვ. 345-354; W. M. Ramsay, Asianic elements in Greek Civilisation, გვ. 72-83, 300-302. Fr. Cumont, Groupe de marbre de Zeus Dolichemus, გვ. 183-189, Syria, ტ. 1 (1920); R. Dussaud, Juoiter Héliopolitaine, გვ. 3-15, იქვე; იგივე La Lydie et ses Voisins, გვ. 104; Philipp K. Hitti. P.D.: The origin of the Druse, People and Religion with extracts from their sacred Writings, J. of the Roy. As. Soc. 1932; G l o t z, აღნიშნულ ადგილას, გვ. 171-174, 220-დან; 332-დან. Contenau, La Civilisation Assyro-Babylonienne, გვ. 42-67, 91, 93 passim.

ხარ-ღმერთ მინოტავრის მიწიერი წარმომადგენელი იყო. ხარის კულტი გავრცელებული იყო აგრეთვე ათენში, რაც იქ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა; იგივე შეიძლება ითქვას კუნძულ კოსის (მაგნეზიაში), მაანდერის დელფოსა და საბერძნეთის სხვა ტერიტორიების მოსახლეობის შესახებ. ჩვენ აქ მაგალითისათვის ბუფონიას ვასახელებთ; ბუფონიის ატიკურ დღესასწაულზე (ატიკა - ძველი ისტორიული მხარე საბერძნეთში) ზევსის საკურთხეველთან, ციხე-დარბაზში, ხარი მას შემდეგ დაკლეს, რაც მან საკურთხეველზე დაყრილი ფეტვის მარცვლები შეჭამა. ის, ვინც ხარი დაკლა, გაიქცა და მას უკან გამოუდგნენ; ხარის ტყავისგან ფიტული გააკეთეს და გუთანში შეაბეს, შემდეგ სასამართლო მოაწყვეს და ცული, როგორც დამნაშავე, ცეცხლში შეაგდეს.[176]

არგოსში ზევსის როლს მისი მეუღლე, ჰერა, ასრულებდა, რომელსაც მსხვილფეხა ცხოველის სახე ჰქონდა.

ხარი და მდედრი და მამრი ღვთაებების პრინციპი უდავოდ არასემიტურია და ძველი მცირე აზიის მოსახლეობის იმ წინასემიტურ და წინაინდოევროპულ ფენას განეკუთვნება, რომელიც წინა აზიაში მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდა (ნიადაგს გუთნით ამუშავებდა), რამაც შემდეგი გავრცელება და განვითარება დასავლეთშიც ჰპოვა.[177]

მეორე მხრივ, როგორი ინტენსიურიც არ უნდა ყოფილიყო ხარის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები იაფეტურ ხალხებში, ისინი საწყისშივე იაფეტურად მაინც არ მიგვაჩნია. ეს წეს-ჩვეულებები ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ღმერთების დედის კულტთან და გველთან (ქთონური ღმერთი), ამიტომ, სავარაუდოდ, უფრო წინაიაფეტური, შესაძლოა, ჰამიტოიდური, ან დრავიდული წარმოშობის იყოს.[178]

უკვე ჰომეროსის დროიდან ცნობილია წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც შესაწირ ცხოველს ზოგჯერ რქებს მოუოქროვებდნენ ხოლმე.[179] ზუსტად იგივე ჩვეულება, სხვა საინტერესო რიტუალებთან

176 Friedr. Schwenn, Gebet und Opfer, Studien zum griech. Kultur, 1927, გვ. 99-119. Cavaign a c, Le Monde Méditerranéen, გვ. 162.

177 G. Contenau, La Civilisation Assyro-Babylonienne, გვ. 42-67. Günther Ipsen, Der Alte Orient und die Indogermanen, 1924, გვ. 226, 234.

178 Stanley R i c e, The Cult of the Cow, გვ. 682-691; Asiat. Rev, 1928. P. Dikaios, Les Cultes préhist. dans l'ille de Chypre, გვ. 345-354, Syria, გვ. 13, 1932.

179 Friedr. Schwenn, Gebet und Opfer, Studien zum griech. Kultur, გვ. 129; Stengel, Griech. Kulturaltertümer, გვ. 108; C. Schuchhard, Alteuropa, 1935, გვ. 163 და მომდევნო გვერდები.

ერთად, შევნიშნე საქართველოში: თავისი მძიმე ავადმყოფი ვაჟიშვილის გამოჯანმრთელების შემდეგ, ერთმა ქართველმა კაცმა 1904 წელს ქუთაისთან ახლომდებარე სოფელში იესო ქრისტეს, მაცხოვარს საგვარეულო ტაძარში (რომელიც მაშინ თითქმის ნანგრევებად ქცეულიყო და რომელშიც საუკუნეზე მეტხანს ღვთისმსახურება არ ჩატარებულა) მსხვერპლად მოზვერი შეწირა. ცხოველი ჯერ სამჯერ შემოატარეს მადლიერებით და ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-კურთხევით გამოჯანმრთელებული ვაჟიშვილის გარშემო, შემდეგ სამჯერ ეკლესიის გარშემო; მას რქებზე ოქროს მავთულები ჰქონდა დამაგრებული; ბოლოს იგი, როგორც ღვთისადმი განკუთვნილი, ღვთის სამსახურს დაქვემდებარებული, იმავე პატარა ტყეში გაუშვეს, სადაც ეკლესიის ნანგრევები იდგა.

კავკასიელ ხალხებში ხარი და თხა გამორჩეული სიყვარულით სარგებლობს და მათ განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ. ხარი ითვლება ცივილიზებული სამყაროს შემოქმედად და ამიტომაც მას ხოტბას ასხამენ და უმღერიან ხალხურ სიმღერებში, როგორც ღვთაებრივ, ღვთივკურთხეულ ცხოველს. მე აქ მოვიყვან ხალხურ გამონათქვამებს, რომლებიც ზუსტი სიტყვიერი და აზრობრივი შესაბამისობით არის თარგმნილი: ორშაბათობით ციხესიმაგრეს და ქალაქს აშენებდნენ კლდეზე, გარშემო გალავანი ერტყა და ზემოდან ცა ეხურა; ხვნა-თესვა, სურსათ-სანოვაგის შოვნა ძალიან გაძნელდა; ხარმა თავისი სხივფენილი სახით თქვა, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებო; ანგელოზები გუნდ-გუნდად შემოეჯარნენ, თვალები კოცნით დაუამეს; რქებზე იწვოდნენ წმინდა სანთლები, უღელი დაადგეს ხარს და უთხრეს: „გასწი, ხარო, იმუშავე ექვსი დღე მთებში და ველ-მინდვრებზე. ვინც შენ კვირას და დასვენების დღეებში უღელში შეგაბას, იმას ხელები შეახმეს მხარზე!“

ხარი აქ მოხსენიებულია თავისი სხივმოსილი სახით: აქ იგულისხმება წმინდა სინათლე; „ნათელი დაადგეს მას“, - ამბობენ ქართველები თავიანთი მიცვალებულის მიმართ იმ აზრით, რომ იგი ნათელში, ღმერთთან ახლოს, სიწმინდეში იყოს. ხარის პატივისცემა სანთლებით, ნათლად მიანიშნებს მის ოდინდელ საკულტო თაყვანისცემას, რომელიც ქართველი ხალხის გაქრისტიანების შემდეგ (არაოფიციალურად პირველი საუკუნიდან, ხოლო ოფიციალურად IV საუკუნის დასაწყისიდან) დაძლეულ იქნა და ბოლოს, აღმოიფხვრა კიდეც.

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ, აგრეთვე, შემდეგ მსგავსება-იგივეობაზე: ქართულ ენაზე ამ ცხოველს ხარი ჰქვია (ნათესაობით ბრუნვაში - ხარის, მიცემითში - ხარს), ისევე, როგორც შუმერულად - ჰარ.

ეტანას ამაღლების დროს ხარ-ღმერთს ჰარუ ერქვა.[180] ეგვიპტეში ჰარუ ერქვა მხარეს, მისგან ჩრდილოეთით მდებარეს. ყველგან ჩანს ხარი, ყველა გმირის საბრძოლო ორომტრიალში.[181] ჰარუ ერქვა ასევე ძველ პალესტინაში თაღს. ძველი ეგვიპტელები ჰარუს უწოდებდნენ, აგრეთვე, თავიანთ მონებს და სავარაუდოდ, საერთოდ ყველაფერს - თავიანთი წარმოშობის ადგილის, სამშობლო მხარის მიხედვით. გავიხსენოთ, რომ ღვთაების, ხალხისა და მხარის (ქვეყნის) სახელწოდება ძველად ხშირად იდენტური იყო. მაგალითად, ხათი, ასური და სხვა. გარდა ამისა, ხარი ჰარუს მხარეში გარკვეულ ფარგლებში იხსენიება; ქალაქისა თუ ქვეყნის (მხარის) საზღვრები წმინდა იყო, რომლებიც ეკუთვნოდა იმ ადგილების ღმერთებს ან მთავარ ღვთაებას და, შესაბამისად, მათი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ სახელწოდება ხარი უძველესი ხარ-ღმერთის გადმონაშთი იყოს დღევანდელ ქართულ ენაში, რადგან ჰარუს ვხვდებით, ძველ ბაბილონში კვლავ რელიგიური ნიშნით[182] და თან ჰარუს მხარე და ხალხი ძველხეთურ ლურსმულ დამწერლობაშიც მოიხსენიება.[183]

კავკასიაში ხარის კულტთან დაკავშირებით მრავალი ფაქტი მოჰყავს მკვლევარ მ. კოვალევსკის.[184] ხარის როლის შესახებ სამყაროს შექმნაში ლამაზ ჩეჩნურ ლეგენდას მოგვითხრობს ა. დირი: ხარები ერთად დადგნენ დედამიწის საყრდენად და თავიანთი რქებით იკავებდნენ მას.[185] ხარის კულტი მეგრელებსა და აფხაზებში (განსაკუთრებით ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებულ ილორში) და მთელ კავკასიაში იყო ცნობილი და მის შესახებ არაერთი ჩანაწერი აქვთ გაკეთებული მოგზაურებს ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ეპოქაში.

ილორის წმინდა ხარი. მე-17 საუკუნის ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ვიგებთ, რომ აფხაზები, მეგრელები და სხვები, ერთ-ერთ ძალიან ნიშანდობლივ, ხარის კულტთან დაკავშირებულ რიტუალს ასრულებდნენ, რომელიც მთელ დასავლეთ კავკასიაში სახელგანთქმულ

---

180 Gressmann, Himmelfahrt von Etana. გვ. 309, 213 და სხვ.. იქვე. გვ. 339; ნაჰირუს (nahiru, ზღვის ძაღლი ?) ქართულად ჰქვია ნახირი (ოთხფეხა).

181 W. M. Müller, Asien und Europa, გვ.149-156, 151, 244-246, 304; Bilabel Gesch. Vorderas. u. Ägypt. გვ. 9, 34, 48, 59, 104, 138.

182 Erich Ebeling, Tod und Leben nach den Vorstellungen der Babylonier, გვ. 66; Gressman n, Altor. Texte zum Alt. Tes . და ა. შ., გვ. 309, 213, იქვე.

183 H. Winkler, in Mitt. Dt. Orient. Ges. 1907, გვ. 40-50; 1907, № 35.

184 Закон и Обычаи на Кавказе ტ. 1, გვ. 184-185.

185 A. Dirr, Die alte Religion der Tschetschenen, გვ.1076 in: Antrophos, ტ. 3, გვ. 1908.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. აქ ყოველი წლის 20 ნოემბერს წმინდანის სახელობის დღესასწაულს დიდი თაყვანისცემით და მოწიწებით ზეიმობდნენ. დღესასწაულზე თავს იყრიდნენ მევრელები, აფხაზები, ჩერქეზები და სხვები. აღნიშნული ეკლესია საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა; იგი მდიდარი იყო ოქრო-ვერცხლით და, საერთოდ, განთქმული იყო მთელ იმ მხარეში თავისი სიმდიდრით (ეკლესიას კარები მასიური ვერცხლისა მიუხედავად ამისა, გამორიცხული იყო, რომ ვინმეს ეკლესიის ქონების ხელყოფა და მითვისება განეზრახა, რადგან ხალხს წმინდანის ძალიან დიდი რიდი და მოკრძალება ჰქონდა.

დღესასწაულის წინა საღამოს ეკლესიის კარებთან მიდიოდა სამეგრელოს თავადი თავისი მხლებელი აზნაურებით. ეკლესია ქვის სქელი გალავანით იყო გარშემორტყმული. მის ზემოთ დიდი სამრეკლო იდგა. იქვე იმყოფებოდნენ ეპისკოპოსები და სასულიერო წოდების ყველა სხვა წარმომადგენლები. შემდეგ საზეიმო ცერემონიით ამოწმებდნენ ჩაკეტილი კარების კლიტეს, საკეტ მოწყობილობას და მასზე პირადად თავადი საკუთარი ხელით ასვამდა ბეჭედს, რათა უცხო ხელი არ შეხებოდა. ამ ცერემონიალის დამთავრებისთანავე იქაურობას ტოვებდა ყველა. მხოლოდ მეორე დღეს, ანუ უშუალოდ დღესასწაულზე, კვლავ გამოჩნდებოდა თავადი თავისი მრავალრიცხოვანი მხლებლებით. ხალხი უკვე დილიდანვე იყო შეკრებილი. თავადი ამოწმებდა ბეჭდის მთლიანობას, შემდეგ მოაცილებდა დასმულ ბეჭედს, გააღებდა კარებს და იქ შეკრებილები დაინახავდნენ ხარს, რომელიც ეზოში, ეკლესიის წინ იდგა. ეს სანახაობა საყოველთაო სიხარულსა და ჟრიამულს იწვევდა. იქ მყოფნი იწყებდნენ ლოცვას და ხოტბას ასხამდნენ წმინდა გიორგის, რომელმაც, იმ დროს გავრცელებული რწმენის თანახმად, მოიპარა და იქ მიიყვანა ხარი, რათა ის ხალხისთვის ეჩუქებინა. მათი წარმოდგენით, წმინდა გიორგი ღამით იტაცებს ხარს, სამჯერ გაჰყავს იგი ზღვის ნაპირთან და მერე უკან მთებში და მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყავს ეკლესიაში. იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევა ხარი, ხალხი წინასწარმეტყველებს: თუ იგი ირჭინება, ანუ რქებით შეტევაზე გადმოდის, მაშინ ეს ომის მაუწყებელია; როდესაც იგი ძირს არის დაწოლილი და ტალახითაა მოსვრილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წელს კარგი და უხვი მოსავალი იქნება; თუ ხარი ცვარ-ნამითაა სველი, ეს ყურძნის და, მაშასადამე, ღვინის კარგ მოსავალს მოასწავებს; თუ იგი წითელი ფერისაა, მაშინ, ხალხის წარმოდგენით, მრავალი ადამიანისა და ცხოველის დაღუპვის

საშიშროება არსებობს. თეთრი და ჭრელი ფერები კი კარგის მომასწავებელია და ა. შ.

ერთერთი საგვარეულო ოჯახის წევრმა ხარი შუბით მოკლა (შუბი საგანგებოდ მხოლოდ ამ მიზნით გამოიყენებოდა) და ნაწილებად დაჭრა. აქედან ნაწილი იმ მხარის თავადმა თავისთვის დაიტოვა, ნაწილი დასავლეთ საქართველოს მეფეს გაუგზავნა ქუთაისში, ნაწილი კი - გურიის მთავარს. ხართან დაკავშირებული რიტუალები თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ამას მოითხოვდა ტრადიცია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეები ერთმანეთს ეომებოდნენ. შიკრიკები ყოველთვის მდიდრულად დაჯილდოებულნი ბრუნდებოდნენ უკან. ხარის ხორცის დანარჩენ ნაწილებს იქ მყოფთ შორის ანაწილებდნენ, რომლებიც ხორცს, როგორც ზიარებას, დიდი მოწიწებით შეექცეოდნენ, ანდა მას ნაჭერ-ნაჭერ აშრობდნენ, ახმობდნენ და ინახავდნენ, რათა მისი საშუალებით რაიმე შესაძლო დაავადება თავიდან აეცილებინათ.

ხარის ხორცის გაგზავნა სამეგრელოს აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე მხარეების ბატონებთან ადასტურებს იმას, რომ ეს უკანასკნელნიც მონაწილეობას იღებდნენ წმინდა ილორის რელიგიური წეს-ჩვეულების შესრულებაში. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მთელი დასავლეთ კავკასიის ეს საყოველთაო მონაწილეობა აღნიშნულ ცერემონიალებში აიეტის დროინდელი ძველი კოლხების ჩვეულებებს ემთხვევა (არგონავტების თქმულება), მით უმეტეს, რომ წმინდა ილორის ეკლესია ორ უძველეს წმინდა შუბს ინახავდა, რომლის დანახვაზეც იქ შეკრებილებს, როცა მათ პროცესიების დროს გამოიტანდნენ, ჟრუანტელი დაუვლიდათ ხოლმე; და სწორედ ეს მზის შუბები ჰქონდა აიეტს, თავად მზის ვაჟიშვილს, თავის სასახლეში.

სამსხვერპლო ხარს იმ ღვთაების სახელს არქმევდნენ, რომლისთვისაც იგი უნდა შეეწირათ: ასე მაგალითად, სვანები უწოდებდნენ ხარს „ფუსნას", რომელიც დიდ ღმერთს ფუსნა-ბუადიას ეძღვნებოდა და, მაშასადამე, მას უნდა შესწირვოდა კიდეც. წმინდა მარიამს, ღვთისმშობელს სვანურად „ლამარია" ჰქვია და მისთვის შესაწირ ძროხასაც „ლამარია" ერქვა.[186] გურულები „ილორას უწოდებდნენ წმინდად შერაცხულ

186 Lamberti, Rélation de Colchide ou Mengrelie, გვ.1-197, განსაკუთრებით გვ. 168; im Récueil des Voyages au Nord, ტ. 7; Chardin, Voyage en Perse ets., ტ. 1,1811, გვ. 316-321; ტ. 2, გვ. 47; Сборник материалов для описания местностей и племен кавказа, ტ. 43, 1913, გვ. 152-158; Христианский восток, ტ. 4,1915, გვ.91-96.

ძროხებს, რომლებიც ილორის ეკლესიისთვის უნდა შეეწირათ.[187]

ქართველი გლეხები ხშირად „ხარის ქედს" იფიცებენ.[188]

საქართველოში წარმართული დროიდან შენარჩუნებულია სიტყვა „ზორეა", რაც შეწირვას ნიშნავს.[189] ამასთან დაკავშირებულია სიტყვა „ზვარაკი", ანუ შესაწირი ცხოველი. სვანურად ამას ჰქვია „ნამზურუნ – მსხვერპლი; „ლიმზირე ნიშნავს კურთხევას. სიტყვა „მოზვერი" ქართულ ენაზე ნიშნავს ახალგაზრდა ხარს.[190]

ცხვრისა და თხის კულტი. თხის კულტი აღმოსავლეთში არანაკლებ იყო გავრცელებული, ვიდრე, საერთოდ, ხარის კულტი; როგორც ჩანს, ზოგჯერ ეს ორი ცხოველი ერთმანეთს ცვლიდა. ორივენი მამრობითი პრინციპის წარმომადგენლები არიან და ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენენ. თხის ღვთაებას და მის კულტს დიდად აფასებდნენ და ეთაყვანებოდნენ ანატოლიაში, მაგალითად, ჰესინუსსა და ანდეირაში (ლიკაონია). ხარის დაკვლა ზოგჯერ აკრძალული იყო, ასევე თხისაც, რომელსაც, როგორც შესაწირ ცხოველს, მხოლოდ მონანიების გრძნობის და დანაშაულის გამოსყიდვის გამო დაკლავდნენ ხოლმე. სხვა შემთხვევაში მისი დაკვლა უღვთო საქციელად ითვლებოდა. თხის ფიგურები ნაპოვნია (გათხრების შედეგად) შუმერულ აკლდამებში ღვთაებათა ფიგურებთან და სხვა ძვირფასეულობასთან ერთად. ღვთაება თარქუს ატრიბუტი და სიმბოლო იყო ვაცი, რომელიც ადრე, ალბათ, თავად გახლდათ ღმერთი თარქუ. საკულტო მნიშვნელობა და ამით განპირობებული სიწმინდე ცხოველისა ასევე საყოველთაოდ გავრცელებული იყო ეგეოსსა და კრეტაზე, სადაც ღმერთი, მისი ძე, ქალღმერთის ქმარი და სხვები ღვთაებრივი თხით საზრდოობდნენ; ასევე იყო საბერძნეთშიც.[191]

---

187 Христианский восток, ტ. 4, 1915, გვ. 127.

188 მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, ტიფლისი, 1906, გვ. 85.

189 იქვე, გვ. 158.

190 G. Contenau, La Glypt. Syro-Hittit, გვ. 43-44, 62-92, 147, 144-146; იგივე, Les Tablettes de Kerkouk, გვ. 21-23, 25 და 20-134.

191 William M. Ramsay, Asianic Elements in Greek Civilisation, გვ. 72-83,243-266,249, 296-299, 300-302; Sayce, Hittites, გვ. 151, Glotz, იქვე. გვ. 268-269, 276-280, 290-293; Dussau d, იქვე; Hvn. Gerhard, Ueber die Gottheiten der Etrusker, გვ. 524, 548, შენიშვნა 67, 550, შენიშვნა 75; J. Karst, Orig. Medit. 251; de Genouillac, გვ. 2, 32, 42; Frankfort, Studies და ა. შ., იქვე, ტ. 1, გვ. 32; Tallgren, The Kaksbek Treasure, გვ. 162-164. Euras, Sept. Ant. 5, 1930, von der Osten; Alischar Hüyük, გვ. 83, 99. M. Louis, Bouquetin ou shévre sauvage, გვ. 72-75. Rev. Assyr., 31, 1934, გვ. 2; Percy E. Newberry, Ägypten als Feld fuer anthropol. Forsch., გვ. 24. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: A. Milchhöfer, Widderdenkmaler aus Phrygien und Armenien, გვ. 263-264, Archäol. Zeitung (1883), გვ. 4 (იქვე მითითებულია ლიტერატურა); ასევე ეგეოსში; Johannes Friedrich, Ras Schamra, Ein Überblick über Funde und Forschungen, Leipzig, 1933, გვ. 11-დან.

მაგრამ თხის კულტის ცენტრი იყო პესინუსი და ანდეირა (ლიკაონია), სადაც თხის ღვთაება თხებს მფარველობდა და მათზე ზრუნავდა. დღევანდელი ანგორას ჯიშის ცხვრის მოშენება ანატოლიაში, თავისი განვითარების ისტორიის მიხედვით, წინა აზიის წინასემიტურ-წინაისლამურ ხანაში იღებს სათავეს. თვითონ ღმერთებიც თავიანთ არსებობას თხებს უმადლიან: გავიხსენოთ თხა, რომელიც ზევსს აწოვებდა რძეს და ამით მისი დედის როლს ასრულებდა! თხის სიმბოლო ზოგჯერ გველის სიმბოლოსთან ერთად გეხვდება, მაგალითად, ეტრურიაში. კაბადოკიურ კერამიკულ ნაკეთობებში ძალიან ხშირია თხის, ვერძის გამოსახულებანი, რომელიც იქ ისეთივე წამყვან როლს თამაშობს, როგორც ძროხის გამოსახულება მიკენში. იგივე შეიძლება ითქვას ელამური, ბაბილონური ნაკეთობების შესახებ, რომლებზეც თხა წარმოდგება როგორც ნაყოფიერების ღვთაება; აგრეთვე, ეგვიპტეში, სადაც მზე მუდამ ძროხის ან თხის რქებზეა გამოსახული. მსგავსად ამისა, ანატოლიაში თხებთან ერთად ირემი და შველი გამოდიან წინა პლანზე.

ღვთაების სიმბოლოდ მიჩნეულ ცხოველებს შორის ვაცი გაცილებით ძველია, ვიდრე ხარი; ძველ შუმერულ ქალაქ უმაში მას ისე განადიდებდნენ და ეთაყვანებოდნენ, როგორც ღმერთს. სუზაში ის ხშირად გეხვდება ხართან ერთად. ვაცი ძველი აღმოსავლეთ აზიის მთიელ მოსახლეობაში ხარზე უფრო პოპულარული ცხოველია. ხევსურები ვალდებულნი არიან, მოკლული ადამიანის საფლავზე, ყოველდღე დაკლან ცხვარი ან თხა, როგორც მსხვერპლად შესაწირი ცხოველი, ვიდრე მისთვის შურს არ იძიებენ.[192] ცხვარსა და თხას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ კავკასიელი ხალხების ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტში. მაგალითად, ქორწინების დროს სავალდებულო საჩუქრების დარიგებისას თხის ან ცხვრის ჩუქება გარკვეული პირებისათვის აუცილებლია. ასევე ჩეჩნებთან ფართოდ არის გავრცელებული ვაცის კულტი, როგორც ღვთაებრივი არსებისა.[193] საერთოდ, თხა უძველესი დროიდან იყო ადამიანის მარჩენალი და არა მხოლოდ ღმერთის - ზევსის. დამახასიათებელი და ნიშანდობლივია, რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა თხის მსხვერპლად შეწირვით შეიცვალა და მაშასადამე, თხა უმნიშვნელოვანეს სამსახურს უწევდა როგორც ადამიანებს, ისე ღმერთებს. ვერძმა გადაარჩინა ფრიქსოსი და ჰელე. ოქროს საწმისი კოლხეთში, რომლისთვისაც იაზონმა საშინელი თავგადასავლები გადაიტანა, ვერძს

192 Ковалевский, ტ. 2, გვ. 118,181, 185.

193 A. Dirr, Die alte Religion der Tschetschenen, გვ. 1062-1063; Antroph., ტ. 3, (1906).

უკავშირდება. ზევსი ამონი და ზევსი საბაზიოსი ვერძის ფორმით არიან გამოსახულნი. მზის ღმერთს და განიერ ზეცას ვერძის გამოსახულება აქვთ. ძველი მითი გვამცნობს, რომ იუპიტერი კოლხეთიდან ზეცაში ავიდა აიეტის ოქროს საწმისით, რაც იაზონს უნდა წაეღო სამშობლოში: utinde detulissetpellem aureaminqua Jupiterin caellum ascendit.[194]

ძველი წინა აზიის საკულტო რიტუალებში თხა და სხვა ცხოველები იმავე როლს თამაშობდნენ, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი; ასევე თაყვანს სცემდნენ (ხართან და ძროხასთან ერთად) ვერძს, ცხვარს, ვაცს, ირემსა და შველს. თხის კულტი განსაკუთრებით გავრცელებული იყო კაპადოკიაში, ლიკაონიასა და პონტო-კავკასიის მიდამოებში, როგორც ეს ძველ შტემპელებიდან და ბეჭდიან გამოსახულებებიდან ჩანს.[195] თხა იქ ხშირად წმინდანებთან, სიცოცხლის ხესთან და გენიუსებთან ერთად არის გამოსახული. ღმერთების დედა, პოტნია თერონი, მუდამ ცხოველებთან ერთად, ანუ, უფრო სწორად, თხებს შორის ჩნდება. ეგვიპტეში ვერძი ღვთაება ამონის განსახიერება იყო. ცნობილი იყო ამონ-ვერძი კარნაკის ტაძარში. ნაპატას ამონის ვერძი წმინდა ცხოველი იყო ეთიოპელებისათვის. ცხოველთა კულტი ფართოდ გავრცელებული იყო საბერძნეთშიც.[196]

ცნობილია, რომ თხა და მისი მსგავსი ცხოველები წინა პლანზე იდგნენ კავკასიურ ხელოვნებაში და არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ნივთებში. სწორედ თხაა ის ცხოველი, რომელსაც განსაკუთრებული რიტუალით კლავენ ღვინის მოსავლის აღების დროს. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს წმინდა დღესასწაულებზე, უპირატესად კი შობის დღესასწაულზე, ახალ წელს, აღდგომაზე, ნათლობის დროს, ქორწილში და ა. შ. კავკასიაში არსებობს ადათ-წესები და ჩვეულებები, რომლებიც გარკვევით მიუთითებენ ვაცის, ვერძისა და, საერთოდ, თხის განსაკუთრებულობაზე, მათ უპირატეს საკულტო როლზე სხვა ცხოველებთან შედარებით.

---

194 Janet Ruth Bacon, The Voyage of the Argonauts, London, 1925, გვ. 52 და შემდეგ გვერდები. შდრ: A.B. Cook, Zeus, Jupiter and the Oak „Classical Review", ტ. 15, 1903, გვ. 409, 428-430.

195 E. Herzfeld, Stempelsiegel und ihre Datierung in Mitt. aus Iran, 1930, ტაბულა 17, იქვე, 1933, გვ. 49-დან, 71, 74-დან., 95 და ა.შ.

196 E. Herzfeld, Stempelsiegel und ihre Datierung in Mitt. aus Iran, 1930, ტაბულა 17; მისივე, 1933, გვ. 49, 71, 74, 95 და ა.შ. G. Contenau, La Civilisation Assyro-Babylonienne, გვ. 42-67; მისივე, La Civil. Hitt. et. d. Mitanies, გვ. 110; Prof. Dr. Alfr. Wiedmann, Der Tierkult der alten Ägypter, გვ. 15, 23, 26.

ყურძნის მოსავლის აღების დროს ზეიმად ითვლება მოსავლის სრული დაკრეფა და დაბინავება, მაგრამ ყოველივე ამასთან აუცილებელ კავშირშია თხა, რომელიც ხალხის მუშაობის დროს სადმე მარნის, სარდაფის მახლობლად არის მიბმული, რათა შემდეგ დაკლან. ამიტომ ამ ზეიმს უწოდებენ თხა-ჩურობის, ანუ თხის დღესასწაულს. ეს და ასევე განსაკუთრებული მზრუნველობა თხების მოვლაზე დღესაც ამკარად ჩანს სამხრეთ კავკასიის მეგრულ მოსახლეობაში, შავი ზღვის სანაპიროებზე.[197] თხა არის ყველაზე უფრო გავრცელებული შესაწირი ცხოველი, მზის ღვთაება შიბლესათვის[198] ჩერქეზეთში.

ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ყოველ სოფელს თავისი საკუთარი სალოცავი წმინდა ადგილი აქვს, სადაც, მათი შეხედულებით, ღვთაება ან ადგილის წმინდანი ბინადრობს: „ერდა" ჩეჩნებში, ხოლო „წუუ" ინგუშებში.[199] მათ სამი მთავარი წმინდანი ჰყავთ: მიათცელი, ამგალ-ერდა და თამაჟ||თამიჟ-ერდა. მიათცელს თაყვანს სცემდნენ დიდ მთა მიათაზე, ხოლო დანარჩენ ორს მთაზე, რომლის სახელწოდებაა ორსთხოი. შემდეგ ღმერთები (წმინდანები) განცალკევდნენ და თამაჟ-ერდამ წითელ მთაზე დაიდო ბინა, რის შესახებაც თქმულება გვამცნობს: მწყემსი, სახელად ბორცი აულ შულიდან, თავის ფარას წითელ მთასთან აძოვებდა. ამ დროს მასთან მივიდა გრძელრქებიანი ვაცი და უთხრა, წამომყევიო. გაკვირვებულმა ბორცმა უპასუხა: ფარა აირევა და დაიფანტებაო. მაშინ ვაცმა უთხრა: – არაფერი მოუვა, როგორც დატოვებ, ისე დაგხვდებაო. ისინი წითელი მთის აღმართს აუყვნენ. ნახევარი გზა რომ გაიარეს, ვაცი შეჩერდა და თქვა: – თქვენ, ვინც შულიდან ხართ, ვახშამი აქ უნდა ჭამოთ, როცა ჩემს სათაყვანებლად მოხვალთ ხოლმე, შემდეგ გარიჟრაჟამდე ვეღარაფერს ვეღარ შეჭამთო. როდესაც მთის მწვერვალს მიუახლოვდნენ, მან ისევ თქვა: არ უნდა შეჩერდეთ, როდესაც ჩემი სადგომი მღვიმიდან უკან წამოხვალთ და უნდა იმღეროთ ასე – „არ ბაც, ბერ ბაც", ე. ი. „არაფერს ვიტყვი, არაფერს გავაკეთებ". როდესაც მთის წვერზე ავიდნენ, ვაცმა უთხრა: - აქ არის ჩემი სადგომი, აქ უნდა ამოხვიდეთ, რათა თაყვანი მცეთ და აქ უნდა დარჩეთ გარიჟრაჟამდე, მაგრამ მზის სხივები სიმაღლეში არ უნდა მოგწვდეთ (მზის სხივი

197 იხ. აღწერა დემნა შენგელაიას რომანში „ბათა ქექია", გვ. 189, 230.

198 М. Ковалевский, ტ. 1, გვ. 127; Tierkult in Altpalästina: J. Scheftelowitz, Altpalästinensischer Bauernglaube... გვ. 11-14.

199 Чах Ахриев, Ингушские праздники // Сборник сведений о кавказских горцах, ტ. 5,1871, გვ. 7-11,15.

არ უნდა შეგეხოთ, ან არ უნდა დაგეცეთ, არ მოგწვდეთ), თორემ გონს დაკარგავთო. ამის შემდეგ, მან თავისი სხეულებრივი ფორმა დაკარგა და თქვა: თამაჟ-ერდა ვარო. მწყემსი შინ დაბრუნდა და ეს ამბავი ყველას უამბო. ამიტომ თამაჟ-ერდას თაყვანს სცემენ წითელ მთაზე.

ბორცის საგვარეულომ გადაწყვიტა აღენიშნა თამაჟ-ერდას დღესასწაული, რომელზეც ტრანსში მყოფმა ერთმა მოქადაგე ქალმა, იქ შეკრებილთ განუცხადა, თუ როგორ შეიძლებოდა ჩადენილი დანაშაულისათვის ცოდვის გამოსყიდვა. ეს მოხდა მთაზე ასვლისას იმ ადგილზე, სადაც ვახშამი უნდა ეჭამათ. მთის წვერზე, სადგომის გვერდით, ბორცი თვითონ შეუდგა წინასწარმეტყველებას.

ქისტებში, რომლებიც მეხდაცემულს არ გლოვობენ, ასევე ცნობილია ღვთაება სიელა თავისი მგრგვინავი ისრებით (ელვით, ჭექა-ქუხილით). ერთი მეხნაკრავი მიცვალებული, რომელსაც მღვდლის სამოსი ჩააცვეს, გამოთლილი ქვაყუთით დაკრძალეს, თან ჩააყოლეს მაგიდა, სკამი, არაყი, ჭიქა და შემწვარი ჭედილა.[200] თვითონ ადგილი კი წმიდად ითვლება.

კავკასიაში გავრცელებული თხის კულტის გამომხატველი უამრავი მაგალითიდან ჩვენ მხოლოდ ერთი-ორს მოვიხსენიებთ.

ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დამლევს ჟ. ბ. ტავერნიე[201] აღმოსავლელ და დასავლელ ჩერქეზთა შესახებ გვამცნობს, რომ იქ შემოდგომის მიწურულს სახალხო ზეიმს აწყობენ; სადღესასწაულო რიტუალებში თხა მთავარ როლს ასრულებს; თემის სამი უხუცესი კაცი იქ შეკრებილი ხალხის თვალწინ ასრულებს წმინდა ცერემონიას: დაკლავს თხას, რომელსაც მთლიანად ხარშავენ, მხოლოდ შიგნეულს შეწვავენ; შემდეგ მაგიდაზე დააწყობენ მოზრდილ ფარდულში, სადაც ხალხი იკრიბება; ამ დროს ყველანი ჩერდებიან სამი ზემოაღნიშნული უხუცესი კაცის უკან, რომლებიც მაგიდაზე თხის ოთხ ფეხს და შიგნეულობას დაჭრიან და მთელ ხორცსა და ერთ დოქ ბოზას (ალკოჰოლური სასმელის სახეობა) თავზემოთ ასწევენ, რათა ყველა იქ მყოფმა დაინახოს. შემდეგ ხალხი სასწრაფოდ გაწვება მიწაზე და მანამ არ წამოდგება, სანამ ხორცსა და სასმელს კვლავ მაგიდაზე არ დააწყობენ და უხუცესები ლოცვას არ წარმოთქვამენ; ორ მათგანს ხელში ხორცი უჭირავს, ხოლო მესამეს, მათ შორის მდგომს – დოქი სასმელით. როდესაც ხალხი კვლავ

200 Чах Ахриев, Ингушские праздники, გვ. 7-11 // Сборник сведений о кавказских горцах, ტ. 5, გვ. 1871.

201 Les six Voyages, ტ. 1, გვ. 374-381.

წამოდგება, ორი უხუცესი ხორცს ერთ ნაჭერს ჩამოათლის და იმას მიაწვდის, რომელსაც ხელში დოქი უჭირავს; როდესაც ხორცს სამივე გასინჯავს, ის, რომელსაც ხელში დოქი ეჭირა, ცოტა ბოზას მოსვამს და დანარჩენ ორს მიაწვდის მარჯვნივ და მარცხნივ ისე, რომ დოქს ხელიდან არ უშვებს. შემდეგ უხუცესები იქ შეკრებილებს მიუბრუნდებიან და მცირე ნაჭრებად ხორცსა და სასმელს ჩამოურიგებენ – ჯერ იმ მხარის ბატონს, ხოლო შემდეგ დანარჩენებს, დიდსა თუ პატარას. თხის ოთხი ფეხის მონარჩენს უხუცესები მიირთმევენ; შემდეგ ერთ-ერთი უხუცესი თხის (ან ცხვრის) თავს ხელში აიღებს, ცოტაოდენ ხორცს მოაჭრის და თავის კოლეგას მიაწვდის, რომელიც ასევე, თავის მხრივ, აქედან ცოტას შეჭამს და თავს მესამე უხუცესს გადასცემს. ეს უკანასკნელი, მას შემდეგ, რაც თავადაც შეჭამს, თხის თავს კვლავ პირველ უხუცესს დაუბრუნებს. ყველაზე უხუცესი ერთ-ერთ კოლეგას უბრძანებს, თხის (ცხვრის) თავი იმ მხარის ბატონს გადასცეს, რომელიც მას დიდი მოწიწებით მიიღებს, აქედან ცოტას შეჭამს. ხალხი მხოლოდ ამის შემდეგ იგემებს ხორცს უფროს-უმცროსობის წესის დაცვით, ვიდრე მთლიანად არ იქნება ათვისებული. შემდეგ უხუცესები თხის სხვა ნაწილების თითო ან ორ-ორ ნაჭერს შეჭამენ, მოუხმობენ ბატონს, რომელიც თავშიშველი, მოწიწებითა და თრთოლვით მივა, მიწოდებულ დანას აიღებს და ერთ ნაჭერ ხორცს ფეხზე მდგარი შეჭამს, ცოტაოდენ სასმელს დააყოლებს და მოკრძალებით განზე გადგება. ბოლოს, რიგრიგობით ამასვე გააკეთებს ყველა იქ მყოფი უფროს-უმცროსობის მიხედვით. ძვლები ბავშვებს რჩებათ.

სხვა დღესასწაულს მკის დაწყების წინა დღეს ზეიმობდნენ.[202] ყოველი მოსახლე, ღარიბი იქნებოდა ის თუ მდიდარი, მონაწილეობას იღებდა ამ ზეიმში და თან შესაწირი ცხოველი მოჰყავდა. ამ შემთხვევაშიც დიდ როლს ისევ თხა ასრულებდა. ყველაზე უფრო უქონელი და ღარიბი ხალხი ერთიანდებოდა, რათა დღესასწაულზე საერთო ძალებით ერთი თხა მოეყვანათ შესაწირად. შეკრებილთა თვალწინ ცხოველებს მორეკავდნენ და თითოეული მოსახლე თავის მოყვანილ ცხოველს დაკლავდა და გაატყავებდა. შემდეგ ტყავს ჯოხებზე წამოაცვამდნენ და ხარიხაზე ჰკიდებდნენ. ხარიხების რაოდენობა შეესაბამებოდა დაკლული ცხოველებისა და მათი ტყავების რაოდენობას. ყოველი იქ შეკრებილთაგანი, ვინც ამ ხარიხებთან ჩამოივლიდა, მორჩილად და მოკრძალებით ხრიდა თავს მათ წინაშე. თითოეული ზეიმის მონაწილე

202 Tavernier, იქვე.

ხარშავდა თავის თხას (ცხვარს) და შემდეგ მაგიდაზე მოათავსებდა შესაბამის ადგილზე. ამის შემდეგ, გამოცხადდებოდა სამი უხუცესი, დასხდებოდნენ მაგიდასთან და თითო ან ორ ნაჭერ ხორცს შეჭამდნენ; მერე დაუძახებდნენ იმ მხარის ბატონს თავის ახლობლებთან ერთად, რომლებიც უხუცესების მიერ მოწოდებულ ხორცს შეექცეოდნენ. ხორცის ნარჩენებს იქ შეკრებილ ხალხს ურიგებდნენ, რომლებიც მას მიწაზე დამსხდარნი მიირთმევდნენ. რასაკვირველია, სასმელიც საკმარისად ჰქონდათ. მეორე დღეს ყველანი მხნედ და ხალისიანად შეუდგებოდნენ ხოლმე საქმეს.

ვისაც მეხი დაეცემოდა და სიცოცხლეს გამოასალმებდა, ის წმინდანად ითვლებოდა.[203] მას არ დაიტირებდნენ და გლოვას არ გამართავდნენ. პირიქით, ხოტბას შეასხამდნენ, გმირის შარავანდედით შემოსავდნენ და წმინდანად შერაცხავდნენ. ჰექა-ქუხილის დროს ყველა, დიდი და პატარა, სახლებიდან გარეთ გამოდიოდა; ამ დროს ყველანი მღეროდნენ, ცეკვავდნენ და კარგ ხასიათზე იყვნენ. თუ, დავუშვათ, რომელიმე სახლს მეხი დაეცემოდა, მაგრამ ადამიანები და ცხოველები უვნებლად გადარჩებოდნენ, მაშინ ეს ოჯახი განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა და მოსახლეობის კმაყოფაზე იმყოფებოდა. ამოირჩევდნენ თეთრ ვაცს და დიდი გულმოდგინებით ზრუნავდნენ მასზე, კვებავდნენ და უვლიდნენ. ოჯახს იგი თან მიჰყავდა, შემოატარებდა მთელ მოსახლეობას სიმღერებითა და ცეკვებით, ოღონდ უცხო სახლში შესვლის გარეშე, მხოლოდ გარეთ რჩებოდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებულ ოჯახს ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდნენ. წელიწადში ერთხელ მეხდაცემულები, მაგრამ უვნებლად გადარჩენილები, შეიკრიბებოდნენ ხოლმე, თან წაიყვანდნენ ვაცს, რომელსაც კისერზე ყველი ჰქონდა დაკიდებული და მივიდოდნენ სოფელში იმ ადგილზე, სადაც ბატონი ცხოვრობდა. იგი მათ თავის მეზობლებთან ერთად ხვდებოდა; ყველა ძირს განერთხმებოდა ვაცის წინაშე. რამდენიმე ლოცვის შესრულების შემდეგ, ვაცს კისრიდან ყველს ჩამოხსნიდნენ, დაჭრიდნენ და იქ შეკრებილ ხალხს გაუნაწილებდნენ; ვაცს კი სანაცვლოდ სხვა ყველს აძლევდნენ. მოსულებს კარგად დაასაჩუქრებდნენ და ისინიც თავიანთ გზას გაუდგებოდნენ.

ოსებსა და ასევე სხვა ხალხებში წმინდა ელია ნაყოფიერების (გვალვის დროს წვიმის მომყვან და ასევე წყლის დამზოგველ) ღვთაებად ით-

203 იქვე, Potocki, Voyage და ა. შ., ტ. 1, გვ. 309-დან., ასევე ოსებთან: Klaproth, Voyage და ა. შ., ტ. 2, გვ. 259-260; ინგუშები, იქვე, ტ. 1, გვ. 417-418.

ვლება. მრავალი მღვიმე თუ გამოქვაბული, მაგალითად, ვაცილა ლაქდი, მთის მწვერვალი და სხვა ბევრი ადგილი წინასწარმეტყველ ელიას სახელს ატარებს. აღნიშნულ ადგილებში ხშირად ეხვდებით შეწირული მსხვილფეხა პირუტყვისა და თხების რქებს და ზოგადად მისადმი მიძღვნილ ნაკურთხ ნივთებსა და საჩუქრებს. ეს ადგილები წმინდაა და იქ ადგილობრივი ღვთისმსახურები მომავალს წინასწარმეტყველებენ. ეს ღვთისმსახურები, იმყოფებიან რა ხშირად ტრანსულ მდგომარეობაში, თავიანთ წარმოსახვაში ხედავენ მკვდრებს და გვამცნობენ, თუ როგორ არიან ისინი, რა სურთ და ა. შ. ამ გამოქვაბულში, მთის მწვერვალებსა და სხვა წმინდად შერაცხულ ადგილებში წმინდა ელიას სახელზე სწირავენ თხებს, რომელთა ხორცს იქვე მიირთმევენ, ხოლო ბეწვიან ტყავს დიდ ხეზე კიდებენ.[204]

მეხდაცემულების ხსოვნა რომ უკვდავეყოთ, ინგუშები მათ საფლავებზე მაღალ ძელს აღმართავდნენ და ზედ ჩამოჰკიდებდნენ თხის თავსა და ტყავს.[205] ასევე იქცეოდნენ ოსები, რომლებიც შესაწირად შავ ვაცს იყენებდნენ.[206]

მეგრელები ლოცვებს აღავლენდნენ წინასწარმეტყველ ელიას მიმართ, რათა მას გვალვიანობის დროს წვიმა გამოეგზავნა, ხოლო კოკისპირული წვიმების დროს – კარგი ამინდი. ისინი წმინდანს თხას სწირავდნენ, რომლის ხორცსაც მღვდლები შეექცეოდნენ, ხოლო ტყავს თივით ტენიდნენ და მაღალ ხეზე კიდებდნენ. მათ აქვთ ლეგენდა სამყაროს შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც ეშმაკმა შურიანობის ნიადაგზე ღვთის მიერ გაჩენილი მშვენიერი ვენახების დასაზიანებლად და გასაჩანაგებლად ამქვეყნად თხა მოავლინა, ხოლო მის საწინააღმდეგოდ ღმერთმა მგელი შექმნა. ამგვარად, ცხოველთა შექმნა აქედან იღებს თავის დასაწყისს.[207]

თხის ტყავთან დაკავშირებით გავიხსენოთ, რომ ფრიქსოსმა თავისი გადამრჩენლის, ვერძის, „ოქროს საწმისი მაღალ ხეზე ჩამოჰკიდა. მას შემდეგ, რაც ცხოველი ღმერთს შესწირა, იგი მშვიდობიანად ჩავიდა კოლხეთში და მეფე აიეტის ქალიშვილის ხელი მოიპოვა.

---

204 Klaproth, ტ. 2, გვ. 60, 137, 183-185, 187, 189, 206, 214, 251-258 და ა. შ.

205 იქვე, ტ. 1, გვ. 418-დან.

206 იქვე, ტ. 2, გვ. 259-260.

207 Lamberti, იქვე, с ар. XI,XXIV; Сборник материалов для описания местностей и племен кавказа, ტ.43, გვ. 171-172; Сборник материалов და ა. შ., ტ. 32, 1903, გვ. 89-90, მე-3 ნაწილი.

თხისა და ვერძის კულტის მთელი ამ მიმოხილვიდან, რომელზედაც აქ გვქონდა საუბარი, და აგრეთვე, ძველ მცირე აზიასა და ევროპაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არგონავტების თქმულების არსი, რომელიც ოქროს საწმისის მოპოვების გარშემო ტრიალებს, რელიგიურია: მას საფუძვლად უდევს თხის ან ვერძის კულტი, დღემდე რომ არის შენარჩუნებული კავკასიასა და მცირე აზიაში. ოქროს საწმისის ხელში ჩაგდება ნიშნავს კოლხების მხარის ღვთაების თავის მფლობელობაში ყოფნას. ჩვენთვის ცნობილია, რომ ღმერთებისა და თავიანთი კერპების მეშვეობით საკუთრების გარკვეულ უფლებებს მოიპოვებდნენ და განიმტკიცებდნენ. არგონავტების თქმულებაც ადასტურებს, რომ იაზონმა ოქროს საწმისის მეშვეობით კორინთოს სამეფო ტახტზე მედეას უფლებები მოიპოვა. ვისაც თავისი მხარის ღვთაებები ან შინაური ღვთაებები და კერპები ჰყავდა, მას უზრუნველყოფილი ჰქონდა წარმატება, შემდგომი წინსვლა-განვითარება, ქონება-მფლობელობა და მემკვიდრეობის უფლება. მსგავსი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე გარდაცვლილთა სულებს და საოჯახო, საგვარეულო საფლავებს, რომლებიც მუდამ თან მიჰქონდათ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შორეულ მხარეში იძულებითი გადაადგილებები უწევდათ.

ძაღლი და კატა. კავკასიელ მთიელთა მიერ ძაღლისა და კატის დაფიცება,[208] ან, პირიქით, წყევლაში ხსენება, მაგალითად, „ძაღლი და კატა მიაკვდეს შენი მკვდრების სულებს", როგორც ჩანს, კვლავ ძველი მცირეაზიური ან ეგვიპტური ჩვეულების გამოხატულება უნდა იყოს, რადგან ძაღლი და კატა ძველ ეგვიპტელებს წმინდა ცხოველებად მიაჩნდათ. ბახოფენთან (იხ. ზემოთ) ვხვდებით ძველ ისტორიულ ცნობებს, რომლებიც ადასტურებს ძაღლისადმი თაყვანისცემას ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხებში. ძაღლი ქალღმერთ გულას სიმბოლო და ატრიბუტი იყო: კასიტურ სასაზღვრო ქვებზე, რომელთაც ფალოსის ფორმა ჰქონდა, გამოსახულია მჯდომარე ქალღმერთი, რომლის ფეხებთან ძაღლი ზის.[209]

დაფიცება ხელში აყვანილი კატით ან ძაღლით, ყველგან გავრცელე-

208 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, ტ. 2, გვ. 121-122 et passim; Jeremias, Handb. d. altorientalischen Geistekultur გვ. 386, 390-391, 402, 336-339.

209 Dr. Franz H. Steinmetzer. Über den Grundbesitz in Babylon zur Kassitenzeit. გვ. 16-21; A. A. Miller, Hundedarstellungen in den Altertümern des Kaukasus გვ. 287-324. Известия Россиск. Академ. Истории Материалной Культуры, ტ. 2, 1922. Mečaninov: Schlange und Hund, გვ. 241-დან. Записки Колегии და ა.შ. ტ. 1, 1925. Perey E. Newbarry, Ägypten als Feld

ბულია მთის მოსახლეობაში. ფშაველებისა და ხევსურების რწმენით, იმ პირმა, ვინც კატა მოკლა, შვიდი ეკლესია უნდა აშენოს, რათა სული განიწმინდოს. კატა და ძაღლი ხვდებიან იმქვეყნად მიმავალს ხიდზე, რომელიც გადებულია კუპრის მდინარეზე. კატა ხიდს ქონს უსვამს, რათა გამველელს ფეხი მოუსრიალდეს და კუპრში ჩავარდეს. ძაღლი კი პირიქით, ამ ქონს ლოკავს, რათა თავის პატრონს იმქვეყნად ნეტარი შესვლა გაუადვილოს. ხაზგასმულია, რომ ძაღლი მიჯაჭვული პრომეთეს (ქართულად ამირანი) ერთადერთი მეგობარია.[210] როდესაც განთქმული გენერალი ციციანოვი (იგივე ციციშვილი), რუსეთის მეფისნაცვალი კავკასიის მხარეში, ბრწყინვალე თავადი, 1805 წელს ელიზავეტპოლში ავად გახდა, მას ძაღლების ყმუილი შემოესმა და მათი დახოცვა ბრძანა. ამის შემდეგ უკვე სხვა ძაღლები აყმუვლდნენ. მან ბრძანება გასცა ქალაქის ყველა ძაღლი დაეხოცათ, რადგან ძაღლების (და კატებისაც) ყმუილი ავისმომასწავებელი ნიშანია.[211] ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ გენერალი ციციანოვი სიცოცხლეს გამოასალმეს.

კავკასიის მთის მუსლიმი მოსახლეობის სახელგანთქმული იმამი (სულიერი წინამძღოლი) და კავკასიის თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი შამილი მუდამ თან დაატარებდა კატას, რომელიც სადილობის დროსაც კი მასთან იყო. როდესაც შამილი ვედენოს ალყის გამო იძულებული გახდა ახლომდებარე ტყეში გაქცეულიყო, კატა მისი უნახავობით მოკვდა. შამილმა ეს ამბავი რომ გაიგო, წამოიძახა: „ახლა კი ძალიან ცუდად წამივა საქმე!"[212] შამილის და მისი ბრძოლის ტრაგიკული დასასრული ყველასათვის ცნობილია.

ძაღლების ღმერთს აფხაზეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში სხვა ღმერთებზე მაღლა აყენებენ, განსაკუთრებულ შემთხვევებში მოუხმობენ და მიმართავენ ხოლმე. ძაღლს, როგორც მონადირე ცხოველს, ზემოაღნიშნულ მხარეებში საკულტო ობიექტად მიიჩნევენ. ა. ა. მილერი მოგვითხრობს ცხოველის შეწირვის შესახებ ნადირობის დაწყებამდე, რომლის დროსაც ძაღლი გარკვეულწილად შეწირვის ობიექტიცაა: მის ბალანს სამსხვერპლო ცეცხლში აგდებენ.

---

f. anthrop. Forsch. 35; I. Scheftelowitz, Altpalästiniens Bauemeglaube და სხვ. გვ. 142-144. 6, 390-3.

210 მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, 1906, გვ. 31.

211 Потто, Кавказская война, ტ. 1, ნაწილი 3, გვ. 366.

212 John F. Baddeley, The Russian Conquest of the Caucasus, გვ. 455 (ძაღლებისა და კატების შესახებ ოსებთან და ინგუშებთან და სხვ. ფიცის დადების შესახებ, იხ. Klaproth, Voyage... ტ. 1, გვ. 126 და შემდეგი გვერდები.

ბ. საკრალური ნადირობა

მილერი ამტკიცებს, რომ ნადირობა კავკასიაში რელიგიური ხასიათისაა. მისი შეხედულებით, მყეფარე ძაღლი კავკასიურ და მცირეაზიურ გამოსახულებებში რელიგიურ ობიექტად უნდა იქნას მიჩნეული. ამ თვალსაზრისს ადასტურებს აფხაზების რელიგიური წარმოდგენები, როგორც ეს პროფესორ მარის დავალებით აღწერა, თვითონ აფხაზმა და სოხუმელმა უფროსმა მასწავლებელმა ჯანაშიამ თავის ნაშრომში (1915-1917 წლები),[213] რომელსაც თან დართული აქვს მარის განმარტებები. ნადირობის გამოსახულებებს ვხვდებით ასევე ძველ ასურელებთან და სხვა ძველი ისტორიის მქონე ხალხებთან. ის, რომ ნადირობა ძველ დროშიც რელიგიურ პროცესებთან და წარმოდგენებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ეჭვქვეშ არ უნდა დავაყენოთ;[214] მაგალითისათვის გავიხსენოთ მეფეების ლიბაცია, რომლებმაც ლომები ან სხვა რომელიმე მსხვილი გარეული ცხოველები დახოცეს. ამათგან ნაწილს ღვთაებებს სწირავდნენ. ეს ჩვეულება დღემდე მოქმედებს და ძალაშია კავკასიის მხარეში.

ლამბერტი გვამცნობს, რომ სამეგრელოში თავის დროზე ტყის მფლობელობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა: სხვის ტყეში შესვლა აკრძალული იყო. ვინც გარეულ ცხოველს პირველი დაჭრიდა ან მოკლავდა, პატივისცემის ნიშნად, მის თავს მიიღებდა, როგორც კუთვნილ წილს. შინ დაბრუნების შემდეგ მოკლული გარეული ცხოველების თავებს ერთ რიგად დააწყობდნენ და ნადირობის მომენტებს დაწვრილებით იხსენებდნენ. როდესაც ღვინოს სვამდნენ, ჯერ ცოტაოდენს იქვე გამწკრივებულ ნადირის თავებს მოასხამდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დალევდნენ თვითონ.[215] ამ ჩვეულების შესრულებით ისინი ღვთის წინაშე თავიანთ ვალს იხდიდნენ, შემდეგ თვითონაც შეექცეოდნენ ნანადირევს, ხოლო რქებს, ფრინველის ფრთებსა და გარეული ღორის ეშვებს სალოცავებში ჰკიდებდნენ, რითაც სალოცავს თაყვანს სცემდნენ.[216] გასაკვირი არ არის, რომ მსგავსი ჩვეულებები ყველგან შეინიშნება კავკასიის მაღალმთიანეთში: ოსეთში, ფშავ-ხევსურეთში, ინგუშეთსა და მათ მეზობელ მხარეებში მოგზაურები ხშირად ხედავენ

213 Христианский восток, ტ. 4, გვ. 72-112, 113-140; ტ. 5, გვ. 157-208.

214 Conteneau, Manuel, d'Archéologie orient. ტ. 164.

215 იქვე, თავი XI, Сборник материалов და ა. შ., გვ. 61-66.

216 იქვე, თავი XXIV, Сборник материалов და ა. შ., გვ. 164; იგივე ჩეჩნებთან. Berje, გვ. 83.

ზემოაღნიშნული სანადირო ნადავლით მორთულ სამლოცველოებს, წმინდა მღვიმე-გამოქვაბულებს, წმინდა მთის წვეროებს, წმინდა წყაროებს და ა. შ.[217]

გ. ღვთაებებისა და ბუნების თაყვანისცემა

აფხაზთა რელიგიური წარმოდგენები[218] თავისი გამოხატულებითა და ხასიათით პარალელებს პოულობს ძველი მცირეაზიური რელიგიური წარმოდგენების სახით. აფხაზურ ენაზე ღმერთს ანცვა ეწოდება. სიტყვა ან- ნიშნავს „დედას" (მრავლობით რიცხვში ანცვა, ანუ „დედები").

ამჟამად აფხაზებს ღმერთი წარმოუდგენიათ როგორც ერთადერთი არსება, რომელიც თავის შემადგენელი ნაწილებით უსასრულოდ მრავალსახოვანია. ყოველი ადამიანი, ყოველი არსება და ყოველი საგანი ღვთის ნაწილია; აქედან მომდინარეობს გამონათქვამები: „ღვთის ჩემეული ნაწილი", „ღვთის შენეული ნაწილი". აფხაზური ღმერთების სახელწოდებები „ან"-ით არის შედგენილი, ან – ანუ დედა. თხა-ღმერთს (ღვთაებას) ჰქვია „ჯაბრანი": ა-ჯმა არის თხა, აბ – მამა, ხოლო ან – დედა, მაშასადამე, მთლიანობაში ასე ჟღერს: თხის (თხების) მამა და დედა. „ჟვაბრანი" აღნიშნავს ძროხა-ღმერთს, რადგან ა-ჟ ძროხას ნიშნავს. „აითარი" არის ბუნების განახლების, აღორძინების ღმერთი, განსაკუთრებით კი ნახირის, მსხვილფეხა საქონლის ჯოგის გამრავლების მფარველი. თავდაპირველად დიასახლისი, შემდეგ ოჯახის უფროსი მამაკაცი ჯაბრანს ლოცვა-კურხევით მსხვერპლს სწირავენ, ასევე, ჟვაბრანს – ანთებული სანთლებით. ალიშკინტირი ჰქვია ძაღლ-ღმერთს; ალა არის ძაღლი (კინტრ – აუხსნელი); ლოცვის დროს პირველად ძაღლი სახელდება. ძაღლის სისხლი ისევე მნიშვნელოვნად ფასობს, როგორც თავადის სისხლი, რომელსაც ეს ძაღლი ეკუთვნის. ძველი ლეგენდის მიხედვით, ძაღლები მკვდრებს ისევ ცოცხალ ადამიანებად აქცევენ. პირველად ჯერ ძაღლი უნდა იქნას მოხსენიებული, როდესაც რაიმე სურვილს გამოთქვამენ „ცის გახსნის დროს", ხოლო შემდეგ კი ადამიანები და სხვა ამბები. ასე შეიქმნა და შემორჩა ლოცვები მთავარის, მზის, მოსავლის ღმერთისა და ცხენის ღვთაების შესახებ. ისინი

217 Klaproth, Voyage... ტ. 1, გვ. 402, 416-417; ტ. 2, გვ. 183-185, 189; Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 352.

218 Н. Джанашия, Религиозные верования абхазцев // Христианский восток, т. 4, 1915, გვ. 72-112; Н. Я. Марр, О религиозных верованиях абхазов // Христианский восток, т. 4, вып. 1-2, Пг., გვ. 113-140.

უველანი მთავარი ღმერთის აითარის ნაწილები არიან შემდეგი თანამიმდევრობით: აითარი, ჯაბრანი, ჟვაბრანი, ალიშკინტირი, ამზა (მთავარის ღმერთი), ამრა (მზის ღმერთი), ანაფა ნაგა (მოსავლის ღმერთი) და აჩიშაშანა (ცხენების ღმერთი) და მრავალი სხვა.

ლემილაჰ არის ახალგაზრდების ბედნიერი ქორწინებისა და ცოლქმრობის ღმერთი. დღესასწაულებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამშაფი. იგი შეესატყვისება აღდგომის დღესასწაულს, რომლის დროსაც სხვადასხვა სპორტის სახეობებს ატარებენ: ბურთის თამაში, ჭიდაობა, ქვის სროლა სხვადასხვა მანძილზე, მარუდა (დოღი), ცეკვა, სიმღერა და სხვა. ასევე აღსანიშნავია რიკ-ტაფელა (რიკი ნიშნავს მოკლე ჯოხს, ტაფელა – გრძელ ჯოხს). თამაში ასე ტარდებოდა: ტაფელათი რიკს შეძლებისდაგვარად შორს გადააგდებდნენ შემოკვრით, რომლის დროსაც რიკი ჯერ მაღლა და შემდეგ კი განივად მიფრინავდა ჰაერში. პარტნიორს შორს გასროლილი რიკი ისე მოხერხებულად უნდა დაებრუნებინა უკუსროლით, რომ იგი ქვებს შორის დადებული ტაფელასთვის მოერტყა; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი „კუდს" მიიღებდა: იმდენ ქვას, რამდენჯერაც უკუსროლის დროს ააცილებდა. მაგრამ თუ ტაფელას მოახვედრებდა, მაშინ თამაშს კვლავ ტაფელათი გააგრძელებდა. ეს თამაში ძალიან ჰგავს გერმანულ საბავშვო თამაშს „ოტცი-კლოტცი". ამ დღეს აბსოლუტურად უველა სახლსა და შენობას ულამაზესი ყვავილებით რთავენ და ამკობენ. განსაკუთრებით გამოირჩევა მოყვითალო ფერის გაზაფხულის ყვავილი, რომელსაც „აბაიას" უწოდებენ. გაზაფხულზე მთელი აფხაზეთი ამ ყვავილითაა დაფარული. ამ დროს ძალზე მომხიბლავ, მშვინიერ ყვავილების დღესასწაულს ზეიმობენ.

ნაყოფიერების ღმერთები არიან ანაფა ნაგა და ჯაჯა. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც საშუალო სიმაღლის, ფართო მხარბეჭიანი ქალი.

ლოცვების შესრულებისა და მსხვერპლშეწირვის დროს მოქმედ პირებად, ჩვეულებისამებრ, კაცები გვევლინებიან, რომლებიც ლიბაციას[219] (რიტუალური კურთხევა) შეწირული ციკნის გულზე და შიგნეულობაზე ღვინის გადასხმით ახდენენ. ამ საკულტო წეს-ჩვეულების შესრულების დროს ქალებს იქ ყოფნის უფლება არ აქვთ.

ცხოველს ძალიან ხშირად ერთ რომელიმე ამორჩეულ მუხასთან სწირავდნენ. ხესთან დაკავშირებულ ლოცვებს ხის ღმერთს აღუვლენდნენ. გარდა თხისა და ძროხის ღმერთებისა (ღვთაებებისა), უნდა

219 Н. Джанашия, გვ. 90, 96.

აღინიშნოს აგრეთვე, ხარის ღვთაება. ხარის კულტის შესახებ სამხრეთ აფხაზეთსა და სამეგრელოში უკვე გვქონდა საუბარი წმინდა ილორის ეკლესიის მოხსენიებისას, სადაც ხალხი ამ ცხოველს წმინდანად მიიჩნევს.[220] მსგავსი წმინდანი ჰყავდათ ასევე ჩრდილო აფხაზეთში, სახელდობრ კი, დიდრიფშში.[221] უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი სახელწოდებების ღმერთები: ნან-ანანს, ანუ ნაყოფიერების ქალღმერთი; ანანა გუნდა, ანუ ფუტკრების ღმერთი. აქვე მოიხსენიებენ ასევე მთების, ზღვის, გარეული ცხოველებისა და ნადირობის ღმერთებს; ნადირობა წმინდა ხელობად[222] ითვლება, რომელთანაც დაკავშირებულია ლოცვები, მსხვერპლშეწირვა და მისთანანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნადირობას კავკასიაში საერთოდ გარეულ ცხოველთა და ნადირობის ღმერთები მფარველობენ და ნადირობის დროს მონადირეთა საიდუმლო ჯერ კიდევ გამოუკვლეველ ენას იყენებენ.[223] ასევე სრულიად განსხვავებულ, თავისებურ ენას იყენებდნენ ქურდობის ჩადენის დროს (ქურდობა საკულტო ხასიათს ატარებდა) (იხ. ზემოთ, ნაწილი I).

გარდა ამისა, უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ტყის ღმერთი, ტყის სული და ა. შ. ტყის სულს აბნაუავუს უწოდებენ აფხაზურად. ცისარტყელას ღმერთი შურისმაძიებელია. ასევე აღსანიშნავია ავადმყოფობათა ღმერთები; მაგალითად, ახი ზოსხანი (ოქროს ზოსხანი) ყვავილის ავადმყოფობის ღმერთია, მისი მეუღლეა შქვაქუა (თეთრი). ამ ღმერთის ადოფციით (შვილებით, შვილად აყვანით), როგორც ისინი თვლიდნენ, შესაძლებელი იყო ყვავილის ავადმყოფობისაგან განკურნება. ეს შემდეგნაირად ხდება: მთელი სოფლის მოსახლეობა ტყეში მიდის და თან თეთრი ციკნები მიჰყავთ; იქ ისინი დიდ ლხინს აწყობენ სულების პატივსაცემად. სოფლის თავკაცი ლოცვას წარმოთქვამს; ტყეში ბანაკს შლიან თავისი საწოლებით, რომელბზეც აბრეშუმის თავსაფრიანი ქალები გულდაღმა წვებიან. ყველანი მუხლებზე იჩოქებენ, სოფლის თავკაცი ლოცვას ამბობს და შესთხოვს ღმერთებს, რომ ისინი შეეხონ ულამაზესი ქალის მკერდს, მოსწოვონ ძუძუ და ამით ამ სოფლის შვილები გახდნენ. იქ ორი უნაგირიანი ცხენია გამზადებული – ერთი მამა ღმერთისათვის, ხოლო მეორე ქალღმერთისათვის. ლოცვის და-

220 Chardin, იქვე. Lamberti, იხ. ზემოთ.

221 Н. Джанашия, Христианский восток, ტ. 4, 1915, გვ. 91-96.

222 იქვე. გვ. 107-108.

223 Дирр А. М. Божества охоты и охотничий язык у кавказцев // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. 44, Тифлис, გვ. 139-147.

მთავრების შემდეგ იწყება საზეიმო ჭამა-სმა. ცხენები სადაეებით უკან მიჰყავთ; მათი წარმოდგენით, ამ ცხენებზე სხედან ღმერთები, რომლებიც, როგორც უკვე ნაშვილებნი, სოფელს ეკუთვნიან. როგორც საერთოდ საქართველოში, ასევე აფხაზეთშიც გავრცელებულია წესი, რომ ზოგიერთი ფრინველის ხმის, (მაგალითად, მერცხლისა ან გუგულისა), დილით ადრე მოსმენა, ცუდი ნიშანია.

ქართულად თუ ჩვენს პლანეტას „დედა-მიწა" ჰქვია, აფხაზები მას „დედოფალ-მიწას" უწოდებენ.

ასევე ყოველ ადგილს თავისი ღვთაება, ანუ ადგილის ქალღმერთი ჰყავს, რომელსაც ზოგჯერ „ადგილის დედოფალსაც" უწოდებენ. ამ ადგილებში ხდება ლოცვების შესრულება და ასევე მსხვერპლშეწირვა.[224] აფხაზებს ჰყავთ აგრეთვე „წყლის დედა", რომელსაც მეორენაირად „წყლის ოქროს მფლობელს" უწოდებენ. იგი ძალიან ლამაზია და შეუძლია ზოგჯერ ადამიანები სულიერად დაავადოს კიდეც. გარდა ამისა, აფხაზებს სჯერათ სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობების სულებისა და დემონების არსებობა; ეს დაავადებებია, მაგალითად, შაკიკი, კუჭის დაავადებები და სხვა. ასევე ყოველ ხელობას თავისი ღმერთი ჰყავს, მაგალითად, ფეიქრობის (ქსოვის) ღმერთი, ბამბის ღმერთი, აბრეშუმის ჭიის, ტილოს ღმერთი და სხვა, რომელთაც, ისევე, როგორც სხვა ღმერთებს, ლოცვებს აღუვლენენ და მსხვერპლს სწირავენ. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჭექა-ქუხილის ღმერთი ძიუოუ-ძიეოუ,[225] რომელიც ელვის ისრებს გამოტყორცნის; მასთან დაკავშირებით საგანგებო ცერემონიები სრულდება – განსაკუთრებით გვალვიანობის დროს; ამ დროს ყველანი მდინარესთან იკრიბებიან და მას რიტუალური ლოცვა-კურთხევით წვიმის მოყვანას ევედრებიან. ღმერთი მისდევს ეშმაკს და ელვის ისრებს ტყორცნის მას; მაგრამ მათ შორის არსებული სისხლით ნათესაობის გამო ღმერთს არ შეუძლია ეშმაკის მოკვლა! ძალიან დიდ როლს თამაშობს აფხაზებში და ასევე კავკასიის მთის მოსახლეობაში წინასწარმეტყველი ქალი, ნათელმხილველი,[226] რომელსაც მიმართავენ და რჩევა-დარიგებას სთხოვენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ პრობლემებთან დაკავშირებით. ძიუოუს შემდეგ აღსანიშნავია ასევე ანანახათა – დედა-შემქმნელი (სამყაროს დედა). მისი სიმბოლოა დეკეული (გავიხსენოთ ჰერა), რომელსაც პატარძალს მზითევში ატა-

224 Джанашия, Абхазский культ и быт // Христианский восток, т. 5, 1917, გვ.157-208;

225 იქვე. გვ. 161 და შემდეგი გვერდები.

226 იქვე. გვ. 165-167, 170-172 და ა. შ.

ნენ ქორწინების დროს. ყოველი ახალდაქორწინებული ქალი თაყვანს სცემს ამ ღვთაებას და ლოცვებს აღუვლენს მას. ახალგაზრდა ძროხას დიდი მზრუნველობით უვლიან, მას არასოდეს ჰყიდიან და არასოდეს კლავენ, თუ ძალიან არ დაბერდა. ოქროს ბატონი შაშვი სამჭედლო ხელოვნების ღმერთია. მას ღვინოს სწირავენ და აკურთხებენ მოსავენ ახალგაზრდა ვაჟებს, რომლებიც მომავალში მჭედლები უნდა გამოვიდნენ და მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე მჭედლებადვე უნდა დარჩნენ. მათ სხვა ხელობის და სხვა საქმიანობის დაწყების უფლება არ აქვთ.[227] მაგ. ოქრომჭედელი აინარი (Ainar) ლეგენდების მიხედვით ძალიან ცნობილი იყო. წმინდა ცეცხლის გამომწვევი წყარო ფუნდუკის ხის ჯოხებია, განსაკუთრებით საქონლის ჭირის დროს. გარდა ზემომოხსენიებული ციოვისა, სხვა ღმერთებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ეგრეთ წოდებული „უცნობი ღმერთი",[228] რომელიც ძველ დროში, რომაულ-ელინისტურ ხანაში და ასევე ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში საყოველთაოდ გავრცელებული იყო და ხალხის განსაკუთრებული პატივისცემითა და თაყვანისცემით სარგებლობდა.

ყოველი ავადმყოფობა აფხაზების შეხედულებით, ღვთის წყრომაა; შეკითხვაზე: „როგორ ბრძანდებით?" – აფხაზი მუდამ ასე პასუხობს: „ხარ სიმამ", ე. ი. „უცოდველი ვარ, უდანაშაულო ვარ". ეს ნიშნავს, რომ იგი კარგად არის.[229] ამიტომ ყოველი ავადმყოფობის დროს მკითხავთან უნდა გაირკვეს, თუ რა დაშავა და რომელი ღმერთის წინაშე შესცოდა ავადმყოფმა, რათა ცოდვა კვლავ გამოისყიდოს. მკითხავთან ან თვითონ ავადმყოფი უნდა იმყოფებოდეს, ან არადა, მისი კუთვნილი რაიმე ნივთი უნდა იდოს იქ; შესაწირ ნივთებს ჯერ სამჯერ შემოავლებენ ავადმყოფს თავზე და მხოლოდ ამის შემდეგ შესწირავენ.

ჩეჩნები მე-18 საუკუნემდე ქრისტიანები იყვნენ; მათზე დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებს, რასაც ნათლად მოწმობს მე-9 საუკუნეში ეკლესიის კედლებზე გაკეთებული წარწერები.[230] ქისტეთში (ჩეჩენთა მონათესავე ტომი) შემორჩენილია ძველი ეკლესიების ნანგრევები, მაგალითად, სამი მნიშვნელოვანი ძეგლი მითხოს მთაზე: წმინდა გიორგის, დედაღმერთის და წმინდა მარინას სახელობის ეკლესიები, რომლებიც საესეა შეწირული რქებით.

227 Н. Джанашия, მითითებული ნაშრომი, გვ. 169-174.

228 იქვე, გვ. 169-174.

229 იქვე, გვ. 174.

230 Dr. Bruno Plätschke, Die Tschetschenen (1929), გვ. 27 (Яковлев-ის მიხედვით), გვ. 51-52.

ღილღვებს (ინგუშები და ქისტები) აქვთ ქართველთა მეფე თამარისა და მისი ქალიშვილის რუსუდანის დროინდელი (XII-XIII ს.ს.) ძველი ეკლესია. აღდგომასა და სულთმოფენობის დღესასწაულებზე მთელი მოსახლეობა აქ იკრიბება – ლოცვებს აღავლენს და სწირავენ, კლავენ ხარებსა და ცხვრებს, მათ სისხლს კედლებზე ასხურებენ, დაკლული ცხოველების თავებს კი კედლებზე ჰკიდებენ. ყოველივე ამის შემდეგ ეწყობა სპორტული თამაშები – ცხენების დოღი და სხვა. გამარჯვებულებს აჯილდოებენ, მართავენ საზეიმო პურ-მარილს.[231] ეს ხალხები მხოლოდ მე-18 საუკუნეში გახდნენ ისლამის მიმდევრები, რასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი შამილის აქტიურობამ,[232] რათა შეუპოვარი ბრძოლა გაემართათ რუსებთან, რომლებმაც 1850 წლამდე ამ ხალხის დასახლებების თითქმის ნახევარი გაანადგურა.[233]

წარმართობა, ძველი წარმართული სული, ჯერ კიდევ ყველგან არის შენარჩუნებული. ინგუშები დღესაც თაყვანს სცემენ ნაყოფიერების ქალღმერთის თუშოლის სამლოცველო სახლს სოფელ ლემში; იქვეა ფალოსის ფორმის ქვის სვეტი, რომელიც ფალოსის კულტზე მეტყველებს და ამ კულტის არსებობას ადასტურებს. ჩვეულებისამებრ, აქ ლოცულობენ უშვილო ქალები, ქვას პატარა ნაწილს ჩამოატეხავენ და ის თან მიაქვთ სახლში, როგორც თილისმა.[234]

ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის დროს ისინი მდინარეზე ან მთაზე მიდიან და იქ კლავენ ხარს. ასევე მოიქცა გმირი ორხ'ხა ქარცხალი, რომელმაც მდინარე ნაზრანთან თეთრი ხარი შესწირა მსხვერპლად; ასეთივე ამბავი მოხდა 1917-1918 წლებში, როდესაც რუსი სამხედროები თავს დაესხნენ ინგუშებს: ამ დროს ხალხმა ბორცის მთაზე მსხვერპლად შესწირა თეთრი ხარი, შეასრულა ლოცვები და ჩაება ომში, რომელიც შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა.[235]

ტრადიცია და რწმენა იმისა, რომ შესაძლებელია მკვდრებთან ურთიერთობის დამყარება, რაც ესოდენ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს გილგამეშის ეპოსში, ჩვეულებრივი და დამახასიათებელია აგრეთვე კავკასიელი ხალხებისათვის, მაგალითად, ჩეჩნებისათვის: ყოველივე შეწირული მიდის მკვდრებთან და განაპირობებს მათი ცოცხლად დარჩე-

231 А. П. Берже, Чечня и чеченцы, 1859, გვ. 83, 137-138.

232 იქვე. Plätschke, გვ. 29.

233 А. П. Берже, Чечня и чеченцы, გვ. 20-დან; გვ. 26-დან.

234 Plätschke, გვ. 58.

235 М. Яковлев, Ингуши. 1925, გვ. 6, 25. შეადარე A. Dirr, Die Religion der Tschetschenen.

ნილებთან ურთიერთობის დამყარებას; იყო სამგლოვიარო მოთქმა-გოდება, მსხვერპლად წირავდნენ შინაურ ცხოველებს, მაგალითად, ცხენს, რომელსაც სამჯერ შემოატარებდნენ საფლავს და შემდეგ ცალ ყურს აჭრიდნენ და მიცვალებულს საფლავში ატანდნენ; ასევე ჩვეულებად ჰქონდათ ქვრივი ქალის მსხვერპლად შეწირვა, რაც შემდეგ მისი თმის მსხვერპლად შეწირვით შეიცვალა. აწყობდნენ მიცვალებულთა ხსოვნის აღმნიშვნელ მთელ რიგ საზეიმო მოსახსენიებელ სუფრებს, რასაც ხშირად ხალხი სრულ გაღატაკებამდე მიჰყავდა. ეს ადათ-წესები კავკასიაში საყოველთაოდაა გავრცელებული; ასევე დამკვიდრებულია რწმენა:

ა) სულებისა, დემონებისა და ჯინებისა, რომლებიც თავიანთი ბოროტი ზემოქმედებით ავადმყოფობებს იწვევენ;

ბ) მფარველი ღმერთებისა, რომელთაც ჩეჩნები ერდას და წუუ-ს უწოდებენ; სახლის კერისა და სამკუთხედის კულტი; ბუნების ღმერთები: წყლის დედა - ჩეჩნურად: ეხი-ნანა;

გ) მნათობთა სამყაროსი: მზე (მდედრ.), მთვარე (მამრ.), ქარების დედა, უძლიერესი, ყველაზე თაყვანსაცემი და მნიშვნელოვანი ჭექა-ქუხილის ღმერთი სელა||სიელა; სიწმინდე მეხდაცემული ადამიანისა ანდა ადგილისა; ქვესკნელის (ჯოჯოხეთის) ღმერთი, ცის ღმერთი და საერთოდ, ყველა ღმერთის მამა არის ადამიანის მსგავსი დჲალა, მას უწოდებენ ასევე დალას, ანდა დეილას, რომელიც სამყაროს შემქმნელი და ყველაზე ძლიერი ღმერთია. აღსანიშნავია ასევე სხვა ჩეჩნური თქმულება-გადმოცემები, აგრეთვე რწმენა იმისა,რომ ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი, მფარველ იღვთაება ჰყავს, ქმნიან შეხების წერტილებს ძველაღმოსავლურ რელიგიასთან, რომელიც უდავოს ხდის და ადასტურებს კავკასიელი ხალხების წარმართული მსოფლმხედველობის კავშირს ძველი წინა აზიელების წარმოდგენებთან თუ შეხედულებებთან. ღმერთის ვაჟიშვილი ელთა ისეთი კაცთმოყვარე და მფარველია ჩეჩნებში, როგორც წმინდა გიორგი ქართველებში. ჩეჩნური ღმერთის დელეს სახელი (ან დეილა და სხვ.) ქართულად მხოლოდ ხალხურ სიმღერებშია შენარჩუნებული და რეფრენად გამოიყენება: „ოდელია დელია“ და „აბა, დელია“, ასევე „დელი ვოდელი ვოდელა“ და ა. შ. ამ სიმღერებს უმეტესწილად ქართულ კავალერიაში მღერიან, მაგრამ ისინი ახლა უკვე სრულიად ხალხურია (ძველბაბილონური ღმერთის არალუს სახელს გვახსენებს სახელი „არალო“ ქართულ ხალხურ სიმღერაში: „ჰარალო-ჰარი-არალო“ (სახელის აზრი უცნობია).

ხის კულტი.[236] დიდი მსგავსებაა თანამედროვე საქართველოსა და ძველ მცირე აზიას შორის: ქართველებში დღესაც შენარჩუნებულია ჩვეულება - მიცვალებულის საფლავთან მდგარ ხეზე ტანსაცმლის ჩამოკიდება. წამოძახილი: „შენს ეზოში ხე წაქცეულიყოს" მძიმე წყევლად ითვლება. მე მქონდა საშუალება ერთ კარგ შეძლებულ და წარჩინებულ ოჯახში შემდეგ რამეს დავკვირვებოდი: იმისათვის, რომ ხელი შეეწყო და დაეჩქარებინა მძიმედ დაავადებული ვაჟის გამოჯანმრთელება, მამა ნაჯახით თლიდა და ამუშავებდა ეზოში ძველ, მოზრდილ კაკლის ხეებს და თან იძახდა: „დაე, გამოჯანმრთელებულიყოს ჩემი ვაჟი".[237] ქართული მატიანე ქვეყნის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით მოგვითხრობს, თუ რა საოცარი, განმკურნველი, კეთილისმყოფელი და ბედნიერების მომტანი იყო ხეები, რომლებისგანაც ეკლესიებს აშენებდნენ და როგორ გულმხურვალედ და სათუთად ეთაყვანებოდა და აფასებდა ხალხი ამ ხეებს. თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი თუ მხარე საქართველოში, ქალაქები და ციხესიმაგრეები, ეკლესიები და საზეიმო მოედნები ხეების სახელს ატარებენ: მუხნარი (მუხის ტყე), გაგრა, ცხინვალი, ძეგამი, თელავი, გრაკალი და მრავალი სხვა.

„წმინდა ნინოს (საქართველოს გამაქრისტიანებელი) ცხოვრება" ნათლადადასტურებს, რომ ქართველები ქრისტიანობის შემოსვლამდე თაყვანს სცემდნენ ქვებსა და ხეებს, ლითონებსა და

---

236 E.G. Weidenbaum, Heilige Haine und Bäume bei den kaukasischen Völkern, Известия кавказского отдела императорского русского географического общества, ტ. 5, გვ. 153 (რუსულ ენაზე). Rob. Bleichsteiner, Beiträge zur Sprach- und Volkskunde d. georgisch. Stammes der Gurier, გვ. 564-568; Caucasica, 1931, Fasc. 9; N. Marr, Jafetische Namen für Baume und Pflanzen, გვ. 769-780, 973-980. მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი, 1915. Procopii Caesaeiensis Opera omnia, ტომი II, გვ. 497-499; de Bello Gothico, ტომი IV, გვ. 3, 14 (Teubner). ჩვენ მოგვყავს დაწვრილებით შესაბამისი ადგილები პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან „ქართველი ერის ისტორია", ტ. I, მე-3 გამოცემა, გვ. 86-89; რადგან ჩვენ ეს მონაცემები ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია, შეგნებულად ვსარგებლობთ ქართული ტექსტით: W.E.D. Allen, A History of Georgian People, გვ. 36. შდრ. King Sumer and Akkad., გვ. 226-228. პურიფიკაციის და სხვ. შესახებ: Jeremia s, Handb. Uch d. altorient. Geisteskultur, გვ. 345, 397, 435, et passim 426, v. Wesendonk, in Caucasica ტ. 1, გვ. 85-86; Percy E. Newberry, Ägypten als Feld fuer anthrop. Forsch. გვ. 25-29; ქვისა და ხის კულტი მთელ კავკასიაში ცოცხლობს: Мещанинов, Пиры Азербайджана // Известия государственной академии истории материальной культуры; ტ. 9, 1931, გვ. 1-17; განსაკუთრებით აღსანიშნავია: წმინდა ქეებისა და ხეების ნაყოფიერება და განმკურნველი ძალა: H. W. Hertzberg, Der heilige Fels und das Alte Testament, in J. of the Palest. Orient S-ty, № 1-2, 1922.

237 1770-1773 წლებში გარდაცვლილის სახლთან კაკლის ხეს ჭრიდნენ და ჩეხავდნენ, რათა იგი პატრონთან ერთად მომკვდარიყო; Гюльденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, 1808, გვ. 381-383.

რკინას, როგორც „ღმერთებს“. გავიხსენოთ კაპადოკიური ღმერთი ზევსი დოლიხენუსი, რომლის ეპითეტი იყო „რკინაში ნაშობი“ (იხ. ზემოთ); ჩვენ გვსურს, ხაზი გავუსვათ და გამოვყოთ ლითონის კულტი საქართველოში სწორედ აღნიშნულ ზევს დოლიხენუსთან დაკავშირებით, რადგან იგი, გარდა არქეოლოგიური წყაროებისა, ლიტერატურული და ისტორიული მასალებითა და დოკუმენტებითაც არის დადასტურებული.

საქართველოში ხის კულტს განსაკუთრებული პრივილეგია აქვს სხვა წარმართულ გადმონაშთებს შორის. ამ ქვეყნის ყოველ კუთხეკუნჭულში ჩანს აღნიშნული კულტის კვალი, ნიშნები და მასთან დაკავშირებული ადათ-წესები. სხვა ხეებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუხა, რომლის კულტი, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო მეტად იყო გავრცელებული. ფშავლებსა და ხევსურებს დღესაც სწამთ მუხა-ღმერთი, რომელსაც ისინი ამჟამად მუხის ანგელოზს უწოდებენ. თავიანთ ლოცვებში ისინი მუდამ ასე წარმოთქვამენ: „დიდება მუხის ანგელოზს“. საქართველოს კუთხის – ქართლის ერთ-ერთ სოფელში, რომლის სახელწოდებაა რკონი (მუხის ნაყოფები), ქართველები თაყვანს სცემენ ერთ უძველეს ხეს, რომელსაც მრავალ მსხვერპლს სწირავდნენ და ფერად-ფერადი ძაფებითა და სხვა ნივთებით ამკობდნენ და რთავდნენ. კავკასიის სხვა მხარეებში, და განსაკუთრებით კი აფხაზეთში, სადაც ხარის კულტის თაყვანისცემა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო მტკიცედ გავრცელებული და ფეხმოკიდებული, ასევე თაყვანს სცემდნენ წმინდა ტყეებს და ა. შ.

აფხაზები გულმხურვალედ და მორჩილად სცემდნენ თაყვანს ხეებსა და ლოცვებს აღუვლენდნენ მათ. გარდა ამისა, მათ ჰყავდათ თავიანთი ტყის ღმერთი – მიზითჰა; ყოველ წელიწადს, გაზაფხულზე, მიდიოდნენ ქალიშვილები უფროსი ქალების წინამძღოლობით, საზეიმო მსვლელობით, სიმღერითა და თოფის სროლით ტყეში, ხუთფურცლოვანი სამყურას ფოთლების მოსაძებნად. ყველაფერს საზეიმო ელფერი ედო - სახლებსა თუ ქოხებს ჯერ კარგად, საგულდაგულოდ გაწმინდავდნენ, გაასუფთავებდნენ და შემდეგ მწვანე ფოთლებითა და ყვავილებით მორთავდნენ. გათენებისას ყველანი შინ ბრუნდებოდნენ. ქალები და კაცები წინამძღოლ ქალს მუხის ფოთლების გვირგვინით თავმორთულსა და მსხვერპლად შესაწირ ირემზე მჯდომს, უკანვე მოაცილებდნენ. მის ყოველ გამცილებელს, თანმხლებს ხელში ეჭირა მწვანე ტოტები, მინ-

დვრის ყვავილები და მისთანანი. ირემი ზემოაღნიშნულ მიზიხთუსთვის იყო განკუთვნილი. მას ფეხებთან უყრიდნენ ტოტებსა და ყვავილებს. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ იმართებოდა დოღი და ასევე სხვადასხვა სახის შეჯიბრებები. გამარჯვებული ჯილდოდ იღებდა ყვავილს, რომელიც მანამდე მსხვერპლშეწირვის ადგილზე იდო.

აფხაზებში გავრცელებული იყო აგრეთვე დღესასწაული, რომელსაც ამშაფი ერქვა. ის ეწყობოდა აპრილის დასაწყისში და თექვსმეტი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, თავისი მარხვით, ყველაფრის წმენდა-გასუფთავებითა და მკაცრი ზნეობრივი სულისკვეთებით. დღესასწაულის დაწყებიდან სამი დღით ადრე იწყებოდა ცოდვების მონანიება. წინა ღამეს მთელი სოფელი, სოფლის მამასახლისის მეთაურობით, ტყეში მიდიოდა წმინდა მუხის ხესთან. მამასახლისი ხმამაღლა ლოცულობდა და თან ნაბადში იფუთნებოდა, რათა არავისთვის შეეხედა. შემდეგ ყველანი, ჯერ ქალები, ხოლო შემდეგ მამაკაცები, მუხასთან მიდიოდნენ, ნაჯახს კოცნიდნენ და მას ხეში არჭობდნენ. მუხასთან ლოცვის შესრულების შემდეგ მამასახლისს მიუახლოვდებოდნენ და მას თავიანთ ჩადენილ ცოდვებს გაანდობდნენ. ყოველივე ეს რომ დამთავრდებოდა, ყველანი სოფელში ბრუნდებოდნენ, სადაც მამასახლისი სოფლის თითოეულ მოსახლეს თითო-თითო წმინდა სანთელს ურიგებდა.

ნადირობის ღმერთი. სამეგრელოში ყველაზე უფრო ცნობილი ადგილი საქართველოს ისტორიაში (ქრისტიანობის დამკვიდრებიდან) არის ჭყონდიდი, რომელთანაც დაკავშირებულია მდიდარი ქრისტიანული ტრადიციები. სახელწოდება „ჭყონდიდი" მეგრულ ენაზე ნიშნავს „დიდ მუხას", რაც საქართველოში ძველ დროს ხის (ამ შემთხვევაში კი, კონკრეტულად მუხის) კულტის არსებობას ადასტურებს. მეგრელებს სწამთ ტყის ღმერთი, რომელიც მბრძანებლობს ტყის ბინადარ გარეულ ცხოველებზე და რომელსაც მონადირეებისთვის ბედნიერება ანდა უბედურება მოაქვს. ეს ღვთაება მათ წარმოდგენაში წარმოადგენს უმშვენიერეს, გრძელთმიან, ჰაეროვან არსებას. მეგრელების რწმენით, მინდვრებსა და ყვავილებსაც თავიანთი ღმერთი ჰყავთ.

კახელები ამ ღმერთს „მინდვრის მბრძანებელს" უწოდებენ, რომელსაც ჰყავს ქალიშვილი და რომელიც „ისეთი მშვენიერი და ჰაეროვნად გრაციოზულია, რომ ადამიანი მასზე უკეთესს ვერც წარმოიდგენს და ვერც ინატრებს". თავზე მსუბუქი თავსაბურავი ახვევია, დახტის ყვავილიდან ყვავილზე, საზრდოობს მისი მტვრიანი სურნელით და მის წვენს სვამს. იგი დღენიადაგ მინდორშია ყვავილებთან, თამაშობს და დაჰქრის;

აჯდება ყვავილებს, პაწია ფეხებს ერთმანეთზე გადაიდებს და თავისთვის ღიღინებს; ყველაზე სწრაფად დაფრინავს და ყველაზე უკეთ ხტუნავს. მას რომ შემთხვევით ადამიანი დაეწიოს, იმწამსვე მოკვდება. მაგრამ ეს ჯერ ვერავინ შეძლო. მხოლოდ ერთი ყმაწვილი დაეწია ერთხელ და ის-ის იყო თავსაბურავზე უნდა შეხებოდა, რომ მინდვრის მბრძანებლის ქალიშვილმა მამამისის ქოხში შეასწრო და თავს უშველა. მამამისმა კი ყმაწვილი თავისი ქალიშვილის ხელით დააჯილდოვა.

ასევე ფშავლებსაც სწამთ ტყის ღვთაებისა, რომელსაც ისინი ტყის ბატონს, ანდა „ტყის მფლობელს" უწოდებენ. მათებურად აღნიშნულ ღვთაებას ასევე „ნადირთა პატრონი" ჰქვია, რომელიც ფშავლებს პატარა ქალწულის სახით წარმოუდგენიათ.

ასეთივე ტრადიციაა სამეგრელოში, სადაც მეგრელები ტყის ღვთაებას მრავალ შესაწირავს უძღვნიან და მასზე გულმხურვალედ, მაგრამ ფარულად ლოცულობენ; ისინი შესთხოვენ მას დაიფაროს მათი საქონლის ჯოგი ტყის ნადირთა თავდასხმისაგან.

სვანების წარმოდგენით, ნადირობის ქალღმერთი დალი ტყეში ბინადრობს, რომელსაც ოქროს კულულები აქვს. მათ ჰყავთ ასევე ღვთაება, რომელსაც ისინი აფსათს უწოდებენ. გარდა ამისა, მათ სწამთ ტყის სულისა, ანუ ტყის ანგელოზისა, რომელზედაც ისინი, სანადიროდ წავლის წინ, ყოველთვის ლოცულობენ.

ასტრალური კულტი. შემდეგში გესურს, მოკლედ გაგაცნოთ მხოლოდ ქართული წარმართული პერიოდის წინასწარი კვლევის შედეგები. მხედველობაში ვიღებთ რა ასევე თბილისელი (ადრე პეტერბურგელი) პროფესორის, ივანე ჯავახიშვილის, მიერ დამუშავებულ მასალებს ამ საკითხებთან მიმართებაში.[238]

ქართველთა მთავარი ღმერთი იყო მთვარე, რომელსაც ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ. მას მამრობითი სქესის უმაღლეს არსებად თვლიდნენ ისევე, როგორც ებრაელები, ასურელები და სხვა ხალხები (ასევე ძველი არაბები). იგი ქართველების წარმოდგენაში მთავარ ღმერთად რჩებოდა ქრისტიანობის დროსაც, ოღონდ უკვე წმინდა გიორგის სახით, როგორც ხალხის მფარველი, მეგობარი და შუამავალი, რომელიც მუდამ მზად იყო ხალხისა და ადამიანების დასახმარებლად, მაშინაც კი, როცა ღმერთი ადამიანებზე გამწყრალი და მათ მიმართ

238 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, მე-3 გამოცემა, გვ. 33-51, 165; Dr. J. Scheftelowitz, Altpalestinsischer Bauerglaube და სხვ., გვ. 5 (მე-2 შენიშვნა). მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, 1906, გვ. 75-დან.

მტრულად იყო განწყობილი. იგი მათთვის ყველა წმინდანზე უფრო ძლიერია. უფრო ძლიერია, ვიდრე იესო. ხევსურები მასზე ზოგჯერ ისე ლოცულობენ, როგორც თვითონ ღმერთზე. ყველა მაღლობზე, მთის წვერზე და სხვა, მთელ საქართველოში აშენებულია ეკლესიები და სამლოცველოები წმინდა გიორგის თაყვანსაცემად და უკვდავსაყოფად. მათ გვერდით ძალიან ხშირად შეგხვდებათ წმინდა ხეები, რომელთაც ხალხი ცვილის სანთლებს უნთებს და მრავალნაირ ძღვენს სწირავს. სახალხო დღესასწაული საქართველოში წმინდა გიორგის სახელობისაა – „გიორგობა“, რომელიც 14 აგვისტოს (ახალი სტილით 28 აგვისტოს) შებინდებისას იწყება და შემდეგ მთელი ღამე გრძელდება. ამ დღესასწაულთანაა დაკავშირებული წინასწარმეტყველების ტრადიცია საქართველოს მრავალ კუთხეში. მაგალითად, სამეგრელოს რეგიონში, ახალსენაკთან ახლოს ერთი თავისი ღვთისმოსაობით ცნობილი სოფლის უხუცესი მიჰყავდათ ხოლმე დღესასწაულის წინა საღამოს ეკლესიაში, სადაც იგი მთელ გრძელ ღამეს ლოცვაში ატარებდა.

ინკუბაცია (წინასწარმეტყველების უნარი). დილაადრიან, წირვის დაწყებამდე უხუცესი ეკლესიიდან გამოჰყავდათ, შემაღლებულ ადგილზე დააყენებდნენ და ისიც წინასწარმეტყველებას იწყებდა, ხალხს აუწყებდა, თუ რა მოელოდა მომავალ წელს სამეგრელოს მოსახლეობას... დაახლოებით ამის მსგავსი, მაგრამ უფრო ინტენსიური იყო წინასწარმეტყველება ხევსურებსა და ფშავლებში.

შამილი. ერთ-ერთი ისტორიული ამბავი გვამცნობს, თუ როგორ ამყარებენ კავკასიელები ურთიერთობას წინასწარმეტყველებთან ზეცაში. 1843 წელს მიმდინარეობდა გაცხარებული ბრძოლები კავკასიელ მთიელ ხალხებსა და რუსეთის არმიას შორის. ჩეჩნები გადაიღალნენ და წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდათ. მათ სთხოვეს შუამავლობა შამილის დედას - იმ შამილისა, რომლის წინაშეც ყველა შიშისაგან კანკალებდა, – რათა მის ვაჟს მათთვის რუსებთან სეპარატული ზავის დადების საშუალება მიეცა. დედამ ეს ამბავი იმამ (მაჰმადიანების სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი) შამილს მოახსენა. მან საჯაროდ განაცხადა ჩეჩნების ამ სურვილის შესახებ, მეჩეთისკენ გასწია, თავისი მეომრები და ხალხი მეჩეთის წინ გაამწკრივა, რათა მათ გარეთ ელოცათ, ხოლო თვითონ მეჩეთში შევიდა. სამი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა მარხვა და ლოცვების შესრულება შამილის მიერ შიგნით მეჩეთში, ხოლო ხალხისა გარეთ, რომლის მიზანი იყო ის, რომ წინასწარმეტყველისათვის ეკითხათ, თუ რა უნდა ეპასუხათ ჩეჩნებისათ-

ვის და როგორ მოქცეულიყვნენ. სამი დღის შიმშილისა და შეუპოვარი ლოცვის შემდეგ იმამი გამოჩნდა და აუწყა მეტად დაძაბული ლოდინით გულგადალეჯულ ხალხს: „ალაჰის ნებაა, რომ ის პიროვნება, რომელმაც ჩეჩნების სამარცხვინო განზრახვის შესახებ მაცნობა, ასი როზგით დაისაჯოს და ის ჩემი საკუთარი დედაა!" მისი ბრძანებით მოიყვანეს დედამისი, რომელიც ხუთი დარტყმის შემდეგ გულწასული ძირს დაეცა. შამილი მის ფეხებთან განერთხა. ხალხმა შეწყალება მოითხოვა. მაგრამ მან განაცხადა - თან ალაჰის მიმართ ლოცვას აღავლენდა - დანარჩენ დარტყმებს ჩემს თავზე ავიღებო და დახვრეტით დაემუქრა იმას, ვინც წინასწარმეტყველის ნებას არად ჩააგდებდა და ჯეროვანი პატივისცემით არ მოეპყრობოდა. შამილმა ოთხმოცდათხუთმეტი დარტყმა მიიღო! შემდეგ მან ჩეჩნების დელეგაციას თავისთან მოუხმო. ყველანი შიკრიკის სიკვდილს მოელოდნენ, მაგრამ იმამ შამილმა მათ ასე განუცხადა: „დაბრუნდით თქვენს ხალხთან და მოახსენეთ მათ იმის შესახებ, რაც აქ ნახეთ". ამის შემდეგ ხალხმა თავის განზრახვაზე ხელი აიღო.[239]

ის გარემოება, რომ მთვარე ქართველების ღმერთი იყო, სხვათა შორის, ხალხურ სიმღერებშიც დასტურდება: „ო, ახალო მთვარევ, ჩვენო ღმერთო, გაახარე ჩემი ცოლი და შვილები".[240] ძველი ქართველები მთვარეს ადამიანებსაც კი წირავდნენ მსხვერპლად, რაც ზოგიერთი ქართული მატიანის მიხედვით, ქართველმა მეფემ, რევ ღვთისმოსავმა გააუქმა.[241]

ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ზუსტი აღწერა, რომელიც სრულად ემთხვევა წმინდა გიორგის დღესასწაულის ახლანდელ ცერემონიას, ხევსურებსა და ფშაველებთან – მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადამიანს ნამდვილად აღარ წირავენ მსხვერპლად (იგი მხოლოდ მკვდრის როლს თამაშობს), ოღონდ ეს იმავე წინასწარმეტყველებითა და სხვა წვრილმანებით ტარდება, – სარწმუნოდ წარმოადგინა სტრაბონმა (XI, თავი III, 7).

---

239 John F. Baddeley, The Russian Conquest of the Caucasus, 1908, გვ. 374-379.

240 И. Кобалия, Из мифической Колхиди // Сборник материалов для описания местностей и племен кавказа, т. 32, 1903, მე-3 განყოფილება, გვ. 90. დემნა შენგელაია, „ბათა ქექია", გვ. 18. ქექიას ლოცვა მეგრულად: „თუთა ახალი, ღორონთი, სი გაახარი ჩქიმი ჩილი დო სქუა". Н. Марр, Боги языческой Грузии // Записки восточного отделения императорского русского археологического общества, т. XIV, 1902; Allen, გვ. 36-42.

241 ივ. ჯავახიშვილი, გვ. 43-56 და სხვა; Lina Eckenstein, Mooncult in Sinai on the Egyptian Monuments, გვ. 9-13; Anc. Egypt. 1914; Jastrow, Religion d. Babylon. Und Assyrer; Charles F. Jean, Evolution de la Réligion sumérienne და სხვ. in Babiloniaca, ტ. 12, 1931, გვ. 57-68.

„მორიგე". ქართველებში არსებობს მთვარესთან დაკავშირებული ციური სხეულების კულტი. უმაღლესი ღმერთი, რომელიც „მეშვიდე ცაში" ზის, ხევსურებსა და ფშავლებში „მორიგედ" იწოდება. იგი მათი წარმოდგენით ცოცხლების ღმერთია, იესო ქრისტე კი მკვდრების ღმერთი. ყველაფერი მორიგეს ექვემდებარება, იგი ყოველიევეს აწესრიგებს. მას ჰყავს თავისი თანაშემწეები და თავისი უმცროსი ღმერთები - „ხატი", ანდა „ღვთის ყმები". მორიგე არის ციური სხეული კრონოსი და მისი სიმბოლო.

ნაყოფიერების და ბავშვთა წყალობა – დალოცვების ღვთაებას „კვირია" ჰქვია.

ამინდისა და ღრუბლების ღმერთს (ღვთაებას) ჰქვია ვობი, ანდა ვები, რომელიც შეესატყვისება ბერძნების ზევს-დიოს და აფხაზების ძიძოვს (ძი – წყალი, ვოვ – ვობი);[242] შევადაროთ ხეთების „თეშუბს".

პლანეტები. შვიდი პლანეტის ღმერთების სახელწოდებები[243] რომელთაც წარმართულ საქართველოში თაყვანს სცემდნენ, (მათგან წარმოსდგება აგრეთვე კვირის დღეების დასახელებები) არის: მზე (გერმანულად Sonne, ხოლო Sonntag – მზის დღე – ქართულად კვირადღე); მთვარე (გერმანულად Mond, ორშაბათი გერმანულად არის Mon(d)tag, ანუ მთვარის დღე); არესი: სამშაბათი (Dienstag); ჰერმესი: ოთხშაბათი (Mittwoch); აფროდიტა (ვენერა): ხუთშაბათი (Donnerstag); დიოს (Dios) პარასკევი (Freitag); კრონოსი: შაბათი (Sonnabend); თუთა - მეგრულად მთვარე. ეს სახელწოდება ხშირად დაკავშირებულია მთვარის ეგვიპტურ სახელწოდებასთან – თოთ (Thoth).[244]

პანთეიზმი. საერთოდ, უსულო საგნები გასულიერებულია და აქედან გამომდინარე, ყველა მხარეს, ყოველ ადგილს, ყოველ სახლს, ყოველ ადამიანს, ყოველ არსებას თავისი საკუთარი მფარველი ჰყავს – ასეთია ქართული ძველი ხალხური შეხედულება ისევე, როგორც შუმერებისა. მათ შორის არსებობენ აგრეთვე ავი სულები – დევი, რომელიც ვეებერთელა ტანითა და ძალ-ღონით გამოირჩევა; შემდეგ ჭინკა – უფრო ტანმომცრო რომ არის; ასევე ქაჯი, ტყის დემონი, რომელიც ღონიერი,

242 „ძი" რომ წყალს ნიშნავს, ამაზე მკვლევარები არ დაობენ; „wou" სხვადასხვაგვარად განიმარტება: „მომტანი" (მიმცემი) (ჯანაშია,) „მისცემს" (ს. ზვანბა); ანდა „აშრობს" (ნ. მარი); ჯანაშია და ზვანბა თვითონ აფხაზები არიან, მარი ქართველია; ივ. ჯავახიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 73.

243 ჩვენი წერილი „გეორგიკაში", ტ. 1, 2-3, გვ. 35 და შემდეგი გვერდები, ლონდონი, 1936.

244 Б. Тураев, Бог Тот // Записки историко-филологического факультета

ბალნიანია, მჭრელი, ბასრად მჩხვლეტავი გულმკერდით. ცხოველებსაც, ასევე, თავიანთი მფარველი ღვთაებები ჰყავთ: ანატორი, ანთარი, აითარი, რომელთაც სხვაგვარად ოჩოპინტე, ანდა ოჩოპინტრე ჰქვიათ. აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ოჩი" მეგრულად ვერძს ნიშნავს და ასევე, ვაცს; ლაზურად კი – ეს ზანური ენის დიალექტია – „ბოჩი" კვლავ ვერძსა და ვაცს ნიშნავს; ლიტერატურულად დადასტურებულია, რომ ქართველები ძველ დროში თაყვანს სცემდნენ კერპ „ბოჩის", რომელიც სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა თხის ღვთაება.[245]

„ბოდი" ჩეჩნურად ნიშნავს ასევე „ველურ თხას" (იხ. ზემოთ),[246] მაგრამ სახელწოდება „ოჩოპინტრეს" მეორე შემადგენელი ნაწილის – „პინტრეს" ახსნა შეუძლებელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ სცადეს „პანთან" მისი დაკავშირება.

ა. დირი სამართლიანად შენიშნავს, რომ, როგორც ძველი მცირე აზიის ხალხებსა და ეტრუსკებს, ასევე ქართველებსაც, სწამდათ ცისა, შვიდი მნათობისა, სადაც პლანეტები რიგის მიხედვით არიან განლაგებული: მთვარე, ჰერმესი, ვენერა, მზე, არესი, დიოსი, კრონოსი.[247]

თუ ებერჰარდ ჰომელი[248] ზევს პალანტიოსს, როგორც ზეცის ღმერთს ეტრუსკულ ფალანდუმსა და ლათინურ პალატუმთან კავშირში იხსენიებს, მაშინ მე მივუთითებ ქართულ სიტყვა „ფოლადზე", რადგანაც ღმერთი ხალიბური პონტუსიდან (Pontus - შავი ზღვა) შავი ზღვის ტომების ლითონის ტექნიკასთან არის დაკავშირებული. მაშინვე გვახსენდება ზევსი დოლიხენუსი, რომელიც რკინის კულტის განსახიერებაა; ვიხსენებთ ასევე, რკინის ცულისა და რკინის მახვილის კულტს საქართველოში.

ტაროკ. ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ხათური ღმერთი (Chattisch – ქართული სიტყვიდან „ხატი") ტაროკ დაკავშირებულია ქართულ ამინდის აღმნიშვნელ სიტყვასთან „ტაროსი", ლაზური დი-

императорского СПб университета, 1898, XIVI, გვ. 12-13; 163-165 (ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა). ივ. ჯავახიშვილი, გვ. 124; Gressmann, Altorient. Texte zum Alten Testament, გვ. 5, 42-43.

245 ივ. ჯავახიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 80-82, 113-114; Jeremias, გვ. 480 და შემდეგი გვერდები, J. Scheftelowitz, მითითებული ნაშრომი, გვ. 3, 32-37; Dr. W. Schrank, მითითებული ნაშრომი, გვ. 15, 17, 37.

246 Klaproth, Voyage და ა. შ., ტ. 2, გვ. 453.

247 Dr. A. Dirr, Der kaukasische Wild – und Jagdgott, გვ. 139-147. Anthropos., ტ. 20, 1925, იქვე, ტ. VIII, 1908, გვ. 1073 და მომდევნო გვერდები, ადგილის ღმერთები, ჭექა-ქუხილისა და მჭედლობის ღმერთი და ა. შ.

248 Mitteil. d. Vorderas. Gesch. ნაწილი. 21-22, 1917-1918.

ალექტით – „ტარონი“. ასევე განიხილება ელამურ-ხეთური მიწის ქალღმერთი აშჰარა, ანუ იშჰარა, რომელიც თითქმის იდენტური ჩანს ქართულ და აფხაზურ მიწის ქალღმერთ აჟაჰარასთან. ამ ქალღმერთსა და მის კულტთან ასევე მიზეზობრივ კავშირშია მარიამ ღვთისმშობლის კულტი.

ეროვნული ღვთაებები. ქართული თქმულების მიხედვით, ქართველებს ჰყავდათ ასევე შემდეგი ღმერთები: არმაზი, ზადენი, გაცი და გა (ასევე გაიმი). პირველი სახელი – არმაზი, ლიტერატურული წყაროებით დამოწმებული ტრადიციის თანახმად, ქართული სახელის ფარნავაზის სპარსული ფორმა უნდა იყოს; ეს სახელი (ფარნაოზი, ფარნავაზი) ერქვა ქართველ მეფეს (ქრისტიანობამდე 302-237 წლებში), რომელმაც, გადმოცემის თანახმად, კერპი (სათაყვანო ღმერთი) გააკეთებინა და მას საკუთარი სახელი მისცა, ოღონდ სპარსული ფორმით. ეს თქმულება და მისი მხარდამჭერი სხვა წყაროები მომდინარეობს, როგორც ივანე ჯავახიშვილი ადასტურებს, ადრეული ხანიდან (ქრისტიანობამდე V-VI საუკუნეებში) კომპილატორული მასალების სახით, რომლებშიც არმაზს განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი (ქრისტეშობიდან VIII-დან X საუკუნემდე). მე ამ შემთხვევაში ივანე ჯავახიშვილის მაგალითს მივყვები და „არმაზს“ ეჭვს ქვეშ ვაყენებ. მე უფრო შორს მივდივარ და ვფიქრობ, ცოტა არ იყოს ეჭვის თანხლებით, რომ არმაზი მეფური სახელით შესაძლოა, მცდელობა იყო იმხანად საყოველთაოდ გავრცელებული და გახმაურებული მეფური კულტის ფარულად შემოეტანათ საქართველოშიც. როგორც არ უნდა იყოს, სახელი არმაზი, როგორც ჩანს, ადგილობრივი ქართული სახელი არ არის. მაგრამ ის, რომ საქართველოში ასევე სხვა ზეცის ღმერთს, იმავდროულად ამინდის ღმერთიც რომ იყო, საყოველთაოდ თაყვანს სცემდნენ, რომელიც მოგვიანებით შესაძლოა სხვა კერპის ცრუ სახელით – თუნდაც ეს არმაზი იყოს - და თავისი თავდაპირველი არსით გახდა ცნობილი, - ეს ეჭვს არ იწვევს. ეს ამინდის ღმერთი, ჰექა-ქუხილისა და ელვის ღმერთი, სრულად შეესატყვისება ხეთურ ტარკუს.[249]

ზადენი კი კილიკიურ-ხეთურ შანდონ-სანტას მარტო სახელწოდებითაც შეესატყვისება, მით უმეტეს, რომ მისი თვისება-თავისებურებები – როგორც ნაყოფიერების ღმერთისა, რომელიც ყოველივეს

249 მ. ვ. წერეთელი, ხეთების ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, გვ. 77-106; მისივე, The Asianic Elements in National Georgian Paganism, გვ. 28-66, in Georgica, Vol. I, Nr. 1,1935.

და ყველაფერს სიცოცხლეს ანიჭებს – ადამიანებს, ცოცხალ არსებებს და საერთოდ, მთლიანად ბუნებას და ასევე ავლენს ნაყოფიერება-გამრავლების უნარს – ქართულ წყაროებშიც პოულობს ასახვას.[250]

„წმინდა ნინოს ცხოვრების" აღწერაში და ასევე სხვა მატიანეებში ვკითხულობთ, რომ არმაზის მარჯვნივ იდგა გაცის ოქროს კერპი, ხოლო მისგან მარცხნივ გას ვერცხლის კერპი, რომელთაც აღმერთებდნენ და რომელთაც ასევე სამეფო კარის პრინცებს სწირავდნენ მსხვერპლად. ღმერთების ამ სამებას მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, როდესაც საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ გაცი და გა ჩვენი წინაპრების ძველი ღმერთები, ანუ უძველესი ქართული და ჰეშმარიტად ხალხური ღმერთები იყვნენ. მათაც ისევე, როგორც ზადენსა და არმაზს, ადამიანები ეწირებოდნენ მსხვერპლად. ამ ორივე ღმერთიდან „გა" სამუელ I-ის წიგნის ქართულ თარგმანში, ასტარტეს (Marr) ადგილზე დგას, ასე რომ, იგი უეჭველად მცირეაზიური ქალღმერთის იშთარის ქართული ფორმაა. მაგრამ გაურკვეველი რჩება, საიდან მომდინარეობს ფორმა „გაიმი", რომელიც გარეგნულად ებრაული Pl-ს მსგავსია (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი). „წმინდა ნინოს ცხოვრების" ერთ-ერთ ვარიანტში გვხვდება არა „გაცი", არამედ „გატი",[251] და ეს ფორმა შეესატყვისება ბერძნული სახელწოდების „ატარგატის" (Atargatis) მეორე ნაწილს, თავის მხრივ, მცირეაზიურ „ატის" (Attis) რომ შეესატყვისება, რომლის არსი თამუზ-ადონისის იდენტურია.[252]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ორივე ღმერთი გა და გატი, ანდა გაცი მცირეაზიური ღმერთები იყვნენ. განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ორივე ქართველების უძველესი ხალხური ღმერთები იყვნენ, როგორც ეს ძველი ქართული წყაროებიდანაა ცნობილი. გადმოცემის, თქმულების, ფორმის მიხედვით და ამ ღმერთების თვისებებისა თუ ფუნქციების გათვალისწინებით, ისინი ყველაზე ახლოს დგანან ხეთური ღმერთების სახელწოდებებთან.

ძველ მცირე აზიასთან, შესაბამისად ასევე ხეთა-მესოპოტამიასა და შუმერთან დაკავშირებით შეიძლება მივუთითოთ, რომ იმ დროს გავრცელებული სახელები, როგორებიცაა ქართველების გამაქრისტიანებელი წმინდა ნინო, ასევე დედოფალი ნანა და სხვა კერპები თუ ღვთაე-

250 იქვე.

251 Marr, „nationale Goetter", Brosset, Additions et Eclaireissements, გვ. 4, 7, 26 (1851).

252 წერეთელი, მითითებული ნაშრომი.

ბები - აინინა, დანინა და დანანა ხეთადან, შუმერიდან და ბაბილონიდან იყვნენ ცნობილი, ანდა მათი მსგავსნი იყვნენ.[253] აღნიშნავდნენ თუ არა ეს სახელები ნამდვილად სხვადასხვა ღვთაებას, თუ ერთი და იმავე სახელის დიალექტური ფორმები იყვნენ, - ეს ჩვენ არ ვიცით. ქალური ღვთაების „გას" სახელი ამა თუ იმ გარემოების გათვალისწინებით შეიძლება ბერძნულ გეა-გას შეესატყვისებოდეს, რომელიც ჰესიოდესთან ღმერთების განვითარების დასაწყისშია მოხსენიებული.[254]

როგორც ძველ ხეთაში,[255] მაგალითად, მზის ქალღმერთი არინა (Arinna), ასევე საქართველოშიც მზე მდედრობითი ღვთაება იყო.[256] მე, როდესაც ხეთურ ტექსტებს ვკითხულობდი, განსაკუთრებით თვალში მეცა გამონათქვამი „ჩემსა მზესა" და „ჩემო მზეო", რომელსაც, სხვათა შორის, ხშირად ხმარობს ხეთების მეფე. იგი ძალიან ხშირად იხმარება, მიუხედავად იმისა, რომ ის წინადადების აზრისათვის მაინცდამაინც აუცილებელი არ არის.[257] ეს სრულიად იდენტურია ქართველების სიტყვა-თხმარებისა, რომლებიც იმავე სიტყვას „ჩემსა მზესა" დღესაც იყენებენ დაფიცების აზრით, მაგრამ ამავე დროს იგი არც აუცილებლობას წარმოადგენს და როგორც ასეთს, არც ფიცს გამოხატავს, არამედ მხოლოდ ლაპარაკის დროს სიტყვას მოჰყვება ხოლმე, როგორც რაღაც ელფერის მიმნიჭებელი. მაგრამ წარმართულ ხანაში ამ გამონათქვამს შესაძლოა ბევრად უფრო მეტი შინაარსობრივი დატვირთვაც ჰქონდა.

ქართული წარმართული მიმართულების ეს სახელდახელო მონახა-

---

253 E. Cavaignac, Tavannannas, გვ. 98-99, Rev. Hittit et Asianique, 1933, Fasc. 10, 11. განმეორებით ადასტურებს, რომ „ანნას" ხეთურად „დედას" ნიშნავს. ქართულ ენაზე „ნანა" სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით მოფერებითი ფორმაა (ნენა, ნანი და სხვ.) დედის მნიშვნელობით; ასევეა აფხაზურშიც, იხ. ზემოთ.

254 Hesiod -ემ წარმოაჩინა ჰელაზგური ღვთაებები და ადგილობრივი კულტები: „Der Mythos von Orient und Occident, eine Metaphysik der alten Welt". J.J. Bachofen, გვ. 51-53 (ასევე Preller, Demeter და Persephore გვ. 21); Dr. Karl Kynast, Apollon und Dionysos (1927).

255 H. Winkler, Miiteil. Vorderas. Ges. 1913, გვ. 1-105; Sommer und Eheloff, Papanikri გვ. 49-50; Bohaz. Stud. 1924, რვეული 10; Hrozny, Hethit. Keilschrifttexte, გვ. 171-193, 97, 201-221; Boghaz. Stud. 1919, რვეული 3; John Garstang, The sungoddes of Arinna, გვ. 109-115. Annals of Archeol. And Anthropol. ტ. VI, 1914. მზის კულტი საბერძნეთშიც ძველბერძნული, მცირეაზიური წარმოშობის იყო, „ჰალდური"; P. Kretschmer, Glotta XIV, 31. Lehmann – Haupt, Armenien და ა. შ., ტ. II, გვ. 299, 947.

256 ზოგიერთ ზღაპარსა და ასევე ლეგენდაში ღმერთი მამრობითი სახით არის გააზრებული და გამოსახული.

257 Fr. Hrozny, Die Lösung d. hethit. Problems, Ein vorläuf. Bericht, Mitt. Dt. Or. Ges. 1915, გვ. 17-50, განსაკუთრებით, გვ. 37; H. Winkler, მითითებული ნაშრომი, 1907, გვ. 54. G. Contenau, Civilisaition des Hittites et des Mitaniens; Hrozny, Heth. Keilschrifttexte

ზიც კი საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ქართული ტომების წარმართული რელიგია ორგანულად იყო დაკავშირებული ძველი მცირეაზიური ხალხების რელიგიასთან. კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მხოლოდ ახლა დაიწყო, ასე რომ, მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი შედეგის მიღწევა, რაც ბევრ ძველ არასწორ მოსაზრებას უკუაგდებს, კიდევ უფრო მეტს გაასწორებს, შეასწორებს და, რაც მთავარია, ნათელს მოჰფენს და დაადასტურებს ქართული ტომების რელიგიური რწმენის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას ძველ მცირეაზიურ რელიგიურ წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებთან მათი ძირითადი საერთო ნიშნებისა და პრინციპებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნული თაყვანისცემა მთვარის, მზისა და საერთოდ, პლანეტების მიმართ მთელ კავკასიაში იყო გავრცელებული და ქართული მატიანეების გადმოცემის მიხედვით, ისინი იქ ჯერ კიდევ ქართველების იმიგრაციამდე არსებობდა. საერთოდ, ასტრალური კულტი მთის ხალხებში დღემდე კიდევ უფრო მრავალფეროვნად და ცოცხლად არის შემონახული, ვიდრე ქართველებში.

ელვა, ჭექა-ქუხილი და სხვა ამგვარი მოვლენები წმინდაა: მაგალითად, ჩერქეზეთში ყოველი ადამიანი წმინდაა, ვისაც მეხი იმსხვერპლებს.[258] მათ თქმულებებში ვხვდებით ელვისმტყორცნელ „შიბლეს" (იგივე თეშუბ - ზევსი) და მჭედლობის ღმერთს „თლეფშს" (ვულკანი). ტყეები, გამოქვაბულები, მთის წვეროები (მწვერვალები), წყარო-ნაკადულები და სხვა ადგილები წმინდადაა შერაცხული და დიდი რაოდენობით გვხვდება ჩერქეზეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში, ფშავსა და ა. შ.[259] ამ მხრივ, აღსანიშნავია აგრეთვე წმინდა ტყე და წმინდა კლდე სახელწოდებით იერდა (Jerda) ინგუშეთში.[260] როგორც ძველ წინა აზიაში, ასევე თანამედროვე კავკასიის ხალხებში გავრცელებულია რწმენა, რომ ყოველ ადამიანს, ყოველ ცხოველს, ყოველ ნივთსა თუ მოვლენას, როგორც ბუნებრივ ფენომენს, მთას, მიწას, მდინარეს, მზესა და ა. შ. ჰყავს თავისი საკუთარი მფარველი, კეთილი სული, კეთილი გენია და ზოგჯერ თავისი საკუთარი ღმერთი.[261]

მთის მწვერვალების, წყარო-ნაკადულების, ხეების, მდინარეებისა და

---

aus Boghazk. Stud. 1919, E. 3, Lief. 1, გვ. 5, 7, 11-15.

258 М. Ковалевский, Закон и обычай на кавказе. Т. I, გვ. 188, 127, 149, 285.

259 Potocki, მითითებული ნაშრომი, გვ. 142, 306.

260 იქვე, გვ.124.

261 М. Ковалевский, მითითებული ნაშრომი; ივ. ჯავახიშვილი, მითითებული ნაშრომი.

სხვათა თაყვანისცემა და გაღმერთება და საერთოდ, ამგვარი კულტები ძველ დროში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მზისა და მთვარის კულტები, არგაიოსის (ერჯიასი) მთა (არგეიოს) კაპადოკიაში წმინდა და ღვთის ადგილსამყოფელი მთა იყო, მიუხედავად იმისა, რომ იგი თვითონ ღმერთსაც კი არ წარმოსახავდა.

ბაბილონში მდინარის სახელს წინ უძღოდა სიტყვა „ღმერთი", მაგალითად, მდინარე ევფრატი ღმერთი იყო, რომელსაც მსხვილფეხა საქონელს მსხვერპლად სწირავდნენ. ისტორიულად ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც რომაელმა მთავარსარდალმა ლუკულუსმა, რომელსაც ლაშქრობის დროს თავის ჯართან ერთად მდინარე ევფრატი უნდა გადაელახა, შენიშნა ქალღმერთისადმი მიძღვნილი ძროხის ჯოგი, საიდანაც ერთი ძროხა გამოარჩია და ევფრატისათვის მსხვერპლად შეწირვის მიზნით იქვე დააკვლევინა. მთელ წინა აზიაში მაღალ მთებზე ღმერთებისათვის აგებდნენ საკურთხეველებს და უდგამდნენ ტახტებს, თაყვანს სცემდნენ წმინდა ადგილებს, ტყეებსა და ა. შ. ეს მოძღინარეობს სპარსეთიდან, ბაბილონიდან და ვრცელდებოდა ეგეოსზე, კრეტაზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამ რელიგიის ძირითადი აზრია ბუნების ძალების პერსონიფიცირება, რაც შემორჩენილია კავკასიურ წარმართულ გადმონაშთებში.

მთებისა და მწვერვალების თაყვანისცემა. ადგილის სიმცირის გამო ჩვენ იძულებული ვართ, გამოვტოვოთ თავი მთებისა და მწვერვალების თაყვანისცემის შესახებ, რაც გავრცელებული იყო ძველად შუმერებში, ასირია-ბაბილონელებში, ხეთებში, ებრაელებში, სპარსელებში, ინდოელებში... და მათზე ზოგადი მსჯელობებით შემოვიფარგლოთ.

***

ბერძნული თქმულებების მიხედვით, დევკალიონის წარღვნის შემდეგ კავკასია ღმერთების აკვანია. წარმოშობით კავკასიიდან არის დევკალიონის მოდგმა, რომელიც პრომეთეს ვაჟი იყო.

კავკასიის ხალხთა გადმოცემებით, პრომეთე ადამიანების ქომაგი და კეთილისმყოფელი იყო. იგი უსამართლოდ დაისაჯა და მტრებმა კავკასიის მთებში კლდეზე მიაჯაჭვეს. ტყის კულტი, ტყისა და მთის დემონები, ავი სულები, ჭექა-ქუხილის, ცეცხლის, ქარისა და წყლის ღვთაებები დღემდე ცნობილია კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში. წმინდა ელია წარმოადგენს ყოფილ ჭექა-ქუხილის ღმერთს, წმინდა

იოანე კი - ქარისა და წყლის ღმერთს. წმინდა ხეებს, რომელთაც ეთაყვანებიან, სწირავენ ჯვრებს. იალბუზის მწვერვალზე ასვლა არ შეიძლება ღვთის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. აქ მანამდე ნოეს კიდობანი გაჩერდა, მაგრამ მწვერვალი ისე გადაიხარა, რომ კვლავ წყალში შეცურდა, რის შემდეგაც, გადმოცემის თანახმად, ნოემ იგი შეაჩვენა. ყაზბეგის მწვერვალი დევების (მთისა და ტყის დემონების, ავსულების) თავშესაფარია. აქ გამოაძევა ღმერთმა ადამიანთა მოდგმა ადამის ცოდვის გამო. ჯინების (ქართულად - ჭინკა, ანუ ტყის სული) მეთაურიც ასევე იალბუზზე ბინადრობს, სადაც ღამღამობით დემონები იკრიბებიან. მაგრამ არა მხოლოდ ქრისტიანობამდელ ღვთაებებს აქვთ იქ თავიანთი ადგილსამყოფელი, არამედ ქრისტიანულ წმინდანებსაც იქ უჩენენ ადგილს. ყაზბეგი მთელ იმ არემარეში წმინდა მთად არის მიჩნეული. მთის წვერებზე ქრისტიანული ეკლესიები ააშენეს, რომლებმაც წინა წარმართული სახის სამლოცველოები შეცვალეს. ყველა რელიგიური ხასიათის თქმულება და გადმოცემა მთებს და მთის წვერებს დაუკავშირეს. წმინდა სამების ეკლესია, სოფელი ბეთლემი და მრავალი სხვა, კავკასიის მთების მწვერვალებზე ააშენეს და წმინდა ადგილებად შერაცხეს. ერთ-ერთი მონასტრის წიაღში, ყაზბეგის აღმოსავლეთით, რომელიც ასევე მთის წვერზეა აგებული, ხალხური თქმულების თანახმად, იესო ქრისტეს აკვანი დგას. იქვე დევს წმინდა ღვთისმშობლის ტანისამოსი და ძალიან მდიდრული განძი. ყაზბეგს უწოდებენ აგრეთვე ქრისტეს მთას, რომელთანაც დაკავშირებულია პრომეთეს თქმულება და რომელზეც, გადმოცემის თანახმად, ბროლის კოშკი და ტაძარი დგას (ოქროს მტრედით). ამ მთების წვერები და კლდეები უამრავია და ყოველი მათგანი თაყვანისცემის საგნად არის ქცეული. გადმოცემის თანახმად, ამ წმინდა ადგილების წინ ჰკიდია ჯაჭვი, რომლის დანახვა (და გამოყენებაც კი) მხოლოდ განსაკუთრებულად ღვთისმოსავ და წმინდა ადამიანებს შეუძლიათ და რომლითაც შესაძლებელია აბრაამის კარავთან და ქრისტეს აკვანთან მისვლა.

კავკასიის სხვა მრავალ წმინდა მთას შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, ბრუტსაბძელი (წმინდა საბძელი), ან „დვალთა მთა“, რომლის უმაღლესი მწვერვალი, სახელწოდებით „სიყარა“, განსაკუთრებული თაყვანისცემის საგნად არის ქცეული. სინათლე მოუსპეს, დააბრმავეს და ასე დასაჯეს ის ადამიანები, რომელთაც უწინ იქ შენახული განძეულის გატაცება სურდათ. ახლა იქ ყინული და თოვლი დევს, ადრე კი, იმ ადგილებში სასარგებლო მცენარე ხარობდა, რადგან მაშინ იქ მითიური

მეფეები ისხდნენ, რომელთაც ვარსკვლავი უნდა მოეწყვიტათ ციდან, რათა თავიანთი ხალხებისათვის ბედნიერება დაემკვიდრებინათ. ასევე განსაკუთრებით ძვირფასს, დაფასებულ და სათაყვანებელ თამარ მეფესაც ჰქონდა იქ ციხე-დარბაზი. როდესაც თამარ მეფე იქ არ იყო, მისმა მსახურმა ქალმა პატარა ყუთი გახსნა, რომელშიც ვარსკვლავი იდო. ვარსკვლავი იმწამსვე აფრინდა და კვლავ ზეცას მიაშურა, ხოლო მთელი მთა და ის არემარე თოვლის სქელი ფენით დაიფარა.

ამ წმინდად შერაცხულ ადგილებში - მღვიმე-გამოქვაბულებში, კლდეებთან და ლოდებთან მიდის მთის ხალხი, მაგალითად, ოსები, რომლებიც იქ ლოცულობენ, ხოლო უხუცესები წინასწარმეტყველებენ, მარჩიელობენ და ნებისმიერი საქმის წამოწყების წინ ამ წმინდა ადგილებში მსხვერპლს სწირავენ. მთის ხალხები განსაკუთრებულ პატივს სცემენ და ეთაყვანებიან წმინდა ელიას, რომელსაც უამრავი რაოდენობით მსხვერპლს სწირავენ, რომლის დროსაც მიმდინარე ცერემონიებს არ უნდა აკლდეს თხის ტყავი. ტყეებში კი ამ დროს წინასწარმეტყველებენ ავგურები, ანუ მისნები. საზეიმო ცერემონიალთან დაკავშირებით სრულდება მთაზე ასვლის ერთი განსაკურებული კულტურული წესი: დაახლოებით ათი ვერსის მანძილიდან შეეულ, დაქანებულ მთაზე ადის ორი ან სამი ცხენოსანი. ვინც პირველი მოექცევა ზემოდან მთის წვერს, იმას პატივს სცემენ და უმასპინძლდებიან. წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზს თაყვანს სცემდნენ გამოქვაბულებში. ასეთი გამოქვაბულები არსებობს, მაგალითად, სოფელ დონიფარსთან და მას წმინდა ნიკოლოზის გამოქვაბული ეწოდება; სოფელ ძივღისთან კი წმინდა გიორგის სახელობის გამოქვაბულია. მსხვერპლშეწირვის ჩვეულება, რომელიც წმინდად შერაცხულ ტყეებსა და გამოქვაბულებში სრულდება, დღემდე არსებობს. ქართული წერილობითი გადმოცემები და თქმულებები ნათლად ადასტურებენ, რომ სამხრეთ კავკასიის წარმართი მოსახლეობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მთებსა და წმინდად შერაცხულ გამოქვაბულებში მსხვერპლს და, მათ შორის ადამიანებსაც, სწირავდნენ. გადმოცემის მიხედვით, მშობლები თავიანთ შვილებს სწირავდნენ მსხვერპლად. ამ მსხვერპლშეწირვას თან სდევდა ცეკვები და თამაშები. სათაყვანო კერპები, ანუ წარმართული ღვთაებები ადრეულ ხანაში მთის წვერებზე იდგნენ; ასე მაგალითად, არმაზი მთის მწვერვალზე იდგა, რომელსაც ადრე ქართლოსი ერქვა, შემდეგ კი ატარებდა კერპის, წარმართული ღვთაების სახელს. ზედაზენის მთის მწვერვალზე იდგა კერპი, სახელწოდებით ზადენი. მის და სხვა კერპების

ადგილზე, გადმოცემის თანახმად, ქართველი ხალხის გამაქრისტიანებელმა წმინდა ნინომ ხის ჯვრები აღმართა, რომლებიც მოგვიანებით ქრისტიანულმა ეკლესიებმა ჩაანაცვლეს. მთებს, განსაკუთრებით კი მცხეთის გარშემო განლაგებულ მთებსა და ასევე საქართველოს და საერთოდ, კავკასიის მთის წვერებს, დღემდე ატყვიათ ძველი კულტების თაყვანისცემის წარუშლელი კვალი, იმ კულტებისა, რომელთაც მოსახლეობა თაყვანს სცემდა ქრისტიანული წეს-ჩვეულებებით დასავლეთში, ხოლო ისლამური ტრადიციებით - აღმოსავლეთში. გადმოცემების თანახმად, ქართველი მეფეები ამ მთების თავზე განისვენებენ.

თუშები მაღალ მთებზე დაშვებულ კლდეებზე თაყვანს სცემდნენ წმინდა ელიას, მსხვერპლად სწირავენ ძროხებსა და მამალ ცხვრებს და ძირს განერთხმებოდნენ ქვების გროვასთან, რომლის დროსაც სოფლის მღვდლები მათ ბედსა და მომავალზე წინასწარმეტყველებდნენ. თბილისში არის „წმინდა დავითის მთა“ და ასევე ცნობილია სახელწოდება „მთაწმინდა“. კავკასიაში მოსახლე ხალხებს დღემდე სჯერათ ავი სულებისა - დემონებისა. ერთ-ერთ ხალხურ სიმღერაში „მთაო, გადმიშვი, გადმიშვი“ მთის პერსონიფიკაცია ხდება და მას ანიმისტურად მიმართავენ. ყველა კავკასიელი ხალხი პატივს მიაგებს და მხურვალე თაყვანს სცემს მაღალ კლდეებს, წმინდად შერაცხულ ტყეებს, მთის ანგელოზებს, ხის კულტს და ა. შ. ინგუშები, მაგალითად, თავიანთ წმინდა კლდეს - იერდას იფიცებენ. ჩერქეზებისთვის უმაღლესი სიწმინდის გამოხატულებად არის მიჩნეული, როდესაც ვინმეს მეხი განგმირავს. ხევსურებს აქვთ თავიანთი წმინდა მთები და თავიანთ სასაფლაოებს ისინი მთის ამაღლებულ ადგილებზე უჩენენ ადგილს. ბასიანელი თათრები თაყვანს სცემენ წმინდა ელიას. ისინი საუკუნეების წინ ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ (თამარ მეფის დროსაც) და მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინ მოიქცნენ ისლამურ რჯულზე. უწინ მეგრელები უამრავ მსხვერპლს სწირავდნენ წმინდად შერაცხულ ტყეებში, სადაც ამჟამადაც წმინდა ნინოს ან წმინდა გიორგის სახელის უკვდავსაყოფად ცხოველებს სწირავენ.

წმინდა გიორგის დღესასწაულზე დიდი რაოდენობით ხალხი იკრიბება ურთას მთაზე, რომელიც საუცხოო ძველი მუხის ტყითაა დაფარული. დღე ლოცვით იწყება და ლხინით მთავრდება, რასაც მუდამ თან ახლავს ცეკვა და სიმღერები. შეწირული ცხოველების თავის ქალები ნახევარწრეში აწყვია ხის გარშემო, სადაც მსხვერპლშეწირვა ხდება. აქვე ტოვებენ მათ ხის კულტის ნიშნად. ლაზებს, ანუ სამხრეთ

-დასავლეთის მხარის ქართველებს, რომლებიც შემდეგ იძულებით მოაქციეს ისლამზე, ათინასგან სამხრეთით აქვთ ერთი მთა სახელწოდებით გმირების მთა, რომელიც 12000 ფუტის სიმაღლეა. მასზე მრავალი თქმულება არსებობს. გადმოცემის მიხედვით, მის ზურგზე გადაშლილია ქვის კედლებით გარშემორტყმული სივრცე, რომელიც იქაურ მცხოვრებთათვის განსაკუთრებით წმინდაა. ლაზებში სიმბოლური ხალხური თქმულებაა შემორჩენილი, რომელიც მოგვითხრობს მათი ერთ-ერთი ეკლესიის ძველ დიდებულებასა და მის შემდეგდროინდელ ტრაგიზმზე: ერთ დროს იქ ერთი უჩვეულო სილამაზის ეკლესია იდგა, მაგრამ შემდეგ ისლამის მიერ ქრისტიანობის ძალადობრივი განდევნის შედეგად, ეს ეკლესია გაქრა. რამდენიმე საუკუნის წინ თვითონ ლაზები ძალდატანებით გაამაჰმადიანეს. მიუხედავად ამისა, მრავალი ქრისტიანი თუ არაქრისტიანი სალოცავად დადის იქ და თვითონ ყველაზე ველური მთის მკვიდრნიც ვერ ბედავენ ღიად წმინდა ადგილზე გარშემო დადებული ფულის მონეტების ხელის ხლებას, ღვთისმოსავი შემწირველების საკუთრებას რომ წარმოადგენს და რომლებსაც ისინი წმინდა სალოცავებს სწირავენ.[262]

თანამედროვე ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე[263] თავის ერთ-ერთ მოქმედ პირს, თამაზს, მთის მწვერვალს მოალოცვინებს და ეს ხდება მის რომანში, რომელშიც ნიჭიერად არის აღწერილი ბოლშევიკური ვითარება საქართველოში, ანუ ასახულია უახლესი დროის ამბები.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ცნობილი იყო აფხაზების წმინდა მთა სამხრეთ კავკასიაში,[264] სადაც ჩიჩბას ოჯახის წევრები ღვთისმსახურებას ასრულებდნენ.

ჩვენ ყველა მთას თაყვანს ვცემთ, - ასე წერია ავესტაში.

ყველა მთა და მთის მწვერვალი ღმერთებს უმღერიან, - ქადაგებდა ძველად ჰომეროსი.

ყველა მთის მწვერვალს ეკლესიები ამკობს, - განაცხადა ქართველმა გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში.[265]

---

262 V. Adrian, Der Höhenkultus d. asiatischen und europäischen Völker. გვ. 325,

263 გრიგოლ რობაქიძე, ჩაკლული სული, გვ. 111, 122: „წმინდა წყარო".

264 Сборник материалов о Кавказе, გვ. 37; შდრ. აგრეთვე R. Bleichsteiner, Die Subaräer...

265 ბატონიშვილი ვახუშტი ცხოვრობდა 1696-1772 წლებში. თავისი საუცხოო

გვსურს, გესაუბროთ წინაპრების კულტის ტრადიციაზე, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია მთელი ძველი წინა აზიისათვის და ასევე. თანამედროვე კავკასიისათვის: ეს არის ჩვეულება ოჯახის წევრების დაკრძალვისა კარის ზღურბლქვეშ ან სახლის ეზოში მაინც. ეს ჩვეულება აღმოსავლეთში ქრისტიანობამდე მე-8 საუკუნემდე იყო შენარჩუნებული. ეს ტრადიცია კავკასიაში დღესაც ცოცხალია.

აღნიშნული ჩვეულება ნათლად ადასტურებს, რომ ძველ აღმოსავლეთსა და ახლანდელ კავკასიაში ღრმად სწამთ და აფასებენ მიცვალებულების კულტს და იმქვეყნიურ ცხოვრებას; მათი წარმოდგენით ადამიანი სხეულებრივად არ კვდება, არამედ იგი სხვა განზომილებაში გადადის, შესაბამისად კი, ღმერთად იქცევა. ამ შემთხვევაში ქართულად ასე ამბობენ - იგი გარდაიცვალა, ნათელი დაადგა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განიწმინდა, ნეტარი არსება გახდა. ეს გამონათქვამები ბევრ რამეს ადასტურებს და ნათელს ჰფენს, უპირველეს ყოვლისა კი, ცხადყოფს კავკასიის თანამედროვე ხალხების კულტურისა და რელიგიის მჭიდრო კავშირსა და ნათესაობას ძველი აღმოსავლეთის კულტურასა და რელიგიასთან. ეს მჭიდრო კავშირი, ცხადია, წინაპართა კულტსაც ეხება.

ჩვეულება, შინაურების ზემოაღნიშნულ ადგილებში დამარხვისა, რათა მათი სული უშუალო სიახლოვეში იყოს ოჯახურ კერასთან, გავრცელებული იყო ელამში, ანაუში, შუმერში, ხეთაში, ეგეოსზე, კრეტაზე, ეგვიპტეში, საბერძნეთში, თესალიაში, კუნძულ ეგინაზე, ორხომენოსში, მიკენსა და ტროაში, და ა. შ., და საერთოდ, მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზში. როგორც ჩანს, ამ ჩვეულებას განსაკუთრებით კავკასიელი ხალხები მისდევდნენ. ხეთებს, მაგალითად, წინაპარები მიწის სიღრმეში ეგულებოდათ, რაც სახლ-კარის ფარგლებში ოჯახის წევრების დამარხვას უკავშირდება.[266] ხეთები მეფის სიკვდილის შემთხვევაში არ ამბობდნენ, ის მოკვდაო, არამედ ღმერთად იქცაო; ეს გამონათქვამი შინაარსობრივად ქართულ გამონათქვამს გვახსენებს.

ნაშრომი საქართველოს გეოგრაფიის შესახებ მან 1742 წელს დაასრულა.

266 Sommer und Eheloff, Das hethitische Ritual der Papanikri von Komana, Boghazk. Studien 1924, რვეული 10, გვ. 47; Garstang, Hittites, გვ. 292; Sayce, Hitt.გვ. 24-დან, გვ. 47, 141, 153, 193; Glotz იქვე. გვ. 35, 153-262, 263, 319-332. Dussaud იქვე. გვ. 275. Hrozny, Ueber die Voelker und Spr. Des Chattilandes, Boghazk. Stud. 1920, რვეული 5, გვ. 51. Pass. შდრ. Boghazk. Stud. 1919, გვ. 109, 165, 168. 169. S a y c e, The linguiste Position of the Hitt. გვ. 268-დან. Don. nat. Schrijen; E. Herzfeld, Areb. Mitt. Aus Iran, ტ. 5 (1932), გვ. 30:

ხეთების მეფეს, მურსილს, თავისი წარჩინებული თავადი სთხოვს: „დააბრუნე კვლავ ქალაქი თავის ღმერთებთან და ქვის კედლებთან ერთად". ეს ნიშნავს, რომ მან დაპყრობილი თუ დაკავებული ქალაქი უნდა გაათავისუფლოს და უკანვე დაუბრუნოს თავის მიცვალებულებითა და ქანდაკებებით. ამით დასტურდება და გასაგები ხდება განსაკუთრებული მნიშვნელობა მშობლიური ქალაქისა, როგორც წინაპართა განსასვენებელი ალაგისა. აბრაამი ყიდულობს ჰებრონში სამემკვიდრეო დასამარხ ადგილს - გამოქვაბულ „მახპელას" - თავისი ცოლისთვის, სარასათვის, რითაც თავისი საკუთრების უფლებას საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

ლარგვისის მიდამოების დასაკუთრების მცდელობისას, ქართული გადმოცემის მიხედვით, ზედამხედველმა ასე უთხრა მომავალ მფლობელს: „თუკი შენ ჩვენს მიდამოებში გსურს დასახლდე, მოითხოვე ეს მონასტერი, როგორც დასამარხი ადგილი, რადგან აქ არიან დამარხული ყველა დიდგვაროვანნი და დიდებულნი და ღმერთი დაგეხმარება, გახდე ამ მიდამოების მფლობელი". ისიც ასე მოიქცა, მოითხოვა ის, რაც ურჩიეს და გახდა მთელი ამ ადგილების მფლობელი ქვენიფნევის ციხესიმაგრესთან ერთად.[267]

ბრძოლების დროს მტერს იმითაც აყენებდნენ ზიანს და განსაკუთრებულ შეურაცხყოფას, რომ მათ მკვდრებს საფლავებიდან თხრიდნენ და მიათრევდნენ.[268]

ლაშქრობის დროს ძველად თან „მიჰყავდათ" კერიის მფარველი ღვთაებები. ამ აზრით, გასაგებია ენეასის როლი, რომელსაც თავისი კერპები ლაციუმში (ძველი იტალიის ერთ-ერთი მხარე) გადაჰყავდა.[269]

ეს სახლის ღვთაებები სახლში უნდა დარჩნენ, შინ უნდა იყვნენ, რათა ის მადლი და წყალობა, რომელსაც ისინი გაიღებენ ხოლმე, არ დაიკარგოს.

ბაშვების სახლში დასაფლავება ანაუში, ბაბილონსა და ასირიაში. Ed. Mayer, Reich und Kult der Heth. გვ. 10; Speiser, Mesopotam Origins და ა.შ., აღნიშნულ ადგილას. Otto Weber, Die Kunst der Heth. გვ. 6, A. Hertz, Les sources de la civilization sumerinne გვ. 90-104, Rev.Arch. გვ. 27, 1928; H. Frankfort, Studies და ა.შ. ტ. I, გვ. 64; A. Jeremias, Handb. Der altoriental. Geistekultur, გვ. 458. von Christian, Unters. z. Palaeoethnol. Des Orients გვ. 34. Mitt. Anthropol. Ges. 1924, გვ. 34; შდრ. იქვე, 1905, გვ. 207; იქვე 1928, გვ. 210-266; Woolley, Excavation at Ur. გვ. 16, 422. J.J. Bachofen, Das lykische Volk und seine Bedeutung für die Entwicklung des Altertums 1924, გვ. 40, 68.

267 Brosset, Additions et Eclaircissements, გვ. 371, 373, 377.

268 იქვე. გვ. 378-379.

269 Autran Tarkondemos, გვ. 250-251.

კავკასიურ ბრინჯაოს ფიგურებს სახლის ღვთაებებად მიიჩნევდნენ. კავკასიის მთიანეთის უმეტესი ხალხები თავიანთ მიცვალებულებს სახლის ეზოში ანდა სახლის ახლომახლო მარხავდნენ. ეს ჩვეულება გავრცელებული იყო როგორც ქართველებში, ისე კავკასიის სხვა ხალხებშიც, რაც იმდენად ძლიერი და აშკარად, მკვეთრად გამოხატული იყო, რომ მათ, როდესაც საცხოვრებელ ადგილებს იცვლიდნენ, ძალიან ხშირად თავიანთი მიცვალებულები თან მიჰყავდათ. ზემო აღნიშნულთან დაკავშირებით, მრავალი მაგალითი აქვს მოყვანილი მ. კოვალევსკის თავის ნაშრომებში, რაც მთელ კავკასიას ეხება, მათ შორის ხევსურებს, თუშებს, სვანებს, ოსებსა და ა. შ.

აღსანიშნავია ასევე ერთი ჩვეულება: აფხაზები წყალზე დამაგრებული ცხოველის ტყავის საშუალებით მდინარეში დამხრჩვალი ადამიანის სულს იჭერდნენ, რათა ის სახლში, ოჯახურ კერაზე დაებრუნებინათ.[270] ძველ წინა აზიაში, აფხაზებსა და ლეკებში (შუა საუკუნეებში) მიცვალებულების დაკრძალვა ასევე წინაპრების კულტთან და სახლის ტერიტორიაზე დამარხვასთან არის დაკავშირებული; ეს ტრადიცია რაც მე-4 საუკუნიდან იღებს სათავეს და დღემდე შენარჩუნებულია.[271]

ეს ჩვეულება თითქმის მთლიანად და უცვლელადაა შენარჩუნებული კავკასიაში და განსაკუთრებით კი მის მთიანეთში; იგივე ითქმის ჩერქეზების შესახებ, რომლებიც, რუსების ძალაუფლებისაგან შევიწროებულნი, თავიანთ მკვდრებთან ერთად საცხოვრებლად თურქეთში მიდიოდნენ.[272]

საჭმლის ჭამის დროს, სადილსა თუ ვახშამზე და განსაკუთრებით მიცვალებულთა ხსოვნის დღეებში კავკასიელ ხალხებში, მაგალითად, აფხაზებში არსებობს შემდეგი რწმენა: მათი წარმოდგენით მიცვალებულები მათთან არიან გვერდით და მონაწილეობას იღებენ სუფრის პროცესში; ამიტომ აფხაზები დასაჯდომ ადგილებს გამოყოფენ მათთვის და საჭმელებსაც უწყობენ მაგიდაზე.

ასევე გავრცელებული კავკასიური ჩვეულებაა თან გააყოლონ მიცვალებულებს საჭმელი და სასმელი უკანასკნელ გზაზე.

---

270 Г. Ниорадзе, Сборник материалов для описания местностей и племен кавказа, 1903, მე-3 განყოფილება, გვ. 32, 156-158.

271 იქვე.

272 Luschan, Rassen, Voelker, Sprachen, გვ. 127-128, იქვე, The early Inhabit. of West-Asia, 1911, გვ. 223 (Huxley Memorial Lecture for, 1911); Eug. Pittard, Les Races et l'Histoire, გვ. 393; Ковалевский, Закон и обычай на Кавказе. Т. I, გვ. 90, т. II, გვ. 202, 44.

ქართულად მიცვალებულთათვის განკუთვნილ ამ საჭმელ-სასმელს „საკურთხი" ჰქვია, რომელსაც მეზობლებსაც უნაწილებენ, თუ ისინი ოჯახში დაპატიჟებული არიან, ანდა მათ ეკლესიასთან შეხვდებიან. თავისთავად ცხადია, რომ ამ პროცესს ესწრებიან მღვდლები და მათი თანაშემწეები.

ასევე იდენტურია ძველი ხალხების ჩვეულებასთან სამგლოვიარო მოთქმა-გოდება მგლოვიარე ქალებისა, რაც ძველ დროში საყოველთაოდ იყო გავრცელებული, მაგრამ დღესაც სრულადაა შენარჩუნებული კავკასიაში იმავე პესიმიზმით და განწყობილებით.[273] მე საქართველოში დავსწრებივარ გლოვის დღეებს და ეს ცერემონიალი და ჩვეულება ძველ დროშიც ივიენაირად ხორციელდებოდა: შავებში ჩაცმული, თმაგაშლილი, ყელ- ან გულმოშიშვლებული ქალები მოდიან, კივილითა და წივილით, ტირილითა და მოთქმა-გოდებით, დაკაწრული სახით და ზოგჯერ დახოკილი მკერდით. ეცემიან მიცვალებულის წინ იატაკზე და დასტირიან მას ღრმა, უსაზღვრო მწუხარებით. ისინი ცოცხალივით მიმართავენ და ელაპარაკებიან მას, ესალმებიან, ეპირფერებიან, ეფერებიან, ახსენებენ მრავალ რაიმეს მისი ცხოვრებიდან, არცხვენენ მისი დუმილის გამო, რატომ არაფერს ამბობო, და თანდათანობით უფრო და უფრო მაღლა უწევენ ხმას და კვლავ წივილ-კივილს იწყებენ და ახლა უკვე ყველა. ცოცხლად დარჩენილთა უბედურება-უიღბლობაზე მოთქვამენ, უშენოდ რა გვეშველებაო.

გლოვა რამდენიმე ფაზად იყოფა: პირველი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ გარდაცვლილის უახლოესი ნათესავები. ამ დროს მგლოვიარე ქალები გულის გამგმირავი, მჭახე ხმით კივიან, მიცვალებულის წინ ძირს ეცემიან გაშლილი თმებით, ხელებს მუხლებზე ირტყამენ და ხმამაღლა მოთქვამენ. ამ მომენტს ჰქვია „შეცხადება", ანუ უბედურების გაცხადება. შეცხადებამდე არ შეიძლება სამძიმრის თქმა და ჭირისუფლებთან მისვლა. შეცხადების დროს კი სოფლის ყველა კუთხიდან მოდიან მეზობლები სამძიმრის სათქმელად, რომლის დროსაც მოსული ქალები, ასევე ხმამაღალი ქვითინით მოთქვამენ და გოდებენ.

ამის შემდეგ იწყება მეორე ფაზა: დატირება, ტირილი, რაც სამი დღის განმავლობაში გრძელდება. დატირების დროს ხმამაღალი ტირი-

273 Jeremias, მითითებული ნაშრომი, გვ. 424, 461, საფლავები, ნამარხები სახლების იატაკქვეშ: Halle and Wooley, Ur Exkavation vol. I, Al-Ubaid, გვ. 214-140; A. Keith, Report on the human Remains; in Anau I: O. Menghin, Weltg. d. Steinz. გვ. 303-308; პროფ. დოქტ. გ. ნიორაძე, დამარხვა ძველ საქართველოში, გვ. 1-6. ანთროპოლოგიური არქივი, ტომი 22, 1932; J. Bachofen, Das Mutterrecht, passim...

ლით იხსენებენ მიცვალებულის ცხოვრებისდროინდელ საქმეებს, მის ამა თუ იმ საქციელს და საყვარელ გამონათქვამებს, სურვილ-მისწრაფებებს და გამოთქვამენ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ გულთბილ სიტყვებს.

ამასობაში მოდიან ნათესავები და ახლობლები შორეული ადგილებიდან, რომელთაც „ზარით" იღებენ; ეს სიტყვა აზრობრივად ნიშნავს იქ შეკრებილი ხალხის დიდ მწუხარებას განუზომელი უბედურების და დანაკარგის გამო; ეტიმოლოგიურად კი „ზარი" ნიშნავს მხოლოდ ხმის გამომცემ სპილენძის ნაკეთობას, თავდაპირველი მნიშვნელობით - საშინელებას, შიშს. მაგრამ დაკრძალვის დროს „ზარი" არის მომხდარი უბედურების უმაღლესი გამოხატულება. სტუმრებიც ხმამაღალი ტირილით მოდიან, ქალებიც და კაცებიც.[274] მაგრამ განსაკუთრებით მაღალ ხმაზე გაჰკივიან ქალები, რომლებიც თავ-პირში ხელებს იცემენ, ტირილით იხსენებენ გარდაცვლილის წარსულ ცხოვრებას და ლაპარაკობენ მის უახლოეს ადამიანთა მომავალ ცხოვრებაზე. ძალიან ხშირად ხდება ისეც, რომ მგლოვიარე, მოტირალი ქალები, უახლოესი თუ შორეული ნათესავებიც გონებას კარგავენ.

როდესაც მოსული სტუმრები სახლში შედიან და მიცვალებულს დასტირიან, იწყება „შეტირება" ჭირისუფლებსა და სტუმრებს შორის, რომლის დროსაც ჭირისუფლებს ეუბნებიან სამძიმრის სიტყვებს და უცხადებენ თანაგრძნობას, რაც ასევე ხმამაღალი ქვითინით და მოთქმა-გოდებით პოულობს თავის გამოხატულებას.

მას შემდეგ, რაც მღვდელი თავის ქრისტიანულ მოვალეობას შეასრულებს, და ვიდრე მიცვალებულს სახლიდან გამოასვენებენ, ხდება „გამოტირება", რაც მხოლოდ წინამავალი მწუხარებისა და გლოვის ხელახალი მძაფრი გამეორებაა.

სასაფლაოსა და ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ტირილი და მოთქმა კვლავ შეუნელებლად გრძელდება. მართლაც სულის შემძვრელი და ამაღელვებელი სანახაობაა მწუხარე და მგლოვიარე ქალების ცქერა ამ პროცესიაში. ამ დროს კვლავ ხმამაღლა ქვითინებენ და მოთქვამენ მომხდარი უბედურების გამო.

საფლავთან უკვე ხდება „გამოთხოვება", ანუ საბოლოო გამომშვი-

---

274 P. Heinrich, Die Totenklage im Alten Testament, 1931, გვ. 1-84; М.Ковалевский, Закон и Обычай на Кавказе.Т. I, გვ. 180 და შემდეგი გვერდები, 76, იქვე. გლოვა ეგვიპტეში: von Bissing, Freiherr, Tonfigur. Klagender aus dem frühen Mittl. Reich. გვ. 157-160, Arch. f. Orientforschung 1931.

დობება, რასაც თან ახლავს გულამოსკვნილი ტირილი, მწუხარება, ქვითინი და კივილი, სამგლოვიარო სიტყვებს მწარე, ღრმა წმუხარების გამომხატველი ჟესტები ენაცვლება.

ეს ფორმები და სამგლოვიარო პროცესი დღემდე დამახასიათებელი და გავრცელებული წეს-ჩვეულია კავკასიის ტერიტორიაზე.

მუდმივი დარდი, მთელი ცხოვრების განმავლობაში მწუხარებაში ყოფნა, განუწყვეტელი ტირილი და მოთქმა ჭირისუფალთა მიერ მიცვალებულისადმი თანაგრძნობის გამოხატვის დამახასიათებელი ნიშანია. ისინი ძაძით არიან მოსილნი მთელ ტანზე; მიცვალებულთა ხსოვნის დღეებში ჭირისუფლები კვლავ მგლოვიარედ არიან, ტირიან, ღვთისმსახურებას ასრულებენ და საკურთხს ამზადებენ (საჭმელი საფლავზე მისატანად, რომელსაც მღვდელი აკურთხებს). ჭირისუფლები, განსაკუთრებით კი ქვრივები, სულ მუდამ მწუხარებაში არიან და გლოვობენ. ეს თვისება უცხოთათვის შეიძლება ყოველთვის გასაგები არ იყოს.

ჭირისუფლები აღარ იცვამენ თეთრ ან ფერად ტანსაცმელს, მათ თავიდან ბოლომდე შავი ფერის სამოსელი აცვიათ. თვით ხანჯლის, ხმლის თუ პისტოლეტის ვადა, ტარი, სპილოს ძვლის იქნება ის თუ ლითონის, შავი ფერით უნდა იყოს შეფერილი (კავკასიელები შინაურ გარემოშიც ხშირად იარაღასხმული დადიან). ქალები თმებგაშლილი არიან, ხოლო კაცებს თმები და წვერები აქვთ მოშვებული. ეს გლოვა, მგლოვიარობა წლების განმავლობაში გრძელდება, სრულდება სხვადასხვა სახის ცერემონიები და შემდეგ ახლოვდება ეგრეთ წოდებული „გამოგლოვება“, რომლის დროსაც მამაკაცი წვერს იპარსავს და თმებს იკრეჭს და ნაწილობრივ იხდის შავი ფერის ტანსაცმელს, მაგრამ შავ კოსტუმს კვლავ ატარებს. რაც შეეხება ქალებს, განსაკუთრებით კი ქვრივ ქალებს, მათთვის თითქმის არ არსებობს „გამოგლოვება“.

იგივე სურათს ვხვდებით ასევე მე-17 საუკუნის სამეგრელოში (კოლხეთში). აქ, გარდა სხვა წეს-ჩვეულებისა, მოქმედებდა აგრეთვე შემდეგი წესი: როდესაც მიცვალებულს დასტიროდნენ, მამაკაცები წელს ზემოთ გახდილები იყვნენ. მიცვალებულს დამარხვისას ზეთს გადაასხამდნენ და თავზე ღვინით სავსე პატარა ჭურჭელს ადებდნენ[275] და ისე მარხავდნენ. შემდეგ მიცვალებულის პატივსაცემად და მოსახსენიებლად გაშლილ სუფრასთან ჯერ მღვდელი დაილოცებოდა და ცოტა

275 დასავლეთ საქართველოში მიცვალებულთა კულტის აღწერისას გიულდენშტეტმა დაადასტურა ღვინის გამოყენება 1770-1773 წლებში; მიცვალებულს ჯერ წყლით, შემდეგ კი ღვინით განბანდნენ. საქართველოს გეოგრაფიული და

ღვინოს დააქცევდა ძირს, რასაც იქ შეკრებილნიც ბაძავდნენ. სამგლოვიარო ტანსაცმელს მიეკუთვნებოდა აგრეთვე მაღალი ქუდი და თხის ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი, რომლის ბეწვიც გარედან ჩანდა. ჭირის სუფრაზე საჭმელი ხის ჭურჭლით შემოჰქონდათ. ირგვლივ ყოველივე მწუხარებით იყო მოცული. ხორცის ჭამა ნებადართული არ იყო, მხოლოდ მცენარეულ საკვებს მიირთმევდნენ, რაც პირადად მე დასავლეთ საქართველოში არაერთხელ შემინიშნავს. პირველი ოთხი კვირის განმავლობაში მიცვალებულს ყოველდღე (გარდა კვირა დღისა) გლოვობდნენ საფლავზე, მაგრამ იქ მხოლოდ ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ. მეორმოცე დღეს დიდ ჭირის სუფრას შლიდნენ დაპატიჟებული ხალხითურთ. კლავდნენ მსხვილფეხა საქონელს, თხებს და ა. შ. მღვდელი დაილოცებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწოდებდნენ საჭმელს იქ მყოფთ და ღარიბ-ღატაკებსაც უნაწილებდნენ. მხარის თავადი თავისი ცოლის გარდაცვალებისას დღეში 300 სულ მსხვილფეხა პირუტყვს კლავდა. თავადი მოდიოდა თავის მხლებლებთან ერთად და წელს ზემოთ შიშველი გლოვობდა მიცვალებულს მისი ნივთებისა და ცხოველების წინ, რომლებიც სხვადასხვა ადგილას იყვნენ განთავსებული. აქ იყვნენ ასევე ცხენები, ძაღლები, შევარდნები და ა. შ., რომლებიც დიდ პატივში ჰყავდათ. ეს ოჯახის უდიდეს პატივისცემად ითვლებოდა. თავადი და მისი თანმხლებლები მდიდრულ საჩუქრებს იღებდნენ და შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. ასევე ამბის მაუწყებელიც დასტიროდა მიცვალებულს, რომლის რომელიმე ნივთს თან მოიტანდა და თვითონ დიდ ოთახში ჯდებოდა მოსასვენებლად. ოჯახის წევრები, რომელთაც მაცნე ამბავს მოუტანდა, გლოვას იწყებდნენ ჯერ კიდევ არმოყვანილი მიცვალებულის გამო ზემოაღწერილი ჩვეულების მიხედვით.[276]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გლოვა აფხაზებში; მიცვალებულს საცხოვრებელი სახლის უშუალო სიახლოვეს, ბაღში ანდა ეზოში მარხავენ; ოჯახის წევრები და უახლოესი ნათესავები მას უმეტესწილად ფეხშიშველი მიაცილებენ, რაც ასევე სხვა კავკასიელი ხალხებისთვისაცაა დამახასიათებელი უკვე შუასაუკუნეებიდან და მე-18 საუკუნიდან. უდიდესი და უღრმესი მწუხარება მთელს საგვარეულოში და მთელ

სტატისტიკური აღწერა (1809), გვ. 381-389. ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც დასტიროდნენ მიცვალებულს წელს ზემოთ შიშველნი მე-16 საუკუნეში. იხ. ჯიჯინაძე, საქართველოს ცხოვრება, გვ. 309-317.

276 Lamberti, მითითებული ნაშრომი, გვ. 66-75.

სანათესაოში მაშინ ისადგურებს, როდესაც ძუძუმტე მოკვდება;[277] გარდაცვლილის აღმზრდელის მთელი მოდგმა დასტირის მას და სრული 40 დღე ღრმად დამწუხრებული და ფეხშიშველი იმყოფება „მის სახებასთან", „ანშანი" რომ ეწოდება და რომელიც გაკეთებულია მისი ტანსაცმლის, იარაღისა და სამკაულებისაგან.

აფხაზეთში არ არსებობს უფრო მტკიცე და ძლიერი ნათესაური დამოკიდებულება, ვიდრე ეს არის „გაზრდილს" და გამზრდელს შორის ამ უკანასკნელის მთელ მოდგმასთან ერთად. მგლოვიარე მარხულობს და თმებს უშვებს, იზრდის, რომლის შეკრეჭის ნებართვასაც იგი მოგვიანებით მხოლოდ იმას აძლევს, ვინც მას გარდაცვლილის ადგილს შეუცვლის, ანუ იგი უკვე გარდაცვლილს შეცვლის მგლოვიარეთათვის.[278]

მიცვალებულებს საგანგებო შესაწირავებით მიაგებენ პატივს. საჭმელებით სავსე გრძელი, ვიწრო ლანგარს კარებთან დებენ, იყენებენ საკმეველს, საჭმელზე ღვინოს ასხამენ და სრული სიწყნარეა, ვიდრე ეს ყოველივე „მიცვალებულს მიუვა". ოჯახის უფროსი ლოცვას აღავლენს დაკლული, შეწირული ცხოველის გულით და ღვიძლით ხელში. მიცვალებულის პატივსაცემად ადრე თავშესაფარს აგებდნენ მის სახელზე, რასაც „აბაყას" უწოდებდნენ, სადაც მისი შესაწირავები ეწყო. იქ მოგზაურები შედიოდნენ ხოლმე დასასვენებლად. ასევე დიდ სამოძრაო გზებზე გრძელ სკამებს დგამდნენ, რომლებზეც მიცვალებულის სახელი ეწერა და „ატვარა" ერქვა. ასევე თხრიდნენ და აგებდნენ ჭებს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქტია აფსქვერა (აფსე - სული, ა-ქვე – გაზიარება), ე. ი. შესაწირავები მიცვალებულისათვის ერთი წლის თავზე; ზემოაღნიშნულ „ანშანს" შემდეგნაირად აწყობენ: მიცვლებულის ტანსაცმელს, ნივთებს, აკაზმულობას დივანისმაგვარ საწოლზე ისე დააწყობენ, დაალაგებენ, როგორც მათ სინამდვილეში ატარებდა; მიცვალებულს ხელახლა დასტირიან. შინაურებს შემოჰყავთ დასაკლავი პირუტყვი: თხები, ხარ-ძროხა, ცხენები და ა. შ. შინაურები ამ ცხოველებთან ერთად ეზოსთან მიდიან და შიგ შესვლას ითხოვენ. მათ ამის ნებას აძლევენ. ნებართვის მიღების შემდეგ ცხენი ან ხარი ეზოში შეჰყავთ. ხარის რქები ოქროთია შემკული, ხოლო სხეული ფერადი

277 მამამძუძეს აფხაზურად ჰქვია აბაძეი, ხოლო ძიძას- ანაძეი. იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 191-192. შდრ. Ф. Лукьянов, Из космогонических поверий абхазцев // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа ტ. 34, 1904, მე-3 განყოფილება. გვ. 29-39; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, 1928. გვ. 165-170; Державин, Абхазия в этнографическом отношении, გვ. 27-281.

278 Н. Джанашия, მითითებული ნაშრომი, გვ. 180-188.

ნაჭრებითაა დაფარული. ზურგზე ცხოველს სიგრძივ თოკი აქვს დამაგრებული, რომელზეც ხილია ასხმული. ხარის წინ და უკან მდგომებს ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ. ისინი სამჯერ მიმოივლიან ეზოს, შემდეგ თვითონ მათ სამჯერ შემოუვლის ცხოველი, სამჯერ მღერიან საგანგებო სიმღერას „ჰაივას“. შემდეგ იწყება მოთქმა-გოდება. ღამეს „ანშანთან“ მხიარულად ატარებენ: გართობა, ხუმრობა, სიმღერები, ცეკვა, სპორტული სანახაობები, ცხენებით რბოლა, ხტომა, სროლა და ა. შ. ამ დროს აუცილებლად „ანშანთან“ უნდა იდგეს განსვენებულის ცხენი. სუფრასაც ანშანთან შლიან. ყოველი იქ მყოფი, საკმევლით ხელში, განსვენებულს მიმართავს შემდეგი სიტყვები: „ღმერთმა მოგცეს იმქვეყნად!“

მიცვალებულ წინაპრების სულები[279] მფარველებად არიან მიჩნეული, რომლებიც შეწირული მსხვერპლის წყალობით კეთილად და მოწყალედ განწყობილი არიან. მას მსხვერპლს სწირავენ პატარძლის სახლში მიყვანის დროს, ბავშვის დაბადებისას, ძროხის მიერ ხბოს პირველი მოგების დროს და ა. შ. სუფრას გაშლიან და წინაპართა სულებს შემდეგნაირად მიმართავენ: „თქვენ, რომლებიც სახლის გარეთ იმყოფებით, ძველები და ახლები“. მიცვალებულისათვის მსხვერპლის შეწირვის აუცილებლობაზე მოგვითხრობს ლეგენდა: აფხაზი ერთხელ ეპიკურ გმირებთან, ნართებთან საიქიოში მოხვდა. ერთის გარდა, იქ ყველას ჰქონდა გაწყობილი მაგიდა. მან თქვა, მე ბოლოს მოვკვდი და ჩემიანი აღარავინ დარჩა დედამიწაზე, ამიტომ მსხვერპლს ვერავინ მწირავსო. ნართები კი შესაწირავს ადამიანებისაგან იღებდნენ. ამის მოსმენით სიბრალულით განმსჭვალული აფხაზი ნართს მსხვერპლს სწირავდა, რისთვისაც აფხაზს საუკეთესო ჯიშიანი ძაღლები და საუცხოო ცხენი გაუგზავნა მადლიერების ნიშნად.[280]

ასეთი წარმართული ტრადიციები და წეს-ჩვეულები დამახასიათებელია ასევე სვანებისათვის და მათი სამეზობლოს მთიელი ტომებისათვის.[281] სულის მოსახსენიებელ დღეს, წლისთავზე, მიცვალებულთა სულები შინ დაბრუნებულად ითვლებიან. მიცვალებულის ტანსაცმე-

279 იქვე, გვ. 187

280 ჩერქეზების რელიგის შესახებ: Potocki, Voyage... ტ. I, გვ. 123, 306, 352; ჩეჩნების რელიგიის შესახებ: A. Dirr, Die alte Religion der Tschetschenen // Anthropos. ტ. 3, 1908, გვ. 729-740, 1050-1076; ასევე, Klaproth, Voyage... Hahl-Bey, La porte, Das land der letzten Ritter, გვ. 48, 64-70 (ძველი ღმერთებისა და მათი ფუნქციების შესახებ, გვ. 180-181, 141, 247).

281 გ. ჩიტაია, სვანური საკურცხილი, გვ. 87-110. წინაპრებისგან მემკვიდრეობით

ლებში გამოხვეული თოჯინა მაგიდასთან საპატიო ადგილზე ზის. სვანი მოსახლეობა მას „ლილშანს“ უწოდებს, აფხაზები კი „ანშანის“ სახელით იხსენიებენ. როგორც სვანების ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ასევე მიცვალებულთა კულტთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საპატიო სავარძელი: მხოლოდ ოჯახის უფროსს აქვს უფლება ღირსშესანიშნავი შემთხვევების და გარემოებების დროს ამ სავარძელში იჯდეს, მაგალითად, როდესაც სტუმრები მოდიან, მსაჯულები თავიანთ სათქმელს ამბობენ ანდა რაიმე საყურადღებო ოჯახური საკითხი განიხილება. ეს სავარძელი, რომელსაც „საკურცხილი საკარცხვილი ეწოდება, არის სრული ძალაუფლების სიმბოლო მის ოჯახში,რომელიც აუცილებლობით არის გაპირობებული. ამიტომ ის დიდი ხელოვნებით, ოსტატურად არის მოჩუქურთმებული ძველებურ სტილში და გაკეთებულია მაღალხარისხოვანი ხის მასალისაგან. იგივე სავარძელი ეთმობა მიცვალებულთა სულებს შინ დაბრუნებისას, რომლებიც წარმოდგენილნი ჰყავთ როგორც მაგიდასთან მსხდომნი, მაგიდასთან, ამ დღეს რომ გაიშლება ზედ დაწყობილი მრავალფეროვანი, უხვი საჭმელ-სასმელით, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სულების ეს ზეიმი გრძელდება შემდგომ ორშაბათამდე, რაც მოიცავს ხუთ ან უფრო მეტ დღეს. ამ დროს გამეფებულია სრული სიწყნარე, რომელსაც მკაცრად იცავენ. ოჯახის წევრები კუთხეებში იკავებენ ადგილებს. შემდეგ წამოდგება ოჯახის უხუცესი და თავშიშველი, მოკრძალებითა და მოწიწებით მიუახლოვდება საპატიო მაგიდას და ზემოაღნიშნულ „საკურცხილს“ და ჭიქა ღვინით ან ჭიქა არყით ხელში მიმართავს იქ მყოფ სულებს, მოუხმობს რა მთავარ წინაპარს და უსურვებს მათ ნეტარ სიმშვიდეს. ამის შემდეგ იგი ძალზე წყნარად უკრავს ინსტრუმენტზე. თავდაპირველად სუფრაზე მცენარეული საჭმელებია, ყოველ შემთხვევაში, ხორცის გარეშე, შემდეგ კი ხორციც შემოაქვთ. ცოტა ხანში სულებთან გამომშვიდობების დრო დგება; მაგიდა ეზოში გააქვთ; აცხობენ მომცრო ზომის პურებს, რომელთაც კვერებს უწოდებენ. საავარძელი, ანუ „საკურცხილ“ ხშირად საოჯახო კერიის უმნიშვნელოვანესი ნაწილით „მასუარაშით“ იცვლება, სადაც ოჯახის უხუცესი თავის პრივილეგიურ, ანუ ოჯახის უფროსის მოვალეობას ასრულებს და რომელიც, თბილისელი დოცენტის გ. ჩიტაიას ფრაზა რომ გამოვი-

მიღებული ქონება სვანეთში წმინდაა და მისი გაყიდვა უდიდესი სირცხვილია და ეს აკრძალულია. თუ სვანი ძალზე ღარიბია და მიცვალებულებს ვერაფერს სწირავს, მაშინ შეუძლია ქონების გაყიდვა, რათა შესაწირავები გაიღოს.

ყენოთ, თავის ვიწროთ წრეში შეუზღუდავი ხელისუფალია; მას „ქორა მახვშს“ უწოდებენ.

იმერული წეს-ჩვეულების მიხედვით, ამბის მომტანს სახლში შესვლის უფლება არ აქვს. ტირილი (შეცხადება) სხვა ეზოს ჭიშკართან იწყება, სადაც ამბის მაუწყებელი ოჯახის უხუცეს ადამიანს უხმობს. იმერლების წარმოდგენით, მიცვალებულის სული კიდევ 40 დღის განმავლობაში მის ოჯახში ტრიალებს. მისთვის კვლავ აკეთებენ საჭმელებს და მაგიდაზე აწყობენ. ორმოცი დღის შემდეგ ყველა ნათესავი და ნაცნობი საფლავთან იკრიბება და კვლავ ტირილი და მოთქმა-გოდება იმართება. მეორე დღეს კი განსვენებულის სახლში დიდი საზეიმო სუფრა იშლება, სადაც მხოლოდ ღვინო და მცენარეული საჭმელები გამოაქვთ, ასევე თევზი. ყოველივე ეს მიცვალებულის სულთან გამომშვიდობებისათვის კეთდება.[282]

უამრავია განსვენებულის მოსახსენიებელი დღეები და მისთვის განკუთვნილი შესაწირავები. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებთ: აღდგომის მეორე საზეიმო დღეს მეგრელები დილით ადრე მიცვალებულის საფლავზე მსხვერპლს სწირავდნენ - ცხვრებს, თხებს და ა. შ., რომლებსაც მღვდელი ლოცვების თანხლებით კლავდა და რომელთა სისხლს საფლავზე ასხამდა. საფლავზე ხის ტოტებისაგან მოწნულ პატარა სახლს დგამდნენ,[283] რომელსაც სანთლებითა და ყვავილებით ლამაზად რთავდნენ და მოაარშიებდნენ. შემდეგ შინაურები მიდიოდნენ მოზრდილ მდელოზე, ეკლესიის წინ, სადაც ძალიან ლამაზი ხეები იყო დარგული და ყოველი ოჯახი თავის საკუთარ ხესთან ჩერდებოდა. ყველანი ერთდროულად უნდა დამსხდარიყვნენ მოლზე, მაგრამ არა ისე, რომ ერთი უფრო ადრე და მეორე უფრო გვიან. ისინი ერთმანეთს აწვდიდნენ საჭმელებს (საკურთხს), რათა მოეხსენიებინათ სულები, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ა. შ. ისინი ამბობდნენ, ახლა მიცვალებულებიც ხარობენო. აღნიშნულ საკურთხს სხვა დროსაც აკეთებდნენ.

დილით ადრე, შობის პირველ საზეიმო დღეს დიდი ხნის მარხულობის შემდეგ ხორცს ჭამდნენ და ლოცულობდნენ. შემდეგ მიდიოდნენ ეკლესიაში, ყურძნით, ვაშლებით, თხილით, ნიგვზით და ხაჭაკვერებით დატვირთულები, რომელთაც თავიანთი გარდაცვლილების საფლავზე

282 მ. ი. საღარაძე. დასავლეთ საქართველოს კულტურულ-ისტორიული ნარკვევები. 1909, გვ. 59.

283 იხ. ჩერქეზების საცხოვრისები.

დააწყობდნენ, რის შემდეგაც მღვდელი წირვას ატარებდა. იგი თავისი ლოცვანით და საკმევლით ყველა საფლავს რიგრიგობით მოინახულებდა და თან ლოცვებს წარმოთქვამდა. ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ და საკმეველს აკმევდნენ. ასევე თან მოჰყავდათ მტრედები, რომელთა სისხლს განსვენებულთა სულისათვის მათ საფლავებზე ასხამდნენ.[284]

კლასიკოსი მწერლების მოძიებული ცნობებით ვიგებთ, რომ კოლხები თავიანთ მიცვალებულ კაცებს ხარის უხეშბეწვიან ტყავში გაახვევდნენ და ქალაქგარეთ ხეებზე ჰკიდებდნენ.[285]

ზოგიერთ მხარეში, განსაკუთრებით კი მთიან დასახლებებში მგლოვიარე ქალები თმას იჭრიან და მიცვალებულს თან ატანენ. ეს წესი, მაგალითად, ფშაველებში სავალდებულოა, თუკი ძმა იღუპება.[286]

ჩერქეზები იკრიბებიან თავიანთი ნათესავების საფლავებზე და ერთგვარ შეჯიბრებას აწყობენ ცხენების ჭენებაში. სამჯერ შემოაჭენებენ ისინი ცხენებს საფლავების გარშემო, ცოტათი ყურებს გაიჭრიან და იქიდან გამონადენ სისხლს საფლავებზე დააწვეთებენ, რომლის დროსაც იტყვიან: „ეს სისხლი შენთვის". ამგვარ ცხენებით შეჯიბრებაში გამარჯვებული პირი საუკეთესო ჯილდოს იღებს.[287]

წინაპართა კულტი ფშაველების, ოსებისა და სხვა კავკასიელ ხალხების რელიგიური შეხედულებების საფუძველია. ამ კულტს ემსახურება მთელი ეს მხარეები, ოჯახები და საგვარეულოები. წინაპრების სულები ღმერთებთან შუამავლობენ, ან თვითონ არიან მფარველი ღვთაებები და ხანგრძლივ კარგ ან ცუდ ურთიერთობაში არიან ამქვეყნად დარჩენილებთან იმისდა მიხედვით, თუ როგორ ართმევენ ისინი თავს მათ წინაშე თავიანთ მოვალეობებს. მ. კოვალევსკი პოულობს აქ მრავალ იდენტურ ნიშან-თვისებას ძველი დროის წინაპრების კულტთან და არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ წინაპრების და მკვდრების კულტმა მთელი ოჯახები, უფრო მეტიც, მთელი საგვარეულოები გააჩანაგა და დაღუპა კულტმსახურებასთან და მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სიძნელეების გამო.

ჩეჩენი ხალხის გარდაცვლილთა კულტთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიცვალებულთა მიწისზედა სახლები, რომლე-

284 Lamberti, მითითებული ნაშრომი; Chardin, Voyage... ტ.1, გვ. 311-322

285 Latyschev, Scythica et Caucasica, I, 418; აპოლონ როდოსელი, III, 200-205.

286 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, ტ. 2. გვ. 73-78.

287 Potocki, Voyage და ა. შ., ტ. I, გვ. 275.

ბიც თავდასაცავ და ასევე საცხოვრებელ კოშკებთან ერთად ფართოდ არის გავრცელებული ცენტრალურ კავკასიაში - ჩრდილოეთში უფრო მეტად, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში. მათი გავრცელების ნიშნები საგრძნობია ასევე აღმოსავლეთ კავკასიაში, სახელდობრ კი დაღესტნის ტერიტორიაზე. ამ კოშკების აგება საინტერესოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგან ძველ კოლხეთში კოშკებს ხის მასალისგან აშენებდნენ ისევე, როგორც პონტოსა და აღმოსავლეთ მცირე აზიაში, ასევე შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში (ძველ კოლხეთში). ყველა ეს ნაგებობა ოთხკუთხაა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე მრგვალი ფორმის კახური კოშკები, როგორებიც გვხვდება აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, სახელდობრ კი შინვანში. ეს ფორმა ფართოდ არის გავრცელებული ასევე ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზე. მაგრამ ჩეჩნური ოთხკუთხა კოშკური ნაგებობები ძალიან ჰგავს ასევე ლიკიურ კოშკებს დასავლეთ მცირე აზიაში.[288] საცხოვრებელი კოშკები, როგორც თავდასაცავი ნაგებობები ერთმანეთს ჰგავს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, განსაკუთრებით კი ალბანეთსა და პელოპენესში (სამხრეთ ტაიგეტში), რუმინეთსა (ოლტენია) და ჩრდილოეთ ბულგარეთში (ვრაცა). ჩეჩნური დამცავი კოშკების სახურავის კონსტრუქციები, როგორც ჩანს (ასევე გარდაცვლილთა მიწისზედა სახლები), ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღმოსავლეთში.[289] ყოველ ჩეჩნურ ოჯახს ჰქონდა თავისი საკუთარი გარდაცვლილთა სახლი, სადაც ზოგჯერ მძიმე ავადმყოფებიც მიჰყავდათ, რათა იქ განეტევათ სული; ასეთივე წესი ჰქონდათ ინგუშებსაც ჯერ კიდევ 30-40 წლის წინ. გარდაცვლილთა სახლებს ჩეჩნურად „მალხ-კაშ“, ანუ მზის საფლავი ეწოდება (მალხ ნიშნავს მზეს) და მათი კარკასის ფორმა და ფერები სავსებით ჰგავს ხევსურულს. კერა, სადაც წინაპრები უჩინრად სხედან, წმინდა ადგილია. ყოველ საღამოს ინგუში დიასახლისი ნაკვერჩხალს ინახავს კერაზე და შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „ღმერთმა მოგვცეს აქ მუდამ ცეცხლი“, ე. ი. მომავალ თაობას გულისხმობს. შეწირვის მიზნით, ანუ როგორც შესაწირავს, კერიაზე დებდნენ ერთ

288 კოშკების აგება ჩრდილოეთ კავკასიაში: ინგუშეთში, ჩეჩნეთში, ოსეთში, მთიელ თათრებსა და ყარაჩაელებში; სამხრეთ კავკასიაში: თუშეთში, ხევსურეთში, მთიულეთში (საქართველოს მთიან მხარეებში). სამხრეთ ოსეთში, სვანეთსა და რაჭაში. მიცვალებულთა ზემოაღნიშნული სახლები არა აქვთ სვანებს, თუშებს, აფხაზებს და ა. შ. Plätzschke, Die Tschetschenen (1929), გვ. 39-114.

289 იქვე, გვ. 61-64, 65-84.

ნაჭერ საქონლის ქონს, ფქვილის გუნდას და სხვა.[290]

სტუმართმოყვარეობა ჩეჩნებში წმინდა წესია (ყონაღობა, სტუმრობით დამეგობრება). მისი დარღვევა განდევნით ისჯება; ასევე არანაკლებად მძივნვარებს მათში და ინგუშ მოსახლეობაში სისხლით შურისძიება, სისხლის აღებასაც რომ უწოდებენ, რაც წინაპართა ხსოვნის პატივისცემის უკიდურეს გამოხატულებად ითვლება.

ე. სისხლის აღების ჩვეულება ინგუშებში

ნათესავის სისხლი უნდა გამოისყიდონ და შესაძლებელია, გამოსყიდული იქნეს მხოლოდ დამნაშავის ანდა მისი ოჯახის წევრის სისხლით. სისხლით შურისძიება ზოგჯერ რამდენიმე თაობაზე გადადის და შესაძლოა, მოგვიანებით ფულითაც შეიცვალოს. შერიგების მაძიებელი თმებს იზრდის და შუამავლის მეშვეობით პატიებას ითხოვს. თუ მეორე მხარე ამაზე დათანხმდება, შუამავლებს ის მათთან მიჰყავთ და თმას შეკრეჭენ. ამის შემდეგ ისინი უკვე ღვიძლ ძმებად ითვლებიან და ყურანზე ერთგულების ფიცს დებენ. მოწმეთა თანდასწრებით გამოსყიდვის დროს დაზარალებული მხარე ვალდებულია, მომავალში დევნაზე ხელი აიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან მიღებული ფული უკან უნდა დააბრუნოს და ახლა თვითონ გახდება „ყანლი“,[291] რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შურისძიებაზე პასუხს აგებს და აქეთ დაუწყებენ დევნას.

ინგუშების წეს-ჩვეულებით[292] შურისძიებაში აქტიურად მონაწილეობს ყველა რიგის ნათესავი მეოთხე თაობამდე: ბაბუა, მისი ძმა, მამა, ბიძია, ძმა, ბიძაშვილი (მამიდაშვილი, დეიდაშვილი), ვაჟი, ძმისწული და ა. შ. და ასევე იგივე - დედის მხრიდანაც. ამასთან ნაკლებად აქტიურად არიან ჩართულნი ნათესავები მეათე მუხლამდე (წევრამდე). ისინი დაზარალებულებს ეხმარებიან ცნობების შეკრებაში და სრულ ბოიკოტს უცხადებენ დამნაშავე მხარეს. თავდაპირველად დამნაშავეს ომს უცხადებენ: მის საცხოვრებელ თუ თავდასაცავ კოშკს ალყას შემოარტყამენ. ამისათვის იკრიბებიან დაზარალებულის ნათესავები. პასუხისგებას აკისრებენ მკვლელს, მის ძმას, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი მასთან ცხოვრობს, მამას, ვაჟს და ა. შ. მაგრამ არა ქა-

290 იქვე. გვ. 95 და მომდევნო გვერდები. М. Яковлев, Ингуши, 1925, გვ. 93-95.

291 А. П. Берже, Чечня и чеченцы, 1859, გვ. 95 და მომდევნო გვერდები.

292 М. Яковлев, გვ. 66, 71.

ლებსა და ბავშვებს - ესენი მხოლოდ ბოიკოტის ქვეშ არიან. ალყის შემოტყმიდან მეორე დღეს მოითხოვენ ხარს და თუ ამაზე უარი მიიღეს, კიდევ უფრო მეტს მიისაკუთრებენ. მესამე დღეს მოითხოვენ „ყიელიმს“ - თორმეტ ძროხას ალყის მოსახსნელად, ანდა კიდევ ორ იმდენს, იმ შემთხვევაში, თუ ალყის შემომრტყმელებს ამ დროისათვის ვინმე ნათესავი დასატირებელი ჰყავდათ. ალყის მოხსნის შემდეგ ბრძოლაც თავდება, მაგრამ არა შურისძიება. ახლა საქმეში ერთვებიან „იუყერები“ - სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები, შუამავლის ფუნქციას რომ ასრულებენ და ასევე „შემფასებლები“, რომლებიც დამნაშავის საგვარეულოს ყოველი ცალკეული წევრის ნათესაობრივ ხარისხს აზუსტებენ და ამგვარად „ვოშილისკენ“ (ძმობისკენ) მოუწოდებდნენ: დამნაშავის ძმა, რომელიც მასთან ერთად აღარ ცხოვრობს და ძმებს ერთმანეთში ძროხის ჯოგი უკვე გაყოფილი აქვთ, ათ ძროხას იძლევა; ცხრა ძროხას იძლევა შემდეგი უახლოესი ნათესავი (ბიძაშვილი), რვა ძროხას კიდევ მისი მომდევნო და ა. შ. ასე გრძელდება მეათემდე, რომელიც მხოლოდ ერთ ძროხას იძლევა. ვინც არ გადაიხდის, არ მისცემს, იმას ომი და ხიფათი მოელის. მოშუღლე კი ამ დროს თავის ოთხკედელშუაა ჩაკეტილი, რათა სასიკვდილოდ ნასროლი ტყვია თავიდან აიცილოს. მაგრამ თუ მას „მეარის ხარი“ (დამნაშავის ხარი) აქვს გადახდილი, მაშინ მას შეუძლია თავისი სახლიდან გამოვიდეს და ეზოში იყოს. სხვა შემთხვევაში მისი ყოველი მოძრაობა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშაა და მუდამ მოკვლის საშიშროება მოელის. პატიება იშვიათია და დანაშაულის გამოსასყიდი უდრის თორმეტ ძროხას, სამ ცხენს, აქედან ერთი კარგად შეკაზმული უნდა იყოს, ერთი ქართული აბრეშუმის ქსოვილი და ერთი ხარი საზეიმო შერიგების სუფრისათვის, რაც საკრალურად, წმინდად ითვლება; ასევე ლუდისა და არყის სმა საკულტო წეს-ჩვეულებაა. მაგრამ ზოგჯერ სისხლის ფასის (ფჰია - „საზღაური“) გადახდის შემდეგაც შეიძლება, მოხდეს შურისძიება. მაგალითად, თუ ვინმე მისი დაჭრიდან ცოტა ხნის შემდეგ ქოლერით გარდაიცვალა, დამნაშავემ მისი ოჯახის წევრებს ოცი ძროხა უნდა მისცეს, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მას მანამდე უვლიდა და ეხმარებოდა. ის მეარი ხდება მაშინაც, თუ ოც ძროხას არ გადაიხდის, რაც მას ეკისრებოდა, როგორც ამას უხუცესების სამსჯავროს მოითხოვს. სამსჯავრო (სასამართლო) შედგება შესაბამისი მხარის გავლენიანი უხუცესებისაგან და მას „დოუ დუცი“ (შუღლის, დავის განსჯა) ჰქვია. მომჩივანები მოითხოვენ მძევლებს, რომლებიც თავიანთი სიცოცხლით თავდებად უდგებიან სამსჯაროს

სამართლიან გადაწყვეტილებას. თითოეულ მხარეს თავისი თავდები პირები ჰყავს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან თავიანთი მხარის საქმის მსვლელობაზე. შემდეგ ირჩევენ მსაჯულს, მოსამართლეს, რომელსაც „ჯელიხოჲს“ უწოდებენ. საქმეშია დამამტკიცებელი არგუმენტი (სამხილი) ჯიქარა და მოწმეები „თიეში“. საქმეს წყვეტს ფიცი და პირები, რომლებიც ადასტურებენ ფიცის ქვეშ მიცემულ ჩვენებას. სამსჯავროს ატარებენ რომელიმე წარმართულ სამლოცველოში, მაგალითად, „ჯეირახ წუს“ ტაძარში.

ტაძრის ეზოში იდგა 1,25 მეტრი სიმაღლის ქვის კედელი, რომელიც მოსამართლეს, მის წარმომადგენლებს და მომჩივანს მოპასუხისაგან ჰყოფდა. აქ დებდნენ ფიცს – დუუს, რომელსაც ესწრებოდა ჩვიდმეტი ფიცის დამმოწმებელი (დამხმარეები – დუუხოი). ამათგან რვას ირჩევდა მოსამართლე მოპასუხის საგვარეულოდან, ხოლო ცხრას ირჩევდა თვითონ მოპასუხე სხვა ოჯახებიდან. ყველანი ავტორიტეტული და კარგი სახელის მქონენი უნდა ყოფილიყვნენ. ისინი, ვისაც ფიცი უნდა დაედო, მოდიოდნენ უიარაღოდ ტაძარში, დებდნენ ფიცს თავშიშველნი დაზარალებულის და ორი თავდების წინაშე; ისინი იფიცებდნენ ღმერთს, წმინდა ტაძარს და თავიანთი ოჯახის კერის ნაცარს. ვინც ცრუ ფიცს დადებდა, იმას არ ეყოლებოდა შთამომავლობა, დაბრმავდებოდა და დაკოჭლდებოდა... არავინ შეახებდა ხელს ფიცის დამდებს შიშის გამო, ვაითუ ცრუ ფიცი დადოო და არც მის ქუდს, ჯოხსა და სხვა ნივთებს მოჰკიდებდა ხელს. შემდეგ ამას მოჰყვებოდა ლხინი ფიცის დადებასთან დაკავშირებით მის დამმოწმებელთა პატივსაცემად: ბრალდებული კლავდა ცხვარს იქ მყოფთა გასამასპინძლებლად.

შურისმაძიებელი შეიძლება უკმაყოფილო იყოს ტაძარში დადებული ფიცით. მას შეუძლია მოითხოვოს, რომ ბრალდებულმა ფიცი „ქრისტიანულ საფლავზე“ დადოს. იგი მოიგდებს ზურგზე გოდორს, რომელშიც მანამდე საკვებს ყრიდნენ დაბმული საქონლისათვის და რომელშიც დევს რკინის ჯოხი, კერიაზე რომ ხმარობენ, სამი ცალი ქვა, ერთი ცული, ერთი მატყლის საჩეჩელი სავარცხელი, ერთი მრგვალი პური, ერთიც წყლის ჭურჭელი. ასე აღჭურვილი მიდის იგი დაზარალებულის სასაფლაოზე, სადაც იგი მომჩივანს ხმალამოღებული ხვდება. როდესაც ბრალდებული სამჯერ შემოუვლის საფლავს, მას მომჩივანი ეტყვის: „თუ შენ უდანაშაულო ხარ, მაშინ ღმერთმა თავისუფლება სწრაფად მოგანიჭოს, ხოლო - თუ არა, მაშინ ცუდად წასულიყოს შენი მკვდარი წინაპრის საქმე; ყოველივე ცუდი, რაც კი ჩემს

წინაპარს აქვს ჩადენილი, შენს წინაპარს აჰკიდებოდეს ზურგზე, ჩემი მკვდარი შენს მკვდარს დაჯდომოდეს ზედ! მაგრამ თუ შენ სუფთა ხარ, მაშინ სწრაფად დაგბრუნებოდეს თავისუფლება".

წინაპრების კულტს მიეკუთვნება ასევე ფიცის დადების შემდეგი ჩვეულება, რომელიც ინგუშების თქმულება-გადმოცემების თანახმად, დუეელებისგან მომდინარეობს, ინგუშებამდე ეს მხარე რომ ჰქონდა დაკავებული. ამ თქმულების მიხედვით, დიასახლისს - დედას, ცოლს, გათხოვილ დას ან დამნაშავის ბიცოლას ხვადი ძაღლი მიჰყავდა დაზარალებულის საფლავზე, სადაც მას შემდეგი სიტყვებით კლავდნენ: „ძაღლი ჰქონოდეს შენს მკვდარს ამოღლიავებული, როცა იგი დასაძინებლად დაწვება, ხელებით ეკავოს ის, როცა იჯდება ან, როცა მაგიდასთან დაჯდება, მაგრამ თუ შენ სუფთა და უდანაშაულო მოხვედი, მაშინ წადი სწრაფად, თავისუფალი ხარ". ამგვარი ფიცის დადება ითვლება უდიდეს სირცხვილად, რადგან ინგუშები ყველაზე დიდ პატივს სწორედ წინაპრებსა და თავიანთ მიცვალებულებს მიაგებენ. მაგრამ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ამ ფიცზე, რადგანაც ის იმ ხალხისაგან მომდინარეობს, რომელიც იქ ინგუშებამდე ცხოვრობდა და რომლის შესრულებაშიც ქალი მონაწილეობდა. ამაში ჩანს ამ მხარის წინა, ინგუშებამდელი მოსახლეობის მატრიარქალური ზეგავლენა. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში ქალის მონაწილეობა ამისთანა წესებში გამორიცხულია.

გამველელი, რომელიც შემთხვევით მოხვდა მკვლელობის ადგილას, ისევეა მკვლელობაზე პასუხისმგებელი, როგორც, მაგალითად, სახლის უფროსი, იმ შემთხვევაში, თუკი მისგან წასულ სტუმარს მოკლავენ ან დაჭრიან. ასევე, პასუხისმგებლობა ეკისრება იარაღის მეპატრონეს, თუკი მისი იარაღით მოხდება დანაშაული, ან ცხოველის მფლობელს, თუკი ეს ცხოველი გახდა უბედურების მიზეზი და ა.შ. მაგალითად, თუკი ქურდი სახლის მეპატრონის ეზოში (ღამით) ფეხს მოიტეხს ან სხვაგვარად დაშავდება, ან მოპარული ცხენით გაქცევის დროს მას დაედევნებიან და ის ამ დროს ჩამოვადრება, დაზიანდება ან მოკვდება - ყველა ამ შემთხვევაში სახლის მეპატრონე პასუხს აგებს დაზარალებული ქურდის ნათესავების წინაშე. ერთი კაცი ვიწრო ბილიკს მიუყვებოდა კლდის პირას. როცა ის გზად, ხრამის პირას მჯდომ მწყემსს მიუახლოვდა, ხელიდან ჯოხი გაუვარდა, რის გამოც მწყემსი შეკრთა, წონასწორობა დაკარგა და ხევში გადავარადა. კაცს მოუწია უბედური შემთხვევის მსხვერპლის ნათესავებისათვის გადაეხადა გამოსასყიდის

ერთი მესამედი; ერთი მესამედი მწყემსის „შემინებული სულისთვის“, ერთი მესამედი კი დავარდნილი ჯოხის გამოსაყიდი; ეს გადაწყვეტილება მიიღო ინგუშეთში საპატიო სასამართლომ.[293]

მჭედლები დიდი პატივისცემით სარგებლობენ ინგუშებში. ერთხელ, ოთხი მუშტარი მჭედელთან მივიდა. მჭედელი ერთი წუთით სამჭედლოდან გავიდა. ამ დროს ერთ-ერთმა მუშტარმა მეორეს სთხოვა, შენი თოფი მაჩვენეო; მესამე მუშტარი იქვე გვერდზე იჯდა, ხოლო მეოთხე გრდემლს უროს სცემდა ისე ძლიერად, რომ ჰაერში ნაპერწკლები ცვიოდა. მოულოდნელად თოფი გავარდა და მესამე მუშტარი სასიკვდილოდ დაჭრა. ყველა მუშტარი და მჭედელიც პასუხისგებაში მისცეს. თუ შემთხვევითია მკვლელობა და ეს შემთხვევითობა დამტკიცდა, მაშინ კიდევ შესაძლებელია პატიება. ისეც ხდება, რომ შუამავლები, ზოგჯერ, კვირებისა და თვეების განმავლობაში დაჟინებითი თხოვნის შემდეგ ახერხებენ შურისმაძიებლისგან პატიებაზე თანხმობის მიღებას. ასეთ შემთხვევაში, დამნაშავის ოჯახის ან საგვარეულოს წევრები საზეიმო პროცესიით მიდიან შურისმაძიებელთან სახლში. რვა-ათი ადამიანი უიარაღოდ (რაც, სხვათა შორის, დიდ დამცირებად ითვლება), წელზე შემოხვეული ტილოს ქსოვილით მიეშურებიან შურისმაძიებელთან სახეზე ღრმად ჩამოწეული ბეწვის ქუდებით (სევდიანობის გამოხატვის ნიშნად), წინ მკვლელი მიდის თავის ოჯახის წევრებთან ერთად, მათ მიყვებიან ნათესავები შერიგების გამომხატველი სიმღერებით და ა. შ. ჭიშკართან ყურანზე იფიცებენ და სიწმინდის ფიცს დებენ. ყველანი ეზოში შედიან და დაზარალებულის წინ მუხლებზე ვარდებიან. ირგვლივ ერთგვარი საზეიმო სიჩუმე სუფევს. ამ გადამწყვეტ მომენტში მომჩივანი, მისი ოჯახის წევრები და ნათესავები უკანასკნელ ბრძოლას ატარებენ საკუთარ თავთან, რათა თავშეკავება არ დაკარგონ. ქალები უმეტესწილად ყოველთვის პატიების წინააღმდეგი არიან. ბოლოს, მოდის მთავარი დაზარალებული, მოკლულის მამა ან ვაჟიშვილი და სხვა, რომელთაც თან ახლავთ ნათესავები. ისინი მოდიან და მათ მოაცილებს ქალების ყვირილი და მოთქმა, ისინი დაზარალებულს ახსენებენ გარდაცვლილს, მისადმი ვალდებულებას. ოჯახის უფროსს უკან მოჰყვებიან ნათესავი მამაკაცები, რომლებიც ზოგჯერ ვერ ფარავენ ზიზღს სახეზე.

მთავარი დაზარალებული უახლოვდება მუხლებზე დაჩოქილთა წინა რიგს და ყოყმანით, საკუთარ თავთან ბრძოლით, მარჯვენა ხელს

293 Умалат Лаудаев, Чеченское племя. გვ. 50-52. უ. ლაუდაევი თავად იყო ჩეჩენი და რუსულ სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა.

შეახებს მათ ქუდებს და შემდეგ ფეხზე წამოაყენებს მათ. ჩუმი, ძლივს გასაგონი ხმით იგი პატიების, მიტევების სიტყვებს ბუტბუტებს. ამის შემდეგ ის და მისი ნათესავები ამ სიტყვებს ყველას განმეორებით ეუბნებიან. ამგვარად ხდება პატიება და შერიგება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. მკვლელი შვილის ნაცვლად უნდა იქნას მიღებული. ვერცხლის მონეტებს, ლითონის ფულს ჭიქაში ჩასხმულ რძეში ჩაუშვებენ, საიდანაც ჯერ მკვლელი და შემდეგ დაზარალებულები მოსვამენ. ზოგჯერ ხდება, რომელიმე ამ უკანასკნელთაგან რაიმე საბაბით, მაგალითად, მკვლელი უკვე ჩემი მეგობარიაო და სხვა, ამის გაკეთება არ სურს. მაშინ მას ამას მთავარი დაზარალებული მოსთხოვს და გააკეთებინებს, რითაც ყოველგვარი ფორმალობა შესრულებული იქნება, ურომლისოდაც შერიგება შეიძლება ადვილად ჩაშლილიყო. შუამავლებსაც აგრეთვე რამდენიმე კვირის განმავლობაში მუხლებზე დაჩოქილებს უნდა ეხვეწნათ პატიება შურისმაძიებლებისათვის. პატიებისა და დამნაშავის შვილად მიღების შემთხვევაში, ყოველივე ამას მოჰყვებოდა ქეიფის სუფრა მკვლელის ხარჯზე (ჰური, ღვინო, ლუდი და ა.შ.), რასაც საკულტო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, საერთოდ, ეს შერიგება ძალიან იშვიათად თუ მიიღწეოდა. როდესაც მკვლელი უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ იმ მხარის რომელიმე ძალზე გავლენიან პირთან გაიქცეოდა, მას შეეძლო გარკვეული იმედიც ჰქონოდა, რადგან ადგილობრივი წესების მიხედვით, დახმარებისა და მფარველობის მთხოვნელის უკუგდება და გაგდება არ შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, მასპინძელი ვალდებული იყო სტუმარი იარაღით დაეცვა, თუნდაც მათ შორის დაპირისპირება შუღლი (ტომ) ყოფილიყო. ადგილობრივები მოგვითხრობენ შემდეგ ამბავსაც: ერთმა მასპინძელმა თავისი სტუმარი გასცა, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი, ცხადია, მოკლულ იქნა. მეორე დღეს დამსმენთან მოკლულის მამა მივიდა და უთხრა: შენ ჩემი შვილი დააბეზღე და მოაკვლევინე, ჰოდა, ახლა მის ნაცვლად შენი შვილი მომეცი! საწყალი მამა იძულებული იყო ეს მოთხოვნა შეესრულებინა. ის და მთელი მისი ოჯახი მონებად ჩათვალეს და „ორჯერ დახოცილები“ (მკვდარ-შერცხვენილი) უწოდეს. ყველა ერიდებოდა მისი ოჯახისა და მისი ნათესავების დამოყვრებას და ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს მათთან.

ასევე ხევსურები და ფშაველები, ქართული წარმოშობის ხალხები, დიდად ტრადიციულები არიან თავიანთ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენაში; მათთან დამარხვა და მიცვალებულების კულტთან დაკავშირებუ-

ლი წეს-ჩვევების შესრულება ღრმად არქაული წესით ხდება. ღვთაებისადმი მათ რწმენას მოწმობს, მაგალითად, შემდეგი ფშაური სიმღერა:

„შემოქმედმა ღვთაებამ განაცხადა:
მე გავაჩინე წყალი და დედამიწა თავიანთი მთებითა და ხეობებით,
მინდვრებითა და ველებით,
გარშემორტყმული სამი ზღვით: თეთრით, წითლით და შავით;
ყოველივე ეს გადავხურე ზეცით მავთულისაგან,
მინისა და ფოლა დისაგან.
მასში გავაჩინე მზე, მთვარე, მრავალი ღრე და ღამე.
დაბრძანდა წმინდა გიორგი, მბრძანებელი ყველა,
ოთხივე მიმართულებით.
ქრისტიანობის სალოცავად შეიქმნა ჯვარი“ და ა. შ.

აქ შემოქმედი ღვთაება მიჩნეულია მთელი სამყაროსა და ზეცის შემქმნელად, ფოლადად და რკინის ჯაჭვად, როგორც ეს ძველად შუამდინარეთში იყო ცნობილი. წმინდა გიორგიმ აქ წარმართული ღმერთი შეცვალა; იგი გვხვდება აგრეთვე, გარდა ამისა, წარმართულ ღმერთებშიც და ნახევარღმერთებში. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, არსებობდა გმირი, სახელად იახსარი, რომელიც სიწმინდისა და სამართლიანობისთვის იბრძოდა, უსამართლობას ებრძოდა და საერთოდ, დიდი გმირი იყო. სწორედ მას დაუძმობილდა წმინდა გიორგი და მასთან ერთად მუდამ უსამართლობის წინააღმდეგ ილაშქრებდა, იმავდროულად კი კეთილ ადამიანებს ქომაგობდა. მათ სამი თანაშემწე ჰყავდათ: „კოპალა“, რომელიც ბერი იყო და მუდამ მათთვის ლოცულობდა, როდესაც ისინი მტრებს ებრძოდნენ; მეორეს ერქვა „კარატესი“, - ერთგული რაინდი, მუდამ სადარაჯოზე რომ იდგა და ორივე გმირის უსაფრთხოების დასაცავად მამაცურად იბრძოდა; მესამე - „ლაშარის ჯვარი“, რომელიც მათი სიმშვიდის, სიმყუდროვისა და სიამოვნებისთვის ზრუნავდა, როდესაც ისინი ბრძოლის ველიდან უკან ბრუნდებოდნენ. ყველა ეს სახელი, „ღმერთები“ და სულები წარმართულია. დიდი ღმერთი „სამყაროს მომწესრიგებელია“ და იგი მეშვიდე ცაზე ზის. ქრისტე მიცვალებულთა ღმერთია. სამყაროს მომწესრიგებელი (მორიგე) ხატებითაა (დაახლოებით, როგორც ჩვენი ანგელოზები) გარშემორტყმული. ყოველ ხატს, თავის მხრივ, ჰყავს მაცნეები, კეთილი და ბოროტი სულები თავის გარშემო, რომელთაც ხატი, ჩვეულებისამებრ, ადამიანებთან აგზავნის. ყოველ მხარეს, დასახლებას თავისი ხატი ჰყავს. ამქვეყნად განსვენე-

ბულთა კულტი ბატონობს. მიცვალებულთა შესაწირავები, რელიგიური დღესასწაულები, მიცვალებულთა ავოკაცია (გამოხმობა), შეტყობა იმისა, თუ როგორ არიან ისინი იმქვეყნად (წინასწარმეტყველებისა თუ მისნების მეშვეობით, რომლებიც ტრანსის მდგომარეობაში მიცვალებულს გამოუძახებენ და მათ სურვილებს, აზრებსა და სხვა, იტყობენ), – ყოველივე ეს მოგვაგონებს აფხაზურ რიტუალებს და წეს-ჩვეულებებს. აღსანიშნავია ასევე ჩვეულება, მიცვალებულის ხსოვნისთვის ჭის გათხრა, იქვე ხეების დარგვა მოგზაურთა დასახმარებლად, მათი სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად, დასაჯდომი გრძელი სკამები და სხვა. ეს წეს-ჩვეული დღემდე მოქმედებს კავკასიის მთის მოსახლეობაში. მიცვალებულს არა მხოლოდ მიეცემა, რაც ჭირდება, არამედ თავისი სიკვდილიდან ოცი წლის განმავლობაში კიდევ საჭურველით და იარაღით მოამარაგებენ (როგორც ცოცხალს). ცოლი ქმარს ეკუთვნის მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი მოკვდება, იგი უძღვნის მას თავის სანაცლოდ თმას. რაიმე უბედური შემთხვევის შედეგად სიკვდილი ნიშნავს, რომ გარდაცვლილის სული ეშმაკმა „ჩაიგდო ხელში". საზეიმო ცერემონიისა დ იმ მხარის დროშით შემდეგ სული ეშმაკს მოცილდება. „სულის დაჭერა", მაგალითად, წყალში დახრჩობისას ანდა სხვა მსგავს შემთხვევებში, ხევსურებთან და სვანებთან ისევე ხდება, როგორც აფხაზებში, ოღონდ ცოტა განსხვავებული ფორმით. ხევსურებს ჰქონდათ მიცვალებულების სახლები, სადაც მათ ქვებზე აწვენდნენ ანდა ქვის კედელზე მიაყუდებდნენ და ისე ინახავდნენ. მაგრამ ამჟამად მათ სხვების მსგავსად მიწაში მარხავენ. ზემოაღნიშნულ მიცვალებულთა სახლებს „ანატორი" ეწოდება.

შურისძიება (სისხლის აღება) ზოგჯერ 200 წელი გრძელდებოდა! მხოლოდ ბოლო ხანებში შემცირდა ეს 80 წლამდე. ყოველი მკვლელობისათვის შურს იძიებდნენ ხოლმე, რათა მიცვალებულის სული დამშვიდებულიყო. მაგრამ ამჟამად დანაშაულის გამოსყიდვაც ერთგვარ წესად იქცა. ყოველი მხარე, კუთხე მისი ხატის საკუთრებადაა მიჩნეული. თაყვანისმცემლები მისი „ყმები" არიან. ადგილ-მამულებისა და ვერცხლეულობის თითქმის ნახევარი ხატს ეკუთვნის. მეთაური კი არის ხევისბერი, რომელიც ხატის ტაძარს უდგას სათავეში და იგი უმაღლესი ავტორიტეტია რელიგიურ და ცივილურ-საზოგადოებრივ საკითხებში (ასევე სამხედრო-საბრძოლო სფეროში). პატარა, წმინდად შერაცხულ მეჩხერ ტყეებს, რომლებშიც ხშირად ამა თუ იმ წმინდანის სახელობის ტაძარი იდგა, ყვავილებით რთავდნენ და ამშვენიერებდნენ. ბიწიერ,

ცოდვით დამძიმებულ პირებს იქ არ მიესვლებოდათ.

ფშაველები, მაგალითად, ისე ხშირად არ დადიოდნენ ეკლესიაში, როგორც თავიანთ უძველეს „ტაძრებში“, რომლებიც მათ წმინდად შერაცხულ ტყეებში იდგა. ეს ტყეები და ტაძრები წმინდა ადგილებად ითვლება. ტაძარი შედგება უბრალო, ოთხკუთხა ქვებისაგან, რომელიც გარშემორტყმულია ამგვარივე ქვებით და გადახურულია ქვის ფილების კონუსისებრი შვერილებით, სპილენძის შენადნობისაგან ჩამოსხმული დასარეკი ზარით. აქ ბინადრობენ ხატები, ანუ იმ მხარის, იმ კუთხის მფარველი ღმერთები (წმინდანები). ყოველ მხარეს ჰყავს თავისი მფარველი წმინდანი, თავისი ხატი; იმ მხარის მცხოვრებნი თავიანთი ხატის ყმებად ითვლებიან. ერთი საგვარეულოს, ანუ მოდგმის ხატი უცხო ხატის მიმართ მტრულადაა განწყობილი. აქედან მომდინარეობს რწმენა და შეხედულება იმისა, რომ სხვადასხვა კუთხისა და მოდგმის ხატებს ურთიერთმტრობა ამოძრავებთ და შეუძლიათ ერთმანეთს სძლიონ ან დამარცხება განიცადონ ისევე, როგორც შუმერულ და ძველ მცირე-აზიურ მფარველ ღმერთებს, რომლებიც ასევე ერთმანეთს ეომებოდნენ, ზოგჯერ მარცხდებოდნენ და ზოგჯერ იმარჯვებდნენ. ასეთივე დაპირისპირება ხდებოდა ძველ ხეთებსა და მათ მეზობლებს შორის, რომლის დროსაც ერთი მხარე მეორისგან თავისი დატყვევებული ღმერთების (და თავიანთი ქალაქების) გათავისუფლებას, უკან დაბრუნებას ითხოვდა.

ხევსურები და ფშაველები თავიანთი კუთხის ხატს ტყეებს, მინდორ-ველებსა და ადგილ-მამულებს სწირავდნენ, რაც საბოლოო ჯამში, დიდ ქონებასა და სიმდიდრეს შეადგენდა. ასევე იყო ძველ კაპადოკიასა და შუმერში და სხვა, სადაც ტაძრებისადმი და მათში მცხოვრები ღმერთებისადმი დიდი ადგილები და სიმდიდრე იყო შეწირული. ამა თუ იმ მხარის, კუთხის მცხოვრებნი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თავიანთი ხატის „მონებად“ ითვლებიან და ასეც უწოდებენ თავიანთ თავს. მათ ასევე ჰქვიათ „მოგანძური“, ანუ ხატის ხაზინადარი. არ არსებობს ხატი (სიტყვასიტყვით წმინდა ხატება, საგვარეულოს, კუთხის წმინდანი, მფარველი, ღმერთი), დიდი სიმდიდრე რომ არ ჰქონდეს ადგილ-მამულების, ტყეების, ველ-მინდვრების... სახით.[294]

წმინდანად და ღვთაებად იქცნენ წმინდა თამარ მეფე და მეფე ლაშა-გიორგი; ორივე მათგანს უდიდეს პატივს მიაგებენ, მათ სახელს იფიცებენ. იფიცებენ ასევე ცეცხლის ალს და დედამიწას. დედამიწა

294 М. Ковалевский, ტ. II, გვ. 108, 102.

ქართულად სამყაროს ნიშნავს საერთოდ. იფიცებენ აგრეთვე ხარის ქედს, ჰურის მადლს და ზვარაკს (მსხვერპლად შესაწირავი ცხოველი, განსაკუთრებით ვერძი), ნაცვლად ღმერთისა.[295] მაგრამ ყველაზე უფრო თაყვანს სცემენ ოჯახურ კერას, კერაზე დაკიდებულ ჯაჭვს, რომელზედაც საჭმლის მოსახარში მოზრდილი ქვაბი ჰკიდია.

კავკასიაში ცნობილი წარმართული ღმერთები არიან, მაგალითად, ჭექა-ქუხილის ღმერთი – აფი; ასევე შაშვი – მჭედელთა ღმერთი; ჯაჯა – მოსავლის ღმერთი, რომელიც ძველ ღმერთებს თეშუბს (ზევსი), ჰეფესტოსს (პრომეთეუს – ვულკანი) და ცერესს შეესატყვისება. აქვე აღვნიშნავ აგრეთვე ტყის ქალღმერთს (სვანურად დალი) დიანას (ძველ დროში), რომელსაც განსაკუთრებით ეთაყვანებიან მონადირეები. შემდეგ მეგრელებში ქალღმერთი ტყაში მაფა, თავისი ოქროს თმებით, რომელიც ახალგაზრდა კაცებისათვის შეიძლებოდა საშიში გამხდარიყო.[296] „ღმერთი იყოს შენთან (ან შენსკენ)", - დღესაც გავრცელებული გამოთქმაა ქართველებში; „შენი მცველი (მფარველი) ანგელოზი" და სხვა. თუ რა მჭიდრო კავშირია ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს შორის, შემდეგი მაგალითითაც დასტურდება: ძველი თქმულება გვამცნობს „მუნდუსის" (სიტყვასიტყვით – ორმო, ღრმული) ჩვეულების შესახებ - ჭირისუფალი ამოთხრის ორმოს, რათა რაიმე საბაბით გამოუძახოს თავისი გარდაცვლილის სულს, ანუ მოახდინოს ევოკაცია - გამოხმობა. ასევე მოიქცა გილგამეში, რათა თავისი მეგობარი ენქიდუ საიქიოდან გამოეხმო. ამიერ- და იმიერკავკასიის თქმულებები მოგვითხრობენ ხშირად იმის შესახებ, რომ ვაჟიშვილი, რომელმაც თავისი მამის მოკვლის გამო შური იძია, მის საფლავზე გაიქცა, იქ მუნდუსი, ანუ ორმო ამოთხარა და მამას საფლავში ჩასძახა: „ახლა შეგიძლია კმაყოფილი იყო ჩემი საქციელით, მე შენი სიკვდილისათვის შური ვიძიე", – ამას ვიტყობთ ოსებისგან.[297]

ქართული მატიანეები გვამცნობენ: როდესაც სახელგანთქმულმა მეფე დავით აღმაშენებელმა 1124 წელს ძველი სომხური ქალაქი ანისი აიღო, მან მთელი სამღვდელოება მოიწვია, საკათედრო ტაძარი კვლავ

295 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, ტ. II, გვ. 83, 95-96, 68; ტ. I, გვ. 125-127.

296 დემნა შენგელაია, „ბათა ქექია", გვ. 68 და შემდეგი გვერდები.

297 Klaproth, Voyage... ტ. 2, გვ. 233; М. Ковалевский, т. II, გვ. 228, 280. მსგავსად ამისა, ხდებოდა ლიტვაშიც: დაავადებული ბავშვის დედა მიდის მიცვალებულის საფლავზე, ამოთხრის მიწას და გრძელი ჯოხით აკაკუნებს კუბოს ფიცარზე; თუ გამოეხმაურება მიცვალებული, მაშინ ბავშვი გამოჯანმრთელდება. Scheftelowitz, Altpalästinensischer Bauerglaube in religionsvergleichender Bedeutung, გვ. 122; შემდეგ ოდისევსი, გვ. 10, 417.

ეკლესიად აკურთხა, რადგან ის მინარეთად იყო ქცეული. ამ საზეიმო ცერემონიას ქართველები და სომხები ესწრებოდნენ. ამის შემდეგ დედოფალ კატრონიკის საფლავთან მივიდა ტაძარში და მას ჩასძახა: „გიხაროდეს, ო, დედოფალო, ღვთის შეწევნით შენი ეკლესია არაბებისაგან გათავისუფლდა“. მან საფლავიდან ამოსძახა: „მადლობა ღმერთს!“ ეს ყველამ გაიგონა და უაღრესად გაოცებულები იყვნენ.[298]

ცნობილ სალოცავებს შორის „ხახმატის ჯვარი“ არის ქვა, რომელიც ფეხმძიმე ქალებს ვაჟიშვილით აჯილდოებს, უშვილოებს მომავალი თაობით, ავადმყოფებს ჯანმრთელობით, უბედურებს ბედ-იღბლით და წარმატებებით. შესაწირი ცხოველის ბეჭზე ბედ-იღბალს მკითხაობენ. რადგან რკინას ფშავლები და ზოგადად ქართველები მაგიურ ძალას მიაწერენ, მას მიცვალებულს თან არ ატანენ.[299]

ვ. სხვადასხვა წარმართული კულტები და წეს-ჩვეულებები

ქართველებისა და ბიზანტიელების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე გულმოდგინედ და შეუპოვრად გავრცელებული ქრისტიანობა, განსაკუთრებით რუსების მხრიდან ძალადობის სამიშროების გამო, ნაწილობრივ ისლამური სარწმუნოებით შეიცვალა, მაგრამ წარმართული ელემენტები ქრისტიანულს შეერია და ხალხურ დღესასწაულებშიც შენარჩუნდა, რომელთაგანაც აღსანიშნავია: 1. ხალხური დღესასწაული ჯაჯას პატივსაცემად ტარდება მარტსა და ნოემბერში ოჯახის უხუცესის მეთაურობით, რომელიც კარგ მოსავალს ნატრობს და მადლიერებას გამოხატავს. საკურთხეველისთვის პატივის მიგება, კერის მფარველისა, შაბათობით სრულდება რძის ფაფით ანდა ძუძუს მაწოვარი ხბოთი, რომლის გარშემოც მწყემსები იკრიბებიან. უხუცესი აღავლენს ლოცვებს შეკრებილთა და მათი საქონლის საკეთილდღეოდ და იმავე

Der Mythos von Or. Und Oc. SS. Bachofen, LVIII; M. Semper, Rassen und Religionnen, გვ. 336.

298 М. Джанашвили, Сборник Материалов для описания местностей и племен Кавказа. Т. 35, გვ. 178 და შემდეგი გვერდები.

299 ივ. ჯავახიშვილი, მითითებული ნაშრომი (ფშავ-ხევსურეთის შესახებ); Dr. G. Nioradse, Begräbnis- und Totenkult bei den Chewssuren, Stuttgart 1931; გიორგი თედორაძე, ხუთი წელიწადი ფშავ-ხევსურეთში, 1930; აქ აღწერილია, სხვათა შორის, აგრეთვე, ხალხური მედიცინა, მცენარეებით მკურნალობა და განსაკუთრებით ხევსურების წარმატებები თავის ქალის ტრეპანაციაში. რადგან ავტორი თვითონ პრაქტიკოსი ექიმი იყო, მან 1929 წელს საქართველოს ექიმთა კონგრესს გადასცა საგანგებო სამახსოვრო ჩანაწერები ხევსურული მკურნალობის მეთოდების შესახებ, რომლებიც მან წიგნშიც აღწერა; В.А. Гурко-Кряжин, Хевсуры, 1928; ა. ყამარაული, ხევსურები, 1932.

ლოცვების თანხლებით შესაწირავის ნაწილს შეაგდებს ცეცხლში, თუკი ის უკვე მოხარშულია, ან შემწვარია და პურობაც იწყება. მონადირეები თაყვანს სცემენ ტყის ღვთაებას აჟვეიფშას და სწირავენ ცხვარს და ა. შ. უხუცესი ლოცულობს, ღვთაებას წარმატებას ევედრება მონადირეებისათვის და ცეცხლში აგდებს ცოტაოდენ ხორცსა და საკმეველს. სხვებიც მას ბაძავენ.

ოჯახის უფროსი თაყვანისცემით ახსენებს „ჯიქერ-სალთ-ახ-დუს", ანუ ადამიანის აზრთა მპყრობელს, რომლის დროსაც იგი ყველასგან შეუმჩნეველად, სხვადასხვა საჭმლით სავსე დიდი ლანგრით ხელში სახლიდან გადის, ამ ღვთაებას ლოცვას აღუვლენს და შესთხოვს, ჭკუა დაარიგოს და კეთილგონიერება მიანიჭოს, ანუ გონიერი და შეგნებული გახადოს იგი. მჭედელი თაყვანს სცემს მჭედელთა ღმერთს შაშვს და თავისი ოჯახის წევრების თანდასწრებით ცხვარს სწირავს მას (ასევე იმდენ მამალს, რამდენი ადამიანიც ცხოვრობს ოჯახში). ამ შესაწირავებს განეკუთვნება აგრეთვე გადანახული ღვინო, რომელიც მანამდე სამჭედლოს ფარგლებში საგანგებო ქვევრით მიწაშია დამარხული; იგი ლოცულობს მასზე და შესთხოვს, ჯანმრთელობა მისცეს მისი ოჯახის წევრებსა და თავად მას წარმატება თავის სამჭედლო საქმეში. მჭედლებთან ფიცს დებენ ცოდვის (თუკი ასეთი მას ჩაუდენია) გამოსყიდვის მიზნით: ის პირი ვისაც რაიმე დანაშაულს მიაწერენ, დგას მჭედლის წინ, იღებს უროს, მოზრდილ ჩაქუჩს, სამჯერ დაარტყამს მას გრდემლზე და წარმოთქვამს: „დაე, თავი გამისრისოს შაშვმა, თუკი დამნაშავე ვარ". მეორე მაგალითი: გარეთ, ღია ცის ქვეშ ჩაარჭობენ ორ ჯოხს მიწაში, ჩამოკიდებენ მათზე ორ თოფს ერთმანეთისკენ მიმართული ლულებით, რომელთა წინ დგას დადანაშაულებული პირი. იგი გაივლის ამ თოფებს შორის და იტყვის: „შაშვმა თავი გამიხვრიტოს, თუკი დამნაშავე ვარ".

მწყემსები განსაკუთრებულად თაყვანს სცემენ ელვისა და ჭექა-ქუხილის ღმერთს აფის, ვიდრე საძოვარზე წაიყვანენ პირუტყვს და იქიდან უკან დაბრუნების შემდეგ. უხუცესი მწყემსი ლოცულობს, კლავენ ცხვრებს, ამ დროს ქალებს იქ ყოფნის უფლება არა აქვთ, არც ღმერთის სახელის ხსენებაა ნებადართული და ისინი სხვა სიტყვებით გამოხატავენ ამას - „ხიხ-ი-ქოულ" (ზეცაში მყოფი). გვალვის დროს მხარის დიდი მთავარი, გვარად შერვაშიძე ღვთაებას მსხვერპლად ხარს სწირავს, მას ევედრება, წვიმა მოავლინოს და რამდენჯერმე ლოცულობს. შემდეგ იწყება ლხინი, ჭამა-სმა ღვთის სადიდებელი სიმღერით, ჰიმნით, რომლის შინაარსიც დაახლოებით შემდეგია: „ო, შენ, მაღლა ციდან

ელვის თანხლებით ქვემოთ რომ ეშვები და გრგვინვით და ჭექა-ქუხილით ისევ ცად რომ მაღლდები; შენ, რომელმაც იცი, თუ რამდენი ვარსკვლავია ცაზე და რამდენი მარცვალი ქვიშა ზღვის ფსკერზე" და ა. შ. მეხით განგმირული პირუტყვის დროს ზეიმობენ. ცეკვითა და სიმღერით ამ პირუტყვს ფიცრებზე დადებდნენ, მაღლა ასწევდნენ და სადმე შემაღლებულ ადგილას დატოვებდნენ, სადაც მას ფრინველები დაესეოდნენ. მეხის დაცემისგან დაღუპული ადამიანიც წმინდა არსებად ითვლებოდა. ამ დროს ტირილი და გლოვა გამორიცხული იყო. ასეთ შემთხვევებში ხარს კლავდნენ და, ჩვეულებისამებრ, ლხინის სუფრას შლიდნენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წელია, რაც კავკასიელ მთის ხალხებში ყოფნისას ერთი თავისებური ღვთაების არსებობის შესახებ შევიტყვე შემდეგი: „ეირიგ-ააცნიხი" არის ყოვლისმხილველი დღისით თუ ღამით, რომელიც ქურდობის და მტაცებლობის მფარველია. ეს ერთ ძველ გამოქვეყნებულ ნაშრომში აღმოვაჩინე! მას თაყვანს სცემდნენ ააცის მთაზე მდინარეებს აფსთოისა და დოხურს შორის; სწირავდნენ ნაქურდალის ან გატაცებულის ნაწილს; ცხოველის ბალანს ხეზე ჰკიდებდნენ. ჩრდილო აფხაზეთში ამ ღვთაებას „ჩუგურ-ნიხი" ერქვა. მას მსხვერპლს სწირავდნენ მთის კიდეზე, გაგრის მახლობლად.[300] „დიდრიფშ ანიფს-ნიხა" დიდრიფშის მთაზე დამკვიდრებული ღვთაება იყო, რომელსაც დიდ თაყვანს სცემდნენ. წმინდა ფიცის დადების თვალსაზრისით, იგი შეეფარდება „შაშვს" და მას ჩიჩბას საგვარეულოს წარმომადგენლები ემსახურებიან. აღდგომის, შობის, ახალი წლისა და სხვა დიდმნიშვნელოვან დღესასწაულებზე ოჯახის მამა ასრულებს საგანგებო ლოცვებს და გაიღებს შესაწირავებს შესაძლებლობის ფარგლებში. მაგალითად, ხანგრძლივი, გაუთავებელი გვალვის დროს ლიხნელი გოგონები (ლიხნი - დასახლება აფხაზეთში), სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, სამ ჯგუფად იყოფიან და მდინარისკენ მიეშურებიან; ყველა მათგანი საქმითაა გართული. ქალ-თოჯინას აკეთებენ, ტივს მოაწყობენ და ჩალით აესებენ. შემდეგ თოჯინას ვირზე შესვამენ, რომელიც თეთრად არის შეხვეულ-შეფუთნული და მდინარისკენ წაიყვანენ, ტივთან. ვირს მარჯვნივ და მარცხნივ გოგონები მიჰყვებიან სიმღერით; ისინი წყალს ეხვეწებიან, თოჯინას ტივზე დასვამენ და წყალში შეაცურებენ. ამ დროს ვირსაც აიძულებენ, ხელის კვრით, მდინარეში შევიდეს; მან,

300 აფხაზების რელიგიური შეხედულებები იხ. Сборник сведений о кавказских горцах, ტ. V, 1871, გვ. 1-32; მ. ჯანაშვილი, ქართველი ხალხის ისტორია, ტ. I, გვ. 299-301.

როგორც კი მეორე ნაპირს მიაღწევს, უნდა დაიყროყინოს, რაც კარგის მომასწავებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგივე პროცესი, ანუ ყოველივე ეს მეორე დღეს კვლავ თავიდან უნდა გაიმეოროს.

ქალები თავიანთი მშობიარობის და ჯვრისწერის შემდეგ შესაწირავებს უძღვნიან „ძიძლანს" - წყლის ქალღმერთს; ამაში შედის ქათმები, ნამცხვრები და მრავალი სხვა,.

მსგავსი სახისაა მეგრული მოსახლეობის წარმართული კულტები:

„გალენიში ოხთა" - ტყის (გარეულ) ცხოველთა მბრძანებლის პატივსაცემად ზეიმს აწყობენ საქონლის ბაკში ოჯახის სახლ-კართან; ეზოს საგულდაგულოდ წმენდენ და ასუფთავებენ, გარშემო ყველაფერი მოვლილი და გაწკრიალებულია; მოაქვთ საუკეთესო, უგემრიელესი საჭმელებით სავსე მაგიდა, დგამენ შესაფერის ადგილას და იწყება მეგრელთა იდუმალებით აღსავსე რიტუალი. არავის აქვს უფლება იყოს იქ ამ დროს; მხოლოდ ოჯახის მამა, ან სხვა უფროსი ადამიანი (ოღონდ ოჯახის წევრი) გამოდის მოწიწებით, მორჩილებით აღსავსე, მაგიდის წინ და თაყვანისმცემელი ხმადაბლა ლოცულობს ერთგვარი იდუმალებით. შემდეგ იგი მაგიდასთან დგამს გრძელ სკამებს უჩინარი სტუმრებისათვის. ამის შემდეგ იგი აწვდის მათ ხელადით წყალს, ანუ დაუსხამს დაბანინებს ხელებს. დაბანის მერე იგი თავის მოჩვენებით, წარმოსახვით სტუმრებს ხელსახოცს აწვდის ხელების გასამშრალებლად. უჩინარი სტუმრები სხედან და მიირთმევენ საუცხოო, ნუგბარ საჭმელებს. მუხლებზე დაჩოქილი ოჯახის მამა მათ ღვინოს უსხამს და ლოცვას განაგრძობს:

ო, ნადირთა მბრძანებელო! ო, დიადო და სახელგანთქმულო!
შეიწყალე,დაიფარე ჩემი შინაური პირუტყვი!
სულ მუდამ გამიმრავლე ისინი!
მოუხარშავისა და შეუმწვარ-მოუხრაკავის მთქლეფელებს
(ანუ ტყის გარეულ ცხოველებს)
გაუშეშე კბილები და დაუხშე და მოუკუმე პირი!

ჟინიშ ოხთა. უმაღლესი მბრძანებლის, ჭექა-ქუხილისა და ელვის ღმერთის თაყვანისცემის ცერემონიალი და ზეიმი აუცილებლად ზაფხულობით უნდა გაიმართოს. ოჯახის უფროსი იღებს დანას, შეშას, წყალს, ასანთს, ორ ცალ მჭადს, მამალს და მიაქვს ეს ყველაფერი ტყეში, სადაც იგი ხის ქვეშ მამალს გაატყავებს. შემდეგ ჩუმი ლოცვით ტყავს რომელიმე ხეზე ჩამოჰკიდებს, თავის ვაჟებს დაუძახებს, მამალს შეწვავენ და დანაყრდებიან.

ღვინისა და ვაზის კულტის ცერემონიალს ასევე ოჯახის უფროსი ასრულებს. ამ დღესასწაულს „ხეხუნჯობას“ უწოდებენ. სამჭედლოში ერთი ხელადა ღვინო ყოველთვის უნდა იყოს. ღვინოსა და ღორს წმინდა სოლომონს, სამჭედლო ხელობის დამაარსებელს სწირავენ. წინა საღამოს ბავშვები მიდიან და აგროვებენ ძღვენს, რომელიც მათ სოფლის ყველა მცხოვრებმა უნდა მისცეს. შეურაცხყოფა იქნება, თუ ვინმეს გამოტოვებენ და ძღვენს არ სთხოვენ, რადგან ამას ყველა თავის მოვალეობად თვლის. მჭედლებს აფასებენ და დიდ პატივს მიაგებენ ისევე, როგორც სამღვდელოებას. ვისაც მჭედელი დაწყევლის, იმის საქმე წასულად ითვლება. სამჭედლოში მჭედლის ვაჟები კერიის გარშემო იკრიბებიან. იქვე დევს დიდი ხის გობი, რომელშიც სხვადასხვა, ნაირ-ნაირი ნუგბარი საჭმელებია. მჭედელი ლოცულობს: „ო, წმინდაო სოლომონ! 363 ხელობის გამომგონებელო! მოიღე მოწყალება ჩემზე და ჩემს ვაჟებზე! მოგვანიჭე გამარჯვება და სულიერი ბედნიერება! გვამყოფე ჯანმრთელად შემდეგ დღესასწაულამდე! დაგველოცე და იყავ ჩვენი მფარველი!“ იგი გობს მარჯვნივ მიაბრუნებს და თითოეულ ვაჟს წრეში ღვინოს უსხამს და წარმოთქვამს: „დაგვაძლევინე ყველა ხიფათი და გაჭირვება უვნებლად და გვამყოფე ჯანმრთელად და საღად! წმინდა სოლომონი მიჩნეულია 363 ხელობის შემქმნელად, რადგან მან იმდენი ხელობა შექმნა და დააფუძნა, რამდენი დღეც იანგარიშება ერთ წელიწადში; მეგრელები კი წელიწადში 363 დღეს ანგარიშობენ.

ჯვრისწერა სამეგრელოში[301] შეიძლებოდა ჩატარებულიყო არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ ასევე მარანში, ანდა ღვინის ქვევრის წინ, რომელიც საერთოდ მიწაშია ჩამარხული. ამ ცერემონიას, ცხადია, მღვდელი ატარებდა. რაც შეეხება ნათლობას, ეს ღვინის სარდაფში (მარანში) უნდა ჩატარებულიყო, სადაც ბავშვის მოსანათლად იკრიბებოდნენ მღვდელი, ნათლია და სხვა მოწვეული სტუმრები.[302]

ასევე კახეთშიც (აღმოსავლეთ საქართველო) ქორწილს მარანში იხდიდნენ,[303] სადაც ქვევრს თავს მოხდიდნენ და იქვე სვამდნენ.

საველმინდვრე სამუშაოებისათვის ინახავენ საგანგებო ქვევრის ღვი-

301 И. Кобалия, Из мифической Колхиды // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Т. 32, 1903, გვ. 97-99, 109-114.

302 А. Ламберти. მითითებული ნაშრომი. გვ. 92-95.

303 Простонародная свадьба в Кахетии, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Т.. 31, 1902, გვ. 149-160.

ნოს და ეძღვნება წმინდა გიორგის იმ პირობით,[304] რომ ქვევრს ერთგვარ დღესასწაულზე, წმინდა პეტრესა და პავლეს, ანუ პეტრე-პავლობის დღეს გახსნიან. მოდიოდა მღვდელი, ჩაიცვამდა სადღესასწაულო სამოსელს და ქვევრთან ლოცვას იწყებდა. შემდეგ მას ხსნიდნენ, იქიდან ცოტა ღვინოს გადაიღებდნენ სპეციალურ პატარა მოცულობის ჭურჭელში და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში აგზავნიდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ამ ჭურჭლიდან ღვინის შესაბამის დოქებში გადასხმა და დალევა. აღმოსავლეთ საქართველოში ეს წეს-ჩვეული ძველთაგანვე იყო და არის ცნობილი: ღვინოს ჰქვია „ზედაშე", ხოლო ჭურჭელს „ზედაშე-ქვევრი" (ზედაშე ჰქვია ზიარებისთვის განკუთვნილ ღვინოს).

სამეგრელოში თვითონ ღვინის სმაც განსაკუთრებულ ცერემონიებთან არის დაკავშირებული, რასაც საზეიმო სოლიდურობითა და მორიდებით ასრულებდნენ.[305]

იმერეთში[306] ღვინის დღესასწაულს შაბათ დღეს „დიდმარხვის" პირველ კვირას (აღდგომის წინ) აღნიშნავდნენ. ოჯახის უფროსი იღებს დიდ ხის გობს, რომელიც სავსეა საუკეთესო სამარხვო საჭმელებით, თხილითა და ფეტვის მარცვლებით და შებინდებისას თავის ვაჟებთან ერთად ვენახისკენ მიეშურება. ვაზის ბუჩქთან მუხლებზე იჩოქებს და ლოცულობს. იგი ღმერთს შესთხოვს მარცვლეულისა და ღვინის კარგ მოსავალს. შემდეგ გარშემო მიწას ამოთხრიან და თესავენ ფეტვსა და კაკალს. ზოგჯერ ცეცხლს დაანთებენ და ისმის სხვადასხვა წამოძახილები. ქალები აცხობენ ნამცხვარს, „ხარ-უღელას" (ანუ ხარის კისერი) რომ უწოდებენ, რომელსაც ხარის კისერზე ღონივრად დაადებენ, დააჭერენ, რის შედეგადაც ნამცხვარი ნაწილებად იშლება და ამ ნაწილებს შემდეგ ჭამენ; გარდა ამისა, აცხობენ ასევე ნამცხვარ „ჩიტი-კვერას" (ფრინველის ნამცხვარი), რომელსაც ეზოში სადმე ისეთნაირად მალავენ, რომ დიდი ხნის ძებნა ჭირდება, ვიდრე იპოვნიან და შემდეგ კი მხიარულად და ჟივილ-ხივილით ანაწილებენ და მიირთმევენ.

„საოჯახო და საგვარეულო ქვევრი" ეძღვნება და ეწირება ოჯახის ან შესაბამისი საგვარეულოს წევრების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ღვინოს წლის შესაბამის, გარკვეულ დღემდე კასრში საიმედოდ ინახავენ. ოჯახისა და საგვარეულოს წარმომადგენლები კასრ-

304 А. Ламберти. მითითებული ნაშრომი. გვ.გვ. 55-60.

305 А. Ламберти. მითითებული ნაშრომი. გვ. 46-55.

306 М.И. Сагарадзе, Культурно-исторический очерк западной Грузии, 1909, გვ. 67-78.

თან, ანუ მარანში იკრიბებიან. ოჯახის უფროსი ლოცულობს, შემდეგ კი დაკლავენ თხას და მამალს, მოაქვთ თევზი; კასრს ხსნიან და იწყება ნაკურთხი ღვინის სმა.

„ანგელოზის ქვევრი" უმეტესწილად ხსნიან წმინდანების პეტრესა და პავლეს დღესასწაულის დაწყებიდან ერთი კვირით ადრე. ოჯახის წევრები, ოღონდ ყოველთვის მხოლოდ მამაკაცები (ამ შემთხვევაში ქალები გამორიცხულია), შებინდებისას კასრის წინ იკრიბებიან. დიდ ხის გობში დევს პური და ათი სხვადასხვა სახის ბოსტნეული. ამ დროს მამალს დაკლავენ და იმასაც გობზე დადებენ, რომელსაც გარშემო ანთებული სანთლები აქვს მიკრული. იგი ოჯახის უფროსს უჭირავს ხელში. ყველანი მუხლებზე იჩოქებენ. ოჯახის უფროსი გულმხურვალედ ლოცულობს და შველას სთხოვს ანგელოზს, ევედრება მას თავისი ოჯახის წევრების კეთილდღეობას. შემდეგ იგი საზეიმოდ ხსნის კასრს და ყველანი ღვინის სმას იწყებენ.

ერთ-ერთ შაბათ დღეს საზეიმოდ ხსნიან „საფლავის ჭურჭელს". ყოველი განსვენებული კასრთან თავის საკუთარ საჭმელს მიიღებს. ოჯახის თითოეული წევრი საკმეველს აგდებს ცეცხლში და განსვენებულთა სულების საცხონებელ სიტყვებს წარმოთქვამს. ლოცვები სრულდება ისევე, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი. კასრს ხსნიან და „შესანდობარს" და „საცხონებელს" სვამენ, რაც ნიშნავს ცოდვების მიტევებასა და მათი სულისათვის ნეტარების, ცხონების მინიჭებას.

„უცნობის ქვევრი" იყენებენ, როდესაც ოჯახი რომელიმე მსხვერპლის შეწირვას გამოტოვებს. მაშინ ამ ოჯახში ყოველგვარი უბედურებაა მოსალოდნელი და წინასწარმეტყველი ახსენებს მათ თავიანთ მოვალეობას. ოჯახმა ეს დანაშაული მთელი სანათესაოსთვის უნდა აანაზღაუროს. ამიტომ ჰქვია ამ ჭურჭელს „უცნობის ჭურჭელი" (გავიხსენოთ აფხაზების უცნობი ღვთაება, იხ. ზემოთ). მსხვერპლშეწირვის დღეს დათქვამენ და შემდეგ ყოველიევე ზემოაღწერილის მსგავსად ხდება.[307]

ყველა ამ და მრავალ სხვა ღვთისმსახურების საკულტო რიტუალებში მუდამ მამაკაცები არიან წინა პლანზე, ანდა მხოლოდ ისინი არიან დამსწრენი. მაგრამ იშვიათად ისეც ხდება, რომ რიტუალებს ქალები ასრულებენ. მაგალითად, იმერეთში ცნობილია თითქმის ერთადერთი ამგვარი სახის წეს-ჩვეულება: ლოცვა აბრეშუმის ჭიისათვის, მაისის დასაწყისში. ამზადებენ ხაჭოს ნამცხვარს, ღვინოს, დედალს და ა. შ.

307 М.И. Сагарадзе, Культурно-исторический очерк западной Грузии, 1909, გვ. 89 და მომდევნო გვერდები.

ოჯახის უფროსი შესთხოვს წმინდა იობს აბრეშუმის კარგ მოსავალს. კაცები მინდორში არიან და იქ მუშაობენ. ესწრებიან სახლში დარჩენილები, უმეტესწილად მხოლოდ ქალები. მეაბრეშუმეობა იმერეთში მხოლოდ ქალების ხელშია.[308]

საქართველოს მთიან კუთხეებში ოჯახის უფროსებს თავიანთი მაღალი ღირსებისა და განსაკუთრებული მდგომარეობის ნიშნად ოჯახში უმეტესად აქვთ სავარძელი, რომელსაც მთიელები „საუფროსო სკამს" უწოდებენ, და რომელიც ორნამენტებით მორთული, ლამაზი და მოზრდილი ზომისა უნდა იყოს. „საუფროსო სკამი" მხოლოდ მნიშვნელოვანი სახალხო ან რელიგიური მოვლენების დროს გამოიყენება.[309] ეს სავარძელი ამჟამად უპირატესად სვან მოსახლეობაშია შემორჩენილი, როგორც ეს სვანებში გავრცელებული წინაპრების კულტის აღწერისას ვნახეთ.

ავადმყოფობები. ჩეჩნები, ფშავლები, სვანები, ხევსურები, ოსები, ჩერქეზები, ინგუშები და საერთოდ, სხვა კავკასიური ხალხები მიიჩნევენ, რომ ავადმყოფობების მიზეზია ავი სულები, რომლებიც ადამიანის სხეულში ჩასახლდებიან; მათ შორის არიან წინაპართა სულებიც! ამ დროს საჭიროა, როგორც ზემოდასახელებული ხალხები ფიქრობენ, მათი დამშვიდება ძღვენითა და შესაწირავებით, მათი კეთილგანწყობის მოპოვება შეფიცვით და ლოცვა-ვედრებით, რათა ბოლოს თავი დააღწიონ მათ. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ეგრეთ წოდებული „ბატონები",[310] რომლებიც ბავშვებს ეწვევიან ხოლმე. ამაში შედის ქუნთრუშა, წითელა, ყივანახველა, ყბაყურა და სხვა. ამ „ბატონების" სულების განსადევნად იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს - ლოცვა-ვედრებას,შელოცვას, შესაწირავებს, ძღვენ-საჩუქრებს; ამ დროს უკრავენ ჩონგურზე, ასრულებენ გულითად მელოდიებს და ხმადაბალ, წყნარ სიმღერებს, ლოცულობენ და სთხოვენ „ბატონებს" კეთილად და გულმოწყალედ, უვნებლად დატოვონ ავადმყოფი. თუ ბიჭია ავად, მაშინ შესაწირავად ირჩევენ მამალს, ხოლო თუ გოგონა - დედალს; შესაწირავ ცხოველს წითლად შეაფერადებენ და სამჯერ შემოატარებენ ავადმყოფის თავის გარშემო და თან წარმოთქვამენ ლოცვებს ავადმყოფის გამოჯანმრთელებისათვის და შემდეგ გარეთ გაუშვებენ მას. როგორც კი ავადმყოფი გამოკეთდება, ცხოველს დაკლავენ. ამ დროს აცხობენ ხაჭაპურებს და

308 იქვე, გვ. 67 და მომდევნო გვერდები.

309 ს. მაკალათია, მთიულეთი, ტიფლისი, 1930, გვ. 81-82; 102-103.

310 R. Bleichsteiner, In Caucasica Fasc. 7, 1931 და Fasc. 9, 1931, გვ. 64-87, განსაკუთრებით კი გვ. 73; Jeremias, Handb. Der orient. Geistesk., 55, იქვე.

სხვა საჭმელებს, რომელსაც შესაწირავ მსხვერპლთან ერთად წაიღებენ და დატოვებენ ტყეში ისეთ ადგილას, სადაც ადამიანი ვერ შეაღწევს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დედა, ბებია ან სხვა, სამჯერ შემოუვლიან ავადმყოფის საწოლს და თან ლოცვა-ვედრებას აღავლენენ თხოვნით, ჩვენ შეგვყარე ეს ბატონები, ოღონდ ავადმყოფი გადაგვირჩინეო.[311]

მეფე-ქურუმები. სიძველეთა კვლევის დროს აღსანიშნავია აგრეთვე ქურუმების და ძველაღმოსავლური მეფობისა და უშუალოდ მეფეების კავშირ-დამოკიდებულებანი. ასე მაგალითად, ასურეთში მეფე აერთიანებდა და თავის თავზე იღებდა როგორც სასულიერო, ასევე საერო მოვალეობებს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო სამეფო კარის უფლისწულთათვის. ეს ტრადიცია გავრცელებული იყო ასევე ეგვიპტესა (თუთმოს III) და ხეთაში (ხათუსილის III) და ა. შ.[312]

შუმერში მეფე იმავდროულად უმაღლესი ქურუმიც იყო, მიწიერი, ამქვეყნიური წარმომადგენელი ღმერთისა; აქედან მოდის ჩვეულება თვითგაღმერთებისა, რადგან ღმერთის წარმომადგენელს დედამიწაზე შეეძლო სიკვდილის შემდეგ, მათი წარმოდგენით, თვითონაც გამხდარიყო ღმერთი; ჰამურაბიზე გადმოსცემენ, რომ იგი ღმერთი იყო; განმსაზღვრელი სიტყვა „ღვთაებრივი" ძალიან ხშირად იხმარებოდა და იწერებოდა მეფის სახელის წინ, წინ უძღოდა მას.[313]

ასევე ძველ კრეტაზე მეფე იმავდროულად ქურუმი, სასულიერო პირი იყო - მიწიერი, ამქვეყნიური წარმომადგენელი ზეციური ხარების ღმერთისა: მინოტავრი. მისი სასულიერო ხასიათი იმაშიც ვლინდება, რომ მეფე მინოსს თავისი წმინდა კანონები მთიდან ჩამოაქვს, ისევე როგორც ბაბილონის მეფე ჰამურაბისა და ებრაელებში მოსეს.[314] დიდი ხელმწიფეები (ხათუშილიშ) და დედოფლები (პუდუჰეფა) ხეთაში არა მხოლოდ ქურუმთა მეთაურები იყვნენ, არამედ ასევე ქურუმთა ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ასურელი ხელმწიფე იყო „იშაქუ" (მგალობელ-მომღერალთა უფროსი), რომელიც იმყოფებოდა ღმერთის „აშშურის" მფარველობის ქვეშ, და „შაქნუ" (მეფის ნაცვალი) „ბელ" - ღმერთის მფარველობაში.

---

311 М.И. Сагарадзе, Культурно-исторический очерк западной Грузии, 1909, გვ. 54.

312 Bilabel, Gesch. Vorderasiens und Ägypt. Vom 16. Jahrh. v. Chr. Bis auf die Neuzeit, ტ. I, 1927, გვ.155-170.

313 Contenau, La Civilis. Assyro-Babylon; გვ. 116-143. Eckh. Unger, Das Stadtbild von Asur, გვ. 17.

314 G. Glotz, Civilis, Egéenne, გვ. 171-174; Cavaignac, Le Monde Mediterranneen, გვ. 90-94.

ხეთაში მეფე იმავდროულად ქურუმი იყო და სამეფო ქურუმის სამსახური ხეთური ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენა იყო.[315]

ეტრურიაში ეტრურიელი უმაღლესი მღვდელმთავარი (პონტიფექს მაქსიმუს) (zilch cechanieri) სახალხო-საზოგადოებრივი საქმეებითაც იყო დაკავებული, ისევე როგორც ფედერალური მაგისტრატი (მუნიციპალური საბჭო), საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა და იმავდროულად სამღვდლეოებით სამსახურსაც ახორციელებდა, განსაკუთრებით კი იმპერატორის მმართველობის დროს.[316]

ალექსანდრე დიდმა სხვასთან ერთად შესაწირავები მიუძღვნა დუნაის ღვთაებას გეტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, და ასევე პროტესილაოსს და პრიამოსს აზიაში გადასვლისას. როდესაც მას ქალაქ ტვიროსმა უარი უთხრა ქალაქის ღვთაების მელკართისათვის მსხვერპლის შეწირვაზე, ალექსანდრე დიდმა ქალაქს ალყა შემოარტყა და შვიდი-რვა თვის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ აიღო კიდეც. მან მსხვერპლი შესწირა ასევე ეგვიპტეში თავის „მამას, ღმერთ ამონს, ბაბილონში ღმერთ მარდუქს და აგრეთვე მაკედონიელ ღმერთებს სუზაში. არაჩვეულებრივად გონებაფხიზელმა და ცივილურმა ადამიანმა, ალექსანდრე დიდმა შესანიშნავად შეასრულა თავისი როლი, როგორც ქურუმთა მეთაურმა.[317]

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის კარზე მსჯელობდნენ იმის შესახებ, რომ ძველად, წარმართულ პერიოდში, „მეფობა" და „ქურუმობა" თანამდებობა და სამსახური იყო.

აქედან გამომდინარეობს გამოთქმა გლეხთა ფენებში „სამღვდელოება და მეფეები", რითაც ხაზს უსვამდნენ უმაღლეს ძალაუფლებას სახელმწიფოში.[318]

წინასწარმეტყველი-გულთმისანი. ტროელებს ჰყავდათ თავიანთი წინასწარმეტყველი და მისანი (მკითხავი, მარჩიელი): ჰელენუსი და სხვა. ისინი გამოირჩეოდნენ უმაღლესი მგზნებარებით და ენთუზიაზმით ძველ მცირე აზიაში. აქედან გამომდინარე, მოგვიანებით სემიტებმაც გადაიღეს და თავიანთ პრაქტიკაში დანერგეს ეს რელიგიური წეს-ჩვეულებები.

315 Garstang, Hittites, გვ. 85, 112,224; G. Contenau, Civilis des Titte et de Mitan, გვ. 180-181.

316 Leifer, Stud. z. ant. Ämterwesen, გვ. 140, 149. G. Contenau, La Clupt. Syro-Hittite გვ. 39-43.

317 U. Wilcken, Alexander d. Grosse, გვ. 61, 75, 99-100, 104-106,177, 221-223.

318 პლატონ იოსელიანი, გიორგი XII-ის ცხოვრება, 1867, გვ. 196-197, 1936.

ტრანსის მდგომარეობაში მყოფი მისნები აცხადებდნენ ღმერთების შეკრებისა და მათი ნება-სურვილების შესახებ, უხმობდნენ და ესაუბრებოდნენ გარდაცვლილთა სულებს, ითვლებოდნენ წმინდანებად და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ მოსახლეობის ფენებში. ეს ყველაფერი კი მთვარის კულტთან არის დაკავშირებული: მთვარე, როგორც ღმერთი „სინ", არის მისანი, წინასწარმეტყველი, ტრანსისა და ეგზალტაციის გამომწვევი; აქედან გამომდინარეობს ექსტაზის მდგომარეობა.

ამასთან იყო დაკავშირებული ორგიები, ორგიულ-ენთუზიასტური ელემენტი, რომელიც მთელ ძველ წინა აზიასა და კრეტაზე იყო გავრცელებული და თავისი გამოხატულება ჰპოვა საბერძნეთში დიონისოს რელიგიით, შუმერში და ბაბილონში თამუზის, ხოლო კრეტაზე ზევსის რელიგიებითა და კულტით.[319]

ეს წეს-ჩვეულება და ადათი კარგად შენარჩუნდა თახთაჯებთან, ყიზილბაშებთან და სხვა.[320] მათ ჰყავთ თავიანთი მოციქული და წინასწარმეტყველი, რომლებიც იმავდროულად მოცემული კუთხის, მოსახლეობის მეთაურები არიან: დედე, ბაბა (დედა ქართულად -კავკასიურად, დედა – დიდი, უფროსი). მათ უმკაცრესი ენდოგამია უნდა დაიცვან და უფლება არა აქვთ სხვა ტომის ქალს შეეხონ, რადგან მათ სწამთ სულის მოძრაობის, გადანაცვლების, ასე რომ, მათი, დედეს სული შეძლებისდაგვარად გვარის, საგვარეულოს სისხლში უნდა დარჩეს. რელიგიური თავყრილობა, შეკრებილობა ხდება თავისუფალ ადგილებზე, ველ-მინდორზე, სოფლის მოედანზე ან გამოქვაბულებში უმეტესწილად მოსაღამოვებისას. ჰიპნოზური მდგომარეობები და ჰალუცინაციური აღგზნებები ენაცვლება ერთფეროვან, მონოტონურ სასიმღერო მელოდიებს და გვიან ღამემდე გრძელდება. აღსანიშნავია, რომ მათ ინცესტსაც მიაწერენ - რაც უმჭიდროვეს კავშირშია ძველი წინააზიური ხალხების საკულტო და რიტუალურ წეს-ჩვეულებებთან.

ხევისბერი. ასეთი წინასწარმეტყველები დღემდე მღვდლის ფუნქციას ასრულებენ და თავიანთი მხარის, კუთხის მეთაურები არიან, რაც, ჩვეულებრივ, გვხვდება კავკასიის მთის ხალხებში - ოსებში, ჩერქეზებში,

319 Charles Autran, Tarkondemus, გვ. 13-16,10. Alfred Jeremias, Handb. d. alt-orientalischen Geistekultur გვ. 168, 357. Ed. Mayer, Reich und Kult. Der Heth. გვ. 88. F. Sartiaux, Les Cicilis. Anciennes de l'Asie Mineure გვ. 32; W.M. Ramsay, Asian. Elem. in Greek Civilisation გვ. 20-39, 64, 278-280; R. Dussaud, Civilisation Prehell. 245; მისივე, La Lydie et. ses Voisins გვ. 96; Gunther Ipsen, Der alte Orient und die Indogermanen, გვ. 236.

320 von Luschan, Völker, Rassen, Sprachen, გვ. 197-214 და შემდეგი გვერდები.

ინგუშებში, ფშაველებსა და ა. შ. ქართულად ხევისბერი: ხევი და ბერი, ანუ ხევის მოსახლეობის თავკაცი (როგორც რელიგიურ, ასევე საერო საქმეებში). ინგუშები მას ასე უწოდებენ: „წაინ-საგ".[321]

ქრისტიანობამ ამგვარ მსახურებაზე და წინასწარმეტყველების ფუნქციაზე ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში დიდი ზეგავლენა მოახდინა, ხოლო ხევისბერის წინასწარმეტყველური უნარ-შესაძლებლობისა (ტრანსის მდგომარეობა, განმკურნველი ძალა, წინასწარ ჭვრეტის უნარი) დღემდე სწამთ და სჯერათ.

ხევისბერები თანაბრად პასუხისმგებლები არიან როგორც პიროვნულ-რელიგიურ რიტუალებზე, ასევე ადგილობრივ ადმინისტრაციულ ამოცანებსა და საქმეებზე. მათ მოეთხოვებათ უმკაცრესი მორალური სიწმინდე და უმწიკვლოება, რაც ნამდვილი ქართული ნიშან-თვისების გამომხატველია.

ხევისბერად გახდომა, ხევისბეროზა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით; ამისათვის აუცილებელია რწმენა და ღვთისმოსაობა და წმინდა, უმწიკვლო ცხოვრება. სასწაულის მოხდენა, მაგალითად, მძიმე ავადმყოფის მორჩენა, ანდა წინასწარმეტყველის, მისნის მიერ სახელის წამოძახება ტრანსის მდგომარეობაში. ის, ვისი სახელიც ახსენეს, წმინდანის მიერ, ხატის მიერ არის რჩეული (იმ მხარის ხატის მიერ, სადაც ეს ყოველივე ხდება). ხევისბერის სამსახური, მისი ქმედობა როგორც სასულიერო, ასევე იმავდროულად სამეფო ფუნქციების შესრულებაა. იგი ასრულებს ყველა რელიგიურ ცერემონიას. ამაში შედის ნათლობა და წმინდა ზიარება, ლუდის ხარშვა, ზეიმების გაძღოლა. გარდა ამისა, იგი წინათ, ომის დროს მეთაური და წინამძღოლი იყო თავისი შეიარაღებული ჯარისა.[322]

მშვიდობიანობის დროს იგი მსაჯულიც იყო. ძველი დროის სამღვდელოების მეფე ამჟამადაც შენარჩუნებულია(!) „დედეს" სახით თურქეთში და „ხევისბერის" სახით კავკასიაში, ცოტაოდენი დეგრადირებული ფორმით; იგივე ითქმის, ამ მხრივ, ჩეჩნებსა და კავკასიის ზოგიერთ სხვა ხალხზე.

---

321 Klaproth, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 413, 416-417.

322 A. Dirr, Die alte Relig. Der Tschetschenen, გვ. 789, 1050-1057. Anthropos., ტ. III, 1908; von Christian, Unters. z. Palaeoethnol. d. Orient, 12 Mitteil. d. Anthropol. Ges. 54, 1924; Jeremias, მითითებული ნაშრომი; Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 116-119; Potocki, მითითებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 307.

ომინა. წინასწარმეტყველება, ცრურწმენა, ფიცის დადება, განსაკუთრებით კი, ომინა: აღმაფრენა, შიგნეულის (ადამიანის შინაგანი ორგანოების) ხედვის უნარი, ზოგიერთი ცხოველის ნიშნების გამოცნობა - კარგის მომასწავებელია თუ პირიქით, ჯადოსნური სიტყვების (შელოცვა) გამოყენება ცუდი ნიშნების ზეგავლენისაგან და უბედურების მომტანი ცხოველებისაგან დაცულობის მიზნით - ყოველივე ეს დღევანდელ კავკასიაში ისევე საყოველთაოდაა გავრცელებული, როგორც ეს ძველად მცირე აზიაში იყო ცნობილი და ფესვგადგმული; ეს შეადგენს მღვდლების, უხუცესებისა და ზოგიერთ სხვათა სამსახურს, ანუ ამ შემთხვევაში მათ მსახურებას ღვთის და ხალხისადმი და მათ მოვალეობას. „ავი თვალი", რომელსაც ადამიანებისთვის უბედურება და გაჭირვება მოაქვს, „ბედნიერი თუ ცუდი ფეხის ქონა", ანუ ადამიანი, რომელსაც სადმე მისვლისას თან ახლავს ბედნიერება ან პირიქით და სხვა ამის მსგავსნი - ყოველივე ეს კავკასიაში ისევე მტკიცედ სწამთ, როგორც ძველად მცირე აზიის მოსახლეობას სწამდა.[323]

მღვდელი და ასევე არასასულიერო პირი ლოცვას ასრულებს პურის და ღვინის ხსენებით. ძველი მცირეაზიურია წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი რიტუალური, საკულტო ცერემონიალის დროს ღვინოს პურზე ასხამენ, რაც იქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და დღემდე ძალაში რჩება. მათი წარმოდგენით ღვინო ღმერთია, ხოლო პური კი ქალღმერთი.[324] ეს წეს-ჩვეულება კავკასიის ტერიტორიაზე სრულად და ცოცხლად არის შენარჩუნებული - საქართველოში ყოველთვის, როდესაც სადილობენ ან ვახშმობენ, იხსენებენ თავიანთ მიცვალებულს და ღვინოს აწვეთებენ ნაჭერ პურზე შემდეგი სიტყვებით: „ღმერთმა აცხონოს იგი!"[325] გიულდენშტეტი, რომელიც 1770-1773 წლებში საქართველოში იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ ქართულ პროვინციაში - კახეთში ღვინოს დიდ თიხის კასრებში ასხამდნენ და შემდეგ მიწაში ინახავდნენ.[326]

---

323 Ковалевский, მითითებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 80.

324 Autran Tarkond. გვ. 30-33; G. Contenau, La Glyptique Syro-Hittite, გვ. 110.

325 ვაზისგან (ვაზის ტოტებისგან) გააკეთეს ჯვარი, რომლითაც საქართველოს გამაქრისტიანებელი,ანუ წმინდა ნინო შემდეგ ხალხში ქადაგებდა; მან ვაზის ორი ტოტი (წნელი) თავისი თმით ერთმანეთზე გადააბა და ამგვარად ეს ცნობილი ჯვარი გამოიყვანა. როდესაც მეფე მირიანი (324 წელს გაქრისტიანდა) 361 წელს სასიკვდილო სარეცელზე იწვა, დაუძახა დედოფალ ნანას და ვაჟიშვილ ბაქარს და იგი მეფედ აკურთხა. შემდეგ მან თავისი გვირგვინი ჯერ წმინდა ნინოს ვაზის ჯვარს, ხოლო შემდეგ თავის ვაჟს დაადგა თავზე (ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 178).

326 Географическое и статистическое описание Грузии, 1809, გვ. 194.

8. უცხო სტუმრების გამასპინძლების მნიშვნელობა, ანუ „პურისა და ღვინის“ ფაქტორი

კახური[327] (კახეთი – ქართული ტერიტორიული ერთეული, მხარე აღმოსავლეთ საქართველოში) ზღაპარი გვიამბობს: ერთმა ღარიბმა კაცმა, რომელსაც მდიდარმა მეუხშემ ვალის დაბრუნება არაერთხელ შეახსენა, ღმერთს შესთხოვა, დამეხმარე ვალის გადახდაში, რის სანაცვლოდაც შენთვის ჩემი სული მომიციაო. როდესაც ფული იშოვა, მან ეს ფულის მსესხებელს აცნობა, რომელმაც თავისი ვაჟი ბლომად საჭმელ-სასმელით ამ ღარიბ კაცთან გაგზავნა ფულის წამოსაღებად. გზაში ვაჟი ყველას გულუხვად უნდა გამასპინძლებოდა, ვისაც კი შეხვდებოდა. გზად ორი კაცი შემოხვდა, რომელთაც კარგად გაუმასპინძლდა. კაცებმა მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ. ვაჟი მოვალესთან მივიდა, ფული გამოართვა და უკან გამობრუნდა. მან დაინახა, რომ ის ორი კაცი, მისი გამოსვლის შემდეგ იმ მოვალესთან შევიდნენ და მაშინვე უკან გამოვიდნენ. ვაჟმა მათ ჰკითხა, იქ რა გინდოდათო. მათ უპასუხეს, ჩვენ ანგელოზები გაბრიელი და მიქაელი ვართ და ღმერთის ბრძანებით იმ მოვალისგან სული ჩავიბარეთ, რადგან ვალის გადახდის შემდეგ უნდა მომკვდარიყოო. ამ ლაპარაკის დროს მათ ვაჟს გაუმხილეს, შენ ქორწილის შემდეგ მოკვდები, ამიტომ არასოდეს იქორწინოო. ანგელოზები ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ ვაჟი მათ თავისი პურ-მარილით გაუმასპინძლდა. გავიდა ხანი. მშობლების დაჟინებული თხოვნით მას ბოლოს მაინც უნდა ექორწინა. ქორწინების შემდეგ ანგელოზები მასთან გამოცხადდნენ, პატარძლის საწოლის წინ, რათა მისგან სული მიეღოთ. შეშინებული ახალგაზრდა ქალი იქიდან გაიქცა. მან კი თქვა: „მე თქვენ დაგაპურეთ; მომეცით ცოტაოდენი დრო, რომ ჩემს მშობლებს გამოვემშვიდობო“. მათ ნება დართეს. მამამ ვაჟს უთხრა: „რადგან მათ შენგან პურ-მარილი მიღეს, სთხოვე, რამდენიმე წლის ვადა მოგცენ“. ანგელოზებმა დაუტოვეს სული უვადოდ. ამაზე კი ღმერთი განრისხდა და მათ გული ამოუღოო (წაართვა). მას შემდეგ ისინი, დარჩნენ რა უგულოდ, უგულოდ და ულმობლად ართმევენ ადამიანს სიცოცხლეს.

სტუმართმოყვარეობის ძალაზე ინგუშები მოგვითხრობენ შემდეგს: ოლდანმა თავისი ვაჟი, გაზი, დააქორწინა ყაბარდოელ თავადის ქალზე. მალე ამის შემდეგ ოლდანი სიცოცხლეს გამოასალმეს. ღრმად დასე-

327 Сборник Материалов для описания местностей и племен кавказа, ტ. 35, 1905, გვ.106-111.

ვდიანებული გაზი თავისი სახლის ზღურბლზე იჯდა ჩონგურით ხელში. უეცრად შიკრიკი მოვიდა და მას ყაბარდოდან მამამისის მეგობრის მოსვლის შესახებ აცნობა. იმავე საღამოს მეორე შიკრიკი გამოჩნდა, რომელმაც გაზის მამამისის მკვლელის მოსალოდნელი გაქცევის თაობაზე აცნობა. მესამე შიკრიკმა კი შეატყობინა, შენი ქალი დღეს საღამოს სხვას მიჰყვება ცოლადო (ეს უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა მამაკაცისთვის). გულსაკლავი, მწარე ტირილით დაემხო იგი საწოლზე. დედამ ანუგეშა და უთხრა: „დაე, შენი მტერი გაიქცეს, ის დიდხანს მაინც ვერ დაემალება ჩვენს შურისძიებას. ცოლიც დაგიბრუნდება, თუ შენთან ერთად ყოფნა უწერია და ბედმა ასე ინება; მაგრამ სტუმარი კი უსათუოდ პატივისცემით უნდა მიიღო, რადაც უნდა დაგიჯდეს და როგორც უნდა გიჭირდეს". ასეც მოხდა. როდესაც დაღამდა, იგი გაეშურა ხიდისკენ, დაეწია თავის მტერს და იქვე მოკლა. ამის შემდეგ ყაბარდოში წავიდა და თავისი ცოლი გამოიტაცა, რომელთანაც ერთადაც სისხამ დილით სახლში დაბრუნდა და თან მამამისის მკვლელის თავი წამოიღო. ცოლის ძალით წამოყვანის თაობაზე გაზის მდევრები და ოჯახის სტუმრები თვითონვე მორიგდნენ.

გვსურს, მოკლედ გაგაცნოთ თბილისის მუზეუმის ბიულეტენებიდან ამოკრებილი მასალები ქართული მოსახლეობის რელიგიური ადათ-წესების და ზნე-ჩვეულებების შესახებ და ასევე რამდენიმე ლეგენდა:

მშრალი ამინდის, უწვიმობის[328] დროს აღბულაღის რაიონის გლეხის ქალებს იქაური ერთგვარი გუთანი (ačač) მდინარეზე მიაქვთ თან, სადაც ისინი მთლად შიშველდებიან, რომლის დროსაც ზოგიერთი ხარივით უღელში ებმება, ნაწილი კი ხარების გამრეკავისა და გუთნისდედის როლს თამაშობს; სხვა ქალები ამ დროს წყლით წუწუაობენ და გულმოდგინედ ცდილობენ წყლის შხეფები თავიანთ სასირცხვო ადგილზე შეისხან და შიგ მოიხვედრონ. ერთ-ერთმა ქალმა ამ დროს მამაკაცის როლი უნდა განასახიეროს, რომლის დროსაც ხელში ფალოსის მაგვარი კეტი (კომბალი) უჭირავს. „გუთნის-დედები" და „ხარების გამრეკავები" უყვირიან გუთანში შებმულ გლეხის ქალებს მამაკაცური ხმით და ემუქრებიან მათ კოიტუსით. ამ ჩვეულებას ჰქვია „წყლის ხვნა", ან „წყალში ხვნა" და მას გლეხი კაცებისგან მალულად აკეთებენ.

328 გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927-1928, გვ. 202-233, განსაკუთრებით გვ. 224 და მომდევნო გვერდები.

მშობიაროობის დროს[329] რკინის ხელსაწყოები და რკინის იარაღები ავი სულების საწინააღმდეგოდ თილისმად არის მიჩნეული, რომელთაც მძიმე მშობიაროობის შემთხვევაში, ქალის მეუღლე ან მაზლი იმით აფრთხობენ და დევნიან, რომ თოფს გაისვრიან პატარა ქოხთან ძალიან ახლოს; ამ ქოხს სპეციალურად მოაწყობენ ხოლმე მშობიარე ქალისთვის, რომელიც მშობიაროობის დროს და მას შემდეგ კიდევ რამდენიმე დღე იქ იმყოფება. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევაში ქმარი ქოხში შევარდება და თოფს გაისვრის, თანაც მშობიარის მხართან ახლოს, ანუ მის გასწვრივ, რათა მისგან ეშმაკი, ავი სული განდევნოს. „დედამიწაზე" უნდა იწვეს მშობიარე ქალი და არა საწოლზე, რათა მშობიარობა ბედნიერად დამთავრდეს. კავკასიის ყველა ამ მხარეში ფართოდ გავრცელებულ ხალხურ ჩვეულებაზე სხვადასხვა ლეგენდაა შემორჩენილი. მაგალითისათვის დავასახელოთ ქართლი. ქართლის ერთ-ერთ სოფელში ფეხმძიმე ქალი ოქროს საწოლზე იწვა. მას სამინელი ტკივილები ჰქონდა. ქვა მაშინ წამლად იყო მიჩნეული, მაგრამ მშობიარეს ეს ვერაფერს შველოდა. ამ დროს გამოჩნდა ღმერთი Chritte (ქრისტე): „რა მოხდა, რა დაგემართა?" – იკითხა მან. „ასე და ასეო", – უპასუხეს. „წადით და დააწვინეთ იგი ჩალადაფენილ მიწაზე და იმშობიარებს", – ურჩია მან. ასეც მოიქცნენ. ამის შემდეგ ქართლელებს ჩვეად აქვთ, რომ მშობიარე ქალს მიწაზე ჩალა დაუფინონ. რადგან აღნიშნული ჩვეულება ქართველებისთვის თავდაპირველად უცნობი იყო, ის მათ რომელიმე სხვა ხალხისაგან უნდა გადაეღოთ. ერთ-ერთი იმერული ზღაპრის მიხედვით, მზე ერთი დედოფლის თხოვნასთან დაკავშირებით, რჩევას აძლევს მის მულს, რომელიც დედოფალთან სტუმრად არის, მშობიარეს ტკივილები მოეხსნება და იმშობიარებს, ოღონდ ჩალაზე უნდა დაწვესო.[330]

ზემოაღწერილის მსგავსი ლეგენდა კახელებსაც აქვთ: მშობიარე ქალს აუტანელი ტკივილები ჰქონდა. სამი დღე-ღამე ვერ იმშობიარა. მისმა მშობლებმა მოსამსახურე გოგო გაგზავნეს მზის დედასთან სათხოვნელად, რაიმე გვიშველეო. მზის დედა შეეკითხა მზეს, თუ რა საშუალება არსებობდა გაჭირვებულის დასახმარებლად და შემდეგ მოსა-

329 ვ. ბარდაველიძე-ლომია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, სსმმ., ტ. IV, 1953, გვ. 235-285. აქ სხვა მასალებს შორის მოცემულია იმავე წეს-ჩვეულების დაწვრილებითი და საინტერესო მიმოხილვა სამხრეთ კავკასიის ხალხებში, მთიანეთსა და ხევებში. უდავოა ამ წეს-ჩვეულებათა კავშირი და იგივეობა ძველ მცირეაზიურ ხალხებთან.

330 Райская роза // Сборник Материалов для описания местностей и племен кавказа, ტ. 33, 1904, მესამე განყოფილება. გვ. 27-35,

მსახურე გოგონას ასეთი რჩევა მისცა: „საჭიროა მშობიარეს ჩალა (თივა) დაუყაროთ, დაუფინოთ მიწაზე და ჩალის (თივის) გარშემო თხის ბეწვისაგან გაკეთებული თოკი შემოავლოთ, თავთან რკინის საგნები - ცელი, ხანჯალი, ნაჯახი და სხვა დაუწყოთ"; ამის შემდეგ ის კაცი, რომელმაც დაინახა უხსენებელი დაჭერილი ბაყაყით და ისინი ერთმანეთს მოაშორა, მშობიარესთან უნდა მივიდეს და უთხრას: „მე უხსენებელი და ბაყაყი ერთმანეთს მოვაშორე; დედავ და ბავშვო, მოცილდით ერთმანეთს!" ამ სიტყვების თქმა იყო და, ქალმა ადვილად იმშობიარა.[331] ეს ჩვეულება ახასიათებს აგრეთვე ზანგეზურის სომხებს.[332] ასევე იმერეთშიც მშობიარეს ეხმარებოდა მოხუცი ბებიაქალი (მეანი), რომელიც მიწაზე ჯვარს გამოსახავდა და ბუტბუტებდა რა ლოცვას, თივას დააწყობდა ზედ, სადაც მშობიარე ქალი უნდა დაწოლილიყო.[333] გურიაში მიწას მშობიარობის შემდეგ შესაწირავს უმზადებდნენ. ბებია მიწაში რამდენიმე ორმოს ამოთხრიდა იმ ადგილზე, სადაც ქალმა იმშობიარა, შემდეგ ცომივით შეურევდა ერთმანეთში პურის გულს, ღვინოს, სანთლებსა და საკმევლის ნაწილებს, ბულიონს, კარაქით რომ იყო გაკეთებული და მიწას ევედრებოდა დედისა და ახალშობილისთვის ჯანმრთელობა და ბედნიერება ერგუნებინა ისევე, როგორც მან, ბებიამ მას, ანუ მიწას პური, ღვინო, სანთლები, კარაქი და საკმეველი უბოძა. ყოველივე ეს ხდება საზეიმოდ, ანუ ზეიმით და მხიარულებით მშობიარობიდან მერვე დღეს; ამ რიტუალს ჰქვია „მიწის შეზიარება" და მასზე იწვევენ ყველა ქალს, ვინც კი მშობიარობის დროს იქვე იმყოფებოდა;

ამ დროს აცხობენ პურს საგანგებო ყველით, თავისებურ ნამცხვრებს, რომელთაგან ერთ-ერთი ოჯახის შინაურმა ბავშვმა სირბილ-სირბილით უნდა შეჭამოს. შესაწირავის მიძღვნის რიტუალს ფეხზე დგომით ესწრებიან ქალები, რომელთაც ანთებული სანთლები უჭირავთ ხელში. ბებიაქალი ლოცვის შემდეგ დედასთან მიდის და მას ანთებულ სანთელს სამჯერ შემოუტარებს ტანზე, ხოლო შემდეგ თვითონ დედას შეატრიალებს მარცხნიდან მარჯვნივ. იგივეს უკეთებს იგი ბავშვს, ლოცავს ორივეს და უსურვებს ჯანმრთელობას. შემდეგ იქ მყოფი ქალების იმავე რიტუალს იმეორებენ დედისა და ბავშვის მიმართ და ლო-

331 ბარდაველიძე. მითითებული ნაშრომი.

332 Н. Ширакуни. Зангезурский уезд Елисаветпольской губернии // Сборник Материалов для описания местностей и племен кавказа, ტ. 34, 1904, მე-3 განყოფილება, გვ. 91-124.

333 ბარდაველიძე. მითითებული ნაშრომი.

ცავენ მათ ბებიაქალის მსგავსად. მხოლოდ ამ წეს-ჩვევის შესრულების შემდეგ იწყება ქეიფი და დროსტარება. ნამშობიარევი ქალის საწოლი „თავისუფლდება" და მას მიწიდან იღებენ.[334]

ნადავლი. მ. კოვალევსკი მოგვითხრობს, რომ მას ხშირად უნახავს, თუ როგორ დებდნენ შურისძიების დროს მოკლული მტრების თავებს და ხელებს თავიანთი ოჯახის წევრებისა და ნათესავების საფლავებთან, ანდა როგორ ჰკიდებდნენ თავიანთი ქოხების წინ ჭიშკარზე. მან იგივე შენიშნა დაღესტნელებთან, ხევსურებთან, ქისტებსა და თუშებთან.[335]

ბოძი, დედაბოძი. ფაქტია ასევე, რომ ხუროები (განსაკუთრებით კი მთიან მხარეებში) თავიანთი ხელების გამოსახულებებს ამოკვეთდნენ ხოლმე მათ მიერვე აშენებული სახლების ბოძებზე. ეს საყურადღებო ფაქტია, რადგან გარდა ზემოაღნიშნულისა, ისინი რეგულარულად ამოჭრიდნენ ხოლმე ასევე მრგვალ ორნამენტულ როზეტებს, მზის დისკოსავით რომ გამოიყურებოდნენ და როგორც ჩანს, საკულტო მნიშვნელობაც ჰქონდათ.[336]

ზემოაღნიშნულ დედაბოძს სამჯერ შემოატარებდნენ ახალდაქორწინებულ წყვილს.[337] ისინი შემოუვლიდნენ ხოლმე ასევე საოჯახო კერას და იქვე ჩამოკიდებულ ჯაჭვს. დედაბოძი, როგორც სახლის საყრდენი, ბურჯი სიწმინდედ იყო შერაცხული ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კუნძულ კრეტაზე, ძველ ეგეოსზე, ხმელთაშუა ზღვის გარშემო ტერიტორიებზე, სირია-პალესტინაში, თვით კართაგენამდე.[338]

დედაბოძის კულტი, ხელის გამოსახულებები საყრდენ ბოძებზე და შენობის (სახლის) სხვა მსგავს ნაწილებზე სხვადასხვა წყაროებით დასტურდება კავკასიის სხვადასხვა მხარეში, განსაკუთრებით კი საქართველოში, გარკვეულწილად ასევე ჩეჩნეთსა და ინგუშეთში.[339] აღსანიშნავია, რომ შენობის ბოძებზე ამოჭრილი ხელის გამოსახულებები

---

334 ბარდაველიძე, მითითებული ნაშრომი. გვ. 265. განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროდ დასახელებულია Сборник Материалов для описания местностей и племен кавказа, XVIII, გვ. 149, 261-262; XXII, გვ. 9-10, 129, 132, XIX 2, გვ. 179-180.

335 М. Ковалевский. Закон и Обычаи на Кавказе, ტ. 2, გვ. 228.

336 Л. Б. Панек. Жилище мтиулов //Сборник музея антропологии и этнографии, ტ. IX, 1930, გვ. 237-266.

337 მაგალითად, კახეთში (იხ. Сборник Материалов для описания местностей и племен кавказа, ტ.31, 1902, მე-3 განყოფილება, გვ. 149-160).

338 A. J. Evans, Mycenäan Tree and Pillar Cult and its Mediterranean Relations, გვ. 99-204; The J. of Helen. Stud., ტ. 21, 1901.

339 B. Plätschke, Die Tschetschenen, Hamburg, 1929, გვ. 58-61; М. Яковлев, Ингуши, გვ. 90..

წესად ჰქონდათ ასევე ძველგერმანულ ტომებსაც.[340] ასევე ცნობილია ლურისტანის (სპარსეთი) ბრინჯაოზე ამოკვეთილი ხელის გამოსახულებები; ჩერქეზეთში ჩვეულებრივ საცხოვრებლებს აკეთებდნენ ხის ტოტებისაგან, რომლებიც კოხტად იყვნენ ერთმანეთზე გადაწნული თიხით და მიწით გალესილი და სუფთად გაპრიალებული.[341] საცხოვრებელს ამშვენებდა ეზო და ბაღი, რომლებიც ღობით იყო გარშემორტყმული. სტუმრებისთვის მოწყობილი ჰქონდათ ასევე მოსასვენებელი ოთახები. ასეთ სახლებს ყოველ ხუთ წელიწადში ხელახლა აშენებდნენ; მოგზაურები მათ კოხტა და სასიამოვნო სახლებს უწოდებდნენ.[342] მსგავსი ტიპის სახლები ჰქონდათ ადრე საქართველოს ერთ-ერთ მხარეში, კახეთში (სამხრეთ კავკასია), ასევე მდინარე თერგის ქვემო დინების ნაპირებთან დასახლებულ თათრებს (ჩრდილოეთ კავკასია), შემახშის სახანო (აღმოსავლეთ კავკასია) და სხვა.[343]

თ. ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა კავკასიაში

როგორც ცნობილია, ადამიანების მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება ძველად ყველგან ფართოდ იყო გავრცელებული: მაგალითად, მცირე აზიაში ლიდიიდან დაწყებული სირიისა და პალესტინის გავლით სპარსეთში, ეგვიპტესა და ინდოეთში; ძველი საბერძნეთის ისტორიიდან ცნობილია 50 მსგავსი შემთხვევა. რომაელებში ეს ჩვეულება გრძელდებოდა ქრისტიანობიდან II ასწლეულამდე და თვითონ იმპერატორ დიოკლეტიანეს ჯარში ეს სავალდებულოდ ითვლებოდა. ეტრუსკებში ამ წეს-ჩვეულებას უკვე მანამდეც ასრულებდნენ, ხოლო ძველ გერმანულ სინამდვილეში ასევე ორმოცდაათი ასეთი შემთხვევაა დამოწმებული.

კავკასია. ადამიანების მსხვერპლად შეწირვა კავკასიის მთიან ადგილების ხალხებისათვის გვიანდელ ხანამდეა შემორჩენილი, რაც შესაბამისი წყაროებითაა დამოწმებული. ამ მხრივ, ჩვენ განსაკუთრებით ოსებზე ვართ ინფორმირებული. მოკლულის საფლავზე მსხვერპლ-

340 Gustav Schwantes, Deutschlands Urgesch. გვ.187 (Muellenhoff - ის მიხედვით, 1935). ვაჭრობის ცალკეული ეპიზოდების გამოსახულებები ასევე ხმელთაშუაზღვის კულტურის მხარეებში: ალბანეთში, ადრიატიკაზე, ეგვიპტესა და ა. შ. ასევე სკანდინავიაში; Bruno Plätschke, Die Tschetschenen.

341 შესაძლოა ფიქრი მეგელების სამარხი სახლების შესახებ.

342 J. Potocki– მე-18 ს. ბოლოს იმოგზაურა კავკასიაში. იხ. მითითებული ნაშრომი გვ. 176-177. J. Klaproth, Von den Tscherkessen; მისივე, Voyage au caucase et en Géorgie. Paris 1829, გვ. 339 და მომდევნო გვერდები, (1829).

343 Klaproth, Geographisch-historische Beschreibung... გვ. 21-29, 46-62, 210.

შეწირვის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მ. კოვალევსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ ამას ოსები უყურებდნენ როგორც მიცვალებულის სულის დაკმაყოფილების საშუალებას.[344] თავისი გარდაცვლილი ქმრისათვის დაქვრივებული ცოლი თმას იჭრიდა და მას საფლავში ატანდა, - ადრე კი თვითონ ცოლს სწირავდნენ ქმრის დაღუპვის შემთხვევაში; აქ, მაშასადამე, ნაწილი იწირებოდა მსხვერპლად ნაცვლად მთელისა (pars pro toto).[345] მკვლელი ინანიებს, ზიარებას იღებს მოკლულის სულისათვის მის საფლავზე, რის შემდეგაც მას მოკლულის დედა შვილად იღებს შემდეგი სიტყვებით: „მე შენი ვაჟიშვილი და შენ ჩემი დედა".[346] თუ ეს ასე არ მოხდა, მკვლელს თავისი მსხვერპლის საფლავზე მოკლავენ და მიცვალებულს ჩასძახებენ: „აწ კი დამშვიდდი, შენი მკვლელი მოვკალი".[347] ზოგ შემთხვევაში მკვლელი აღთქმას დებდა, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მიცვალებულს მოემსახურებოდა (შურისძიება რომ აეცილებინა თავიდან), შესაწირავებს შესწირავდა, მისი ხსოვნის დღეს მოაწყობდა საზეიმო სუფრით და ა. შ.[348]

ჩერქეზები[349] თავიანთ მიცვალებულებს ბრძოლის დროს შეპყრობილ ტყვეებსა და ნაყიდ, უცხო მხარის ადამიანებს სწირავდნენ მსხვერპლად ისევე, როგორც ქართველები ჯერ კიდევ III საუკუნეში ქრისტიანობამდე თავის ღმერთს (ღვთაებას) არმაზს სამხედრო ტყვეებს სწირავდნენ. ასევე იქცეოდნენ სომხებიც.[350]

ყაბარდოელებშიც ეს ჩვეულება იყო გავრცელებული: მსხვერპლშესაწირად ისინიც, რასაკვირველია, სამხედრო ტყვეებს იყენებდნენ.

ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის საკრალურ ხასიათს ხედავს მ. კოვალევსკი კავკასიის ზოგიერთი ხალხის წეს-ჩვეულებაში, რაც შემდეგში გამოიხატება: სისხლიანი შურისძიების შემდეგ შინაურის საფლავზე წა-

---

344 М. Ковалевский. Современный обычай и древный закон. Обычное право осетин в историко-сравнительном освещении. ტ. I, გვ. 51-52; Herm. Dessau, Gesch. Der roem. Kaiserzeit ტ. II, განყოფილება მე-2, გვ. 440; ასევე გალიაში, ჯერ კიდევ იმპერატორის დროს: Klio 25, გვ. 252; Friedr. Schwenn, Die Menschenopfer bei den Griechen und Roemern, გვ. 2-3,30-32,68, 142, 145. Löher, Die Menschenopfer bei den Germanen Sitzber. d. phil.-histor. KL. d. Münch. Akad. ტ. 1 (1882), გვ. 373-დან; E. Mogk, Die Menschenopfer bei Germanen, Abhandl. d. saechs. Gesch. d. Wiss. Phil.-histor. Kl. ტ. 27 (1909), გვ. 607-დან.

345 М. Ковалевский. Мотивированное решение. ტ. I, გვ. 68-104.

346 იქვე, გვ. 301.

347 М. Ковалевский. Мотивированное решение. ტ. II, გვ. 24.

348 М. Ковалевский. Мотивированное решение. ტ. II, გვ. 51, 286-287.

349 М. Ковалевский. Закон и Обычаи на Кавказе, ტ. I, გვ. 39.

350 იქვე, 84-85.

სვლა, იქ ორმოს ამოღება და იქ მიცვალებულისთვის იმქვეყნად ჩაძახება, რომ მისი სული დამშვიდდეს, რადგან მისთვის უკვე შური იძიეს.

ეს ჩვეულება ძალიან გვაგონებს იმავე ანდა მსგავს ძველაღმოსავლურ ჩვეულებას, ორმოს ამოთხრას და მიცვალებულთან საუბარს და ასევე მისი სულის გამოხმობას. ამ ხალხების (კავკასიელებისა და ძველი აღმოსავლელების) წარმოდგენით, სულები არიან იქ, სადაც ისინი დაიმარხნენ და მაშასადამე, საკმარისია იქ ორმოს ამოთხრა და „მიცვალებულის სული სიოსავით ამოიქროლებს ზემოთ". სწორედ ასე მოიქცა ძველ შუმერში გილგამეში, რათა ესაუბრა თავის გარდაცვლილ მეგობართან ენქიდუსთან და გარეთ გამოეხმო მისი სული.[351]

ძველქართული ადამიანთა მსხვერპლშეწირვის გადმონაშთები ჯერ კიდევ მრავლად არსებობს. მე მქონდა საშუალება მენახა, თუ როგორ შეჰყავდათ საშიში დაავადებით შეპყრობილი ახალგაზრდა ვაჟის ოთახში, მის საწოლთან, მოხუცი კაცი – ხელებით და ფეხებით, ოთხფეხა ცხოველის მსგავსად. იგი ავადმყოფი ვაჟის დედას შეჰყავდა იქ; მოხუცს ყელზე ეკიდა დაგრეხილი წნელი და შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამდა: „მე ჭაღარა ვარ, იგი კი – შავთმიანი; მე ბრძენი ვარ და გამოცდილი, ის კი – ჯერაც მოუმწიფებელი; მე შემიძლია იგი შევცვალო, მიმიღე მე მის ნაცვლად, იგი კი მის მშობლებს აჩუქე!" და ა. შ. მოხუცს ცხრაჯერ შემოატარებდნენ მძიმედ დაავადებული ახალგაზრდა ვაჟის საწოლის გარშემო; ყოველი მორიგი შემოვლისას იგი ახალ-ახალ გამოთქმებსა და სიტყვებს ხმაროდა: „მომეცი მე მისი ავადმყოფობა და ტკივილები, იქნება ეს მისი დაავადებული გული, თავი, ღვიძლი თუ თირკმელები და სხვ. ჩემი ჯანმრთელი სხეულის ორგანოები მას მისცემოდეს, ხოლო მისი დაავადებული სხეულის ნაწილები კი ჩემი გამხდარიყოს!" და ა. შ. იგი თავის ლოცვის სიტყვებს ავადმყოფობის ბოროტი სულისკენ მიმართავდა, რომლებშიც, ცხადია, მრავლად იყო ასევე დამაშოშმინებელი სიტყვები, რათა ამ სულს შებრალებოდა ავადმყოფი. ეს წეს-ჩვეულება საყოველთაოდაა გავრცელებული როგორც საქართველოში, ასევე მთელს კავკასიაში. ეს წეს-ჩვეულება ძალიან ჰგავს იმას, რასაც ერიხ ებელინგი[352] მოგვითხრობს სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ ძველბაბილონური შეხედულებებიდან გამომდინარე, ოღონდ იქ ადამიანის ნაცვლად ავადმყოფის გამოსაჯანმრთელებლად ცხოველს სწირა-

351 Ungnadu. Gressmann, Das Gilgamesch Epos, გვ. 67, ტაეპი 84-88 და გვ. 228-231.

352 J. Roy; Asist Soc. 1932, გვ. 232-234. Erich Ebeling, Tod und Leben nach den Vorstellungen der Babylonier, 1931.

ვენ მსხვერპლად, რაც კავკასიაშიც საყოველთაოდაა გავრცელებული. მსხვერპლის ავადმყოფის გარშემო შემოტარება, თავს შემოველება ჩვეული ამბავი იყო ძველად როგორც საქართველოში, ასევე ძველ აღმოსავლეთში. ქართველები ამბობენ: „შენ შემოგევლე, შენ გენაცვალე", რაც წარმართული ხასიათის გამონათქვამია და ნიშნავს – „შენ შეგეწირები", „დაე, შენი სანაცვლო ვიყო", რაც ქართველების ყოველდღიურ მეტყველებაში იხმარება შინაურების მიმართ. თავდაპირველი ცნება-მნიშვნელობიდან – წარმართულ-კულტური შეხედულებიდან, ქრისტიანობაში სრულიად ახალი ცნება შეიქმნა – „აღსარება",[353] აღსარების თქმა, აღიარება – მე ვაღიარებ, რაც შემდეგ ქრისტიანულ-საეკლესიო (სასულიერო) გამოთქმად, გამონათქვამად იქცა ცოდვის მონანიების თვალსაზრისით. წარმართული წარსულის პერსისტენციის (დაჟინება, შეუპოვრობა) უკეთესი გამოვლინება შეუძლებელია.

სტრაბონი აღწერს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის მაგალითებს კავკასიის ალბანელებთან,[354] სადაც ხელმწიფის შემდეგ უპირველესი და ყველაზე უფრო დიდი ძალაუფლების მქონე პიროვნება უფროსი ქურუმი იყო. ძველ დროში თაყვანს სცემდნენ მზეს, უმაღლეს ღმერთს - ზევსს, მთვარეს, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელს, რომლის უდიდესი სამლოცველო სახლი იბერიის საზღვართან იდგა. ამ სამლოცველოს ეკუთვნოდა ვრცელი, მჭიდროდ დასახლებული ადგილ-მამულები და უამრავი მონა, რომელთაც ტრანსის მდგომარეობაში შეეძლოთ წინასწარმეტყველება. იმას, მათ შორის ყველაზე უფრო აღგზნებულს, რომელიც უმეტესწილად ტყეებში იმყოფებოდა (ეს ტყეები წმინდად იყო შერაცხული), დაიჭერდნენ, ყელზე ჯაჭვს შეაბამდნენ და ერთი წლის განმავლობაში კვებავდნენ, რათა სამსხვერპლოდ განემზადებინათ. ბოლოს ცხიმს წაუსვამდნენ და რომელიმე ამ საქმისთვის განკუთვნილი მონა-მსახური გვერდიდან მოხერხებულად შუბს გაუყრიდა გულში. იმის მიხედვით, თუ როგორ დაეცემოდა მიწაზე, იწყებდნენ წინასწარმეტყველებას. ამის შემდეგ გვამზე ფეხს დაადგამდნენ განწმენდის მიზნით. ეს მნიშვნელოვანი ცნობა ცხადყოფს ქართულ მთის მოსახლეობაში საყოველთაოდ გავრცელებულ ჩვეულებას, რომელიც ამჟამად

353 Н. Я. Марр. Грамматика древнегрузинского литературного языка. გვ. 200-201.

354 ივ. ჯავახიშვილი, მითითებული ნაშრომი; იხ. აგრეთვე ჩვენი ნაშრომი „კოლხეთი, ალბანეთი, იბერია" და სხვ. გადმოცემებში ეხედებით ასევე ერთგვარად ეშმაკის კულტს და ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას ალბანელებში (კავკასია). უფრო დაწვრილებით – Brosset, Additions et Eclaircissements, გვ. 472 n. C.

დაკავშირებულია არა მთვარესთან, არამედ წმინდა გიორგისთან და მის ეკლესიებთან. წმინდა გიორგიმ ამ ხალხების რელიგიურ წარმოდგენაში სწორედ მთვარის ღმერთი შეცვალა.

14 აგვისტოს, საღამოს იწყება წმინდა გიორგის დღესასწაული, მაგალითად, სოფელ აწყურში, სადაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან თავს იყრიან მორწმუნეები და პილიგრიმები (მლოცველები). ისინი გარს შემოუვლიან ეკლესიის გალავანს სამჯერ ან შვიდჯერ და თან სიმღერით ამბობენ: „დიდება ღმერთს, დიდება, წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო". როგორც კი ეკლესიის ზარის ხმა გაისმება, შეკრებილები ეკლესიის ეზოში შედიან. ამ დროს ეკლესიის ერთ-ერთი მსახურის (ანუ როგორც მას უწოდებენ, მონა-მორჩილი) ზედ შესასვლელ კართან ძირს ეცემა ისე, რომ ეკლესიაში ვერავინ შევა, თუ მას ფეხი არ დაადგა. მას ყველა იქ შეკრებილმა ფეხი უნდა დააბიჯოს და მათ შორის, პირველმა მღვდელმა. ძირს გართხმულმა მონამ კი ხმა არ უნდა გაიღოს, არამედ სულგანაბული უნდა იწვეს. შემდეგ ეკლესიას კვლავ უნდა შემოუაროს. თეთრ სამოსში გახვეული მონა ქალი აღმაფრენით ცეკვავს. მას ყველანი ქუდმოხდილი და უდრტვინველად, უსიტყვოდ მისჩერებიან, რადგან იგი წმინდა გიორგის ხატის მონა-მორჩილი ქალია. იგი წმინდა გიორგის სურვილით ცეკვავს. ქალი ცეკვავს, ვიდრე ძალ-ღონე არ გამოელევა.

მოსახლეობამ თან მოიყვანა თავ-თავისი მსხვერპლად შესაწირი ცხოველი, ცხვრები და ა. შ. დეკანოზი და მისი დამხმარე დიაკვანი ცოტათი ბეწვს შეუტრუსავენ შუბლზე ცხვარს, თან ლოცულობენ და გარშემო მყოფთ ლოცავენ. მლოცველები ეკლესიის, ხატის ყმებად ითვლებიან და თავიანთი აღთქმა-დაპირების განმავლობაში ყელზე „უღელს", ანუ „ნიშანს" ატარებენ (შანა), რომელიც მავთულისგან არის გაკეთებული. როდესაც აღთქმის ვადა გავა, ისინი კვლავ მოდიან თავიანთი შესაწირავებით ეკლესიაში, სადაც დიაკვანი მათ მონობას აუქმებს, ხოლო ცხოველებს ბეწვს შეუტრუსავენ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული. მონებს უღელს (შანა) მოხსნიან. თეთრად ჩაცმული მონა ქალები კი ამასობაში მუხლებზე ხოხვით ეკლესიას გარშემო უვლიან. თითოეულ მათგანს წმინდა გიორგის მძიმე ჯაჭვი ჰკიდია ყელზე. ყველანი ანთებულ სანთლებს აწებებენ ეკლესიის კედლებზე. ერთ-ერთი მონა ქალი ბამბის სქელ ძაფს შემოავლებს ეკლესიის შენობას გარშემო, რაც არიადნეს (არიადნას) ძაფს ესოდენ გვაგონებს! ეკლესიასთან მთელი ღამე ცეცხლი ანთია. იქვე მდებარეობდა ხშირი ტყე, სადაც შეკრებილები

წმინდა ხეებს ანთებულ სანთლებსა და სხვა ნივთებს სწირავდნენ.

მსგავსი დღესასწაულები ყველგან გავრცელებული იყო კავკასიაში. აღნიშნულ რიტუალებს ღამით ასრულებდნენ, რადგან ისინი მთვარე – ღმერთს – ეკუთვნოდა (მთვარე ღმერთად იყო მიჩნეული). ამისათვის უმეტესწილად ორშაბათ დღეს ირჩევდნენ, რადგან მას მთვარის დღედ თვლიდნენ (მაგალითად, გერმანულ ენაში „მონდ" ნიშნავს მთვარეს, ხოლო „თაგ"- დღეს, ანუ მთვარის დღე – ორშაბათი. – მთარგ.). მეგრულად ეს გამოიხატება სიტყვით „თუთაშხა", ხოლო სვანურად - „დოშდიშ", რაც „მთვარის დღეს" ნიშნავს. წინასწარმეტყველება, ტრანსის მდგომარეობა, ფანტაზიორობა და სხვა მთვარის ზემოქმედების შედეგია. მეგრულად „თუთაში" ნიშნავს „მთვარის ავადმყოფობას" და მოასწავებს მაღალსიცხიანი ავადმყოფის ფანტაზიებსა და ბოდვებს. აღსანიშნავია, რომ ხალხურ ზეიმებს უკავშირებდნენ რწმენას ახალგაზრდა კაცების მიმართ, ანუ ხალხს სჯეროდა, რომ ახალგაზრდა კაცების ცოლქმრული ბედნიერებისა და სიკეთისათვის ამ დღესასწაულებს და ამ დროს შესრულებულ წეს-ჩვეულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ საუბარია სოფლის დღესასწაულებზე, მაგალითად, სოფელ სორიზე (სორი) და სხვა.[355] ეს იმდენადაცაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მთის ხალხების, აფხაზების, მეგრელებისა და სხვათა საკრალური წეს-ჩვეულება – ქურდობა, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი, წმინდა გიორგისთან იყო დაკავშირებული, რითაც ქურდობა (ასევე საქონლის თუ სხვა რამის გატაცება), ქალის მოტაცება და სხვა, გამართლებულად ითვლებოდა, როგორც ქორწინების, ანუ ოჯახის შექმნის ერთგვარი წინა პირობა. თავდაპირველად, ძველ დროში მთვარის კულტი იყო გამეფებული, როგორც რიტუალებისა და ცერემონიების საფუძველი (რაც შემდეგ წმინდა გიორგიმ შეცვალა) და ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანების მსხვერპლად შეწირვასთან, რაც ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ სრულიად აღმოიფხვრა. მაშასადამე, საკრალური ქურდობა, მოტაცება-გატაცება და სხვა მთვარის რიტუალთან და ასევე ადამიანთა მსხვერპლად შეწირვასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ ეს წმინდა ილორის დღესასწაულზე მუდამ ღამით ხდებოდა, რადგან ღამე და მთვარე ცნებით ლოგიკურ კავშირში არიან. რადგანაც მთვარის კულტი ადამიანთა მსხვერპლს მოითხოვდა, ადამიანსაც

355 პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1-ლი, 1928, გვ. 43-54, სადაც ბევრი სხვა მაგალითებიცაა; ჩვენ მას თითქმის სიტყვასიტყვით მივყვებოდით; იხ. აგრეთვე ჩვენი „კოლხეთი, იბერია და ალბანეთი".

ეს ხვედრი ელოდა. ცნობილია, რომ ტუსაღს, ომში დატყვევებულ მეომარს და სხვ. უმეტესწილად ამ მიზნით იყენებდნენ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ კავშირების დადგენა: მთვარის კულტის, ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის, ქურდობის, გოგონების მოტაცების, ამოცანის სრულად ამოხსნა და დამტკიცება კი ჯერ ვერა.

მთვარის კავშირი სიყვარულთან და სიყვარულის მაგიური ძალა, მთვარის ქალღმერთისა და მზის ღმერთის ქორწინება ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდანაა ცნობილი. მთვარის ქალღმერთი ახალგაზრდა ბიჭებისა და გოგონების მფარველია მათ სიყვარულსა და შეუღლებაში. თალესის შემდეგ მზისა და მთვარის შეერთებას, დაკავშირებას ეწოდება „კოიტუს-სინოდის" (coitus-synodis) - ორივე ეს შეუღლებული მნათობი, თურმე ემალება ადამიანთა სამყაროს. მთვარის ქალღმერთის კავშირ-დამოკიდებულება სიყვარულისადმი, ქორწინებისადმი და ცოლქმრობისადმი მრავალნაირია, მიუხედავად, ანდა სწორედ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის გამო.[356]

ახლა ჯერ პასუხია გასაცემი შემდეგ კითხვაზე: რატომ არ არის ქართველებში საკრალური ქურდობის კვალი, თუკი ის დაკავშირებული იყო მთვარის კულტთან და ა. შ.?

ქართული მატიანეები,[357] ჟამთააღმწერლები გვატყობინებენ, რომ ქართველები, თავდაპირველად, სამყაროს შემქმნელ ღმერთს სცემდნენ თაყვანს, მაგრამ შემდეგ დაივიწყეს ის და ჯერ კიდევ მონარქიის (მეფობის) დაარსებამდე დაიწყეს მზის, მთვარისა და ხუთი ციური მნათობის გაღმერთება. ეს ცნობა მიუთითებს რელიგიური გარდატეხის ერთ-ერთ ფაზაზე, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც პირველი ფაზა. როდესაც ქართველები კავკასიაში დასახლდნენ, მათ თან მოჰყვათ სამყაროს შემოქმედის რწმენა, რომელიც შემდეგ მთვარისა და მზის რელიგიით შეცვალეს, კავკასიაში გადასვლისას რომ დახვდათ ადგილზე. შემდეგ საქართველოში სხვა ღმერთებიც გავრცელდა, რომლებზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ეს ცვლილება და სიახლეები ადასტურებს, რომ მთვარის კულტი საქართველოში შედარებით ახალი მოვლენა იყო და ისეთი ხალხური არ შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც ამას კავკასიის სხვა ხალხებთან ვხვდებით. აქედან გამომდინარე, მთვარის კულტით გაპირობებული წეს-ჩვეულები, როგორებიც იყო ადამიანების

356 W. H. Roscher, Lexikon der griech.-roem. Mythologie, ტ. მე-2, გვ. 3119-3200.

357 ჯავახიშვილი მითითებულ ნაშრომში Brosset, Additions et Eclaireissements (1851), გვ. 4, 7; ჯანაშვილი, Сборник Материалов, ტომი 35, გვ. 193-დან.

მსხვერპლად შეწირვა, საკრალური ქურდობა და სხვა, კავკასიის სხვა ხალხებთან უფრო ხანგრძლივად შემორჩა, ვიდრე ქართველებში, რადგან ამ უკანასკნელებმა ისინი გაცილებით უფრო ადვილად და სწრაფად დაძლიეს; განსაკუთრებით დიდხანს გრძელდებოდა ამ წეს-ჩვეულებების შესრულება მთის მოსახლეობაში, სადაც თვითონ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჯერ კიდევ 1843 წლით თარიღდება,[358] როგორც ეს ჩვენს მიერ ზემოთ იქნა აღნიშნული, და სადაც საკრალური ქურდობა ჯერაც შენარჩუნებულია.

ინგუშებში დღემდე შენარჩუნებულია შემდეგი ძველი ჩვეულება: რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში მამა უფლებამოსილია თავისი ქალიშვილისათვის საქმროს საჩუქრის სახით (კალიმ) მოსთხოვოს ვინმე კაცის ტყვედ მოყვანა; ტყვეები კი ადრე მონები იყვნენ, რომლებიც შეეძლოთ მსხვერპლად შეეწირათ, მაშასადამე, ცხოველივით დაეკლათ. ამ „კალიმის" შოვნაში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა ნათესავს, ასევე შესაბამისი პირის დატყვევებაში, გატაცება-მოტაცებაში და ქურდობაში.[359]

სიმწიფის ასაკის დადგომისას ბიძა (დედის მხრიდან) ახალგაზრდას ასაჩუქრებდა მახვილით (ხანჯლის მსგავსი ორპირი და ბასრი იარაღი) და ცხენით. ახლა კი იგი ბიძას პარაეს მახვილს და ცხენს თუნდაც ხუმრობით[360] – მაშასადამე, ახალგაზრდისთვის სიმწიფის ასაკის დადგომა დაკავშირებულია ქურდობასთან.

აფხაზების შესახებ ცნობილია, რომ ისინი თაყვანს სცემდნენ მზეს, როგორც ღვთაებას და თავიანთი ლოცვების შესრულების დროს ევედრებოდნენ მას, მიენიჭებინა მათი ქალიშვილებისათვის სილამაზე, ეშხიანობა, სიტურფე და სხვ., ხოლო მთვარეს შესთხოვდნენ მისებურ ბრწყინვალებასა და სხვა თვისებებს თავიანთი ვაჟიშვილებისათვის.[361] მაშასადამე, ცოლქმრული ბედნიერება ახალგაზრდა ვაჟებისათვის აქაც მთვარესთან დაკავშირებითაა დახასიათებული.

აფხაზების საკრალურ ქურდობაზე, განსაკუთრებით კი თავადაზნაურობის მხრიდან, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.[362] ამის შესახებ აფხაზები მოგვითხრობენ: უძველეს დროში ერთი უცნობი მოხუცი აფხაზეთში ჩავიდა. რადგანაც ძალიან დაღლილი იყო, მდინარე ფსირთის ნაპირას

358 იხ. ნაწილი 1; რუსი კონკისტადორები (დამპყრობლები) კავკასიაში, 1908, გვ. 374.

359 М. Яковлев, Ингуши, გვ. 50-51.

360 იქვე, გვ. 47; შეადარე გვ. 14, 60-61, 92-95.

361 მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, გვ. 299-301.

362 შეადარე: Абхазцы (Азега) // Сборник сведений о кавказских горцах, ტ. მე-6, 1872,

წამოწვა. ხის ფეხსაცმელები გაიძრო, გვერდით დაიდო და ჩაიძინა. ამ დროს ერთმა აფხაზმა მას ფეხსაცმელები მოპარა. როდესაც გაიღვიძა, მან თავისი ფეხსაცმელები მოიკითხა, მაგრამ არავინ არაფერი მისცა. მაშინ მან აფხაზი ხალხი დაწყევლა: „ქურდებად დარჩენილიყავით სამუდამოდ!“ ამიტომაც ვიპარავთ ჩვენ, აფხაზები.[363]

მეგრელები სხვა ლეგენდას გვიამბობენ: ერთხელ წმინდა სოლომონი (ყველა ხელობის, მათ შორის მჭედლობის, აღმომჩენი) ღმერთთან მივიდა და სთხოვა, ქვეყანას (სამყაროს) დროებით მე ვმართავო. ღმერთმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა. წმინდა სოლომონი მოვალეობის შესრულებას შეუდგა და მისდა გასაკვირად დაინახა, რომ ერთი ცხენოსანი წყაროს წყალთან მივიდა, რათა მას და მის ცხენს ცოტა ძალა მოეკრიბათ და გახალისებულიყვნენ; წასვლისას მგზავრს ფულის ქისა დაუვარდა, რომელიც შემდეგ ადგილობრივმა მკვიდრმა იპოვა და თან წაიღო. ამ დროს მოვიდა ერთი დაღლილი მოხუცი, წყალი დალია და საუზმობას შეუდგა. ცხენოსანი დაბრუნდა და მოხუცს ქისის შესახებ ჰკითხა, რაზედაც მან მიუგო, - არაფერი ვიცი. მან არ დაუჯერა, გაშმაგდა და მოხუცი მოკლა. ამის დანახვაზე აღშფოთებულმა წმინდა სოლომონმა დაიყვირა: „დაე, დაიქცეს ქვეყანა!“ ასეც მოხდებოდა, რომ ღმერთს თავისი მოვალეობა კვლავ თავის თავზე არ აეღო და კვლავ სამყაროს მართვა არ დაეწყო.

ღმერთმა მას აუხსნა: „არაფერი არ უნდა გაუკვირდეს კაცს, ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება“: მოკლულის წინაპარს ემართა „მკვლელის სისხლი“, ხოლო იმის წინაპარს, ვინც ფული დაკარგა, რაღაც მართებდა მპოვნელის წინაპრისა.[364]

გვ. 33.

363 Сборник Материалов для описания местностей и племен кавказа, ტ. მე-5, 1871. გვ. 1.

364 И. Кобалия, Из мифической Колхиды // Сборник Материалов для описания местностей и племен кавказа, გვ.109-111.

დასკვნა

როგორც ზემოაღწერილმა სამართლებრივმა შეხედულებებმა დაადასტურა, კავკასიელი ხალხების პატრიარქალური კულტურა, ასევე მათი რელიგიური შეხედულებებისა და ადათ-წესების ჩვენეულმა აღწერამ ცხადყო პატრიარქალური წეს-ჩვეულებანი და აზროვნების ყაიდა იმ კავკასიელი მთიელი ხალხებისა, რომლებიც ცენტრალური კავკასიის მაღალმთიან ადგილებში ცხოვრობდნენ და გარესამყაროსაგან თითქმის მთლიანად მოწყვეტილნი იყვნენ. ისინი მხოლოდ ბოლო ორი ასწლეულის განმავლობაში გადასახლდნენ თანდათანობით მთიდან ვაკე ადგილებში. ესენი არიან უმთავრესად ინგუშები, ჩეჩნები და სხვები, რომელთაც ზოგიერთი მოგზაური მატრიარქალური წყობილების წარმომადგენლებად მიიჩნევდა, მაგრამ სინამდვილეში ისინი უმეტესწილად პატრიარქალურები არიან, როგორც მრავალი „ნაღდი პატრიარქალური ხალხი". გადმოცემებს ამ ხალხებზე, რომლებიც დასტურდება ასევე ქართული და სომხური მატიანეების მეშვეობით - საიდუმლო ენები მონადირეებისა და ქურდებისა, ფიცის დადება ძაღლებისა და კატების თანხლებით და სხვ., მივყავართ უცხო, უძველეს ხალხებამდე, მუდამ ქალის მონაწილეობას რომ მოწმობს ძველ დროში. ზნე-ჩვეულებები, ამა თუ იმ ენასთან დაკავშირებული ცნობები თუ საბუთები და საერთოდ, ყველაფერი, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ან მივუთითეთ, სარწმუნოს ხდის, რომ მატრიარქალური კულტურის კვალს, - და ასეთი არაერთია - ერთ დროს ხმელთაშუაზღვის ტერიტორიის კულტურულ წრეებში რომ არსებობდა, ერთ ან რამდენიმე უკვე გამქრალ სუბსტრატულ ხალხებამდე მივყავართ, რომლებიც მოგვიანებით ნაწილობრივ კავკასიაში გადასულმა და იქ ჩასახლებულმა ხალხის ფენებმა შეიწოვა.[365] ჩვენ უკვე ვისაუბრეთ კავკასიური სუბსტრატული კულტურის (Substratkultur) ნათესაობაზე ძველაღმოსავლურ კულტურასთან, რაც გამოიხატება ცალკეული წეს-ჩვეულებების - სისხლიანი შურისძიების,[366] სტუმარმასპინძლობის, დაძმობილების, ძუძუმტეობის, საცხოვრებელი თუ თავდასაცავი შენობების მსგავსებაში, რაც არქეოლოგიურადაცაა დადასტურებული. კავკასიის მთის ხალხების

365 პატარა ხალხები წინაისტორიული პერიოდისა და შესაძლოა ასევე ძველი კავკასიისა, რომელთა სახელები ჩვენთვის ნაწილობრივ ცნობილია, ჩანს, გაქრნენ ისტორიის არენიდან; Brosset, Additions et Eclareissments, გვ. 70-71, 83, 92, 168. R. Bleichsteiner, Die kaukasische Sprachengruppe, Anthropos. ტ. 32. გვ. 61-74.

366 Marcaggi, Lamenti, voceri. Chançons populaire... de la Corse (ჩემთვის უცნობია).

ტომობრივი და გვაროვნული წეს-ჩვეულებები თავისი სისხლიანი შურისძიებით და სხვ., რომლებიც ცალკეული სოფლებისა და ოჯახების პარტიკულარულ რელიგიას ემყარება და მასშია ფესვგადგმული, არის ბერძნული ანტიკური სამყაროს ეკვივალენტი, მისი ნაწილი თავისი სამხარეო დანაწევრებებით. მაგრამ ეს ცალკეულ მხარეებად დაყოფაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ ეს რელიგიურად გაპირობებული შურისძიება და სხვა წეს-ჩვეულებები - ძუძუმტეობა, სტუმართმოყვარეობა, გვარეულობებისა და ოჯახების დაძმობილება და სხვა შეწყვეტილიყო და არ განვითარებულიყო.[367]

წარმართულ-ისლამური მემკვიდრეობის (სისხლიანი შურისძიება - jus talionis) და რუსულ-ბოლშევიკური ბატონობის დაძლევაზეა დამოკიდებული მომავალში კავკასიელი მთის ხალხების კეთილდღეობა და სიკეთე.

ანტიკურ ეპოქასთან კავკასიის კულტურული კავშირიდან გამომდინარე, ჩვენ მხედველობაში მივიღეთ, მაგალითად, ქურდობის ჩვეულება, რომლის რელიგიური საწყისი კავკასიაში, ვფიქრობთ, განვმარტეთ და რომელიც ასევე ძველ საბერძნეთში, სავარაუდოდ, მსგავსი სუბსტრატ-კულტურიდანაა წარმოშობილი. თანამედროვე კავკასიოლოგიის დიდი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მან ახალი სხივი მოჰფინოს ასევე ძველი ეპოქის, ძველი დროის შესწავლას.

367 მოგზაურთა ცნობებისადმი სიფრთხილეა საჭირო: თუ მათ საკმაო ხნით არ უცხოვრიათ ამა თუ იმ მხარეში და მათი მკვიდრნი არ შეუსწავლიათ, და არც ენა ესმოდათ, მათ ნაკლებად უნდა ვენდოთ, რადგან აღწერისას შეცდომებს უშვებენ.

III

კავკასიერი ანუ ქართული ელემენტი აღმოსავლეთში

რასობრივი კავშირები

კავკასიური ანუ ქართული ელემენტი აღმოსავლეთში

რასობრივი კვლევები[1]

წინასწარი შენიშვნა. ამ ნაშრომში შეეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია და დაგვემუშავებინა შემდეგი ორი საკითხი: 1. წინა აზიის რამდენიმე შერეული რასის ერთობლიობიდან განსაკუთრებით გამოგვეყო კავკასიური, ანუ ქართული ელემენტი, სახელდობრ კი, როგორც ზედა ფენა, რომელმაც ქრისტიანობამდე დაახლოებით მე-5 ათასწლეულში იმდროინდელი აღმოსავლეთის ხალხები მოიცვა. სწორედ ამიტომ „კავკასიური (ქართული) რასა", როგორც სახელწოდება, გვსურს შევუპირისპიროთ აქამდე გამოყენებულ ტერმინებს – „ალაროდიული", „არმენოიდული", „წინააზიური", „იაფეტური" და სხვ. ეს არის სპეციალური სახელწოდება გარკვეული რასისა, რომელიც როგორც ანთროპოლოგიურად, ისე ინტელექტუალურად, ძირეულად განსხვავდება წინა აზიის სხვა ძველი რასებისაგან; 2. წარმოგვეჩინა წინა აზიის ერთ-ერთი უკვე გამქრალი სუბსტრატული (ქვედაფენა) რასა, „არმენიდებად" და აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძველ მოსახლეობად რომ იწოდება, რომელიც, თუმცა შემდეგში კავკასიური მოსახლეობის ზედა ფენას კი შეუერთდა, მაგრამ თავდაპირველად მასთან არაფერი საერთო არ ჰქონია. ასევე, სომხებშიც ეს არმენოიდული ელემენტი მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც სუბსტრატული მოსახლეობისაგან წარმოიქმნა. ადრე, აღმოსავლეთის ხალხების რასობრივი დახასიათების მიზნით, მრავალი მკვლევარი იყენებდა კრებით ტერმინებს – „წინააზიური", „არმენოიდული" და

1 პირველად დაიბეჭდა ჟურნალში: AAnth (Archiv fuer Anthropologie, Völkerforschung und Kolonialen Kulturwandel) N. F. 25, (1939), გვ. 1-28.

სხვ., რომლებიც მხოლოდ კავკასიურ რასასთან სხვადასხვა უძველესი რასის შერევის პროდუქტია. ჩვენ გვსურს განსაკუთრებით გამოვყოთ ქართული ელემენტი, ძველებურ სახელწოდებას კი ბრჭყალებში დავტოვებთ, როდესაც შესაბამის ავტორებზე ვისაუბრებთ და მათ მოსაზრება-დასაბუთებებს მოვიყვანთ. მაშინ ბრჭყალები იმის ნიშანი იქნება, რომ შესაბამისი სახელწოდება ჩვენი კავკასიური რასის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ და გავიაზროთ.

არმენიდები კი (ბრჭყალების გარეშე) ნიშნავს ძველი აღმოსავლეთის სუბსტრატული (ქვედაფენა) მოსახლეობის ერთ-ერთ უძველეს რასას კავკასიელების დამკვიდრებამდე.[2]

აქამდე თითქმის გამოუყენებელი რჩება კავკასიური მეცნიერული კვლევა-ძიება. მდებარეობს რა აღმოსავლეთ ევროპის განაპირა მხარეს, კავკასია და პონტო დასავლეთ ევროპელი მკვლევარებისათვის უმეტესწილად მიუდგომელი რჩება - არა მხოლოდ ენობრივი და სივრცობრივი, არამედ პოლიტიკური მიზეზების გამო. როდესაც ფონ დერ ოსტენი ანატოლიაში მოგზაურობის დროს განმეორებით შეეცადა ლაზისტან-პონტოს მიმართულებით გამგზავრებულიყო, მას ავარია შეემთხვა. როცა ლაზების შესახებ შეკითხვა დასვა, რომელიც სამხრეთ საქართველოს ისლამიზებული, გამაჰმადიანებული ხალხია, მან კომპეტენტური წრეების წარმომადგენელთაგან ასეთი პასუხი მიიღო: ესენი უცნობი ხალხიაო! ასევე, სამეცნიერო ლიტერატურაში უამრავი ტერმინი არსებობს, კავკასიელი ხალხების რასობრივ წარმოშობას რომ გამოხატავენ. ესენია: „წინააზიური", „იაფეტური", „კავკასიური", „არმენოიდული" „ზაგროპონტული", „ქართული რასა" და ა. შ., რაც იმის საბუთია, რომ კავკასია სრულიად ახალი სფეროა რასების გამოკვლევისა, თუმცა მან ძველი ხმელთაშუა ზღვის აუზის, ახლო აღმოსავლეთისა და ევრაზიული დაბლობებისათვის რასობრივი ელემენტი შემოიტანა, რომელსაც შეეძლო აქტიური როლი ეთამაშა ისტორიის სფეროში. მართალია, მისი უმთავრესი გავრცელების არეალი აღმოსავლეთიცაა, მაგრამ ამ რასის ზეგავლენები ჩრდილოეთსაც (სკანდინავიას) მისწვდა! არა მხოლოდ კაზაკები არიან კავკასიური ნარევი, განსაკუთრებით

2 შეგახსენებთ ჩემს სტატიას „Urgeschichte Kaukasiens", A XXVI.

ჩერქეზებისა, რომელთა სახელსაც ისინი ჯერ კიდევ ატარებენ, არამედ კავკასიური ელემენტი გავრცელებულია უკრაინელ და პოლონელ ხალხებში და აქ უშუალო სუბსტრატულ ელემენტს ქმნის. მე დიდი მადლობელი ვარ უკრაინელი მეცნიერის ვ. შჩერბაკოვსკისა, რომელმაც თავის მოსწავლეებთან ერთად ხელი შემიწყო მუშაობაში, მომცა მითითებები და მომწერა: „თქვენ სწორ გზაზე ხართ". ჩრდილოელ რუსებს კი ურალური ელემენტი უნდა ჰქონდეთ სუბსტრატის სახით. ამას ემატება აგრეთვე მონღოლებთან შერევა.[3] დასავლეთ ევროპელ სწავლულებთან ერთად, უნდა დავასახელოთ ასევე მოსკოველი ვ. ვ. ბუნაკი, რომელმაც თავისი ნაშრომი იმავე რასის თემას მიუძღვნა. ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ კვლევა-ძიების წინასწარ შედეგებზე ქართულ-კავკასიურ რასასთან დაკავშირებით (ანუ კავკასიდების შესახებ) და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომლის დროსაც შევეხებით ასევე სილამაზის ნიმუშს და კავშირ-ურთიერთობებს ინდოევროპულთან (მის არსსა და კულტურასთან).

ძველად განასხვავებდნენ, გამოჰყოფდნენ შემდეგ სახეობას ხმელთაშუა ზღვის აუზთან და ანატოლიასთან მიმართებაში: – „იაფეტიდები", ანთროპოლოგები „არმენოიდულ" (Luschan) ან ასურულ ტიპს რომ უწოდებდნენ, ზოგჯერ კი „წინააზიური ტიპის" სახელწოდებითაც იხსენიებდნენ. მას რუსი ანთროპოლოგი, მოსკოველი პროფესორი ვ. ბუნაკი[4] პონტო-ზაგროსულ სახეობას უწოდებს, (რადგან ეს მხარე ნაგულისხმევია შავი ზღვიდან ზაგროსის უღელტეხილამდე), როგორც მათი წარმოშობის ადგილს.

აღნიშნულ სახეობასთან ყველაზე ახლოს დგას დინარიულ-ადრიატული (Deniker) და შემდეგ ალპური სახეობა. შემდეგ მოდის მედიტერანული ტიპი, რომლის დახასიათებას აქ არ შევუდგებით. ასევე აღსანიშნავია ბრახიცეფალური სახეობები, - ზემომოხსენიებული ალპური, დინარიული და არმენოიდული, რომლებიც ქმნიან მთელ რასას (Bunak,

---

3 Prof. Dr. Ernst Schultze, Leipzig, Die Mongolisierung Russlands, გვ. 52-70. Archiv f. Rassen- und Gesellschaftsbiologie, მე-20 ტომი, 1928. უფრო მნიშვნელოვანია „ევრაზიული მოძრაობა" რუსულ ემიგრაციაში, რომელიც შეგნებულად უსვამს ხაზს მონღოლურ-თათრულ ელემენტს რუსებში და რუსების მომავალი ბედის წარმართვას ამ ფაქტორს უკავშირებს. თავადი Н.С. Трубецкой, Верхи и низы русской культуры // Исход к Востоку. София, 1921, გვ. 86-103; რუსულ კულტურაში თურანული ელემენტის შესახებ იხ. Н. С. Трубецкой. О туранской элементе в русской культуре // Евразийский временник. Берлин, 1923; Eickstedt, Rassenkunde un Rassengeschichte der Menschheit, 1934, გვ. 174-188, 281, 478, 481, 902.

4 Crania Armenica, „Russ. Anthropol. Journal"-ის დამატება, ტ. XVI, დანართი 1-2.

გვ. 218). ბუნაკმა „არმენოიდული“ სახეობა 500-ზე მეტი თავის ქალის საშუალებით გამოიკვლია, რომლებიც მან სომხური ტრაგედიის შემდეგ მალევე შეაგროვა ანატოლიაში. თავის ქალები ბრახიცეფალური სახეობისაა, მაგრამ გაცილებით უფრო მაღალი და საკმაოდ განიერი. ისინი დაახლოებით ემთხვევა დინარიულ სახეობას, ოღონდ ზომებით რამდენადმე განსხვავდება მათგან. მისგან გამოკვლეული სომხური თავის ქალები იყო: მოკლე, განიერი, მოგრძო და შედარებით უფრო მცირე ფორმისა.[5] ამ ტიპთან ხშირი სომატური ნიშანია ერთმანეთზე გადაბმული წარბები.

სომხური ტიპის ერთ-ერთი კომპონენტი უკვე გამქრალია. სავარაუდოდ, იგი ძალიან მოკლე და მრგვალი უნდა ყოფილიყო. ბუნაკის მიხედვით, იგი უკვე უძველეს ხანაში გავრცელდა, მაგრამ მან საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა სომხურ ტიპზე, და საერთოდ, ბრახიცეფალია (მოკლე, პატარა თავის ქალა) ევროპასა და აზიაში ამ ელემენტიდანაა წარმოშობილი; ამიტომ ეს დღემდე მოქმედ ელემენტად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ გვსურს ეს აღვნიშნოთ და გამოვყოთ იგი, როგორც განსაკუთრებული ჯგუფი (განსაკუთრებული რასა ანდა სახეობა), რომლის საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა და, რომელსაც ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ შევეხებით.[6]

ბრახიცეფალური სახეობის გავრცელების არე მოიცავს მთელ პამირის მხარეს ალპების გავლით სამხრეთ და ცენტრალურ ევროპამდე, სადაც ბრახიცეფალია ისტორიის მსვლელობისას თანდათანობით ფეხს იკიდებს და მოსახლეობის ფენებს ედება. მაგალითად, პოლონეთში უკვე კარგა ხნის წინ ჰქონდა ბრახიცეფალიას ფეხი მოკიდებული თავად-აზნაურობაში,[7] რომლის სპეციფიკურ თავისებურებებს ევროპაში ყველგან შეხვდებით ინგლისსა თუ ირლანდიაში სკანდინავიამდე, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში. ეს „არმენოიდული“ სახეობა

---

5 რაც ინტელიგენტობაში არ უნდა აგვერიოს, რადგან დიდი ზომის ტვინი სრულიადაც არ ნიშნავს ინტელიგენტს. იხ. E.v. Eickstedt, Verbreitung, Stellung und Aussehen des Neanderthalers, გვ. 1-20, „Erdball“, რვეული 1-4.

6 Bunak, l.c. გვ. 172, 185-დან.

7 Eugene Pittard, Les Rasses et l'Histoire, გვ. 273-290, pass. 507, 230-დან, 261-დან, 250, 273-დან, 36, 181-დან. „Armenoidenelement" in Polen: J.C. Czekanowski (Lwow), და L. Sedelaczek – Komorowski (Krakau): თავიანთ მოხსენებებში ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული მეცნიერების პირველ ინტერნაციონალურ კონგრესზე. ლონდონი, 1934. L' Antropologie, გვ. 44, 557-578, 1934 წ. განსაკუთრებით 557; შემდეგ Czekanowski, Les buts et les methodes d. l'ecole antropol polonaise, იქვე, გვ. 34, 573-590, 1935 წ.; გვ. 46, 45-55, 1936 წ.

გავრცელებული იყო ქრისტიანობამდე მე-4 და მე-3 ათასწლეულებში შუამდინარეთში (მდინარეების ევფრატსა და ტიგროსს შორის) და მთელ წინა აზიაში. მას ზოგი საერთო და რამდენიმე მსგავსება აკავშირებს მედიტერანულ რასასთან, რაც მესოპოტამიაში ახლაც არსებობს. იგივე არმენოიდული (ანუ კავკასიური) რასა არსებობდა ელამში, სამხრეთ სპარსეთსა და ხელთაშუა ზღვის მხარეებში. „შეუძლებელია რომელიმე სხვა რასობრივი ელემენტის მოძიება წინა აზიის უძველეს მოსახლეობაში".[8] მედიტერანული რასა ბევრად უფრო ნაკლებადაა წარმოდგენილი. „არმენოიდული" სახეობა უძველესია, მას შემდეგში შეერივნენ აზიელი და ევროპელი იმიგრანტები, ბერძნები, ირანელები, თურქები, რომლებიც ანთროპოლოგიურად ამ ადგილობრივ რასაში აირივნენ. ეს სახეობა უკვე კარგად იყო ჩამოყალიბებული თავისი მტკიცე, დასრულებული ფორმით, ვიდრე იქ სხვა ხალხები დასახლდებოდნენ. „არმენოიდული" ტიპის წარმოშობა ბუნაკს სურს დაუკავშიროს შუმერების წარმოშობის საკითხს. იგი მიიჩნევს, რომ შუმერი სუბარაელები, კასიტები, მითანი, ურარტუ, ხეთები ერთი და იგივე ეთნიკურ-კულტურულ ერთეულს წარმოადგენდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ეტრუსკები, პელაზგები, ლელეგები, კარეები, კოლხები, ურარტუელები და სხვა, რომლებიც იყვნენ ერთიანი პრეელინისტურ-აზიური რასა ევროპასა და წინა აზიაში, ხოლო ქართული ტომები, ბუნაკის შეხედულებით, იყვნენ ამ რასის ნაშთები.[9] სახეობა, ტიპი შენარჩუნდა – ხოლო უძველესი ერები გაქრნენ თავიანთ ენებთან ერთად. ბუნაკი თავისი ანთროპოლოგიური დაკვირვებების დროს ემყარება ქანდაკებებს, ფიგურებს და ადამიანის გამოსახულებებს, რომლებიც ძველ დროში შეიქმნა. ასაბუთებს მათ ენობრივი კლევის შედეგებით და ასევე მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ზემო ავსტრიაში წარმოებული გათხრების შედე-

8 Bunak, Crania Arm. გვ. 197, 205-დან, 229-231. იძლევა თავისი გამოკვლევების სქემას: subvarians Ponto-Zagrica, typ, vapicus eurasica; subvarians dinarica, typ. dalmaticus; varians asiatica; subvarians occidentalis, typ. altaicus. V. Christian, Unters. z. Palaeoethn. იქვე გვ. 187, Mitt. d. Anthr. Ges. Wien, ტ. 55, 1925. E.G. Bowen, The Racial Georg. of Europe at the Dawn of the age of the Age of Metal, გვ. 349-356, 1931. W.M. Hausschild, Die kleinasiat. Völker u. ihre Beziehung. z. d. Juden, გვ. 518, 526, Zeitschrift f. Ethnol. 1920, 1921, რვეული 6. O. Menghin, Weltgeschichte der Steinzeit, გვ. 541-548, 591. Felix Sartiaux, Les Civilisations anc. D. L'Asie mineure, 16. M. Semper, rass. U. Rel. i. alt. Kleinasien, გვ. 80-120, 184-190, 310. C.U. Ariëns Kappers, An Introduktion to the Anthrop. Of the Near east, in Anc. And recent Times, Amsterdam 1934, გვ. 12-21, 77-79, 142.

9 Bunak, გვ. 200-214; Ed. Meyer, Gesch. d. Altertums, გვ. 435, 507. Vikt. Lebzelter, Rass. u. Volk in SO-Europa, გვ. 61-126; Mitt. Anthropol. Wien, 1929, ტ. 19.

გად მოპოვებული კერამიკული მასალებით, ტრიპოლის კულტურისა და დუნაის კულტურული წრეების მონაცემებით და აკეთებს დასკვნას. რომ ამ კულტურის გავრცელება „არმენოიდულ" რასასთან იყო დაკავშირებული.[10] მაშინ, როცა თურქეთის ვანისა და ბიტლის ვილაიეთები (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, მთარგმნ.) ამ ძველი მცირეაზიური არმენოიდულ-კავკასიური რასის გავრცელების სფეროს მისი განტოტებები ჯერ კიდევ არსებობს დასავლეთ შვეიცარიაში, ხორვატიაში, დალმატიასა და ა. შ. ამავე დროს არ უნდა გამოვრიცხოთ ევრაზიის აღმოსავლეთი ქვეყნები.[11] ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველად წინა აზიაში, ბუნაკის შეხედულებით, სავარაუდოდ უნდა არსებულიყო ასევე პროტო-ქამიტური ელემენტი.[12]

ბიბლიური გადმოცემა პალესტინაში ძველი კუშიტური მოსახლეობის შესახებ დასტურდება თანამედროვე გამოკვლევებით: 1928 წელს შუკბას გამოქვაბულებში (იუდეის გორაკებზე) და 1929-1931 წლებში კარმელის გათხრების შედეგად აღმოაჩინეს ჩონჩხი ერთ-ერთი რასისა, რომელიც კუნძულ მალტის ნეოლითური ხანის მოსახლეობის მონათესავე იყო. იგი ნეგროიდულ ელემენტს გამოსახავს. მასთანვე დაკავშირებული იყო, აგრეთვე, სამხრეთ ევროპის მოსახლეობის ელემენტები ადრეული ქვის ხანის პერიოდის კულტურის განვითარების საფეხურზე, უფრო მეტი პრედინასტიურ ეგვიპტეში და გვიანნეოლითურ ჩრდილოეთ აფრიკაში.[13]

ასევე ნეანდერტალოიდური რასის სახეობა არსებობდა პალესტინაში მუსტიეურ ეპოქაში, როგორც ამას გალილეას გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები ადასტურებენ, რომელთაც შეესატყვისება გიბრალტარ-

10 Bunak, გვ. 218, შდრ. Frankfort, Studies in the Early Pottery, II, გვ. 178, ნ. 5.

11 Bunak, გვ. 229, S. Feist, Indogerm. U. Germ., გვ. 132, მცირე აზია ანთროპოლოგიურად საკმაოდ ჰომოგენური „ალაროიდული" რასაა.

12 ხმელთაშუა ზღვის აუზის დასავლეთშიც – კრეტა – სიცილია – მალტა, ბალეარენი; შდრ. Schuchardt, Alteuropa, გვ. 145-184. H. Frankfort, იქვე II, გვ. 6, 56. კავკასიისათვის: Chantre, Recherches anthropol. Au Caucase, II, გვ. 214, (Kuschiten), X.F. Wolff, Rassenlehre გვ. 109, 118.

13 Proceedings of the first internation. Congress of Prehistoric and Protohistor. Sciences, გვ. 33-43, 46-47, 107-108, 48-50, 50-56, 63-65, 222-224. Wilhelm Gieseler, Abstammungs- und Rassenkunde des Menschen, I, გვ. 106-133 და ა. შ. L' Antropologie, 46, 12-16, 1936. H. Breuil et A. C. Blanc, Le nouveau crâné néanderthalien de Saccopastore (Rome). ჯავახიშვილი, ჟურნალი „Georgica", I.c.; E.v. Eickstedt, Verbreitung, Stellung und Aussehen des Neanderthalers, გვ. 1-20, „Erdball", რვეული 1-4. იგივე: Rassenkunde und Rassengesch. der Menschheit, 1934, გვ. 338.

სა და საკოპასტორეში აღმოჩენილი ნივთები.[14]

ნეანდერტალელი ადამიანი ცნობილია ასევე მონტე დეეიოდან გარგანოს მთიანეთში.[15] ნეგროიდული ელემენტი კი აღმოაჩინეს ტროას გათხრების ქვედა შრეებში.[16]

ენობრივი გარემოებების გამო, რომელთა საფუძველზეც მკვლევარები ზოგი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური საკითხის შესწავლისას საბუთების ნაკლებობას არ განიცდიან, ლინგვისტები ცდილობენ გახსნან და დაადგინონ ქამიტური ელემენტი წინა აზიაში. საერთოდ, ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება ქამიტური ელემენტი მდინარე ინდიდან ეგეოსის ზღვამდე: ჟ. კარსტი[17] და განსაკუთრებით Hamy, de Morgan, Quatrfages[18] და ა. შ., რომლებიც ნეგროიდებს, ეთიოპურ-კუშიტურ ელემენტს წინ უძღვიან ელამ-სპარსეთში და თითქის არ გვხვდება ამის საწინააღმდეგო მოსაზრება თუ არგუმენტი, ისევე, როგორც კრეტაზე მე-4 ათასწლეულში დადგინდა და გამოიკვეთა ლიბიურ-აფრიკული კავშირები.[19] ასე მაგალითად, შუხარდტი კრეტის, მალტის, სიცილიის, ბალეარების მოსახლეობას და სხვებს უფრო ძველ აფრიკულ ფენებად მიიჩნევს.[20] და რადგან მკვლევარ ფრანკფორტის შეხედულებით ქვის ხანის პერიოდს მცირე აზიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია, ჩვენ ეს ნეგროიდული მოსახლეობა ნაწილობრივ ასევე სპილენძის ხანის უადრეს ხანად უნდა მივიჩნიოთ.

ამ „ნეგროიდულ", ყოველ შემთხვევაში მუქკანიან, მოსახლეობას უკავშირდება წინადაცვეთის ჩვეულების გავრცელება, რომელიც დადასტურებულია ეთიოპიელებთან, ეგვიპტელებთან და ასევე პალესტი-

---

14 იქვე.

15 იქვე.

16 იქვე.

17 Or. Med., გვ. 158, იქვე. გვ. 443, 584-593; Grundsteine z. einer Mittel.- Asian. Urgesch., გვ. 170-174.

18 შედგენილია G. Contenau მიერ, Manuél d'Arch. Orient. I, გვ. 98, 111; Hüsing, Urbevölk. Irans, გვ. 242, Keleti Szelme II, 1901.

19 Fr. Kern, Die Welt, worein die Griechen traten, გვ. 195-207, Anthropos, ტომი 25, 1930; Kaukas. Haitoiden: Ed. Naville, L' âge de cuivre en Egypte, გვ. 1-20, Rev. Arch., 1924. J. Przyluski, Un ancian people du Pundjab.: Les Udumbara, გვ. 1-55, Journ. Asiat., 1926, გვ. 208: დრავიდებისა და ბრაჰუის დიდი გავრცელების არე ძველ ირანში. Buxton და Rice, l.c. გვ. 82, 90-91, Journ. Of the royal Anthr. Inst., ტომი LXI (1931), გვ. 57-119; V. Christian, in Babiloniaca 12. გვ. 97- 222, 1931; განსაკუთრებით გვ. 132-148, 159-170. 218-222, G. Huesing, Die elam. Sprachforsch., 13, Memnon, IV, გვ. 5-40. შეადარე C.U. Ariëns Kappers, Lc. გვ. 162-დან.

20 Alteuropa, გვ. 145-184.

ნასა და ფინიკიაში. ჰეროდოტე (II, 104) გვაწვდის ცნობას, რომ რამდენიმე პონტო-კავკასიელ ხალხს იგივე წეს-ჩვეულება ჰქონდათ, თანაც ისე, რომ კოლხები იყვნენ მიმცემნი, და მაგალითად, მაკრონები (დღევანდელი მეგრელები, ანუ მარგალები; მარგალი – მეგრულად მეგრელი) – მიმღებნი იყვნენ. ის, რომ ეს ჩვეულება ძველთაგანვე კავკასიური არ იყო, ადასტურებს მისი შემსრულებელი, კავკასიელი ხალხების ძალზე მცირე რიცხვი.

ის გარემოება, რომ ეს წეს-ჩვეულება კავკასიაში ჯერ კიდევ ჰეროდოტეს დროს და ასევე მოგვიანებითაც კი, ძალაში იყო თუნდაც ცალკეულ მხარეებში, დასტურდება მისი რუდიმენტული ხასიათით, რომელიც, როგორც ჩანს, ერთ-ერთ მოსახლეობას ახასიათებდა და თავიანთი იქ დამკვიდრების შემდეგ კავკასიელმა ხალხებმაც მათგან გადაიღეს. რადგან ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები ხალხები ეგვიპტურ წყაროებში ნაწილობრივ წინადაცვეთილებად მოიხსენიებიან, ასე მაგალითად, აქუაივაშა[21] (Aquaiwascha) (კავკასიის ახეელები, ე. ი. აბაზგები თუ აფხაზები?), ეს წინა პირობაა ამ ხალხების ხანგრძლივი სიმბიოზისა ძველ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ის, რომ კავკასიელი კოლხები ამ წესს იცავდნენ, ადასტურებს მათ შერევას, შერწყმას წინა მოსახლეობასთან, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, ჰამიდოიდურ რასასთან ახლოს დგას, ისე რომ, პროტოკოლხები შავგვრემან ხალხად უნდა მივიჩნიოთ. სახელწოდება კოლხი, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია ინდოელ ტომებთან, სადაც, პრცილუსკის შეხედულებით, მუქკანიანი მოსახლეობა გაცილებით უფრო გავრცელებული იყო - დრავიდები, ბრაჰუი და სხვ. სახელწოდება „ქუჩი" – ქართული ტომი კავკასიაში - გვხვდება აგრეთვე ავღანეთში: ქუჩისტანი, ქუჩი-მადანი და ა. შ.[22]

ეს და სხვა მრავალი შესატყვისობანი და მსგავსებანი, რომლებიც ასევე ჩრდილოეთ აფრიკის ენებშია აღმოჩენილი, მაგალითად, „Toureag"-ში,[23] გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ ჩვენი ვარაუდი ჰამიდოიდების, მოცემულ შემთხვევაში კოლხების წინაპრების, მუქი ფერის კანთან დაკავშირებით სიმართლისგან მთლად დაშორებული არ იყო.[24]

---

21 P. Kretschmar, Die Hypachäer, Alaksandus u. andere umstrittene Namen d. hetti. Texte, გვ. 213-257; Glotta, 1933; XXI, რვეული 3-4, Reallex, Vorg. და ა. შ.

22 Mustafa Chokaieff, The situation in Afghanistan, 324-330, Asiat. Rev. 1930.

23 G. Dumézil, Labrys, 237-239, Journ. Asiat. 1929, გვ. 215.

24 E. Spinner, Herkunft, Entstehung und antike Umwelt d. Hebräischen Volkes, 1933, გვ. 45-46, 219-234.

ისევე როგორც თითქმის დადგენილია, რომ ქუშიტური სისხლი ძველ ბაბილონელთა ძარღვებში სჩქეფდა, ასევე ელამსა და სამხრეთ არაბეთში.[25] მიკენის მიცვალებულთა ნიღბებზე[26] მსჯელობის დროს ფიშერი მიუთითებს ზანგურ ელემენტზე ეგვიპტესა და წინა აზიაში (ისევე, როგორც ლუშანი მიიჩნევს, რომ გადაბმული წარბები წინააზიური რასის დამახასიათებელი ნიშანია).

ბუნაკის მსგავსი დასკვნები გააკეთა (კავკასიური ხალხების ნათესაობა ხმელთაშუა ზღვის აუზის მოსახლეობასთან ძველ დროში) ლუშანმა,[27] რომელმაც ბუნაკზე უფრო ადრე იმოგზაურა აღმოსავლეთში, ანატოლიასა და თურქეთში, უშუალოდ იკვლევდა საჭირო მასალებს და აწარმოებდა გათხრებს. ამგვარად, მან მოიპოვა ასევე სხვა ცნობები და მასალები წინა აზიის ძველი „არმენოიდული" მოსახლეობის წეს-ჩვეულებების დასახასიათებლად; მაგალითად, თაჰთაჯები თავიანთი შეხვედრების დროს აწყობდნენ ორგიებს, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო ძველი ხალხების ცხოვრებაში; მათ მიაწერდნენ ასევე ინცესტს. მათი რელიგიური შეხედულებები სრულიად ძველებურია: სულის კვლავ გამოცხადება, სულების მოგზაურობა, მოვლინება ხორციელი სიკვდილის შემდეგ სხვა სახით, დედეს[28] (ანუ ტომის, გვარის ერთგვარი რელიგიური მეთაური), ქურუმის ქმედებები; დედე აწყობს შეკრებას გარეთ, ღია ცის ქვეშ, ანდა სულაც მღვიმე-გამოქვაბულებში, სადაც, როგორც ჩანს, ჰიპნოზურ მდგომარეობებსა და ჰალუცინაციურ აღგზნებებს ახორციელებს. სიტყვა „დედე" უდავოდ ძველი მცირეაზიური და კავკასიური წარმოშობისაა (ქართულად „დედა", „უფროსი", „მეთაური"); აქ ერთგვარი ევოკაცია ხდება: გარდაცვლილი დედა გამოდის წინა პლანზე და აცხადებს ტომის ერთ-ერთი წევრის პირით მომავალ ამბებს, ლაპარაკობს წვიმის მოსვლასა და სხვ. ეს წინასწარმეტყველება, მისნო-

25 Reginald S. Poole, Die ägypt. Klassifizierung d. Menschenrassen, გვ. 337, 340, Arch. Anthropol. ტ. 188, 1888.

26 l. c.

27 Völker, Rassen, Sprachen, გვ. 302-312, 119-დან 132-133-მდე, 197-224; Prof. Ferd. Birkner, Die Rassen u. Völker d. Menschheit, გვ. 395, 369-370, 415-422. M. Semper, Rass. u. Rel. და სხვ., l.c. Ephr. Speiser, Mesopotam. Origin. L.c. G. Contenau, Ma. d'Arch. Orient. I, გვ. 80-126, 160-172; III, 1504-1505, 1582-1599, 1600-1601; იგივე, Les Hittites, " L' Antropol." 41, გვ. 489-499, 1931.

28 მსგავსად ხევსურეთისა კავკასიაში, სადაც მას „ხევისბერი" ჰქვია. ასევე მეგრულად „დადია" არის როგორც მეფე - აქედან მოდის გვარი დადიანი. შდრ. И. Кобалия, Из мифической Колхиды // Сборник матерялов для описания местнастей и племен Кавказа. Т. 32, 1903, მე-3 განყოფილება, გვ. 123.

ბა ძველი მცირეაზიური და კავკასიური ჩვეულებაა. დაახლოებით ასეთი წეს-ჩვეულებები აქვთ ასევე ბექთაშებს, ანსარებს, ყიზილბაშებსა და სხვებს. რომლებიც მცირე აზიაში ჯგუფებად არიან დაფანტულნი და ისეთი ეთნოგრაფიულ-ანთროპოლოგიური მსგავსებები აქვთ ძველ მოსახლეობასთან, რომ უდავოა: ისინი დასაბამს იღებენ ერთიანი ძველი მოსახლეობისაგან და მთლიანად შეინარჩუნეს ძველი რელიგიური წეს -ჩვეულებები, რის გამოც აღარ აღრეულან შემდგომში მათ სიახლოვეს დასახლებულ ხალხებში. ამიტომ მათ სომატურად ძველი სახეობა შეინარჩუნეს. იგივე ითქმის დრუზებზე, პარსებზე, მარონიტებსა და სხვ.

გ. კონტენაუ აღწერს ძველი აღმოსავლეთის რასობრივ ვითარებას არქეოლოგიური თვალსაზრისისა და წინანდელი არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგებიდან გამომდინარე. იგივე ითქმის კრეტაზე, სადაც დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში კავკასიური ხალხების (იაფეტური, ე. ი. არმენოიდული, წინააზიურ-მცირეაზიური) რასა იყო გაბატონებული[29] და საბერძნეთზე, სადაც მკვლევარი ფრანკფორტი იმავე მოსახლეობას არქეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ცენტრალურ მხარეს აკუთვნებს, რომელიც ანატოლიიდან და ირანის მთიანეთიდან ალპებამდე უწევდა: სპილენძის ხანაში აზიიდან მათი შემოსვლის შემდეგ, მაგალითად, კრეტაზე შავი ნახშიროვანი თიხის ჭურჭლის პროდუქციის სახეობა დაინერგა და გავრცელდა. ეთნიკური და არა მხოლოდ კულტურული ნათესაობა მოსახლეობისა მცირე აზიაში, კრეტასა და ცენტრალურ საბერძნეთში უცილობლად დასტურდება მთელი ცივილიზაციის სრული იდენტურობით სპილენძის ხანაში, რაც მხოლოდ წეს-ჩვეულების გადაღებით არ აიხსნება. უფრო მეტიც, ფრანკფორტი მიიჩნევს, რომ კრეტაზე იმიგრაცია, იქ დასახლება ისევე, როგორც მაღალმთიანეთის კულტურა ელამში ეგვიპტის გაერთიანებასა და პირველი დინასტიის დაარსებას მნიშვნელოვნად წინ უსწრებს, რადგან ეგვიპტელი ემიგრანტები მხოლოდ მცირეაზიელთა მიერ

29 v. Luschan, Beitr. Z. Anthr. V. Kreta, Ztschr. F. Ethn. 1913, გვ. 385; იგივე, The early Inhabit. of Vestern Asia, გვ. 222, 243. Buxton and Rice, Report on the Human Remains found at Kish, გვ. 81, Journal R. Anthr. Inst., 1931; H. Frankfort, Studies და ა. შ., II, გვ. 59-დან, გვ. 85-135. V. Christian, Unters. Z. Palaeoethnol. D.a. Orient, l.c. Eug. Fischer, Spez. Anthropologie, Rassenlehre, გვ. 145-დან, გვ. 151-154, გვ. 176-178. იგივე, Rassenunterschiede d. Menschen, გვ. 161-დან. Baur, Fischer, Lenz, Menschl. Erblichkeitslehre I, იგივე: Anthropol. Bemerkungen z.d. Masken, გვ. 320-331. იხ. ასევე – G. Karo, Schachtgräber v. Mykene. C.U.A. Kappers, An Introduction და ა. შ., გვ. 77-142. Carl M. Fürst, Zur Anthropol. d. Prähistor. Griech. In Argolis, Lunds Universitets Arsskrifts N. F. Avd. 41, 1930, Nr. 3. იგივე, Über einen neolithisch. Schädel aus Arkaden, ebenda 28, 1-12, Nr. 13.

ტერიტორიის დაკავების შემდეგ ჩნდებიან კრეტაზე. პირველი ეგვიპტური დინასტიის დასაწყისი ქრისტიანობამდე 3400-იდან 3200 წლამდე პერიოდს ემთხვევა. ამ დროისათვის სუსას კულტურა, ტროა და სხვები წინა აზიაში, ადრეული მინოსური კულტურა I კრეტაზე და შუმერული ხანის დასაწყისი უკვე გავლილია. კუნძულ კრეტაზე ეგვიპტური იმიგრაცია მეორე ადრეულ მინოსურ ხანაში განხორციელდა. ც. მ. ფიურსტმა, რომელსაც ვ. ლებცელტერი ეთანხმება,[30] ანთროპოლოგიურად „მცირეაზიური" რასა არგოლისში, როგორც კომპონენტი, აზინეს თავის ქალისა და ჩონჩხის მეშვეობით განსაზღვრა ნაფპლიონის ყურეში, სახელდობრ კი იმ ხანისათვის, რომელიც ქრისტიანობამდე 1800-იდან 1400 წლამდე პერიოდს მიეკუთვნება.[31] მას ეთანხმება ე. ფიშერი, რომელმაც მიკენის სამარხებში სახის ნიღბების საშუალებით მცირეაზიური ელემენტი დაადგინა,[32] რომლებიც (ეს ნიღბები) ზოგ შემთხვევაში მცირეაზიელთათვის დამახასიათებელ გადაბმულ წარბებს გამოსახავენ. კავკასიური ელემენტი საბერძნეთში, ბალკანეთში საერთოდ, კრეტასა და კვიპროსზე ანთროპოლოგიურად დადგენილად ითვლება, რაც ეჭვს არ იწვევს. ის, ალბათ, დღესაც სჭარბობს საბერძნეთში.[33]

თავის შედარებით მომცრო, მაგრამ ღრმა შინაარსიან სტატიაში დოქტორმა ი. ვენინგერმა[34] შესანიშნავად აღწერა კავკასიელ ხალხთა რასა და მათი გავრცელების არეები. იგი ამ რასას „წინააზიურს" უწოდებს, ხოლო მათ დღევანდელ წარმომადგენლებს – კავკასიელ ხალხებს, რომელთაგან ქართველებს გამოჰყოფს. ეს რასა, მისი შეხედულებით, ძალზე ახლოს დგას არიელებთან, გაცილებით მეტად, ვიდრე სხვა რასებთან, მაგალითად, მონღოლებთან და ა. შ. გარდა ამისა, ეს რასა არიელებით არის „გაჟღენთილი". ვენინგერი განაგრძობს: „აღმოსავლეთ და

30 რომელიც მეცნიერებას გარდაცვალების გამო ნაადრევად დააკლდა († 21-22.12.1936), Anthropos, 32, 1937, გვ. 271-275.

31 C. M. Fürst, l. c.; Dr. V. Lebzelter „Anthropos", გვ. 26, 298-299, 1931. რ ე ვ უ ლ ი. 1-2. Joh. Rich. Mucke, Die Urbevölkerung Griechenlands u. ihre allmähl. Entwicklung. Z. Volksstämmen, l.c.

32 G. Karo, Schachtgräber v. Mykenea, იხ. ასევე Anthropol. Bem. z.d. Masken, გვ. 320-331.

33 C.U.A. Kappers, l.c. 85, 142-154. K. M. Fürst, Zur Kenntnis d. Anthropol. Bevölkerung usw., l. c. 44, 1933, Nr. 6. H.F.K. Günther, Rassengeschichte d. hell. u.d. röm. Volkes, გვ. 17-21, 27-32, 37, 23, 47-48, 57, 62 და შემდგომი გვერდები. რომაელების შესახებ, იქვე, გვ. 75, 100, 116-დან, 109; იგივე, Rassenkunde von Europa, passim, გვ. 161-164, 152, 202-228.

34 Die phys.-anthr. Merkmale d. vorderas. Rasse u. ihre georgr. Vorbereitung, გვ. 13-17, Sonderabdr., Mitt. Georgr. Ges. Wien, 63, 1920, H. 1-2. შეადარე: J. Karst, Origines Mediterraneae.

ცენტრალურ აზიაში, ჰიმალაიში, ტიბეტში, კუნლუნის მხარეში, ავღანეთში, ინდოეთში, ბელუჯისტანში, პენჯაბსა და სხვაგან „წინააზიური“ რასა დღესაც შესამჩნევადაა წარმოდგენილი; ჰინდუქუშის სამხრეთით, კაფირიაში, დარდისტანში, ბალტისტანსა და ქაშმირში, ასევე თურქესტანში, ირანსა და თვითონ წინა აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. სამხრეთ ევროპასა და განსაკუთრებით კი ალბანურ და სერბულ მოსახლეობაში იგი ისეთივე შესამჩნევია, როგორც იტალიაში, სიცილიასა და სარდინიაზე, განსაკუთრებით კი, ასევე სირიასა და პალესტინაში; ეგვიპტეში კი ის ქრისტიანობამდე მე-4 - მე-3 ათასწლეულში შევიდა, როგორც ამას აღმოჩენილი ნამარხები უეჭველად ადასტურებენ: თავის ქალის ნაშთები და ეგვიპტელთა ხელოვნების ქმნილებანი და გამოსახულებები. ამასვე ცხადყოფენ რანდალ-მაკ ივერის, ფლინდერს პეტრისა და ი. კროგმანის კვლევები“.

ავღანელებზე შევნიშნავთ, რომ ზოგიერთმა კავკასიურმა ხალხმა, მაგალითად, ლეზგებმა, ანუ ლეკებმა ტრადიცია შეინარჩუნეს, რაც ძველ დროში თვით ინდოეთამდე იყო გავრცელებული[35] ამას შეესაბამება ავღანური ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, დღევანდელი ავღანები ტრანსკავკასიურ-პონტურ მხარეში არიან წარმოშობილნი და გენეტიკურად დღევანდელ ქართველებსა და სომხებს ენათესავებოდნენ.[36] ძველ ალბანებს კავკასიაში, სომხური წყაროების მიხედვით, აღოვანები ეწოდებოდათ.[37] სირიისა და პალესტინის არაბები ისევე, როგორც თვითონ არაბეთში ჰადრამაუთამდე, არაბიზებული კავკასიური ტომები არიან (კავკასიურ-მცირეაზიური ელემენტი),[38] ასევე მათსავით ბრახიკეფალური და იმავე ცხვირის ფორმით - არაბიზებული მცირეაზიელები, რომელთაც სომატური თვისებები შენარჩუნებული აქვთ, თუმცა ისინი ენობრივად სრულიად სემიტიზირებულნი და რასობრივად გააღმოსავ-

35 J. Karst, Origines Mediterraneae, გვ. 576. C.D. Ohsson, Peuples du Caucase et des pays au nord de la mer Noire et de la Caspienne, 159, 207, 1928. Krusinski, Hist. de la derniere Revolucion de Perse, I, 140-142, 1728.

36 Picault, Hist. des Revolutions en Perse, I, 109.

37 M. Brosset, Additions et Eclaircissements a l'Hist. de la Géorgie, 468.

38 v. Luschan, l.c. und Völker, Rassen. Sprachen, გვ. 225-დან (1922). შდრ. V.M. Krogman, The Cranial Types, 122, 137. „Alishar Juyuk Season 1928-1929“. Or. Inst. Publ. t. XX. C. Autran, Tarkondemos, გვ. 161, 158, 154-174; Seligman, The phys. characters of the Arabs, in Journal of the Anthr. Inst. of Great Brit. 1917 (Jan. - June). მისგან განსხვავებით იხ. Hausschild, Wagenseil, l.c. და იქ აღნიშნული ლიტერატურა. Zeltner ადგენს კრანიოლოგიურ მსგავსებას აზიურ და არაბულ თავის ქალებს შორის L' Anthropol. XXVIII, 586, 1817, C. U. A. Kappers, l. c. 12-21, 42-73.

ლურებულ-არაბიზებულნი არიან. ეს დასტურდება თავის ქალის ზომებითა და სახის მორფოლოგიით ისევე, როგორც თვითონ ტრადიციით, რომლის მიხედვითაც, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არაბიზებული ხალხები და ნამდვილი არაბები. არაბების ხალხური რელიგიაც იგივეს მოწმობს: მთვარის კულტი, ზინის (ზინი არის წინასწარმეტყველური ენთუზიაზმის ღმერთი) და ატჰტარის, ანუ იშტარის კულტი იგივეა, რაც „მცირეაზიური" კავკასიური ტომებისა. არაბების ეს გააზიურება იწყება დაახლოებით მე-3 - მე-2 ათასწლეულებში ქრისტიანობამდე.

საგრძნობი კავკასიური ელემენტი ახასიათებდათ აგრეთვე ეტრუსკებს იტალიის ტერიტორიაზე. ებრაელები ძველთაგანვე შერეული რასა იყო; ისინი ძირითადად შერეულები იყვნენ პრიმიტიულ ჰამიდოიდებთან (ნეგროიდებთან) – ეს მოსახლეობა მათ სირიასა და პალესტინაში დახვდათ; გარდა ამისა, ისინი შეერივნენ ასევე ხურიტელ-ხეთურ ხალხებს, ე. ი. იმავე კავკასიურ ტომებს (გარდა ნეანდერტალური სახეობებისა, მაგალითად, გალილეაში).[39]

გარდა არმენიდული რასისა, ამას წინათ კავკასიის სამხრეთ ნაწილში, სახელდობრ კი, სევანის ტბასთან ახლოს აღმოაჩინეს ჩრდილოევროპული რასის ნაშთები.

ორმოცი კარგად შენახული თავის ქალა რკინის ხანისა, რამდენიმე მათგანი შესაძლოა კიდევ უფრო ძველი დროისა, რომლებიც გათხრების შედეგად იქნა აღმოჩენილი, გამოიკვლია პროფესორმა ბუნაკმა და დაადასტურა მათი მსგავსება ჩანტრეს კვლევებთან, მაგრამ ყოველი მცდელობა ამაოდ ჩათვალა, რომ მოეხდინათ მათი შედარება აზიურ ანდა აფრიკულ დოლიხოკეფალურ თავის ქალებთან; ასევე უარყოფს იგი შედარებას არმენოიდულ თავისქალებთან. ეს აღმოჩენები უფრო ჩრდილოევროპული სახეობის მოსახლეობასთანაა დაკავშირებული და მათში ვლინდება გარკვეული მსგავსი ნიშნები ჩანტრესთან (რედკინი, მარიენდორფი, სამთავრო და ქობანი). ბუნაკი, ისევე, როგორც მანამდე ბროკა და ზაბოროვსკი, ხაზგასმით აღნიშნავს მათ განსაცვიფრებელ მსგავსებას ჩრდილოევრპულ სახეობასთან და რომლებიც კროგმანის მიხედვით, ყველაზე ახლოს „ქართულ რასასთან" დგანან

39 v. Luschan, I. c. und Völker, Rassen. Sprachen, გვ. 337-345, 46, 169. იგივე, Die anthropol. Stellung d. Juden, გვ. 94-100, Korrespondenzbl. D. dt. Anthrop. Ethnol. U. Urgesch. XXIII, 1892, იქვე, Virchow, J. Contenau, l.c., გვ. 80-126; E. Fischer, Spez. Anthropol., გვ. 171-174, I. Weninger, l. c. ; M.W. Hausschild, l.c. ; C.U.A. Kappers, l. c. გვ. 60-67. Ernest Chantre, Recherches antropologiques dans le Caucase, Paris, 1885-1887, ტომი I, გვ. 35-39, 109-111 და ა. შ. ამასთან ცხრილები მე-2 ტომში.

და არც მთლად ახლოს მედიტერანულთან; იგი წინა პლანზე წამოსწევს იმ გარემოებას, რომ ჩრდილოევროპული რასის ადრეული აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში გადაადგილების თეორია თავის კრანიოლოგიურ დასაბუთებას პოულობს.[40] ეს ფაქტი ჩვენთვის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ვიცით, რომ ინდოგერმანები, ინდოელები და ძველი ინდოელები კავკასიის სამხრეთში მკვიდრობდნენ[41] და თანაც უკვე მე-3 საუკუნეში ქრისტიანობამდე; ირანელები კავკასიის გავლით ანატოლიაში (ასურეთი-ელამი) შევიდნენ და იქ დასახლდნენ; ცოტანი როდი მიიჩნევენ, რომ განხორციელდა ხეთური, ანუ ნესიტური იმიგრაცია კავკასიაში, რასაც ასევე ის ფაქტი მიუთითებს, რომ ისინი მოგვიანებით ჰალისბოგენში (მდ. ჰალისის დელტის მიდამოები) დამკვიდრდნენ; მათ თავიანთი ძალაუფლება გაავრცელეს უფრო აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით და განსაკუთრებით კი სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით; დასავლეთში კი ნაკლებად. ისინი დასავლეთს, როგორც ჩანს, ნაკლებ მნიშვნელოვნად თვლიდნენ; ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, სანამდე ვრცელდებოდა დასავლეთით მათი გავლენის სფეროები. ყოველივე ამის გამო, მათი დასავლური იმიგრაცია ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება.[42]

ზემოთქმულთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ალიშარ ჰიუიუკში გათხრების შედეგად აღმოჩენილი კარგად შენახული ძვლის ნაშთები: ჩონჩხები და თავისქალები. 1927 წლიდან 1931 წლამდე აღმოჩენილი იქნა ორმოცდარვა თავის ქალა, რაც თუმცა საკმარისი არ არის, მაგრამ გარკვეულწილად მაინც კარგ საფუძველს ქმნის მო-

40 Bunak, Die Schädel d. Eisenzeit aus Sevangebiet Armeniens, გვ. 64-67; Русский антропологический журнал, 1929, ტ. XVIII, გვ. 64-87; V. Lesny, The language of the Mitanni Chieftains – a third Br. Of the Aryan Group, გვ. 257-260, Arch. Oriental. 4, 1932.

41 Forrer I. c. und Découverte de la Grece mycen. Rev. des Etudes greques, 43, გვ. 279-294. C. U. A. Kappers, l. c. 6-7, 14, 94. B. Hrozny, Die Länder Churri u. Mitanni u. Ältesten Inder, Arch. Or. I, 91-110, 1929; Les invasions des Indo-européens en Asie Mineure vers 2000, v. Chr. Arch. Or. I, გვ. 273-299; . Meyer, Die Volksstämme Kleinasiens, das erste Auftreten d. Indogermanen i.d. Gesch. u. d. Probl. Ihrer Ausbr., Sitzber. Preuss. Ak. Wiss. 1925, გვ. 244-260, P. Kretschmer, Weiteres z. Urgesch. D. Inder, გვ. 75 და შემდგომი. Zeitschr. F. vergl. Sprachforschung.; იგივე, Indra u. d. Hethit. Gott Inaraš, Kleinas. Forsch. I, გვ. 297-317.

42 H. Frankfort, Studies in Early Pottery of the Near East, II, 158; Otto, Hist. Zeitschr. 117, გვ. 217; Childe, The Aryans, გვ 28-დან; G. Contenau, La Civilis. des Hitt. et de Mataniens, გვ. 35, 44-48, 129; B. Hrozny, Assyriens et Hettites en Asie Mineure vers 2000 av. J. C. გვ. 112-117; Arch. Orient, 1932. Für Einwanderung der Hethiter via Kaukasus: Ed. Meyer, in Mitt. Dt. Or. Ges. LVI, 1915, გვ. 17-დან.; v. Bissing, Zeitrschr. F. Dr. Morgen l. G., 1921, გვ. 279. R. Weill, Journ. Asiat. 1930, გვ. 86 და შემდეგი გვერდები; via Bosperus: Cowley, The Hittites, გვ. 24; Contenau, I. c. გვ. 45.

სახლეობის ანთროპოლოგიური განხილვა-დამუშავებისათვის. აქ ჩვენ მთლიანობაში ორი ფორმა უნდა გამოვყოთ, რომლებიც ფიზიკურ-მორფოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ სტატისტიკურად არც ისე ძალიან სცილდებიან ერთმანეთს, რომ ამ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ. გამოვყოთ ორი ფენა: 1. ამ ფენას ახასიათებს მომცრო თავის ქალა, დამრეცი, დახრილი შუბლი, ვიწრო სახე, ცოტა წინ გამოშვერილი; მეზოკეფალური, დაბალი, თავის ქალის ინდექსი: 70,9-იდან 78,1-მდე. მეორე ზედა ფენა: ცოტა უფრო მაღალი თავისქალა, ფართო სახე, ბრახიკეფალური; თავის ქალა – 73,6-იდან 85,3-მდე, საშუალო ზომა – 79,8. და, რაც მთავარია, ალიშარში აღმოჩენილი თავის ქალები თითქმის შეეფარდებიან სევანის ტბასთან ნაპოვნ თავისქალებს და თუ ამ ხალხების რასობრივ წარმომადგენლობაზე იქნება საუბარი, მაშინ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა რჩება - დღევანდელი გამოკვლევების მიხედვით, მხედველობაში მივიღოთ ქართული, ანუ კავკასიური (კავკასოიდური) რასა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეესატყვისება ორივე ადგილის - სევანის ტბისა და ალიშარის - აღმოჩენებს, განსაკუთრებით კი ალიშარის მეორე ფენას. ვ. მ. კროგმანი, რომელმაც ალიშარის ნაშთები ანთროპოლოგიურად საფუძვლიანად გამოიკვლია, ამ დასკვნამდე მიდის და წინა პლანზე წამოსწევს თვალსაზრისს, რომ არმენოიდული ფორმა მთლად ზუსტი და სწორი არ არის (ასევე მიიჩნევს ბუნაკი) და არც ისეთი ზოგადი, როგორც საერთოდ მიიჩნევენ და გვთავაზობს სახელწოდებას Homo Georgianus ან Homo Indo-europäus brachymorphus. აქედან გამომდინარე, ბუნაკისეული „პონტო-ზაგროსული“ რასა და ლუშანისეული „არმენოიდული რასა“ ქართული ან ინდოევროპულ-ბრახიმორფული (მოკლეთავიანი), ან კიდევ „კავკასიური რასით“ უნდა შეიცვალოს, რასაც, თავისთავად ცხადია, თავისი სახესხვაობანიც შეიძლება ჰქონდეს, როგორც მაგალითად, ბუნაკის მიერ აღწერილ „არმენოიდულ“ სახეობას. ეს ქართული ან კავკასიური რასა ცხოვრობდა ადრეულ რკინის ხანაში სევანის ტბის მიდამოებში დაახლოებით მეორე ათასწლეულის წინ ფართოდ გადაშლილ ჰალისბოგენში (მდ. ჰალის მიდამოები, დელტა), ანუ შემდეგდროინდელ კაპადოკიაში, ძველი დროის რკინის მოპოვება-დამუშავების ცენტრში, ხეთის იმპერიის ძალაუფლების გავრცელების პერიოდში. ალიშარის სწორედ მეორე ფენა შეიცავდა ძალზე მდიდარ და მიმზიდველ აღმოჩენილ ნივთებს, რადგან ეს მეორე ფენა ისევე, როგორც პირველი, წარმოაჩენს ლითონებს, ადრე რომ არ ჩანდა; ისინი ცხად-

ყოფენ ასევე მეთუნეობის (თიხის ჭურჭლის დამზადება) განვითარებას. ამ დროს უკვე არსებობდა ბრინჯაო (სპილენძი და კალა) და სხვა. ე. ფ. შმიდტის, ვ. დ. ოსტენის, კროგმანის, ბუნაკისა და სხვათა კვლევების მიხედვით, ქართული, ანუ კავკასიური რასა დაკავშირებულია მაღალგანვითარებულ კულტურასთან, განსაკუთრებით კი ლითონისა და კერამიკის კულტურასთან ანატოლიაში და ასევე აღმოსავლეთში.[43] შემდგომმა გამოკვლევებმა უნდა გამოავლინოს, თუ რამდენად გამოვლინდა ეს რასა ძველ ევრაზიულ და ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურულ და პოლიტიკურ წრეებში, რათა ზუსტად განისაზღვროს მისი როლი ამ კულტურის განვითარების პროცესში.

არმენოიდული რასა, რომელსაც ჩვენ ერთსახოვნებისა და უფრო გამოკვეთილი მთლიანობის თვალსაზრისით კვლავ ქართულ (გეორგიდე) ანდა კავკასიურ რასას ვუწოდებთ, გავრცელდა მთელ მცირე აზიაში ელამიდან ეგეოსამდე, კრეტას ჩათვლით (როგორც ამას ლუშანის ანთროპოლოგიური კვლევებიც ადასტურებს), სადაც ის შემდეგ იტალიელი მეცნიერის, სერგის, თანახმად, სხვა რასასთან - მედიტერანულ რასასთან – ერთად დიდხანს არსებობდა. ბოლოს კი ჩრდილოური, ალპინური და მედიტერანული რასები (Madison, Grant, გვ. 32-35) კავკასიური რასის სახელწოდებით გააერთიანეს; ანდა „წინააზიურ“ და „დინარულ“ რასებს ერთი სახეობის რასად ახასიათებენ და ევროპულ-წინააზიურ-მედიტერანულ წრედ იხსენიებენ.[44] წინა აზიაში ახლაც პოულობენ კავკასიური (არმენოიდული) ნაშთების ნაწილებს; მათ მიეკუთვნებიან ანთროპოლოგიურად არა მხოლოდ დღევანდელი ჰეტეროგენულად შერეული სომხები და არა მხოლოდ ახლანდელი კავკასიელი ხალხები,[45] არამედ აგრეთვე ხალხების მცირე ნაწილები სპარსეთში, თურქეთში, კრეტასა და ა. შ., მოიაზრებიან როგორც მათი ცალკეული სახეობები. ესენი არიან: ყიზილბაშები,[46] თაჰთაჯები, იეზიდები, ბექთაშები, ანსარები, პარსები, არაბები სირია-პალესტინაში, ბერძნებით

43 ბატონ დოქტორ მიულმანთან საუბრისას მე გულითადად განვეწყვე სახელწოდებისადმი „კავკასიდე რასა“ (kaukaside Rasse) და სიამოვნებით ვიყენებ მას; ასევე შესაძლებელია „გეორგიდე რასის“ (georgide Rasse) ხმარება ნაცვლად კროგმანისეული (Krogmann) „ქართულისა“.

44 E. F. Schmidt, Anatolia throught the Ages, 53-69; 69-101; 108. იგივე, Alishar Hüyük, Season, 1928-1929. W.M. Krogmann, იქვე, გვ. 122-137. v. d. Osten, l. c.

45 E. Fischer, Spez. Anthropologie, გვ. 145-დან.

46 Lehmann-Haupt, Armenien და ა. შ., I, გვ. 464.

და ა. შ.[47] ამ შემთხვევაში (პარსები, არაბები, ბერძნები) ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის ფენებია. მათი აზროვნების ყაიდა შეერია და აითქვიფა უცხო მხარეებიდან შემოსულთა და იქ დასახლებულ ხალხთა სახეობების აზროვნებასა და წეს-ჩვეულებებთან. ამასთან, მათი ფიზიკური სახეობა უფრო ადრეულისაგან, პირველისგან იქნა შეწოვილი. ხალხებმა დაკარგეს თავიანთი ენები, რომლებიც აზროვნების ყაიდასთან და მანერასთან ერთად შეერია მათზე გაბატონებული სხვა ერების ენასა და აზროვნებას. მაგალითად, ელამელები შეერიენენ სპარსელებს და სამხრეთ არაბეთის არაბებს – ჰადრამავთს; შუმერები აქადელ-ბაბილონელებს; ხურიტებისა და მითანის ხალხები ასურელებსა და სირიის არაბებს; ხეთები – ნესიტებს, პელაზგები – ბერძნებს, ხურიტები სირია-პალესტინის (სემიტურ) აღმოსავლურ მოსახლეობას, ებრაელებს, ფინიკიელებსა და არაბებს, ნაწილობრივ კი ეგვიპტელებს, რომლებიც მათი ბატონობის ქვეშ ასი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ, ასევე ლიბიელებსაც კი და ა. შ., და ეტრუსკები – რომაელებს; ხურიტები, მითანები ანდა ქალდები გაცილებით უფრო გვიან შეერივნენ და აითქვიფნენ ფრიგიელ იმიგრანტებში, რომლებიც ამის საფუძველზე თანამედროვე სომხებად და ქურთებად იქცნენ. ამ შერევამ, ნარევმა წარმოქმნა ახალი შერეული რასები, უფრო ზუსტად – სრულიად ახალი ერები – სპარსელები, სომხები, ებრაელები, ფინიკიელები, არაბები, ბერძნები და ა. შ., რომლებშიც შემდეგშიც შენარჩუნებული იყო მათთან შერეული ენობრივ-კულტურული ელემენტები, ტრადიცია, აზროვნების მანერა, განწყობილებები და სხვა, მაგრამ ასევე ხდებოდა ხორცშესხმა და დამკვიდრება ახალი ეროვნული ფორმებისა დროის გარკვეულ პერიოდებში. იმავდროულად ისიც შეინიშნებოდა, რომ შესაძლებელი იყო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის სომატური სახეობის შენარჩუნება, თუნდაც უკვე უცხოენოვანი ახალი ერების გარემოში. ასირიელებს, არაბებს, ხეთებს - დღევანდელ ბერძნებამდე და სომხებამდე - ეს სახეობა, სომატური თვისებები და თავისებურებანი შენარჩუნებული და შემონახული აქვთ, რომლებიც მათ წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველესი მოსახლეობისაგან მემკვიდრეობით მიიღეს.

კროგმანი მიუთითებს და ყურადღებას ამახვილებს აღმოჩენებზე ურ- და ალ-უბაიდში, რომლებიც, სავარაუდოდ, ქრისტიანობამდე მე-2 და მე-4 ათასწლეულებს მიეკუთვნებიან. ეს თავის ქალები დაწვრილებით შეისწავლა ბატონმა არტურ კეიტმა, რომელიც, მიუხედავად ერ-

47 C. U. Ariens Kappers, I. c. გვ. 12-21, 42-73, 80-93, 130-136.

თგვარი სხვაობისა, ერთი და იმავე რასად თვლის ქიშისა და მთელი მესოპოტამიის მოსახლეობით, შუმერული სახეობა იყო და რჩება შუამდინარეთში, პალმირას მიდამოებში, ბაბილონსა და ზემო ეგვიპტეში. იგი ამ ძველ მოსახლეობას კავკასიური რასის შთამომავლად თვლის, რაშიც ევროპელებიც შეჰყავს, რადგან მათი ზომები შეესაბამება ყორღანული სამარხების ზომებს (ინგლისში). ის, რასაც ლუშანი „არმენოიდურად" მიიჩნევდა, შეფასებულია როგორც მცდარი და შეუსაბამო, თავად მისი შედეგების მიხედვითაც. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ბუნაკი მართალია, როდესაც გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „არმენოიდული" სახეობა მხოლოდ შედეგია პოსტერიორული შერევისა და ამიტომ მას დროსა და სივრცეში უფრო შეზღუდული გავრცელება ექნებოდა, ვიდრე ამას თავდაპირველად ლუშანი მიიჩნევდა, ანუ ახალი კვლევა ამ საკითხში ახალი აღმოჩენების მეშვეობით უფრო მეტ სიცხადეს და სიზუსტეს შეიტანს, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი. სწორედ ამიტომ ჩვენ წინა აზიის მთელი სხვა რასებისგან გამოვყოფთ „კავკასოიდებს" (ქართველებსა და სხვა კავკასიურ ხალხებს), როგორც განსაკუთრებულ რასას.

ალ-უბაიდში მთლიანობაში ნაპოვნია 17 თავისქალა: ცხრა მამაკაცის, ექვსი ქალისა და ორიც ბავშვისა – დაახლოებით 7 და 18 წ. ასაკისა თითოეული; ურში (ურ-უბაიდში) ნაპოვნია 7 თავის ქალა: სამი მამაკაცისა და ოთხი ქალისა. მთლიანობაში ყველაზე გრძელია ურში ნაპოვნი თავისქალა - 193,6 მილიმეტრი. აღმოსავლური ზეგავლენა უკვე შესამჩნევია, მაგრამ შუმერული სახეობა, როგორც ასეთი, უკვე მე-2 ათასწლეულში სრულიად გაბატონებული იყო.[48]

კროგმანმა განიხილა ქიშში აღმოჩენილი თავისქალებისა და ძვლების ანთროპოლოგიური კვლევების შედეგები და მონაცემები,[49] რომლებიც 1923-დან 1926 წლამდე გათხრების შედეგად აღმოაჩინეს, და რომლებიც ქრისტიანობამდე დაახლოებით 2900-2800 წლებითაა დათარიღებული. თვითონ სასახლეს, რომელიც საკარაუდოდ დაახლოებით მე-4 ათასწლეულში (ქრისტიანობამდე) იყო აშენებული, მოგვიანებით სასაფლაოდ იყენებდნენ. გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთების მიხედ-

48 Prof. Sir Arthur Keith, Report on the Human Remains, 214-240. in: Hall and Woolley, Ur Exkavertions, I. al-Ubaid.

49 L.H. Dudley Buxton, D. Talbot Rice, Report on the Human remains found at Kish, S. Langdon-ის შესავალი. გვ. 57, 58-119, in Journ. of the royal Anthropol. Institute 1931, გვ. 61. (L.H.D. Buxton in S. Langdons Excavation at Kish, vol. I)

ვით, რომლებიც, სამწუხაროდ, უმეტესწილად ძალიან დეფექტურები აღმოჩნდნენ და გაზომვისათვის მხოლოდ მცირე შესაძლებლობას თუ ტოვებდნენ.[50] მოსახლეობა იქ მესამე ათასწლეულის მიჯნაზე უკვე ძალიან შერეული იყო. ყავისფერი ევროაფრიკული მოსახლეობის პირველად ფენას, რომელიც სავარაუდოდ უწინ ინდოეთის მხარესაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მოჰყვა მრგვალთავიანი „არმენოიდული“ რასა, რომელიც იმავე ხანებში უკვე მესოპოტამიის მოსახლეობის ნაწილს შეადგენდა და თავისი მიგრაციების დროს ეგვიპტემდეც აღწევდა. ისინი იმ პერიოდში, ვიდრე მე-4 დინასტია დამკვიდრდებოდა, ხოლო მცირე აზიას პონტოს, კავკასიას და მიდამოებს კასპიის ზღვასა და ინდოეთს შორის, ანუ მაღალმთიან ადგილებს დასაწყისშივე მტკიცედ ფლობდნენ და ბატონობდნენ. არმენოიდული რასა მესოპოტამიის გავლით დასავლეთის მიმართულებით ნეოლითურ და ბრინჯაოს ხანაში ახორციელებდა გადასვლას თავისი მეომრებითურთ.[51] პერისისტენციის ძალა და ზეგავლენა ადამიანური განვითარების პროცესში იმითაც დასტურდება, რომ 5000-იან წლებში[52] კიშის მიდამოებში მცხოვრები ადამიანის სახეობა თითქმის უცვლელი დარჩა. არმენოიდული რასა მოესწრო ნეოლითური, სპილენძისა და ბრინჯაოს ხანის დასასრულს,[53] გარდა ამისა, ის ეგვიპტეშიც გამოჩნდა[54] ადრედინასტიურ ხანაში. ეს არის ელიოტ სმიტის შეხედულება, რომელსაც ბუქსტონი და რაისი განმეორებით ციტირებენ და რომლებიც სხვადასხვა ანთროპოლოგების (ვ. ლუშანი, ბუნაკი და კროგმანი) კვლევათა ზემოაღნიშნულ შედეგებს სავსებით ეთანხმებიან. ეს არმენოიდები საერთოდ, უნდა გავიგოთ როგორც კავკასიდები.

ყოველ შემთხვევაში ანთროპოლოგია (და ასევე არქეოლოგია), აქამდელი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, იმ თვალსაზრისს გამოხატავს, რომ ძველ აღმოსავლურ კულტურას საყოველთაოდ გავრცელებული, აქტიური ელემენტი უდევს საფუძვლად, რომელიც კულ-

---

50 W.M. Krogmann, მითითებული ნაშრომი , 81.

51 L. H. D. Buxton, D. Talbot Rice, Report და ა. შ., გვ. 77, 85, 88.

52 იქვე, 79.

53 იქვე, l. c. 95; იქვე, 82, 84, 93.

54 M. W. Hauschild, Die kleinasiat. Völker u. ihre Beziehungen z.d. Juden, გვ. 518-526, Zeitsch. f. Ethn. 1920-1921. Dr. S. Wagense I l, Beitr. zur phys. Anthropol. D. spaniel. Juden u.z. jüd. Rassenfragen, გვ. 34-150. Zeitsch. f. Morph. u. Anthropol., ტ. XXIII, H. 1. იქვე, Juden u. Armenier, გვ. 122-150. იგივე: Anthroppol. Untersuch. An anatol. Türken, 193-260, Zeitschr. f. Morph. u. Anthropol. გვ. 29, 1931.

ტურულად და ეთნიკურად ნაწილობრივ თანამედროვე კავკასიური ხალხების იდენტურია, ნაწილობრივ კი მის პარალელურად მიმართული (სინქრონული).

გ. კონტენაუმ[55] ამ მიმართებით (ვ. ვ. ბუნაკის ექსპერიმენტების მიხედვით) ძველი მცირე აზიის სახეობათა შესანიშნავი შეპირისპირება-შედარებები და კავკასიურ ხალხებთან მათი ეთნიკური იდენტიფიცირება მოახდინა.

კროგმანი თავის გამოკვლევებში დაემყარა ასევე ა. კ. ჰადონის თვალსაზრისს, რომლის დროსაც მან წინა პლანზე წამოსწია „ქართული" რასა და მოახდინა მისი იდენტიფიცირება ძველი წინა აზიის გარკვეულ მოსახლეობასთან. ა. კ. ჰადონის[56] თვალსაზრისი იმაში გამოიხატებოდა, რომ ადამიანთა რასების კლასიფიკაციაში თეთრკანიანი აზიური ბრახიკეფალის სახეობა შეეტანა, რომელიც მოიცავს, პირველ რიგში, ქართულ ჯგუფს: ქართველებს, სვანებს, მეგრელებს, იმერლებს (მსუბუქი ბრახიკეფალიით); მეორე: პამირ-სომხური ჯგუფი მესოპოტამიამდე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპირომდე, ძველი მცირე აზიის ხალხების გათვალისწინებით. ამით განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს აღნიშნულ თვალსაზრისს კავკასიელი და ძველი წინა აზიის კულტურული ხალხების მტკიცე და მჭიდრო კავშირ-დამოკიდებულებების შესახებ, რაც, ჩვენი შეხედულებით, ადასტურებს „კაუკასიდე" რასის ძირითად რასად წარმოჩენას.

ამგვარად, ქართული (კავკასიური) რასის გავრცელების არე ანთროპოლოგიურად დაახლოებით წინა აზიაა სპარსეთთან ერთად, მაშასადამე, მდინარე ინდიდან ატლანტიკურ სანაპიროებამდე სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში.[57]

---

55 Les Hittites, 1931, ტ. 41. გვ. 489-490. O. Menghin, Weltgesch. d. Steinzeit, I. c. იქვე. Über Dominanz des rundkopfes: R. Martin, Lehrbuch d. Anthropol. In system. Darstellung usw., გვ. 688, 1918; იქვე. გვ. 769-791, 1928. Einwirkung der Umwelt auf d. Form d. Kopfes: Baur, Fischer, Lenz, Grundriss d. Menschl. Erblichkeitslehre u. Rassenhygiene, I, 88.

56 The Races of Man, 1924, გვ. 86, 87. Madison Grant, The Passing of the Great Race, 134-147; აერთიანებს ძველ „წინააზიურ რასას" და მის ხალხებს „ალპიურ რასასთან" და აღიარებს მის მაღალ კულტურულ მნიშვნელობას კაცობრიობისათვის ძველ დროში.

57 v. Luschan. Über die Beziehungen der alpinen Bevölkerung und der Vorderasiaten, Korrespondzblatt d..Dt. Ges. F. Anthropol., XLIV, 1913, გვ. 118-119; იქვე. Die Tachtadji und andere Überreste d. alten Bevölkerung Lykiens, გვ. 31-53, Arch. F. Anthropol., ტ. 19, 1891; იქვე, A. Schliz, იგივე, zur Anthropologie Kleinasiens, გვ. 211-215; Globus, ტ. 73, 1898, (Über künstliche Schädeldeformierung, Bogdanoff -ისა და Anutschin-ის საწინააღმდეგოდ) Eugen Petersen, Felix v. Luschan: Reisen in Lykien, Milyas und Kibyratis, 1880 (Wien). Felis v. Lus-

დროის მიხედვით ქართველ-კავკასიური ხალხების (კავკასიდების)[58] გადასვლა ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთ სივრცეში ემთხვევა ნეოლითის ხანის მიჯნას, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობამდე მე-5 ათასწლეულს და ლითონის ხანის დასაწყისს. ამ ხანებში მეთუნეობასაც ეყრება საფუძველი და ცხენიც უკვე თვალში საცემია, როგორც ნაცნობი, მოთვინიერებული შინაური ცხოველი. მეცნიერებმა არაერთხელ გამოთქვეს ვარაუდი, რომ გუთნის შემოტანა, ლითონის დამუშავების დაწყება და მესაქონლეობა (მსხვილფეხა საქონლის მოშენება და მოვლა) მცირე აზიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული კავკასიური ხალხების მრგვალთავიან რასასთან.[59]

კავკასიელი ხალხების მიგრაციამ, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა ინდოევროპელ ხალხთა მოძრაობაზე, მათ გადაადგილებაზე, რომელსაც უკვე მე-3 ათასწლეულში ჰქონდა ადგილი (Luvier).[60]

გადმოსახლებულ კავკასიელებს დახვდათ სხვადასხვა ხალხის ჭრელი ნარევი - არა მხოლოდ ნეგროიდული, მუქკანიანი ელემენტები, არამედ ასევე ადგილობრივ მოსახლეობას იმდროინდელ მცირე აზიაში, როგორც ჩანს, ნეანდერტალოიდური სახეობის ელემენტიც არ აკლდა.[61]

თუ საიდან მოვიდნენ კავკასიელები თავდაპირველად, გამომშრალ-გადამხმარი თურქესტანიდან[62] თუ ჩრდილოეთ კავკასიიდან – გაურკვეველი რჩება.

---

chan: The Erarly Inhabitants of Western Asia, გვ. 222-243 (Haxly Memorial lecture for 1911); იგივე, Völker, Rassen, Sprachen: Anthropol. Betrachtungen, 1922, გვ. 119. იგივე, Beiträge z. Anthropologie von Kreta, in Zeitschr. f. Enthnologie, 1903, გვ. 307-393; Ch. Picard. Ephese et Carlos, გვ. 504; Nilsson, The Minoan-Mycenaean Religion, გვ. 500. Ed. Meyer, Gesch. D. Alt. I, გვ. 505-522; Felix Sartiaux, Les civilizations de l'Asie, Mineure, გვ. 16; იქვე, O. Menghin, Die ethnische Stellung d. ostbandkeramischen Kulturen, Tocharer u. Hethiter, l. c. ასევე მისი „Weltgeschichte der Steinzeit", გვ. 369-387, განსაკუთრებით გვ. 541; A. Götze, Kulturgeschichte d. alten Orients, 1933, გვ. 15-20, 37, 48-60.

58 იხ. ჩვენი ნაშრომი „Der Kaukasus und der alte Orient", in Zeitschr. f. Ethnol., 69-ე გამოცემა.

59 V. Christian, Untersuchungen z. Paläoethnologie d. Orients, Mitt. D. Anthropol. Ges. Wien, 1924, გვ. 54, 45-49. იგივე, 55, 187, 214, 1925. O. Menghin, Weltgeschichte d. Steinzeit, გვ. 541-569.

60 Forrer, l. c.

61 G. Contenau, Man. d'Archeologie Orient, I 80-126. ზოგადად: იგივე. Les Hittites, 489-499 (L'Amtropologie, 1931, ტ. 41). Henry Field, Humain Remains from Jemdet Nas. Mesopotamia, გვ. 964-969 (Journal Roi. Asiat. Soc.); Wilh. Gieseler, Abstammungs- und Rassenkude, I, 75-179. C. Schuchardt, Vorgeschichte von Deutschland, გვ. 18-დან, 1935. ალ. ჯავახიშვილი, „Georgica", 1936, ოქტომბერი, I, ნომერი 2, 3, გვ. 92-101 (The Caucasian Race).

62 ამ მოსაზრებას ვუმადლი Prof. Wilh. Weber. შეადარე Franz v. Schwarz, Turkestan, die

ისინი დასახლდნენ იქ და შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას; მას შემდეგ ისინი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხებსა თუ რასებში უკვე კავკასიური ელემენტის არსებით ნაწილს შეადგენენ მთლიანობაში.

თვისებები: აქ მივუთითებთ კავკასიელი ხალხების თვისებებზე,[63] რომლებიც ადასტურებს, რომ სამხრეთ კავკასიელები (ქართველები) აღმოსავლეთში ახლა უფრო ბრახიკეფალურნი არიან, ვიდრე დასავლეთში, სადაც დოლიხოკეფალია მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. სხეულის დაუფარავი ნაწილები (სახე, ხელები...) მზით არის გარუჯული, სხვა მხრივ კი, კანი თეთრი ფერისაა. ქერა თმები და ცისფერი თვალები დასავლეთში ბევრად უფრო სჭარბობს, ვიდრე აღმოსავლეთში. ტანის სიმაღლე საშუალოა, ხშირად ძალიან მაღლებიც გვხვდებიან; მათთვის დამახასიათებელია წერწეტა ტანი, მაღალი, თხელი ცხვირი, ხშირად არწივისებრად მოკაუჭებული; თმა ჩვეულებრივ ყავისფერი, ასეთივე ფერის თვალები. ხშირად შეინიშნება გადაბმული წარბები, მაგრამ ეს დამახასიათებელი არ არის. არცთუ იშვიათად ფეხების სიმაღლე უფრო თვალში საცემია, ვიდრე ტანისა.[64] თავის ქალის ფორმა ზოგჯერ განსხვავებულია, გადახრილია ჩვეულებრივისაგან: მაგალითად, აზერბაიჯანელებს და სომხებს თავის ქალა უფრო მაღალი და მრგვალი აქვთ, ქართველებში კი მეზოკეფალია ჭარბობს.

მე შევნიშნე დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი მეგრელებში, რომ ბავშვებს ხუთ წლამდე ასაკში თვალში საცემად გრძელი თავი აქვთ, ხოლო მოზრდილებს შედარებით უფრო მრგვალი თავები.

Wiege der indogermanischen Völker, nach 15 jährig. Aufenthalt dargestellt. 1900.

63 პროფ. დოქტორი ალექს. ჯავახიშვილი, Die Rassenzusammensetzung der Kaukasusvölker, გვ. 77-78, Arch. f. Anthropol. XX, 1925; J. Weininger, l. c. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ორ ავტორთაგან არც ერთმა არ გაითვალისწინა ქართველთა ახალდროინდელი შერევის მომენტი სხვა ხალხებთან; ის აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან ტიპოლოგიურად, მაგალითად, სომხები და ქართველები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. v. Eckert, Kopfsmessungen d. kaukas. Völker გვ., 263-281. Arch. f. Anthropol. 18/19 (1888-1891). Chantre, l. c.; A. N. Djawachoff, Anthropol. Georgiens (1914) in Trudy Antropol. (Otdela. „Georgica", l. c.). E. v. Eickstedt, Rassenkunde u. Rassengesch. Der Menschheit, 1934, გვ. 152, 163, 434 და შემდეგი გვერდები.

64 ეს თვალში ეცა ასევე რუს დესპანს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მე-17 ს. შუა ხანებში (იხ. Посолдьство стольника Толчанова и дьяка Иевлева в Имеретию (1650-1652). Документы издал ивведением *Полиевктов М.А.* Посольство стольника Толчанова и дьяка Иевлева в Имеретию (1650-1652). Документы издал и введением снабдил М. А. Полиевктов. Тифлис, 1926, გვ. 111).

ბავშვების თმის ფერიც უმეტესად ბაცია, მოზრდილებში კი უფრო წაბლისფერი და ღია ყავისფერი.

უძველესი დროიდან (სტრაბონი[65]) ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხები ითვლებიან აღმოსავლური სილამაზის ნიმუშად, რომელთაც ამშვენებს თვალტანადობა და სწორი აღნაგობა, თეთრყირმიზი სახე და კეთილშობილური ნაკვთები. კავკასიელებისათვის დამახასიათებელია ნაზი თითები, მოქნილი ტანი, განიერი მხრები და მაღალი ტანი, ასეთივე წვივმაღალი ფეხებით. ქალებს, გარდა ზემოთქმულისა, აქვთ ლამაზი შავი და ასევე ცისფერი თვალები, რომლებიც არაერთხელ შეუმკიათ ხალხურ სიმღერებში; მათ ამშვენებთ მუქი ყავისფერი თმა და თეთრყირმიზი სახე. გარდა ამისა, ქართველები გამოირჩევიან ნაკლები თმიანობით; ამ ხალხს ისტორიულად ახასიათებს (ასევე ჩერქეზებს, ლეკებსა და სხვებს) სიმტკიცე და გმირული სული - გმირობა; მათი თვისებებიდან აღსანიშნავია: პატივმოყვარეობა და სახელის მოხვეჭისკენ, დიდებისკენ სწრაფვა, სიმამაცე და სიკვდილის წინაშე უკან არდახევა, სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარული და მისადმი ერთგულება, მაგრამ ასევე ადვილი გაცხარება-გაღიზიანება და პატივმოყვარეობის გადაჭარბებული გრძნობებიც არ უნდა უარვყოთ. აქედან გამომდინარე, პატიოსნება მათი ხასიათის ძირითადი თვისებაა, ისევე, როგორც საარაკო ერთგულება, რასაც ქართველებთან ბოროტად იყენებდნენ მეზობლები როგორც შუასაკუნეობრივი ომების დროს, ასევე მშვიდობიანობის ხანაში. აღმოსავლეთის მწერლები თავიანთ ჩანაწერებში ხაზს უსვამენ ქართველების ამაყ ხასიათს (უმეტესად მეომრებისას): ჩვეულებრივი ქართველი ამაყად, ცივად დაჰყურებს ზემოდან აღმოსავლელი ხალხების ზოგიერთ წარმომადგენელს. საერთოდ, კავკასიელი ხალხები, დიდი სიღარიბისა და გაჭირვების დროსაც თავდაჯერებულია, ზრდილობიანი და საკუთარი ღირსების დამცველი. უცხო დამკვირვებელს ეს ადვილად ეცემა თვალში თვით სრულიად უბრალო გლეხის ქცევაშიც კი. ცნობილია ქართველების საბრძოლო შემართება და მათი განწყობა პოეზიისადმი,[66] ასევე რელიგიური სიწრფელე[67] და მიდრეკილება მეტაფიზიკისა და მისტიკისადმი ლიტერატურაში, ისევე როგორც

65 XI, მე-4 თავი, §4.

66 ცნობილია შოთა რუსთაველის ეპოსი „ვეფხისტყაოსანი". შდრ. J. Karst, Liter. géorgienne, chrétienne. Arthur Leist, Der mann im Pantherfell. ინგლისური თარგმანი შესრულებული ლედი მარჯორი უორდროპის მიერ, „The Man in Pantherskin". იხ. ჩვენი წერილი: „Georgica", I, Nos. 203, გვ. 24-43. London, 1936.

67 არქიმანდრიტი დოქტ. გ რ. ფერაძე, Georgian Influences on the Cultures of the Balkan

თვითმყოფადობა ხელოვნებაში, ქართველების აღიარებული თვისებებია თვით დაცემისა და ეროვნული უბედურების დროსაც. რუსი მეფისნაცვლების მოხსენებებში აღნიშნულია (მსოფლიო ომის დაწყებამდე) ქართველების უჩვეულოდ დიდი სწრაფვა განათლებისა და ცოდნის შეძენისადმი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში: ყველა საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში და ასევე რუსეთშიც ქართველი ახალგაზრდებით იყო სავსე, რომელთა შეძლებული ნაწილი დასავლეთ ევროპაშიც ესწრაფოდა თავისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ქართველები საკმარისად იყვნენ ასევე წარმოდგენილნი ძველი რუსეთის დოცენტთა კორპუსში. რუსული იმპერიის მოსახლეობაში ქართველები გამოირჩეოდნენ თავიანთი მდიდარი სულიერი მოთხოვნილებებით.

ძველი ქართველი, ასევე სხვა ეროვნების, მაგალითად, სომეხი მწერლების გადმოცემის მიხედვით, ქართველები, განსაკუთრებით კი ქართველი ქალები მტკიცედ და დიდი გულმოდგინებით იცავდნენ თავიანთ არისტოკრატულ წარმოშობას ნებისმიერი ქორწინების დროს. ისინი ძალიან ზრუნავდნენ იმაზე, რომ თავიანთი გვარისა და წარმოშობის შესაფერის პიროვნებაზე გათხოვილიყვნენ; ამის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდიან მე-17 საუკუნის დროინდელი სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი და ქართველი პრინცი ვახუშტი.[68] ამაზე განმეორებით ლაპარაკობს ასევე ცნობილი მკვლევარი მ. ფ. ბროსე.[69]

მეორე სომეხი ისტორიკოსი, სწავლული ვართაპეტ არისტაგესი თავის ნაშრომში სომხეთის ისტორიაზე აღნიშნავს, თუ როგორ აფასებდნენ ქართველებსა და ქართულ წარმოშობას ბიზანტიის იმპერატორები მე-10 და მე-11 საუკუნეებში. არისტაგესმა ამის შესახებ დაწერა 1871 წლის დასასრულიდან ცოტა ხნის შემდეგ, ზოგიერთ ამბავს იგი გვაცნობებს უკვე როგორც თვითმხილველი: ქართველებმა იმპერატორები, ძმები ბასილი და კონსტანტინე და მათი ტახტი საშიში ბარდა სკლიაროსის ამბოხისაგან გადაარჩინესო. ბიზანტია არაფერს იშურებდა, რათა ქართველები ახლო აღმოსავლეთის დედაქალაქში დაესახლებინათ: ძალდატანება, ხრიკები, მდიდრული ძღვენ-საჩუქრები, უმაღლესი ჯილდოები, უმნიშვნელოვანესი თანამდებობები, ყოველივეს იყენებდნენ,

---

Peoples // „Georgica", 14-23.

68 ვახუშტი , 7; Arakel, გვ. 105, Brosset.

69 Notice sur le mari russe de Thamar, reigne de Georgie, 221 Bull. hist. philol. Ac. Peterb. Bd. 1844.

რათა ქართველები ქართული სამხრეთ პროვინციებიდან ბიზანტიაში საცხოვრებლად გადასვლაზე დაეყოლიებინათ. ეს პროვინციები - ქართული სამეფო დინასტიის, ბაგრატიდების (ისპირი[70]) სამკვიდრო ადგილები - იმხანად თითქმის განადგურებული იყო, განსაკუთრებით დიდი დანაკლისი კი დიდგვაროვანთა დაკარგვა იყო.[71] ამის შემდეგ ამ სამხრეთ პროვინციის ქართველობა კარგა ხანს წელში ვეღარ გაიმართა.

კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩავარდა სომხეთი, რომელმაც მთელი თავისი მაღალი ფენა – დიდგვაროვანი თავადები დაკარგა, რის შემდეგაც მას აღარ ღირსებია აღარც დიდი მთავარსარდალი და აღარც დიდი პოლიტიკოსი, თუმცა კი ძველად ბლომად ჰყავდა უნარიანი წინამძღოლები,[72] რომლებიც აღმოსავლეთში, კერძოდ კი ბიზანტიის იმპერიაში, დიდ როლს თამაშობდნენ.

გარდა ბიზანტიელებისა, სპარსელებისა, თურქებისა და სხვა, ასევე რუსებიც დიდად აფასებდნენ ქართულ სილამაზეს: მაღალჩინოსანი რუსები და სახელგანთქმული გენერლები, მეფისნაცვლები კავკასიაში და სხვები, ბედნიერები იყვნენ ქართველ ქალებზე დაქორწინებით, მათთან შეუღლებით; რუსი პოეტები ხოტბას ასხამდნენ ქართველ ქალთა სილამაზეს.[73] კიდევ ერთი მაგალითი ისტორიიდან:

1. თურქეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაში (1768-1774 წლებში) იყო. თურქები იძულებული იყვნენ ძლევამოსილი რუსებისთვის ძალზე ხელსაყრელი პირობები შეეთავაზებინათ, რომელთა შესრულებაც მათ შემდეგ აღარ სურდათ. მათ იმავდროულად სპარსელები ემუქრებოდნენ, ხოლო ავსტრიელები გარკვეულ კონცესიებს (კომპრომისებს) აიძულებდნენ. მიუხედავად ამისა, მათ კიდევ ერთხელ მოითხოვეს (1774 წლის დეკემბრიდან 1775 წლის დეკემბრამდე) ხელშეკრულების რატიფიკაციის წინ რუსებისგან ორ დათმობაზე წასვლა: ა) ყირიმის დამოუკიდებლობის გამოცხადება (თურქეთისაგან), რასაც მომაკვდინებელი ლახვარივით უყურებდნენ (რუსები მოითხოვდნენ ამას). ბ) თურქეთში წაყვანილი ქართველი ქალების გადაცემაზე უარის თქმა (ორივე იმპერია, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, რუსების თანამებ-

70 Revue de l'Orient, 1, 17, 269.

71 Revue de l'Orient et de l'Algerie, Bde ЧМ, 343-370, XVI41-53. Brosset, Additions e Eclaircissements, 215-220.

72 В. Потто, Кавказская война, ტომი III, 698.

73 Потто, Кавказская война, ტომი III, გვ. 603-632.

რძოლები იყვნენ ამ ომში. აქ რუსები დათმობაზე წავიდნენ).[74]

2. წლები გადიოდა. რატიფიკაციის მიუხედავად, ყირიმში ძლიერი დაპირისპირება მოხდა თურქებთან, კვლავ ომის საფრთხე წარმოიქმნა. როგორც იქნა, რის ვაი-ვაგლახით კვლავ ახალი კონვენცია მიიღეს ყირიმთან დაკავშირებით, სადაც იმჟამად რუსები ბატონობდნენ. ის კონვენცია რომ უზრუნველეყოთ, რუსმა მეფისნაცვალმა კონსტანტინოვმა ახლად დანიშნულ ხანს შაჰინ გირეის ურჩია სულთნისთვის საჩუქრად გაეგზავნა ლამაზი ჩერქეზი ასული, რათა მას (სულთანს) აღნიშნული კონვენცია საბოლოოდ დაემტკიცებინა (ეს საჩუქარი მასზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენსო).[75] ამგვარად, საომარი და პოლიტიკური საკითხების მოგვარება ახლო აღმოსავლეთში ხშირად ხდებოდა კავკასიდების (კავკასიელი ხალხების) სისხლის გამაკეთილშობილებელი ელემენტის ხარჯზე.

სოლომონ I დიდი, დასავლეთ საქართველოდან, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა თურქების ხელისუფლებას და მის მიერ დაწესებულ ადამიანთა ტრიბუტს (ხარკის სანაცვლოდ ადამიანებს მოითხოვდნენ). 1775-იდან 1784 წლამდე მას ბრძოლა არ შეუწყვეტია. თურქეთი სხვა უფლებებს თმობდა, მაგრამ არა უფლებას ადამიანთა ტრიბუტზე, მიუხედავად იმისა, რომ მას ის 1775 წლიდან აღარ მიუღია. ასევე ჯიუტად მოითხოვდა სპარსეთი ადამიანთა ტრიბუტს აღმოსავლეთ საქართველოსაგან, რომელიც მისგან მაშინვე გათავისუფლდა, როგორც კი ნადირ-შაჰი სიცოცხლეს გამოესალმა (1747 წელს).

პრუსიელი დესპანი, გვარად დიცი ასე ახასიათებს დიდ თურქ ვეზირს იუსუფ ფაშას (16 წლის ქართველი, რომელიც თურქებს ტყვედ ჩაუვარდა და შემდეგ ჰასან კაპუდან – ფაშასთან თურქული სწავლა-განათლება მიიღო): იგი თავდაჭერილია და ჯანსაღი აზრის პატრონი, პატიოსანი და მოუსყიდველი, უშიშარი და დაუღალავი თავის საქმიანობაში. იგი იწვის იმის სურვილით, რომ ოსმალებს და ოსმალურ ჯარს ძველი დიდება დაუბრუნოს. ეზიზღება დამთმობლობა და ნებაყოფლობითი მსხვერპლი. დიდი ტანადობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ისეთი ძალაუფლება მოიპოვა, რომ ყველა მუხლს იყრის „ოქროს კერპის" წინაშე. სხვა თანამდებობის პირნი მხოლოდ მისი მსახურები არიან (22 მაისი, 1788 წ.).

მოგვიანებით, როდესაც საიმპერატორო ხელისუფლების წინააღ-

74 სახელმწიფო საბჭოს არქივი, I, 300 (ი. 1768-1796).

75 С. М. Соловьев, История России, ტომი 29, 1162.

მდეგ ბრძოლაში პრუსია თურქეთის მოკავშირე გახდა, მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ პირველმა მოითხოვა, რომ ამასობაში ავსტრიის ფრონტზე გადანაცვლებულ იუსუფ ფაშას (ქართველს) თურქეთის არმიის მთავარსადლოობა ეკისრა (2. 3. 1791, დიცისადმი მიწერილ დოკუმენტში). ვიდრე მეფის წერილი დიცამდე (Diez) მიაღწევდა, იუსუფ ფაშა კვლავ დიდი ვეზირი და თურქული არმიის მთავარსარდალი გახდა.

კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშეს ქართველმა მთავარსარდლებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა მე-17 და მე-18 საუკუნეებში სპარსეთში, სადაც ისინი სპარსელებს შაჰების დანიშვნასა და მათთვის ტახტის შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ, მაგალითად, ქართველი უნდილაძე იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე ალი ბეგი, სპარსული არმიის რეფორმატორი, ხოლო მისი ვაჟი იმამ ყული ხანი – შირაზის მბრძანებელი. შემდეგ აღვნიშნავთ ასევე ხოსრო მირზას, ბაგრატიდების ქართული სამეფო დინასტიის წარმომადგენელს, მოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოს მეფე რომ გახდა და სეფი-შაჰს ტახტზე ასვლაში დაეხმარა.

სიცხადისათვის ჩვენ აქ კიდევ ერთხელ დავასახელებთ ხალხებს, რომლებიც ქართულ (კავკასიურ) რასას განეკუთვნებიან:[76]

სამხრეთ კავკასიაში ესენი არიან:

ყველა კუთხის ქართველები: ლაზები, ჭანები (შავ ზღვასა და ტრაპიზონში), მეგრელები, გურულები, იმერლები, ქართლელები, კახელები, მესხები და ა. შ. ასევე აფხაზები, რომლებიც ისტორიულად, კულტურულად თუ პოლიტიკურად მუდამ საქართველოსთან მჭიდრო კავშირში იყვნენ, ენობრივად კი განსხვავდებოდნენ; მაგრამ ისინი იმავე კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ძველი ალბანები (კასპიის ზღვაზე); ისინი თავდაპირველად ქრისტიანები იყვნენ (ეკუთვნოდნენ კავკასიურ ენათა ჯგუფს), მაგრამ არაბებთან, სპარსელებსა და მონღოლ-თათრებთან ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად გამაჰმადიანდნენ, კულტურულად კი ირანიზება (ირანულ ყაიდაზე გადასელა) განიცადეს (შიიტები); რუსების გაბატონებამდე ისინი სპარსელებს განეკუთვნებოდნენ, ლაპარაკობდნენ თურქულ ენაზე და მსოფლიო ომის შემდეგ უფრო თურქებისაკენ იხრებოდნენ.

ჩრდილო კავკასია: ყველა ჩერქეზული და ჩეჩნური წარმოშობის

76 Alex. Djavakhishvili, The Caucasian Race, გვ., 92-108, „Georgica", ოქტომბერი, 1936. Rob. Bleichsteiner, Die kaukasiche Sprachgruppe, გვ 61-74, Anthropos, ტომი 32, 1937 და იქ მოყვანილი ლიტერატურა. Zaborowski, Le Caucase et les Caucasiens, გვ. 121-133, Revue anthropol., N4, 1914, Paris.

ხალხი (ყაბარდოელები, ინგუშები, ქისტები და ა. შ.).

აღმოსავლეთ კავკასია: დაღესტნის ლეკური წარმოშობის ტომები (კავკასიური წარმოშობის ენათა ჯგუფი).

ჩრდილო კავკასია: ოსები და სამხრეთ კავკასიაში სომხები[77] რასობრივად ჩვეულებრივ კავკასიურ რასას განეკუთვნებიან, მიუხედავად დიდი სხვაობებისა, თუმცა მათი ენა ინდოგერმანულია. რასობრივად უცხო, თათრულ, თურქმენულ, თურქულ და ევროპულ (ევროპიდე) (რუსებზე, ბერძნებსა და სხვა მოსახლეობათა ელემენტებზე ჩვენ აქ შეგნებულად არ ვსაუბრობთ). ამგვარად, ყველა ეს ხალხი თითქმის იმავე კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან ოსებისა და სომხების გარდა, რომელთა სუბსტრატ-ენა (წინამორბედი) და რასა მაინც კვლავ კავკასიურია. ძველი ალბანები კი ამჟამად თურქულ ენაზე ლაპარაკობენ, რომელთა სუბსტრატული ელემენტი კვლავ ასევე კავკასიური წარმოშობის ენათა ჯგუფს განეკუთვნება. მათ ამჟამად აზერბაიჯანელები ჰქვიათ. მათი განათლებული წრეების წარმომადგენლები თავს თურქებად თვლიან. ეს შეგნება ხალხს საერთოდ რევოლუციებითაც უყალიბდება ხოლმე.[78]

---

77 ალ. ჯავახიშვილი, ანთროპოცენტრულად ორ ჯგუფს ასახელებს: დასავლურს, ანუ დასავლეთ საქართველოში (კავკასიაში) ქართულ-ყაბარდოულს და აღმოსავლურს (აღმოსავლეთ კავკასიაში) — სომხურ-ლეკურს. აქ იგულისხმებიან მხოლოდ კავკასიელი სომხები, რომლებიც აზერბაიჯანელებთან და ლეკებთან გაერთიანებულად მოიხსენიებიან. ქართველების სისხლის ჯგუფების წინასწარმა გამოკვლევებმა (იზოაგლუტინაციამ) ცხადყო აღმოსავლეთ ქართველების შედარებით უფრო მეტი შერევა (განსაკუთრებით სომხებთან) და სისხლის ნაკლები არევა შუა და განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში (იხ. ე. სემენსკაიას სტატია: Советская Этнография, № 4-5, 1935, გვ. 213-215; ასევე, Русский антропологический журнал, т. 15, № 3-4, გვ. 49-53; Русский антропологический журнал, т. 19, № 1-2. გვ. 59-65. ეს და სხვა ნაშრომები ჯერჯერობით საწყისი ცდებია. სრულყოფილი, სისტემატიზებული მეცნიერული გამოკვლევები მომავლის საკითხად რჩება. აქამდე იქაურ მეცნიერთა მასალები საკმაოდ წინააღმდეგობრივია). ქართველი ანთროპოლოგის ა. ჯავახიშვილის კავკასიაში წარმოებული სხეულის სიმაღლის გაზომვის მიხედვით ჩანს, რომ თითქოს ქართველები უფრო დაბალი ტანის არიან, ვიდრე სომხები; ამის საწინააღმდეგოდ ბუნაკი ჯარისკაცთა მობილიზაციის დროს შეკრებილი სიებითა და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შედარებით მტკიცედ ადასტურებს, რომ ქართველები 167,12 სმ სიმაღლით გაცილებით უფრო მაღლები არიან, ვიდრე სომხები (165,23 სმ) და აზერბაიჯანელები (165,12 სმ) — იხ. მისი სტატია: Антропологический журнал, № 2, 1932, გვ. 1-25.

78 აზერბაიჯანელები კავკასიელი ხალხია (კავკასიდე), რომლებიც მხოლოდ შემდეგ გათურქდნენ: A. I. Jarcho, Gandjinskie Türki, გვ. 49-83, Anthropolog. Journal N 2, 1932. რომელიც იყენებს K. M. Kurdov-ის და I. I. Pantiuchov-ის თვალსაზრისს, რომლებიც იგივე შეხედულებას იზიარებენ. შემდეგ: A. L. Jarcho, Kurze Übersicht anthropol. Studiums der türkischen Völkerschaften in 10 Jahren 1924-1934. Russk. Antrop. Journal, N 1., 1935.

სოციალური წყობა: ქართველები, საერთოდ კავკასიელი ხალხები, უპირატესად გლეხობას შეადგენენ. ისინი უძველესი დროიდანვე სოფლის მეურნეობას, ნადირობას, მეევნახეობასა და სამთო-სამთამადნო მრეწველობას ეწეოდნენ. ამიტომ მათი წყობა მუდამჟამს წოდებრივი იყო: თავადაზნაურობა, გლეხობა, სასულიერო ფენა და სულ ზემოთ მეფე და შესაბამისად კი, მთავარი (უმაღლესი საერო ხელისუფლების მქონე პირი) თავისი სათავადაზნაურო ამალით - ეს იყო კავკასიელთა წოდებრივი სურათი ყოველთვის წარსულში: ვაჭართა ფენას კი მიეკუთვნებოდნენ ებრაელები, სომხები, ბერძნები, სპარსელები. ვაჭრებს არასდროს პატივს არ სცემდნენ, უგულებელყოფდნენ. ასევე ქართველებს და საერთოდ, კავკასიელებს აკლიათ სავაჭრო საქმისათვის აუცილებელი თვისებები: მომჭირნეობა, ეკონომიურობის გრძნობა და მოძრაობა (სიარული, მოგზაურობა) სავაჭრო საქმებზე მოგების, სარგებლიანობის მიზნით. ლონდონში მცხოვრებმა სომეხმა იოზეფ ემინმა საქართველოში იმოგზაურა 1768-1770 წლებში და აღწერა ქართველთა თვალშისაცემი პატიოსნება და მათი ანტიპათია სომეხი ვაჭრების მიმართ.[79] იგივე დაკვირვებები მოახდინა ამერიკელმა მოგზაურმაც 1918 წელს.[80] ქართველები ბინადარ ცხოვრებას ეწევიან. მათ ბუნებაში არ ზის, სხვადასხვა მხარეები მოიაროან და საქონელი გასაყიდად გამოფინონ. ქართული ისტორიის ცნობილი მკვლევარი მ. ფ. ბროსე[81] სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართველები – მოგზაურები, მეომრები, საბრძოლო ტყვეები ან პილიგრიმები იყვნენ, მაგრამ არასოდეს ვაჭრებიო. მაშასადამე, ამას წინათ „წინააზიურ“ რასაზე მიწერილი სავაჭრო თვისებები ქართველებს საერთოდ არ ახასიათებთ.

ქართული ანუ კავკასიური რასა (კავკასიელი ხალხები) თავისუფალია ასევე სხვა ჩვეულებებისაგან, ევრეთ წოდებულ „წინააზიურ რასას“ რომ ახასიათებს, სახელდობრ კი მამათმავლობის მანკიერებისაგან.

უკვე ძველად თვითონ ჰეროდოტე აღნიშნავდა, თუ საიდან მოდიოდა ეს მანკიერება. თავისი პირველი წიგნის 135-ე თავში იგი მოგვითხრობს სპარსელების შესახებ: „ისინი ყოველგვარ სიამოვნებას ეძლე-

N. Anserov, Einige Ergebnisse medizinal-anthropologischen Studiums von Aderbeidjan, 1929 (russ). იგივე, ნახჭევანის ავტონომიური სსრ-ის თურქები და ა. შ. (განხილვები, მსჯელობები, Русский антропологический журнал).

79 The Life and Adventures of Josef Emin, 397, 426, Calcutea, 1918.

80 Hearings befor the Committee on Foreigh Affaires. House of Representatives, H. J. Res. 195, აპრილი, 1 და 2, 1926, გვ. 12.

81 Bull, Classe historico-philol. Acad. St.-Peterbourg, t. X, 1855, გვ. 91.

ვიან, რის შესახებაც კი ყური აქვთ მოკრული; თვით მამათმავლობასაც კი მისდევენ, რომელიც ელინელებისგან (ბერძნებისაგან) ისწავლეს".[82]

სწორედ ამ ამბის გამო დასცინოდნენ ქართველები ბიზანტიელ იმპერატორს ჰერაკლისს, რომელმაც მე-7 საუკუნის დასაწყისში ტიფლისს (თბილისს) და კალას ალყა შემოარტყა. ქართველები უკიჟინებდნენ მას მამათმავლობის გამო, ლანძღავდნენ გალავნის შიგნიდან და „საზიზღარს"[83] უწოდებდნენ. 1301-იდან 1307 წლებში მეფე ვახტანგ III-მ მონღოლებთან დაპირისპირების დროს ჩამოთვალა სპარსული რელიგიის საზიზღარი მანკიერებები და მათ შორის ასევე მამათმავლობა.[84]

ერთ-ერთი საეკლესიო შეკრებისას მცხეთაში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს (1074-1125) სასტიკად გაამათრახეს სოდომური ცოდვა, როგორც ბაბილონისა და სომხეთის სამეფოს განადგურების მიზეზი. დავით აღმაშენებელმა თავდაპირველად სომხები თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა და ისინი გორში დაასახლა, მაგრამ შემდეგ ინანა, რადგან მათთან ერთად ქვეყანაში ანატოლიური ელემენტები გავრცელდა, რომლებიც მანკიერებებს შეიცავდა. ასევე შემდგომ საუკუნეებში, განსაკუთრებით კი მე-18 საუკუნის ბოლოს, მეფე გიორგი XIII-ის დროს აღნიშნავდნენ, რომ ეს გარყვნილებები უცხო ქვეყნებიდან შემოდიოდა, სადაც ეს ჭირი ფართოდ იყო მოდებული.[85]

ინდოგერმანებთან ურთიერთობა: რასაკვირველია, ძალიან ძნელია რაიმე გარკვეულად ვთქვათ ინდოგერმანებთან კავკასიელი ხალხების, საგანგებოდ კი ქართველების, კავშირ-ურთიერთობისა და გენეტიკური ნათესაობის შესახებ. კავკასიოლოგია ჯერ კიდევ სრულიად ახალი და მრავალგზის უსამართლოდ უგულვებელყოფილი, უყურადღებოდ მიტოვებული საგანია. მიუხედავად ამისა, დადგენილია, რომ კავკასიელი ხალხები რასობრივად ინდოგერმანებთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე სხვა რასასთან. როგორც უნდა ვთქვათ, გავრცელებულია შეხედულება, რომ ინდოევროპელთა უძველესი სამშობლოა ჩრდილო და სამხრეთ კავკასია,[86] მეორე, საყოველთაოდ გავრცელებული თვალსა-

82 ამ ადგილას მე გამახსენდა პროფ. მ. ვ. წერეთელი.

83 ე. თაყაიშვილი, Три Хроники, 1-214, 129-131.

84 იხ. ჩვენი ნაშრომი „ქართული სამეფო დინასტიები".

85 პლატონ იოსელიანი, გიორგი XIII-ის ცხოვრება, 1868, იხ. გამოცემა 1936, გვ. 114.

86 Aug. Frick, Beiträge z. Kunde d. indogerm. Sprachen, გვ. 29, 255-დან, Zeitschr. F. vergleich. Sprachforschung., გვ. 41, 336.

ზრისი ჩრდილოა,[87] ჩრდილოეთური წარმოშობას უჭერს მხარს, ხოლო მესამე შეხედულება კვლავ აზიას[88] ემყარება (სამხრეთ რუსეთს), რადგან თოხარების აღმოჩენა ტიანშანის მთების ძირას საკარაუდოს ხდის ინდოევროპელების აზიურ წარმოშობას; ძველ ინდოევროპულს არა აქვს არავითარი კავშირი ევროპულ წინარე ენებთან, მაშინ, როცა მას ეს გააჩნია ფინურ-უნგრულთან და სემიტურთან. ეს, ზემოაღნიშნული მესამე შეხედულება, ინდოგერმანთა ევროპულ წარმოშობას „მთლად სარწმუნოდ ვერ წარმოაჩენს"! ამ თვალსაზრისით, ინდოგერმანები არ არიან ცხენით მოსიარულე ხალხი, მაგრამ უკვე კარგა ხნის წინ იცოდნენ ცხენი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის სტეპებში (ტრამალებში), უფრო აზიაში ბინადრობდა;[89] ევროპული ძირძველი მოსახლეობა: იბერები, ბასკები, პიკტები, ეტრუსკები და სხვები უფრო მატრიარქალურები იყვნენ, მაშინ როცა აზიური ხალხები - სემიტები, თურქები, მონგოლები და სხვა, პატრიარქალურები იყვნენ; ასევე პატრიარქალური იყო ქართულ-კავკასიური რასა. და ძველი ინდოგერმანული ხანა, რომლის დროსაც ინდოეთ-ირანში გავრცელებული იყო მეცხენეობა და მესაქონლეობა, ასევე ევროპული წარმოშობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ეს და სხვა რამდენიმე გარემოება, მაგალითად, ის, რომ ტრიპოლიის კულტურა არაინდოევროპულია, ზოგიერთ მკვლევარს თავშეკავების საბაბს აძლევს, რომ ინდოევროპელები ევროპული ან აზიური წარმოშობის ხალხებად მიიჩნიონ;[90] მით უმეტეს, რომ ფრ. რატცელის უახლესი კვლევა იქით არის მიმართული,

87 H. Hirt, Die Indogermanen. M. Much, Die Heimat d. Indogerm. Im Licht d. urgeschochtl. Forschung. O. Menghin, Weltgesch. d. Steinzeit, გვ. 554; საპირისპიროდ ძალიან გარკვევით P.W. Koppers, Weltgesch. d. Steinzeit, in Anthropos XXVI, 1931, გვ. 223-243, 238-241. H. St. Chamberlain, Grundl. D. 19. Jahrhunderts, გვ. 483, 493. Hans F. K. Günther, Herkunft und Rassengeschichte der Germanen, München, 1935. იგივე, Rassenkunde Europas, 1929. Docteur Réné Martial, Les Peuples du Caucase (Relations du caucase avec notre Occident, გვ. 65- დან, L'Antropol. ტ. 46, 1936).

88 Sigm. Feist, Europa im Lichte d. Vorgesch. u.d. Ergebn. d. Vgl. Indogerm. Sprachforschg., გვ. 44-51; Quellen u. Forsch. z. alten Gesch. u. Geogr. 1910, H. 19. იგივე: Indogerm. u. Germ. Ein Beitrag z. europ. Urgeschichtsforschung., გვ.97-132, იგივე, Kultur, Ausbreitung und Herkunft d. Indogerm., გვ. 526. G. Ipsen, D. alte Orient u.d. Indogerm., გვ. 200-დან, W. Streitberg – Festschr. 1924. P. W. Koppers, S.v.D. in „Anthropos", 1931 რვეული 1-2, გვ. 224-243, 238-241.

89 Gertrud Hermes, Das gezähmte Pferd im neolitischen und Frühbronzezeiten Europas. გვ. 803-823, in Anthropos, 1935; გვ. 115-129, Anthropos. ტ. 30-31, 1936. იგივე, Das gezähmte Pferd im alten Orient გვ. 364-394; იქვე, ტ. 31, 1936. იგივე, Der Zug des gezähmten Pferdes durch Europa, გვ. 105-146, იქვე, ტ. 32, 1937.

90 შდრ. ჩვენი „კავკასია და ძველი აღმოსავლეთი", in Zeitschr. f. Ethnol., 69 Jahrg.

რომ ინდოგერმანულობის საწყისი, მისი წარმოშობა კვლავ კავკასიის მახლობლად, მისგან ჩრდილოეთით ეძებოს.[91]

ინდოგერმანთა ჩრდილოური წარმოშობის ვარაუდისას წარმოიქმნება პრობლემები, რომლებიც გადასაჭრელია. თუკი ღია ფერის თმა და თვალები ჩრდილოეთში გამყინვარების ზეგავლენით წარმოიქმნა და თუ პირველი ინდოევროპელები ტიურინგიაში იყვნენ, მაშინ ისინი ღია ფერს ვერ მიიღებდნენ, რადგან ტიურინგიაში გამყინვარება არ ყოფილა.[92] ასევე ესკიმოსები და ლაპლანდიელები ქერები არ ყოფილან, არამედ მუქკანიანები არიან. ალპებში გამყინვარება იყო, მაგრამ ალპიურ რასას, რომელიც იქ ყველაზე ძველია, აქვს მუქი ფერის თმა და ასეთივე ფერის თვალები ისევე, როგორც კავკასიელებს, თუმცა ეს უკანასკნელნი გამყინვარების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოება, რომ ღია ფერი (დეპიგმენტირება) ეკვატორულ გარემოშიც შეიძლება შეგვხვდეს და ქერა რასა კი წინაისტორიულ აფრიკაში და ნაწილობრივ ოკეანიაშიც შეინიშნებოდა (ვ. აიშტედტი, გვ. 579, 644, განსაკუთრებით კი 658, 676, 685, 785; მისივე, „Die rassischen Grundlagen des deutschen Volktums", 34-37 და შემდეგი გვერდები).

უძველესი სამარხები სრულიად აღმოსავლურია ანდა სამხრეთული: ისინი წითელი ჟანგმიწის შეფერილობისანი არიან; ნეშტები ჩაცუცქულ მდგომარეობაშია, ფეხები მოკრუნჩხული, როგორც ეს სამხრეთში გვხვდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახლის ტერიტორიაზე დამარხვის ჩვეულება, რაც ასევე გვხვდება დასავლეთსა და ჩრდილოეთში, აგრეთვე გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში, გარტახსა და სხვაგან.[93]

უძველესი ინდოგერმანული გადაადგილებანი მიმართული იყო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და არა დასავლეთისაკენ, რაც უფრო ბუნებრივია, თუკი მათი ამოსავალი წერტილი გერმანიის დაბლობია გერმანიის ჩრდილო-დასავლეთში. ყველაზე ადრეული ინდოევროპული ლაშქრობა (გადაადგილება) განხორციელდა კელტების მიერ დასავლეთის მიმართულებით, მაშინ როცა ლაშქრობა სამხრეთ-აღმოსავლეთში მე-3 ათასწლეულში მოხდა: ნეზირი, ლუვიერი და ა.

---

91 F r. Ratzel, Der Ursprung und das Wandern der Völker geographisch betrachtet, გვ. 1-75. ტ. L, Berichte der sächsischen Ges. D. Wissensch., 1898; იქვე, გვ. 23-147, ტ. LII. W. Sieglin, Die blonden Haare der indogermanischen Völker des Altertums, გვ. 15-დან, 1935.

92 C. Schuchhardt, Vorgeschichte von Deutschland, გვ. 49-55, 1935.

93 იქვე, გვ. 25, 45, 162, 25, 156 და ა. შ.

შ.; ყოველ შემთხვევაში მე-2 ათასწლეულში ინტენსიურად მიმდინარეობდა: ინდოელები, სპარსელები, თოხარები. ამ მძლავრ, ხანგრძლივ და მრავალგზის განმეორებულ მოძრაობათა ტალღებს საწყის წერტილად ჩრდილო გერმანია რომ ჰქონოდათ, მაშინ ეს ინტენსიური მოძრაობები (გადაადგილებები) სავარაუდოდ, დასავლეთის მიმართულებითაც, მაგალითად, ბელგიაში, საფრანგეთსა და ა. შ. უნდა განხორციელებულიყო; თუმცა მცირე აზიის, ელამის, ინდოეთის გაინდოევროპულება (ინდოევროპეიზაცია) ჩრდილო გერმანიიდან დაიწყო, მაშინ ასევე საფრანგეთიც მაინც უნდა გაინდოევროპულებულიყო აქედან და ამავე დროს, რადგან ის ჩრდილო გერმანიასთან უფრო ახლოს მდებარეობს, ვიდრე ინდოეთი. რადგან სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა, მაშინ უძველეს, ჩვენთვის ნაცნობ ლაშქრობა-გადაადგილებებს სხვა საწყისი წერტილი უნდა ჰქონოდათ, რომელიც ინდოეთთან, მცირე აზიასთან უფრო ახლოს იქნებოდა, ვიდრე დასავლეთთან, მაგალითად, საფრანგეთთან და ა. შ. თეორიულად ჩრდილო-გერმანიიდან დასავლეთისკენ ლაშქრობების დაბრკოლებების შესაძლებლობაზე ლაპარაკი მცდარი და დაუშვებელია, რადგან აქამდე საფრანგეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ გადასვლა (ქვის ხანაში) შესაძლებლად იყო მიჩნეული, რომლის დროსაც კრომანიონულ და ორინიაკულ რასებს ადრე ნეოლითური ხანის დასაწყისში გერმანიაში უკვე იმიგრირებულად თვლიდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ უფრო იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ ინდოევროპული ლაშქრობების ამოსავალი წერტილი გაცილებით უფრო შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთში უნდა გადავიტანოთ, - კავკასიასთან ახლოს, რომელზეც მოლაშქრეები ხშირად გადადიოდნენ ხოლმე.[94]

ეს მოსაზრებები უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, მეტ ღირებულებას იძენს, რადგან ის თავისებური კერამიკული კულტურა, რომელსაც ჩრდილო-გერმანიისთვის დამახასიათებლად თვლიან, განსაკუთრებით დიდი ოდენობით და განვითარების ფაზაში აღმოაჩინეს სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთში, კერძოდ კი, უკრაინაში, სადაც ასევე ფიგურირებს კავკასიური ელემენტი.[95]

ყველა ამ ფაქტიდან და გარემოებიდან ის მოსაზრება უნდა შევიმუშაოთ, რომ კავკასიის სიახლოვეს, დაახლოებით უკრაინის დაბლობებში ანდა მათგან აღმოსავლეთით ჩრდილო-ინდოევროპული კულტუ-

94 W. Sieglin, Die blonden Haare d. Indogermanischen Völker des Altertums, 1935, გვ. 15.

95 იხ. ჩვენი მონაკვეთი „არქეოლოგიური", რომელსაც სხვა ადგილას წარმოგიდგენთ და Borkoswki, l.c.

რული მიმდინარეობებისა და ლაშქრობების მთავარი საწყისი წერტილი უნდა ყოფილიყო, რომელიც ასევე კავკასიური ელემენტით იყო წარმოდგენილი.[96]

უკვე ნახევარი საუკუნის წინათ ბროკამ, ზაბოროვსკიმ და სხვებმა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნიმუშების საფუძველზე შეიმუშავეს დასკვნა, რომ ქერა დოლიხოკეფალური რასის ხალხები ქვის ხანის პერიოდში ჩრდილო-დასავლეთიდან კავკასიაში გადასახლდნენ და მთელი კავკასიისა და ასევე ევრაზიის პირველი მოსახლეები იყვნენ, ვიდრე ლითონის ხანაში სხვა რასა არ გამოჩნდა, რომელიც მათ ამ მიდამოებს შეეცილა. მათ გაავრცელეს ლითონისა და სხვა ხელობა-საქმიანობები. აქ სხვებს შორის უნდა აღვნიშნოთ კრომანიონური რასა, ჩრდილო-ევროპელი კუმბრები, გოთები და ა. შ. კავკასიის პირველი მოსახლენი დოლიხოკეფალურები არიან. მათ თავისქალას (ყობანი, სამთავრო და სხვა) ჩრდილო-ევროპული სახეობის ყველა თვისება აქვს.[97] ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ინდოგერმანელები არაუგვიანეს დაახლოებით მე-2-3 ათასწლეულში, ქრისტიანობამდე, თავიანთ ლაშქრობებს ახორციელებდნენ.[98] ამ დროისათვის კავკასიელ ხალხებს ელამში, შუმერში, მცირე აზიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში უკვე ჰქონდათ თავიანთი მდიდარი წარსული და გავრცელებული, მომწიფებული, მკვიდრი კულტურა. იმავდროულად მოხდა სხვა ტომების შემოსვლა და დასახლება მათ სამკვიდრო ადგილებში.

კავკასია კულტურულ სფეროშიც ადასტურებს სხვადასხვა კავშირსა და მსგავსებას ჩრდილოეთთან. კავკასიური ცული (ნაჯახი) თითქმის იდენტურია, საესებით მსგავსია შუმერული (ური, ალ-უბაიდი) გახვრეტილტარიანი ცულებისა, რომლებიც მე-5 ათასწლეულით თარიღდე-

96 W. Sieglin, l.c. Fr. Ratzel, Der Ursprung u. das Wandern der Völker geographisch betrachtet, 1-75. ტ. L, Berichte d. Sächsischen Ges. d. Wissensch., 1898; იქვე, 23-147, ტ. LII, 1900. განსაკუთრებით ძველგერმანული თქმულება შავი ზღვის ჩრდილო მიდამოების, როგორც სამშობლო მხარის შესახებ. Wilh. Koppers, Die Indogermanenfrageim Lichte der historischen Völkerkunde, გვ. 1-31, Anthropos, ტ. 30, 1935, მდიდარი ლიტერატურული მონაცემებით. E. v. Eickstedt, იქვე, გვ. 260-დან, 276, 348; კრომანიონისა და ჩრდილო რასების წარმოშობა ციმბირში გადააქვს. Herbert Kühn, Herkunft u. Heimat der Indogermanen, გვ. 237-242. აღნიშნავს ასევე „სამხრეთ რუსეთს", ანუ უკრაინას. Proceedings of the first Congress of Prehistoric a. Protohistoric Sciences (1934).

97 ჩვენი თვალსაზრისი იხ. ნაშრომში „Urgeschichte Kaukasiens", სადაც ხაზგასმითაა დასახელებული Zabrowskis ნაშრომები და სხვა წყაროები.

98 Forrer, l.c.; E d. Meyer, Geschichte d. Alt., I, 22, გვ. 721, 765; Hirt, l. c. 22; ვარაუდობს 1800-1600 ათასწლეულებს ქრისტიანობამდე, რაც ძალიან გვიანდელია.

ბა; იგივე მსგავსებაა ლინგბის კულტურის დროს არსებულ ცულებთან (მულერულპ-მაგლემოზას კულტურა) იუტლანდიაში, რომელთაც მრგვალთავიანი რასის ადამიანები ხმარობდნენ ძვ. წ. მე-5 ათასწლეულში.[99] შუმერული ცულები სპილენძისგანაა გაკეთებული, ხოლო ლინგბისა – პირუტყვის რქისგან.

აღსანიშნავია, რომ კავკასიური (ხევსურული) გუთანი აღმოსავლეთ პრუსიაშიც გვხვდება.[100] უკვე 1770-1773 წლებში გერმანელმა სწავლულმა გულდენშტედმა დიდი მსგავსება შენიშნა ქართულ დასავლურ გუთანსა და გერმანულ გუთანს შორის, ასევე იქაურ საველე, მინდერის მეურნეობასა და ლივლანდის საველე მეურნეობას შორის (შდრ. კავკასიისა და საქართველოს გეოგრაფიული და სტატისტიკური აღწერა, 1809, გვ. 297-298, 374-375). კ. შ. შუხარდტის აღწერით, კავკასიური (ქართული) იარაღი, მახვილი, ძალიან განიერი, გრძელი და მომრგვალებული ბოლოთი გამოირჩევა. ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ როგორც საჩეხი, საკაფავი საშუალება. ხანჯლები მოქნილია და მოხდენილი; ორივეს ეგვიპტური ნაკეთობების მსგავსად ლამაზი ხის ტარი (აჟურული მასრებით გადაკრული) ამშვენებს. მახვილი ჰალშტატის, ლატენეს (რკინის ხანა) პერიოდიდან მოდის და გრძელდება რომაელებამდე და ვიკინგებამდე.[101] ასევე ვაიმარში აღმოჩენილი მე-5 საუკუნის დროინდელი თიხის ბოთლი, ლატენური ყაიდისა, საოცრად ჰგავს უფრო ძველი დროის კავკასიურ ჭურჭელს იმავე ფორმით თუ ზედაპირის მორთულობით.[102] ყოველად გამოუცდელი თვალიც კი შენიშნავს საკვირველ მსგავსებას ჩრდილოური მახვილის ტარსა და ბევრად უფრო ძველ კავკასიურ მახვილის ტარს შორის, ისევე როგორც ზოგიერთი ვიკინგური

---

99 V. Gordon Childe, Euras, Shaft-hole Axes, 157-164. Euras. Sept. Antiq., ტომი 9, 1934. შდრ. Reall, d. Vorgesch. VII, 324-326; აღმოსავლეთში ახლად აღმოჩენილი ლითონის რამდენიმე სახეობის მნიშვნელობის შესახებ იხ. Proceed. of Internat Congress of prehist. and protohist. Sciences, 180-182, 1934. Franz Hančar, Die Beile aus Koban, 12-41, Wien. Präh. Zeitschr. 1933-1934. A. Äyräpää, Über die Streitaxtkult. In Russl., 1-159, Eur. Sept. Antiq., VIII, 1933. J. E. Forsander, Die schwedische Bootaxtkult u. ihre kontinentaleurop. Voraussetzungen, 1933, გვ. 122-დან და 134-დან. G. Rosenberg, Kulturstroemungen in Europa z. Steinzeit, 1931, passim. Harry Velten, Some ancient Eurasian Tool Names u. Cultur. Termes, გვ. 717-726, Anthropos, 30, 1935.

100 Dr. Franz Baron Nopcsa, Zur Genese der primitive Pflugtypen, გვ. 234-242, Zeitschr. f. Ethnol., 51, 1919.

101 Vorgeschichte von Deutschland, 1935, გვ. 11, 126, 147, 149.

102 იქვე, გვ. 301, 304.

ნაქსოვი ნიმუში ძალიან ჰგავს კავკასიურს.[103] ჰალსტატის დროინდელი კულტურა იდირიულია, მაგრამ იგი კავკასიურის მოწათესავეა.[104] უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისში შენიშნეს რუსებმა საოცარი მსგავსება დასავლეთ საქართველოს კუთხის, მაღალმთიანი რაჭის საბრძოლო საყვირსა და შოტლანდიურ საყვირს შორის.[105] ამის პარალელურად შეინიშნება ასევე რასობრივი კავშირი კავკასიასა და ჩრდილოეთს შორის. ის, რომ კაზაკებს ბევრი კავკასიური სისხლი ურევია და მათი ნარევი არიან, უკვე ი. კლაპროთმაც იცოდა.[106]

როდესაც ავტორიტეტული აზრი ამტკიცებს,[107] ძველმა ბერძნებმა „აღმაფრენა" და „სიხალისე" დიარულ ელემენტთან წინაისტორიული შერევით და შერწყმით შეიძინესო, მაშინ უფრო მეტი დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ კაზაკებმა თავიანთი ვაჟკაცურობა და შნოიანობა, ტემპერამენტი და გაბედული, გმირული სული, მთელი თავიანთი დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც მათ ნამდვილი რუსებისგან არსებითად განასხვავებს, სწორედ კავკასიელებთან შერევით შეისისხლხორცეს, რაც მათ სხვა ელემენტებთან კავშირსაც არ გამორიცხავს.

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ასევე უკრაინული სპეციალური მეცნიერება კავკასიურ ელემენტს უკრაინელი ხალხის სუბსტრატულ ფენად თვლის. ამ შეხედულების დამცველად გვეელინებიან პროფესორები შჩერბაკოვსკი და ბორკოვსკი.[108]

ჯერ კიდევ 1898 წელს რუსმა (უკრაინელმა) მკვლევარმა არს. კოროშჩენკომ (იხ. მისი Наблюдение над восточной музыкой, преимущественно кавказской // Этнографическое обозрение. 1898, X, წიგნი XXXVI, 1-22) თავლშისაცემი მსგავსება აღმოაჩინა ქართულ და უკრაინულ ხალხურ მუსიკებს შორის (ხალხური სიმღერები, გალობა); ასევე რუსი მეცნიერე-

103 იქვე. გვ. 354; A. Zacharoff, Some Caucasion Seabs, 55-56, Annuals of Arceol. and Antropol., t. 14, 1927. იგივე, Etudes sur l'archeologie de l'Asie Mineure et du Caucase, p. III, 136, Rev. Hittite et Asianique, 1931, Fase 4.

104 K. Schuchhardt, Alteuropa, 284-286, 288-298, 1935.

105 В. Потто, Кавказская война, ტ. 2, ნაწილი 4, გვ. 760.

106 Voyage au Mont Caucase et en Géorgie, I 52-60, 339-390, განსაკუთრებით 340-341, 1823.

107 Hans F. K. Günther, Rassenkunde Europas, 2016-218, 1929.

108 Proceedings of the international Congress of Prehistor, and Protohistorie Scienses, London, 1934. გვ. 294-296; Dr. J. Borkowskij, Probleme d. Mitteleurop. Schnurkultur (Pamatek Archäolog., III, 1933); იგივე: La céramique cordée en Ukraine (Obzor prehistor. IX, 1930-1931). იგივე: Zur Frage d. Oderschnurkultur, Warschau, 1934. იგივე: Neue Beiträge z. Erforschung d. Schnurkultur (Pamatek Archäolog., 4, 1934)

ბი ვს. მილერი, ან. ნ. ვესელოვსკი, ჩალანსკი და სხვები ადასტურებენ, რომ რუსული საგმირო სიმღერები, მაგალითად, სვიატოგორის, ილიას, დობრინისა და სხვათა შესახებ, მრავალი მოტივის მიხედვით ჩრდილო კავკასიელთა იმავე თქმულებებიდან მომდინარეობს, რადგან ეს უკანასკნელნი ადრე დონი-ვოლგა-ურალის ტერიტორიებს ფლობდნენ (შდრ. Вс. Миллер. Кавказско-русские паралелли // Этнографическое обозрение. Т. 3, кн. 10; кн. 11 გვ. 1-20; შდრ. G. Dumézil, Legendes sur les Nartes, suivies de 5 Notes mythologiques, განსაკუთრებით 200 და შემდეგი გვერდები, პარიზი, 1930).

ასევე პოლონელი სწავლულები იმავე კავკასიოიდურ (კავკასიურ) ელემენტს პოლონელი ხალხის კომპონენტად მიიჩნევენ.[109] არც ასევე ჩრდილოეთში – სკანდინავიაში არ იგრძნობა რასის ნიშნებისა თუ კვალის ნაკლებობა.[110]

ჯერჯერობით ჩვენ სხვა მხრივაც ვრწმუნდებით, რომ ინდოევროპული გადაადგილებები მცირე აზიაში, მრავალგზის კავკასიელი ხალხების სამკვიდრო ადგილ-მხარეების – კავკასიის, პონტოსა და ზაგროსის გავლით ხდებოდა. ამასთან, არა მხოლოდ კიმერიები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებმაც მე-8 და მე-7 საუკუნეებში ქრისტიანობამდე კავკასია გადაკვეთეს და შემდეგ მთელ მცირე აზიას მოედვნენ, არამედ ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ასევე სხვა ინდოევროპული ხალხების კავკასიაში გამოჩენა მე-2 ათასწლეულში და შესაძლოა უფრო ადრეც - მე-3 ათასწლეულში ქრისტიანობამდე; ესენი არიან თოხარები, ნესიტები (ინდოევროპელი ხეთები), ინდოელები, ურარიები და სხვები. როგორც ჩანს, ეს ხალხები კავკასიაში ანდა პონტოში შევიდნენ, თუ არადა, იქამდე მიაღწიეს მაინც. ეს განსაკუთრებით ძველ ინდოელებსა და ურარიებზე (სპარსელებზე) ითქმის. ინდოევროპული ელემენტი მე-2 ათასწლეულში მცირე აზიაში შესაძლოა ნაწილობრივ დასავლეთიდანაც შევიდა ბოსფორის გავლით, როგორც ამას, მაგალითად, ნეზირებზე ვარაუდობენ. მაგრამ ზოგი მკვლევარი მათაც კავკასიისკენ მიმავალი გზის გავლას მიაწერს. უფრო მართებულად კი, ამ მხრივ, ძველი ინდო-

109 J. C. Czekanowski (ლვოვი), L. Sedlaczek – Komarowski (კრაკოვი) – ის მოხსენებები ანთროპოლოსოფიულ და ეთნოგრაფიულ I სამეცნიერო კონგრესზე, ლონდონი, 1934. in L'Antropologie 44, 557-578, 1934. განსაკუთრებით გვ. 567. Czekanowski, Les buts et les methods d. l'école antropol. polonaise, იქვე 45, 573-590, 1935; 46, 45-55. Eugene Pittard, l.c.

110 C. M. Fürst, a.o.a.O., განსაკ. Stanislas Zejmo-Zejmisda, Structure racial de la Scandinavie, in: l'Antrhopologie, Bd. 45, გვ. 49-64, 55.

ელებისა და სპარსელების მხედველობაში მიღება მიგვაჩნია.[111] მაგრამ საკმარისად სარწმუნოა ის, რომ ამ გადაადგილებისას ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ ადგილას დამკვიდრდა. სავარაუდოა ინდოევროპული ელემენტის ყოველ შემთხვევაში სამხრეთ კავკასიაში მაინც გავრცელება. ასევე სავარაუდოა თითქმის ყველა კავკასიური ხალხის ადრინდელი შერევა ერთ რომელიმე ანდა რამდენიმე ჩრდილოევროპულ ხალხთან და აქედან გამომდინარე, უკვე გასაგები და სარწმუნო ხდება ცისფერთვალება და ქერათმიანი ადამიანების სიხშირე კავკასიაში.[112] ჩვენ გვსურს ჯერჯერობით იმით შემოვიფარგლოთ, რომ ასეთი ვარაუდი სარწმუნოა, ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგიური თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიასა და პონტოსთან მიმართებაში. კროგმანის მიხედვით, მაშასადამე, აქ წარმოდგენილი რასა ქართველების იდენტურ რასად უნდა მივიჩნიოთ, რასაც ყველაზე უფრო ალიშარის გადმონაშთები ადასტურებს. იგი ქართულ რასაზე მსჯელობს; ამგვარად, ანთროპოლოგიური კვლევა მცირე აზიის კულტურულ ცენტრს, კავკასიელ ხალხთან – ქართველებთან კაპადოკიას ეთნიკურად აკავშირებს. ამით საკითხი ჯერჯერობით მხოლოდ დაყენებულია, არადეფინიტურად (გარკვეულად, საბოლოოდ) გადაწყვეტილი, მაგრამ ქართულ-კავკასიური ელემენტის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ხმელთაშუა ზღვის კულტურული სფეროებისა და აღმოსავლეთის, საერთოდ, მთელი აღმოსავლეთის შესწავლისთვის, ამ ფაქტორით დადასტურებული და აღიარებულია.

შუა საუკუნეების პერიოდის მოკლე მიმოხილვაც სრულიად ადა-

111 G. Hüsing, Die Inder von Boghazk. Festschr. f. Baudouin de Courtenay, 1921; Die Wanderung der arischen Inder, Tagungsbericht d. deutsch. Anthropolog. Ges. 48, 120-124, 1927, Wien.; Vorgeschichte u. Wanderungen d. Parsawa, 246-268, Mitteil. d. Anthrop. Gesellsch. Wien LX. J. Friedrich, Hethitisch u.d. indogerm. u. nicht indogerm. Sprachen d. alten Kleinasiens, 353-365, Indogerm. Jahrbuch XV, 1931. 353-365, 1931. Hethitisch u. „kleinasiatische" Sprachen, 1931. v. Christian, Untersuch. z. Paläoethnologie usw. S. 24, 187, 188, 2016. 217-226; Mitteil. d. Anthrop. Gesellsch. Wien, Bd. 54, 1924. E d. Meyer, l.c. O. Menghin, Weltgeschichte der Steinzeit, 558. გერმანული ტომების ლაშქრობა ისტორიულად მუდამ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო მიმართული: კიმერიელები, სკვითები, სარმატები და ა. შ. შდრ. H. Schmidt: Scythischer Pferdegeschirr Schmuck aus e. Silberdepot usw. 1.90; Prähistor. Zeitschr. 1927, bes. გვ. 86 და შემდეგი. ასევე გერმანული ტომების ლაშქრობა ცეზარის დროიდან გვიან შუასაუკუნეებამდე მიმართული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. გალათები კი დასავლეთიდან მცირე აზიაში შევიდნენ.

112 Hans F. K. Günther, Rassenkunde Europas, 1929, გვ. 7. ქართველების 30 პროცენტს ლურჯი, ღია ფერის, ნაცრისფერი თვალები აქვს: Dr. Georg Buschan, Illustrierte Völkerkunde, II. F. 2, გვ. 675.

სტურებს ჩვენს შეხედულებას იმ გამაკეთილშობილებელ როლზე, რომელიც კავკასიურმა ელემენტმა, მთელ ახლო აღმოსავლეთში შეასრულა. აქ საკმარისია გაკვრით აღვნიშნოთ, თუ რა შეხედულებებს გამოთქვამდნენ ამ საკითხზე წინა საუკუნის (მე-19 ს.) ევროპელი მოგზაურები.

ჩ. პიკულტის აზრით, ქართული სისხლი სპარსელებში მოგზაურისთვისაც ადვილი შესამჩნევია, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთში.[113] სპარსელები და წინა აზიის სხვა ხალხები აღიარებენ ქართული სახეობის, ქართველების გამორჩეულ სილამაზესა და სხვა საგრძნობ უპირატესობებს.[114]

შარდენი[115] საერთოდ, სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი ქართველების წინააღმდეგ იყო განწყობილი, რომელთაც იგი მე-17 საუკუნეში, ანუ მათი კულტურის დაცემის პერიოდში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) ესტუმრა; კრიზისულ პერიოდში, როცა მთელი კავკასია იმხანად ისლამური (თურქული) გარემოცვისა და მარწუხების ქვეშ მყოფი, თითქმის გადაშენების პირას იმყოფებოდა. შარდენმა ვერ მოახერხა თავისი ძვირფასი ნივთები საქართველოდან სპარსეთში უბაჟოდ, ფარულად გადაეტანა, რის გამოც იგი საქართველოზე განაწყენებული დარჩა. მაგრამ იგივე შარდენი იძულებულია განსაკუთრებული აღტაცებით ილაპარაკოს ქართველების სილამაზეზე. იგი ცალკე გამოჰყოფს და ხაზს უსვამს ქართულ მშვენიერებას, როგორც ქალისას, ასევე კაცისას, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. აღნიშნავს, რომ ყოველ დიდგვაროვან, წარჩინებულ სპარსელს ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად და სპარსეთის შაჰებს დედები ქართველები ჰყავდათ. იგი აღფრთოვანებული იყო ქართველების სილამაზით. იგი მოგვითხრობს, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა შაჰ-აბას დიდზე ქართველი პრინცესის დარეჯანის მომაჯადოებელმა სილამაზემ, რომელიც სპარსელებში „პერის" სახელით იყო ცნობილი; შაჰმა ქართველებს მისი ხელი სთხოვა, მაგრამ დარეჯანის ძმის, მეფე ლუარსაბისაგან უარი მიიღო, რაც ქართველების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ომის მიზეზი შეიქნა. იგივე შაჰი მოაჯადოვა აგრეთვე ქეთევან დედოფალმა, კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის დედამ, მიუხედავად მისი ასაკისა; მაგრამ მან შაჰის ჰარემში ცხოვრებას მოწამეობრივი სიკვდილი არჩია.

---

113 Hist. des Revolutions de Perse, II, 447.

114 იქვე.

115 Voyage en Perse, (1888 Paris), I, 169, 345-347; II, 40, 50, 52-62, 286, 417; III, 125, 175; 403-405; V, 224-228, 233, 283, 284, 304-309, 326.

შარდენის თვალსაზრისით, სპარსეთი ქართველებსა და ჩერქეზებს სისხლის გაკეთილშობილებას უნდა უმადლოდეს. ამ მხრივ, სპარსელები მათ აშკარად ჩამოუვარდებიან, მიუხედავად მათთან კარგა ხნის შერევისა და კავშირისა. შარდენის ყურადღება მიიპყრო ქართველებისა და ჩერქეზების კანის სითეთრემ.

პიეტრო დელა ვალე[116] განსაკუთრებით გამოჰყოფს ქართველი ქალის მორალურ სიძლიერეს შაჰის კარზე, რომლის დაძლევა და რომელზეც ზემოქმედების მოხდენა მხოლოდ მას და სხვას არავის შეეძლო.

შაჰის მთელი სასახლე სავსე იყო ქართველი ქალებით, რომლებიც იქ გამზრდელებისა და სეფე-ქალების ფუნქციებს ასრულებდნენ. ისინი ყველა დანარჩენისაგან გამოირჩეოდნენ თავიანთი სილამაზითა და სიმრავლით. შაჰები მათ მუდამ უპირატესობას ანიჭებდნენ და სრულიად მართებულად, - აღნიშნავს დელა ვალე, - „რადგან ქართველი ქალები არიან თავაზიანები, კეთილშობილები და ტაქტიანნი, როგორც ფრანგი ქალები; ისინი უმშვენიერესნი არიან მთელს აზიაში და სპარსელები მათ სილამაზესთან ახლოსაც ვერ მოვლენ". მისი დახასიათებით, ქართველი ქალები არიან ძალიან მაღალი ტანის, შავი თმით და ლამაზი, ჟუჟუნა თვალებით. კანის ფერი თეთრი და მოწითალო. ისინი ყველა სხვა ხალხის ქალებზე წინ იდგნენ.[117] შაჰები ზოგ კავკასიელ ქალს დიპლომატიურ სამსახურშიც იყენებდნენ. ასე მაგალითად, ინგლისელ რობერტ შელის მეუღლე – ჩერქეზი ქალი, როგორც შაჰის ელჩი, გარკვეულ როლს ასრულებდა იმდროინდელ სხვადასხვა ევროპულ სამეფო კარზე თავისი გამჭრიახი გონების წყალობით.[118] ამგვარად, გასაგებია, თუ რატომ დათანხმდა დელა ვალე პატარა, შვიდი წლის სრულიად დაობლებული ქართველი გოგონას თინათინის შვილად აყვანას, რომელიც მას მოუყვანეს როგორც შაჰ-აბას I-ის ომებისდროინდელი საშინელების მსხვერპლი. მის ასეთ ბედს დელა ვალე გულისამაჩუყებელი სიტყვებით გვიხატავს.[119]

მიხელ პსელოსი ხაზს უსვამს მე-10 საუკუნისდროინდელი ქართველი ჯარისკაცების უჩვეულო სილამაზეს და ტანადობას და ქებით იხსენიებს მათ საბრძოლო შემართებას.[120]

---

116 Voyage de P.d. Valle (1745, Paris) I, 61, 75, 419-420; Ii, 53, 387-402; III, 372-374.

117 იქვე, IV, გვ. 336-340.

118 იქვე, IV, გვ. 267; ასევე Arch. Lamberti, Relation de la Colchide და ა. შ., 179, 185-192.

119 იქვე, IV, გვ. 264.

120 Chronographie ou historie d'un siecle de Byzance, I, 7, I, 10. Paris, 1928.

ასევე არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც დაწვრილებით და ზუსტად აღწერა მე-17 საუკუნისდროინდელი დასავლეთ საქართველო (კოლხები), ცალკე გამოჰყოფს ხალხის უჩვეულო სილამაზეს (განსაკუთრებით ქალების), თეთრ ფერს, თვალტანადობასა და სხვა;[121] უფრო დაწვრილებით და აღტაცებით წერენ ყოველივე ამის შესახებ ჩვენს მიერ მოხსენიებული შარდენი და დელა ვალე. ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ევროპელ მოგზაურს, რომელთა რიცხვი შეგვიძლია კიდევ უფრო გავამრავლოთ.

ახალი დროის მკვლევართაგან, პირველ რიგში, დავასახელებთ ბიზანტიური ეპოქის ისტორიკოსებს - ფალმერაიერს, მილერს, უსპენსკის, რომლებიც აღნიშნავენ ქართველების იშვიათ სილამაზეს და ბიზანტიელი (ასევე სპარსელი) პრინცების ქორწინებას ქართველ ქალებთან.[122]

ა. გობინო, რომელსაც რასობრივი ელემენტის დეფინიციისათვის გახსნილი გონება და უტყუარი ინსტინქტი ჰქონდა, საქებარ სიტყვებს არ იშურებს ქართულ-კავკასიური სილამაზის დასახასიათებლად.[123]

რ. ლეონარდმა, მას შემდეგ, რაც ქართველები გაიცნო, შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „უპირველეს ყოვლისა, მე აშკარად შევნიშნე ბერძნული სკულპტურული სკოლების სილამაზის იდეალის ცვლილება. განსაკუთრებით ქალებთან დაკავშირებით". მისი შეხედულებით, „ქანდაკებათა ცნობილი პროფილები შენარჩუნებულია მხოლოდ კავკასიის ერთ-ერთ ნაწილში, მიდამოებში, რომლებიც მდებარეობს ქუთაისსა და თბილისს შორის. ცალკეული ნიმუშები ადგილებზე იქვე ვნახე, როდესაც იქ ვმოგზაურობდი და ჩემთვის სრულიად ცხადი შეიქნა მათი კავშირი ბერძნულ სკულპტურულ იდეალთან. იქაური მცხოვრებნი ძველ დროშიც განსაკუთრებულად ლამაზები იყვნენ".[124]

ბრ. პლეჩკე რამდენიმე წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩეჩნებთან ცხოვრობდა (1918-1920 და 1927-1928 წლებში); იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იქაური ხალხის ლამაზ გარეგნობაზე: „კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ კავკასიის ხალხები და მათ შორის, სახელდობრ, ჩრდილო კავკასიელები ფიზიკური სილამაზით აღემატებიან თავიანთ მეზობელ ხალხებს. საკმარისია ერთჯერ

121 Relation de la Colchide და ა. შ., 179 (Récuel des Voyages au nord, VII. 136-197).

122 შდრ. Talbot Rice, The Role of Georgia და ა. შ., გვ. 44-58, Asiatic Revev, 1930.

123 Die Tänzerin von Schemacha (Asiatische Novellen), 1876, გერმანულად, Leipzig, 1904, გვ. 24.

124 Paphlagonia, გვ.330.

როსტოვიდან კავკასიის მიმართულებით იმგზავრო და მას მიუახლოვდე, რომ შენიშნო, თუ როგორ გამოირჩევიან ისინი თავიანთი წმინდად კავკასიური, დიდი, სწორი და დახვეწილი სახის ნაკვთებით სხვა ხალხებისაგან. ქერა ჩეჩნებს ნაზი და თხელი სახის კანი აქვთ, ახალგაზრდა ქალებსა და გოგონებს კი საუცხოო თეთრყაირმიზი სახე. მამაკაცებს სახე ქარისა და ცივი ჰაერისაგან შეწითლებული აქვთ და არამზემოკიდებული, მზისგან გარუჯული, რაც განსაკუთრებით ჩრდილოური რასისთვის არის დამახასიათებელი. საერთოდ, სხეულის კანის ფერი განსაკუთრებულად თეთრია".[125]

ერთი გერმანელი ოფიცრის შთაბეჭდილებები, რომელიც მან 1918 წელს გამოხატა, ასეთია: „გენერალ-მაიორი დ. ამაუერი წერს, რომ დასავლეთ საქართველოს ველ-მინდვრების ლანდშაფტები ცენტრალური (შუა) გერმანიის ლანდშაფტების მსგავსია. ეროვნული ცეკვა ბავარიულ ცეკვას მოგვაგონებს". შემდეგ შუა საქართველოში: „თუ დააკვირდებით ქალებს სოფლებში თავიანთი შავი თავსაფრებით, თავიანთი სრულიად ევროპული სახის ნაკვთებით და თავიანთი ტანსაცმლით, უცებ ვერც იფიქრებთ (თუ მოულოდნელად ამ ადგილებში მოხვდით), რომ კავკასიაში ხართ". შემდეგ: „ეს ქართველები თავიანთი ევროპული სახის წყობით... მამაკაცების მშვენიერი ტანადობა..."[126] შევადაროთ ესენი გობინოს გამონათქვამებს, რომელიც დასავლეთ საქართველოს სახეობას ულამაზესად თვლის თითქმის მთელ მსოფლიოში: „ამ მხარის ადამიანები არ საჭიროებენ სიბრძნესა და დიდ ნიჭიერებას, ისინი მხოლოდ თავიანთი სილამაზითაც დაიპყრობდნენ სამეფო ტახტებსა და იმპერიებს. მათი სილამაზე შერწყმულია საოცრად მიმზიდველ ეშხიანობასთან, რაც მათ ყოველ მოძრაობაში ვლინდება და ადამიანურ ურთიერთობებზეც ახდენს ზეგავლენას. ეს სრულყოფილება, ეშხი, გრაციოზული თავდაჯერება და თავშეკავება და ქცევა მან მხოლოდ ქართველებს როდი შენიშნა (განსაკუთრებით რიონის ხეობაში), არამედ აგრეთვე ლეკ ქალებს აღმოსავლეთ კავკასიაში. გარეგნული მშვენება, ყოფა-ქცევის, მოქმედებისა და მოძრაობის გრაციოზულობა და სხვა, კავკასიური ცხოვრების, მისი კულტურის დამახასიათებელი ნიშანია.

დოქტორმა იოჰ. ფრიდრიხ ბლუმენბახმა ანთროპოლოგიის დამაარსებელმა მე-18 საუკუნეში, გვარის ხუთი ნაირსახეობა დაასახელა: კავკასიური, მონღოლური, ეთიოპური, ამერიკული და მალაიური, რომელ-

125 Die Tschetschenen, 30-38, Hamburg 1929.

126 Auf Schicksalswegen gen Osten, გვ. 305, 310, 325, 339.

თაგან ჩრდილო-ევროპულად და ულამაზესად სწორედ კავკასიური იქნა მიჩნეული. „კავკასიის მთიდან, რადგან მის მეზობელ მხარეებში, სახელდობრ კი სამხრეთისკენ, ულამაზესი ჯიშის ხალხი, ქართველები ცხოვრობენ და რადგან ყველა ფიზიოლოგიური ფონი და მოტივი აქ იყრის თავს ისე, რომ პირველი ადამიანების სამშობლო სხვაგან არსად შეიძლება, გარდა ამ მხარისა; რადგან, ჯერ ერთი, ამ სახეობას, როგორც უკვე შევიტყვეთ, ულამაზესი თავისქალის ფორმა აქვს, რომლისგანაც, ანუ მისი თავდაპირველი შუალედური ფორმიდან თითქოსდა სხვებიც... წარმოიშვნენ". ამასთან, მან დაიმოწმა მოგზაურთა შეფასებები: „საკმარისი იქნება მრავალ თვითმხილველთაგან მხოლოდ ერთი, მაგრამ კლასიკური... მოვიყვანოთ ჟ. შარდენი, I ტომი, გვ. 171: „ქართული სახეობა ულამაზესია აღმოსავლეთში, მე ვიტყოდი, მთელ მსოფლიოში. ამ ქვეყანაში მე, გინდა კაცებში, გინდა ქალებში უშნო და შეუხედავი არავინ შემინიშნავს, მაგრამ ანგელოზური სახეები კი ვნახე. ბუნებამ აქ ქალთა უმეტესობა ეშხითა და მიმზიდველობით შეამკო, რომლის მსგავსსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით. შეუძლებლად მეჩვენება, ნახო ისინი და არ (შე)გიყვარდეს. ძნელი წარმოსადგენია უფრო მშვენიერი სახეები და უფრო ლამაზი აღნაგობა".

ბლუმენბახმა, რომელმაც 1780-1795 წლებში ადამიანთა თავის ქალების მოზრდილ კოლექციას მოუყარა თავი, სილამაზის ნიმუშად ქართველი ქალი მოიყვანა: „ნიმუშად გამოდგება მესამე ფიგურა მეორე დაფაზე - ქართველი ქალის ძალიან ლამაზი თავის ქალა".[127] ეს ადგილები და ეპიზოდები საკმარისია, რათა აიხსნას ბლუმენბახის შეხედულება ქართულ-კავკასიური სილამაზის შესახებ. 100 წლის შემდეგ იგივე ფაქტი ემილ ლევიემ დაადასტურა კავკასიაში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, სადაც მან მრავალი ქერათმიანი და ცისფერთვალება ადამიანის არსებობა დაამოწმა.[128]

---

127 J. F. Blumenbach, Über die natürlichen Verschiedenheiten im Menschengeschlecht, გვ. 212-214, (§ 85). შენიშვნა 13; შემდეგ § 62, გვ. 150, მე-3 გამოცემის მიხედვით, Dr. Joh. G. Gruber, Leipzig, 1798.

128 Emile Levier, A travers le Caucase, გვ. 89, 195, Neufchâtel, 1894, გვ. 36. საინტერესო ცნობას გვაწვდის Levier ქართული ცხვირის შესახებ, რომელიც Charles Desor-ის კვლევის მიხედვით, სიგრძის, სიმაღლის, ზომის გათვალისწინებით ჭკუა-გონების გამომხატველი ნიშანია. მათი შეხედულებით იმერული ცხვირი არის ევროპ.ული, იტალიური სახეობისა - სამხრეთ ევროპა სავსეა კავკასიური სახეობებით. კავკასიამ არა მარტო მცენარეთა ჯიშებზე, არამედ ასევე ადამიანებზეც მოახდინა ზეგავლენა. მან სამხრეთ ევროპასთან ურთიერთობის დროს მეტი გასცა, ვიდრე მიიღო. დროის მიხედვით მას ეკუთვნის პრიორიტეტი. სამწუხაროდ, Charles Desor-ის ნაშრომი

მ. ფ. ბროსემ, რომელმაც საქართველოს ისტორიის შესწავლას მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა, არაერთხელ დაახასიათა და შეაფასა ქართული სახელობა. მისი შეხედულებით, ქართველები არიან „ხალხი, რომელსაც სილამაზე მემკვიდრეობით გადაეცემა". შემდეგ: „მომაჯადოებელი ქართველი ქალების კეთილშობილურმა სისხლმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ დესპოტიზმისაგან გადაგვარებულ რასაში კეთილშობილური, ნატიფი ფორმები შენარჩუნებულიყო, როგორიც, მაგალითად, ოსმალებთან".[129]

ჩვენს ხელთ არის ცნობები სომეხი მოგზაურისა და პოლიტიკოსის შესახებ,[130] რომელიც მე-18 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა და რომელიც მეფე ერეკლე II-მ აღმოსავლეთ საქართველოდან გააძევა, რის შემდეგაც იგი მეფე სოლომონ I-თან გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა სომხეთის გასათავისუფლებლად, მოიარა ინდოეთი, ინგლისი, რუსეთი, ეწვია იქ რამდენიმე სამეფო კარს, მაგრამ ვერაფერს გახდა, ყოველივე ამაო აღმოჩნდა. იმ დროს სომხები მეფე ერეკლე II-ის დაქვემდებარების ქვეშ იყვნენ ერევნის სახანოში. მეფე სოლომონ I იმხანად მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ერეკლე II-სთან, ისე რომ სომეხ პოლიტიკოსს ბევრი ვერაფერი იმედი ექნებოდა. მას იოზეფ ემინი ერქვა და ქართველების დახასიათება მოგვცა სოლომონ I-ის მეფობის დროს: „სასახლეში დაბრუნდნენ დიდი თავადები დაახლოებით 300 თავადაზნაურის თანხლებით; ეს ბატონები დაახლოებით 25-იდან 30 წლამდე ასაკის იქნებოდნენ". ამდენი ლამაზი და თვალტანადი მამაკაცი მას (ანუ იოზეფ ემინს) წინათ არასოდეს უნახავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინგლისელ ოქსფორდელ „ლურჯებს", მეფის ცხენოსან გრენადერებს (ანუ „ლომების კომპანია") და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ეკატერინეს ლაიბგვარდიელებს".

იოზეფ ემინს არ ჰქონდა საბაბი პირფერობა გამოეჩინა ქართველე-

ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. E. Desor, Essai sur le nez, გვ. 222-239 (La Foret vierge et le Sahara, Pari, 1870). იგი მხოლოდ ზოგადად ამტკიცებს, რომ დიდი ცხვირები თეთრი კავკასიური რასის ხალხებს აქვთ.

129 Etat actuelle de la literature georgienne, 434-454, 435, 451; Nouv. Journ. Asiat, I, 1828.

130 The Life and Adventures of Joseph Emin, a Armenian, გვ. 402: ...the chiefs returned with about 300 aznavurs or khights all from 25 to 30 years of age. So many handsome wellmade men he never had seen before, except the English Oxford blues, the king's horse grenadiers and the Leib company (or the company of lions), the bodyguard of her imperial majesty Katherina. „Oxford Blues"-ში იგულისხმება გვარდიის კავალერიის პოლკი. შდრ. ასევე W.E. D. Allen, A History of the Georgian People, გვ. 206.

ბის მიმართ. როგორც მოგზაური, იგი პირიქით, ნაწყენი დარჩებოდა მათზე. პოლიტიკურად ისინი მისი ხალხის, ერევნის სახანოს (ანუ ახლანდელი სომხეთის) ბატონები იყვნენ. იგი რომ ქართველებს ასე ძალიან აქებს და ევროპული სამხედრო სამსახურების ულამაზესი გარეგნობის ხალხს ადარებს, ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა და ცნობაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სწავლული მკვლევარი არ ყოფილა. ასევე ბერიეტი (Berjet), რომელიც რუსულ პოლიტიკას საქართველოში გამართლებულად თვლიდა, ხოტბას ასხამდა ქართულ სილამაზეს, მაგალითად, სამეგრელოში: „La population de ce pays est fort belle, les traits de visage parfaits et les femmes notamment sont quelquefois d'une beauté ravissante". Voyage en Mingrelie, 5-51, Revue de l'Orient, ტომი 18, 1864.

კიდევ უფრო საყურადღებოა სილამაზის ის სახეობა, რომელიც ტრაპიზონის სამეფოს ქართულ-ლაზურ მხარეში შუა საუკუნეებში არსებობდა (1204-იდან 1461 წლამდე ქრისტიანობის შემდეგ), ყოველ მკვლევარს თვალში რომ ხვდებოდა; თანამედროვენი ხოტბას ასხამდნენ მას. ხოლო ბიზანტიის იმპერატორები თავიანთ სახელმწიფო მოხელეებს საქართველოსა და ტრაპიზონში აგზავნიდნენ, რათა იქაურ პრინცესა ქალებზე ექორწინათ: სპარსელი და თურქი ხელისუფლების წარმომადგენელნი თავიანთი იმპერიების ბედს სასწორზეც კი დებდნენ, ოღონდ კი პონტო-ქართული სახეობის ეს დამაბრმავებელი სილამაზე ხელში ჩაეგდოთ და სახლში ჰყოლოდათ. ეს სილამაზე მიჩნეულია პონტოელი ბერძნების კავკასიელებთან, ანუ ქართველებთან სისხლის შერევის საფუძვლად და შედეგად.[131]

გარდა ზემოთქმულისა, ჩვენ მოვიხსენიებთ შუა საუკუნეების დროინდელი იმ მოგზაურების მიერ გამოხატულ ხოტბა-დიდებას,[132] რომლებიც გაოცებულნი იყვნენ როგორც ქართული სილამაზით, ასევე ქართველების ჯანსაღი ჯიშით კავკასიასა და სპარსეთში. რადგან ეს აღიარებული სილამაზისა და მშვენიერების სახეობა კავკასიასა და პონტოს მხარეში იყო გავრცელებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ პონტო-ქართული სისხლის ბერძნების უკვე შერეულ სისხლთან შერევა (კომნენებთან და ბერძნულ-ბიზანტიურ დიდგვაროვნებთან) ყოველივე ამის შედეგია.

---

131 I. c. Über Schönheit: Fallmerayer 313, 316 (ungewöhnliche Schönheit); Miller, 7, 68-69, 88-89; Uspenskiji, 7 (იხ. გვ. 44, H. 1).

132 Della Valle, III, 372-374; IV, 264, 267, 336-340; Chard In, III, 169, 345-347; II, 40, 50, 52, 403-405; Arch. Lamberti, Relation de la Colchide და ა. შ., 136-197, 179 – Recuel des voyages au nord, VII, Michel Psellos, Chronographie ou Histoire d'un siecle de Byzance, I, 7; I, 10.

მაგრამ როგორც კი ამას დავუშვებთ, ჩვენს თვალწინ დგება ანტიკური ხანის ბერძნული სილამაზის პრობლემა, რომელიც ჩვენ ანალოგიის და პარარელების გზით, იგივე თუ არა, მსგავსი მოსაზრებისკენ გვიბიძგებს: ანტიკურ-ბერძნული სილამაზეც იმავე ბერძნული სისხლის იმავე, ანდა მსგავს კავკასიურ სისხლთან შერევის შედეგი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ თამამად ვაყენებთ პრობლემას ამ კუთხით და ვფიქრობთ, რომ ობიექტური და საფუძვლიანი კვლევა ამ მიმართულებით კიდევ უფრო დააკონკრეტებს და განსაზღვრავს კავკასიური სისხლის როლს წინა აზიისა და საერთოდ, ძველი სამყაროს გაკეთილშობილების პროცესში.[133]

ახლა გვსურს, კიდევ ერთი ფაქტორი წამოვწიოთ წინა პლანზე, სახელდობრ კი ის, რომ ულამაზესი სახეობის ჩამოყალიბება, როგორსაც კი ისტორია დღემდე იცნობს, მხოლოდ საბერძნეთსა და პონტო-კავკასიაში მიმდინარეობდა, ანუ იმ მხარეებში, რომლებიც უფრო სარწმუნოდ ჩავთვალეთ, ვიდრე წინა და მცირე აზიის, წინა კავკასიის, ე. ი. სხვათა შორის, ნეგროიდული პერიფერიები. მცირე აზიისა და ანატოლიის ცენტრი ამ ძველი მოსახლეობის სამემკვიდრეო მანკით უფრო დამძიმებული იყო, ვიდრე სამხრეთ ევროპა და კავკასია. მუქი რასის ეს მემკვიდრეობა, ალბათ, დამაბრკოლებელი ფაქტორი იქნება, რომელმაც თავდაპირველად ხელი შეუშალა და ზიანი მიაყენა სილამაზის სახეობის ჩამოყალიბებას წინა აზიაში.

ბერძნებსა და კავკასიელ ხალხებს შორის სისხლის შერევის საფუძველზე მიღებული კარგი შედეგი შესაძლოა იმ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს, რომ ეს ხალხები რასობრივად, ანდა მხოლოდ ეთნიკურადაც არცთუ მთლად არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან; შესაძლოა ისინი წინაისტორიული შერევით (პელაზგები) ანდა როგორც სისხლის მიხედვით კარგად შეეფერებოდნენ ერთმანეთს!

თვალში საცემია ისიც, რომ კავკასიელების სავალი გზები მოგვიანებით ინდოევროპელმა ხალხებმა გაიარეს: სამხრეთ ევროპა, მცირე აზია, კავკასია ინდოეთამდე და ჩინეთამდე. პირველების სავალი გზები თითქმის ყოველთვის უკანასკნელების, შემდეგი ხალხების გასაველ გზებად იქცეოდა ხოლმე.

133 მსგავსად ასევე Rich. Leonhard-ისა, Paphlagonia, 330. H. Mapp, Талыши, 38, Российская Академия Наук. Комиссия по изучению племенного состава населения России, IV, 1929. Zabrowski, Les Peuples Arians d'Asie et de l'Europe, 167 pass, 1908. C. U. Ariens Kappers, An. Introduction to the Anthropol of the Near East და ა. შ., 77-79, 80-93 და მომდევნო გვერდები, (1934).

შესაძლოა თავდაპირველად მათი გადაადგილებების, ლაშქრობის საწყისი წერტილი ორივე ხალხისა ერთმანეთს ძალიან დაცილებული არ იყო. მაგრამ კიდევ უფრო სარწმუნოა ის, რომ ინდოევროპელები თავიანთი ლაშქრობების დროს კავკასიდებს (კავკასიელებს) საკმაოდ ინტენსიურად შეერეოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ქართველების (კავკასიელების) ბერძნებთან შერევით მიღებული უაღრესად სასიკეთო და ხელსაყრელი შედეგი მოწმობს ერთგვარ არსებით ნათესაობას ანდა არსებით ერთნაირობას, რისი უფრო ღრმა და საფუძვლიანი გამოკვლევაც სპეციალური მეცნიერების ამოცანად რჩება. ჩვენ ვიფარგლებით იმით, რომ დავამოწმოთ ფაქტი, რომლის თანახმადაც, სილამაზის სახეობის ჩამოყალიბების პროცესში საუკეთესო შედეგი მხოლოდ ბერძნული სისხლის ქართულ (პონტო-კავკასიურ) სისხლთან შერევით იქნა მიღწეული. ეს ჩვენს თვალწინ მოხდა, ანუ ისტორიის დღის სინათლეზე და მისი იგნორირება არ შეიძლება.

ახლა ჩამოვთვლით სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებებს ქართულ ენასთან დაკავშირებით და მის დამოკიდებულებაზე სხვა ენებთან. ბოპი თვლიდა,[134] რომ ქართული ენა ინდოგერმანული ენაა; ჰ. შუხარდტი[135] მიიჩნევდა, ქართული ენის ნათესაობა არიულ ენებთან გამორიცხული არ არისო. ზორელი[136] ქართულ ენაში ინდოგერმანულ ელემენტებს პოულობდა; კლარენს აუგუსტ მანინგის[137] აზრით, ინდოევროპული ენების კავკასიური წარმოშობა უნდა დადგინდეს და გაირკვეს; შემდეგ გიუნტერ იპსენი[138] მეტალის, სპილენძის, ვერცხლის, ტყვიის, საქონლის (ძროხა, ხარი), მცენარეების (ლეღვი, ვარდი, ბარდა, ყურძენი და სხვა) აღმნიშვნელ ინდოგერმანულ სიტყვებს კავკასიურ სიტყვებად თვლის. გარდა ამისა, მთელი რიგი სწავლულებისა (ოსტირი,[139] შრიენი და სხვ.) ხშირ შესატყვისობებს პოულობენ კავკასიურ და სლავურ

134 Die kaukasischen Glieder des Indo-europäischen Sprachstammes, Blin. 1847.

135 Sprachverwandschaft, 527, Sitzungsb. d. phil. Hist. K l. Preuss. Ak. d. Wiss., 38. 518-529.

136 ბიბლიის ძველქართული თარგმანის გრამატიკა, 6 და შემდეგი გვერდები. 109. 116. 93, 111, 113, 117, 96.

137 „Language", 7, ნომ. 2, გვ. 143-146.

138 Der alte Orient und die Indogermanen, 200-237. Stand und Aufgaben d. Wissenschaft. Festschrift f. Streitberg, 1924. J. Karst, Origines Mediterraneae, 227, 240, 556 და ა. შ. 128. 530.

139 Oštir, Beiträge z. alarodisch. Sprachwissenschaft, I. 1-33. 34-137. იგივე, Illyro-pelasgica u.a.m. Fr. v. Velden, Über Ursprung u. Herkunft d. indogerman. Sprachen u. anarische Sprachreste in Westeuropa, 1912. იგივე, Neue Wege zur Ursache der Alten Welt, 1917. P. Kretschmer, Die portoindogermanische Schicht, Glotta, 14. 1925. P. Haupt, The Influence of Caucasian Idioms on Indoeurop. languages, Language, I, 1925.

ენებს შორის; სცადეს, ბგერათმონაცვლეობა გერმანიკულ ენებსა და გერმანულში და, აგრეთვე, გერმანიკული ენებისა და გერმანული ენის ლექსიკის უცხო ელემენტების 30% ქართული (კავკასიური) ენის მეშვეობით აეხსნათ და განემარტათ.[140] წინა საუკუნის შუა წლებში სურდათ ქართული ენა ერთ-ერთ ინდოევროპულ ენად ეღიარებინათ; ამას მხარს უჭერდნენ ბოპი, როზენი, ბროსე და სხვები.[141] ინდოევროპულ ენებთან ქართული ზმნის საოცარი შესატყვისობის გამო ჰ. იუნკერი ქართულ ენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.[142] სხვა მხრივ, ხაზგასმით აღნიშნავენ, აგრეთვე, ქართული და კავკასიური ენების მჭიდრო ნათესაურ კავშირს ვერშიკულ-ბურიშკულ ენასთან პამირის მხარეში და ბასკურ ენასთან დასავლეთში.[143]

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს იმას, რომ ჩვენი განხილვა-მსჯელობები კავკასიურ რასობრივ კავშირებზე ენათმეცნიერების დარგშიც პოულობს შესაბამის მხარდაჭერას.

შუა საუკუნეების პერიოდის მოგზაურები ხაზგასმით აღნიშნავენ საზოგადოდ ცნობილ ფაქტს იმის თაობაზე, რომ კავკასიურმა ელემენტმა განმსაზღვრელი და ხანგრძლივი ზეგავლენა მოახდინა[144] იმ დროინდელი ცხოვრების მთელ რიგ სფეროებზე ახლო აღმოსავლეთში: სახელმწიფო და სამხედრო საქმიანობაში, მეფის კარზე თუ საზოგადოებაში; განსაკუთრებით პოლიტიკურად და კულტურულ-ისტორიულად, რაც დამტკიცებული, დადასტურებული ფაქტია.[145]

---

140 Fr. Braun, Die Uberbevölkerung Europas u. die Herkunft der Germanen. S. Feist, Europa im Lichte d. Vorgeschichte., in „Quellen u. Forschungen z. alten Geschichte und Geographie", 13-16. 1910. იგივე. Indogermanen u. Germanen. Ein Beitrag z. europ. Urgeschichte, passim, 38-56. იგივე, Kultur, Ausbreitung, Herkunft u. Urgesch. d. Germanen, passim. იგივე, The Origin of the Germanic Language and the Indo-Europeanis of the North Europe, 245-254. Language, VIII, 1932. J. Janko, Die alarodisierte Urheimat d. Slaven, 306-310, Donum. natal. Schrijen, 1929, Schrijen, L'Alarodien et l'actent d'intensite initial dans les langues indo-europeennes, 53-71, in Mem. de siecle de Linguist, 23, 1927. T h. Baader, Aus einer Sprachlandschaft Alteuropas, 311-316 (Schrijen), 1929.

141 Brosset, Additions et Eclaircissements de l'Histoire de Georgie, 67, 83.

142 Deeters, Das georgische Verbum, წინასიტყვაობა.

143 R. Bleichsteiner, Die kaukasische Sprachgruppe, 61 და შემდეგი გვერდები, „Anthropos", 32, 1937; იგივე, Die werschikisch-burischkische Sprache, Wien, Beiträge z. Kulturgesch. und Linguistik, I, 1930. იგივე, Die Verwandschaftsbeziehung des Baskischen, Wien, Zeitschr. f. die Kunde des Morgenlandes, s1931, გვ. 235-239.

144 l. c. გავიხსენოთ აგრეთვე კავკასიელების მასობრივი გადასვლა თურქეთში, განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში, მაგრამ ასევე მანამდეც, რასაც ხანგრძლივი და სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

145 მაგალითად, ტრაპიზონის იმპერია ქართველების დაფუძნებული იყო, რომელსაც

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ თანამედროვე მეცნიერულმა კვლევამ დაადასტურა მტკიცე, ხანგრძლივი და გამაკეთილშობილებელი როლი ქართულ-კავკასიური ელემენტისა ახლო აღმოსავლეთში სწორედ ანთროპოლოგიური გამოკვლევების წყალობით,[146] რაც წინა საუკუნეში უკვე დაამტკიცეს ასევე დიუბუა დე მონტპეროზ (1839-1843) და მრავალმა სხვამ.

მაშასადამე, ეს ელემენტი, იქ დღემდე მოქმედებს და მისი გავლენა ჯერ კიდევ ძალაშია.

კავკასიური ელემენტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ჩამოყალიბების პროცესში იმდენად დიდია, რომ მისი არშემჩნევა შეუძლებელია. ჩამოყალიბების ამ პროცესს თავისი 6000-წლიანი ისტორია აქვს, რომელშიც კავკასიური (კავკასიელი ხალხები) ელემენტი, განსაკუთრებით კი ქართველი ხალხისა, საუკუნის დასაწყისამდე ძალას ინარჩუნებს.


ქართულ-კავკასიურ ელემენტს მსგავსი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აღმოსვლეთ ევროპული სივრცის ხალხებისათვის, რომელთაგან ჩვენ განსაკუთრებით გამოვყავით კაზაკები, უკრაინელები და პოლონელები, სკანდინავიის ნახევარკუნძულამდე.

საბოლოოდ დადგენილ შედეგებამდე კი კვლევა-ძიება მხოლოდ მაშინ მივა, როდესაც პოლიტიკური მდგომარეობის ძირეული ცვლილება აღმოსავლეთში შესაძლებელს გახდის იქაური ხალხების თავისუფალ სამეცნიერო მოღვაწეობას და დასავლეთევროპული მეცნიერების მხარდაჭერასა და თანამშრომლობას.[147]

უმეტესად ქართველები იცავდნენ: Jac. Ph. Fallmerayer, Gesch. d. Keisertums v. Trapezunt. Brosset, Hist. de Géorgie, I, 396, 413, 464 და შემდეგი გვერდები. William Miller, Trebizunt, the last greek Empire; Ф. И. Успенский. Очерки истории трапезунской истории, გვ. 246-260, 359-378 და ა. შ.; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია; ფერაძე. Georgian Influences on the Balkan Peoples, „Georgica", I, 14 და შემდეგი გვერდები, 1936. ჩვენი სტატია: „Über georgische Königsdynastien" in „Archiv Orientalny", 1939.

146 განსაკუთრებით C.U. Ariens Kappers, An Introduction to the Anthropol. of the Near East და ა. შ., 1934, გვ. 77-79, 80-93, 194; Zabrowski, Les Peoples Ariens d'Asie et Europe, 167, 1908; იგივე, Le Caucase et les Caucasiens, 121-133, Rev. Anthropologique, N 4. Paris 1914. A. Gobineaue, l.c.

147 ნაშრომი დასრულებულია 1935-36 წლებში. ავტორის მინაწერი



IV

კავკასიის ძველები ისტორია

კავკასიის უძველესი ისტორია[1]

კავკასიის უძველესმა, პრეისტორიულმა წარსულმა ბოლო ხანებში დაწვრილებითი ასახვა ჰპოვა ფრანც ჰანჩარის წიგნში: „Urgeschichte Kaukasiens" (448 გვ., 56 ტაბულა ილუსტრაციებით, 3 რუკა. ვენა და ლაიპციგი, 1937). ავტორი კავკასიის თემას ეხება, აგრეთვე, თავის ბოლო საინტერესო მოხსენებაში („უცვლელობა და გარდატეხა ღმერთების საუფლოში; ადამიანი და ცხოველი ძველი, ისტორიული წინააზიისა და მისი ჩრდილო მეზობელი მხარეების ხელოვნებისა და კულტის სფეროში"), რომელიც მან 1939 წლის 11 ნოემბერს გერმანიის სახელმწიფო არქეოლოგიურ ინსტიტუტში დიაპოზიტივების ჩვენებით წაიკითხა.

მკვლევრები ამ პრობლემისადმი ინტერესს ძველთაგანვე იჩენდნენ. იგი ყურადღების ცენტრში იყო, აგრეთვე, ბერძენთა პრეისტორიულ პერიოდშიც, როგორც ეს არგონავტების თქმულებიდანაც ჩანს და როგორც ამას კუნძულ კრეტას არქეოლოგიურად დამოწმებული ძველი ისტორიული თალასოკრატია ადასტურებს. თანამედროვე მეცნიერული საკითხების კვლევა, კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიაში კავკასიის როლისა და ადგილის შესახებ, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ძველი წინა აზიის, ძველი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ისტორიული, არქეოლოგიური და პალეოანთროპოლოგიური კვლევების შედეგების მეშვეობით. ეს გარემოება მეცნიერებისათვის აუცილებლობადაც კი იქცა ინდოევროპეისტიკის პრობლემებისგადაჭრასთან დაკავშირებით, რაც ევროპული სამყაროსათვის იმთავითვე განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენდა. თუ წინათ ევროპაში მხოლოდ იშვიათად და აქა-იქ ვრცელდებოდა ცნობები კავკასიის, განსაკუთრებით კი ქართული სამეფოსა და ჩერქეზების შესახებ, რაც ზოგჯერ ევროპელი მოგზაურებისა და კათოლიკე მისიონერების მეშვეობითაც ხორციელდებოდა (რის საფუძველზეც ბლუმენბახმა[2] ჯერ კიდევ 1795 წელს შეიმუშავა თეორია კავკასიურ რასაზე, როგორც ევროპელი ხალხების ღირსებებისა და სილამაზის განსახიერებაზე), რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროიდან (მე-19 საუკუნის დასაწყისში) უკვე მთელი რიგი უცხოელი მეცნიერებისა მოგზაურობ-

1 პირველად დაიბეჭდა: AAnth (Archiv fuer Anthropologie, Völkerforschung und Kolonialen Kulturwandel) N. F. 25 (1939), S. 48-55.

2 იხ. Kaukaside (georgide) Rasse im Osten.

და საქართველოსა და კავკასიაში, რომლებმაც, ნაწილობრივ რუსეთის ხელისუფალთა მოწვევითა და დავალებით, კავკასიის თემაზე არაერთი შესანიშნავი და საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს მას შემდეგ, რაც გმელინმა (Gmelin) და გიულდენშტეტმა (Gueldenstaedt) ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში იმოგზაურეს და აღწერეს კავკასიისა და საქართველოს ამბები. 1788 წელს გეორგ აუგუსტ ფონ ბრაიტენბახმა (Breitenbach) მემინგენში დაწერა საქართველოს სახელმწიფო ისტორია, რაც განხილული იყო ი. გ. გეორგიეს (J.G. Georgies) კრებულში („Beschreibung des Russishen Reiches", Koenigsberg, 1789, მე-2 ნაწილი, მე-3 განყ., გვ. 960-922).

კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ რეგიონის შესასწავლად და გამოსაკვლევად ევროპელი მეცნიერებისათვის ყველა კარი ფართოდ გაიღო. ქვეყნის მთავრობამ ამ მიზნით ზოგიერთი მეცნიერი საგანგებოდაც კი მიიწვია. ამ გაღვიძებულ, მზარდ ინტერესს შედეგად მოჰყვა ისეთი საუცხოო ნაშრომები, როგორებიცაა: Klaproth: „Reise nach dem Kaukasus und Georgien", ბერლინი, 1914, და Tableau du Caucase, Paris, 1827; Pallas: Voyage dans les Couvernements méridion auxdel'Empiredela Russie, Paris, 1793-1805; Chev. de Gamba: Voyage dans la Russie méridionale et dans les provinces au dedéla du Caucase, Paris, 1827; Dubois de Montpereux: Voyage au tour du Caucase, Paris, 1839; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო Vivien de Saint Martin-ის: Recherches sur les populations primitive set les plusanciennes traditions du Caucase, Paris, 1847, და ასევე Mémoires historiques sur la géographie ancienne du Caucase, Paris, 1848; აგრეთვე, F. Bodenstedt: Die Voelker des Kaukasus und ihre Freiheitskaempfe; M.F. Brosset-მ მთელი თავისი ცხოვრება მხოლოდ საქართველოს წარსულის (და ჩერქეზების) შესწავლა-გამოკვლევას მიუძღვნა; აქვე უნდა აღინიშნოს Baron de Haxthausen-ის შინაარსობრივად მრავალფეროვანი და მდიდარი ნაწარმოები „Transkaukasia" (ორტომეული). აღსანიშნავია, აგრეთვე, G. Radde: Reisen und Forschungen im Kaukasus im Jahre 1865 (Petermanns Mitteilungen 1867-დან), ოთხი მოხსენება კავკასიასთან დაკავშირებით (იქვე, დამატებითი ნომერი, 36, 1874). უაღრესად მნიშვნელოვანი შრომებია: Chantre: Recherches anthropologiques dans le Caucase, 5 Bd., Paris, 1885; J. De Morgan: Missions cientifique au Caucase, études archeologiques et historiques, და Les premiersâgesdesmétauxdansl'Armenierusse, აგრეთვე, Recherches sur les origines des peoples du Caucase, Paris, 1889.

უაღრესად საყურადღებოა Erckert-ის ნაშრომი: Der Kaukasus und

seine Völker, 1887. ცნობილია Hugo Schuchhardt-ის ნაწარმოები ქართველებთან დაკავშირებით, რომელსაც შემდეგ R. Bleichsteiner, R. Meckelein, A.Dirr და G. Deeters-ის სახით ღირსეული მემკვიდრეები გამოუჩნდნენ.

W. Schmidt თავის ნაშრომში „Sprachfamilien und Sprachkreise der Erde" მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კავკასიას.

კავკასიის პრეისტორიის შესწავლის სფეროში ბრძენი მრჩეველისა და მასწავლებლის სახელი დაიმკვიდრა ფრიდრიხ ბაიერნმა, რომელმაც 1869 წელს მარიენფელდსა და სართიჭალაში, 1872 წელს სამთავროსა და მცხეთაში, 1879 წელს ყაზბეგსა და რედკინლაგერში გათხრები განახორციელა. რ. ვირხოვმა, ე. ჩანტრემ და ფრანც ჰეგერმა 1881 წელს მონაწილეობა მიიღეს რუსეთის არქეოლოგთა კონგრესში, რომელიც თბილისში გაიმართა. ინტერესი კავკასიის მიმართ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი და ჯეროვანი ყურადღება დაეთმო O. Menghin-ის „Weltgeschichte der Steinzeit"; აღსანიშნავია, აგრეთვე, C. Schuchhardt: „Alteuropa" და „Vorgeschichte von Deutschland".

იარაღებისა და ადამიანის იერსახის საყურადღებო და საოცარი მსგავსებები დადგინდა ევროპელებსა და კავკასიელებს შორის ქვის ხანის პერიოდში. განსაკუთრებით იხსენიებდნენ ქართულ იარაღს – მახვილს, რომელთა ხის ტარი ბრინჯაოს ღერაკებით, წვრილი ფერადოვანი კენჭებით იყო შემკული, როგორც ეს ეგვიპტელებში მოწმდება, რაც რომაელებამდე, ფრანკებსა და ვიკინგებამდე გრძელდებოდა (Schuchhardt, Sakharoff); ეს დამთხვევები და მსგავსებები შეინიშნებოდა ყველგან ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე (კრეტა, ღაზა, კვიპროსი, ეგვიპტე: კეფთიუ, შარდანადა სხვა).[3]

დასავლური და ცენტრალურ-ევროპული გამოცემების პარალელურად იქმნებოდა და ვრცელდებოდა მრავალი ნაშრომი, ხორციელდებოდა გათხრები და ხდებოდა მასალების შეგროვება და გამოქვეყნება აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და მათ მეზობელ ქვეყნებში.

მთელ აღმოსავლეთ ევროპაში გაბნეული არტეფაქტებისა და გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურა წლების მანძილზე გაწეული მუშაობის მეშვეობით ევროპელი მეცნიერებისათვისაც მისაწვდომი უნდა გამხდარიყო, რასაც, უპირველეს ყოვლისა,

3 A. A. Zakharov, Etudes s. l' archĕologie de l' Asie Mineur et du Caucase. გვ. 111, 136. Rev. Hittite et Asianique, 1931, გვ. 4; ასევე - Кавказ, Малая Азия и Египетский мир // Труды секции археологии. Научно-исследовательский институт. 2, Москва, 1928, გვ. 35-46; ასევე - Some caucasion Seals//Annuals of Archeology and Anthropology, ტ. 14, №. 3-4,გვ. 55-56; Jak. Hummel, Zur Archäologie Aserbaidjans, გვ. 211-234; ESA VIII, 1833.

A. M. Tallgern-ი დაუღალავად და შეუპოვრად ახორციელებდა თავის „Eurasia Septentrionalis Antiqua - ში (ESA).

ჰანჩარმა ამ პრობლემის მოგვარება დროებით იმ მხრივ შეძლო, რომ იგი კავკასიურ მასალას ყირიმისა და პონტო-კასპიის სტეპების მასალებს ადარებს, რათა ეს შემდეგ ევროპული და ძველაღმოსავლური კულტურის განვითარების საერთო სურათში მოაქციოს, რომლის დროსაც წინა პლანზე უფრო ევროპის განვითარების საერთო პროცესია წამოწეული, თუმცა ძველ აღმოსავლეთსაც სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი.

ყურადღება მახვილდება კავკასიის კავშირზე ძველ ევროპასთან პონტოს დაბლობის გათვალისწინებით, მაშინ როცა საკაბოტაჟო ნაოსნობა ჯერჯერობით განხილვა-გამოკვლევის ფარგლებს გარეთ რჩება.

ყველა სწავლული და სიძველეების მკვლევარი მიიჩნევს, რომ კავკასიაში უძველესი დრო ახალ დროებასთან ხელშესახებ კავშირშია, მასთან მისაწვდომ ადგილზეა და ეს აშკარად ჩანს. უძველესი კულტურა აქ თანამედროვე ცხოვრების მრავლისგან მრავალი ფორმით გარდამავალი საფეხურის გარეშე იქნა შენარჩუნებული (A. Dirr, Lehmann-Haupt და სხვანი).

განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიაზე, დასავლეთ და ცენტრალურ ტრანსკავკასიაში უამრავი გამოქვაბული და კლდოვანი მღვიმეა, რომლებიც ახლაც ოდინდელ ადამიანთა დასახლების მრავალგვარ აშკარა კვალს ტოვებენ. ასეთებს, ამგვარ ნიშნებს, არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც ვხვდებით. ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიაში ისევე, როგორც დაღესტანში, ამგვარ გამოქვაბულებს, როგორც საკულტო წეს-ჩვეულებების შესასრულებელ ადგილებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ა. ზახაროვი (Etudes... გვ. 70-71) ასახელებს 29 პალეოლითური აღმოჩენის ადგილს დასავლეთ კავკასიაში, საიდანაც ოცდახუთი ჯერ მარტო დასავლეთ საქართველოზე მოდის. ასეთი ადგილები აღმოსავლეთ საქართველოსა და კავკასიის სხვა მხარეებში უეჭველად არსებობს, მაგრამ ისინი ჯერჯერობით მიუკვლეველნი რჩებიან.

ძველი ქვის ხანის ადამიანი კავკასიაში ქვედა მეოთხეული პერიოდის ცხოველთა სამყაროსთან ერთად ცხოვრობდა. კავკასიის ტერიტორიაზე, დაახლოებით თვრამეტ ადგილზეა აღმოჩენილი მამონტის ნაშთები: ხუთი ყუბანის მხარეში, ცხრა თერგის მიდამოებში, სამი – ცენტრალურ კავკასიაში და ერთიც მისგან სამხრეთით. არის ცნობა, რომ Elephasprimigenius დაღესტანსა და Hippopotamusmajor თბილისის

მახლობლადაც სახლობდა, მაგრამ მათი გადამოწმება ვერ მოხერხდა.

ქვედა პალეოლითი. ძალიან ძველებურია იაშთხვას კაჟის იარაღები, რომლებიც თავიანთ ანალოგიებს პოულობენ სამხრეთ საფრანგეთის კლაქტონისა და ლევალუალურ ფორმებში, ბელგიასა და ინგლისში, აგრეთვე, აშელის ქვის იარაღებში. ამავე პერიოდს განეკუთვნება ბირცხში, გვარდის და აპიანჩას მთაზე (სოხუმიდან აღმოსავლეთით), ჟაგეშის მთასა და გალში აღმოჩენილი ნივთები. მუსტიეურ კულტურას კი განეკუთვნება: ლიჩკოპი, ახაბხიუკი, კელასური, ეშერა, ოქუმი, გალი, ჭუბურხინჯი, ოჩამჩირე. აქ ნაპოვნი ნივთებიც იაშთხვასა და ქიურდერეს (ახალი ათონის ტერიტორია, უშუალოდ ზღვასთან) შემდეგდროინდელი აღმოჩენებია. ნიადაგის ნავთობით გაჯერების წყალობით ჩრდილოეთ კავკასიაში (ილსკაიას მიდამოებში) ნაპოვნი ნივთები განსაკუთრებით კარგად არის შენარჩუნებული; უამრავ ქვის იარაღებთან ერთად, იქ ნაპოვნია ასევე ძვლის ნივთები, უმეტესწილად კი სადგისები. ამ ხანაში არსებობდნენ ბიზონები, გარეული ცხენები, მამონტები, ირმები, ტყისა და სტეპების ცხოველები. ადამიანთა ნაშთები ყირიმში (ყიიქ-ყობა) ნეანდერტალოიდური ხანის ფორმებზე მიანიშნებენ.

შემდეგ აღსანიშნავია, აგრეთვე, ალაგესის აღმოჩენები, რომლებიც გამოირჩევა ვულკანური მინით. ვულკანური მინის იარაღები აღმოჩნდა იალბუზის მიდამოებშიც, მაგრამ მათ გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით ალაგესზე მიაკვლიეს. ეს იარაღები მოიპოვეს ასევე კანდიაში ეგეოსზე, აბისინიასა და არაბეთში, რომლებიც შემდეგ გავრცელდა მესოპოტამიაში – სუსა-ურ-ლურისტანსა და ქურთისტანში. ეს ქვის ხანის არტეფაქტები – სოლისებრი საგნები, წვეტანა, დისკები, საფხეკები და სხვა, განეკუთვნება მუსტიეს პერიოდს, რადგან აქაც იგივე ცხოვრებისეული გარემო და პირობები იყო, როგორც კავკასია-ყირიმის მიდამოებში (თებე, ბამბაკი, ეჩმიაძინი).

ზედა პალეოლითი. ჩვენამდე მოღწეული სანადირო ქვის ხელსაწყოები, ძვლის სადგისები და შუბის პირები, ირმის რქისაგან დამზადებული სამკაულები და საკულტო ნაკეთობანი, ნიჟარისაგან გაკეთებული ჯამები შატელპერონთან და გრავეტის (ქვის ხანის საგნები და იარაღები) პირებთან ერთად, სუირენში (ყირიმი) რომ აღმოაჩინეს, უფლებას გვაძლევს, ისინი ადრეულ, შუა და გვიანი ხანის ორინიაკულ ეპოქას მივაკუთნოთ. არყის ხეს წვავდნენ, რომელიც, ცირცელთან ერთად, ადასტურებს ფლორის ჩრდილოური ხასიათს სუირენის პირველყოფილი ადამიანის ეპოქაში; ამ ხანებში გავრცელებული იყო ველური ცხენი,

გარეული მსხვილფეხა პირუტყვი, საიგა-ანტილოპა, მამონტი და სხვ., რომლებთანაც ერთად უნდა აღინიშნოს ჩრდილოური ცხოველები: ირემი, თეთრი მელა, ყარყუმი და არქტიკული ფრინველები – სოღო, პოლარული გნოლი, კაკაჩა და სხვ. მსგავსი სურათია აჯი-ყობამიც, რომლის ქვის იარაღებს ქვის ხანის გვიანდელ პერიოდს მიაწერენ. აქ ფაუნა უფრო ცივი დროის პერიოდს განეკუთვნება. შან-ყობას აღმოჩენები კი ქვის ხანის შუა და გვიანდელ პერიოდებს განეკუთვნება, ისევე როგორც ფათმა-ყობაშინაპოვნი ნივთები, სადაც ქვის ხანის შუა პერიოდის ადამიანის ნაშთები ანთროპოლოგიურად დასავლეთ ევროპის ქვის ხანის შუა პერიოდის ადამიანის ჩონჩხს წააგავს. აქ და სან-ყობაში აღმოჩენილია ასევე ძაღლის ძვლები.

ბოლო გამყინვარების პერიოდი მთავრდება და ყველგან ადგილს იკავებს გარდამავალი ფლორა: არყის ხე, ვერხვი, ღვია და სხვა თანდათანობით ადგილს უთმობენ ახალ დამკვიდრებულ, სითბოსმოყვარულ მცენარეთა სახეობებს. შინაური ძაღლი პირველად სუირენ II-ში გვხვდება (ყირიმი). სუირენ II ქვის ხანის გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება. ყირიმის სხვა ადგილები: ჩერკეზ-კერმენი, კუკრეკი (სადაც უკვე მუხა გვხვდება), ყიზილ-ყობა (Kisil-Koba) და სხვა, ტარდენუაზულ პერიოდს მიეკუთვნება. ამავე პერიოდს განეკუთვნება დასავლეთ საქართველოში ხერგულის კლდე (ქუთაისის აღმოსავლეთით, ჭიათურის მახლობლად): მომცრო სოლისებრი ნივთები, წვეტანა, მახვილპირიანი ქვის იარაღები, საფხეკები ადრეული ქვის ხანისა; ამ ადგილებში ნაპოვნია აგრეთვე დათვების ძვლის ნაშთები, ასევე გარეული ცხენებისა და მსხვილფეხა პირუტყვის ნარჩენები.

თაროს კლდისა და დევის ხვრელის აღმოჩენები მიეკუთვნება ორინიაკის ეპოქას. დევის ხვრელის ადამიანის ჩონჩხის ნაშთებიდან ყურადღებას იქცევს მარჯვენა ქვედა ყბის ნახევარი ნაწილი კარგად განვითარებული ნიკაპით და უკანა ორი ძირითადი კბილით, რაც ძალიან ჰგავს დღევანდელი ადამიანის სხეულის ზემოდასახელებულ ნაწილებს „უკვე განვითარებული მეტყველების წინა პირობებით“.

უვაროვ-ბარათაშვილისა და რუდ. ვირხოვის მიერ აღმოჩენილი მღვიმეები ზემოაღნიშნული გვიანი ორინიაკის პერიოდით არის დათარიღებული. ეს მღვიმეები, მეცნიერების შეფასებით, დასავლეთ ევროპულის მსგავსია. ვირხოვის გამოქვაბულის გვერდითა ნაწილებს რეტუშირებული კიდეები აქვს, რითაც ძალიან ჰგვანან ხმელთაშუა ზღვის მხარის ზედა პალეოლითური პერიოდის მსგავსი ტიპების მიკროლითებს.

გვარჯილას კლდის მიდამოებში მოიპოვებოდა გრავეტის წვერწამახული ნივთები, სამკუთხა გეომეტრიული ფორმის მიკროლითები, კაჟისგან გაკეთებული პატარა ცულები. იმდროინდელი კულტურის ეს დამახასიათებელი ნიშნები განეკუთვნება ქვის ხანის ადრეულ პერიოდს.

ფაუნას განეკუთვნება სამურავი, ჩრდილოეთის ირმის თანამდევი, გამყინვარების პერიოდის გადმონაშთი.

ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი ადგილებიდან, რომლებიც ზემოაღნიშნულ პერიოდს განეკუთვნებიან, აღსანიშნავია „სტანიცა ბჟედუხოვსკაია", „სტანიცა სენაია" და „სტანიცა სელუსკინო" (ყაბარდო).

პოდკუმოკის (მდებარეობს პიატიგორსკთან) გათხრების შედეგად აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხის ნაშთები, რომლებიც თავის ქალის „ნეანდერტალოიდური ნიშნების" გამო „ჰომო პრიმიგენიუსისთვის" სურდათ მიეწერათ, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან საეჭვო აღმოჩნდა. ასე, რომ ჰომო პრიმიგენიუსის არსებობა კავკასიაში ჯერ კიდევ დაუდგენელია.[4]

ნეანდერტალელის – საფრანგეთსა და ყირიმ-კავკასიის მხარეში მუსტიეს პერიოდის კულტურის მატარებლის – კლიმატური და მთელი ცხოვრებისეული პირობების სრული შესაბამისობისას თვალში საცემია კავკასია-ყირიმი-მიოლითიკუმის ხაზობრივ-გეომეტრიული იერსახე და პრიმიტიული ხელოვნების ნიმუშების სიმწირე დასავლეთ ევროპასთან შედარებით. ტიპურია აგრეთვე ქალთა ცნობილი სტატუეტების სრული არარსებობა, რომლებიც დასავლეთში, ეგეოსსა და სხვა ადგილებში ესოდენ დიდ როლს ასრულებენ. როგორც აპენინის ნახევარკუნძულზე და აფრიკულ სივრცეში, ასევე ყირიმ-კავკასიის ტერიტორიაზეც არ გეხვედება სოლუტრესა და მადლენის კულტურის რომელიმე საფეხური. მიოლითიკუმის კლასიფიცირება ხდება ორინიაკის, აზელიურ და ტარდენუაზურ პერიოდებთან ერთად და იგი უფრო კონსერვატიულად ხასიათდება. მაგალითად, მღვიმე-გამოქვაბულები აზელიურ პერიოდში ჯერ კიდევ საცხოვრებელი სივრცეა, მიუხედავად უფრო თბილი კლიმატისა და ა. შ. აქაც, ისევე როგორც ევროპაში, ძაღლის მოშინაურება

4. M.A. Gremiatskij, Strukturelle Besonderheiten der Fragmente des Schaedels von Podkumok und sein Alter (russ), Antropologičeskij Journal, N 3, 1934, გვ. 127-141; Б. Н. Вишневский. 17 летантропологии в СССР (1917-1934) // Советская этнография. N 1-2, 1934. გვ. 241; N.M. Efimenko in Anthropol. Anzeiger. II, 2, 3. Jahrg. X, 1933. Egon Frhr. von Eickstedt, Rassenkunde und Rassengesch. d. Menschheit, 1934, გვ. 338, განსაკ. გვ. 346 და 348; იგივე: Verbreitung, Stellung und Aussehen des Neanderthalers, 1-20. იხილე აგრეთვე „Erdball" – რვეული 4-3.

ყველაზე უფრო ადრე აზელიურში ხდება, რომელიც გენეტიკურად, როგორც ჩანს, ტარდენუაზურ პერიოდთან არის დაკავშირებული.

დასავლური აზელიური (დასავლეთ ევროპა, ესპანეთი ინგლისამდე, აღმოსავლეთის საზღვრით: რაინი-დასავლეთ ალპები) თვალშისაცემ შესაბამისობაშია ყირიმი-კავკასიის მხარის ამსახველ მასალებთან (შან-ყობა, ფათმა-ყობა, სუირენ II, გვარჯილას კლდე), რომელიც იგივე თავისებურებებით ხასიათდება, როგორიც „პალეოლითური" პერიოდის კულტურამ მიიღო განვითარების პროცესში, გამყინვარების ზემოქმედებისაგან უვნებლად გადარჩენილ ხმელთაშუა ზღვის აუზის მხარეში (კაპსიური კულტურის აღმოჩენები მცირე აფრიკაში, გრიმალდები აპენინის ნახევარკუნძულზე და გარკვეული ადგილმდებარეობები პალესტინასა და სირიაში).

უძველესი დროის კავკასიის მოსახლეობა მიკრონეოლითურ ხანაში. ვიშაპები, დოლმენები და უზარმაზარი ნაგებობები უფრო რკინის ხანას განეკუთვნება, ვიდრე ქვის ხანას; მდინარე ზანგასთან (ერევანთან) აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხის ნაშთები თავიდან „ჰომო პრიმიგენიუსს" (შუალედური პერიოდი ნეანდერტალებსა და კრომანიონებს შორის) მიაკუთვნეს (A.A. Kalantar), რაც, ბ. ნ. ვიშნევსკის[5] მიხედვით, ახალ, თანამედროვე ადამიანს განეკუთვნება. მისი შეხედულებით, ეს არის დოლიცხცეფალური, მაღალი ტანის ადამიანი, რომელსაც გვიანდელი ჩრდილოური რასის სახეობის ყველა ნიშანი გააჩნია. იგი უარყოფს ზანგას ადამიანის, სომხეთის ნეოლითური და ბრინჯაოს ხანის ადამიანის, მედიტერანული რასისათვის მიკუთვნებას, როგორც ამას თავის დროზე ჯერ ზაბოროვსკი, შემდეგ კი ბუნაკი მიიჩნევდნენ.

კავკასიის მხარეში თითქმის არ გვხვდება ნეოლითური მეთუნეობა და ევროპული ყაიდის ქვის ლესვა; ნეოლითურ აღმოჩენებს თან ახლავს ლითონის საგნები. ამდენად, ნეოლითური პერიოდი კავკასიაში, როგორც ჩანს, საკმაოდ მოკლე ხანს გრძელდებოდა, რადგან ის ობსიდიანის გამო (ვულკანური მინა) უკვე ადრე იყო დაკავშირებული ძველ აღმოსავლეთთან. მისი ობსიდიანი არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ელ-უბაიდში, აღმოსავლეთ მცირე აზიაში, კერძოდ, ანაუში. ნეოლითიკუმი კავკასიაში მცირე ხანს გაგრძელდა, რაც მისი (კავკასიის) კავშირის

---

5 Вишневский Б. Н. Палеоантропологическая находка близ Эревана // Советская Этнография. 1934, № გვ. 40-47; იგივე: გერმანულად in Mitt. Anthropol. Ges. Wien, 1934. გვ. 102-111. შდრ.: Fr. Nansen, BetrogenesVolk, გვ. 233, 1928. B. Schultz, in: Anthropol. Anzeiger, გამოცემის მე-5 წელი, N 4, 1928, გვ. 318-319.

შედეგია ახლო აღმოსავლეთთან, სადაც ზემომოხსენებულ ანაუსა და სუსა I-ში სპილენძი უკვე გავრცელებული იყო. პირწმახული ხელცულები ხომ ასაბუთებს (მაგალითად, ნახჭევანსა და კულპიში) ტრანსკავკასიური მოსახლეობის სამთამადნო სამუშაოებს, რომელთა სამუშაო იარაღები ჩრდილოეთ ამერიკის ზემო ტბების სპილენძის სამთო მაღაროების, აღმოსავლეთ თურქესტანის ლითონის მაღაროებისა და ასევე ძველი დროის მარილისა და სპილენძის მაღაროების (ზალცბურგის მახლობლად) სამუშაო იარაღების მსგავსია. ბასრი ობსიდიანის იარაღებისა და სხვათა გავრცელება მოწმობს მათი (იარაღების) მომხმარებლების ცხოვრებას სამხრეთ კავკასიურ-სომხურ სივრცეში (შამირამალტისა და სხვა აღმოჩენები).

იმდროინდელი შინაური ცხოველებია: ცხვარი, მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენი, სახედარი და სხვ.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ენეოლითური ხანში. უმდიდრესი აღმოჩენების ადგილებია: ნოვოსვაბოდნაია (კარსკაია), მაიკოპი, კოსტრომსკაია, ვოზდვიჟენსკაია და ული, რომელთაგან მაიკოპი ყველაზე მდიდარი აღმოჩენებით გამოირჩევა. უკვე ორინიაკის პერიოდიდან მიცვალებულები მჯდომარე, ჩაცუცქულ მდგომარეობაში იკრძალებოდნენ, როგორც ეს ყუბან-თერგის კულტურის წეს-ჩვეულებით ხდებოდა; სპილენძის ფოთლისებრი ფორმის შუბის წვერები, ვერცხლის სპირალური რგოლები და ოქროკაზმულობებიც დამახასიათებელია სპილენძის ხანისათვის; მაიკოპში, მაგალითად, აღმოჩენილია 68 ლომისა და 19 ხარის გამოსახულება, 38 ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული ბეჭედი, 10 ორმაგი ხუთფურცლოვანი როზეტი (ორნამენტის ფორმა), ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი. ვოზდვიჟენსკაიაში სხვა ნივთებს შორის იპოვეს აგრეთვე ქოხებისა და ეტლის (ოთხთვალა) თიხის მოდელები. არსებობს ორმო-სამარხები, ქოხის, წინკარისა და უფრო იშვიათად დირეს ქვეშ გაკეთებული სამარხები; ასევე სამარხები გვერდითი საკნებით და ქვაყუთები (თანადამარხვა, ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და ა. შ.); საკნისებრი და კატაკომბის მაგვარი სამარხები. სამარხებში ჩაყოლებული იყო იარაღები, სამუშაო იარაღები, შუბები, ხანჯლები, მახვილები, სპილენძის სადგისები, ადრეული ხანის ლითონის ბრტყელი ნაჯახები (ცულები), ქვის ცულები. სხვადასხვა ფორმისა და სახეობის ცულები, ქინძისთავები; ძვლის, ბრინჯაოს და სპილენძის სამკაული; ოქროს, ბრინჯაოს და სპილენძის, კარნეოლის მძივები, საყურეები და სხვ. ასევე თიხის ჭურჭელი და სხვ.

განსხვავებული სახის ნივთები აღმოჩნდა კაია-კენტის ნეკროპოლებში: 34 ქვაყუთი, დოლმენები, რომლებიც ადგენილია იყო ოთხ სიმაღლეზე დაყენებული დიდი ზომის ქვის ფილისაგან, რომელიც გადახურული იყო მეხუთე, განსაკუთრებით მასიური ქვის ფილით. ფორმა და შინაარსი იგივეა: გვამები მჯდომარე მდგომარეობაში, ზურგით აღმოსავლეთით ანდა დასავლეთ კედელზე მიყრდნობილი, ფეხები გაჭიმული ან შეკეცილი. მკვეთრად არიან ერთმანეთისაგან გამოყოფილი მამაკაცი და ქალი. ბრინჯაოს სამკაულები, რომლებიც დასავლეთის კედელზე მიყრდნობილ გვამებთან ეწყო, შედგებოდა სამაჯურების, გულსაბნევის, ბეჭდებისა და რგოლებისაგან და სხვ. განსაკუთრებით მდიდრულადაა წარმოდგენილი კერამიკა: სხვადასხვა ფორმის (მუცლიანი, ცილინდრული და სხვ.) გამომწვარი თიხის ნაკეთობანი, რომელთა შემკობა და ორნამენტების დატანა კაწვრით ხორციელდებოდა: წერტილები, მოკლე პარალელური შტრიხები, ზიგზაგური, ტეხილი ხაზები, სამკუთხედის ფორმები და ა. შ.

სტარომისასტოვსკაიაში ნაპოვნი ძვირფასი ქვები მაიკოპში აღმოჩენილი ფასეულობების მსგავსია: ერთი ოქროს დიადემა როზეტებით, ერთი ვერცხლის ცხოველის ფიგურა ნახვრეტით, დაახლოებით 2500 ოქროსა და ვერცხლის, 400 მინისა და სერდოლიკისაგან დამზადებული მარგალიტის ფორმის ბურთულები, სამაჯურებსა და ყელსაბამებთან ერთად. 30 საკიდი ოქროს მავთულის რგოლებისაგან გაკეთებული, ერთი ვერცხლის ჭურჭელი – მაიკოპში ნაპოვნი ძვირფასი ნივთების მსგავსი; ერთი პატარა ზომის ოქროს ლომის თავი. ამ ნაპოვნ ნივთებთან ერთად უნდა აღინიშნოს პრიეოლნოესა და სტანიცა კოსტრომსკაიას ფასეულობანი და ასევე დოლინსკოეს დასახლების მცირედი ნაშთები.

კავკასიის ნეო- და ენეოლითური აღმოჩენების შეფასება. მაიკოპური ლარნაკები გამოსახავენ პრჟევალსკის ცხენს, აზიური სტეპების თხას, ტურას, ღორს, სტეპების, მთიანეთისა და დაბლობი ადგილების ცხოველებს, რომლებიც მოშინაურებულები იყვნენ (Friedrichs).

თვალშისაცემი პარალელები არსებობს ტროა II-სა და სპილენძის ხანის კავკასიას შორის, ისევე როგორც ამ უკანასკნელსა და თეფე-ჰისარ III-ს შორის (ასტერაბადი). რადგან მაიკოპის აღმოჩენები იმავდროულად ტროა II-ს ემთხვევა, ეს უკანასკნელი კი ქრისტიანობამდე 2400-1950 პერიოდით თარიღდება, ამდენად, ისინიც მესამე ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნებიან.

გეოგრაფიული მდებარეობა აღმოსავლეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-ჩრდი-

ლოეთის სავაჭრო გზაჯვარედინზე, კავკასიას სამუალებას აძლევდა ყოველი მხრიდან შეესყიდა საქონელი და სხვადასხვა ნაწარმი, განსაკუთრებით კი მესოპოტამიიდან (V.G. Childe).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დასავლური კულტურული ურთიერთკავშირები დუნაისა და ეგეოსის ზღვის[6] მხარეებთან, ასევე აღმოსავლეთ ალპურ ქვეყნებთან, რაც ქვისტარიანი ჩაქუჩების („პიატიგორიები"), ძაბრისებრი და ჭიქისებრი ფორმის ნივთების „საყელოიანი" ბოთლისმაგვარი ჭურჭლისა და ერთგვარი ამფორებით დასტურდება.

მაშინ როცა ზოგიერთი მეცნიერი (Aeyräpää, Tallgren და სხვები) კავკასიაზე შუაევროპულ ზეგავლენებს და ამ მხარეში (კავკასიაში) სხვადასხვა ხალხის შესვლა-დასახლებას ვარაუდობენ, სხვა სწავლულები (J. Ailio და ა. შ.) ამტკიცებენ სპილენძის ხანის ყუბანის მხარის კულტურულ გავლენას, ხოლო მესამენი კი (O. Menghin და ზოგიერთი სხვა) ვერავითარ ნიშანწყალს ვერ ხედავენ ჩრდილოური ან აღმოსავლურ-ევროპული ზეგავლენისას კერამიკის სფეროში სპილენძის ხანის ყუბანის მხარეში.

კაია-კენტის აღმოჩენებს კი, თავის მხრივ, გარკვეული მსგავსებები ახასიათებთ ჩრდილოური კერამიკის სახეობებთან, დოლმენებსა და სამარხებთან და სხვა, რომლებიც ავტორს აძელევენ ვარაუდის საშუალებას, რომ აქ იმყოფებოდნენ გადმოსახლებული ინდოევროპელი ხალხები. ზაბროვსკის მოჰყავს იმ სწავლულთა მოსაზრებები, რომლებიც კავკასიას ინდოევროპელი ხალხების სამოძრაო გზად მიიჩნევს (განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ V.G Childe, W. Brandestein, Pittioni, და O. Menghin).

ყუბანური კულტურა, ბელაია-ლაბას მიდამოები თავისი წარმოშობის მიხედვით იმპორტთან რომ დავაკავშიროთ, ეს ძნელად თუ მოხერხდება, რადგან ზაბროვსკი თავად ამბობს: „თუ როგორ ახდენდნენ სწორედ „ბელაია-ლაბას" მხარის მცხოვრებნი თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით წინა პირობების და აქედან გამომდინარე, მოახლოებული სიახლისადმი მიდრეკილება-განწყობილების ქონას და შენარჩუნებას, ეს, ცხადია, სხვა საკითხია", რაც ღიად რჩება, ჩვენი აზრით, არასაკმარისი გათხრების გამო.

განასხვავებენ განვითარების ხუთ საფეხურს:

1. ნალჩიკის საფეხური – პირველი ნაცნობობა სპილენძთან ვაჭრობის მეშვეობით;

---

6 Zabrowski, Industrie égéenne ou premyceniennesur le Dniestr et Dnjepr; Bullet. De la S-té d' Anthropologie de Paris, ტ. I, 451-466 (V. Série)

2. მაიკოპის საფეხური;

3. ნოვოსვობოდნაია-კარსკაიას საფეხური: ორივე ყუბანის სივრცეშია; ჩრდილოეთ კავკასიის ინტენსიური ჩართვა წინა აზიის სავაჭრო სფეროში (მაიკოპი), გადასვლა ადგილობრივ მეტალურგიაზე (ნოვოსვობოდნაიას საფეხური).

4. ვოზდვიჟენსკაიას საფეხური: ეს საფეხური ადასტურებს ამ გადასვლას „არაწინააზიური ცულის შექმნა-წარმოებით და წინააზიური იმპორტის გაქრობით", არამედ იგი გადადის:

5. ყუბან-თერგის საფეხურზე, რომელიც სრულიად ადგილობრივი ხასიათისაა; ეს საფეხური, რომელიც მოცილებულია წინააზიურ სამყაროს, თავისი დასავლეთისკენ გადაჭიმული ჩრდილო პონტოური მხარით, გვავარაუდებინებს სავაჭრო ურთიერთობების არსებობას დუნაის მხარესთან.

ჩრდილოკავკასიური სპილენძის ეპოქა დაახლოებით პონტო-კასპიური სტეპების სივრცესთან სინქრონიზირდება. მაიკოპის ჯგუფი უთანაბრდება შორს მდებარე, მასთან უეჭველად დაკავშირებულ ტროა II-სა და ჰისარ III-ს. ეს სავარაუდოდ ხდის იმის მცდელობას, ყუბანის ესოდენ მდიდარი სპილენძის ხანის კულტურა დაუკავშირდეს მესოპოტამიაში ძარცვის მიზნით განხორციელებულ საომარ ლაშქრობებს. გარდა ამისა, გზა ამისათვის შუამდინარეთის მხარისაკენ ძალიან შორია და ასევე ძნელად სავალი. კიდევ უფრო ძნელად წარმოსადგენია ის, რომ ნალჩიკის საფეხურის მოსახლეობა ამიტომ მივიჩნიოთ მატრიარქალურად, როგორც ეს რუსულ ლიტერატურაშია აღიარებული, რადგან ყორღანებში ერთი და იმავე რანგის, ერთმანეთის მსგავსი ღარიბ-ღატაკი ხალხის სამარხები და ქალების ფიგურებია აღმოჩენილი. ამასთან თვალშისაცემია, თუ რა ცოტა და იშვიათია მართლაც ეს ფიგურები: მაგალითად, 1 ყორღანის 130 სამარხში, სადაც ზოგჯერ თორმეტი ადამიანის ჩონჩხი ჯგუფურად ერთმანეთზე ეწყო, მხოლოდ ერთი ასეთი ფიგურა იპოვეს და ისიც ყოვლად პრიმიტიული აღმოჩნდა თავისი ფორმით. ეს, სხვათა შორის, მიანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა სიფრთხილე დასკვნების გამოტანის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ამასთან აშკარაა მედიტერანული გავლენები.

განსაკუთრებით უარყოფილ უნდა იქნეს კავკასიური სპილენძის ხანის სავარაუდო, მოჩვენებითი მატრიარქალური კულტურა: სამუშაო თუ საბრძოლო იარაღები, წინამძღოლის, თავკაცის, სამეფო თუ სასულიერო ძალაუფლება არ შეიძლება მატრიარქალური იყოს. ამაზე

მეტყველებს ასევე სამარხებიც.[7] ასევე ულის ფიგურები, რომლებიც მხოლოდ ერთ სამარხში აღმოაჩინეს, ისე როგორც დოლინსკოეს ფიგურა, ყუბან-თერგის შემდგომი საფეხურისათვის გადამწყვეტ როლს როდი თამაშობენ, როგორც მაგალითად, ღვთისმშობლის ხატება ტოსკანაში ახლა იტალიის მატრიარქატზე არ მეტყველებს. გარდა ამისა, ჩვენ სრულიად არაფერი ვიცით ამ ფიგურების დანიშნულების და არსის შესახებ. ასე რომ, ის შეხედულება, ყუბანური კულტურა მესამე ათასწლეულში ან ყუბან-თერგის საფეხურიც კი მეორე ათასწლეულში ქრისტიანობამდე მატრიარქალური იყოო, ერთ-ერთი დროით გაპირობებული შეცდომაა რუსული ლიტერატურისა.[8]

ჩვენ ვაჯამებთ ნაშრომის ძირითად მომენტებს შინაარსობრივი თვალსაზრისით თვითონ ზაბროესკისავე სიტყვებით:

„1. ტრანსკავკასიურ მხარეში, ადრეულიდან შუა-პროტოლითურ ხანამდე წარმოიქმნა კავკასიის პირველი ადამიანური დასახლება (სოხუმის მიდამოებში).

2. მხოლოდ გვიან-პროტოლითურ ხანაში არსებობდა იქ მოზრდილი, ფართო დასახლება.

3. იმავე უცვლელ და ხელსაყრელ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში ფეხს იკიდებს და ვითარდება კავკასიის მიოლითური კულტურა თავისებური ფორმებით, რომელიც შემდეგ გეოლოგიური ხანის დასა-

---

7 ქართული ტრადიციის მიხედვით, სამეფო ძალაუფლება წარმართულ ხანაში გაერთიანებული იყო თავდაპირველად სამღვდელოების უფლებებთან, ანუ ერთი პიროვნება ფლობდა როგორც საერო, ისე სასულიერო ძალაუფლებას. აქედან გამომდინარე, გავრცელებული იყო შემდეგი გამოთქმა: „მღვდელთა და მეფეთა“ იგულისხმება უფლებები.

8 П. П. Ефименко. Значение женщины в ореньякскую эпоху // Известия ГАИМК. 1931. Т. XI. Вып. 3-4, გვ. 1-72 (მასში ჩამოთვლილია 104 ქალის სტატუეტი, რომლებიც აღმოაჩინეს ევროპასა და აზიაში (ციმბირი-მალტა). მათი კომბინაციები კი, როგორც ჩანს, შორს მიმავალი და მნიშვნელოვანია); Е. Г. Кагаров. Новые немецкие труды по истории древнегерманской культуры // Советская Этнография. № 1, 1936, გვ. 106-108 (მკვლევარი გვაწვდის X ს. ავტორის, იბნ მასუდის, ცნობებს ძველი რუსეთის ზნე-ჩვეულებების შესახებ, „ქალწულის ან ქალის დამარხვა ახალგაზრდა ვაჟთან ერთად, რომლის დროსაც მსხვერპლის მოკვდინების წინ საზეიმოდ შესრულდა ჯვრისწერის ცერემონიალი“. ეს ძველსლავური წეს-ჩვეულება, რომელიც, სხვათა შორის, სიმბოლურად ასევე პორტუგალიაში, ვესტფალიაში, შუა სილეზიასა და გერმანიის სხვა ადგილებში, გერმანულ შვეიცარიაში, ძველ საბერძნეთსა და სხვაგან არის გავრცელებული და რომელმაც თავისი კვალი დატოვა (მკვდარს ადგამენ, მაგალითად, საქორწინო გვირგვინს და ჯვრისწერისთვის საზეიმოდ ამზადებენ), თანადამარხვის დამახასიათებელ სურათს იძლევა ევრაზიის წინაისტორიული სამარხების აღმოჩენების საფუძველზე).

წყისში თავისი დამახასიათებელი კულტურული ფორმებით დანარჩენ ევროპას უერთდება.

4. ჯერ კიდევ იშვიათი ნეოლითური ნიშნები წარმოაჩენენ ტრანს-კავკასიას ერევნისა და თბილისის მხარეებს შორის, როგორც მიწათმოქმედთა დასახლების სივრცეს, მაშინ როცა ჩრდილოეთ კავკასიაში, ნალჩიკის მხარეში უპირატესწილად სამონადირეო საქმიანობას ეწევიან.

5. სამხრეთის მხრიდან მეზობლად მდებარე ძველი წინააზიური მხარეების მაღალი კულტურის ზეგავლენით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ადრიანად ვითარდება ადგილობრივი მეტალურგია (ყუბანის საფეხური) და ამ სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ დროებითი კავშირი მყარდება დუნაის მხარის ადრეულ ლითონის კულტურებთან (ყუბან-თერგის საფეხური).

ზაბროვსკიმ პირველად ფართოდ გამოიყენა აღმოსავლეთევროპელ სწავლულთა დიდი მოცულობის ნაშრომები. ეს მასალები, გათხრების სამუშაო, არსებითად განსხვავდება ევროპელ მეცნიერთა და სპეციალისტთა მეთოდებისაგან. 1914 წელს, მქონდა შესაძლებლობა დამეთვალიერებინა მოწამეთას (ქუთაისის მახლობლად) გათხრები, რომლებიც შეიძლებოდა ცოტა სხვანაირადაც ეწარმოებინათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუს მკვლევართა შეხედულებები უშუალოდ გათხრების ზოგიერთ მთავარ საკითხსა და აღმოჩენილი მასალების შეფასებაზე განსხვავებული და ერთმანეთისაგან დაცილებულია, რის გამოც ისინი გადამწყვეტი მნიშვნელობისანი ვერ იქნებიან. მრავალი რამ, თვითონ გათხრების ადგილები და განსაკუთრებით კი აღმოჩენილი ნივთები და მასალები, ზოგ შემთხვევაში საფუძვლიან გადამოწმებას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, მით უფრო დიდია ზაბროვსკის დამსახურება, რომელმაც აღმოსავლეთევროპული გამოკვლევების შედეგები გადამოწმებისა და შეძლებისდაგვარად საკუთარი გადამუშავების შემდეგ მისაწვდომი გახადა გერმანელი და, ამდენად, უკვე ევროპელ მეცნიერთა წრეებისათვის. მართალია, ზოგჯერ გარკვეული ნაკლოვანებებიც შეიმჩნევა და აქა-იქ შეცდომა-გაუგებრობებსაც ვაწყდებით, მასალების ხარვეზიანობა და ნაკლოვანება რომ იწვევს, რის წინაშეც ავტორი აღმოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ მთლიანობაში იგი ამ ნაშრომით სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთაგან მხოლოდ მადლიერებასა და აღიარებას იმსახურებს. ეს წიგნი აუცილებლად უნდა იდოს ყოველი იმ ადამიანის სამუშაო მაგიდაზე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის წარსულით არის დაინტერესებული.

სასურველი იქნებოდა, რომ ასეთი ნაშრომი მკითხველის ყურადღებას სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენაც წარმართავდეს. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, წინა აზიასა და ეგეოსთან ერთად ეგვიპტეც საინტერესო იქნებოდა, რომელსაც არა მხოლოდ არქეოლოგიურად, არამედ პალეოანთროპოლოგიურადაც აკავშირებენ კავკასიასთან. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შეგახსენებთ მკვლევრის, გვარად სერგის ნარკვევებს მოსკოვში,[9] სადაც მან გამოიკვლია უძველესი თავის ქალები უძველესი სამარხებიდან (კურგანის მხარისა და ასევე ჩრდილო-პონტოური დაბლობიდან), რომლის დროსაც იმ მტკიცე დასკვნამდე მივიდა, რომ ჩრდილო-პონტოური თავის ქალები – კავკასიამდე – უეჭველად მედიტერანული სახეობისაა, ისევე როგორც თავის ქალები, აღმოჩენილი იტალიაში, კორსიკა-სარდინიასა და სიცილიაზე, ძველ საბერძნეთსა და უძველესი დინასტიის ძველ ეგვიპტეში. პირველი კოლონიები, მკვლევარ სერგის შეხედულებით, სამხრეთ რუსეთში (ე. ი. ჩრდილო-პონტოური დაბლობი სივრცე) ხმელთაშუა ზღვის მიდამოებიდან მოვიდნენ. მისი აზრით, მედიტერანული სახეობები შორს, ლადოგის ტბამდე და თვითონ პეტროგრადამდეც კი, უწვედა. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ყოველ შემთხვევაში, სამხრეთ რუსეთის პირველი მოსახლეები აფრიკული წარმოშობის ადამიანები იყვნენ.

ასევე ბერძენი ჰეროდოტე, რომლის მიმართაც ჩვენ აბსოლუტური ნდობით ვართ გამსჭვალული, განსაკუთრებით კი ეგვიპტისადმი დამოკიდებულებაში, ამტკიცებს, კოლხები „ეგვიპტელები" იყვნენო; ამ მოსაზრებას მტკიცედ უჭერს მხარს ასევე თანამედროვე მკვლევართა გარკვეული ნაწილი.[10] კავკასიის ამგვარი ახლო კავშირ-დამოკიდებულება ეგვიპტის მიმართ განმტკიცებულია აგრეთვე არქეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც, რის წინა პირობებსაც, ზოგიერთი მკვლევრის შეხედულებით, ქმნის ეგვიპტელთა შესვლა და დასახლება კავკასიაში ძველ დროს.[11] ამის კიდევ ერთ შემდგომ საბუ-

9 Origine e diffuzione de la stirpe mediterranea, Rom, 1895, გვ. 85-88.

10 იხ. აქვე ჩვენი ნაშრომი „კავკასიური ელემენტი აღმოსავლეთში".

11 შდრ. Flind Petrie, "The Caucasian Atlantis and Egypt, გვ. 123-124, Ancient Egypt IV, Dezemb, 1924; "The Origins of the Book of Dead", გვ. 41-45, იქვე. II, 1926; Regin. Fessenden, „The Deluged Civilisation of the Caucasian Isthmus და Christian Science Monthy 18.3.1924. მათი შეხედულებით, ჩაძირული ლეგენდარული კულტურის ქვეყანა ატლანტიდა უნდა ვეძებოთ არა დასავლეთში, არამედ უეჭველად აღმოსავლეთში, კავკასიის მიდამოებში, საიდანაც მან ზეგავლენა მოახდინა ძველ ეგვიპტეზე, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებზე; პრომეთე კავკასიაში იყო ლოკალიზებული და მის მეზობლად იმყოფებოდნენ ექიდნე და ტიფონი. ატლასი პრომეთეს ძმა იყო, ხოლო

თად მოჰყავთ ბადარის კულტურა თავისი მეთუნეობითა და მოჭიქვის ტექნიკით (ჭიქურით დაფარვა ჭურჭლისა), რომელმაც, მკვლევართა აზრით, საფუძველი ჩაუყარა ეგვიპტის შემდგომ პრეისტორიულ ცივილიზაციას და რომელიც, მათი შეხედულებით, კავკასიიდან შემოვიდა.

უკვე ნახევარი საუკუნის წინ სხვა მხრივ გამოიყო[12] და წინა პლანზე წამოიწია ქვის ხანის, განსაკუთრებით კი ნეოლითური ხანის ადამიანის ევროპულმა წარმოშობამ ჩრდილო-პონტურ მხარეში, კავკასიასა და ასევე კასპიის ზღვის გარშემო ადგილებში.[13] შანტრეს, დე ბაის და სხვათა მიერ ნაპოვნი ნივთების და მოპოვებული მასალების მიხედვით კრანიოლოგიურად დადასტურდა, რომ დელიხოცეფალური ქერა რასა დასავლეთ და ცენტრალური ევროპიდან აღმოსავლეთისაკენ

ჰესპერიდები მისი ძმისწულები. ჰესპერიდების ბაღი მდებარეობდა ყაზბეგის მთის ძირას. ატლანტიდის ლოკალიზაცია კავკასიის ტერიტორიაზე და ასევე მის გარშემო გეოლოგიური, მითოლოგიური და ლიტერატურულ-ისტორიული წყაროებით (ჰომეროსი და ჰესიოდე არც ესპანეთს იცნობდნენ და არც ატლანტიკის ოკეანეს) არის დადასტურებული და განმტკიცებული. ასევე ძველეგვიპტელების, ბერძნების, არიელების, ძველი კრეტელების, ებრაელების (მოსეს რჯული) რელიგიები წარმოშობილი იყო კავკასიიდან, სადაც მოიპოვებოდა ცეცხლოვანი ნავთობის წყაროები. ასევე ძველი ცოდნა კაბირის ყველგან გავრცელებული საიდუმლო საზოგადოებისა, რომელსაც პითაგორა და ზამოლქსისი მიეკუთვნებოდნენ, კავკასიაში წარმოქმნილი (ალიზონის მხარე). მისი ძალა გამოიხატებოდა რიცხვების ცოდნაში, გეომეტრიასა და ასტრონომიაში, განსაკუთრებით კი ტექნიკასა და მეტალურგიაში. თავისი შეხედულებისა და თვალსაზრისის გასამყარებლად კავკასიური ატლანტიდის შესახებ მკვლევარი ფესენდენი სხვა მასალებთან ერთად იყენებს აგრეთვე ძველი კლასიკური ლიტერატურის წყაროებს, როგორებიცაა პლატონის დიალოგები, ასევე ნაშრომებს ისეთი მოაზროვნეებისა, როგორებიც იყვნენ კრიტიასი, ჰეროდოტე, სტრაბონი, პინდარე, ჰესიოდე, ევრიპიდე და სხვანი.

12 Zaborowski, Sur dix crânes de Rochefort; Les blonds et les Proto-Caucasiens, გვ. 28-65; Bullet. De la S-te d'Anthropologie de Paris, მე-5 ტომი, 1894. Du Dniestre à laCaspienne; Esquise palethnologique, ტ. VI, გვ. 116-138, 297-323, 1895; ტომი VII, გვ. 81-117, 1896; ტომი IX. გვ. 136-138, 1898. Industrie égéenne ou prémycénienne sur le Dniestre et Dnjepre. Cranes de Kourganes prehistoriques და ა. შ., ტომი I, გვ. 451-466, 1900, მე-5 სერია. Contribution á l'ethnologie anciennes et moderne du Caucase, ტ. X, გვ. 585-683, 1899. Origine des populations anciennes et actuelles de la Russie méridionale et du Caucase, ტ. 16, გვ. 385-393, Revue scientifique vom 28.9.1901. Le Centre-Asie et les origines aryennes, ტ. 18, გვ. 705-712. Dezember, 1902. Crânes anciens et modernes de la Russie méridionale et du Caucase, ტ. 2, გვ. 640-666, 6540668. Bull. Et Mém. De la S-té d'Anthropologie de Paris, 1901. Les Kourganes de la Sibérie occidentale და ა. შ., ტ. 9, გვ. 73-111, 1898. La souche blonde en Europe, გვ. 477-484. La céréale protoaryenne, ტ. 5, გვ. 87-99, 1904. შეადარე ასევე გვ. 610-615. Origine de Slaves, იქვე. გვ. 671-720. Le Caucase et les Caucasiens, გვ. 121-133. Rev. Anthropolog., № 4, Paris, 1914.

13 E.v. Eickstedt, Rassenkunde und Rassengeschichte der Menschheit, 1934, გვ. 260 და შემდეგი გვერდები და „Die rassischen Grundlagen des deutschen Volkstums", 1934, გვ. 34-40, კრომანიონული და ასევე ჩრდილოური რასის წარმოშობა ციმბირში უნდა ვეძებოთ (აღმოსავლეთ და შესაბამისად, ცენტრალური ევროპა).

მიეშურებოდა და ბოლოს კავკასიის მთელ ტერიტორიაზე და ჩრდილო კასპიის და ასევე, აღმოსავლეთ კასპიის მხარეებში დასახლდა. ზემოთ ხსენებული მკვლევრების შეხედულებით მხოლოდ ლითონის ხანის დასაწყისში გამოჩნდა სხვა, ეგრეთწოდებული ბრახიკეფალური მოსახლეობა, რომელიც თავდაპირველად მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მკვლევარები შანტრე, ასევე დე ბაიე და სხვები (განსაკუთრებით კიზა-ბროესკი) მხარს უჭერდნენ კავკასიაში დოლიხოცეფალური ადამიანის პრიორიტეტს, მათ უპირატესობას სხვა რასასთან შედარებით, რასაც თავიანთი გამოკვლევებით ადასტურებენ ასევე რუსი სწავლულები – ბუნაკი და ვიშნევსკი, რომლებიც ამ ფაქტებს, როგორც ნეოლითურ, ასევე ბრინჯაოს ხანას აკუთვნებენ.

გამყინვარების ხანასთან მიმართებაში ბუნაკი იგივე თეზას იცავს,[14] მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ბრახიცეფალური ელემენტი უკვე საკმაოდ ინტენსიურად არის გავრცელებული. მკვლევრები შანტრე, ბროკა, ზაბოროვსკი და სხვები, აგრეთვე რუსი სწავლულები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ არსებობდა ძველი კავკასიური მოსახლეობის ჩრდილო-ევროპული სახეობა, რომელიც ყუბანში, სამთავროსა და სხვა ადგილებში გავრცელებულ კულტურებს შორის დომინირებდა მეორე ათასწლეულის ბოლომდე და შემდეგ კი ბრახი- და, შესაბამისად, მეზოცეფალიაში შეერია.

ზაბროვსკი ამბობს კიდეც: „Manifestement les Caucasiens anciens que nous connaissons (nous ne les connaisons pas tous) étaint dans leurs pureté originaire identiques aux peuples préhistoriques du nord et de l'Europe d'ou sont provenus successivement: Kymris, Goths, Germains, Finnois primitivs" და ის ლაპარაკობს: „Létroite parenté des Caucasiens et des Francs-Germains, de l'identite ethnique des blonds, considérés dans leurs premiéres origines, qu'on les observe à l'état de pureté, au Caucase, en Angleterre ou dans la Charente-Inférieure".

ეს სამი თვალსაზრისი ერთდროულად დაადასტურეს პირველხარისხოვანმა მკვლევრებმა (Sergi, Flinders Petrie და სხვ. აგრეთვე Broca-Chantre-Zabrowski, Bunak-Višnewski). ეს გარემოება მეტყველებს, უპირველეს ყოვლისა, კავკასიელი ხალხების ადრეულ დამოკიდებულებასა და უშუალო კავშირზე ეგვიპტელებთან და მიუთითებს, რომ კავკასიის კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ შორსაა იმ შესაძლებლობისაგან, რომ ზემოაღნიშნული პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტა მოახერხოს.


14 იხ. ჩვენი ნაშრომი: „კავკასიური ანუ ქართული ელემენტი აღმოსავლეთში".

თუნდაც გარანტირებული და დადასტურებული ჩანდეს კავკასიის მოსახლეობის ქერა, დოლიხოცეფალური ადამიანების შუა ევროპული წარმოშობა და მისი ჩრდილოევროპული სახეობის კრანიოლოგიური დადგენა (ნეოლითურ და ენეოლითურ ეპოქაში ლიითონის ხანამდე), ჩვენ მაინც ვერ უარვყოფთ კავკასიის ეგეოსთან კავშირს იმავე ადრეულ ხანაში. თუკი კრეტას, საბერძნეთისა და დასავლეთ მცირე აზიის გათხრებმა დიდებული ქალაქების – კრონოსის, მიკენის, ტროას ზღაპრული სასახლეები და მდიდარი კულტურა გააცოცხლეს და მკვდრეთით აღადგინეს, მაშინ ისიცაა მოსალოდნელი, რომ მსგავსი მიზანმიმართული სამუშაოები კავკასიაში აიეტისა და მედეას სამშობლოს წინა ისტორიული კულტურის განვითარების შესაბამის სურათს სრული დიდებულებით აღგვიდგენს და წარმოგვიჩენს, და სიძველეთა კვლევასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტაში შეგვიწყობს ხელს. სწორედ ასეთ სამუშაოებს უნდა ჩაეყაროს საფუძველი მთელს კავკასიაში და მეთოდურად განხორციელდეს. უპირველეს ყოვლისა, გეგმაზომიერი გათხრებით მთელი კავკასიის პრეისტორიული კულტურული ვითარების მიახლოებითი, ზოგადი სურათი უნდა მივიღოთ, დაახლოებით იმავე ხანებისა, რათა სხვა კულტურულ ცენტრებთან (ევროპა, ეგეოსი, აღმოსავლეთი) ტოლფასოვანი შედარების შესაძლებლობები მივიღოთ. აქამდე ჩატარებული სამუშაოები შემთხვევითი მოვლენები იყო, არაგეგმაზომიერი, ძალზე სპორადული და ძალიან ხშირად დილეტანტურ დონეზე შესრულებული, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი ფასეულობები დაგვიტოვეს.

ამ მიმართულებითაც შესაძლოა ეს ნაშრომი – „კავკასიის უძველესი ისტორია" – საინტერესო და სტიმულის მიმცემი აღმოჩნდეს, რაც ძალიან სასურველი იქნებოდა.[15] ასეთი წარმატება ძალიან მისასალმებელი იქნებოდა ამ წიგნისათვის – ამგვარად დაფასებული ნაშრომი ორმაგი დამსახურებული წარმატებით დაგვირგვინდებოდა.

---

15 უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ კავკასიის კულტურული ცენტრები უკეთესად იქნება შენარჩუნებული, ვიდრე აღმოსავლეთ კავკასიისა, რადგან იქ ზღვის ხარჯზე დასილვის (დაქვიშოვების) შედეგად ხმელეთი მატულობს: შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის რკალი უფრო და უფრო ბრტყელი და დაცმული ხდება, ვინაიდან ხმელეთი ზღვაში იჭრება. სწორედ საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი აღმოსავლეთში: აქ ელემენტების შებრუნებული, საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობს: კასპიის ზღვა უფრო და უფრო მეტ ხმელეთის ნაწილებს ძირავს თავის ფსკერზე, უფრო და უფრო მეტ ხმელეთის ფართობს ფარავს და საერთოდ, დროთა განმავლობაში საკმაოდ დიდი დასახლებული ადგილები აქვს შთანთქმული. აქ ამბობენ, რომ კარგ ამინდში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც წყალი დაწმენდილია, ზღვის დონიდან ქალაქის მთელი ნაწილები მოჩანს ზღვის ფსკერზე, ბაქოს მახლობლად!



V

საქართველოს სამეფო დინასტიების შესახებ

საქართველოს სამეფო დინასტიების მესახებ[1]

გარდა საქართველოს სამეფოსი, რომელიც კავკასიაში მდებარეობდა, არსებობდა სხვა საქართველოც, რომელიც მისგან სამხრეთით უნდა ყოფილიყო, მაგრამ სად მდებარეობდა ის, ზუსტად არ ვიცით. ზოგიერთი ქართული წყარო მას „არან" ან „არიან"- ქართლს (Aran- od. Arien-K'artli) (ქართლი - საქართველო) უწოდებს. რამდენადაც ის სამეფოდ მოიხსენიებოდა (ასევე სხვა მიზეზთა გამოც), შეიძლება ამ შემთხვევაში კაბადოკია იგულისხმებოდეს. არსებობდა ასევე მესამე ქვეყანაც - პონტო, რომელიც სინოპიდან და მდინარე ჰალისის ხეობიდან კავკასიის ქედებამდე იყო გადაჭიმული, სადაც ლაზები, ჭანები და სხვა ქართველი ტომები მკვიდრობდნენ. სამხრეთის ამ ორივე ქვეყნიდან ლაშქრობები ჩრდილოეთისკენ – კავკასიაში მდებარე საქართველოსკენ – ეწყობოდა. ლაშქრობებს დროდადრო თან მოჰყვებოდა ასევე სხვა, მაგალითად, სომხური ელემენტები, რაც მცირე აზიაში მიმდინარე პოლიტიკური რყევებით იყო გაპირობებული.

შემდეგში ჩვენ ისტორიულად ცნობილ საქართველოს დინასტიებზე ვისაუბრებთ, უპირველესად კი გვინდა ბაგრატიონთა ტახტზე ასვლის ხანა მიმოვიხილოთ.

თქმულებები დინასტიებზე: ჩვენ ვიცნობთ ბერძნულ და ქართულ გადმოცემებს ძველი საქართველოს მმართველებზე. ბერძნული გადმოცემები იწყება თქმულებით არგონავტებზე, რომლის მიხედვითაც საქართველოს დასავლეთ ნაწილში მეფობდა აიეტი, რომლის სამეფო კარსაც შეიძლება ვუწოდოთ ფაზისიანები (ფაზისი - კოლხეთის მთავარი მდინარე დასავლეთ საქართველოში). მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა აზოვის ზღვიდან – ყირიმამდე. ყირიმში კი აიეტის ძმა მეფობდა. დინასტიის უფლებები საბერძნეთში კორინთოს სამეფო ტახტზეც ვრცელდებოდა და ეს უფლებები მედეას მეშვეობით იაზონს გადაეცემოდა. დინასტიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე კრეტას მეფე მინოსის მეუღლე პასიფაე და კირკე (აიეტის ქალიშვილი), სკვითების მეფის მეუღლე, რომელიც ამ ქვეყანას მართავდა. აიეტის სახელს ამ-

1 პირველად დაიბეჭდა: (Archiv Orientalni, Journal of the oriental Institute, Prague) 11, 1 (1939), გვ. 47-65.

სგავსებენ სახელს - ოტია[2], რომელიც საქართველოში საკმაოდ არის გავრცელებული.

ქართული ლეგენდა (ქართული ანალების მიხედვით) იწყება თარგამოსით,[3] რომელიც როგორც ქართველების ისე სომხების და, საერთოდ, ყველა კავკასიელი ხალხის უძველეს წინაპრად ითვლება. ამიტომაც პირველ დინასტიას ქართული ანალების მიხედვით „თარგამოსიანებად მოიხსენიებენ და ქართლოსიანთა დინასტიასთან აიგივებენ, რადგან ქართლოსი, თარგამოსის ვაჟი, ყველა ქართველის, ესე იგი, ქართლელების უძველესი წინაპარია. ამ დინასტიის მმართველობა ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. ქვეყნის მმართველი მამასახლისად (Pater domus) იწოდებოდა. ამგვარად, ეს ადრეული პერიოდი შეიძლებოდა მამასახლისობის ეპოქად მოვიხსენიოთ. მცხეთის მამასახლისი უპირველესი იყო სხვა, თანასწორ მამასახლისებს შორის - Primus inter pares, რომლებიც წარმომავლობით ძმები იყვნენ, მოგვიანებით კი ახლო ნათესავები გახდნენ. თარგამოსმა კავკასია-მესოპოტამია (სომხეთი) თავის რვა შვილს გაუნაწილა, როგორც მოგვიანებით ქართლოსმა თავის ექვს შვილს. გვიანდელი პერიოდისგან განსახვავებით, მამასახლისის გარდა არ იყო არც მეფე და არც ერისთავი.[4]

მეორე დინასტიის წარმომადგენლები ნებროთიდებად იწოდებიან, რომლებიც დედამიწაზე პირველი ბიბლიური მეფის, ნებროთის შთამომავლები არიან. ნერბოთთან თარგამოსსა და მის ვაჟებს მუდმივი ომი ჰქონდათ. მან (ნერბოთმა) დაიწყო ბაბილონის გოდოლის მშენებლობა და თარგამოსი ენების აღრევისა და ხალხების გაბნევის შემდეგ ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა და თან ყველა თავისი ნათესავი წაიყვანა. მას შემდეგ, რაც ნებროთმა ისინი განდევნა და დაამარცხა, ის ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს. ნებროთიანების შურისმაძიებელი ომები გაგრძელდა. მათმა გოლიათმა აფრიდონმა თავისი „ერისთავები" – გუბერნატო-

---

2 აიეტი ქართველური ტომის, ლაზების, წარმომადგენელი ისტორიული ფიგურაა. (Brosset, Additions et eclaircissements, 91).

3 სახელი თარგამოსი, სავარაუდოდ, მცირეაზიური ღმერთის თარჰუ-ს (Tarhu, Tarku, Targu) სახელს უკავშირდება. სუფიქსი – mos-ისთვის იხ. ასევე სუფიქსები mes, mas, „mein" (ჩემი) – იეროგლიფური ღვთაებები Dada-mes, Melasâta-mas, Apamas, Ruta-mis (>Artamis, Artemis) და ა.შ., და შდრ. ხეთური იეროგლიფების ჩემეულ წარწერებს (ხელნაწერებს) გვ. 428-471, შენიშვნა 9. ამგვარად, სახელი თარგამოსი, სავარაუდოდ უნდა ნიშნავდეს „ჩემი თარგუ" (Mein Targu). შდრ. აგრეთვე შემდეგში სახელი ნერბოთის წარმომავლობას ნიმროდიდან. ამგვარად, ქართველთა წარმომავლობა უკავშირდება როგორც მცირე აზიას, ისე ბაბილონს. B. Hrozny).

4 Brosset, Historie de la Géorgie, I, 16-27.

რები სხვადასხვა ქვეყნებში დააგზავნა; საქართველოში მან ერისთავად არდამი წარგზავნა. ერისთავი ქართული სიტყვაა და ხელმძღვანელს, ხალხთა გაერთიანების მეთაურს, ტრიბუნს ნიშნავს. ამგვარად, შემოღებული იქნა საერისთავო, გუბერნატორთა სისტემა. ნებროთიდები სპარსულ დინასტიად მიიჩნეოდა; ამ თქმულებაში ნებროთის შესახებ მაინც ასურული ენა არის აღიარებული პრიორიტეტულად. ის ჩვენ დღეს საკმაოდ გადამუშავებული ფორმით გვხვდება და მჭიდროდ არის დაკავშირებული თქმულებასთან ბაბილონის გოდოლის შესახებ.

ისტორიული დინასტიები ქართული ანალების მიხედვით. ანალების თანახმად, ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა ცნობა ქართული სახელმწიფოს წარმომავლობის შესახებ. შატბერდის ქრონიკების მიხედვით პირველი მეფე იყო აზო, რომელსაც ალექსანდრე დიდის ლაშქრობა ტახტზე ასვლაში დაეხმარა. ის იყო არიან-ქართლის მეფის ვაჟი (ქართლი – საქართველო, რომელიც კავკასიის საქართველოს სამხრეთით მდებარეობდა).[5] თუმცა, მატიანეთა დიდი წიგნი (ეს გახლავთ პირველწყაროების გადამუშავებული, უფრო გვიანდელი ვარიანტი) აზოს (აზონი) მხოლოდ ალექსანდრე დიდის გუბერნატორად მიიჩნევს, რომლისგანაც მან მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება მიიღო და ქართული მხედრობის დახმარებით დიდი ძალაუფლება მოიპოვა. ის (აზო) ჩამოაგდეს და ბრძოლაში მოკლეს. მისი მოქიშპე გახლდათ ფარნავაზი, ქართლოსის შთამომავალი, ასე ვთქვათ, ქართლოსიანი (ქართლოსიდი), დედის მხრიდან კი, ის ნებროთიანელი (ნებროთიდი) იყო. საქართველოში არსებობს გადმოცემა, თითქოს აზო მხოლოდ გუბერნატორი (ერისთავი) იყო, თუმცა პირველადი ვარიანტის სასარგებლოდ, რომ ის მეფე გახლდათ, უფრო მეტი საფუძველი უნდა არსებობდეს. მატიანეების მიხედვით ფარნაოზი ქართული სახელმწიფოს დამაარსებლად და, ამგვარად, ფარნავაზიანების, ანუ ქართლოსიანთა სამეფო დინასტიის დამამკვიდრებლად მიიჩნევა, ვინაიდან ის ქართლოსის პირდაპირი შთამომავალი გახლდათ. იგი სახელმწიფოს ჩვენს ერამდე, 303-237 წლებში მართავდა. მასვე მიეწერება ქართული დამწერლობის შემოღება, რაც უტყუარად არ უნდა მივიღოთ, რადგან ქართველებს წერის ნიშნები მანამდეც უნდა ჰქონოდათ. შესაძლებელია, მან მოახდინა მხედრულის ლეგალიზაცია, რომელიც უფრო ძველ, ნუსხურთან ერთად საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა, რადგანაც მიიჩნევენ, რომ საქართველოს წარმართული ლიტე-

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 91; მოსე ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, 51;

რატურა უნდა ჰქონოდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფარნავაზმა შემოიღო სახელმწიფოს მოწყობის (სპარსული) სისტემა, რომელიც გუბერნატორების (ქართულად – ერისთავების) მმართველობას ითვალისწინებდა. ერისთავების წოდება თავდაპირველად მემკვიდრეობით არ გადადიოდა. მან ქვეყანა რვა საერისთავოდ დაჰყო, რომელთა მმართველებად ერისთავები დანიშნა. ფარნავაზმა დააწესა ასევე არმიის მეთაურის – სპასპეტის წოდება თავის სამეთაურო ტერიტორიაზე. სპასპეტი უპირველესი პირი იყო ერისთავებს შორის, რომელთაც სპასალარი (ჯარების მეთაური) და ათასისთავები ემორჩილებოდნენ. ისინი მართავდნენ საგადასახადო სამსახურს. ფარნავაზის მიერ გატარებული ამ რეფორმებით – ქართული სახელმწიფო მოწყობის სპარსულ ყაიდაზე ჩამოყალიბდა. მისი შთამომავლები, ფარნავაზიანნი ქვეყანას, საერთო ჯამში, 328 წელი (302 162 წწ).[6]

მეორე სამეფო დინასტია მეფე მირიანით იწყება, რომელიც ფარნავაზიანთა დინასტიის მეფის, საურმაგის ნაშვილები იყო. თვითონ მირიანი ნებროთიანია, მისი შთამომავლები, ნებროთიდები 60-წლიანი წყვეტით 99 წლის განმავლობაში მართავდნენ ქვეყანას (162 – 93 წწ. და 33 – 3 წწ. ჩვენს ერამდე).[7]

მესამე იყო არშაკიდების პართიული წარმომავლობის დინასტია, რომელიც სომხეთს განაგებდა. ქორწინების საშუალებით სომხეთის მეფის არშაკის ვაჟი სამეფო ტახტზე ავიდა. არშაკიდები 219 წლიანი წყვეტით, ქვეყანას 139 წელი მართავდნენ.[8]

მეოთხეა ხოსროიდების დინასტია, რომელიც წყვეტით, თუმცა დაახლოებით 470 წლის განმავლობაში ბატონობდა. ამ დინასტიის პირველი მეფე იყო სპარსეთის მეფის ვაჟი, რომელმაც ქართველი მეფის ქალიშვილზე, ასპაგურზე იქორწინა. ასპაგური მამის მხრიდან არშაკიდების, ხოლო დედის მხრიდან ფარნავაზიანთა შთამომავალი იყო. სპარსელმა ამ ქორწინებით სამეფო ტახტზე ასვლა შეძლო. საქართველოს ისტორიში ის მეფე მირიანად მოიხსენიება (265-342), რომელმაც ქრისტიანობა შემოიტანა საქართველოში და ის სახელმწიფო რელიგიის რანგში აიყვანა. მამის გარდაცვალების შემდეგ მან პრეტენზია განაცხადა სპარსეთის ტახტზე, რომელზედაც მისი უმცროსი ძმა ბარტომი

6 Brosset, Historie , I, 36-83; შდრ. ქართულ მატიანეს – ქართლის ცხოვრება, (გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ), 13-44.

7 იქვე.

8 იქვე.

ავიდა და თავისი არმიით დაიძრა ნისიბინისკენ. ძმების ქიშპობა სპარსელი დიდებულების წყალობით ისე მოეწყო, რომ მეფე მირიანმა ჯავახირეთ-ჩრდილოეთ მესოპოტამია, შამის ნახევარი (ჩრდილოეთ სირია), ადარბადაგანი (აზერბაიჯანი) და სრულიად კავკასია მიიღო, მაგრამ იძულებული გახდა სპარსეთის ტახტზე უარი ეთქვა.[9]

ხოსროიდი იყო ასევე ცნობილი მეფე ვახტანგ I გორგასალი (446-499) რომელიც სპარსეთის მეფესა და ბიზანტიის იმპერატორს შორის მშვიდობის დამყარებას ცდილობდა და სპარსელები დაითანხმა, იერუსალიმი იმპერატორისთვის დაეთმოთ. ამასთან, სპარსეთის მეფემ მას ნება მისცა მის კუთვნილ მესოპოტამიის ნახევარზე თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედნა, თვითონ მან კი თავისი ნახევარი მოითხოვა სირიის ნაწილთან ერთად. სპარსელებისათვის დათმობის საფასურად ვახტანგი იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო სპარსელების ხანგრძლივ ლაშქრობებში აბისინიისა და ინდოეთის წინააღმდეგ; ასევე თავისი და სპარსთა მეფისთვის მიეთხოვებინა. არაერთი გამარჯვებისა და წარმატების შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მოგვიანებით იძულებული შეიქნა საქართველოში შემოჭრილ სპარსელებს შებრძოლებოდა და ბრძოლაში ბერძნების მიერ მიტოვებული, ერთ-ერთი სპარსელის მიერ სასიკვდილოდ დაიჭრა.[10]

მას შემდეგ საქართველოს რამდენიმე ხოსროიანი მეფე კიდევ მართავდა ბაკურ III-მდე, (557-575), რომელმაც სიკვდილის შემდეგ მცირეწლოვანი ბავშვები დატოვა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს სპარსელებმა, რომელთა მეფე ჰორმიზდ IV-მ თავისი ვაჟი ფარვიზი საქართველოს მოსაზღვრე რეგიონში რანსა და მოვაკანში გუბერნატორად გამოგზავნა. აქედან ის ცდილობდა მიემხრო ქართველი ერისთავები და სპარსელების მხარეზე გადმოებირებინა, სანაცვლოდ კი მათ საერისთავოს მუდმივ მემკვიდრეობაში დატოვებას ჰპირდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ წოდებას ისინი აღარ დაკარგავდნენ, სამაგიეროდ ვალდებულებას იღებდნენ, სპარსელებისთვის ხარკი ეხადათ. ვახტანგის შთამომავლებმა ბაკურ III-ის შვილები კახეთის პროვინციაში, მთებში, ხოლო მირდატის შვილები კლარჯეთში ამოწყვიტეს. ერისთავებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით, რათა თავიანთი მდგომარეობა გარე ძალების დახმარებით განემტკიცებინათ და სამეფო ძალაუფლება დაესუსტებინათ.

9 თაყაიშვილი, l.c. 52.

10 Brosset, Hisotie, I, გვ. 148-დან; Brosset, Additions, 41-67; თაყაიშვილი, I, გვ. 117.; მოსე ჯანაშვილი, I, გვ. 203-225; იე. ჯავახიშვილი, I, გვ. 221.

ამგვარად, ერისთავის ინსტიტუტი მემკვიდრეობითი გახდა.[11]

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში, რომელიც დღეს ლაზისტანად იწოდება, მდებარეობდა პროვინციები: ბასიანი, ტაო, აბოცი, კლარჯეთი და ა. შ. ეს გახლდათ საქართველოს საზღვარისპირა რეგიონები, რომლებიც ესაზღვრებოდნენ პონტოს, სომხეთისა და ბიზანტიის იმპერიას. პონტოს რეგიონიდან წარმოჩინდნენ მეფეთა თაობები, რომელთაც შემდგომში ისტორიული როლის შესრულება დაეკისრათ. ჭანო-ლაზური წარმოშობისანი იყვნენ, მაგალითად, სომეხი თავადები – მამიკონიანები, ქართველი ორბელიანები და ბარდას თავადური გვარის შთამომავლები, რომლებმაც ბიზანტიის იმპერიაში უდიდესი როლი შეასრულეს. კომნენების ძალაუფლების წყაროც და ალბათ მათი სამშობლოც – სწორედ პონტოს სამეფო გახლდათ.[12] მათთან და ბარდას გვართან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბაგრატიონთა გვარიც, რომელიც ოდითგანვე სომხეთის მეფეთა მფლობელობაში არსებულ სომხურ პროვინციებს მართავდა და, როგორც ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომი, მის აღმოსავლეთ პროვინციებს მართავდა. კურაპალატის წოდება (major domus) იმპერატორის ხარისხი თუ მემკვიდრეობითი არა, ტრადიციულად მაინც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საიმპერატორო კართან. მათი სამყოფელი საქართველოს სამეფოსგან მოშორებით იყო. პონტო, ლაზისტანი, ქუმუხი (კომაგენე) ხან ბიზანტიის, ხან სომხეთის, დრო და დრო საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, იშვიათად კი დამოუკიდებლადაც არსებობდა. მიუხედავად ამისა, ამ პროვინციების მმართველები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს მიმართ. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ბაგრატიონთა მიმართ, რომელთაც ასევე სურდათ მისი დაპატრონება. იქნებოდა ეს სომხეთში თუ სადმე სხვაგან, ისინი ყოველთვის საქართველოსკენ ილტვოდნენ – ხდებოდა ეს ტერიტორიების ურთიერთგაცვლის თუ სხვა მიწების დაპყრობით, რომლებიც საქართველოსკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ეს ტენდენცია ძალიან თვალსაჩინოა და არ გამოეპარა ისეთ მკვლევარს, როგორიც ბროსე (Brosset) გახლავთ.[13]

ბაგრატიდებთანაა დაკავშირებული ლეგენდა: ბიზანტიის იმპერატო-

11 Brosset, Hisotie, 215; მ. ჯანაშვილი, I, გვ. 189-190.

12 Fallmerayer, Gresch. Des Keisertums von Trapesunt, 41-44; Miller, Trapesunt, the last Greek Empire, 14-15; Brosset, Additions, გვ. 138-დან. ე. თაყაიშვილი, Georgean Chronology and the Beginnings of the Bagratid Rule Georgia // Georgica, I, 1935; Adnotz, Armenien zur Zeit Justinians, 403-414.

13 Brosset, Additions, 142.

რი კონსტანტინე პორფიროგენეტი 952 წელს წერდა, რომ ბაგრატიონები თავიანთ თავს ურიას ცოლისა და მეფე დავითის შთამომავლებად მიიჩნევდნენ. მაშასადამე, ისინი ენათესაებოდნენ მეფე დავითსა და ქალწულ მარიამს, რომელიც წარმომავლობით დავითის მოდგმისა იყო. ინტუიციას თუ მივყვებით, ორი ძმა, დავითი, ბაგრატიონთა უძველესი წინაპარი, და სპანდიატი იგივე მოდგმისანი იყვნენ, იერუსალიმიდან სპარსეთში რომ გადაიხვეწნენ, რომლის მმართველებიც იმ დროს უკვე თვითონ უნდა ყოფილიყვნენ. თითქოსდა სპანდიატის შესახებ არსებობდა ღვთის სიტყვა, რომლის მიხედვითაც მას ბრძოლაში ვერსად დაჭრიდნენ, თუ არა მხოლოდ გულმკერდის არეში; სხეულის ეს ნაწილი სპანდიატს ყოველთვის შეჯავშნული ჰქონდა და ამის წყალობით ის სპარსელებს მუდამ ამარცხებდა. მან დაიპყრო ეს ქვეყანა, დაისაკუთრა და ისე გამრავლდა, რომ ძმების შთამომავლებმა მთელი ხალხი შექმნეს. იერუსალიმიდან მისი გამოსვლის დღიდან 4-5 საუკუნე იქნებოდა გასული. ისინი თავგადაკლული ქრისტიანები იყვნენ.[14]

ამ ლეგენდაში არის გადმოცემა, რომლის თანახმადაც ბაგრატიდები ქრისტეს ნათესაები უნდა ყოფილიყვნენ; სპარსული ლეგენდის მიხედვით, ეს ისტორია ვიშტასპის ვაჟს უკავშირდება; შემდეგ ის ახსენებს ქართულ ლეგენდას, სადაც საუბარია თარგამოსის კავკასიაში ჩასახლებაზე და დაკავშირებულია თარგამოსიანთა ბრძოლებთან ნებროთიდების წინააღმდეგ, ვინაიდან ძმები „სპარსეთის ქვეყნისკენ“ ილტვოდნენ და მათ ეომებოდნენ; აქ ნაგულისხმევია საქართველო – სამხრეთ კავკასია. ეს, როგორც ჩანს, თვითონ ბაგრატიდების მიერ მიზანმიმართულად შეთხზული ლეგენდაა. მეორე მხრივ, სპანდიატის ძლევამოსილების ლეგენდა ღმერთებთან დაკავშირებულ მითებსა და ზღაპრებში ასევე ძალიან არის გავრცელებული კავკასიაში. სხვა ლეგენდის მიხედვით, ვინმე სოლომონის შვილი ვაჟი ფილისტიმელების ქვეყნიდან ჩადის სომხეთის მოსაზღვრე მხარეში, რომელიც საქართველოსთან ახლოს მდებარეობდა. აქ ისინი დიდგვაროვანმა თავადის ქალმა მოანათვლინა, ერთ-ერთი მათგანი, ბაგრატი, თავის ქალიშვილზე დანიშნა, ორი სხვა კი სომხეთის მეფეებს დაუნათესავდა. დანარჩენი 4 ძმა საქართველოში ჩავიდა. ერთი, საჰაკი, კახეთის მეფის ასულზე დაქორწინდა და დიდი თავადი გახდა; ასამი და ვარაზვარდი ქიზიყში მომძლავრდნენ, გვარამი კი საქართველოს მეფე გახდა.[15]

14 Konstantin Porphyrogennetod, De Administr. Imper. III, 197; Brosset, Additions, 140.

15 Brosset, Historie, I, 218-220.

ბაგრატიდების პირველი ასვლა ტახტზე: ქართული მატიანეების ყველა ვარიანტში გვხვდება. ისიც საკმაოდ ცნობილი ფაქტია,[16] რომ მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში ატყდა ომი სპარსელებსა და ბერძნებს შორის ქართული ტერიტორიების, ლაზიკისა (ლაზისტანი) და კოლხეთის გამო. სპარსეთს აღმოსავლეთში ომი ჰქონდა ჰუნებთან და თავიდან უნდა აერიდებინა ბერძნების თავდასხმა მესოპოტამიაში. ამიტომ ტახტის მემკვიდრე ხოსრო ფარვიზს უნდა დაეტოვებინა რანისა და მოვაკანის პროვინციები, ესე იგი, საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიები, რათა სასწრაფოდ მამის, ჰორმიზდ IV-ისთვის დახმარება აღმოეჩინა. სპარსელმა მხედართმთავარმა ბაჰრამ ჩუბინმა იერიში მიიტანა თურქებზე საქართველოს ერთ-ერთ პროვინცია სვანეთში (587) და გაიმარჯვა, მაგრამ არაქსის ნაპირებზე ბერძნებისგან საგრძნობი დარტყმა იგემა. მეფე მას ძალიან განურისხდა. ჩუბინმა მის წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა და მოგვიანებით წარმატებას მიაღწია ასევე ჰორმიზდის ვაჟის, მეფე ხოსრო II ფარვიზის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც იძულებული გახდა თავი საბერძნეთში გაქცევით გადაერჩინა. მოგვიანებით იმპერატორი მავრიკი დაეხმარა გაქცეულ მეფეს, დაემარცხებინა ჩუბინი და ხოსროს საშუალება მიეცა მამის ტახტი ისევ დაებრუნებინა.[17] ამ არეულობით, განსაკუთრებით კი ხოსრო ფარვიზის სპარსეთისკენ უკანდახევით, ვიდრე ის მეფე გახდებოდა, საგრძნობლად შესუსტებულ სპარსეთს გავლენა უნდა გაეძლიერებინა საქართველოზე, რომელსაც ხაზარები და სხვა მტრები ემუქრებოდნენ და რომელიც ბიზანტიის გავლენის ქვეშ არსებულ ტერიტორიებთან ყველაზე ახლოს მდებარეობდა. გარდა ამისა, მთელი დასავლეთ საქართველო სვანეთიდან ტრაპეზუნამდე (ლაზისტანი) ამ ბრძოლის ველად იქცა. ზუსტად და ცხადად არის გადმოცემული ერისთავების ქედმაღლობის შესახებ, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ ხარკი ეხადათ სპარსელებისთვის, რაც ქვეყანას მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში აგდებდა. საქართველოს სამინაო ვითარება მერყევი და არამდგრადი გახლდათ, რადგანაც იმჟამად მას თავისი მეფე აღარ ჰყავდა.

წყაროებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ეკლესიის წინამძღოლმა სამუელმა სამეფო საბჭოზე ყველა ერისთავი მოიწვია. მისი ნებართვით საბჭოს ეპისკოპოსებიც ესწრებოდნენ, სადაც გადაწყდა, რომ გვარა-

16 Lebeau, Historie des bas Empire, X, 57-79, გვ. 417-დან., 203-დან., 229-246, 255-258, 264, 271.

17 Ib. 271-335, 389; Ferd. Justi, Gesch. des alten Persiens, გვ. 234-დან; A. Christian, L'Iran sous les Sassanides, გვ. 436-დან.

მი კლარჯეთში ერისთავად აერჩიათ და ბიზანტიის იმპერატორისთვის ეთხოვათ, საქართველოს სამეფო ტახტზე ქართველ მეფეთა ძველი საგვარეულოს წარმომადგენელი აეყვანათ. იმავე დროს საბჭოს საერისთავოებში ერისთავის მდგომარეობა უნდა განემტკიცებინა. ეს გადაწყვეტილებები შედეგი გახლდათ შინაომისა, რომლის დროსაც ერისთავები თავიანთ პირობებს აყენებდნენ და აკანონებდნენ. ისინი თავიანთი შეიარაღებული რაზმებით სპარსელებს უერთდებოდნენ, ამიტომაც იმპერატორისგან მემკვიდრეობის შესახებ სპარსელების მიერ მინიჭებული საერისთავო უფლებების დაურღეველობას ითხოვდნენ. გვარამის ერისთავად არჩევას უნდა მიენიშნებინა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ახალი მეფე, რადგანაც თვალშისაცემი გახდა, რომ სამეფო საბჭოზე ერისთავად აირჩიეს კაცი, რომელიც ამ წოდებას მანამდე არასდროს ფლობდა, და რომ ეს არჩევანი დაემთხვა თხოვნას იმპერატორისადმი, საქართველოს მეფედ ქართული სამეფო კარის წარმომადგენელი დაემტკიცებინათ. ამით ისიც გაიხსენეს, რომ როცა მეფე არ ჰყავდათ, ქვეყანას ერისთავი და მემკვიდრე უფლისწული მართავდა, რომელიც მეფის ტიტულს არ ფლობდა, იმავდროულად არ ჰქონდა უფლება, ერისთავად წოდებულიყო; როგორც მაგალითად: სტეფანოზ I, ადარნასე I, სტეფანოზ II და ა. შ. – განსაკუთრებით რთულ პერიოდებში. ეს პრინც-რეგენტი ერისთავ-მთავრად, ან, უბრალოდ, მთავრად იწოდებოდა, რაც ქვეყნის მმართველს ნიშნავს; იმ დროს ქვეყნის პირველი პირი შეიძლებოდა გამხდარიყო ის, ვინც მანამდე ერისთავის ტიტულს ფლობდა. ამიტომაც გვარამი ჯერ ერისთავად იქნა არჩეული, რასაც, ალბათ, ბერძნების წინააღმდეგობის დაძლევა უძღოდა წინ, რადგანაც მანამდე გვარამი კლარჯეთის, იმპერატორის უშუალო გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიის, მმართველი იყო. იყვნენ აგრეთვე მირდატის, ვახტანგ გორგასალის ვაჟის შთამომავლები, რომლებიც მას მეორე ქორწინებიდან, ბერძენი მეფის ასულისგან ჰყავდა; ისინი კლარჯეთში ბატონობდნენ და ბიზანტიის ქვეშევრდომები იყვნენ. სწორედ ხოსროიანთა ამ ხაზის მეშვეობით ენათესავებოდა მათ გვარამი. ცნობილი ფაქტია, რომ პროვინციები ტაო და კლარჯეთი ბაგრატიონთა ტერიტორიულ სუვერენიტეტს ინარჩუნებდნენ და ძალიან ხშირად სრულიად ექვემდებარებოდნენ ბიზანტიის იმპერატორებს. იმპერატორმა გვარამს კურაპალატის წოდება უბოძა და საქართველოს მეფის რანგში „მცხეთას წარგზავნა“, ე. ი. ის ახლოს იმყოფებოდა საიმპერატორო ძალაუფლებას დაქვემდებარებულ ტერიტორიასთან (კლარჯეთი)

იმ დროს, როდესაც ის ერისთავად იქნა არჩეული.[18]

რაში მდგომარეობდა ბერძენთა ინტერესი? სპარსეთის ბიზანტიასთან საომარი დაპირისპირების დროს, როდესაც მას ჩრდილოეთიდან მომდინარე კიდევ სხვა საფრთხეებიც უნდა აერიდებინა თავიდან,[19] ბიზანტია იძულებული იყო ყველა საშუალება გამოეყენებინა საქართველოში თავისი გავლენის გასაძლიერებლად – კავკასიის უღელტეხილები, რომელთაც მაშინ საქართველო აკონტროლებდა, გაეხსნა და ჩრდილოეთის მეომარი ხალხების ძალისხმევა სპარსეთისკენ მიემართა. ასე იქცეოდა ბიზანტია ადრეც და მოგვიანებითაც, მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ საქართველოს ხოსროიან მეფე ფარსმან VI-ს (542-557) სთხოვა, დახმარებოდა მას ჩრდილოეთ კავკასიაში, აფხაზეთ-ოსეთის რეგიონში. ფარსმანმა დაამარცხა მტრები, მათი სარდლები დაატყვევა და ისინი იმპერატორს გაუგზავნა.[20] მე-18 საუკუნის დასასრულამდე საქართველოს მეფეები თავიანთი ჯარების შესავსებად ჩრდილოკავკასიელებს იყენებდნენ, რაც რუსებმა 1774 წლის შემდეგ აღმოფხვრეს, რამაც საქართველოს მეფე ერეკლე II მეტად სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა.

გვარამის მმართველობის პერიოდზე ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ ბიზანტიის იმპერატორი მეფეს ხშირად ასაჩუქრებდა და სთხოვდა, გაეხსნა უღელტეხილები და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად წაექეზებინა, რაც გვარამმა შეასრულა კიდეც. მან ეს ჯარები ძურძუკეთიდან და დიდოეთიდან ქართველ ერისთავებს დაუქვემდებარა და სპარსეთის წინააღმდეგ ალაშქრა.[21] ბერძენთა ჯარიც დაიძრა. ამ დროს მოვიდა ცნობა სპარსელების წარმატებების შესახებ ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთაც აიძულეს ბერძნები უკან დაეხიათ. ქართველები და ჩრდილოკავკასიელები მარტონი დარჩნენ; მე-18 საუკუნეში რუსებმა ქართველები იგივე მდგომარეობაში ჩააყენეს. მაშინ საქართველო მხოლოდ სპარსეთში შინაა-

18 Brosset, Historie, I. 216-223; თაყაიშვილი, I. c. 190-192; Brosset-Marr, ვახუშტი ბატონიშვილის ქართლის ცხოვრება, (1923), გვ. 161-165, 198-200; Marquart, Osteurop. und Ostasiat. Streifzuege, გვ. 391-დან. სამართლიანად უარყოფს ლეგენდას ბაგრატიდების წარმომავლობის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჩვენს ძირითად წყაროს საკმარისად არ ითვალისწინებს გვარამ კურაპალატთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ის არის ერთ-ერთი უძველესი წყარო, ვინაიდან XI საუკუნეს ეკუთვნის.

19 Avaren, Lebeau, I.c. X. გვ. 206-დან., 246-დან., 351-დან., 389-დან., 397-დან.

20 Brosset, Historie, II, T. 1, გვ. 200-202, 212. Brosset-Marr, I.c. 159.

21 Ibid. 221-223; თაყაიშვილი, II, 1, 191, 200-202, 2012; Brosset-Marr I.c. 159.

შლილობის წყალობით გადარჩა. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ბერძნების სამხედრო დახმარება მეტად საჭირო აღმოჩნდა, რაც გვარამის თხოვნა იყო, რომელიც ჯერ ერისთავად იქნა არჩეული, შემდგომ კი ქართველი დიდებულების ინიციატივით და რჩევით მეფედ აკურთხეს, კურაპალატის წოდება უბოძეს და მცხეთაში (მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს დედაქალაქი) წარგზავნეს. შემდგომ ამისა, ერისთავთა სურვილის შესაბამისად, იგი სპარსელების მიერ გაწერილი უფლებებით იქნა აღჭურვილი. ყველა ამ ფაქტში ჩვენ გამიზნულ ურთიერთკავშირს ვხედავთ.

იმპერატორისთვის საქართველოს მეფედ სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისაღები, თუ არა ბაგრატიდი; ვინაიდან ბაგრატიდები ყოველთვის ბერძნების სამსახურში იდგნენ და მათ ისინი ოდითგანვე კარგად იცნობდნენ. მათი საგვარეულო სამფლობელო და ქორწინების წყალობით მოპოვებული ტერიტორიები ბიზანტიის სამფლობელოების შიგნით ან სიახლოვეს მდებარეობდა, რაც თავის მხრივ, ბერძნული პოლიტიკისთვის ზეწოლის ძლიერი საშუალება გახლდათ. ის, რომ გვარამი მაშინვე კურაპალატი გახდა, ბიზანტიასთან მის ხანგრძლივ კავშირზე მიგვანიშნებს.

გვარამი – ბაგრატიდი: ყველა წყარო მას ბაგრატიონად მიიჩნევს. ის ნაყოფია ბაგრატიონთა კავშირისა ხოსროიან ქალბატონთან, რომელიც კლარჯეთის მმართველ მირდატის (ვახტანგ გორგასლის ვაჟი მისი მეორე, ბერძენი ცოლისგან) შთამომავალი იყო. მაშასადამე, ბაგრატიონები ამ ოჯახთან ქორწინებამ გააერთიანა. მხოლოდ ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) უწოდებს გვარამის მამას ბაგრატს.[22] ვახუშტიმ ასევე გამოიყენა საეკლესიო წყაროები, რომლებიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. რა უფლებები ჰქონდა მას, ამის გადამოწმება ჩვენ უკვე აღარ ხელგვეწიფება,[23] მაგრამ თუ ჩვენ, მიუხედავად წყაროების თვალსაჩინო მონაცემებისა, გვინდა ვივარაუდოთ, რომ გვარამი ბაგრატიონი არ იყო, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ის თვითონ ხოსროიანი იყო, რაც შეუძლებელი ჩანს. თუ უნდოდათ იგი ხოსროიანად მიეჩნიათ, მაშინ ასეთი ვინმე კახეთში, კერძოდ კი ვახტანგ-დაჩი-ბაკურის პირდაპირ შთამომავლებს შორის უნდა მოეძიათ; ასეთ შემთხვევაში აღარავის დასჭირდებოდა მისი (ხოსროიანის) კლარჯეთიდან მოყვანა. მაშინ აღარ გახდებოდა საჭირო წყაროებს – ხოსროიანებთან გვარამის

22 Brosset, Historie, II, 1, 200-202.

23 Ibid. I, 229, Anm. 1.

ნათესაობა – დაესაბუთებინათ და ეს ხაზგასმით აღენიშნათ, რათა მისი ტახტზე ასვლის ლეგიტიმაცია მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში ისინი, უბრალოდ, მიანიშნებდნენ თვითონ მათ ხოსროიანულ წარმომავლობაზე და ეს საკმარისი იქნებოდა მისი ლეგიტიმაციისთვის. მაგრამ ვინაიდან თვითონ ის ხოსროიანი არ იყო, მისი კავშირი ამ დინასტიასთან მდედრობითი ხაზის წინ წამოწევით უნდა დადასტურებულიყო, მით უმეტეს, რომ მაშინ მხოლოდ მისი წარმოშობისთვის (ბაგრატიონი) შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭებინათ. ასეთი, სამხრეთიდან მოსული ბაგრატიონი, ხოსროიანთა სამეფო დინასტიასთან მისი ნათესაობა განსაკუთრებულ ღირსებას მატებდა.[24] უფრო მეტიც: გვარამს „მირდატიდსაც“ უწოდებდნენ, რაც სრულიად ზედმეტი იქნებოდა, თვითონ რომ ხოსროიანი ყოფილიყო; მაშინ ის მართლაც ასეთად მიიჩნეოდა. ამ ზედმეტ სახელში – „მირდატიდი“, ვხედავთ მცდელობას, გვარამი ხოსროიდების სამეფო-დინასტიურ ოჯახის წევრად აღიარებისა. ის სახელმწიფოს საბჭოს გადაწყვეტილებების მოთხოვნებს იმდენად შეესაბამებოდა, რამდენადაც გვარამის სახლი ენათესავებოდა ხოსროიანებს და ეს განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნება. ის, რომ გვარამი არც ნებროთიდი და არც არშაკიდი იყო, ეჭვს არ იწვევს.

გვარამს, როგორც პირველ მეფეს, პირველად შემოაქვს ისტორიაში კურაპალატის წოდება, რაც წყაროების მიხედვით მხოლოდ ბაგრატიდების სამეფო კარისთის იყო ჩვეულებრივი ამბავი: არც ხოსროიდთა და არც სხვა დინასტიებს არ შემოუღიათ ეს ტიტული, არც იმ ხოსროიდებს, რომლებიც გვარამის ვაჟის, სტეფანოზის შემდეგ მოკლე დროით ისევ ავიდნენ ტახტზე. ხოსროიდებს, მაგალითად, არ დასჭირდებოდათ ეს ტიტული, გვარამისთვის კი ამას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონოდა. ეს ყველაფერი არის საფუძველი იმისა, რომ ყველა შეჯერებულ წყაროს ნდობით მოვკიდებოდით, მათდამი ყურადღება გამოგვეჩინა და გვარამი ბაგრატიონად მიგვეჩნია, რაც იმითაც დასტურდება, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი 952 წელს თავის ნაწერებში ბაგრატიონებს ძალიან ძველი სამეფო დინასტიის წარმომადგენლებად მოიხსენიებს.

გვარამ კურაპალატის მეფობის დროს ქართული ეკლესია გამოეყო სომხურ ეკლესიას,[25] რაც მოვლენების სრულიად ლოგიკურ განვითარებად გვესახება და რისი მიზეზიც საქართველოს სპარსეთისგან საბოლოო ჩამოშორებასა და ბიზანტიასთან დაახლოებაში მდგომარეობს,

24 Brosset, Historie, I, 229, 249-251; Brosset, Additions, 159.

25 Brosset, Additions, გვ. 107-დან; ივ. ჯავახიშვილი, I.c. I, გვ. 322, 350.

რადგანაც მონოფიზიტური სომხური ეკლესია სპარსელების მიმართ მეტ სიმპათიას იჩენდა, ვიდრე ქართველებისადმი, რომელიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ბერძნების მსგავსად „ორთოდოქსული ანუ დიოფიზიტურია. ასევე გავიხსენოთ, რომ იმპერატორი ჰერაკლე თავის სპარსულ-კავკასიურ ლაშქრობებში ეცადა სომხეთი მართლმადიდებლურად მოექცია და ახლოსაც იყო ამ გეგმის შესრულებასთან. ორთოდოქსი სასულიერო პირებისთვის გვარამის კანდიდატურა, მოცემული მიზეზებისა და პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასურველი უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, ერისთავებში ის სიმპათიებს იწვევდა, რადგანაც ისინი ელოდნენ, რომ ის, როგორც ახალბედა, უფრო დამყოლი იქნებოდა, ვიდრე ძირძველი დინასტიის წარმომადგენელი. ვფიქრობთ, გვარამის ტახტზე ასვლას წინ უძღოდა ბერძნების გამარჯვება სპარსელებზე, რაც, ნაწილობრივ, გვარამის დახმარებითაც უნდა ყოფილიყო გაპირობებული. ამაზე უნდა მიუთითებდეს იმპერატორის საჩუქრებიც და თხოვნებიც დახმარების თაობაზე. 587 წელს სპარსელებზე გამარჯვებამ 590 წელს ხელსაყრელი ვითარება შექმნა ბერძნებისთვის. ამგვარად, ტახტზე ასვლა მე-6 საუკუნის 70-80-იან წლებში უნდა შემდგარიყო.

გარდატეხა პოლიტიკაში. თუ ჩვენ დროის ამ ინტერვალს თვალს გადავავლებთ, ქართულ (იბერიულ) პოლიტიკაში სერიოზულ ძვრებს დავინახავთ, რომელმაც მთელი სპარსული ფარვატერი მოიყვანა მოძრაობაში ისე, რომ კლარჯეთი, გვარამის სამფლობელო, აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიას) ჩამოშორდა და საბერძნეთისკენ გადაიხარა. ვახუშტი ამ ფაქტს სპარსეთის მხრიდან ზეწოლის გაძლიერებას უკავშირებს, მაგალითად, ხოსრო ფარვიზის ყოფნას რანსა და მოვაკანში. ამას მოჰყვა შიდა და გარე სირთულეები სპარსეთში – სპარსულ-სომხური აჯანყება, საქართველოს მიერთება ამ აჯანყებასთან, რასაც 571 წლის 30 მარტს ამბოხებულების გამარჯვება მოჰყვა. ამან შესაძლებელი გახადა კლარჯეთისა და ტაოს კვლავ გაერთიანება აღმოსავლეთ საქართველოსთან და შეძლებისდაგვარად დასავლეთ საქართველოსთანაც, რომელიც ბერძნების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ, სპარსელებისა და ბერძნების ცვალებადობით აღსავსე ბრძოლების პერიოდში კეთდება არჩევანი ბაგრატიდებზე, რომლებიც, როგორც ბერძნების იმპერატორის კურაპალატები, საქართველოს სამეფო ტახტზე აღზევდნენ და საქართველოს პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისკენ მიმართეს. ეს ჯერ კიდევ მირიანმა და ვახტანგ გორგასალმა და-

იწყეს, მაგრამ ახლა რადიკალური ნაბიჯების გადადგმის დრო დამდგარიყო და ეს ხაზი მტკიცედ უნდა გატარებულიყო. როდესაც გვარამის ვაჟი სტეფანოზ I შეეცადა ეს პოლიტიკა შეეცვალა, მას ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ის ბრძოლაში დაეცა, როდესაც იმპერატორმა ჰერაკლემ თბილისი ალყაში მოაქცია. იმპერატორმა მოითხოვა, როგორც ამას წყაროები ერთხმად გვამცნობენ, ტახტზე ისევ ხოსროიანი, მეფე ბაკურ III-ის ვაჟი ადარნასე I დაესვათ, რომელიც 619-639 წლებში მეფობდა და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მართავდა. სტეფანოზ I-ის ვაჟები კლარჯეთში დარჩნენ. აქედან მოყოლებული ხოსროიანები 780 (786) წლამდე ერთიმეორის მიყოლებით ადიოდნენ ტახტზე: ადარნასე I, სტეფანოზ II, მირიანი და არჩილი (ნაწილობრივ ერთობლივად), ივანე და ჯუანშერი (ნაწილობრივ ერთობლივად).

ბაგრატიდების ტახტზე მეორედ აღზევება (ამჯერად ეს იყო აშოტ კურაპალატი) ეჭვგარეშეა.[26] 780-1801 წლამდე საქართველოში მხოლოდ ბაგრატიდები ბატონობდნენ და მართავდნენ, ხანმოკლე წყვეტებით, რაც დაახლოებით 28 წელიწადს შეადგენდა.

დინასტიის პერსონაჟები. ამ დინასტიამ საქართველო კარგად შეკრულ, ერთიან სახელმწიფოდ აქცია, მისი ერად ჩამოყალიბების საფუძვლები შექმნა და ეს პროცესი დღემდე წარმატებით მოიტანა. დინასტიამ საქართველოს სამეფო ტახტი მახვილით დაიცვა, პოლიტიკური ქორწინებებით განამტკიცა იგი და თანამიმდევრული დიპლომატიით ათ-ნახევარი საუკუნე მეთაუროობდა მას, თუმცაღა მის გარშემო ახლო აღმოსავლეთში დროთა განმავლობაში არა მარტო სამეფო ტახტები დაემხო (სომხეთის, ტრაპიზონის, ბიზანტიისა და ა. შ), არამედ მთელი რასების დომინიონები (სპარსული, ხაზარული, არაბული, ბერძნული, თურქული და ა. შ.) განიცდიდნენ ცვლილებებს. ის უძველესს ქრისტიანულ დინასტიად ითვლებოდა, სანამ რუსთა მეფეებმა საბოლოოდ არ გაანადგურეს.

დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენლებიდან უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ: დავით III დიდი კურაპალატი, ტაო-კლარჯეთის მმართველი, რომელმაც 978 წელს სრულიად საქართველოს სამთავროები თავისი შვილობილის, ბაგრატ III-ის სკიპტრის ქვეშ გააერთიანა და მთელ ამიერკავკასიაში, ასევე სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. მხოლოდ მან შეძლო საქართველოს

26 Brosset, Historie, I, 260-265; თაყაიშვილი, l.c. გვ. 219-დან; ივ. ჯავახიშვილი l.c. 368, მ. ჯანაშვილი, Lc. 302-309.

გაერთიანება, მისი ძალაუფლების განმტკიცება და ბიზანტიის იმპერატორებისთვის იმპერიისა და ტახტის გადარჩენა და შენარჩუნება. როდესაც აჯანყებულმა ბარდა სკლიაროსმა მთელი წინა აზია დაიპყრო და ბიზანტიასაც დაემუქრა, იმპერატორმა და დედა იმპერატორმა დავითს დახმარება სთხოვეს და მისცეს გარანტია იმისა, რომ ყველა ქართულ მიწას ტაოს სამხრეთით მას დაუმტკიცებდნენ. დავითმა თავისი ცხენოსანი არმია გაგზავნა ასევე ბიზანტიის იმპერიაში სახელგანთქმული მხედართმთავრის, თორნიკე ერისთავის, სარდლობით. აჯანყება 979 წელს მთლიანად იქნა ჩახშობილი და იმპერიაში დიდი ხნით დამყარდა მშვიდობა.[27]

ტაო-კლარჯეთიდან იყო წარმოშობით გრიგოლ ბაკურიანი, ბაგრატიონების ნათესავი, ბიზანტიის იმპერიის დიდი მხედართმთავარი მე-11 საუკუნეში, რომელმაც თავისი იმპერატორი არაერთხელ იხსნა. იგი იმპერიაში იმპერატორის შემდეგ უთვალსაჩინოეს პიროვნებად ითვლებოდა და ხარის გამოსახულებიანი ოქროს მონეტებით დიდ დახმარებას იღებდა. გრიგოლ ბაკურიანის ძე, დასავლეთის დროებითი მმართველი, დიდი დომესტიკოსი, ყარსის, ერზრუმის მთავარი, სმოლენას გუბერნატორი იყო, ფლობდა უამრავ ციხესიმაგრეს და მამულს ფილიპოპელისსა და მოსინიპოლში, მონასტრებს ლიბანში და რამდენიმე მონასტერს ბალკანეთში. მან მოიპოვა გამარჯვებები ნორმანებზე იტალიაში რობერტ გუისკარის მეთაურობით 1081 წელს. პეტრიწონის კომში (ბოჩკოვო) მან მსოფლიოში სახელგანთქმული ქართულ-იბერიული მონასტერი დააარსა და თვითონ შეუდგინა წესდება, რომლის თანახმადაც პეტრიწონი მხოლოდ ქართველთა მონასტერი უნდა ყოფილიყო. ბერ-

27 Adontz, 72; Thornik, Le Moine in Byzantion, გვ. 13 და 143-დან. ივ. ჯავახიშვილი. I, გვ. II, 409-420, 431. Schlumberger, L'Epopee Byzantine, 359-378, II, 12-28, III, 24-36; ზ. ავალიშვილი - ბიზანტიაში, VIII, 1933; მ. ჯანაშვილი, I, გვ. 346-353; მნიშვნელოვანი გახლავთ, რომ ბაგრატიდები ყოველთვის ნათესაობდნენ ბიზანტიელ იმპერატორებთან, საქორწინო კავშირებს ამყარებდნენ ხოლმე ასევე სპარსეთის შაჰებთან. 1153-1154 წლებში კიევის თავადი იზიასლავი ქართველ პრინცესაზე დაქორწინდა, ბორის გოდუნოვის ვაჟი ცდილობდა ქართველი მეფის ასულის ხელი ეთხოვა. ცნობილია და ზოგიერთი დრამატული ნაწარმოების საგანიც კი გახდა ის ფაქტი, რომ თამარ დედოფალი ცოლად გაჰყვა რუს პრინც იურის (ანდრეი ბოგოლუბსკის ვაჟი), შემდეგ კი გაშორდა მას და იგი ქვეყნიდან გააძევა (Brosset, Additions, ვ. 228-დან); Brosset, Notice sur le mari russe de Thamar, reine de Géorgie in Bull. d. la. Cl. des Sciences hist., philol. Et polit. De l'Acad. Imp. des Sciences I, 209-229 (1844); Будков, «О браках князей русских с грузинами и Яснами в XII веке // Северный Архив. IV, 1825, 317.; T. Talbot Rice, the Role of Georgia in the Art of Middle Ages, 53, in Asiatic review 1930, 44-53.

ძენ სასულიერო პირებს იქ მოღვაწეობა ეკრძალებოდათ.[28]

განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად იქცა ისტორიაში დავით აღმაშენებლის (1074-1125) გამოჩენა. დავითმა საქართველოსაგან თითქმის თანამედროვე სახელმწიფო შექმნა, რომელიც მალე დიდ იმპერიად აქცია. მან დაიმორჩილა ურჩი დიდგვაროვნები, შექმნა საჯარო სამსახურის ინსტიტუტი, დამოუკიდებელი სასამართლო, მუდმივი ჯარი, მოითხოვდა ზოგად სახალხო განათლებას და თავდაცვისუნარიანობაც კანონებით განამტკიცა. დავით აღმაშენებელმა მთელი კავკასია თავის სკიპტრის ქვეშ გააერთიანა. 1121 წელს მას ბრძოლა მოუხდა მეტად მძლავრ ისლამურ კოალიციასთან, რომელსაც სარდლობდა ალეპოს სულთანი ნეჯმ ად-დინ ილღაზი. ბრწყინვალე გამარჯვებამ მტერზე, რომელიც რიცხოვნობით რამდენჯერმე აღემატებოდა ქართულ არმიას, გადაწყვიტა და განსაზღვრა საქართველოს გაბატონებული მდგომარეობა წინა აზიის მძლავრ სახელმწიფოებს შორის მომავალი თაობებისთვისაც კი. გათავისუფლდა სომხეთიც, 1128 წელს დაპყრობილ იქნა მისი ძველი დედაქალაქი ანისი, ასევე ქალაქი შემახი და კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე მთელი შირვანი. ინგლისელებმა ის თავისი დროის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ და მხედართმთავრად შერაცხეს.[29] მის აღმშენებლობით მოღვაწეობას სახელმწიფო მოწყობის სფეროში და განმანათლებლობით გამსჭვალულ აბსოლუტიზმს მრავალი შტრიხი აქვს საერთო არაჩვეულებრივი იმპერატორ ფრიდრიხ II-ის ბიოგრაფიასთან (1194-1250).[30] თუმცა, ბაგრატიონების ღვაწლი უფრო მტკიცე და ბედნიერი აღმოჩნდა, ვიდრე ამ ჰოჰენშტაუფენისა, რომლის შთამომავლობის ბედი, მისი სიკვდილის შემდეგ, ასეთი სავალალო აღმოჩნდა და ვისი სიცილიური სახელმწიფოც საბოლოოდ დაეცა. ბაგრატიონების სახელმწიფოს მონღოლთა შემოსევების გადატანა მოუხდა. დავით აღმაშენებლის შემოქმედებითი გენიის გარეშე საქართველო და მასთან ერთად მთელი კავკასია ჯალალ-ედ-დინის, ჩინგიზ-ხანის, თემურ ლენგისა და მათი თურქ-მონღოლთა ლაშქრობებით პირისაგან მიწისა იქნებოდა აღგვილი.[31]

---

28 L. Petit, Typikon de Georgoire Pakurianos, in Vizantijskij Vremennik XI, 1904, XII, 1906, 1-68; Christianskij Vostok V. 1927, 221-223.

29 W.E.D. Allen, A History of Georgian People, 97.

30 E. Kantorowicz, Kaiser friedrivh II., გვ. 161, 122-დან., 173, 596; F. Schneider, Kaiser Friedrich II. Und sein Staat, 3-16; K. Lamprecht, Deutsche Geschichte, III, 271-298.

31 ი. ჯავახიშვილი, I. c. 505-542; M. Défréméry, Fradm. De Géographes et d'Historiens Arabes et Parsans inédits relatives au Caucase, 478; Brosset, Historie, 345-381; Brosset,

ქართველი ერის კავკასიურმა სამეფომ თავის ბრწყინვალებას ბაგრატიონების მმართველობის, კერძოდ კი თამარ მეფის ხანაში მიაღწია, თუმცა ეს ეპოქაც არ ყოფილა შინაშლილობისაგან თავისუფალი: ერთი მხარე სახელმწიფო საბჭოს შემოღებას ითხოვდა, სადაც ერის წარმომადგენლები იმსჯელებდნენ, მიიღებდნენ გადაწყვეტილებებს და სამეფო ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებებს შეასრულებდა. ეს პაექრობა გართულებების გარეშე მიმდინარეობდა, არისტოკრატიას რჩევების მიცემის, ტახტის მესვეურთ კი მათი სანქცირების ან უარის თქმის უფლება ჰქონდათ. თუმცა 1184-1186 წლებში ცხარე პაექრობა გაიმართა საქართველოში პარლამენტარიზმის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. 1195 წელს შამქორთან ბრძოლაში ახალ ისლამურ კოალიციასთან ქართველებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და შირვანზე თავიანთი ძალაუფლება აღადგინეს, სადაც თამარმა მმართველად მისთვის მისაღები შირვანშა დასვა. 1205-1206 წლებში ქართველების კიდევ ერთმა გამარჯვებამ, რუმის სულთან რუქნადინის გაერთიანებულ ისლამურ არმიაზე ბასიანთან, საქართველოს პოზიციები უფრო განამტკიცა. 1204 წელს თამარ მეფემ შექმნა ტრაპიზონის იმპერია, რომელმაც სამხრეთ საქართველოში ქართველთა ძალისხმევის შედეგად 250 წელზე მეტხანს იარსება.[32] თამარ მეფის მფარველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიები გადაჭიმული იყო სპარსეთის ჩრდილოეთ პროვინციებიდან თავრიზამდე, და ქართული ლაშქარი დიდი ხნის განმავლობაში აფრიალებდა გამარჯვების დროშას ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანის პროვინცია ხორასანამდე.[33] ევროპული საზოგადოება ენთუზიაზმით იღებდა ცნობებს დავით აღმაშენებლისა და თამარის შესახებ და ეს ცნობები იერუსალიმისა და ანტიოქიის გავლით დასავლეთის ქვეყნებამდე აღწევდა. წმინდა საფლავის მგალობელთა გუნდის ლოტბარი და პრესვიტერი, პარიზელი ეპისკოპოსი გალონი წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის მრევლისადმი მიწერილ ანგარიშში 1108 წლიდან აღწერდა დავით აღმაშენებლის საქართველოს და მას ბარბაროსული სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლ უპირატეს ძალად და ფორფოსტად მიიჩნევდა; მას ეპყრა კასპიის კარიბჭე, რომელსაც თავის სამფლობელოდ თვლიდა

Additions, 228-244.

32 Fallmerayer, I. c. 337; Miller, I, c. 111-113; Ф. Успенский. Очерки Истории Трапезундской Империи, 74-76.

33 ი. ჯავახიშვილი, I. c. 574-640; M. Défréméry, I.c. გვ. 495-დან, გვ. 520-დან. Brosset, Historie, 403-481; Brosset, Additions, 264-289, 412-480.

და დიდი ძალისხმევით იცავდა. კანცლერი გოტიე აღწერს დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე გამარჯვებას და ალეპოს სულთნის სამარცხვინო განადგურებას დიდგორთან ბრძოლაში 1121 წელს. ბართოლომეო სალინაკელი გვაწვდის ცნობას, თუ რამდენად იცნობდნენ და აფასებდნენ ევროპელები საქართველოს ხელისუფლებას. ქართველებს ისინი მებრძოლ ხალხად მიიჩნევენ. იერუსალიმში ისე მიდიან, რომ სულთანს ხარკს არ უხდიან, გაშლილი დროშითა და ცხენებზე ამხედრებულნი შედიან იერუსალიმში. სულთანს და თურქებს მათი დიდი რიდი ჰქონდათ. ბაგრატიონებს ნამდვილად დიდი კრძალვა ჰქონდათ წმინდა საფლავის წინაშე და ხშირად გაუთავისუფლებიათ იერუსალიმი მტრებისგან. მათ არასოდეს დაუზოგავთ თავი ამისათვის, ხშირად დიდი ქონებაც კი შეუწირავთ. ქართველებს იერუსალიმში ეკუთვნოდათ რამდენიმე მონასტერი, ეკლესიები, პანსიონები. ჰყავდათ რიცხვმრავალი ქართველი მრევლი და ჰქონდათ საკუთარი ინტერესები. ისინი ფლობდნენ ასევე მონასტრებს სინას ნახევარკუნძულსა და ბალკანეთში.[34]

ქართველები აქ ხშირად მართავდნენ სანახაობებს. ბეზანსონელი ეპისკოპოსი (დაახლოებით 1202-1213) გვაწვდის ცნობებს იმის თაობაზე, რომ ქართველები ეწეოდნენ ომებს ურწმუნოების წინააღმდეგ, რათა წმინდა მიწაზე ღირსებამოსილი ქრისტიანებისთვის დახმარება გაეწიათ. ლაშა-გიორგის ალექსანდრე დიდს ადარებდნენ. მას მიაწერდნენ 300 ციხე-სიმაგრისა და ცხრა დიდი ქალაქის დაპყრობას, ასევე, ევფრატთან ერთ-ერთი უდიდესი მტრის დამარცხებას. ერთ ინგლისურ ქრონიკაში შეხვდებით ცნობას, რომლის თანახმადაც დავით აღმაშენებელმა მიიღო იოანე პრესვიტერის წოდება, ინდოეთიდან უდიდესი ლაშქრით გამოემართა ქრისტიანების დასახმარებლად, დაიმორჩილა ყველა ქვეყანა, მიდია, სპარსეთი და ა. შ. ასეთი ხმები ვრცელდებოდა 1221 წლამდე, როდესაც დავით აღმაშენებელი უკვე 100 წლის გარდაცვლილი იყო. ისეთი უდიდესი ხიბლი სდევდა მის სახელს, რომ „ბარბაროსას ლეგენდებსაც“ კი მის სახელს უკავშირებდნენ.[35] ასევე, მთელ კავკასიას წვდებოდა თამარის ბრწყინვალება და დიდება, ლეგენდარული გახდა, უკვდავია,

34 Grigol Peradze, Georgian Influences on the culture of thr Balkan Peoples in Georgica, I (1936), 14-23; ჯავახიშვილი, I.c. 650; Brosset, Additions, 145, 200, 370.

35 Tamarati, L'Eglise Géorgienne. (1910), 309-310; Gutier, Bella Antiochena bei Brosset, Additions, 229, n.4; bei Tamarati, I, c. 283 ff.; ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 135-155, 134-დან. R. Rohricht, Testimonia minora de 5. bello sacro et chronicis occidentalibus (1842), გვ. 334-დან; Bartholomae de Salignaco, Itinerarium Hierusaym (1522), VIII, c. 1. Bei Tamarati.

არ გამქრალა ამ ხალხების ცნობიერებიდან მისი სახელი, როგორც ბრძენი, ზნეკეთილი, წმინდა დედოფლისა. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ, 1552 წლამდე, მას მიიჩნევდნენ საოცარ გმირად, რომელმაც მამაკაცური სიბრძნით დაამარცხა სპარსელები; თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ მოპოვებული გამარჯვებების გამო, მას ივანე მრისხანეს ადარებდნენ, რომელიც თავის არმიას ყაზანზე თავდასხმის წინ მისი სიტყვებით და მაგალითით ამხნევებდა.[36] როდესაც დამასკოელმა თავადმა იერუსალიმის დალაშქვრა მოისურვა, ქართველებმა მას მუქარის წერილი გაუგზავნეს, როგორ გაბედა მან და მათი ნებართვის გარეშე იერუსალიმზე გალაშქრება მოინდომაო. როდესაც ჯვაროსნებმა გამარჯვებას მიაღწიეს, ქართველებმა გასამხნევებლად მათ დამასკოს აღებისკენ მოუწოდეს (1218 წ).[37]

როდესაც თათარ-მონღოლთა ჯარები ახლო აღმოსავლეთში შეიჭრნენ და ყველაფერი აღგავეს პირისაგან მიწისა, საქართველომ ყველა ისლამური ქვეყნის პროვინცია დაკარგა, მაგრამ მისი ეთნიკური შემადგენლობა და იმპერიის საზღვრები უცვლელი დარჩა. როდესაც ვახტანგ III (1301-1307) ძლევამოსილ მონღოლთა ხანის წინაშე წარადგინეს, რომელმაც, ქართველების მიერ სპარსელების დასახმარებლად მოწყობილი ლაშქრობის გამო, ყველა ქართველის, მათ შორის მეფის მოკვლის ბრძანება გასცა, მან სიამაყით წარმოთქვა: ჩვენი რელიგია კი არ არის ცუდი და საშინელი, არამედ სპარსელებისაა თავისი სიმხეცით და არაადამიანურობით ცნობილი; შემდეგ მან ჩამოთვალა მათი მანკიერებები: ადამიანის მოწამვლა, მკვლელობა, მამათმავლობა და სხვა, რამაც ხანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.[38]

თურქ-მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346). მან მთელი კავკასია დაიპყრო და დაიმორჩილა; დარუბანდსა და შირვანს კასპიის ზღვის სანაპიროზე, ასევე დაღესტანსა და სხვა ხალხებს ხარკი დააკისრა. მეფემ ტაო-კლარჯეთი და სხვა შავიზღვისპირა ქვეყნები თვითონ შემოიარა და იქ ერისთავები დასვა; მას წესრიგში მოჰყავდა სახელმწიფო სტრუქტურები, მოახდინა ქართული სამართლის კოდიფიცირება და ყველგან აღადგინა კანონი მიწის შესახებ. მან ორჯერ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და იქ კანონიერება და მშვიდობა დაამყარა.

36 Brosset, Historie I, 445, n. 3.

37 Brosset, Additions, გვ. 304-დან.

38 Brosset, Historie I, 639.

ზღვიდან ზღვამდე წვდებოდა მეფის სკიპტრა, რომელმაც თათარ-მონღოლები დაამარცხა და გაანადგურა. ის გახლდათ განსაკუთრებული მოვლენა როგორც ახლო აღმოსავლეთის ომებში, სადაც მონღოლებს სიცოცხლე გაუმწარა, ისე მშვიდობიანობის დროსაც.[39]

თათრების, თურქებისა და მონღოლების ხანგრძლივი შემოსევების გამო, საქართველოც ყველა მხრიდან მტრულ ალყაში აღმოჩნდა, ისე, რომ შავ ზღვასაც კი თურქულ ზღვად მოიხსენებდნენ. საქართველო საუკუნეების განმავლობაში ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრესავით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და ებრძოდა რიცხოვნობით ჭარბ და უძლიერეს დამპყრობლებს. ბაგრატიონები ხშირად ცვლიდნენ ტაქტიკას, ხან იარაღით ხელში იბრძოდნენ, ხან დათმობაზე მიდიოდნენ მშვიდობის შესანარჩუნებლად, ზოგჯერ მტერს გარეგნულად ემორჩილებოდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი ჯანყდებოდნენ, მაგრამ ყოველთვის ერთი განზრახვა ამოძრავებდათ – მტრები ქვეყნიდან რაც შეიძლება შორს შეეჩერებინათ. მრავალი თვალსაზრისით, ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, შეექმნათ და დაემკვიდრებინათ ღირებულებები, რომელიც ქვეყანას გამოადგებოდა. მთელ XVI-XVII საუკუნეებში სასანიანთა სპარსეთი ვერ შეინარჩუნებდა თავის ძლიერებას და ვერც მისი მართვა იქნებოდა შესაძლებელი ქართული ელემენტის მონაწილეობის გარეშე, რაშიც ბაგრატიონები წამყვან როლს თამაშობდნენ. თავისი დროის დიდი პოლიტიკოსი იყო მეფე ვახტანგ V (1658-1676), სპარსეთში შაჰ-ნავაზად წოდებული.[40] ის 1653 წელს შაჰ-აბას II-ის კარზე იმყოფებოდა. მოგვიანებით მან ძალაუფლება თავის ვაჟს, შაჰ სულეიმანს გადასცა. ბაგრატიონები სპარსეთის იმპერიის სტრატეგიული პროვინციების, მაგალითად: ავღანეთის, უპირველესად კი თვით სპარსეთის დედაქალაქის გუბერნატორები იყვნენ. სახელგანთქმული მეფეები იყვნენ გიორგი XI, იგივე გურგენ-ხანი და ქაიხოსრო, იგივე ხოსრო-ხანი, რომელთაც შაჰი არაერთხელ დაუცავთ ავღანელი შეთქმულებისაგან და ცხარე ბრძოლებში გაუმარჯვიათ კიდეც. მაგრამ სპარსეთის სამეფო კარის უუნარობის გამო, ამბოხი ავღანეთში შაჰისთვის და სპარსეთისთვისაც კატასტროფულად დამთავრდა. გურგენი, ხოსრო და როსტომი, სამი ბაგრატიონი, მედგრად იბრძოდნენ და სპარსელების მიერ დაშვებულ

39 იქვე. გვ. 644-649.

40 C h. Picault, Historie des révolutions de Perse I, გვ. 118-170, 214-262; J. Malcolm, Hist. of Persia I, გვ. 601-618; Krusinksi, Historie de la derniére révolution de Perse, გვ. 169-დან., 300-387, II. გვ. 62- დან.; W.E.D. Allen, l.c. 176; Brosset, Historie II, T.1, 70-81.

შეცდომებს შეეწირნენ (1709-1722). მაშინ სპარსელებმა დახმარების თხოვნით მიმართეს ვახტანგ VI-ს და მას ოქროს მთებს შეჰპირდნენ; ფიქრობდნენ, რომ თუ ვახტანგი ავღანელების წინააღმდეგ დაიძვრებოდა, სპარსეთი გადარჩებოდა. როგორც კი ხმა გავარდა ქართველები დაიძრნენო, ავღანელებმა უკან დაიხიეს. ვახტანგ VI-მ[41] დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა, როდესაც რუსეთის ზეგავლენის ქვეშ მოექცა და საუკეთესო მომენტი ხელიდან გაუშვა. მას სპარსელების დახმარების საფასურად საკუთარი თავისა და სამეფოს დაცვის შესაძლებლობები და გარანტიები შეეძლო მიეღო, როგორც მოიქცა ერთხელ დავით დიდი კურაპალატი, როდესაც ის მსგავს შემთხვევაში ბიზანტიას დაეხმარა და ამგვარად, თავისი სამეფო კიდევ უფრო განავრცო და გააძლიერა. ამ დროს ვახტანგ VI უკვე რუსული პოლიტიკის ჩრდილქვეშ იყო მოქცეული. მაშინ გადაწყდა საქართველოს ბედი, 100 წლის შემდეგ კი საქართველოს თავისუფლებას საბოლოოდ დაესვა წერტილი.

მე-18 საუკუნეშიც დინასტიამ კიდევ ერთი ბწყინვალე პიროვნება ერეკლე II შვა და გამოზარდა. ჯერ კიდევ ყმაწვილმა კაცმა ნადირ-შაჰთან ერთად გაილაშქრა ინდოეთში; გამარჯვებებმა და წარმატებებმა მისი სახელი დაუკავშირა ლეგენდას, თითქოს ის ინკოგნიტოდ პრუსიაში, ფრიდრიხ დიდთან აღიზარდა და მოაწყო წარმატებული ლაშქრობა მარია ტერეზას წინააღმდეგ.[42] ევროპაში მის საგმირო საქმეებზე ყვებოდნენ (თითქოს მან დაიპყრო სპარსეთი, დაიკავა ისპაჰანი და იქ ხალხს სიტყვით მიმართა), რაც უმეტესწილად გადაჭარბებული იყო. მაგრამ ფაქტია, რომ ერეკლე II-მ სრულიად კავკასიის ხალხები კასპიის ზღვამდე და დარიალის ხეობიდან ჩრდილოეთში ნახჭევანამდე დაიპყრო და მათ ხარკი დაადო. მან ასევე აიღო ერევანი და ერევნის პროვინცია (სომხეთი), განჯა და განჯის პროვინცია (აზერბაიჯანი) და მათაც ხარკის გადახდა დააკისრა. იგი წარმატებით აწარმოებდა ბრძოლებს სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ. მისი, როგორც მოღვაწის მნიშვნელობაზე საუბრობს ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე J. Hanway[43] და მის დასახასიათებლად ამბობს, რომ ის იქნებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი პრეტენდენტი იმდროინდელი სპარსეთის ვაკა-

41 ვ. ავალოვ. присоединение Грузии к России; П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, I, გვ. 15-17, 19-დან.

42 ანონიმური ხელნაწერი ქართველი უფლისწულის შესახებ, Heraclius in Caucasica, VI, (1930), 20-40; Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und des gegenwaertigen Zustandes von Georgien, Flensburg-Leipzig, 1793. Butkov, ib.

43 Hanway, A Historical account of the Britisch Trade over the Caspian Sea, (1764), 459.

ნტურ ტახტზე. მაგრამ „ვინაიდან ქართველები ძალიან მამაცი ხალხია, რუსეთის დახმარებით მათ გაუჩნდებოდათ შესაძლებლობა და უნარი, უფრო დიდი მიზნები დაესახათ და განეხორციელებინათ, ვიდრე დღეს ეს მსოფლიოს წარმოუდგენია". Hanway-ის მიერ წინა აზიაში შექმნილი ვითარების ამგვარი შეფასება ეყრდნობოდა ცოდნასა და მის მრავალწლიან გამოცდილებას. რუსი იმპერატორები ამ დროს სულ სხვაგვარად იქცეოდნენ. რუსეთი ცდილობდა, მიახლოებოდა კავკასიას უკვე მე-18 საუკუნის დასაწყისიდან; ბაგრატიონები ცდილობდნენ ეს ვითარება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, მაგრამ რუსებმა თვითონ გამოიყენეს ისინი. პეტრე დიდსაც სურდა სპარსეთის გავლით გზა გაეკვლია ინდოეთისკენ. 1722 წელს საქართველომ მას დახმარების თხოვნით მიმართა. ვახტანგ VI-მ 1722 წლის 6 სექტემბერს შეატყობინა, რომ ის მოლაპარაკებების შესაბამისად მზად იყო შესახვედრად. მაგრამ 1722 წლის 7 სექტემბერს რუსეთის მეფე მოულოდნელად უკან, რუსეთში დაბრუნდა (სენატში მომხდარი არეულობისა და თურქების მუქარანარევი ქცევების გამო) და ქართველები გასაჭირში მიატოვა. ეს მათ ურიცხვ მსხვერპლად, მეფეს კი ტახტისა და სამშობლოს დაკარგვად დაუჯდა: ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთში გადახვეწილიყო.[44]

1768 წელს რუსეთმა ერეკლესგან თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება მოითხოვა; რუსეთის ჯარს ქართველებთან ერთად უნდა ებრძოლა. ერეკლე II-მ ეს თხოვნა შეასრულა, რუსებმა კი ასპინძა-აწყურთან ბრძოლის დაწყებამდე მიატოვეს ბრძოლის ველი და უკან გაბრუნდნენ. ერეკლემ მაინც გაიმარჯვა.

მოგვიანებით მოვიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც რუსებს საერთოდ უნდა დაეტოვებინათ საქართველო. თურქებს და სპარსელებს ხელ-ფეხი გაეხსნათ, თუმცა ერეკლემ სპარსელებს დიპლომატიურად მოუგო, თურქები კი ბაიაზეთთან გაანადგურა.[45]

1783 წელს რუსეთთან დადებული ტრაქტატი იყო ხელშეკრულება პროტექტორატის შექმნის თაობაზე, რომელიც დაფუძნებული იყო

---

44 С. Соловев, История России. Кн. 18. თავი 1 და შემდგომი; Бутков, I, 10166; Brosset, Historie de la Georgie. II, 1, გვ. 109-დან, 577-დან., Brosset, Notice history. Sur les 3 dernieres annees du regne de Wakhtang VI et sur son arrive en Russie d'apres des documents authentiques, 321-345, 353-376, Bull. De la clase des sciences history., philol. et polit. III, № 10, 11, 12.

45 N. Dubrovin, Georgij XII (გიორგიXII), 22-30; W.E.D. Allen, i.c. 197-205; ა. ცაგარელი, რუსეთ-კავკასიის ურთიერთობები მე-16-18 სს. საუნივერსიტეტო სიტყვა, პეტერბურგი, 1891.

ორმხრივ „მოკავშირეობაზე“, რომლის თანახმადაც რუსეთი პასუხისმგებლობას იღებდა, საქართველოსთვის სათანადო დახმარება აღმოეჩინა; მაგრამ როდესაც 1795 წელს აღა მაჰმად-ხანი საქართველოს დასალაშქრად გამოემართა, ერეკლე II-მ ხელშეკრულების საფუძველზე დროულად და განმეორებით სთხოვა რუსეთს დახმარებოდა ან ხელშეკრულება გაეუქმებინათ, მან დახმარება ვერ მიიღო. ქართველებმა სპარსელების ავანგარდს სერიოზული დარტყმა მიაყენეს. სამი დღე გრძელდებოდა ბრძოლა თბილისის კარიბჭეებთან, მთელი დღე გრძელდებოდა ბოლო, გააფთრებული შეტაკება, ბრძოლის ბედი კი არ წყდებოდა. როდესაც მტრის რიცხოვნობით გატეხილი ქართველები შედრკნენ, ჭაღარა მეფემ დიდი ძალისხმევით შეძლო 300 მებრძოლთან ერთად ბრძოლიდან სამშვიდობოს გაეღწია, რათა საკუთარი თვალით არ ენახა სამარცხვინო დამარცხება. დედაქალაქი საშინლად დაინგრა და განადგურდა, ათასობით ადამიანი ტყვედ წაასხეს. ერეკლემ რუსეთს მილიონი რუბლი სთხოვა სესხად ქალაქის აღსადგენად, მაგრამ მისი თხოვნა უპასუხო დარჩა. 1776 წელს ეკატერინე II-მ რუსეთის სავაჭრო ინტერესების ხელყოფისთვის სპარსეთს ომი გამოუცხადა, რაშიც მას ქართველებიც უნდა დახმარებოდნენ. ერეკლემ მობილიზაცია გამოაცხადა და საომრად გაემართა. ამასობაში კი იმპერატრიცა გარდაიცვალა, ომი გაჩაღდა და ქართველები კვლავ მარტონი დარჩნენ მტრის წინაშე. აღა მაჰმად-ხანს სურდა საქართველო საბოლოოდ გაენადგურებინა, თუმცა ვიდრე თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, იგი მოკლეს. რუსთა მეფეების პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ მათ საკუთარ ინტერესებს იყო მორგებული, რაც ბაგრატიონთათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

დადგა დინასტიის აღსასრული. ერეკლე II-ის შემდეგ ქვეყანას მისი ავადმყოფი შვილი გიორგი XII მართავდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატიონების ოჯახის წევრები ძალით განდევნეს საქართველოდან, ხოლო ქვეყანა, დადებული ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ, ანექსირებულ იქნა. ბაგრატიონები საბოლოოდ განდევნეს საქართველოდან და რუსეთში გადაასახლეს, სადაც მათ გვარები, ნაწილობრივ, რუსულ ყაიდაზე გადაუკეთეს. დინასტიის აღმოსავლეთის შტოს (განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის შთამომავლებს) წარმომადგენლებს „გრუზინსკებად“, ხოლო დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა შთამომავლებს „იმერეტინსკებად“ მოიხსენიებდნენ. დასავლეთ საქართველოს მეფე სოლომონ II, 1810 წელს მისთვის საძულველ თურქეთში გაიქცა,


სადაც 1815 წელს ტრაპიზონში გარდაიცვალა.

უკანასკნელი ცნობილი ბაგრატიონი რუსეთის სამსახურში იდგა. ეს გახლდათ პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, 1812 წლის ომის უპოპულარულესი გენერალი, რომელმაც ნაპოლეონს პირველმა მიაყენა დარტყმა ბოროდინოსთან, ბოლოს კი თვითონაც ბრძოლის ველზე დაეცა. სიტყვათა თამაშში მის გვარს არმიაში ასე განმარტავდნენ: ბოგ-რატი-ონ [ის (არის) ჯარის ღმერთი]. იგი გახლდათ საქართველოს მეფის – იესეს (1772) შვილიშვილი. ბოროდინოსთან დაეცა აგრეთვე მეორე პეტრე ბაგრატიონი, მეფე ბაქარის შვილი და ვახტანგ VI-ის შვილიშვილი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთში წავიდა ემიგრაციაში. იმავე ბრძოლაში მონაწილეობდა და ბედმა დაინდო ილია ბაგრატიონი, საქართველოს ბოლო მეფის – გიორგი XII-ის შვილი. ის მხოლოდ 17 წლის იყო და კადეტთა კორპუსი ახალდამთავრებული ჰქონდა.[46]

მოსკოვიდან იერუსალიმამდე, ინდოეთიდან დუნაიმდე და კიევამდე ვრცელდებოდა ბაგრატიონთა კავშირები და სამოღვაწეო სფეროები, რომელთა ისტორიაც არა მარტო ქართულ-კავკასიური, არამედ, საერთოდ, აღმოსავლეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლავთ.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბაგრატიონების (ბაგრატიდების) დროშა ძველი კავკასიური სიმბოლო, მწვანე ფონზე ამოვარვარებული ცეცხლის თეთრი ალი იყო (Brosset, Additions et Eclaircissements, 214).

46 მეფე იესეს სხვა შვილიშვილი, უფლისწული კირილე, პრინც ალექსანდრეს ვაჟი, სენატორი იყო რუსეთში. Р. Г. Бутков. Материали для новой истории Кавказа в 1722 по 1803 год, I, 137; ქართველი უფლისწული დავითი (ტახტის მემკვიდრე და ბოლო მეფის გიორგი XII-ის ვაჟი) თავის ნაშრომში: მასალები საქართველოს ისტორიისათვის ბაგრატიონების შესახებაც წერს. გვ. 110.



VI

ქართული ეპიკური პოემა
ვეფხისტყაოსანი

ქართული ეპიკური პოემა ვეფხისტყაოსანი[1/2]

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ერთმანეთს შეუდაროს რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი შუმერული ეპოსი – „გილგამეში“. მართალია, ისინი შინაარსობრივად ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მრავლად მოეპოვებათ შეხების წერტილებიც.

როგორც ერთი, ისე მეორე ეპიკური პოემის მთავარი გმირები დაეძებენ ბედნიერებას თავიანთი მშობლიური მიწისაგან მოშორებით. მათ არ აკმაყოფილებთ არსებული და ადვილად მისაწვდომი, ამიტომ მიემგზავრებიან უკეთესის, უფრო დიდისა და დიადის საძებნელად. ეპოსის დასაწყისში გილგამეში დაეძებს სახელსა და დიდებას, მიდის რა ხუმბაბასთან საბრძოლველად. იგი აღწევს მიზანს, ამარცხებს ხუმბაბას, კლავს მას და გამარჯვებული ბრუნდება ურუქს. ჩამოსვლისთანავე, თავისი მეგობრის სიკვდილთან ერთად, გილგამეშს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაჭრის მწველი სურვილი შეიპყრობს: ამჯერად იგი მიემგზავრება უკდავების საძებნელად; აღწევს კიდეც მიზანს – მოიპოვებს უკვდავების ბალახს, რომელსაც მაშინვე კარგავს.

ამ მოთხრობის მეორე ნაწილი „ვეფხისტყაოსანში“ არ არის მოცემული. ამის სანაცვლოდ მწერალი გვიჩვენებს, რომ მისი გმირების მიზანი სხვა არაფერია, თუ არა მიწიერი ბედნიერების მიღწევა – სიყვარულის კეთილად დაბოლოება და სატრფოსთან სასურველი შეერთება. ამ ორ ეპიკურ პოემას შორის ძევს კაცობრიობის კულტურული განვითარების

---

1 წინამდებარე სტატია, დაბეჭდილი ლონდონში, ჟურნალ „გეორგიკას“ 1936 წლის ოქტომბრის ნომერში, ინგლისში შემოქმედებითი მივლინებიდან ჩამოიტანა და ქართულ-საზღვარგარეთული ურთიერთობების ლაბორატორიის არქივს გადასცა ამავე ლაბორატორიის თანამშრომელმა, დოცენტმა მარიკა ოძელმა. აეტორი სტატიისა არის ქართველი ემიგრანტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ტიტე მარგველაშვილი. ალბათ, 30-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური მოსაზრებებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ნაშრომი ნაკლებად იყო ცნობილი მკვლევართა ფართო წრეებისათვის. იგი არ შესულა ისეთ ფუნდამენტალურ მრავალტომეულშიც კი, როგორიც გახლავთ „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“. ვფიქრობთ, აღნიშნული სტატია დააინტერესებს ქართველ რუსთველოლოგთა ფართო აუდიტორიას (მთარგმნელის შენიშვნა).

2 ქართული თარგმანი (მთარგმნელი მაკა ელბაქიძე) პირველად დაიბეჭდა: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ლიტერატურათმცოდნეობა; 1997 წ. გვ. 157-164.

სამ- ან ოთხიათასწლოვანი ინტერვალი, ამიტომ ცხადია, უკვდავების ბალახის მოტივი ძალზე პრიმიტიული იქნებოდა მაღალი ინტელექტისა და ფილოსოფიური განათლების მქონე მწერლისთვის. რაც შეეხება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას, ის ამომწურავად არის განხილული „ვეფხისტყაოსანში“:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“[3]

იხ. ასევე 940-ე, 1583-ე, 1586-, 1201-ე სტროფები.

გილგამეში არის უფლისწული, მმართველი, იგივე მეფე ურუქისა, წინამძღოლი ხალხისა, რომელსაც იგი მართავს. მაღალი კედლებით შემოზღუდული ურუქი ემორჩილება მის აბსოლუტურ ხელისუფლებას. ავთანდილიც და ტარიელიც მბრძანებელნი, მეფეთა ვაჟიშვილები არიან. უნდა ითქვას, რომ მმართველის აბსოლუტურ ძალაუფლებაზე „ვეფხისტყაოსანში“ უკეთ გვექმნება წარმოდგენა, ვიდრე გილგამეშის ეპოსში.

როგორც გილგამეშია გამორჩეული თავის ქალაქში ფიზიკური სიმშვენიერით, ისე ავთანდილიც და ტარიელიც ბრწყინავენ სილამაზით. გილგამეში ასხივებს სილამაზეს და ბრწყინვალებით ღმერთებს ემსგავსება. მას ხომ „ორი მესამედი წილი ღვთიური აქვს, ერთი მესამედი „კაცური“. გილგამეში ზებუნებრივი ძალის მქონე არსებას, ზეციურ ცეცხლისმფრქვეველ მოზვერს ჰგავს. „ვეფხისტყაოსანშიც“ გმირები შედარებულნი ან იდენტიფიცირებულნი არიან უმაღლეს და უზენაეს ძალებთან, თუმცა რუსთველი, ეპოქის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ირჩევს ციურ სხეულებს, პლანეტებს, და თავის გმირებს მათ უდარებს („ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა სხვადასხვა რისად ვთქვი მე რად“, 278).

ტირილი. გილგამეშის ეპოსში ტირილი ჩვეულებრივი მოვლენაა. ენქიდუ ძალზე ხშირად ტირის. გილგამეშიც, მიუხედავად იმისა, რომ ორი მესამედით ღმერთია და ერთი მესამედით კაცი, ხშირად ღვრის ცრემლებს და განუწყვეტლივ მოსთქვამს. ტირილი ძალზე დამახასიათებელი მოვლენაა ქართული პოემისთვისაც. არა მხოლოდ ჩვეულებრივი პერსონაჟები, არამედ ისეთი საკაცობრიო მნიშვნელობის გმირებიც კი, რო-

3 ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან (რედ. ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი).

გორიც ავთანდილი და ტარიელია, ძალზე ადვილად იწყებენ ტირილს.

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა...
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“. (83)

„მუნ ეძებს, ცრემლი მტირალსა სდის ზღვითა შესართავისა“ (179)
იხ. ასევე 86-ე, 87-ე, 172-ე, 282-283-ე სტროფები.

ტარიელი ტირის და მოსთქვამს დაუსრულებლად, სატრფოს ყოველ მოგონებაზე, მეგობრებთან შეყრისა თუ გაყრის დროს. უნდა ითქვას, რომ სწორედ ტირილის მოტივით უკავშირდება ქართული ეპიკური პოემა ყველა დროის უძველეს პოემებს – „გილგამეშს“, „ილიადას“, “ოდისეას“ და სხვ.

მეგობრობა. გილგამეშის ეპოსს საფუძვლად უდევს პრინციპი მეგობრობისა. ენქიდუსა და გილგამეშს სტანჯავთ მეგობრობის გრძნობა, ვიდრე არ შეხვდებიან ერთმანეთს. ენქიდუს წუხილი მეგობრობისათვის განსაკუთრებით მტანჯველი ხდება მას შემდეგ, რაც იგი კარგავს უბიწოებას და, შესაბამისად, ცხოველთა სიყვარულის უფლებას და მათი დახმარების იმედს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ პრინციპი მეგობრობისა მიჩნეულია უძლიერესად და უმტკიცესად მთელს ეპოსში. იმ პერიოდში, როდესაც ეს ეპოსი შეიქმნა, მეგობრობა გახლდათ ხალხის ტრადიციებში მყარად ფესვგადგმული პრინციპი. ენქიდუ იტვირთავს მეგობრის მოვალეობას – ყოველგვარი ხიფათისაგან გილგამეშის დაცვას. ამიტომაც იგი პირველი გაეშურება ხუმბაბას სამეფოსაკენ მიმავალ გზაზე და თავისი საქციელით იხდის მეგობრის წმიდათაწმიდა ვალს. ამრიგად, აქედან ნათელი ხდება, თუ როგორი საყოველთაო ხასიათი ჰქონდა ამ ჩვეულებას ძვ. წ. III ათასწლეულში.

ახლა კი ქართული პოემა განვიხილოთ:

ავთანდილი ძმობას ეფიცება ტარიელს (სტრ. 655-575).
ტარიელი ძმობას ეფიცება ავთანდილს (სტრ. 658-659).

იხ. ასევე 663-ე, 724-ე, 839, 844-ე, 851-ე, 852-ე, 990-ე, 1012-ე, 1260-ე სტრ.

„ვეფხისტყაოსანში“ მეგობრობა კულმინაციურ წერტილს აღწევს მაშინ, როდესაც ავთანდილი ტარიელისადმი მეგობრობის გრძნობას აყენებს სიყვარულზე მაღლა და იწყებს, ტარიელთან და ნესტანთან ერთად, ინდოეთში გამგზავრებისათვის მზადებას. მხოლოდ ძმადნაფიც-

თა დაჟინებული ხვეწნა-მუდარის შემდგომ გადაიფიქრებს გამგზავრებას ავთანდილი და ბრუნდება თინათინთან. პოემაში უხვად გვხვდება პასაჟები, სადაც წმინდა პრინციპი ძმადნაფიცობისა უფრო წინ დგას, ვიდრე ქალისადმი სიყვარულის გრძნობა. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ ნაჩვენებია არაერთი ნიმუში მეგობრული ურთიერთობისა, რაც ხასიათდება აბსოლუტური თანადგომით, სრული თავდადებითა და სიკვდილამდე ერთგულებით. მეგობარი გათანაბრებულია ძმასთან. იგი უფრო მეტიცაა, ვიდრე ძმა.

ძმადნაფიცობის ინსტიტუტი ღრმად არის ფესვგადგმული კავკასიელ ხალხთა წიაღში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შორის. ბავშვებს აქ ჩვილობიდან ძუძუმტეებად ზრდიან და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ამ წმიდათაწმიდა ადათს ხელეწიფება წოდებრივი ბარიერის გადალახვა. თავადს, თვით ყველაზე უფრო წარჩინებულსაც კი, შეუძლია ძუძუმტედ აიყვანოს უღარიბესი გლეხის შვილი (ამგვარ ურთიერთობათა არსებობა ყველაზე ნათლად ჩანს XI-XII საუკუნეების ქართულ ეპიკურ პოემაში. და არა მარტო აქ. აღნიშნული წეს-ჩვეულების შესანიშნავი დადასტურებაა XIX საუკუნის მთელი ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი ეთნოგრაფიის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები ალექსანდრე ყაზბეგისა).

აღნიშნულ ჩვეულებას იცნობს დასავლეთ აზიაც, იცნობს ჰომეროსიც (აქილევსი და პატროკლე) და წინარე-ჰომეროსული ეპოქაც (ორესტე და პილონი, თეზევსი და პერითოსი). მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ეს ჩვეულება, ეს ადათი ჩანს ყველა ისტორიულ დოკუმენტში, რომელიც კი მომდინარეობს პონტოს კულტურის არეალიდან და პირდაპირ კავშირშია ხეთებთან. ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კავკასიის არეალის მოსახლეობასთან, ვინაიდან მათ ქვეყანას მეზობლური ურთიერთობები ჰქონდა კავკასიასთან.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ისტორიულად მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, დადებული ძვ. წ. 1272 წელს ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის, გვიჩვენებს ძმობისა და მეგობრობის იმავე პრინციპებს, რომელსაც ვხედავთ „გილგამეშსა“ და „ვეფხისტყაოსანში“. ს. ლანგდონი აღნიშნავდა, რომ ფრაზა „მშვიდობა და მეგობრობა“, რომელიც უცხო გახლდათ ეგვიპტური ენისათვის, მეტად დამახასიათებელი იყო სწორედ ხეთური ტრადიციებისათვის. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში ნათლად ჩანს

ხაზგასმა „ძმობასა და მეგობრობაზე“, რომლის პრეამბულაშიც სიტყვა „ძმობა“ იხსენიება ოთხჯერ, მესამე პარაგრაფში - ათჯერ, მეხუთე პარაგრაფში – ორჯერ, ხოლო მერვე და მეცხრე პარაგრაფებში - სამჯერ. ამ დოკუმენტის მიხედვით, სწორედ ძმობა არის საფუძველი ხელშეკრულებისა, ხოლო სიტყვა „ძმა“ კი გახლავთ კვალიფიკაცია ამ ხელშეკრულებათა ნაწილებისა. დოკუმენტის მიხედვით, ხეთების მეფე ამყარებს კეთილ ძმობას ეგვიპტის მეფესთან და ამიერიდან მას „ძმას“ უწოდებს.

ჩვენ განზრახ გავამახვილეთ ყურადღება აღნიშნული ინსტიტუტის არსებობაზე დასავლეთ აზიაში და მის საყოველთაო შესრულებაზე ხეთების მიერ. აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საკმაოდ ცნობილი კორესპონდენცია ორი ქვეყნის, ეგვიპტისა და ხეთთა ქვეყნის დედოფლებისა. ამ წერილებშიც აღნიშნული მეფეები, თანახმად ხელშეკრულებისა, მოხსენებულნი არიან „ძმებად“ და არაერთხელ ხდება აქცენტირება მათ ძმობასა და მეგობრობაზე. შესაბამისად, დედოფლები იწოდებიან „დებად“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კორესპონდენცია ასახავს მოვალეობისა და ერთგულების კონცეფციას, რომელიც გახლდათ ღრმად ფესვგადგმული და მტკიცედ აღბეჭდილი ხალხის მეხსიერებაში. იგივე შეიძლება ითქვას შემდგომი პერიოდის დოკუმენტთა შესახებაც, რომლებიც შექმნილია ხეთურ მცირე აზიაში და რომლებიც განკუთვნილია ხეთთა ქვეყნისგან ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოების მმართველთათვის.

პატივმოყვარეობა, რომელსაც ეძიებს გმირი, სახელგანთქმულებისა და ღირსების შემდეგ გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი მოტივი „ვეფხისტყაოსნისა“ და „გილგამეშისა“. ორივე ნაწარმოები უმღერის გმირის სახელმოხვეჭილობას და ხოტბას ასხამს მის პატივმოყვარეობას.

გილგამეში მიდის ხუმბაბასთან შესახვედრად, რათა მოიხვეჭოს გმირის დიდება. დამარცხების შემთხვევაში ის თანახმაა, შეერქვას ძლიერ ხუბაბასთან ბრძოლაში დაცემულის სახელი. ამით ის სამარადისო დიდებასა და პატივს დაიმკვიდრებს. ეს კი გილგამეშისათვის გახლავთ მძლავრი სტიმული უკვდავების ბალახის მოსაპოვებლად, რის შემდეგაც იგი ისწრაფვის ურუქს, რათა თანამემამულეთა შორის განიმტკიცოს გმირის სახელი.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ვხედავთ აღნიშნული მოტივის კლასიკურ ნიმუშებს:

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“ (790)
„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ (791)

თუმცა, ამ შემთხვევაში ციტატები არც არის საჭირო, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ საგმირო პოემაა, გმირთა სადიდებელია, რომლის მთელი კონსტრუქცია ღირსებისა და სახელის მოხვეჭის პრინციპებს ეფუძნება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს ჰეროიკული სული და გრძნობები აღმოცენებულია გარკვეული ცივილიზაციის წიაღში, რომლის გავრცელების არეალიც იყო მცირე აზია და რომ გმირთა სახელები და მათი ქმედებანი ორგანულ კავშირშია წინარე სემიტურ, წინარე ინდოევროპულ ცივილიზაციებთან. ეს გახლავთ „მატრიარქალური“ ცივილიზაცია, რომელიც იყო ერთგვარი „შემოქმედი“ ჰეროიზმისა და „წარმომშობი“ სახელგანთქმულ გმირთა მოდგმისა. სწორედ ამ ცივილიზაციის წიაღშია საგულვებელი საფუძველი საგმირო კულტისა, რომელმაც, მოგვიანებით, დაუმკვიდრა მას ურყევი ადგილი კაცობრიობის ისტორიაში.

ცხოველის ტყავის მოტივი. გილგამეშის ეპოსის გმირს, ენქიდუს, აქვს ცხოველის მსგავსი კანი; მისი მთელი სხეული ბეწვით არის დაფარული. ენქიდუს გარეგნობის ამ ნიუანსზე არაერთხელ ხდება აქცენტირება ეპოსში, რომელიც დასაწყისიდანვე ახასიათებს თავის გმირს, როგორც ტყავით შემოსილს. თავისი გარეგნული იერით ენქიდუ დაკავშირებულია ცხოველთა სამყაროსთან, ვინაიდან ნადირთა შორის ცხოვრობს ტყეებსა და მთებში, მათთან ერთად დადის დასარწყულულებლად, მიირთმევს ბალახს, იზიარებს მათ ჭირსა თუ ლხინს. მაგრამ, საკმარისია, ენქიდუმ დაკარგოს უმანკოება, ცხოველები გაურბიან მას და თავს არიდებენ მასთან ურთიერთობას. ამიერიდან ენქიდუ ეული და უბედურია, ვიდრე არ შეხვდება მეგობარს.

ქართულ ეპიკურ პოემაში გამოყენებული ცხოველის ტყავის მოტივი შეიძლება უმნიშვნელოვანესად ჩაითვალოს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. აღნიშნული მოტივი აქ თავს იჩენს ტარიელთან კავშირში:

„მას ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა ფუსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა." (84)
იხ. აგრეთვე სტრ. 264, 911.

პოეტი იმთავითვე განმარტავს, თუ რატომ ანიჭებს უპირატესობას ვეფხის ტყავს და ამ განმარტებით არა მარტო წარმოგვიდგენს თავს სიყვარულზე მომღერალ პოეტად, არამედ გვიხატავს კიდეც თავის გრძნობებს, რათა ვეფხის ტყავის მისეული ინტერპრეტაცია გასაგები გახადოს მკითხველისათვის:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული." (515)

„რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს." (648)

იხ. აგრეთვე სტრ. 896-904, რომლებშიც აღწერილია ლომ-ვეფხის შერკინება და ტარიელის ჩარევა მათ ბრძოლაში.

ეს გონებამახვილური ანალოგია, ისევე როგორც აღნიშნული მოტივის გამოყენება პოემის სხვა ეპიზოდებში, უდავოდ დიდი პოეტის კალამს ეკუთვნის. თუმცა, საკუთრივ ვეფხის ტყავის მოტივი გახლავთ მხოლოდ ერთ-ერთი უძველესი მაგალითი დასავლეთ აზიის ფოლკლორული ფანტაზიისა და ფოლკლორული პოეზიის შემოქმედებითი აქტივობისა. ამ მოტივის ძირები არ არის სპეციფიკურად ქართული (არც კავკასიური) და არც ჩვენი პოეტის საკუთრება გახლავთ.

თითქმის ყველა ფოლკლორულ წყაროსა და მცირე აზიის ტრადიციულ მოთხრობაში ღრმად არის ფესვგადგმული ვეფხის ტყავის მოტივი. ჰექტორს ჰმოსავს ვეფხის ტყავი, ჰერაკლეს – ლომისა. ქაიუმორათს – პირველ კაცსა და პირველ გმირს, ვეფხის ტყავი ამშვენებს. აზიის უძველესი გმირიც, ბესიც, შემოსილია ვეფხის ტყავით. საფიქრებელია, რომ ეგვიპტურ სამყაროში ბესი შემოტანილი უნდა იყოს აზიიდან. სიტყვა „ბესი" ნიშნავს „ვეფხის ტყავს". უნდა აღინიშნოს, რომ ვეფხის ტყავი გახლდათ არსებითი ნაწილი ქურუმთა სამოსისა. შემონახულია საკმაოდ ბევრი ფიგურა ბესისა, რომლებშიც ის წარმოდგენილია პატარა სიმაღლის კუდიან და უსიმპათიო არსებად. მას თაყვანს სცემდნენ,

როგორც ორსულთა და ბავშვების მფარველს, ხოლო მის სტატუეტებს იყენებდნენ ამულეტებად. ძვ. წ. 2500 წლისთვის ბესის სახე გამქრალა ადამიანთა წარმოდგენებში, ამიტომ მის წარმოშობას მიაწერდნენ ადრეულ ეპოქებს, გილგამეშის დრომდე.

დავუშვათ, რომ ტარიელის სატრფოს, ნესტანის, შედარება ვეფხვთან ამ უკანასკნელის სილამაზის გამო უბრალოდ პოეტური ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ჩვენს წინაშეა შესაბამისი ხასიათის პარალელები.

ანტიკური პერიოდის აზიური სამყაროს ყველა ქალღმერთი წარმოდგენილია როგორც ფეხზე მდგომი ან წამომჯდარი ვეფხი ან ლომი. იგივე სურათს ვაწყდებით ხეთურ აღწერილობებშიც. ის ფაქტიც, რომ აღნიშნული გამოსახულებანი წარმოგვიდგენენ ქალღმერთებს - ნანას, ღმერთთა დიდებულ დედას, არინას და სხვებს, მიუთითებს ორი კულტის, ქალღმერთთა და ცხოველთა კულტის, თანაარსებობასა და კავშირზე.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძვ. წ. 3000 წლიდან 1000 წლამდე პერიოდში და ცოტა მოგვიანებითაც ეს ცხოველები ხეთებისა და მათი მონათესავე ცივილიზაციების ხალხთა აზროვნებაში უკავშირდებოდნენ ღმერთებს; სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, რა სახის კავშირი არსებობდა მათ შორის, მაგრამ, ამავე დროს შეუძლებელია, ამ კავშირს რაიმე კვალი არ დაეტოვებინა მცირე აზიელი ხალხის ფოლკლორში, თეოგონიასა და მითოლოგიაში, მით უფრო, რომ მასზე ნათლად მეტყველებს არქეოლოგიური აღმოჩენებიც.

ქართული ეპიკური პოემის შესაბამისი მოტივის ძირები ისეთივე სიღრმეებს აღწევს, როგორსაც წინარე ინდოევროპული და წინარე სემიტური კულტურული ფენა. ის ფაქტი, რომ მეფეთმეფე თამარი, ვისაც ეძღვნება პოემა, ქართულ მატიანეებში შედარებულია ვეფხვთან, ზრდის ამ საკითხის მნიშვნელობას.

პროფ. მ. წერეთელი დიდ ყურადღებას აქცევდა იმ პარალელს, რომელიც არსებობს „ვეფხისტყაოსანსა“ და გილგამეშის ეპოსს შორის პლანეტათა თაყვანისცემის მოტივთან დაკავშირებით. „ვეფხისტყაოსანში“ ეს მოტივი აშკარადაა გამოკვეთილი, ვინაიდან იგი შექმნილია ახ. წ. 1204 წელს, ძლიერ ქრისტიანულ-ორთოდოქსალურ ნიადაგზე, როდესაც რელიგია თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იდგა ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების სამსახურში.

პლანეტათა თაყვანისცემის მოტივის არსებობას „ვეფხისტყაოსან-

ში“ გამოჰყავს რუსთაველის ქმნილება შუა საუკუნეების ქრისტიანულ-დოგმატური ჩარჩოებიდან და პირდაპირ მიჰყავს მცირე აზიის უძველეს კულტურულ კონცეფციებთან.

საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი რუსთაველის ეპოქის საქართველოში მიჩნეული იყო უცხოდ და უცნაურად. ამას მოწმობს პოემის 1585-ე სტროფი:

„დავითის ქნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.“

„ვეფხისტყაოსანსა“ და გილგამეშის ეპოსს შორის პარალელთა დაძებნა შესაძლებელია არა მხოლოდ ცალკეულ მოტივთა შორის, არამედ უამრავ სურათსა თუ პოეტურად ჩამოყალიბებულ ეპიზოდს შორისაც.

ენქიდუ ბუნების შვილია, ცხოვრობს ტყეებში, ხეობებსა თუ მინდვრებში, ემეგობრება ცხოველებს. ამით ის დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ველად გაჭრილ ტარიელთან (იხ. სტრ. 642, 645, 646, 647, 269, 649).

ენქიდუს ერთადერთი მრჩეველი და მეგობარი ტყეში არის ქალი, რომელიც შეახვედრებს ენქიდუსა და გილგამეშს და ხელს შეუწყობს გმირთა დამეგობრებას. იგივე სურათს ვაწყდებით „ვეფხისტყაოსანშიც“. ასმათი ერთადერთი მრჩეველი და მეგობარია ველად გაჭრილი ტარიელისა. შამხათის მსგავსად, ისიც ხელს უწყობს ავთანდილისა და ტარიელის დამეგობრებას. ორივე ქალის ფუნქციაა, ხელი შეუწყონ გმირთა შეხვედრასა და დაძმობილებას. ეს უკანასკნელი მომენტი აგვირგვინებს ორივე ეპიკური პოემის ძირითად ნაწილს – შამხათი სიყვარულს აღძრავს ენქიდუს გულში, ასმათი კი გახლავთ ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის მაცნე და მაუწყებელი.

მოვიტანთ კიდევ ერთ სურათს. ენქიდუ ყოველთვის ყოვნდება წყლის პირას, როდესაც იქ მონადირეს აწყდება. ეს უკანასკნელი დგას ხოლმე დასარწყულულებელი ადგილის საპირისპირო მხარეს. იგი დამწუხრებული და შეფიქრიანებულია, სახე ჩამუქებია, გარეგნულად შორიდან მოსულ ყარიბს ჰგავს. იგი ხმამაღლა მოსთქვამს და გამოუთქმელ ტანჯვაში იმყოფება. შევადაროთ ამ სურათს „ვეფხისტყაოსნის“ 83-ე სტროფი – როსტევანი და ავთანდილი ნახულობენ ტარიელს წყლის პირას მჯდომს და ცხარე ცრემლით მტირალს. ტარიელი ჯერ

დააფრთხობს მონადირის, როსტევან მეფის, მონებს, შემდგომ კი დაამწუხრებს და დააღონებს მას. იგივე გრძნობებს განაცდევინებს ენქიდუ მონადირეს. მონადირე მეფეს ისევე აღონებს უცნობი კაცის ამბავი, როგორც გილგამეშის ეპოსის მონადირეს ენქიდუსი. ორივე მათგანი ტყეში ნადირობს, ორივე წყლის პირას შეეჯახება ცხოველის ტყავით შემოსილ უცნობს. ორივე მათგანის ფუნქცია მდგომარეობს ნაწარმოების ფაბულის აგებასა, მის შეკვრასა და მოვლენათა შემდგომი განვითარების ხელშეწყობაში. ორივე ეპიკურ პოემაში გმირთა შეხვედრას მოსდევს მათი ხანგრძლივი მოგზაურობა, ბრძოლები და თავგადასავლები.

გილგამეშის ეპოსის გმირებმა თავიანთი გმირული საქმეების დასაგვირგვინებლად უნდა მოკლან ხუმბაბა. ისინი მიეშურებიან მაღალი, საზარელი და ტყით დაბურული მთისაკენ, სადაც გახლავთ საშინელი ხუმბაბას საბრძანებელი. ხუმბაბას გამოჩენა შეიძლება შევადაროთ ეშმაკისეული მონსტრის გამოჩენა. მისი პირი ბეწვს დაუფარავს, ხმა მოვარდნილ ციკლონს მოგვაგონებს, სახე კი ეშმაკს მიუგავს. ცეცხლისმფრქვეველი ხუმბაბას კედრებს სხვა დამცველიც ჰყავს ირნინის სახით.

„ვეფხისტყაოსანშიც“ დახატულია ისეთივე მაღალი, გაუვალი და ტყით დაფარული მთა, რომელზეც აღმართულია ქაჯეთის ციხე. ციხეს იცავენ ეშმაკის სადარი მონსტრები, ქაჯები, რომელთა სახელიც ჰქვია მათ სამფლობელოს. 1287-ე და 1288-ე სტროფებში აღწერილია გილგამეშის ეპოსის მსგავსი მაღალი მთები, რომელსაც ვერ მიუდგები ვერც ბილიკით და ვერც ხიდით. საიდუმლო გვირაბი გამოუთხრიათ მთაში ეშმაკისეულ არსებებს, რომელთა გარეგნობაც ძალზე წააგავს გილგამეშის ეპოსის ხუმბაბას გარეგნობას (იხ. სტრ. 1235-1237). ხუმბაბას სუნთქვა ცეცხლოვანია, ხმა – ციკლონისებრი. „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებიც „მტერსა თვალსა დაუბრმობენ, ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ.“ ამავე დროს, ქაჯები გრძნეულებიც არიან. მათი მბრძანებელია დედოფალი დულარდუხტი. იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ქაჯთა მიერ დატყვევებული ნესტანის გათავისუფლება, პოეტს ქაჯთა დედოფალი „მიჰყავს“ თავისი დის დასაფლავებაზე დასასწრებად და, ვინაიდან დაკრძალვის ადგილამდე სახიფათო გზაა გასავლელი, თან „წარატანს“ გრძნეულების ყველანაირ საგანს. ამრიგად, შესაძლებელი ხდება ძმადნაფიცთა საბრძოლო ხელოვნების რეალიზება, რისი მეშვეობითაც ნესტანი თავს დააღწევს ქაჯთა ტყვეობას (იხ. სტრ. 1229).

ამრიგად, ლომისა და ვეფხის მოტივი დამახასიათებელია ძველი აზიური ტრადიციების, რელიგიებისა და ხელოვნებისათვის. ამიტომ, არც ერთ შემთხვევაში, ეს მოტივები არ შეიძლება იქნეს განხილულნი, როგორც საკუთრივ ქართულნი ან კავკასიურნი. პოეტს, ალბათ, ჰქონდა რაღაც გარკვეული წყარო, სადაც ლომ-ვეფხის მოტივი უხვად იყო გამოყენებული. თავიანთ გზაზე ავთანდილიც, ტარიელიც და ფრიდონიც ბეღურებივით ხოცავენ ვეფხვებსა და ლომებს, ისევე როგორც გილგამეში და ენქიდუ. ამ ტიპის ლეგენდებში მცირე აზიის, ანატოლიის, ბაბილონისა თუ ელამის ფაუნა წარმოდგენილია ბევრად უფრო ნათლად და ბუნებრივად, ვიდრე ჩვ. წ. მე-11 და მე-12 საუკუნეების კავკასიისა. აღნიშნული მსჯელობა მიმანიშნებელია იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი მოდის სადღაც სამხრეთიდან, სადაც იგი თანდათანობით ჩამოყალიბდა და მიეცა ფორმა. ვარაუდი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი არის მხოლოდ ერთი გენიოსი პოეტის შემოქმედების ნაყოფი, დაუშვებელი და მიუღებელია. სიუჟეტი რომ მართლაც რუსთაველს ეკუთვნოდეს, მაშინ პოემის ცალკეული ელემენტები და სურათები აუხსნელი და გაუგებარი იქნებოდა.

რუსთაველის პოემაში ჩვენ ვაწყდებით ზოგიერთ პასაჟსა თუ ელემენტს, რომლებიც მედეას მითს მოგვაგონებს. საყოველთაოდ ცნობილია მედეას გრძნეულება. იგი ისევე იმორჩილებს ბუნების ძალებს, როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებს ძალუძთ. მედეა გამარჯვებული გამოდის ყოველგვარ მოწინააღმდეგესთან ჭიდილში სწორედ თავისი გრძნეულების წყალობით. კოლხი მედეა ანტიკურობის უდიდესი გრძნეულის, კირკეს, ძმისწულია. მედეას ძალუძს მოხუცს ახალგაზრდობა დაუბრუნოს და სურვილისამებრ შეცვალოს ბუნების კანონები. იაზონი მხოლოდ მედეას დახმარებით ხდება კორინთოს კანონიერი მეფე. ამ გრძნეული ქალის კულტი ძალზე გავრცელებული იყო კორინთოში.

ტრადიციულად კოლხური რასა შავგვრემანთა, მუქკანიანთა რასა გახლდათ, (ჰეროდოტე მათ ეგვიპტელებს ადარებს). ანტიკური პერიოდის ყველა ლეგენდა კოლხებს იცნობს როგორც ოქროს საწმისისა და გრძნეული მედეას მიწას. იმავე გრძნეულებას ჩვენ ვხედავთ გილგამეშის ეპოსსა და „ვეფხისტყაოსანში“. 568-ე სტროფიდან ჩანს, რომ ნესტან-დარეჯანის მამიდა და აღმზრდელი, დავარი, რომელიც ქაჯეთს იყო გათხოვილი, ამ ფაქტის გამო ისე იყო გაწაფული გრძნეულების ხელოვნებაში, რომ ხელეწიფებოდა ზეციური საიდუმლოს გამოცნობა. ქაჯთა გრძნეულებაზე საუბარია სტროფებში: 1229-1231, 1235-1237, 1288.

რუსთაველის პოემაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გრძნეულება ხელეწიფება არა ჩვეულებრივ, რიგით ადამიანს, არამედ მხოლოდ ქაჯებსა და მუქკანიან არსებებს.

გრძნეული მედეა მეფის ასულია, დავარიც მეფის და გახლავთ (იხ. სტრ. 323, 567, 568). დულარდუხტიც დიდებული დედოფალია ქაჯეთისა და, ამავე დროს, ყოვლისშემძლე გრძნეულიც (იხ. სტრ. 120, 1210, 1211). მედეას მითშიც და „ვეფხისტყაოსანშიც" გრძნეული ქალები ეკუთვნიან საზოგადოების უმაღლეს ფენას. დავარი მუქკანიანია, ისევე როგორც ჯადოქრობაში გაწაფული ყველა პიროვნება „ვეფხისტყაოსანში." ერთგან დავარი საგანგებოდ არის მოხსენიებული როგორც „შავი ქალი" (სტრ. 572). უფრო მეტიც, ყველგან, სადაც კი რაიმე მინიშნებაა შავ ადამიანზე, ეს უკანასკნელი ყოველთვის გრძნეულადაა წარმოდგენილი (სტრ. 573, 618, 1265, 1285, 573, 618).

ქართული ეპიკური პოემის ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ მოტივებზე დაკვირვება გვავარაუდებინებს, რომ ამ უკანასკნელთა ცალკეული ელემენტები ეკუთვნის იმავე კულტურულ ფენას, საიდანაც მომდინარეობს მედეას მითი და, როგორც ამ უკანასკნელ ხანს გახდა ცნობილი, მისი ფესვები საგულვებელია ტროას დაცემამდე დიდი ხნით ადრე, დაახლ. ძვ. წ. II ათასწლეულში.

იმის გასარკვევად, თუ რომელ კულტურულ ფაზას ეკუთვნის ზემოთ განხილული სამი თხზულება – „ვეფხისტყაოსანი", გილგამეშის ეპოსი და მედეას მითი ერთ ფაქტორს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. სამივე თხზულებაში ქალები თამაშობენ პრინციპულ, ძალზე აქტიურ, გადამწყვეტ და წამყვან როლს მამაკაცებთან შედარებით. ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის დატოვებულია მხოლოდ აღმსრულებლის ფუნქცია.


თინათინი თვითონ უცხადებს სიყვარულს ავთანდილს და უმჟღავნებს მასზე დაქორწინების სურვილს (სტრ. 128). თინათინის მსგავსად, ნესტან-დარეჯანიც ხელში იღებს ინიციატივას და გულის კარს უღებს თავის სატრფოს (სტრ. 370, 371, 405), მაგრამ, ამასთან ერთად, თინათინიც და ნესტანიც თავდაპირველადვე ხაზს უსვამენ თავის უფლებებს (სტრ. 519-521).

იშთარიც და მედეაც პირველნი უცხადებენ სიყვარულს რჩეულებს და თავიანთ ქცევას თავისსავე საქციელით განამტკიცებენ. იშთარი ჰპირდება გილგამეშს ყოველგვარ მიწიერ ბედნიერებას, მედეა კი უზრუნველყოფს იაზონს კორინთოს სამეფო ტახტით.

ასე რომ, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე გილგამეშის ეპოსსა და მედეას მითში ქალებს ხელთ უპყრიათ აქტიური ინიციატივა. ყველგან ამ ინიციატივას თან ახლავს უდიდესი სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა, რომლის საუკეთესო გამოხატულებაც გახლავთ ქალის მიერ შედგენილი მეტად ფრთხილი და წინდახედული გეგმა (თინათინის მიერ ავთანდილის გაგზავნა უცხო მოყმის საძებნელად, ნესტანის სამიჯნუროდ დავალება – ხატაეთის დალაშქვრა! ასმათის რჩევა ავთანდილისადმი ტარიელის კეთილგანწყობის მოპოვებისა, ფატმანის მიერ ავთანდილისთვის ნესტანის ადგილსამყოფელის მიკვლევის გზების ჩვენება, იშთარის განმარტებანი გილგამეშის ხუმბაბასთან შებრძოლების წინ, ჰიოროდულეს მიერ ენქიდუს დარიგება). ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“, გილგამეშის ეპოსი და მედეას მითი შეიცავს მატრიარქალური კულტურის არსებით ნიშნებს, იმ კულტურისა, საიდანაც მომდინარეობს სამივე მოთხრობის შინაარსი.

დავუბრუნდეთ უკვე განხილულ 1585-ე სტროფს და დავსვათ კითხვა – შესაძლებელია თუ არა, რომ ქართული ეპიკური პოემის საფუძვლად აღებული იყოს უცხო ნიადაგზე ამოზრდილი ფაბულა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საესებით შესაძლებელია. წერილში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ქართულ ეპიკურ პოემას, მედეას მითსა და გილგამეშის ეპოსს აქვს კულტურულ-ისტორიულად წინარე ინდოევროპული, წინარე სემიტური ძირები. შესაძლებელია, რომ მათი წყარო იაფეტურიც იყოს და მომდინარეობდეს დასავლეთ აზიის მატრიარქალური გავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ფენიდან, რომლის გადარჩენილი შთამომავლობა დღესაც მკვიდრობს კავკასიაში. ქართული ეპიკური პოემა თავისი შინაარსით ეკუთვნის მატრიარქალურ კულტურას, შეიძლება ვივარაუდოთ იაფეტურიდან წარმოშობაც, თუმცა ამ დებულების ამომწურავად დასაბუთება შეუძლებელია.

აღმოცენებული იაფეტური კულტურის არეალიდან, ქართული პოემის ფაბულა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა სემიტთა და ინდოევროპელთა წიაღში, რათა მოგვიანებით, მემკვიდრეობით გადასცემოდა კავკასიელ იაფეტთა შტოს – ქართველებს.



VII

დანართები

ფ. მარგველაშვილის რეცენზია ალექსანდრე ბაქრაძის ნაშრომზე

"Cinquante Siécles D'Evolution Ethnique autor de la Mer Noire"

„ეთნოგრაფიულ-ი, სოციოლოგიური და ეთნოლოგიური ეტიუდები“,
ტომი პირველი, პარიზი, 1937, 177 გვერდი, სახელთა საძიებელი,
3 რუკის მონახაზი, 4 ილუსტრაცია

ავტორი მიზნად ისახავს „გამოჰყოს და დაამუშაოს ეთნოგრაფიული წარსული იმ ხალხებისა, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროებზე და მის მიდამოებში ამჟამინდელ ხალხებამდე ცხოვრობდნენ და, თუნდაც ნაწილობრივ, ჩაწვდეს ეთნოლოგიური ფენომენების შემოქმედებით კანონს ისტორიის გარიჟრაჟზე“ (გვ. 3). ეს ბოლო ამოცანა, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი დარჩა, რაც, ალბათ, მისი თავისებურებებით არის განპირობებული. პირველი საკითხი განიხილება ნიკო მარის ძველი იაფეტოლოგიური მეთოდით, რომლის მთავარი იდეებიც წიგნს საფუძვლად დაედო. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ნ. მარის ნაშრომებს, რომელთა პრინციპებიც მას თავის წიგნში მოჰყავს. გარდა ამისა, წარმმართველი შემოქმედებითი სტიმულებისათვის იგი მადლიერებით იხსენიებს ლოპატინსკის – განათლების სისტემის ყოფილ რწმუნებულს კავკასიაში, რომელიც კავკასიოლოგიის განვითარების დიდი ხელშემწყობი და მეცნატი გახლდათ. კავკასია არის მუზეუმი ხალხებისა, რომელთაც ავტორი ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობად და იქ მოგვიანებით დასახლებულ ხალხებად ჰყოფს. იგი ძველ, მკვიდრ მოსახლეობას სამ ჯგუფად ანაწილებს:

სამხრეთში: ქართველები (მეგრელები, აჭარელები, ლაზები, სვანები და ა. შ.);

ჩრდილოეთში: აფხაზები, ჩერქეზები (ადიღები);

აღმოსავლეთში: მთის მოსახლეობა თერგის მიდამოებსა და დაღესტანში, ანუ ჩეჩნები და ლეკები. თურქ-მონღოლ-თათრები დასახლდნენ აზერბაიჯანში; ესენი გათურქებული (IX-XI საუკუნეებში) ირანელები არიან; შემდეგ თურქმენები, ნოღაელები, ყუმიკები, ყარაკალპაკები, ბალყარები, ყარაჩაელები და მონღოლი ყალმუხები – უმეტესად მცირერიცხოვანი ხალხები კავკასიის ჩრდილოეთით და კასპიის ზღვის მიდამოებში.

შემდეგ ინდოგერმანული ჯგუფი: თალიშები, ბოშები, რომლე-

ბიც, სხვათა შორის, ძველი გაირანებული მოსახლეობაა; ასევე, სპარსელები, რომლებიც პატარ-პატარა ჯგუფებად არიან დაყოფილნი; შერეული ხალხები: ოსები, ქურთები, სომხები, რომლებიც კავკასიური წარმოშობის ჭარბ ნარევს ქმნიან არიული ელემენტით. „სემიტურ“ ელემენტებს ქმნიან მთის ებრაელები, თავიანთი რწმენის გარდა არაფერი სემიტური რომ არ გააჩნიათ.

ავტორი მიმოიხილავს ანთროპოლოგიურ-ეთნოლოგიური და ლინგვისტურ-არქეოლოგიური კვლევის შედეგებს ლუშანისა და სხვა მკვლევარების შეხედულებების საფუძველზე და ასაბუთებს ფაქტებს კავკასიის ძველი მოსახლეობის დიდი და მასობრივი დასახლების შესახებ ძველ დროში, როგორც შავი ზღვისა და, ნაწილობრივ, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ისე „სამხრეთ რუსეთის“ (უკრაინის) ტერიტორიაზე. იმავე „იაფეტურ“ რასას განეკუთვნებიან აგრეთვე ყარაიმელი და ყირიმელი „მთიელი თათრები“, რომელთაც გოთური სისხლი ჰქონდათ შერეული, და, ასევე, ხაზარები, მიუხედავად მოსაიზმისა [მოსეს სწავლება, იგივე იუდაიზმი – რედ.], რომელიც ხაზარებმა მხოლოდ მოგვიანებით, მე-8 საუკუნეში მიიღეს. ავტორი კავკასიელი ხალხების ბირთვად, ძირითად ნაწილად თვლის კიმერიელებს „სამხრეთ რუსეთში“ (უკრაინა); კიმერიელები კავასიურ, არაევროპულ, ჩერქეზ ხალხადაა წოდებული (აგრეთვე, უკრაინელი ხალხი, რომელსაც, უკრაინელი მკვლევარების თვალსაზრისით, კავკასიური სუბსტრატული ელემენტი უდევს საფუძვლად. შდრ. შჩერბაკივსკი, ბოროვსკი) და ეს თვალსაზრისი ახლა საყოველთაოდაა აღიარებული. მაგრამ ზოგჯერ ავტორი გადაჭარბებულ შეფასებებს აკეთებს, რაც საერთოდ ასეთი გულმოდგინებით და გარჯილობით შესრულებულ სერიოზულ ნაშრომში თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული. მესხების ქართული მოსახლეობა, აფხაზებთან ერთად (!), კავკასიელ ბასკებად არის დახასიათებული (გვ. 124), ხოლო 126-ე და 127-ე გვერდებზე ავტორი ასკვნის, მესხები ხაზარები იყვნენო! ასევე ცდება ავტორი, როდესაც მატრიარქატს გენეტიკურად კავკასიელ ხალხებს უკავშირებს, რაც მე აქ უკვე აღვნიშნე. ეს და მსგავსი შეცდომები უფრო მისი მეთოდების თავისებურებებთანაა დაკავშირებული. ავტორმა საკვლევი მასალა, განსაკუთრებით კი ძველი ლიტერატურა კეთილსინდისიერად დაამუშავა და საყურადღებო აზრები გამოთქვა. მაგრამ თუ კორესპონდენციის მეორე ვერსიას ხაზარების მეფის, იოსების, შესახებ ერთ ესპანელ

ებრაელთან დამოკიდებულებაში პირველწყაროს ღირებულება აქვს, როგორც ამას აცხადებენ, მაშინ ეს ჩემთვის გაურკვეველია. ჯერ საჭირო იყო დედნის, ორიგინალის საფუძვლიანად, გამოწვლილვით შესწავლა. მთლად სწორად ავტორი ვერც ნ. მარის წარმომავლობაზე მსჯელობს: მისი მამა იაკობი გაქართველებული შოტლანდიელი იყო, დედა კი ქართველი ჰყავდა, რომელიც გურიაში ცხოვრობდა (და არა სამეგრელოში), სადაც იაკობ მარი თავადი გურიელის უფროსი მებაღის მოვალეობას ასრულებდაო. აღსანიშნავია, რომ ავტორი (გვ. 67 და შემდეგი გვერდები) უკრაინულ ენას, უკრაინელებს, როგორც დამოუკიდებელ ხალხს, და უკრაინის განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც „უკრაინისანტოს“ იდეოლოგიას, გადაჭრით უარყოფს და მათ მხოლოდ რუსებად თვლის: უკრაინული ენა მხოლოდ დიალექტია(?!), რომელიც ყოველ რუსს ესმისო! უკრაინის ისტორია, კულტურა და ლიტერატურა რუსულადაა მიჩნეული. ეს პოლიტიკური ტენდენცია ისტორიულ ფაქტებს და უკრაინელთა თავისუფლებისათვის ბრძოლის რეალობას არ ემყარება, მათ არ შეესაბამება, მით უფრო რომ ავტორი მე-7 გვერდზე ქართველურ ხალხებს განსაკუთრებულ ხალხებად მიიჩნევს. ამავე დროს კი ისინი, როგორც ერთმანეთისადმი მიკუთვნებული ტომები, ერთ და იმავე ქართველურ ხალხად უნდა ჩაითვალოს. იგი მხოლოდ ხალხების აღწერის სრულიად ძველ მონაცემებს იყენებს კავკასიის დაკავშირებისას დონისა და ყუბანის კაზაკების „რუსულ ტერიტორიებთან“, რათა კავკასიაში რუსების უფრო დიდი პროცენტული მაჩვენებელი აღნუსხოს. იგი აკუთვნებს კიდეც კაზაკებს რუსებს, მიუხედავად იმისა, რომ კაზაკები დასაწყისიდანვე დღემდე განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებენ თავიანთი თავისუფლების მოსაპოვებლად. როგორც ანთროპოლოგიურად, ისე ენობრივად ისინი სრულიად განსხვავდებიან რუსებისაგან. მათი მისწრაფებები მიმართულია კაზაკური რესპუბლიკის შექმნისაკენ მოსკოვის და კავკასიისაგან დამოუკიდებლად. შემდეგ იგი ასევე ამტკიცებს, რომ რუსები წინანდელი რასების სინთეზია, მათ თავიანთი სუბსტრატული ელემენტების სისხლი და მემკვიდრეობა მიიღო და ახლა ისინი, კრანიომეტრული თვალსაზრისით, ჰომოგენურობას ავლენენ. ავტორის შეხედულებით, რუსების თათრებთან შერევა არ მომხდარა. თათრები კი, პირიქით, ქალების მოტაცების მეშვეობით რუსებს საკმაოდ შეერივნენ (გვ. 70-72). ეს მტკიცება ავტორის მხრიდან

ჯერ გადამოწმებას საჭიროებდა უამრავი თურქულ-თათრული სახელისა და ელემენტის გამო რუსეთში, რუსულ თავადაზნაურობაშიც კი.[1] სამაგიეროდ, ავტორი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ ჩერქეზები გადასახლდნენ რა საბოლოოდ თურქეთში, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდნენ, რადგან ოსმალები მათ შეუბრალებლად და ბოროტად ექცეოდნენ, როგორც რუსების წინააღმდეგ ბრძოლის დროს კავკასიაში, ისე თავად ოსმალეთის იმპერიაშიც კი ისე, რომ მათი ბედი სრულიადაც არ ადარდებდათ (გვ. 17). ავტორი კარგად არის ინფორმირებული კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ: მას არ გამოჰპარვია იქ დღევანდელი თურქული პროპაგანდა; 39-ე გვერდზე სრულიად სწორად არის გამახვილებული ყურადღება ორმაგ თურქულ პროპაგანდაზე. ბაქოში (აზერბაიჯანი), აღმოსავლეთ კავკასიაში, სადაც სპარსული ელემენტებია გავრცელებული, პროპაგანდას უწევენ ყველა მაჰმადიანი ადამიანის გაერთიანებას (არამაჰმადიანთა წინააღმდეგ). შავი ზღვის ტერიტორიაზე, დასავლეთ კავკასიის მთებში, სადაც მარტოოდენ სუნიტები არიან, პროპაგანდა მხოლოდ სუნიტურია. ამან ჩერქეზებში, ყაბარდოელებსა და დაღესტნელებში ერთიანობის, სოლიდაროობის გრძნობები გააღვივა.[2]

1 პროფ. დრ. Ernst Schulze, Die Mongolisierung Russlands, გვ. 52-70 // In: Archiv für Rassen – und Gesellschaftsbiologie, Bd. 20, 1928, Lehmann-Verlag, München.

2 ამასთან სრულიად გამოუსადეგარია ძველი ციფრები და გამოანგარიშებანი დღევანდელი კავკასიის მოსახლეობის შესახებ, რაც საკმაოდ ბუნდოვან სურათს იძლევა. უფრო საიმედოა Byhan-ის ნაშრომი Buschan-ის კრებულში.

რასობრივი კავშირებისა და ქართველების სიღრმაზის იდეალის შესახებ

დოქტორი ტიტუს (ტიტე) მარგველაშვილი[1]

ჟურნალში „გერმანული ფოსტა აღმოსავლეთიდან“ (DPO, მე-2 ნომერი, 1938) დაიბეჭდა სტატია „სილამაზის იდეალი ჩვენთან და აღმოსავლეთში, რუსებთან, უკრაინელებთან და ქართველებთან“. როგორც ქართველი, მე ვადასტურებ, რომ მისი ავტორი იოზეფ გაიგერი სწორად მოიქცა, როცა თქვა: „ქართველი ხალხი თავისი რასობრივ-გონებრივი არსით ახლო ნათესაობაშია ევროპელ ხალხებთან“.

სავარაუდოდ, თავდაპირველად, ენეოლითურ ხანაში კავკასიას უფრო მეტი კავშირები ჰქონდა აღმოსავლეთთან, რომელიც სხვადასხვა ხალხებით იყო აჭრელებული. იქ ცხოვრობდნენ ფერადკანიანი ხალხები, რომელთა შორის იყვნენ აგრეთვე თეთრკანიანებიც, რაც გათხრებითა და შესაბამისი გამოკვლევებითაა დადასტურებული. ამ ხანის კულტურისათვის დამახასიათებელია ქთონური (მიწასთან დაკავშირებული) რელიგია, ძირითადი მატრიარქალური ნიშნები და სპილენძის წარმოების დასაწყისი. ეს რასები ქმნიან წინააზიურ სუბსტრატს, მაგრამ, ამასთან ერთად, გარკვეულწილად ერთიანი კულტურული ტრადიციებიც ახასიათებთ. „არმენოიდული“ სახეობა ამ შერეული რასების მხოლოდ ვარიაციაა.

დაახლოებით მე-5 ათასწლეულიდან ხორციელდება ხალხთა ახალი მიგრაცია ჩრდილოეთიდან, რის შემდეგაც აღმოსავლეთში გამოკვეთილი ლითონის ხანა იწყება. ამ ხალხებს აღმოსავლეთში უმეტესწილად შეჰქონდათ კავკასიური ელემენტი, ანუ ესენი იყვნენ კავკასიელები, რომელთა მოდგმა დღესაც კავკასიაშია. ისინი წარმოადგენდნენ მეომართა კასტას, პრივილიგირებულ ფენას, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ ლითონის იარაღებით. ეს ფენა ეგვიპტეში დინასტიურ რასად ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით ძლიერად ეს რასა შუმერებში გამოიკვეთა და, როგორც ჩანს, მან სხვა ხალხებზეც საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა. ეს გავლენა ვრცელდებოდა პალესტინასა და ეგვიპტეში სამხრეთით, უკრაინაში, პოლონეთსა და სკანდინავიაში ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში და აღმოსავლეთ აზიამდე. ამ რასას

1 სტატია წარმოადგენს ავტორის ნაშრომის წინასწარ რეზიუმეს, რომელიც საზოგადოებას წარედგინება. [ავტორის შენიშვნა]

უწოდებენ: კავკასიურს, ზაგროპონტულს, იაფეტურს ან, უბრალოდ, ქართულს. ლითონის ხანის ეს რასა სრულიად განსხვავდება ენეოლითური ხანის სუბსტრატისაგან. მას მიეწერება ლითონის მაღალი ხელოვნების, მესაქონლეობისა და გუთნის კულტურის, აგრეთვე, მეთუნეობის შეტანა-გავრცელება აღმოსავლეთში. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს მართვა და სახელმწიფოებრივი ფორმების დანერგვა. ზემოაღნიშნულმა რასამ თავდაპირველად წინა აზიაში გაბატონებული მატრიარქალური კულტურა შეავიწროვა და პატრიარქალური კულტურა გაავრცელა. მას არსებითი ნათესაობა აკავშირებს არიელებთან, რაც უძველესი დროიდანვე მათთან მჭიდრო, შესაძლოა, გენეტიკურ კავშირზეც მოწმობდეს. განსაკუთრებით ქართული არისტოკრატია ითვლება „არიული სულისკვეთებით გამსჭვალულად". აღსანიშნავია, რომ ორივე რასის გადაადგილებები სხვაგან დასახლების მიზნით, როგორც ჩანს, ძველთაგანვე ერთდროულად და, თითქმის, ერთი და იმავე გზის გავლით ხორციელდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ შუა საუკუნეებიდანაც საყურადღებო პარალელის გავლება შეგვიძლია კავკასიურ გადაადგილებებთან: ჩერქეზების დინასტია და ქართველი სულთანი ეგვიპტეში; ქართული წარმოშობის წამყვანი სახელმწიფო მოღვაწეები და მხედართმთავრები თურქეთში, სპარსეთსა და განსაკუთრებით, მთელ ბიზანტიურ იმპერიაში; ქართულ-ლაზური სამონასტრო დაჯგუფებები მე-5 საუკუნიდან მთელ აღმოსავლეთში: ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე, წმინდა მიწაზე და ბალკანეთში. გადაჭარბებული არ არის, როცა აღმოსავლეთში კავკასიური ტომებისა და ქართველი ხალხის როლს დასავლეთში გერმანელთა გავლენებს ადარებენ. ქართველების რასობრივი დამახასიათებელი ნიშნებია: მეზოკეფალია, ანუ საშუალო ზომის თავი: ადრეული რკინის ხანაში კავკასიაში გავრცელებული იყო გამოკვეთილი, აშკარად გრძელი ზომის თავი, რაც ქართველებში ამჟამადაც ჭარბად შეინიშნება; კანის ფერი ძირითადად თეთრია; ქერა თმები და ღია ფერის თვალები ქართველთა ოცდაათ პროცენტს აქვს. მათი თმის ფერი და თვალები ტიპური ყავისფერია, ცხვირი მაღალი და წვრილი; ოვალური, წაგრძელებული სახე, სხეული საშუალოზე მაღალი. მათთვის დამახასიათებელია მოქნილობა და ტანწერწეტობა; ფეხების სიგრძე ტანის სიმაღლეს აჭარბებს. ბავშვებში ქერა და მოგრძო თავები შეინიშნება. ქართველებსა და ჩერქეზებს ნაკლები თმიანობა ახასიათებთ. ქართველები გამოირჩევიან გმირული სულისკვეთებით, პატივმოყვარეობით, დიდებისაკენ სწრაფვით,

სიმამაცითა და უშიშროებით, სამშობლოს სიყვარულითა და ერთგულებით, სიამაყითა და საკუთარი ღირსების გრძნობით, განსაკუთრებული ზრდილობით, რომელიც ღირსების გრძნობასთანაა შეწყვილებული, ცოდნის წყურვილითა და მაძიებელი გონებით. ქართული ეპიკური ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ ქართული პოეტური ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ქართველებს, სხვა ერებთან ერთად, პირველ რიგებში აყენებს. ზემოდასახელებული ნაწარმოები სამართლიანადაა დაყენებული „ილიადასა“ და „ნიბელუნგების“ გვერდით. მასში ისევე, როგორც, საერთოდ, ქართულ პოეზიაში, გამოხატულია სილამაზის იდეალი; ლერწამივით მოქნილი, მაღალი ტანი, სხეულის ორგანოების პროპორციულობა, თეთრი კანის რძისებური შეფერილობა, ავარდისფრებული ლოყები – სწორედ ამიტომ ასხამენ ხოტბას სახის „რძე-ღვინის ფერადოვნებას“. შავი თმა და თვალები (ნაგულისხმევია ყავისფერი!), ლურჯი თვალები, მუქი ფერის თმები და თეთრი სახის კანი განსაკუთრებულ სინატიფედ და კეთილშობილებად ითვლება. ასეთივე სურათს ვხედავთ მამაკაცებთან, ოღონდ მათში ძალ-ღონე და ახოვანება იწევს წინა პლანზე. ზრდილობა, კეთილშობილება, თავდაჭერილობა და უმწიკვლოება ზნეობისა და ტრადიციების გამოხატულებაა მთელ ხალხში.

მიხელ პსელოსი[2] (X საუკუნე) საგანგებოდ გამოჰყოფს ქართველი მეომრების უჩვეულო სილამაზეს, თვალტანადობას და ქებით მოიხსენიებს მათ ვაჟკაცურ, მებრძოლ სულისკვეთებას.

არქანჯელო ლამბერტიმ[3] (XVII ს.) ზუსტად და საფუძვლიანად აღწერა დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) ყოფა-ცხოვრება და ხაზი გაუსვა მისი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, იშვიათ სილამაზეს: თეთრი კანი, კეთილშობილური აღნაგობა და ა. შ. ქართველების სილამაზისა და მათი ჯანსაღი სახეობის შესახებ კიდევ უფრო აღფრთოვანებით და დაწვრილებით წერენ შარდენი და დელა ვალე.

ჩვენ აქ მრავალთაგან მხოლოდ ზოგიერთ ევროპელ მოგზაურსა და მკვლევარს ვასახელებთ, უპირველს ყოვლისა კი, ვიხსენიებთ ბიზანტიური ეპოქის მკვლევარებს: ფალმერაიერს, მილერს, უსპენსკისა და სხვებს, რომლებიც ასევე ადასტურებენ იმავე სახეობის არაჩვეულებრივ სილამაზესა და აღნიშნავენ ბიზანტიელი და სპარსელი პრინცების ხშირ ქორწინებას ქართველ ქალებზე.[4]

2 Chronographie ou histoire d'un siecle de Byzance, I. Paris, 1928. გვ. 7, 10.

3 Relation de la Colchide ... // Recueil des Voyages au nord. VII, (გვ. 136-197), გვ. 179

4 შეადარე: Talbot Rice, The Role of Georgia ... // Asiatic Review, 1930. გვ. 44-58.

უ. გობენაუ.[5] რომელიც ყოველ რასობრივ საკითხს სწორად და ობიექტურად აფასებდა, განსაკუთრებული აღფრთოვანებით იხსენიებდა და ხოტბას ასხამდა ქართულ-კავკასიურ სილამაზეს.

რ. ლეონარდის[6] აღწერის მიხედვით, ცნობილი ბერძნული ქანდაკებების სახის პროფილები დღემდე შენარჩუნებულია კავკასიის ერთ ნაწილში, სახელდობრ კი თბილისსა და ქუთაისს შორის მდებარე მიდამოებში. „როდესაც მოგზაურობისას ეს სახეები ადგილზე შევნიშნე, ჩემთვის ცხადი შეიქნა მათი კავშირი და მსგავსება ბერძნული სკულპტურის იდეალებთან. აქაური მოსახლეობა და მისი მკვიდრნი ძველ დროშიც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდნენ".

ბრ. პლეტშკე[7] რამდენიმე წელიწადი (1918-1920 და 1927-1928 წწ.) ცხოვრობდა ჩეჩნებთან ჩრდილოეთ კავკასიაში. მან შთამბეჭდავად აღწერა ადგილობრივ მკვიდრთა გარეგნობა და მშვენიერება: „ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ კავკასიელი ხალხები, მათ შორის, განსაკუთრებით ჩრდილოკავკასიელები თავიანთი თვალტანადობით ყოველნაირად აღემატებიან მეზობელ ხალხებს. საკმარისია ერთხელ მაინც იმგზავროთ ქალაქ როსტოვიდან კავკასიის მიმართულებით, რომ შენიშნოთ, თუ როგორ გამოირჩევიან წმინდა კავკასიური სახეები თავიანთი მოგრძო და სწორი სახის ნაკვთებით სხვა ხალხების გარეგნობისაგან. ქერა ჩეჩენი მამაკაცის სახის კანი ნაზი და თხელია, ასევე გოგონებსაც მშვენიერი ფერადოვანი და ნაზი სახის კანი აქვთ. კაცების სახე ქარისა და მკაცრი კლიმატისაგან შეწითლებულია და არა მზისაგან გაყავისფერებული, რაც განსაკუთრებით ჩრდილოური რასისთვისაა დამახასიათებელი".

ერთი გერმანელი ოფიცრის შთაბეჭდილებები: გენერალ-მაიორი დ. ამაუერი წერს, რომ „დასავლეთ საქართველოს ხეობები და ველ-მინდვრები შუა გერმანიის ლანდშაფტების მსგავსია, ხოლო მათი ეროვნული ცეკვები ბავარიულ ცეკვას მოგვაგონებს". შემდეგ იგი განაგრძობს: „შუა საქართველოში მცხოვრებ ქალებზე დაკვირვებისას, რომელთაც შავი თავსაფრები ახურავთ, სრულიად ევროპული სახის ნაკვთები აქვთ და ევროპულ ყაიდაზე აცვიათ, აქ შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი ვერც კი იფიქრებს, რომ სწორედ კავკასიაში იმყოფება". შემდეგ: „...ეს

5 Die Taenzerin aus Schemacha (Asiatische Novellen) 1876, Schlosser, Leipzig, 1904, გვ. 24, Paris.

6 Paphalagonia, 330.

7 Die Tschetschenen, 30-38, Hamburg, 1929.

ქართველები თავიანთი დახვეწილი ევროპული სახის ნაკვთებით გამორჩევიან, მამაკაცები თვალტანადობით".[8]

მ. რ. ბროსემ, რომელმაც საქართველოს ისტორიის შესწავლას მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა, არაერთხელ მოგვცა ქართული სახეობის სილამაზის შეფასება. მისი შეხედულებით, „ქართველების გარეგნული სილამაზე მემკვიდრეობითია!" შემდეგ იგი განაგრძობს: „მომაჯადოებელი ქართველი ქალების კეთილშობილურმა სისხლმა დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ დესპოტიზმისაგან გათელილ რასაში დახვეწილი ფორმები შენარჩუნებულიყო, რაც ასე გვხიბლავს ოსმალებში".

ჩვენ ამ თავს კვლავ გობინოს სიტყვებით ვამთავრებთ, რომლის მიხედვითაც რიონის ხეობაში (დასავლეთ საქართველო) მცხოვრებ ქართველებს სხვა არაფერი დასჭირდებოდათ თავიანთი საარაკო სილამაზის გარდა, რათა ტახტი დაეპყროთ და სამეფო გვარეულობები წარმოეშვათ. „ყოველივე, რაც ფაზისის მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობის თვალტანადობისა და სილამაზის შესახებ დაიწერა, ითქვა და ხოტბაშესხმულ იქნა, სრულ სიმართლეს შეეფერება; არაკეთილმოსურნე აზრიც კი, თუკი ობიექტურობას და სიმართლეს პატივს დასდებს, ამაში ეჭვს ვერ შეიტანს. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია და ყოველგვარ წესს უარყოფს, არის ის გარემოება, რომ ეს პროვინციელი კაცები და ქალები, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, მაინც უჩვეულოდ კეთილშობილნი, ზრდილნი და ეშხიანები არიან. მათი ხელები მშვენიერია, ფეხები მოხდენილი; მათი მოყვანილობა, მიხრა-მოხრა და ყველაფერი სხვა უბრალოდ სრულყოფილია: თავისუფალი და გამართული სიარულის მანერა და აღნაგობა, რომელსაც წუნს ვერ უპოვით".

ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი გამონათქვამები იმ ევროპელი მწერლებისა და მოგზაურებისა, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ საქართველოსთან, ეჭვმიუტანლად ადასტურებენ ქართული სახეობის გარკვეულ კავშირ-ურთიერთობას ჩრდილოელ ხალხებთან.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ტიპი, ქართული სახეობა, 1921 წლის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, უკიდურეს საფრთხეშია. სტალინური კონსტიტუციის 123-ე მუხლი, რომელიც მხოლოდ სიცრუეა მთელი ქვეყნიერების წინაშე, გადაჭრით ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირში ხალხთა რასობრივი უფლებების დაცვას, რადგან ყოველგვარი პროპაგანდა რასობრივი და ეროვნული დამოუკიდებლობის

8 D. Aschauer, Auf Schicksalswegen gen Osten, 1918. გვ. 305, 310, 35, 339.

მხარდასაჭერად აკრძალულია. და თუ რას ნიშნავს ეს რუსულ საბჭოთა პრაქტიკაში, ყველა მკითხველისათვის ცნობილია. მაშასადამე, ქართველების ბრძოლა მოსკოვის წინააღმდეგ არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ რასობრივ ხასიათსაც ატარებს. გაიმარჯვებს თუ დამარცხდება ეს რასობრივი ბრძოლა, ამაზეა დამოკიდებული ქართველების მომავალი და ამ სულისკვეთებით იბრძვიან კიდეც ისინი.

შენიშვნები ავტორის რეცენზია ს. მარგველაშვილის სტატიაზე „კავკასია და ძველი აღმოსავლეთი“[1]

კავკასიის ხალხთა კულტურა გარკვეულ მსგავსებას ავლენს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურასთან, განსაკუთრებით კი სამართლისა და რელიგიის სფეროში. როგორც ჩანს, შუმერთა, ასურელთა, ხეთელთა და ებრაელთა კანონებს და ბერძენთა და რომაელთა ხალხურ ადათ-წესებს მეტ-ნაკლებად მივყავართ საერთო წყარომდე – „ძველ იაფეტურ მოსახლეობამდე“, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული კავკასიის ხალხებთან. წინა აზიაში ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობისა და საკუთრების კანონების სქემები შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ თანამედროვე ოსების, აფხაზების, ჩერქეზების, ჩეჩნებისა და ქართველების ანალოგიურ ინსტიტუციებს. ეს პარალელები თვალსაჩინოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე საქორწინო ცერემონიებს, ძუძუმტეობასა და ლევირატს ეხება, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური განსხვავებანი ძალიან დიდია თავად კავკასიურ ხალხებს შორისაც. უკვე საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსმა მოგზაურებმა და ზემოდასახელებული მთიელი ხალხების მკვლევრებმა მიუთითეს ძველ დროში კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხების ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიური კულტურის მსგავსებაზე. აქ უკვე ამკარად ჩანს ზოგიერთი ისეთი კავკასიური წეს-ჩვეულება, როგორიცაა, მაგალითად, მოკლული მტრის მკლავის, როგორც ტროფეის, ყველას დასანახად დემონსტრირება (ჩამოკიდება ხეებზე, ჭიშკარზე და ა. შ.), როგორც ეს ადრე წესად ჰქონდათ ძველ შუმერებს, ლურისტანის მოსახლეობას და სხვ. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი საკითხების დადგენა ძნელი საქმეა, რადგან კავკასიის ხალხებს ნაწილობრივ პატრიარქალური და ნაწილობრივ კი მატრიარქალური წყობილების ფორმა ჰქონდათ, რის გამოც მათი თავდაპირველი ცხოვრების ფორმა დაუდგენელი და სადავოა. ტ. მარგველაშვილის შეხედულებით, ზოგიერთი ხალხი, მაგალითად, ქართველები თავიდანვე პატრიარქალურები იყვნენ და უწინდელი მოსახლეობის მატრიარქალური ფენები გადაფარეს, რომლისგანაც შემდეგ მოგვიანებით ისტორიის მსვლელობისას ძლიერი ზეგავლენა განიცა-

1 დაიბეჭდა: Zeitschrift f. Ethnologie. Organ der Berliner Gesellschaft f. Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte; Heft 4/5 გვ. 141-180.

დეს. ეს პარალელები არსებობს, აგრეთვე, რელიგიის სფეროში, ცხოველების კულტში (ხარი და თხა), წინაპრების პატივისცემა-დაფასებაში, მიცვალებულთათვის მსხვერპლის შეწირვაში, ხის კულტში, ზოგიერთი ღმერთის სახელსა და თვით ადამიანების მსხვერპლად შეწირვაში, რაც კავკასიაში არანაკლებ ხორციელდებოდა, ვიდრე ძველ აღმოსავლეთში. ყველა ამ რიტუალისა და რწმენა-წარმოდგენების სიძველე გამოხატულებას პოულობს, მაგალითად, ილორის წმინდა ხარის კულტით, რომელიც ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იმგვარადვე სრულდებოდა, როგორც ძველ კოლხეთში არგონავტების თქმულების მიხედვით (იაზონი და მედეა). შეუძლებელია ამ უამრავი ანალოგის ერთად მოტანა, მაგრამ ტ. მარგველაშვილის შეხედულებებისა და არგუმენტების საფუძველი და არსი კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის კულტურათა ნათესაობაზე დადასტურებული ჩანს.

გ. ლ.

ტ. მარგველაშვილის წერილი VANDEHOECK UND RUPPRECHT საგამომცემლო სახლს[1]

ღრმად პატივცემულო ბატონებო,

ამ წერილით მოგმართავთ მოკრძალებული თხოვნით: თუ გამოიჩენთ ინტერესს ჩემი ნაშრომის მიმართ, რომელსაც თან ახლავს სარჩევი და რომელიც შეიძლება დაახლოებით ასე დასათაურდეს: „კავკასიური რასა და მსოფლიო", ან „წინა აზიის რასობრივ-კულტურული კავშირ-ურთიერთობანი" ან სხვ.

ნაშრომში საუბარია კავკასიელი ხალხების, უმეტესწილად კი ქართველების რასობრივ და ეთნიკურ-კულტურულ კავშირ-ურთიერთობებზე ძველ აღმოსავლეთთან. იგი მოგვითხრობს კავკასიელთა რასობრივ-კულტურული გავრცელებისა და შემდგომი განვითარების შესახებ ხმელთაშუა ზღვის არეალსა და ევროპაში, ასევე მის, როგორც რასის, დაცემაზე. კავკასიელთა როლზე წინა აზიის ისტორიაში, მათი, როგორც რასისა და ერის მიღწევებისა თუ მონაპოვარის გათვალისწინებით.

მე შევეცადე შესაბამისი მასალების მაქსიმალურად დამუშავებას და მათგან ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილების განზოგადებას, საიდანაც გამომდინარეობს და თავისთავად ცხადად და ნათლად ჩანს კავკასიოლოგიის დიდი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. ნაშრომის სპეციალური მონაკვეთებისათვის და მათი უკეთ წარმოჩენისათვის მე მოვიწვიე რამდენიმე სპეციალისტი და ნაშრომში გამოვიყენე მათი მოსაზრებები და შეფასებანი.

ხელნაწერი წარმოადგენს 800 ნაბეჭდ გვერდს, ორჯერადი სტრიქონითა და ფართო მინდვრებით, რაც სტამბურად ნაბეჭდი დაახლოებით 300 გვერდის ტოლი იქნება.

ველი თქვენს შეძლებისდაგვარად სწრაფ შეტყობინებას, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

გერმანული სალმით,

ტ. მარგველაშვილი

ბერლინი-ვილმერსდორფი, 19.06.1935

---

1 მიმოწერა ინახება ქ. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, ხელნაწერთა განყოფილება. Signatur: Nachl, G-1888-1936. გვ. 238-240.

თემები / სარჩევი[2]

მიძღვნა
წინასიტყვაობა
შესავალი
ქართველობა პროფ. მარის იაფეტოლოგიის შუქზე
კავკასიის ხალხები – იაფეტიდები ვ. შმიტის, ფ. ქრისტიანისა და სხვათა შეხედულებით. მეცხოველეობის კულტურა და ა.შ.
მცირეაზიელი იაფეტიდები ძველად: შუმერები, ელამები
ასირია – სუბარები
მცირე აზია
ხეთები
ჰურები
ტელ-ჰალაფი
ჰიქსოსი
ზღვისპირა ხალხები
ეგეოსი
ცხენი მცირე აზიაში
ეტრუსკები
ბასკები
მცირეაზიელი იაფეტიდების კავშირები ევროპასთან
იაფეტურ-მცირეაზიური რასის ანთროპოლოგია
არქეოლოგიური არეტეფაქტები (ლითონები: სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, კალა, ბრინჯაო, რკინა)
იაფეტურ-მცირეაზიური რასა არქეოლოგიის მონაცემებით
რელიგიური შეხედულებების სფეროდან (ხარის კულტი, მიცვალებულთა კულტი, სიმაღლეთა კულტი და მათდამი თაყვანისცემა, ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის წესი წარმართულ წინაისტორიულ ხანაში)
დედი უფლება – მატრიარქატი
თქმულება მედეას შესახებ
ქართული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“

2 წერილს თან ახლავს გამოსაცემად შეთავაზებული წიგნის სავარაუდო თავებისა და თემების ჩამონათვალი, რომელიც მცირედი გადამუშავებით არის წარმოდგენილი [გამომცემელი]

ძველ მცირეაზიელთა სამართლებრივი შეხედულებების სფეროდან
კავკასიელი ხალხების სამართლებრივი შეხედულებების სფეროდან
კავკასიურ-ძველაღმოსავლური კულტურული პარალელები
საქართველო-კავკასია და ძველი აღმოსავლეთი
რამდენიმე ქართული საგვარეულოს შესახებ
წარმართული ხანის რელიგიური შეხედულებების სფეროდან
ქართველების კლდის არქიტექტურა, კულტურის სხვა გადმონაშთე-
ბი და მათი მცირეაზიური პარალელები
ქართველები ბიზანტიაში, სპარსეთში, თურქეთში, რუსეთში
ქართული პოლიტიკა

SUMMARY

Tite (Titus) Margvelshvili was born in 1891, in Kutaisi. During 1899-1908 he studied at a private school, before passing final exams at the Kutaisi Classical Gymnasium (1909). In November of the same year he was admitted to the Philosophy Department of the Leipzig University, In 1913 he got enrolled in a doctoral program at the Halle-Wittenberg University where one year later defended his thesis "Colchis, Iberia and Albania on the Verge of the First Century BC (with Specific Emphasis on the Writings of Strabo)". After that, before returning to Georgia, he spent three months in London perfecting his English.

Upon return to his homeland, Margvelashvili got immediately involved in a public and political life of the country. In 1914-1917 he worked as a teacher of foreign languages at the Kutaisi Classical Gymnasium. During this period he contributed articles to different periodicals published in Kutaisi (mostly associated with national-democratic circles) contributing articles on cultural, historical, economic and political issues. He also became one of the founding members of the National-Democratic Party of Georgia. At the first party convention, which took place in Tbilisi in 1917, Margvelashvili was elected as a member of the party's main council.

On May 26, 1918 Margvelashvili, as a member of the National Council of Georgia, signed the Georgia's Declaration of Independence. He continued to lead an active public and political life in Tbilisi as well, participating in activities of various civil society organizations, sympathizing with, supporting, and initiating the establishment of several of these.

As a result of the Soviet occupation of Georgia in 1921 Margvelashvili was forced into political exile and relocated to Germany together with his family. Along with engagement in scientific research, he continued to actively participate in activities of the Georgian emigration, including events of explicitly anti-Soviet nature, also wrote numerous political articles in émigré periodicals. Because of these activities, in 1946 Titus Margvelashvili got abducted in Berlin by the Soviet security service agents. After several months of a mock 'trial' held in Tbilisi, he was sentenced to death, and was executed the same year.

The present edition of "The Caucasus and the Ancient Orient – Historical and Ethnologic Studies" is a collection of scholarly papers written by prominent historian, public and political figure, doctor Titus Margvelashvili. These essays were published during his life in Germany - during his studies (1909-1914) and in exile (1921-1946), written in German (only one essay in English) and printed in various academic journals. A large part of this material is published in Georgian for the first time, and covers a broad range of topics from history, ethnography and culture of the Caucasus.

It is also planned to eventually publish the complete collection of Titus Margvelashvili's journalistic articles published in Georgia between 1914 and 1921.